ანრი შარიერი

პეპელა

თბილისი 2006

დამნაშავეთა სამყაროში მას „პაპიონს“ ეძახდნენ. ყვავილიდან ყვავილზე მოფარფატე „პეპელა“ არასდროს იყო იქ, სადაც ეგონათ და ჩნდებოდა მაშინ, როცა აღარ ელოდნენ. ეს ამბავი დაიწყო XX საუკუნის 30-იანი წლებში – პაპიონი სწორედ 1930-ში „ვარდება“: მას აბრალებენ განზრახ მკვლელობას , რომელიც არ ჩაუდენია – ანრი შარიერი არც სუტენიორია და არც მკვლელი. ამ დროიდან იწყება მისი ყველაზე ფანტასტიკური თავგადასავლები: ორი ყალბი მოწმის წყალობით კაიენაში სამუდამოდ გაგზავნილი, იგი არ ეგუება არა მარტო უსამართლო, არამედ შეუსაბამო სასჯელს და მალე დიდი გაქცევები იწყება.

„პაპიონი“ თანდათან მწერლადაც მოგვევლინა და მისმა წიგნმა სწრაფად დაიკავა ადგილი ბესთსელერების გვერდით – მარტო საფრანგეთში ერთ მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა

ვუძღვნი:
ვენესუელელ ხალხს,
პარიას უბის მოკრძალებულ მეთევზეებს,
ყველა ინტელიგენტს, სამხედროსა და სხვებს,
ვინც ხელი შემაშველა, რათა მკვდრეთით
აღვმდგარიყავი.
რიტას – ჩემს მეუღლესა და საუკეთესო
მეგობარს.

ანრი შარიერი

პირველი რვეული

ბიწიერების ბილიკი

სასამართლო

ისეთი სილა გამაწნეს, რომ წელში გამართვა მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ შევძელი. ეს მართლაც არ იყო უბრალო ალიყური – მათ ყველაფერი იღონეს, რომ ის საქმე ჩემთვის „შემოეტენათ“.

დღეს 1931 წლის 26 ოქტომბერია. დილის რვა საათზე კონსიერჟერიის საკნიდან გამომიყვანეს, სადაც, აგერ უკვე ერთი წელია, ეზივარ. სუფთად გაპარსული ცნობილი თერძის მიერ შეკერილ კოსტიუმში განწყობილი, მოხდენილად გამოვიყურები. ჩემს გარეგნობას თეთრი პერანგი და ღია ლურჯი ფერის ბაფთი – „პეპელა“ აგვირგვინებს.

ოცი წლის ბიჭს ვგავარ, თუმცა უკვე ოცდახუთის გავხდი. ჟანდარმები მოწიწებით მექცევიან და იძულებულნი არიან, ჩემს ჯენტლმენურ სელას ფეხი აუწყონ. ბორკილებიც კი მომხსნეს. ექვსივე – ხუთი ჟანდარმი და მე – ცარიელ მოსაცდელში, ორ გრძელ სკამზე ვსხედვართ. გარეთ ღრუბლიანი ამინდია. ჩვენ წინ კარია, რომელიც ალბათ სასამართლოს სხდომათა დარბაზში გადის, რადგან ახლა პარიზში, მართლმსაჯულების სასახლეში ვიმყოფებით.

ცოტაც და – მკვლელობას დამაბრალებენ. მოდის ჩემი ადვოკატი, მეტრი რეიმონ უბერტი, და მესალმება: „ჩვენ წინააღმდეგ არავითარი სერიოზული სამხილი არ არსებობს, დარწმუნებული ვარ, გაგვამართლებენ“. მეცინება ამ სიტყვებზე – თითქოს ისიც სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს და, თუ მომისჯიან, ჩემთან ერთად უნდა მოიხადოს სასჯელი.

სასამართლოს აღმასრულებელი კარს აღებს და შიგნით გვეპატიჟება. ოთხ ჟანდარმს შორის ჩამდგარი, ოფიცერთან ერთად, უზარმაზარ დარბაზში ორფრთიანი კარიდან შევდივარ. იმისთვის, რომ გაწნული სილა „შემერგოს“, ყველაფერი წითელია: ხალიჩები, ფარდები, თვით იმ მაგისტრების სამოსიც კი, რომლებმაც ახლა უნდა გამასამართლონ.

„ბატონებო, სასამართლო მოდის!“

მარჯვენა კარიდან ერთიმეორის მიყოლებით ექვსი კაცი შემოდის. თავმჯდომარე შუა სკამთან ჩერდება, ნაფიცი მსაჯულები კი, რომელთაც მაგისტრის ქუდები ახურავთ – აქეთ-იქით მწკრივდებიან.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. ყველა, ჩემი ჩათვლით, ფეხზე დგას. ჯერ სასამართლოს წევრები სხდებიან, მერე – დანარჩენები.

ფუნჩულა, ლოყებლაჟლაჟა თავმჯდომარე უგრძნობი გამომეტყველებით მიყურებს თვალებში. მას ბოვენი ჰქვია. შემდგომში ეს კაცი მიკერძოების გარეშე ჩაუდგება სათავეში დებატებს და თავს ისე მოაჩვენებს, თითქოს იგი, როგორც პროფესიონალი მაგისტრი, ბოლომდე არ არის დარწმუნებული მოწმეებისა და პოლიციელების გულწრფელობაში. არა, ის პასუხისმგებელი არ იქნება სილის გაწვნაზე – უბრალოდ, მითავაზებს.

მთავარი ბრალმდებელი – მაგისტრი პრადელია. მას სასამართლო სისტემაში

ყველაზე მიუკერძოებელი პროკურორის რეპუტაცია და საფრანგეთის ზღვისიქითა კატორღებისა და გილიოტინების „მომმარაგებლის“ სევდის მომგვრელი სახელი აქვს.

პრადელი საზოგადოებრივ მსჯავრს გამოხატავს. იგი ოფიციალური ბრალმდებელია და არაფერი ადამიანური არ გააჩნია. ის კანონის ჭეშმარიტი გამოხატულებაა და სამართლის სასწორს ისე ატრიალებს, რომ პინა ყოველთვის მის მხარეს იხრება. ნახევრად დაშვებული ქუთუთოებიდან გრიფის თვალებით მაშტერდება. სკამი და აღნაგობა ხელს უწყობს, რომ დამთრგუნველად დამაცქერდეს ზემოდან. წითელ მანტიაში რჩება, მხოლოდ ტოკს იხდის, წინ იდებს და საცეხველივით დიდ ხელებს ეყრდნობა. ოქროს ბეჭედი ამტკიცებს, რომ ცოლიანია. ნეკ თითზე კი ცხენის ნალის ფორმის, გაპრიალებული მეორე ბეჭედი უკეთია.

ჩემკენ იხრება, თითქოს მეუბნება: „ჩემო ცელქო ბიჭუნავ, თუ გგონია, გადამირჩები, ძალიან ცდები. ხომ ხედავ ამ ხელებს? შენ ისინი ნაზი გგონია, მაგრამ იცოდე, მისი ბრჭყალები მალე ნაკუწებად გაქცევს. ტყუილად კი არ მაქვს ყველაზე ერთგული და საშიში გენერალური პროკურორის სახელი! მე მსხვერპლი არასოდეს გამსხლტომია.

არ მაინტერესებს, დამნაშავე ხარ, თუ არა. ყველაფერს გამოვიყენებ, რაც შენ წინააღმდეგაა – ბოჰემურ ცხოვრებას მონმარტრზე, პოლიციის მიერ შეთითხნილ მოწმეთა განცხადებებს და თვით პოლიციელთა პატაკებს. გამომძიებლისაგან მოძიებული გულისამრევი აბდაუბდის გამოყენებით მივაღწევ იმას, რომ მოსამართლეებს შენდამი მხოლოდ ზიზღი გაუჩნდეთ და ამ საზოგადოებიდან აგაორთქლონ.“

ამ კაციჭამიამ ისე მომნუსხა, რომ ველარ ვარჩევ, სიზმარში ვარ თუ მართლა ასე მომმართავს:

„თავის დაცვას ნუ შეეცდები, ბრალდებულო, დამმორჩილდი. მე შენ ჯოჯოხეთის გზას გაგიყენებ.

ამ თორმეტი მსაჯულის იმედი ხომ არ გაქვს? ილუზიებს მოეშვი, მათ ცხოვრებისა არაფერი გაეგებათ.

დააკვირდი შორეული პროვანსიდან პარიზში შემოტანილ ამ „თყველის ნაჭრებს“. კარგად ხედავ, ვინც არიან, მათ ჩემი დახასიათება არ სჭირდებათ. ხომ არ გგონია, ისინი შენს მონმარტრულ ცხოვრებას გაიგებენ? პიგალი მათთვის ჯოჯოხეთია, ხოლო ყველა, ვინც ღამის ცხოვრებით ცხოვრობს – საზოგადოების მტერი. ეამაყებათ სენის სასამართლოს წევრობა, მაგრამ, ამავე დროს, მეშჩანური წარმოშობის შეგრძნებითაც იტანჯებიან.

შენ კი გამოეცხადე აქ ახალგაზრდა და ლამაზი! ხომ არ გგონია, მომერიდება და არ გავაცნობ მათ მონმარტრზე შენს დონჟუანურ ცხოვრებას? ამგვარად, ამ „ყველის ნაჭრებს“ დასაწყისშივე შენს მტრებად ვაქცევ. კარგად გაცვია, უფრო მოკრძალებულად ჩაცმული უნდა მოსულიყავი – ამით დიდი ტაქტიკური შეცდომა დაუშვი. ვერ გრძნობ, რომ შენი სამოსი შურთ? ესენი სამარიტელებივით იცვამენ და არასდროს, სიზმარშიც კი, თერძთან არ ყოფილან...“

ათი საათია და საქმის განსახილველად ყველაფერი მზადაა: წინ ექვსი მაგისტრი ზის, რომელთაგან ერთი ის დაუნდობელი პროკურორია. იგი მთელ თავის მაკიაველურ ძალაუფლებასა და ცოდნას გამოიყენებს, რათა ეს თორმეტი ქონდრისკაცი დაარწმუნოს, რომ დამნაშავე ვარ და მხოლოდ კატორღა ან გილი-

ოტინა იქნება ჭეშმარიტი განაჩენი.

მე პოლიციასთან შეკრული ერთი მონმარტრელი სუტენიორის მკვლელობისთვის მასამართლებენ. ხელმოსაჭიდი არაფერი აქვთ, მაგრამ პოლიციელები, რომლებიც თითო დამნაშავის დაჭერაზე თითო წოდებას იხვეჭენ, ამტკიცებენ, რომ სწორედ მე ვარ მკვლელი. სამხილის უკმარისობას ისინი კონფიდენციალური მასალებით ხსნიან. მათ მიერ მომზადებული მოწმე ორფევრის სანაპიროს №36-ში ჩაწერილი გრამფირფიტაა, სახელად „პოლენი". ეს ბრალდების ყველაზე ძლიერი რგოლია. მე ვაცხადებ, რომ ამ კაცს არ ვიცნობ. ამაზე სასამართლოს თავმჯდომარე მეკითხება:

– თქვენ ამბობთ, რომ იგი ტყუის. კი მაგრამ, რატომ უნდა იცრუოს?

– ბატონო თავმჯდომარევ, ჩემი დაპატიმრების დღიდან ღამეებს თეთრად იმიტომ კი არ ვათენებ, რომ სინდისის ქენჯნა მაწუხებს რონალდ ლე პეტის მკვლელობისთვის, რაც მე არ ჩამიდენია, არამედ, ვეძებ იმ მიზეზებს, რამაც ეს მოწმე ასე გააამწარა, რომ ყოველთვის, როცა კი ბრალდება სუსტდება, ახალ-ახალი ფაქტები შემოაქვს მის გასამაგრებლად. იმ დასკვნამდე მივედი, ბატონო თავმჯდომარევ, რომ პოლიციელებმა ის რაღაც სერიოზულ დანაშაულში გამოიჭირეს და ხელშეკრულება დაუდეს – შეგეშვებით, თუ პაპიონს ამ საქმეს „შეტენიო."

არ მეგონა, თუ ასე კარგად გამომივიდოდა. პოლენს კი, რომელიც ამ სასამართლოზე პატიოსნების განსახიერებად იყო მოყვანილი, რამდენიმე წლის შემდეგ კოკაინით ვაჭრობისათვის დააპატიმრებენ.

მეტრი უბერტი უშედეგოდ ცდილობს ჩემს დაცვას. მეტრი ბუფე მხურვალე გულისწყრომის გამოხატვით ცოტა ხნით აფერხებს პროკურორს, მაგრამ, ვაგლახ, მხოლოდ დროებით და ამ „დუელში" პრადელი იმარჯვებს – იგი თავისი მჭევრმეტყველებით ხიბლავს ჟიურის წევრებს, რომლებიც, რაკი ხედავენ, რომ ასეთი პიროვნება მათ თანასწორივით ექცევა, სიამაყისგან იბერებიან.

მოკლედ, საღამოს თერთმეტ საათზე ჭადრაკის პარტია მთავრდება: ჩემმა დაცვამ ჯერ ქიში მიიღო, მერე – შამათი. მე კი, უდანაშაულოს, განაჩენი გამომიტანეს: საზოგადოებამ სახელმწიფო ბრალმდებლის, პრადელის სახით ოცდახუთი წლის ახალგაზრდა სამუდამოდ მომიშორა. რა დაკლებაზეა ლაპარაკი! სასამართლოს თავმჯდომარე ბოვენი უტემბრო ხმით მშვენიერ საჩუქარს მიძღვნის:

„ბრალდებულო, ადექით!"

ვდგები. დარბაზში სრული სიჩუმეა, სუნთქვა მეკვრება და გულისცემა მიჩქარდება. ჟიურის წევრები მიყურებენ და თავს ხრიან – დარცხვენილი სახეები აქვთ.

„ბრალდებულო! ჟიურის წევრებმა, უპასუხეს რა ბრალდების ყველა პუნქტს „დიახ", გარდა განზრახ მკვლელობისა, თქვენ მოგესაჯათ სამუდამო პატიმრობა. გაქვთ რამე სათქმელი?"

თვალს არ ვახამხამებ, მხოლოდ ბარიერს ვუჭერ ხელს:

– ბატონო თავმჯდომარევ, დიახ, მაქვს სათქმელი! მე მართლაც უდანაშაულო და პოლიციური ხრიკების მსხვერპლი ვარ!

იმ კუთხიდან, სადაც საპატიო სტუმრებად მოწვეული ქალები სხედან, ჩურჩული ისმის. მშვიდი ხმით განვაგრძობ:

– ჩუმად, ქალბატონებო! გაჩუმდით ყველა, ვისაც ბრილიანტები აგისხამთ და მწვავე ემოციების განსაცდელად მობრძანებულხართ: ფარსი დამთავრდა! კმაყო-

ფილი უნდა იყოთ, რადგან თქვენმა დამცველმა პოლიციამ მკვლელობა გახსნა!

– დაცავ, – ბრძანებას იძლევა თავმჯდომარე, – გაიყვანეთ მსჯავრდებული!

სანამ გავიდოდე, ყვირილი მესმის:

– არ იდარდო, აუცილებლად ჩამოვალ შენს სანახავად!

ეს ჩემი ყოჩაღი და კეთილშობილი ნენეტია, რომელიც თავის სიყვარულს მისტირის. დარბაზში მყოფი ქურდული გაგების მამაკაცები ტაშს უკრავენ – კარგად იციან, რაშია საქმე და რაკი არავინ „ჩაეუშვი", ამგვარად მაგრძნობინებენ, რომ ჩემით ამაყობენ.

როგორც კი იმ ოთახში გამოვდივართ, საიდანაც შევედით, ჟანდარმები ბორკილებს მადებენ. ერთ-ერთი მათგანი პატარა ჯაჭვით ჩემს მარჯვენას თავის მარცხენაზე იბამს. ხმას არავინ იღებს. სიგარეტს ვთხოულობ. ანთებულს მაწვდიან. ყოველი ნაფაზის დარტყმისას ჟანდარმი იძულებულია, ხელი ამაყოლოს, რადგან ბორკილით ვართ ერთმანეთზე გადაბმული. სამ მეოთხედზე ჩამყავს სიგარეტი. არავინ არაფერს მეუბნება. ბოლოს ოფიცერს მე თვითონ ვეუბნები:

– წავედით.

თორმეტი ჟანდარმის თანხლებით კიბეებზე ჩამოსვლის შემდეგ მართლმსაჯულების სასახლის შიდა ეზოში გავდივართ – აქ გველოდება. პოლიციის მანქანა-საკანი. ვსხდებით. „კონსიერჟერიაში!"

კონსიერჟერია

მარია ანტუანეტას უკანასკნელ კოშკთან მისვლისას ჟანდარმები ჩემს თავს დაცვის უფროსს აბარებენ და რაღაც ქაღალდზე ხელის მოწერის შემდეგ სიტყვის უთქმელად მიდიან. ნასვლამდე სასწაული ხდება – ოფიცერი ორივე ხელს მართმევს, ხოლო დაცვის უფროსი მეკითხება:

– რამდენი „შეგტენეს"?

– სამუდამო.

– რას ამბობ?! – უყურებს ჟანდარმებს და ხვდება, რომ მართალს ვეუბნები. ეს ორმოცდაათი წლის მედილეგე, რომელსაც ამდენი რამ უნახავს და ჩემს საქმეს ძალიან კარგად იცნობს, ჩემთვის კეთილ სიტყვას იმეტებს:

– უჰ! არამზადები! გაგიჟებულან!

ნელა მხსნის ბორკილებს და თავაზიანად მიმაცილებს სიკვდილმისჯილების, გიჟებისა და სამუდამო კატორღაში გასაგზავნებისათვის განკუთვნილ სპეციალურ საკანამდე.

– ვაუკაცურად, პაპიონ, – მეუბნება კარების დაკეტვისას, – შენს ნივთებსა და საჭმელს გამოგიგზავნი. ვაუკაცურად!

– გმადლობთ, უფროსო! გჯეროდეს, სულით არ დავეცემი და იმედი მაქვს, სამუდამო კატორღას მაგათ ცხვირში ¡ამოვადენ!

რამდენიმე წუთის შემდეგ კარებზე ფხაჭუნი მესმის.

– ვინ არის? – ვკითხულობ.

– არავინ, კარებზე მუყაოს ვკიდებ, – მპასუხობს ვილაცა:

– რა წერია ზედ?

– „სამუდამო კატორღა განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ."

ჩემთვის ·ვფიქრობ: „რა დამპლები არიან! შემთხვევით, ხომ არ ჰგონიათ, ის,

რაც ჩემს თავზე დატრიალდა, თვითმკველობამდე მიმიყვანს?! ეს არ მოხდება! ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ ვიბრძოლებ! ხვალიდან მოქმედებას ვიწყებ."

მეორე დღეს ყავას ვსვამ და თავს ვეკითხები: „ხომ არ გავასაჩივრო? რატომ? განა სხვა სასამართლოში გამართლების მეტი შანსი მექნება? წელიწადი დამიკლონ? შეიძლება. თვრამეტი თვე? და რისთვის? სამუდამოს ნაცვლად, ოცი წელი მივიღო?!

რაკი გადავწყვიტე, გავიქცე, ჩემთვის წელთა რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს. მახსენდება ერთი მსჯავრდებულის სიტყვები, რომელმაც სასამართლოს თავმჯდომარეს ჰკითხა: „ბატონო თავმჯდომარევ, რამდენ ხანს გრძელდება საფრანგეთში სამუდამო პატიმრობა?"

საკანში ბოლთას ვცემ. პნევმატური ფოსტით დასამშვიდობებელი წერილები გავუგზავნე ჩემს ცოლსა და დას, რომელიც ასე ცდილობდა ძმის დაცვას.

ყველაფერი დამთავრდა. ახლობები ჩემზე მეტად უნდა იტანჯებოდნენ. საბრალო მამა! იქ, პროვინციაში, ძალიან გაუჭირდება ასეთი მძიმე ჯვრის ტარება.

უცებ ერთი აზრი მაკრთობს: „მე ხომ უდანაშაულო ვარ! რატომ?! იმიტომ, რომ ვარ!" მერე თავს ვეუბნები: „ახლა ნუ დაიწყებ იმის მტკიცებას, რომ უდანაშაულო ხარ. დაგცინებენ. არაფრის გამო სამუდამო პატიმრობა აიკიდო და მერე იძახო, ეს სხვამ ჩაიდინაო, – არავინ დაიჯერებს. ჯობია, მოკეტო." წინასწარი პატიმრობისას, როგორც აქ, სანტეში, ისე კონსიერჟერიაში, არასოდეს მიფიქრია, რომ ასეთი მკაცრი სასჯელი მელოდა და არც თავი შემიწუხებია, მივხვედრილიყავი, თუ რას ნიშნავდა ბიწიერების ბილიკზე შედგომა.

მოკლედ, ასე: ჯერ სხვა პატიმრებს უნდა დავუკავშირდე და გავარკვიო, ვინ შეიძლება, გაქცევისას შევიამხანაგო. არჩევანს ერთ-ერთ მარსელელზე – დეგაზე ვაჩერებ. ალბათ, საპარიკმახეროში მომეცემა მისი ნახვის საშუალება, რადგან იგი ყოველდღე დადის გასაპარსად. დალაქთან წაყვანას ვთხოულობ და როცა შევდივარ, დეგა კედლისკენ პირშექცეული დგას. ჩემს დანახვაზე შეუმჩნეველად უთმობს რიგს სხვას და მე მის გვერდით ვდგები. სწრაფად ვეუბნები:

– როგორ ხარ, დეგა?

– კარგად პაპი. მე თხუთმეტი მომისაჯეს, შენ? მითხრეს, რომ გაგაფუჭეს.

– კი, სამუდამო მომცეს.

– გაასაჩივრებ?

– არა. ერთადერთი, რაც ახლა გვჭირდება, კარგი ჭამა და ვარჯიშია. ძლიერი კუნთები აუცილებლად გამოგვადგება, დეგა. „დატვირთული" ხარ?

– კი, ათი ათასი ფრანკი მაქვს სტერლინგებში, შენ?

– არაფერი.

– ერთ კარგ რჩევას მოგცემ: რაც შეიძლება, მალე იშოვე მაყუთი. შენი ადვოკატი უბერტია? სალახანაა, „ქისას" არ შემოგიტანს. ცოლს შეატყობინე, ფული „ქისაში" ჩადოს და დანტეს მიუტანოს. ის დომენიკ ლე რიშს გადასცემს და თავს დავდებ, შენამდე მოვა.

– ჩუმად, „ძაღლი" გვიყურებს.

– რა, დრო იხელთეთ? რაზე ლაპარაკობთ?

– არა, ისეთზე არაფერზე, – პასუხობს დეგა, – მეუბნება ავად ვარო.

– რა სჭირს, გაუვალობა? – ხითხითებს „ძაღლი".

რას იზამ, ასეა. მე უკვე სიდამპლის გზაზე ვარ და არ უნდა მიკვირდეს, რომ ოცდახუთი წლის ახალგაზრდას, რომელსაც სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი, ამგვარად დასცინიან.

მივიღე „ქისა" – ათიოდე სანტიმეტრის სიგრძის გაპრიალებული ალუმინის მილაკი. შუაში ხრახნი აქვს და „დედალ" და „მამალ" მხარეებად იხსნება. შიგ 5 600 ფრანკია ახალი ბანკნოტებით. სანამ უკანა ტანში შევიდებდე, ვკოცნი... დიახ, ვკოცნი! ღრმად ვისუნთქავ, რათა ღრმად შევიდეს. ახლა თუნდაც გამაშიშვლონ, ფეხები გამაწევინონ და ორად მომკეცონ, ვერაფერს მიპოვიან – ის უკვე ღრმად ავიდა ნაწლავებში და ჩემი სხეულის ნაწილი გახდა. ამიერიდან მუცელში სიცოცხლეს, თავისუფლებასა და შურისძიებას ვატარებ; დიახ, სწორედ შურისძიებას! – ამის გარდა არაფერზე აღარ ვიფიქრებ.

გარეთ ღამეა. საკანში მარტო ვარ. ჭერზე ჩამოკიდებული დიდი ნათურა მე მაბრმავებს, დარაჯს კი საშუალებას აძლევს, კარის ნახვრეტიდან მითვალთვალოს. სახეზე დაკეცილ ცხვირსახოცს ვიფარებ. რკინის საწოლზე, უბალიშო ლეიბზე ვწევარ და კვლავ იმ საშინელი პროცესის დეტალებს ვიხსენებ.

გასაგები რომ იყოს, თუ რამ გამაძლებინა და გადამატანინა შემდგომში ამდენი ბრძოლა თავისუფლებისათვის, ალბათ, საჭიროა, ცოტა ვრცლად მოვყვე ის, რაც ჩემში პატიმრობის პირველ დღეებში ხდებოდა.

რას გავაკეთებ, როცა გავიქცევი? რაკი „ქისა" მაქვს, ჩემი გაქცევა უეჭველია. უპირველეს ყოვლისა, რაც შეიძლება ჩქარა დავბრუნდები პარიზში. პირველი, ვინც უნდა მოვკლა, ცრუ მოწმე პოლენია. მერე ამ საქმეში მონაწილე ორ პოლიციელსაც მივაყოლებ. არა, ორს კი არა, ყველა უნდა დავხოცო; ყოველ შემთხვევაში, რაც შეიძლება მეტი. ჰო, ასე იქნება: როგორც კი „ავითესები", დავბრუნდები პარიზში. ჩემოდანში რაც შეიძლება მეტ ასაფეთქებელს ჩავდებ – არ ვიცი, რამდენს – ათ, თხუთმეტ, თუ ოც კილოგრამს... ვცდილობ, გამოვიანგარიშო, რამდენი ასაფეთქებელი იქნება საჭირო, რომ რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი მოჰყვეს.

დინამიტი გამოვიყენო? არა, შედიტი სჯობია. რატომ ნიტროგლიცერინი არა?! კარგი, რჩევას იმათ ვკითხავ, ვინც ამაში კარგად ერკვევა. პოლიციელებს შეუძლიათ, მენდონ – კუბოს კარამდე მივყვები და სამაგიეროს მაინც გადავუხდი!

ქუთუთოებზე ცხვირსახოცი მადევს და თვალებს გახელას უშლის ხელს. გარკვევით ვხედავ გარეგნულად ჩვეულებრივ, მაგრამ დინამიტით სავსე ჩემოდანს. მასში მომართული მაღვიძარა დევს დეტონატორის ასამოქმედებლად. აქ სიზუსტეა საჭირო – ის ორფევრის სანაპიროს №36-ში, პირველ სართულზე, პოლიციელთა შესაკრებ დარბაზში, ზუსტად ათ საათზე უნდა აფეთქდეს. ამ დროს იქ დაახლოებით ას ორმოცდაათი „ძაღლია" შეყრილი პატაკების ჩასაბარებლად და ბრძანებების მისაღებად. რამდენი საფეხურია ასავლელი? არ უნდა შევცდე.

ზუსტად უნდა გამოვთვალო დრო, რომ ჩემოდანი ქუჩიდან დანიშნულების ადგილამდე ზუსტად აფეთქების წინ მივიდეს. ვინ აიტანს ჩემოდანს? კარგი, გავკადნიერდები და მე თვითონ ვიკისრებ. მაშ ასე: ტაქსით მივდივარ სისხლის სამძებრო პოლიციის შენობის კარამდე და ორ მორიგე „ძაღლს" ავტორიტეტული ხმით ვეუბნები: „თუ შეიძლება, აიტანეთ ეს ჩემოდანი კომისარ დიუპონთან, პატაკების დარბაზში და უთხარით, რომ უფროსი ინსპექტორი დიუბუა ახლავე გეახლებათ."

ნეტავი, დამიჯერებენ? შემთხვევით, ამ უამრავ ყეყეჩში, გამორეული ჭკვიანი რომ შემხვდეს, ხომ ყველაფერი ჩაიშლება? არა, სხვა რამე უნდა მოვიგონო... – და ვეძებ, ვეძებ – გაფიქრებაც არ მინდა, რომ ნაღდ, ასპროცენტიან გამოსავალს ვერ ვიპოვი. ვდგები და ცოტაოდენ წყალს ვსვამ.

ამდენი ფიქრისგან თავი ამტკივდა.

ისევ ვწვები. დრო ტაატით გადის. ეს სინათლე! ღმერთო ჩემო, ეს სინათლე! ცხვირსახოცს ვასველებ და ისევ თვალებზე ვიდებ. სისველე მსიამოვნებს და, თანაც, ცხვირსახოცი უფრო კარგად მეკვრება ქუთუთოებზე. ამის შემდეგ ყოველთვის ასე მოვიქცევი.

ამ გაუთავებლად გრძელი საათების დროს შედგენილ შურისძიების გეგმებს ისე მწვავედ შევიგრძნობ, რომ ხანდახან მეჩვენება, თითქოს უკვე ვმოქმედებდე: ღამღამობით და, ხანდახან დღისითაც კი, პარიზში ისე დავდივარ, თითქოს უკვე გარეთ ვიყო. პირველად, რა თქმა უნდა, ჯერ პოლენს გავუსწორებ ანგარიშს და მერე – „ძაღლებს“. ჟიურის წევრები? იმათ მშვიდად უნდა გააგრძელონ ცხოვრება?! სახლში, ალბათ, დიდად კმაყოფილნი დაბრუნდნენ, რაკი ვალი დიდი „ვ“-თი მოიხადეს. წარმომიდგენია მათი სიამაყით სავსე სიფათები მეზობლებისა და თმადაუვარცხნელი ცოლის წინაშე, რომელიც ალბათ სუპს დაუდგამს ჩასახეთქად.

მაშ, რა ვუყო მსაჯულებს? არაფერი. ისინი საბრალო ჭიაღუები არიან. რა ესმით მათ ადამიანის გასამართლებისა! მათგან ზოგი პენსიაზე გასული ჟანდარმი ან მებაჟეა, ზოგი – მწველავი ან – მენახშირე. ისინი ისევე იქცევიან, როგორც ჟანდარმი, მებაჟე, მწველავი, თუ მენახშირე. ამიტომ პროკურორს მათი დარწმუნება სულაც არ გაუჭირდებოდა.

ახლა, როცა ამას ვწერ და ამდენი წლის წინ გავლილი განცდები და შეგრძნებები მთელი სიცხადით თავს მესხმიან, მიკვირს, როგორ არ გაგიჟდა ის ახალგაზრდა კაცი, რომელიც, სრულ იზოლაციასა და სიჩუმეში საკანში ჩაკეტილი, ასე მიენდო ცოცხალ, მძაფრ წარმოდგენებს: გაორდა, სურვილისამებრ დაფრინავდა და დახეტიალობდა საკუთარ სახლში, მამასთან, დედასთან, დასთან და ოჯახთან; იხსენებდა ბავშვობის წლებს, აგებდა ოცნების კოშკებს და სჯეროდა, რომ ეს წარმოდგენაში კი არა, სინამდვილეში ხდებოდა.

ოცდაცამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ჩემს კალამს არ უჭირს, ზუსტად აღნეროს ის, რასაც იმ წუთებში განვიცდიდი.

... არა, ჟიურის წევრებს არაფერს დავუშავებ, მაგრამ პროკურორის მოადგილე? აჰა! მისი გაშვება არ შეიძლება! მისთვის დიუმასეული მზა რეცეპტი მაქვს: ვიმოქმედებ ისე, როგორც „გრაფ მონტე კრისტოშია“, როცა არამზადას სარდაფში შიმშილით კლავენ.

კი, ამ მაგისტრმა პასუხი უნდა აგოს. სვავი პოლენისა და „ძაღლების“ შემდეგ ის ყველაზე სასტიკ სასჯელს იმსახურებს. სადმე ვილას დავიქირავებ. მას ღრმა სარდაფი, სქელი კედლები და სქელი კარი უნდა ჰქონდეს. კარი თუ საკმაოდ სქელი არ იქნება, მე თვითონ დავგმანავ ძენძებით და ლეიბებით. როცა ვილას გავამზადებ, მოვძებნი მაგისტრსა და დავატყვევებ – ვილაში მივიყვან და კედელში წინასწარ მომზადებულ რგოლებზე მივაჯაჭვავ. აბა, მაშინ დადგება ჩემი დრო!

აი, დახუჭული ქუთუთოებიდან ცხადად ვხედავ, რომ მის პირისპირ ვდგავარ.

დიახ, ისევე ვუყურებ, როგორც ის მიყურებდა სასამართლოს დროს. იმდენად ახლოს ვარ, რომ სახეზე მისი სუნთქვის სითბოს ვგრძნობ. ფარნის კაშკაშა შუქზე დაფეთებული იყურება სვავის თვალებით, დამანჭულ სახეზე მსხვილი ოფლის წვეთები ჩამოსდის. მკაფიოდ მესმის ჩემი შეკითხვები და მისი პასუხები:

„გახსოვარ, არამზადავ? ეს მე ვარ, პაპიონი, ასე ერთი ხელის მოსმით რომ გაგზავნე სამუდამო კატორღაში. განა ღირდა ახალგაზრდობის ამდენი წლები შეგეწირა, ამდენი ღამეები გეთენებინა, რათა რომაული კანონები, ლათინური და ბერძნული ენები გესწავლა? რომ დიდად განსწავლული და ორატორი გამხდარიყავი? რის მიღწევას ფიქრობდი, ნაბოზარო? ახალი და კარგი სოციალური კანონების შექმნა გსურდა? გინდოდა, დაგერწმუნებინა მასები, რომ მშვიდობა ყველაზე უკეთესი რამ არის ამქვეყნად? ცდილობდი, რომელიმე მშვენიერი ფილოსოფია გექადაგა და შენი საუნივერსიტეტო მომზადებით გავლენა მოგეხდინა სხვა ადამიანებზე, რომ ისინი უფრო უკეთესები გამხდარიყვნენ და ბოროტება დაეგმოთ? მითხარი, შენი ცოდნა ადამიანთა გადასარჩენად გამოიყენე თუ მათ დასაღუპავად?

არაფერი ამდაგვარი! შენ მხოლოდ ერთი მისწრაფება გქონდა – რაც შეიძლება მაღლა ასულიყავი კარიერის აყროლებულ კიბეებზე. დიდება შენთვის კატორღისა და გილიოტინების ჯალათების განთქმულ მომმარაგებლად ყოფნაა.

დეიბლერს ცოტა მადლიერების გრძნობაც რომ ჰქონოდა, ყოველი წლის ბოლოს საუკეთესო შამპანურს გამოგიგზავნიდა. განა შენი დამსახურება არ არის, ღორის შვილო, რომ მან ამ წელს ხუთი თუ ექვსი თავით მეტი გააგორა? ასე თუ ისე, ახლა ამ კედელზე მყავხარ მაგრად მიჯაჭვული. თვალწინ მიდგას შენი მაშინდელი ღიმილი და გამარჯვებული კაცის იერი, როცა შენი საბრალმდებლო სიტყვის შემდეგ განაჩენს მიკითხავდნენ. თითქოს გუშინ იყო, თუმცა წლებია გასული. რამდენი წელი გავიდა? ათი? ოცი? თუმცა, რა მემართება? როგორ – ათი ან ოცი?! მოისინჯე სხეული, პაპიონ, შენ ღონიერი ხარ, ახალგაზრდა და სტომაქში ხუთი ათას ექვსასი ფრანკი გიდევს. ორი წელი – დიახ, ვფიცავ, ორ წელზე მეტს არ დავრჩები კატორღაში!

აბა, აბა! სიტყვაუხვი ხდები, პაპიონ! ამ საკნის სიჩუმემ შეიძლება, კაცი გაგიჟებამდე მიიყვანოს. სიგარეტიც გამითავდა, უკანასკნელი გუშინ მოვწიე. საკანში ვიელი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმის დასანახავად, რაც უნდა მოხდეს, თვალებზე ცხვირსახოცის დადება მაინც არ დამჭირდება. ასე ჯობია. ვდგები. საკანს ორი მეტრი სიგრძე აქვს – ესე იგი, კარიდან კედლამდე ხუთი მოკლე ნაბიჯია. ხელებს ზურგს უკან ვიწყობ და სიარულს ვიწყებ:

„მაშ ასე, როგორც ვამბობდი, ისევ ეხედავ გამარჯვებული კაცის ღიმილს შენს სახეზე. კარგია, ამ ღიმილს მანჭვად გადაგიქცევ. შენ ჩემთან შედარებით ერთი უპირატესობა გაქვს: შეგიძლია, იყვირო. მაშინ მე ეს არ შემეძლო. იყვირე, იყმუვლე, რამდენიც გინდა და როგორ ხმაზეც გინდა. რას გიპირებ?! დიუმას რეცეპტის გამოყენებასა და შიმშილით ჩაძაღლებას! არა, ეს ცოტაა! ჯერ თვალებს ამოგჩიჩქნი. აჰ, შენ ტრიუმფატორის გამომეტყველებას იღებ? ფიქრობ, რომ, თუ თვალებს ამოგთხრი, ის უპირატესობა მაინც გექნება, რომ მეტად ველარ დამინახავ, ხოლო მე ველარ გავიხარებ შენი თვალების გამომეტყველების ცქერით?! მართალი ხარ, თვალები არ უნდა ამოგთხარო, ყოველ შემთხვევაში – არა დასა-

წყისში. ამას მოგვიანებით გავაკეთებ.

ჯერ ენას ამოგჭრი, დანასავით, არა, სამართებელივით ბასრ, ბრწყინვალე კარიერაზე შერყვნილ ენას; სწორედ იმ ენას, რომელიც ცოლს, შვილებსა და საყვარელს ტკბილ სიტყვებს ეუბნება. საყვარელი ქალი – შენ?! არა, შენ უფრო კაცი გეყოლება საყვარელი, რადგანაც მხოლოდ პასიური პედერასტი შეიძლება იყო. არ ვცდები, ჯერ ენა უნდა ამოგგლიჯო, რადგანაც ტვინის შემდეგ სწორედ ის არის შენი ზრახვების შემსრულებელი. სწორედ იმიტომ, რომ ასე კარგად იცი მისი ხმარება; შეძელი, დაგერწმუნებინა ნაფიც მსაჯულთა ჟიური, რომ ყველა კითხვაზე „დიახ" ეპასუხათ. მისი წყალობით, შენ „ძაღლები" წმინდანებად და საკუთარ მოვალეობაზე გადამკვდარ ადამიანებად შარმოაჩინე, მოწმეთა უსუსურ ჩვენებებს სიცოცხლე შესძინე და „ყველის თორმეტ ნაჭერს" ჩემი თავი პარიზის ყველაზე საშიშ კაცად დაანახვე. ეგ ენა ასე ცბიერი, მოხერხებული და ფაქტების დამახინჯებაზე გაწვრთნილი რომ არ გქონოდა, მე ახლა ისევ პლას ბლანშზე, „გრან კაფეს" ტერასაზე ვიჯდებოდი და სხვა მხარეს აღარასოდეს გავიხედავდი. მოკლედ, გადაწყვეტილია: ენა უნდა ამოგგლიჯო. მაგრამ, რომელი იარაღით?"

ბოლთას ვცემ, თავბრუ მესხმის, მაგრამ მაინც მის პირისპირ ვრჩები... უეცრად შუქი ქრება და საკანში ფანჯარაზე აკრულ ფიცრებს შორის დარჩენილი ნაპრალებიდან დღის სუსტი სინათლე შემოდის. როგორ! უკვე დილაა? შურისძიებაში შემომთენებია. რა ბედნიერი წუთები განვიცადე! რა მოკლე გამოდგა ეს გრძელი ღამე!

საწოლზე ვჯდები და ვაყურადებ. სრული სიჩუმეა. დროდადრო ჩემს კარზე ჩუმი ტკაცუნი ისმის. ეს ყარაულია, რომელიც ფაჩუჩების წყალობით უხმაუროდ მოდის, სწევს ჩემს კარებზე პატარა აბრას და ჭუჭრუტანიდან მამოწმებს. მე მისი დანახვა არ შემიძლია.

საფრანგეთის რესპუბლიკის მიერ შობილი სასამართლო აღმასრულებელი მანქანა შესანიშნავად მუშაობს. ახლა ის მეორე ეტაპზეა. პირველზე მან მოიშორა ადამიანი, რომელსაც მისთვის პრობლემების შექმნა შეეძლო, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ახლა საჭიროა, ამ კაცს გაუფრთხილდნენ, რომ სიცოცხლე თვითმკვლელობით არ დაასრულოს, ეს არ უნდა მოხდეს! მერე რა ეშველება სასჯელთა აღმასრულებელი დაწესებულების ადმინისტრაციას, თუ პატიმრები არ ეყოლება?! კარგი დღე კი დაადგებათ! ამიტომაც, უნდა უყარაულონ და, რადაც უნდა დაუჯდეთ, კატორღაში გაგზავნონ, რათა სხვა ჩინოვნიკებს ცხოვრების საშუალება მიეცეთ. ჩუმი ტკაცანი კვლავ მეორდება. მელიმება:

„ნუ გეშინია, არარაობავ, არ გაგექცევი, ყოველ შემთხვევაში, იმ გზით არა, რომლისაც გეშინია – თავს არ მოვიკლავ. მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს: ჯანმრთელობა შევინარჩუნო და, რაც შეიძლება, მალე წავიდე საფრანგეთის კაიენაში, რაკი ღმერთმა ინება და ამ არამზადებმა იქ გამაგზავნეს. ვიცი, ჩემი საკნის დარაჯო, რომ ამ „ძაღლების" გვერდით შენ ანგელოზი ხარ. ჩემთვის დიდი ხანია, ცნობილია, რომ, როცა ნაპოლეონმა კატორღა დააარსა და ჰკითხეს, ვინ უყარაულებს ამ ბანდიტებსო, უპასუხა: „მათზე უარესი ბანდიტები". მომავალი დამარწმუნებს, – რომ კატორღის დამაარსებელი მართალი იყო.

რაკუნით იღება კარზე გისოსი და ყავას 750 გრამ პურთან ერთად მაწვდიან – რაკი უკვე მისჯილი მაქვს, სასადილოში წასვლის უფლება ჩამომერთვა, მაგრამ

შემიძლია, სიგარეტი და ზოგიერთი სურსათი ვიყიდო. კიდევ რამდენიმე დღე და – ესეც აღარ იქნება. კონსიერჟერია მხოლოდ პროლოგია. სიამოვნებით ვაბოლებ „ლაკი სტრაიკს" – ორი კოლოფი ვიყიდე, თითო 6,60 ფრანკად. ჯიბის ფულს ვხარჯავ – ვიცი, სასამართლოს ხარჯების ასანაზღაურებლად მაინც წამართმევენ. დეგა პურში ჩადებული ბარათით მატყობინებს, რომ დეზინფექციაზე წავიდე: „ასანთის კოლოფში სამი ტილია", – წერია პაწაწინა ქაღალდზე. ასანთის კოლოფს ვიღებ და შიგ მართლაც მსხვილ, ჯანმრთელ ტილებს ეპოულობ. ვიცი, ეს რასაც ნიშნავს: ყარაულს უნდა ვაჩვენო და ხვალ იგი მთელი ჩემი ავლადიდებით, ლეიბის ჩათვლით, ორთქლის ოთახში გამაგზავნის პარაზიტების დასახოცავად.

მართლაც, მეორე დღეს დეგას ვხვდები. ორთქლის ოთახში მეთვალყურეები არ არიან. მარტო ვართ.

– გმადლობ, დეგა, შენი წყალობით „ქისა" მივიღე.

– არ გიშლის?

– არა.

– ყოველთვის, როცა საპირფარეშოში წახვალ, კარგად გარეცხე, სანამ თავის ადგილას დააბრუნებდე.

– კარგი. ვფიქრობ, მჭიდროდ იკეტება, რადგანაც უკვე შვიდი დღეა, რაც ვატარებ და ბანკნოტებს არაფერი შეტყობია.

– ესე იგი, კარგია.

– რას აპირებ, დეგა?

– თავი უნდა მოვიგიჟიანო, კატორღაში წამოსვლა არ შემიძლია. აქ, საფრანგეთში, შეიძლება, ათ წელიწადს ვიჯდე – ხალხი მყავს და იმედი მაქვს, მინიმუმ ხუთი წელი ჩამოვიკლო.

– რამდენი წლის ხარ?

– ორმოცდაორის.

– გაგიჟდი? თხუთმეტიდან ათს თუ მოიხდი, ციხიდან ბებერი გამოხვალ. კატორღაში წამოსვლის გეშინია?

– კი, კატორღის მეშინია. არ მცხვენია ამას რომ ვამბობ, პაპიონ. იცი? გვიანა – ეს საშინელებაა, იქ ყოველწლიურად პატიმართა ოთხმოცი პროცენტი იღუპება. თითო ეტაპში ათას რვაასიდან ორი ათასამდე კაცია. კეთრს თუ არა, ყვითელ ციებას, დიზენტერიას, ტუბერკულოზს ან მალარიას აიკიდებ. ყველაფერ ამას თუ გადაურჩები, დიდი ალბათობაა, რომ „ქისის" გამო მოგკლან, ან გაქცევის დროს დაილუპო. დამიჯერე, პაპიონ, ამას იმიტომ კი არ გეუბნები, რომ გული გაგიტეხო, არამედ, ვიცნობ რამდენიმე კატორღელს, რომლებიც იქიდან მოკლევადიანი სასჯელების – ხუთი ან შვიდი წლის მოხდის შემდეგ დაბრუნდნენ და ვიცი, რასაც ვამბობ. წელიწადში რვა თვეს საავადმყოფოში ატარებენ. რაც შეეხება გექცევას, მათი თქმით, არც ისე ადვილია, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ.

– მჯერა შენი, დეგა, მაგრამ ჩემი თავის უფრო მჯერა და დამერწმუნე, იქ დიდხანს არ გავჩერდები. მე მეზღვაური ვარ, ვიცნობ ზღვას და, დარწმუნებული იყავი, გაქცევას მალე მოვახერხებ. ნარმოგიდგენია შენი თავი ათ წელიწადს გამომწყვდეული? ხუთს თუ ჩამოგიკლებენ, რაც საეჭვოა, გგონია, რომ გაუძლებ სრულ იზოლაციას და არ გაგიჟდები? მე ამას ნათლად წარმოვიდგენ, რადგან დღეს საკანში მარტო ვარ, უწიგნოდ და გამოუსვლელად. ყოველი დღის ოცდაოთხი

საათი სამოც წუთზე კი არ უნდა გაამრავლო, არამედ ექვსასზე და მაინც ძალიან შორს იქნები ჭეშმარიტებისგან.

– შეიძლება, ეს ასეა, მაგრამ შენ ახალგაზრდა ხარ, მე კი უკვე ორმოცდაორი წელი შემისრულდა.

– მომისმინე, დეგა: გულახდილად მითხარი, ყველაზე მეტად რისა გეშინია, სხვა კატორღელებისა ხომ არა?

– გულახდილად რომ ვთქვა, პაპი, ყველამ იცის, რომ მილიონერი ვარ. აქედან გამომდინარე, მეშინია, რომ მალე მომკლავენ, რადგან ეგონებათ, ორმოცდაათი ან ასი ათასი მაინც მექნება თან.

– მომისმინე: გინდა, ხელშეკრულება გავაფორმოთ? შენ დამიფიცე, რომ სისულელეებს არ ჩაიდენ და მე დაგპირდები, რომ ყოველთვის შენ გეერდით ვიქნები. ერთმანეთს მხარში ამოვუდგებით. მე ღონიერი და სწრაფი ვარ. ჩხუბი ჯერ კიდევ პატარაობისას ვისწავლე და დანის ხმარებაც კარგად ვიცი. მოკლედ, სხვა კატორღელებისა ნუ გეშინია. გპირდები, პატივისცემაზე მეტად შიში ექნებათ ჩვენი. გაქცევისთვის არავინ გვჭირდება – მაყუთი ორივეს გვაქვს; კომპასის დახმარებით გემის მართვა შემიძლია, – მეტი რაღა გინდა?“

თვალებში მიყურებს. ერთმანეთს ვეხვევით. ხელშეკრულება გაფორმებულია.

რამდენიმე ხნის შემდეგ კარი იღება. საკუთარი ბარგი-ბარხანით ის თავისი გზით მიდის, მე კი ჩემს საკანში ვბრუნდები. ჩვენ ერთმანეთისაგან შორიშორს არ ვართ და შესაძლებლობა გვექნება, დრო-დადრო დალაქთან, ექიმთან ან საკვირაო წირვაზე შევხვდეთ.

დეგა ეროვნული თავდაცვის ფონდის ბონების გავცელების გამო ჩავარდა. ერთი ვიღაც ბონებს ორიგინალურად აყალბებდა – 500-იან კუპიურებს შესანიშნავი სიზუსტით აქცევდა 10 000-იან კუპიურებად. რაკი ქაღალდი იგივე იყო, ბანკებსა და საქმოსნებს ეჭვი არაფერში შეპქონდათ. ასე გრძელდებოდა რამდენიმე წელიწადს და პოლიციის საფინანსო განყოფილებამ მანამ არ იცოდა, რომელი ქვისთვის ეხალა თავი, სანამ ვინმე ბრიულეს პირდაპირ დანაშაულზე არ წაასწრეს. ლუი დეგა კი ამ დროს არხეინად უძღვებოდა საკუთარ ბარს მარსელში, რომელშიც ყოველ ღამით სამხრეთის საზოგადოების ნაღები იკრიბებოდა და სადაც ამ ქვეყნის ყველაზე უფრო მანკიერი მოგზაურები პაემანს უნიშნავდნენ ერთმანეთს.

1929 წელს იგი უკვე მილიონერია. ერთ ღამეს კი ბარში ვიღაც ახალგაზრდა, ლამაზი, კარგად ჩაცმული ქალი შედის და ლუი დეგას კითხულობს.

– მე ვარ მადამ, რა გნებავთ? შებრძანდით, გეთაყვა, აი იმ ოთახში.

– მე ბრიულეს ცოლი ვარ. ის პარიზის ციხეში ყალბი ბონების გაერცელებისთვის ზის. „სანტეში“ პაემნის დროს თქვენი ბარის მისამართი მომცა და მითხრა, მოესულიყავი და ოცი ათასი ფრანკი მეთხოვა ადვოკატის დასაქირავებლად.

დამფრთხალმა იმით, რომ ეს ქალი საქმის კურსშია, ბონების შესახებ, დეგა მხოლოდ ასეთ საბედისწერო პასუხს პოულობს:

– ქალბატონო, მე თქვენს ქმარს არ ვიცნობ და ფული თუ გნებავთ, წადით და იბოზეთ. საჭიროზე მეტს იშოვით, რადგან ტან-ფეხი არ გაკლიათ.

საბრალო, თავზარდაცემული ქალი ტირილით გარბის და ამ სცენას ქმარს უყვება. აღშფოთებული ბრიულე მეორე დღესვე ყველაფერს ფქვავს გამომძიებელთან და ხელს ადებს დეგას, როგორც ყალბი ბონებით მომმარაგებელს. დეგას

საფრანგეთის ყველაზე დახელოვნებული პოლიციელები ჩაუდგნენ კვალში და, ერთი თვის შემდეგ, ყალბისმქმნელი, გრავიორი და თერთმეტი თანამონაწილე, საფრანგეთის სხვადასხვა ადგილას ერთდროულად დააკავეს. პროცესი სენის სასამართლოში თოთხმეტ დღეს მიმდინარეობდა და თითოეულს გამოჩენილი ვექილი იცავდა. ბრიულემ ჩვენება არ შეცვალა და ოცი ათასი უბადრუკი ფრანკისა და იდიოტური სიტყვისათვის დეგამ თხუთმეტი წლის კატორღული სამუშაოები გაირტყა. აი, ასეთ კაცთან დავდე სიკვდილ-სიცოცხლის პაქტი.

მეტრი უბერტი ჩემს სანახავად მოვიდა. მის სიტყვებს დიდად არ გავუმხნევებივარ, სასაყვედურო არაფერი მაქვს.

...ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, – ნახევარბრუნი... ერთი, ორი სამი, ოთხი, ხუთი – ნახევარბრუნი. აი, უკვე რამდენიმე საათია, საკნის ფანჯრიდან კარამდე მივდი-მოვდივარ. ვეწევი. თავს მხნედ და გაწონასწორებულად ვგრძნობ. ყველაფრისათვის მზად ვარ. გადაწყვეტილი მაქვს, შურისძიებაზე ჯერჯერობით არ ვიფიქრო.

პროკურორი დავტოვოთ, როგორც არის – კედელზე მიჯაჭვული – მანამდე, სანამ გადავწყვეტ, როგორ ჩავაძაღლო.

უეცრად საშინელი, გამყინავი კივილი აღწევს საკანში. საიდან მოდის? რა არის? თითქოს კაცს აწამებენო, მაგრამ აქ ხომ პოლიციის საგამომძიებლო განყოფილება არ არის? არავითარი საშუალება იმისა, გავიგო, რა ხდება. ამ ღამეულმა ხმამ ამაფორიაქა. რაოდენ ძლიერი უნდა ყოფილიყო ის, რომ ამ სქელ, დაბამბულ კარში შემოეღწია! იქნებ ვინმე გიჟია? აქ გაგიჟდება სულაც არ არის ძნელი. საკუთარ თავს ხმამაღლა ვეუბნები: „პაპიონ, შეიძლება შენც ამ დღეში ჩავარდე, ნურაფერზე იფიქრებ, შენსა და დეგას გარდა!" ადგილზე ვაკეთებ ბუქნს, მერე მკერდზე მუშტს ვირტყამ – მეტკინა, ესე იგი ყველაფერი წესრიგშია, ჩემი მკლავის კუნთებს ძალა არ დაუკარგავს; არც ფეხებს, რადგან უკვე თექვსმეტი საათი იქნება, დადიხარ და დაღლილობის ნიშანწყალიც არ გეტყობა. მოსალოცად გაქვს საქმე.

ჩინელებმა წყლის წვეთით წამება გამოიგონეს: წვეთი მონოტონურად და ხანგრძლივი დროს განმავლობაში განსასჯელს თავზე, ერთსა და იმავე წერტილში ეცემა და ადამიანი სიგიჟემდე მიჰყავს. ფრანგები ამას სიჩუმით აკეთებენ – გიკრძალავენ გართობის ყოველგვარ საშუალებას, წიგნი იქნება ეს, ქაღალდი, თუ ფანქარი. გისოსებიანი ფანჯრები მთლიანად ფიცრებითაა დაფარული და მხოლოდ რამდენიმე ჭუჭრუტანა ატარებს ბუნდოვან სინათლეს.

ამ გულში ჩამწვდომმა ხმამ ისე ამაღელვა, რომ გალიაში გამომწყვდეული მხეცივით ვწრიალებ. თავი ყველასგან მიტოვებული, ცოცხლად დამარხული მგონია. ასეც არის. ჩემამდე მხოლოდ კივილი თუ მოაღწევს.

კარი იღება. ვიღაც ბებერი მღვდელი შემოდის. „არა, შენ მარტო არ ხარ, აგერ, წინ მღვდელი გიდგას," – ვეუბნები საკუთარ თავს.

– საღამო მშვიდობისა, შვილო ჩემო! მაპატიე, რომ აქამდე ვერ მოვახერხე მოსვლა – შვებულებაში ვიყავი. როგორ ხარ? – სანდომიანი მოხუცი მღვდელი ცერემონიების გარეშე შემოდის საკანში და ჩემს ნარზე ჯდება, – სადაური ხარ?

– არდეშელი.

– მშობლები გყავს?

– დედა მომიკვდა, როცა თერთმეტი წლის ვიყავი. მამაჩემი მზრდიდა.

– რა ხელობის კაცია?
– მასწავლებელი იყო.
– ცოცხალია?
– დიახ.
– თუ ცოცხალია, ნარსულში რატომ ლაპარაკობ?
– იმიტომ, რომ, ის თუ ცოცხალია, მე მკვდარი ვარ.
– ოჰ, ამას ნუ იტყვი! რა ჩაიდინე?

ვფიქრობ, სასაცილო იქნება იმის თქმა, რომ უდანაშაულო ვარ. ამიტომ ვპასუხობ:

– პოლიცია ამბობს, რომ მე კაცი მოვკალი და, რაკი ის ამას ამტკიცებს, ეტყობა, მართალია.
– კომერსანტი იყო?
– არა, სტუდენიორი.
– და ამის გულისათვის მოგისაჯეს სამუდამო კატორღა? არ მესმის. მკვლელობა იყო?
– არა, შემომაკვდა.
– დაუჯერებელი ამბავია. რითი შემიძლია, დაგეხმარო? მოდი, ერთად ვილოცოთ.
– ბატონო მღვდელო, მაპატიეთ, არავითარი რელიგიური განათლება არ მიმიღია და ამიტომ ლოცვა არ ვიცი.
– არა უშავს, შვილო, შენ მაგივრად მე ვილოცებ. მაღალ ღმერთს თავისი ყველა შვილი ერთნაირად უყვარს, მონათლულია ის, თუ არა. გაიმეორე ჩემთან ერთად, რასაც მე ვიტყვი, კარგი?

მისი სახე და თვალები ისეთ სითბოსა და სიკეთეს აფრქვევს, რომ მრცხვენია, უარი ვუთხრა. იგი იჩოქებს და მეც მას ვბაძავ:

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა..."

თვალებზე ცრემლი მადგება. ამის დანახვაზე, ეს კეთილი ადამიანი თითით ჩემი ლოყიდან იღებს ცრემლს, ტუჩებთან მიაქვს და ისრუტავს.

– შვილო, შენი ცრემლი ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარია, იგი ღმერთმა შენში გავლით გამომიგზავნა, – მერე დგება და შუბლზე მკოცნის.

ისევ გვერდიგვერდ საწოლზე ვსხდებით:

– რამდენი ხანი გავიდა, რაც არ გიტირია?
– თოთხმეტი წელია მას შემდეგ გასული.
– რატომ თოთხმეტი?
– ბოლოს დედაჩემის სიკვდილის დღეს ვიტირე.

მღვდელი ჩემს ხელს თავისაში იქცევს და მეუბნება:

– მიუტევე მათ, ვინც ამდენი ტანჯვა მოგაყენა.

ხელს ვგლეჯ და უნებურად ერთი ნახტომით საკნის შუაგულში ვჩნდები:

– ეს არასოდეს მოხდება! არასოდეს! გნებავთ, ერთი რამ გაგიმხილოთ, მამაო? კარგი, გეტყვით: ყოველდღე, ყოველ ღამე, ყოველ საათს, ყოველ წუთს, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, თუ როდის, როგორ და რა მეთოდებით დავხოცავ ყველა იმ ადამიანს, ვისი წყალობითაც ახლა აქ ვარ!
– ამას ახლა ამბობ და გჯერა კიდეც, შვილო. ჯერ ახალგაზრდა ხარ, ძალიან

ახალგაზრდა. ასაკთან ერთად შურისძიებასა და სასჯელზე უარს იტყვი.

ოცდათოთხმეტი წლის შემდეგ მეც უკვე მასავით ვფიქრობ.

– რა შემიძლია შენთვის მოვიმოქმედო? – მიმეორებს მღვდელი.

– დანაშაული ჩაიდინეთ, მამაო!

– რა დანაშაული?

– მიდით ოცდამეჩვიდმეტე საკანში და დეგას უთხარით, რომ ადვოკატის მეშვეობით კაენის ცენტრალში გაგზავნა მოითხოვოს. გადაეცით, რომ მე ეს დღეს უკვე გავაკეთე. აუცილებელია,. რაც შეიძლება, მალე მოუხვედეთ რომელიმე განმანაწილებელ ცენტრში, სადაც გვიანაში გასაგზავნი ეტაპი ფორმირდება. აჩქარებაა საჭირო, რადგან, თუ პირველ გემს ჩამორჩი, მეორეს ორ წელიწადს საკანში უნდა ელოდო. დეგას რომ ნახავთ, აქ დაბრუნდით.

– როგორ, რა მოვიმიზეზო?

– მაგალითად, ვითომ აქ ლოცვანი დაგრჩათ. პასუხი უნდა შევიტყო.

– რატომ ჩქარობ ისეთ საშინელ ადგილას მოხვედრის, როგორიც კატორღაა?

ვუყურებ ამ მღვდელს, ღმერთის ჭეშმარიტ მოციქულს, ვრწმუნდები, რომ არ გამყიდის და ვეუბნები:

– იმიტომ, რომ, რაც შეიძლება მალე გავიქცე, მამაო.

– ღმერთი იყოს შენი შემწე, შვილო ჩემო. ეჭვი არ მეპარება, ცხოვრების წესს შეიცვლი. შენ კეთილი ადამიანის თვალები და კეთილშობილი სული გაქვს. მივდივარ ოცდამეჩვიდმეტეში, პასუხს დაელოდე.

მალე ბრუნდება: დეგა თანახმაა.

მღვდელმა ლოცვანი მეორე დღემდე დამიტოვა.

ამ წმიდა კაცის წყალობით ჩემში მზის სხივი შემოიჭრა. თუკი ღმერთი არსებობს, რატომ ხუჭავს თვალებს დედამიწაზე ერთმანეთისაგან განსხვავებული ადამიანების არსებობაზე? – პროკურორი, პოლიციელები, პოლენი და მათ გვერდით – კონსიერჟერიის მღვდელი!

ამ წმიდა კაცის სტუმრობამ სულიერად გამამხნევა და დიდი სამასახურიც გამიწია.

ჩემი და დეგას თხოვნებზე პასუხებმა არ დააყოვნეს: ერთი კვირის შემდეგ, დილის ოთხ საათზე, შვიდი კაცი კონსიერჟერიას დერეფანში ჩაგვამწკრივეს. „ძაღლებიც“ ბლომად არიან.

– გაშიშვლდით!

ნელ-ნელა ვიხდით. სიცივისაგან ეკალი მაყრის.

– ტანსაცმელი წინ დაილაგეთ! ნახევარბრუნი, ნაბიჯი უკან! – ჩვენ წინ ფუთებია, – ჩაიცვით!

ჩემი ძველი სამოსი ტილოს პერანგით, ქურთუკითა და უხეში შალის შარვლით იცვლება. ფესაცმელები უჩინარდება და მათ ნაცვლად ქოშებში ვყოფ ფეხებს. აქამდე ნორმალური ადამიანის იერი გექონდა, ახლა კი... ვუყურებ დანარჩენ ექვსს და გული მისკდება: რა საშინელებაა! აქ მთავრდება თითოეულის ინდივიდუალობა – ორ წუთში კატორღელებად გადავიქეცით!

– მარჯვნისააა-კენ! ერთ რიგად იარ! – ოციოდე დარაჯის თანხლებით ეზოში გავდივართ. აქ ერთიმეორის მიყოლებით გისოსებიან მანქანაში შევყავართ და მივემგზავრებით ბოლიესაკენ – ასე ჰქვია განმანაწილებელს.

კაენის- განმანაწილებელი.

მისვლისთანავე უფროსის კაბინეტში შევყავართ. იგი ემპირიული სტილის მაგიდის უკან ერთ მეტრზე ამაღლებულ ესტრადაზე ზის.

– სმენა! უფროსს მოუსმინეთ! მსჯავრდებულებო, აქ დროებით, კატორღაში გამგზავრებამდე დარჩებით. გევალებათ სრული სიჩუმის დაცვა. არ ელოდოთ არავითარ წერილებსა და პაემნებს. ან შეეგუებით ამას, ან – დაიღუპებით. აქედან ორი კარი გადის: ერთს, თუ კარგად მოიქცევით, კატორღაში მიყავხართ, მეორეს – სასაფლაოზე. ურჩები დაისჯებიან სამოცდღიანი დილეგით პურისა და წყლის ამარა. ორჯერ დილეგში ჩაგდება ჯერ არავის გადაუტანია. გამგებმა გაიგოს.

მერე ესპანეთის მიერ გადმოცემულ პიერო ლე ფუს ეკითხება:

– გარეთ რა ხელობას მისდევდით?

– ტორეადორი ვიყავი, ბატონო უფროსო!

ამ პასუხით აღშფოთებული უფროსი ყვირის:

– მომაშორეთ ეს კაცი! დაბეგვეთ!

ორ წამში ტორეადორს ოთხი თუ ხუთი კაცი დაბლა აგდებს, ხელკეტებით სცემს და მიათრევს. ისმის ყვირილი: „ბოზებო, ხუთი ერთზე ჯოხებით მოდიხართ, არამზადებო?“ – მერე ამას მოსდევს სასიკვდილოდ დაჭრილი მხეცის „აააჰ!“ – და ყველაფერი წყნარდება. მხოლოდ ცემენტის იატაკზე რაღაცის თრევის ხმა ისმის.

ამ სცენის შემდეგ თუ ვერაფერი გაიგე, ვერასოდეს ვერაფერს მიხვდები. დეგა ჩემ გვერდითაა. იგი თითით შარვალზე მეხება. ვხვდები, რისი თქმაც უნდა: „ჭკუით მოიქეცი, თუ გინდა, რომ კატორღაში ცოცხალი ჩახვიდე.“

ათი წუთის შემდეგ თითოეული ჩვენგანი (პიერო ლე ფუს გარდა, რომელიც დილეგში ჩააგდეს) განმანაწილებლის დისციპლინარული ნაწილის საკნებში ვართ.

განგებამ ინება და დეგა ჩემს მეზობელ საკანში მოხვდა. მანამდე ერთი ორმეტრიანი, მწითური, ბრუციანი ურჩხული წარმოგვიდგინეს, რომელსაც მარცხენა ხელში ხარის ძარღვის შოლტი უჭირავს. ეს მამასახლისია – პატიმარი, რომელიც დარაჯების მითითებით ჯალათის ფუნქციებს ასრულებს. იგი ტუსაღების რისხვაა. მისი წყალობით ზედამხედველებს შეუძლიათ, ისე გაჯოხონ და გაამათრახონ პატიმარი, რომ არ დაიღალონ და თუ შემოაკვდებათ, ადმინისტრაციის წინაშე არავითარი პასუხისმგებლობა არ ჰქონდეთ.

შემდგომში, სამედიცინო პუნქტში ხანმოკლე ყოფნის დროს, ამ ადამიანი-ცხოველის ისტორია მოვისმინე (ცენტრალის უფროსს მისალოცად აქვს საქმე, ასე შესანიშნავად რომ შეურჩევია ჯალათი): ეს კაცი ხელობით ქვისმთლელი ყოფილა და ჩრდილოეთის რომელიღაც პატარა ქალაქში ექვსსართულიანი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა. ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, ცოლთან ერთად თავი მოეკლა. როდესაც ცოლმა დაიძინა, გვერდით მიუწვა, დიდი დინამიტი თავებს შორის ჩადო და სიგარეტით ფითილს მოუკიდა. საშინელ აფეთქებას საშინელი შედეგი მოჰყვა: ცოლისგან მხოლოდ ნაფლეთები დარჩა, შენობა ნაწილობრივ ჩამოინგრა და სამი ბავშვი და ერთი მოხუცი იმსხვერპლა. დანარჩენი მაცხოვრებლები მეტ-ნაკლებად დაშავდნენ, თავად ტრიბუიარმა კი მარცხენა ყური დაკარგა, მარცხენა ხელზე ნეკი თითი და ცერის ნაწილი შერჩა, ხოლო თავზე ტრეპანაცია დასჭირდა. დაპატიმრების დღიდან ამ ცენტრალის ჯალათია. იგი ნახევრად გიჟია და მის ხელში ჩავარდნას სიკვდილი სჯობს.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი – ნახევარწრე... ერთი, ორი სამი ოთხი, ხუთი, – ნახავარწრე... – საკნის უკანა კედლიდან კარებამდე დაუსრულებელი მიმოსვლა გრძელდება.

დღისით დაწოლის უფლება არ გვაქვს. დილის ხუთ საათზე გამგმირავი სასტვენის ხმა გვაღვიძებს. უნდა ადგე, საწოლი გაასწორო, დაიბანო და საკანში იარო, ან კედელზე მიკრულ ტაბურეტზე იჯდე. დღისით დაწოლის აკრძალვა სადამსჯელო სისტემის დახვეწილობის მწვერვალია. საწოლი კედელზე აკეცილი უნდა იყოს, რომ პატიმარმა წამოგორება არ მოინდომოს და მისი თვალთვალიც გაადვილდეს.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... – თოთხმეტი საათის გაუთავებელი სიარული... თუ გსურს, ავტომატიზმამდე დახვიდე, უნდა მიეჩვიო თავის დაღუნვას, ხელების ზურგს უკან დაწყობას, ერთნაირი ზომის ნაბიჯების გადადგმას და საკნის ერთ ბოლოში მარცხენა ფეხზე, ხოლო მეორეში – მარჯვენაზე შემოტრიალებას.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... საკნები აქ უფრო კარგად არის განათებული, ვიდრე კონსიერჟერიაში და, ამას გარდა, გარედან ხმებიც აღწევს. ღამით გლეხების სტვენა მესმის, რომლებიც, ალბათ სიდრით შეზერხოშებულები, სახლებში ბრუნდებიან.

საშობაო საჩუქარი მივიღე: ფანჯრებზე აკრულ ფიცრებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანიდან მთვარით განათებულ, თოვლით გადათეთრებულ ველს და რამდენიმე დიდ, შავ ხეს ვხედავ. თითქოს საშობაო საფოსტო მარკააო. ხეები ქარზე თავს იბერტყავენ და ახლა უკეთესად ჩანან თეთრ ფონზე. დღეს ყველასთვის შობაა, თვით ციხეშიც კი. დროებით აქ ჩამწყვდეული კატორღელებისათვის ადმინისტრაციამ სიკეთე გამოიჩინა და უფლება მოგვცა, ორ-ორი ფილა შოკოლადი ვიყიდოთ. ფილა-მეთქი, ვამბობ, თორემ ორი აბი უფროა, – ასე „დავიბერე" თავი ამ შობის ღამეს.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... სასამართლო სისტემამ მე ქანქანად მაქცია. საკანში წინ და უკან სიარული მთელი ჩემი სამყაროა – აქ ყველაფერი მათემატიკური სიზუსტით არის გათვლილი. არაფერი, აბსოლუტურად არაფერი არ უნდა იყოს საკანში, განსაკუთრებით – თუ ეს გასართობია. ვინმემ რომ გამომიჭიროს, ნახვრეტიდან ყურებისათვის სასტიკ სასჯელს ავიკიდებ.

ვერც გაამტყუნებ, მე ხომ მათთვის ცოცხალი მკვდარი ვარ! რა უფლება მაქვს, ბუნების ცქერით დავტკბე!

პეპელა მოფრინდა. ის ღია ლურჯი ფერისაა და პატარა შავი ხაზები აქვს. მასთან ახლოს, ფანჯრის წინ, ფუტკარი ზუზუნებს. რა უნდათ ამათ აქ? ზამთრის მზემ ხომ არ გააბრუათ? იქნებ, სცივათ და ციხეში შემოღწევას ლამობენ? როგორ არ მოკვდა ზამთრის სიცივეში, ან რამ გააცოცხლა პეპელა? ან ფუტკარს რამ დაატოვებინა სკა? რამ გააბედვინათ აქ მოსვლა? კიდევ კარგი, ჯალათს ფრთები არა აქვს, თორემ ცოცხალი ვერ გადაურჩებოდნენ!

ეს ტრიბუიარი საშინელი ვინმეა და ვგრძნობ, რომ მასთან რამე შემემთხვევა. სამწუხაროდ, არ შევმცდარვარ. ამ ორი მშვენიერი მწერის ვიზიტიდან მეორე დღეს თავს ვიავადმყოფებ, რადგან სიმარტოვე მახრჩობს, ვინმეს სახის დანახვა ან ხმის გაგონება მჭირდება – არა აქვს მნიშვნელობა – ვისი. გაყინულ დერეფანში ექიმთან მოხვედრის რიგში ვდგავარ, კედლისაკენ პირშექცეული, მთლად შიშველი. რიგში რვა კაცია. ხალხის დანახვა მინდოდა და, აი, სურვილიც ავისრულე:

ჯალათმა მაშინ მოგვატანა, როცა ჟულოს – „ჩაქუჩის კაცს“ ვეჩურჩულებოდი. ამ მწითური ველურის ქმედება საშინელი აღმოჩნდა: უკანიდან თავში ისეთ მუშტს მთავაზობს, რომ სანახევროდ ვიკეცები და, რაკი არ ველოდი, ცხვირს კედელს ვახლი და სისხლს შედრევანივით ვასხამ. წელში ვიმართები და თან ვცდილობ, აზრზე მოვიდე. პროტესტის გამოხატვას ვაპირებ. ისიც, ეტყობა, ამას ელის: მუცელში წიხლს მირტყამს, ისევ დაბლა მაგდებს და ხარის ძარღვით ჩემს დამუშავებას იწყებს. ჟულო ვეღარ ითმენს და ზურგზე ახტება. ზედამხედველები მათ ჩხუბს უყურებენ და მე ყურადღებას აღარ მაქცევენ. ვდგები და ირგვლივ რაიმე იარაღს ვეძებ. მოულოდნელად, ვამჩნევ სავარძლიდან გადმოხრილ ექიმს, რომელსაც აინტერესებს, რა ხდება დერეფანში და ქვაბს, საიდანაც ორთქლი ამოდის. ნახშირის ღუმელი, ეტყობა, ექიმის ოთახის გასათბობადაა, ხოლო ქვაბიდან ამომავალი ორთქლი – ჰაერს წმენდს. სწრაფად ვიღებ ქვაბს ყურებით, ყურადღებას არ ვაქცევ, რომ ხელები მეწვება და მთელ მდუღარე წყალს სახეში ვასხამ ჯალათს, რომელიც ჟულოსთან ანგარიშსწორებით ისეა გართული, რომ მე მივავიწყდი. საშინლად ღრიალებს, იატაკზე გორავს და ცდილობს, შალის სამი საცვალი ერთიმეორის მიყოლებით გაიძროს. მესამე საცვალსა და ჯვალოს კანის ნაწილიც მიჰყვება. ის ერთი თვალიც დაევსო და ველარაფერს ხედავს. დასისხლიანებული და გატყავებული, როგორც იქნა, ფეხზე დგება და ამ დროს ჟულო ლაჯებშუა წიხლს ურტყამს. იგი კლავ ეცემა და რწყევასა და დორბლების ყრას იწყებს. რასაც ეძებდა, იპოვა კიდეც, ჩვენ დასაკარგავი არაფერი გვაქვს.

იქ დამსწრე ორი ზედამხედველი ჩვენთან მოახლოებას ვერ ბედავს და დამხმარე ძალას უძახის. ყოველი მხრიდან გვესევიან და ხელჯოხებს გვირტყამენ. ჩემს ბედზე, გონებას და, მასთან ერთად ტკივილის შეგრძნებასაც მალე ვკარგავ.

გონს მთლად შიშველი, ორი სართულით დაბლა, წყლით გაჟღენთილ დილეგში მოვდივარ. ხელით სხეულს ვისინჯავ. თავზე თორმეტი თუ თხუთმეტი კოპი მაზის. რომელი საათი იქნება? აქ დღეს ღამისაგან ვერ გაარჩევ. კედელზე შორიდან მომავალი კაკუნის ხმა მესმის.

„კაკ-კუკ, კაკ-კუკ, კაკ-კუკ!..“ – ეს „ტელეფონის“ „ზარია“. თუ შეტყობინების მიღება მინდა, პასუხად ორჯერ უნდა დავაკაკუნო კედელზე. რითი დავაკაკუნო? ამ სიბნელეში ვერაფერს ვარჩევ. მუშტით შეუძლებელია, ხმა არ გავა. იმ მხარეს მივდივარ, საითაც ნაკლები სიშავეა და კარი უნდა იყოს. გისოსებს ვაწყდები. ისინი აქამდე არ შემიმჩნევია. დილეგის კარი ამ გისოსებს იქით ერთ მეტრზეა, რისი წყალობითაც, როცა ვინმე საშიშ პატიმართან შედის, საფრთხე არ ემუქრება: მას შეუძლია, ყოველგვარი შეურაცხყოფა მიაყენოს, საჭმელი მიუგდოს ისე, რომ არ შეეხოს, მაგრამ, ერთი უპირატესობა მაინც არის – ცემა არ შეუძლია.

კაკუნი პერიოდულად მეორდება. ვინ იქნება? ვინც არ უნდა იყოს, თავს საფრთხეში იგდებს და აუცილებელია, პასუხი გავცე. ფეხს რაღაც მაგარს ვადგამ და კინაღამ კისერს ვიტეხ. ხის კოვზია. სწრაფად ვიღებ და კედელზე ყურმიდებული საპასუხოდ ვემზადები.

კაკ-კუკ კაკ-კუკ!.. სდექ, კაკ-კუკ! მე ვპასუხობ: კაკ-კუკ. ამ ორ დარტყმაზე ის მიხვდება, რომ მისაღებად მზად ვარ. გადმოცემა იწყება: ტუკ, ტუკ, ტუკ... კაკუნი ანბანის ასოებად ეწყობა: ა,ბ,გ,დ,ე,ვ,ზ,თ,ი,კ,ლ,მ,ნ,ო,პ, სდექ! „პ“-ზე ჩერდება. ძლიერად ვურტყამ: ტუკ! ის მიხვდება, რომ ასო „პ“ დავაფიქსირე. მერე მოდის „ა“,

მერე – „პ“, მერე – „ი“და ასე შემდეგ. იგი მატყობინებს: „პაპი, როგორ ხარ. მაგრად მოგხვდა? მე ხელი მაქვს მოტეხილი.“ ეს ჟულოა. ორი საათის განმავლობაში ასე ველაპარაკებით ერთმანეთს. იმაზე არც ვფიქრობთ, რომ შეიძლება გამოგვიჭირონ. ვატყობინებ, რომ მოტეხილი არაფერი მაქვს, მხოლოდ თავი მაქვს კოპებით სავსე. ჟულოს დავუნახავევარ, როგორ ჩამათრიეს დაბლა. მეუბნება, ყოველ საფეხურს თავს ურტყამდიო. თვითონ გრძნობა არ დაუკარგავს. მისი აზრით, ტრიბუიარმა მძიმე დამწვრობა მიიღო, ხოლო შალის ტანსაცმელმა თავისი საქმე გააკეთა. ახია!

სამი სწრაფი დარტყმა საფრთხის მოახლოებას მატყობინებს. ვჩერდები. მართლაც, ცოტა ხანში კარი იღება და ვიღაც მიყვირის:

– უკან დაიხიე, სალახანავ! დილეგის სიღრმეში გაუნძრევლად დადექი! – ეს ახალი ჯალათია, – მე ბატონი მქვია. ხომ ხედავ, სახელიც შესაფერისი მაქვს! – დიდი საზღვაო ფარნით ანათებს ჩემს საკანს, სადაც მთლად შიშველი ვარ.

– აიღე და ჩაიცვი. არ გაინძრე! აქ წყალი და პურია. ერთბაშად არ შეჭამო, თორემ ოცდაოთხი საათის განმავლობაში აღარაფერს მიიღებ და მშიერი დარჩები!

იგი ველურივით მიყვირის, მერე ფარანს სახის სიმაღლეზე სწევს და ვამჩნევ, რომ უბოროტოდ იღიმება. თითს ტუჩებზე იდებს და მაჩვენებს, სად დადო ტანსაცმელი. ალბათ, დერეფანში დარაჯია და ამგვარად უნდა, გამაგებინოს, რომ ჩემი მტერი არ არის.

მართლაც, პურის ნაჭერში მოხარშული ხორცის დიდ ნაჭერს, ხოლო შარვლის ჯიბეში – მთელ განძს: ერთ კოლოფ სიგარეტსა და სანთებელას ვპოულობ. ასეთი საჩუქარი აქ მილიონი ღირს. ტანსაცმელში ერთის მაგივრად ორი პერანგი და შალის საცვალია, რომელიც კოჭებამდე მწვდება. ამით ის ტრიბუიარის მოშორებისათვის მადლობას მიხდის. ჩემი წყალობით ის ახლა დიდი კაცია, დაწინაურებას მე მიმადლის და სამაგიეროსაც არ ივიწყებს.

კაკუნის ადგილის დასაფიქსირებლად დის მოთმინებაა საჭირო. ზარმაც ზედამხედველებს ამის გაკეთების შნო არა აქვთ. ერთადერთი, ჯალათს შეუძლია მოიკვლიოს. რაკი ბატონის მხრიდან საფრთხე არ გვემუქრება, მე და ჟულო მთელი დღის განმავლობაში „ტელეგრამებს“ ვუგზავნით ერთმანეთს. მისგან ვიგებ, რომ კატორღაში გამგზავრება სამ-ოთხ თვეში აუცილებლად მოგვიწევს – ეს გადაწყვეტილია.

მეორე დღეს მე და ჟულო დილეგიდან გამოვყავართ და ორ-ორი ბადრაგის თანხლებით დირექტორის კაბინეტში მივყავართ. იქ მაგიდასთან სამი პიროვნება ზის. ეს ერთგვარი ტრიბუნალია. განმანაწილებლის უფროსი თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს: მისი მოადგილე და დაცვის უფროსი კი ჟიურის წევრები არიან.

– ააა, აი, ჩემი ბიჭებიც მოვიდნენ! რას გვეტყვით?

ჟულოს სახეზე ფერი არა აქვს, თვალებიც დასიებია, ნამდვილად სიცხე აქვს. საშინლად უნდა ტანჯავდეს სამი დღის წინ მოტეხილი ხელი. „ხელი მაქვს მოტეხილი,“ – წყნარად ამბობს იგი:

– აბა რა გეგონათ? გინდოდათ, მოეტეხათ და მოგტეხეს კიდეც. მიხვდებით, როგორ უნდა ადამიანზე თავდასხმა. ალბათ ერთ კვირაში, როცა მოვა ექიმი, გაგსინჯავთ. იქნებ ამდენი ხნის ლოდინმა და ტკივილმა ჭკუა გასწავლოთ. იმედია,

არ ფიქრობთ, რომ თქვენისთანა ტიპებისათვის საგანგებოდ მოვაყვანინებ ექიმს. ასე რომ, დაელოდეთ. მოვა ცენტრალის ექიმი და გიმკურნალებთ. ეს მე სულაც არ მიშლის ხელს, რომ ახალ განკარგულებამდე დილეგში დარჩენა მოგისაჯოთ.

ჟულო პირდაპირ თვალებში მიყურებს, თითქოს მეუბნება: „რა ადვილად წყვეტს ეს გამოპრანჭული ტიპი სხვა ადამიანების ბედს".

დირექტორისკენ ვბრუნდები და ვუყურებ. მას პგონია, რომ რამის თქმა მინდა და მეკითხება:

– თქვენ, თქვენ რა, არ მოგწონთ ეს გადაწყვეტილება? რამე საწინააღმდეგოდ გაქვთ სათქმელი?

– სრულიად არაფერი, ბატონო დირექტორო! უბრალოდ, დიდი სურვილი მაქვს, შეგაფურთხოთ, მაგრამ მე ამას არ ვაკეთებ, რადგანაც მეშინია, ჩემი ნერწყვი არ დავაბინძურო!

გაოგნებული ყურებამდე წითლდება. მაშინვე ვერ ხვდება, რას ვეუბნები, მაგრამ დაცვის უფროსი არ იბნევა და ზედამხედველებს უყვირის:

– წაიყვანეთ და კარგად დაამუშავეთ! იმედი მაქვს, ერთ საათში მორჯულდება და მუხლის ჩოქვით მოეთრევა ბოდიშის მოსახდელად. ჩემს ფეხსაცმელებს ზემოდან და ქვემოდან ენით ავალოკვინებ. ოღონდ, არ შემოგაკვდეთ. თქვენი იმედი მაქვს.

მარცხნიდან და მარჯვნიდან მდგომი ორ-ორი კაცი იატაკს მანარცხებს, ხელებს ზურგს უკან ზემოთ მიტრიალებს და ერთი ხელის საჩვენებელ თითს მეორე ხელის ცერზე მიკრავს. დაცვის უფროსი მოდის, როგორც ნადირს, თმებში მკიდებს ხელს და თავს მიწევს.

ვერ აგიწერთ, რა მიქნეს. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თერთმეტი დღის განმავლობაში ზურგსუკან ამოტრიალებული ხელებზე ბორკილები მედო. ჩემს გადარჩენას ბატონს უნდა ვუმადლოდე – ყოველდღე მიგდებდა დილეგში პურს, თუმცა რადგან ხელები გაკრული მქონდა, ჭამას ვერ ვახერხებდი, გისოსებზე მივაჭყლეტდი ხოლმე, მაგრამ მაინც ვერ ვკბეჩდი. ისევ ბატონმა მიშველა: პურის ნაჭრებს ლუკმა-ლუკმა მიყრიდა, მე ფეხებით ვაგროვებდი, მერე ვნვებოდი და ძაღლივით ვჭამდი; ყოველ ნაჭერს გულმოდგინედ ვღეჭავდი, ნამცეცსაც არ ვტოვებდი.

მეთორმეტე დღეს, როცა ბორკილებს მხსნიდნენ, აღმოჩნდა, რომ ფოლადი ძვლამდე ჩასულიყო და ალაგ-ალაგ გაშავებული ხორცი შეზრდოდა. დაცვის უფროსს კინაღამ გული გაუსკდა, მით უფრო, რომ დაინახა, გული როგორ წამივიდა. როცა მომასულიერებს, სამედიცინო პუნქტში წამიყვანეს და წყალბადის ზეჟანგით მომბანეს. ექიმმა ჩემთვის ტეტანუსის საწინააღმდეგო აცრის ჩატარება მოითხოვა. ხელები ისე მქონდა აგრეხილი, რომ ნორმალურ მდგომარეობას ვეღარ დავუბრუნე. ნახევარი საათის შემდეგ, ქაფურის ზეთით დაზელის წყალობით შევძელი მათი ჩამოშვება.

დილეგში ვბრუნდები. დაცვის უფროსი პურის თერთმეტი ნაჭრის დანახვაზე მეუბნება:

– ახლა კარგად მოილხენ! უცნაურია, თერთმეტი დღის ნამარხულევს სულაც არ ჰგავხარ...

– ბევრ წყალს ვსვამდი, უფროსო.

– აა, თუ ასეა, გასაგებია. ახლა ბევრი ჭამე, რომ აინაზღაურო, – და მიდის.

საბრალო იდიოტი! ვიცი, დარწმუნებულია, რომ თერთმეტი დღის შიმშილობის შემდეგ პურს მივაძღები და მოუნელებლობისაგან მოვკვდები. ვერ მიართვეს!

საღამოს ბატონი თამბაქოსა და ქაღალდს მიგდებს. ვეწევი და ბოლს გათბობისათვის დატანებულ ნახვრეტში ვუშვებ, რომელიც, რა თქმა უნდა, არ მუშაობს და ეს სარგებლობა მაინც მოაქვს.

მოგვიანებით ჟულოს ვუკავშირდები. იმასაც ჰგონია, რომ თერთმეტი დღეა, არაფერი მიჭამია და მირჩევს, ცოტა ვჭამო. სიმართლეს არ ვეუბნები, ვერიდები, ვინმემ არ გაშიფროს ჩვენი ტელეგრამები. ჟულოს ხელი თაბაშირში აქვს, სულიერად არ გამტყდარა და გაღარჩენას მილოცავს. მისი თქმით, ჩვენი გაგზავნის დღე ახლოვდება. სანიტარს უთქვამს, რომ პატიმრების ასაცრელი ვაქცინები უკვე მოსულია. როგორც წესი, ისინი გამგზავრებამდე ერთი თვით ადრე მოაქვთ. იგი გაუფრთხილებლობას იჩენს და მეკითხება, „ქისა“ თუ გადაარჩინეო.

კი გადავარჩინე, მაგრამ ის, რაც ამისთვის დამჭირდა, ენით ვერ აღვწერ. ანუსში საშინელი ჭრილობები მაქვს.

სამი კვირის შემდეგ დილეგიდან გამოვყავართ. რაშია საქმე? აი, საოცრება: საპნითა და ცხელი წყლით გვაბანავებენ! თითქოს მეორედ დავიბადე. ჟულო ბავშვივით იცინის, ხოლო პიერო ლე ფუმ სიხარულისაგან არ იცის, რა ქნას.

რაკი დილეგში ვისხედით, მოვლენების კურსში არ ვართ. დალაქს ყურში ჩავჩურჩულე, რა ხდება მეთქი, მაგრამ არ მიპასუხა. ვიღაც უსახური უცნობი მეუბნება:

– მგონი, დილეგიდან იმიტომ გაგვათავისუფლეს, რომ ინსპექციას ელოდებიან. მთავარია, ცოცხლები გვნახონ.

თითოეული ჩვენგან ნორმალურ საკანში შეგვიყვანეს. შუადღეს, როცა ორმოცდასამი დღის შემდეგ პირველ თბილ სუპს ვხვრეპ, თეფშში ხის ნაჭერს ვპოულობ. ზედ აწერია: „რვა დღეში გასვლაა. ხვალ აგვცრიან.“

ვინ გამოაგზავნიდა?

ვერასოდეს გავიგებ. ალბათ, ვინმე ტუსაღმა გაგვაფრთხილა. „ქსივა“ ჩემთან შემთხვევით მოხვდა. იცოდა, რომ, თუ ერთი ჩვენგანი გაიგებდა, ყველას ეცოდინებოდა.

ამას მაშინვე ჟულოს ვატყობინებ: „გადაეცი“.

მთელი ღამე მესმოდა მისი კაკუნი. მე, რაკი ცნობა ერთხელ გადავეცი, გავჩერდი. ახალი შარი და დილეგში დაბრუნება ახლა ისე არ მჭირდება, როგორც არასდროს.

მეორე რვეული

კატორღისაკენ

სენ-მარტენ დე რე

საღამოს ბატონისაგან სამ კოლოფ „გალუაზსა“ და ბარათს ვიღებ: „პაპიონ, ვიცი, ჩემზე ცუდი მოგონებები არ წაგყვება. მე ჯალათი მქვია, მაგრამ შეძლებისდაგვარად ვცდილობ, პატიმრებს ტანჯვა შევუმსუბუქო. ამ სამუშაოზე იმიტომ დავთანხმდი, რომ მინდა, მალე გავიდე აქედან, იქნებ შემიწყალონ – სახლში ცხრა შვილი მელოდება. მშვიდობით, ღმერთი შენკენ! ხვალ მიდიხართ.“

მართლაც, მეორე დღეს საპატიმროს დერეფანში ოცდაათკაციან ჯგუფებად შეგვაგროვეს. კაენიდან მოსულმა ექიმებმა ტროპიკული ავადმყოფობების საწინააღმდეგოდ აგვცრეს და ორ-ორი ლიტრი რძე დაგვირიგეს. დეგაც აქაა. ჩაფიქრებულია. ახლა უკვე აღარ ვერიდებით ერთმანეთში ლაპარაკს, რადგან ვიცით, აცრის შემდეგ დილეგში ვეღარ ჩაგვყრიან. ზედამხედველები სამოქალაქო ექიმების თვალწინ ვერაფერს გვიბედავენ და ჩვენც ხმადაბლა ვსაუბრობთ.

– განა ექნებათ იმდენი ტრანსპორტი, რომ ერთბაშად გადაგვიყვანონ? – მეუბნება დეგა:

– არა მგონია.

– სენ-მარტენ დე რე საკმაოდ შორსაა. ჩვენ აქ ექვსასზე ნაკლები არ ვიქნებით და თუ დღეში სამოც კაცს წაიყვანენ, ეს ათ დღეს გაგრძელდება.

– გამაგრდი, დეგა, რაც მთავარია, აგვცრეს. ეს ნიშნავს, რომ კატორღაში გასაგზავნთა სიაში ვართ. მალე ჩვენი პატიმრობის მეორე ეტაპი დაინყება. გამაგრდი და მენდე, რადგან მეც გენდობი.

იგი თვალებგაბრწყინებული მიყურებს, მერე მხარზე ხელს მადებს და მეუბნება:

– სიკვდილამდე, პაპი.

ეტაპირების დროს ისეთი არაფერი მომხდარა, რომ აღნიშვნად ღირდეს, თუ არ ჩავთვლით საშინელ სიცხესა და უჰაერობას, რადგან ბადრაგი უარს ამბობდა ფანჯრის ან კარის ოდნავ შეღებაზეც კი. ლაროშელში მისვლისას ორი კაცი გაგუდული გადმოიღეს. ამას ნავსადგურში უსაქმურთა დიდი ბრბო უყურებდა. სენ-მარტენ დე რე კუნძულია და იქამდე მისასვლელად ნავში უნდა გადავმსხდარიყავით. რაკი ბადრაგს პატიმრები სათვალავით ჰქონდა ჩაბარებული, ის საბრალონიც ჩვენთან ერთად გადმოიტანეს ნავში.

ნავში დიდხანს არ მოგვიწია ყოფნა, რადგან პატარა მანძილი გვქონდა გადასაცური, მაგრამ ესეც საკმარისი იყო ჩვენთვის, რომ ხარბად გვესუნთქა ზღვის პაერი. დეგას მივუბრუნდი:

– დეგა, გაქცევის სუნი მცემს.

ეღიმება. უულოც იქვეა:

– კი, თავისუფლების სუნია, მე კი ისევ იქ ვბრუნდები, საიდანაც ხუთი წლის წინ ავითესე. სულელურად ჩავვარდი იმ დროს, როცა ჩემი ათი წლის წინანდელ ჩამშვებზე ჯავრი ამოყრას ვაპირებდი. ვეცადოთ, ერთმანეთის გვერდით ვიყოთ. სენ-

მარტენში ათ-ათკაციან შემთხვევით ჯგუფებად დაგვყოფენ და საკნებში შეგვყრიან.

ჟულო ტყუილად ფიქრობდა ასე. როგორც კი მივედით, მაშინვე გამოიძახეს და ორ სხვასთან ერთად დილეგში გაუშვეს. ის ორიც მასავით კატორღიდან გამოქცეული და შემდგომ საფრანგეთში დაკავებული დამნაშავე იყო.

ათკაციან საკნებში იწყება მოლოდინით ცხოვრება. კარგად გვაჭმევენ, ლაპარაკსა და მოწევას არავინ გვიშლის. ახლა მხოლოდ „ქისას“ უნდა გავუფრთხილდე: მოულოდნელად გვაშიშვლებენ, ყველა ნაკეთს გვისინჯავენ, თვით ფეხის გულებსაც კი, და კვლავ საკანში გვაბრუნებენ.

საკანი – სასადილო – ეზო, სადაც დიდხანს დავდივართ მწკრივში. „ერთი, ორი! ერთი, ორი! ერთი, ორი!..“ – ისმის ას ორმოცდაათი კაცის ქოშების გაუთავებელი კაკუნი. ამ დროს სრული სიჩუმის დაცვაა სავალდებულო. მერე მოსდევს ბრძანება: „დაიშალეთ!“ – და პატიმრები მაშინვე ჯგუფებად იყოფიან, ზოგიც მინაზე ჯდება. ჯგუფები კატეგორიების მიხედვით ყალიბდება: პირველ ჯგუფში დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტები. მათ წარმოშობას მნიშვნელობა არ აქვს: კორსიკელები, მარსელელები, ტულუზელები, ბრეტანელები, პარიზელები და ასე შემდეგ. ამათში ერთი არდეშელიც კი ურევია – ეს მე ვარ! არდეშს შეუძლია, იამაყოს: ამ ათას ცხრაასი კაციდან მხოლოდ ორნი ვართ იმ მხრიდან – მე და ერთი სოფლის პოლიციელი, რომელმაც ცოლი მოკლა. აქედან დასკვნა: არდეშელები პატიოსანი ხალხია. სხვა ჯგუფები ნარევი ხალხისაგან დგება, რომელთა შორის ბევრი „ვირთხაა“. ეს დღეები ლოდინისა და დაკვირვების დღეებია, იგრძნობა, რომ ყველა ერთმანეთს უთვალთვალებს.

ერთ ნაშუადღევს მზეს ვეფიცხები, როცა ვიღაც კაცი მიახლოვდება. ვცდილობ, მაგრამ ვერ ვიხსენებ ვინ არის, ან რას გამოიცნობ – ყველას ერთნაირად გვაცვია.

– ეს შენ ხარ პაპიონი? – მეკითხება მკვეთრი კორსიკული აქცენტით.

– კი, მე ვარ, რაშია საქმე?

– წამოდი საპირფარეშოში, – მეუბნება და მაშინვე მიდის.

– ეგ ვინმე კორსიკელი „ვირთხა“ იქნება. ალბათ, მთებში ყაჩაღობდა. ნეტავ შენგან რა უნდა უნდოდეს?

– ახლავე გავიგებ.

ტუალეტები ეზოს შუაგულშია. მივდივარ და კორსიკელის გვერდით ვდგები. ორივენი ოთხით მოთხოვნილებას ვიკმაყოფილებთ. თავს არ აბრუნებს, ისე მეუბნება:

– ნე პასკალ მატრას ბიძაშვილი ვარ. პაემნის დროს მითხრა, რომ, თუ გამიჭირდებოდა, შენთან მისი სახელით მოვსულიყავი.

– პასკალი ჩემი მეგობარია. რა გაგიჭირდა?

– ღიზენტერია შემხვდა და აღარ შემიძლია „ქისის“ ტარება. ვერავის ვერ ვანდობ, მეშინია, არ მომპარონ ან „ძაღლებმა“ არ მიპოვონ ჩხრეკისას. ძალიან გთხოვ, პაპიონ, ცოტა ხანს შემინახე.

მიჩვენებს „ქისას“. ჩემსაზე უფრო მსხვილია. ეყოყმანობ: შესაძლოა, ამგვარად უნდა, გაიგოს, მაქვს, თუ არა ფული. თუ ვეტყვი, ორის ტარებას ვერ შევძლებ-მეთქი, მისთვის ყველაფერი ნათელი გახდება. ცივად ვეკითხები:

– რამდენია შიგ?

– ოცდახუთი ათასი ფრანკი.

სიტყვის უთქმელად ვართმევ „ქისას“, რომელიც, სხვათა შორის, ძალიან სუფთაა

და იქვე, მის თვალწინ ვიტენი ანუსში. თავს ვეკითხები, შეუძლია, თუ არა ადამიანს ერთდროულად ორი „ქსია" ედოს მუცელში. ვდგები, შარვალს ვიკრავ... ყველაფერი რიგზეა, არ მიშლის.

– მე იგნასიო გალგანი მქვია, – მეუბნება წასვლისას, მადლობა, პაპიონ.

დეგასთან ვბრუნდები, გვერდზე გამყავს და ვეუბნები, რაც მოხდა.

– არ გამძიმებს?

– არა.

– მაშინ, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

ვცდილობთ, იმათ დავუკავშირდეთ, ვინც ერთხელ უკვე იყო კატორღაში – ჟულოს ან გიტუს. იქაური ამბების გაგება გვინდა: რა როგორ ხდება, როგორ გეპყრობიან, როგორ უნდა მოიქცე, რომ მეგობართან ერთად მოხვდე. განგებამ მოისურვა და ერთ უცნაურ ტიპს გადავაწყდით. იგი კორსიკელია და კატორღაშია დაბადებული. მამამისი იქ მეთვალყურედ მუშაობდა და ცოლთან ერთად ხსნის კუნძულებიდან ერთ-ერთზე – რუაიალზე ცხოვრობდა და ესეც იქ დაიბადა. იმ სამი კუნძულიდან დანარჩენ ორს – სენ-ჟოზეფი და დიაბლი ჰქვიათ. ბედისწერა მას როგორც დარაჯის შვილს კი არ აბრუნებდა უკან, არამედ როგორც კატორღელს.

ქურდობის გამო თორმეტი წელი აქვს მისჯილი. ცხრამეტი წლისაა და მიამიტი სახე და ნათელი, წმინდა თვალები აქვს. მე და დეგა მაშინვე ვხვდებით, რომ შემთხვევითობის მსხვერპლია. ქურდული სამყაროსი ცოტა რამ გაეგება და მისი ყოველი მონაყოლი იმის შესახებ, თუ რა გველის იქ, გამოგვადგება. გვიყვება, რომ თოთხმეტი წლის განმავლობაში კუნძულზე იზრდებოდა. მას ზრდიდა ერთი ცნობილი კატორღელი, რომელიც მონმარტრზე „ოქროსთმიანი გოგონას" ლამაზი თვალების გამო დანებით დუელის შემდეგ ჩავარდნილიყო. იგი ფასდაუდებელ რჩევებს გვაძლევს: კუნძულებიდან გაქცევა შეუძლებელია, ამიტომ დიდი მიწიდან უნდა სცადო. საშიშ პირთა სიაში არ უნდა მოხვდე, რადგან ასეთებს დანიშნულების პორტში – სენ-ლორან დიუ მარონიში მისვლისთანავე სამუდამოდ ან დროებით ამწყვდევენ. საერთოდ, კატორღელთა ორმოცდაათი პროცენტი კუნძულებზე იგზავნება, დანარჩენებს კი დიდ მიწაზე ტოვებენ. კუნძულებზე ჯანმრთელი ჰავაა. რაც შეეხება კონტინენტს, იქ ყოფნა საშინელებაა – ის ნელ-ნელა სპობს კატორღელს ათასგვარი ავადმყოფობებით, მკვლელობებითა თუ სხვა „საშუალებებით".

მე და დეგა ვიმედოვნებთ, რომ კუნძულებზე არ გაგვაგზავნიან, თუმცა ამის გაფიქრებაზე ყელში ბურთი მაწვება: საშიში პატიმრების სიაში რომ აღმოვჩნდე? ჩემი სამუდამო პატიმრობით, ტრიბუიარისა და ცენტრალის უფროსთან მომხდარი ისტორიებით, ადვილი შესაძლებელია, ასე იყოს.

ერთ დღეს ხმა გავარდა, სამედიცინო პუნქტში არავითარ შემთხვევაში არ წახვიდეთ, რადგან, სუსტებსა და ავადმყოფებს, ვინც შესაძლოა, ზღვაზე მგზავრობა, ვერ გადაიტანონ, წამლავენ და კლავენო. ეს ჭორი უნდა იყოს. მართლაც, ერთი პარიზელი – ფრენსის ლა პასი – გვეუბნება, რომ ტყუილია. ერთი მოწამვლისა და სიკვდილის შემთხვევა მართლაც იყო, მაგრამ გარდაცვლილის ძმამ, რომელიც სამედიცინო პუნქტში მსახურობს, მოუყვა, თუ რა მოხდა სინამდვილეში:

გარდაცვლილი სეიფების დიდი სპეციალისტი ყოფილა. ომის დროს საფრანგეთის სპეციალური სამსახურების დავალებით ჟენევასა თუ ლოზანაში გერმანიის საელჩოს შენობაში შეუღწევია და სეიფიდან ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტები მოუპარავს.

სანაცვლოდ იგი ციხიდან გაუთავისუფლებიათ, სადაც ხუთწლიან სასჯელს იხდიდა. 1920 წლიდან მოყოლებული, წელინადში ერთი ან ორი „საქმით“ მშვიდად ცხოვრობდა. ყოველთვის, როცა არ გაუმართლებდა და ჩავარდებოდა, სპეცსამსახურებს შანტაჟს უწყობდა და ისინიც საჩქაროდ ჩაერეოდნენ ხოლმე. ბოლო ჩავარდნისას ამ მეთოდმა აღარ გაჭრა: დაიჭირეს და ოცი წელი მიარჭვეს. კატორღაში ჩვენთან ერთად მოდიოდა. ავადმყოფობა მოიმიზეზა და მედპუნტქში მივიდა. როგორც ფრენსის ლა პასმა თქვა, ციანმჟავას თავისი საქმე მალე გაუკეთებია. რკინის სეიფებსა და მეორე ბიუროს თანამშრომლებს ახლა შეუძლიათ, მშვიდად იძინონ.

ამ ეზოში ათასგვარ ამბებს ყვებიან, რომლისგან ზოგი – მართალია, ზოგი – ტყუილი, მაგრამ ჩვენ ყველას ვუსმენთ და დრო ასე გაგვყავს.

როცა ტუალეტში მივდივარ, ეზოში იქნება ეს თუ საკანში, დეგაც თან მომყვება. სანამ მე „ქისებს“ ვიღებ და საქმეს ვაკეთებ, იგი წინ მიდგას და ცნობისმოყვარე თვალებისაგან მიცავს. მე ისევ ორი „ქისა“ მაქვს და მათი გამოღება და შედება მთელი ისტორიაა, მაგრამ ერთი უცნაური რამ ხდება: პირველად შედებული „ქისა“ უკან ყოველთვის პირველი გამოდის. როგორ იცვლიან ადგილებს მუცელში – ვერ გამიგია.

გუშინ საპარიკმახეროში კლუზიოს მოკვლა სცადეს – პარსვის დროს ორჯერ ჩაარტყეს კისერში დანა. სასწაულმა გადაარჩინა. ეს ამბავი მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა მიამბო. ძალიან საინტერესოა და ოდესმე თქვენც მოგიყვებით. ვიღაცას მისთვის სამაგიეროს გადახდა უნდოდა. ის „ვიღაც“ ექვსი წლის შემდეგ კაიენაში ოსპის სუპში ჩაყრილი ბიქრომატის ფხვნილით მოიწამლება და მოკვდება – ენით აუწერელ ტანჯვაში ამოხდება სული. სანიტარმა, რომელიც ექიმს გვამის გაკვეთაში ეხმარებოდა, ათიოდე სანტიმეტრის სიგრძის ნაწლავის ნაგლეჯი მოგვიტანა და გვაჩვენა – ჩვიდმეტ ადგილას იყო გახვრეტილი. ორი თვის შემდეგ მისი მომწამვლელიც ყელგამოჭრილი იპოვეს საწოლზე, მაგრამ ვერავინ გაიგო, ვინ მოკლა.

უკვე თორმეტი დღეა, რაც სენ-მარტენ დე რეში ვართ. ციხეში ნემსი არ ჩავარდება. დღისით და ღამით მთელი ტერიტორია დარაჯებით არის სავსე.

ერთ დღეს საშხაპეებში ორ ძმას შორის ჩხუბი ატყდა. ისინი ძაღლებივით დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთს და მერე ერთ-ერთი მათგანი ჩვენს საკანში შემოაგდეს. მას ანდრე ბაიარი ჰქვია. ჩხუბისათვის არ დასაჯეს, რადგან ადმინისტრაცია იყო დამნაშავე: დარაჯებს ბრძანება ჰქონდათ მიღებული, არავითარ შემთხვევაში ძმები ერთმანეთისათვის არ შეეხვედრებინათ. მათი ისტორია რომ მოვისმინე, ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა:

ანდრემ ერთი მდიდარი რანტიე ქალი მოკლა და ნადავლი ძმას – ემილს მიაბარა დასამალად. ცოტა ხანში ემილი ქურდობაზე ჩავარდა და სამი წელი მიესაჯა. ერთ დღეს დილეგში მოხვდა და, რაკი ძმაზე გაბრაზებული იყო – სიგარეტის ფულს რატომ არ მიგზავნისო – მოხსნა გუდას პირი და სხვა პატიმრებს ყველაფერი უამბო. თან დაიქადნა, როცა გავალ, ანდრეს არაფერს არ მივცემ, რადგან მოხუცი ქალის მკვლელი ის არის, მე მხოლოდ ნადავლს ვმალავდიო. ერთმა პატიმარმა ეს ამბავი ციხის უფროსს აცნობა. იმანაც არ დააყოვნა: მალე ანდრე ძმას მიუსვეს გვერდით და ორივეს სიკვდილი მიუსაჯეს. „სანტეში“, სიკვდილმისჯილთა იზოლატორში, მათი საკნები გვერდიგვერდ იყო. ორივემ გაგზავნა შეწყალებაზე თხოვნა. ორმოცდამესამე დღეს ემილს შეუცვალეს განაჩენი, ანდრეს კი უარი უთხრეს. მიუხედავად

ამისა, ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ემილი ისევ იმ საკანში დატოვეს და ორივე ძმა ერთად გამოჰყავდათ სასეირნოდ ფეხებზე ბორკილდადებული.

ორმოცდამეექვსე დღეს, დილის ხუთის ნახევარზე, ანდრეს საკნის კარები იღება. ყველა აქ არის: ციხის უფროსი, სასამართლოს აღმასრულებელი და პროკურორი, რომელმაც სასამართლოზე მისი სიკვდილით დასჯა მოითხოვა. ანდრესთვის ყველაფერი ნათელი ხდება, მაგრამ იმ დროს, როცა ციხის უფროსი სიტყვის თქმას აპირებს, მისი ადვოკატი ვიღაც უცნობის თანხლებით მორბის, პროკურორს რაღაც ქაღალდს გადასცემს და ყველა დერეფანში გადის. ანდრეს ისე აქვს კრიჭა შეკრული, რომ ნერწყვს ვერ ყლაპავს: შეუძლებელია! აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ უკვე დაწყებული სასჯელის აღსრულება ვინმეს შეეჩერებინოს. მიუხედავად ამისა, ეს ხდება. მხოლოდ მეორე დღეს, მრავალი ტანჯვით სავსე საათის გასვლის შემდეგ, ადვოკატისაგან იგებს, რომ სასჯელის აღსრულების წინა დღეს გორგულოვმა პრეზიდენტი სასიკვდილოდ დაჭრა. დომე მაშინვე არ მომკვდარა. ადვოკატს კლინიკასთან მთელი ღამის განმავლობაში ჰყავდა ხალხი დაყენებული. მანამდე კი, სადაც საჭირო იყო, განაცხადა, რომ, თუ პრეზიდენტი ანდრეს დასჯამდე მოკვდებოდა (დილის ხუთის ნახევრიდან ხუთამდე), იგი განაჩენის აღსრულების გადავადებას მოითხოვდა უმაღლესი აღმასრულებლის თანამდებობის ვაკანსიის გამო. დომე ხუთის ორ წუთზე მოკვდა. ადვოკატმა დრო მხოლოდ იმაში დაკარგა, რომ კანცელარია გაეფრთხილებინა, განკარგულებების დამტარებელთან ერთად ტაქსიში ჩამხტარიყო და ციხეში მისულიყო. მან მხოლოდ სამი წუთი დააგვიანა, რომ ანდრეს საკნის კარების გაღებისათვის ხელი შეეშალა. მერე ძმების განაჩენი გადასინჯეს და ორივეს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, რადგან ალბერტ ლებრენის პრეზიდენტად არჩევის დღეს ადვოკატი ვერსალში გამოცხადდა, შეწყალების თხოვნა წარადგინა და მიზანს მიაღწია – არასდროს არც ერთ პრეზიდენტს პირველ შეწყალებაზე უარი არ უთქვამს.

– ლებრენმა შეწყალებას ხელი მოაწერა და აი, მეც, თქვენთან ერთად, საფრანგეთის გვიანისაკენ მიმავალ გზაზე ვარ, – დაასრულა თხრობა ანდრემ. ვუყურებ ამ კაცს, ვინც სასწაულად გადაურჩა გილიოტინას და მეჩვენება, რომ ჩემი ისტორია არაფერია იმასთან, რაც მან გადაიტანა.

მიუხედავად ამისა, შემდგომში მასთან ურთიერთობას ყოველთვის ვერიდებოდი. იმის გაფიქრებაც კი, რომ საბრალო მოხუცი ქალი გაქურდვის მიზნით მოკლა, გულს მირევდა. ასე, თუ ისე, ბედი ჰქონია.

მოგვიანებით, სენ-ჟოზეფის კუნძულზე, იგი მაინც იძიებს შურს. რამდენიმე კატორღელი დაინახავს, თუ როგორ კრა გრძელი ბამბუკის ჯოხი ზურგში ძმას, რომელიც ამ დროს კლდეზე იდგა და თევზაობით იყო გატაცებული. ტალღების ხმაურმა შეუშალა ხელი ემილს, ძმის მიახლოება გაეგო. ის ადგილი ზვიგენებით იყო სავსე და მათი ლუკმა გახდა. როცა შემოწმებაზე არ გამოცხადდა და ვერ იპოვეს, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ჩათვალეს. მერე მასზე აღარც ულაპარაკიათ. მხოლოდ ოთხმა თუ ხუთმა კატორღელმა, რომლებიც კუნძულის თავში ქოქოსის კაკლებს აგროვებდნენ, დაინახეს, რაც მოხდა. რა თქმა უნდა, კატორღელებს იქით ეს ამბავი არ გასულა და ანდრე ბაიარიც არასდროს დაუკითხავთ. შემდგომში მას „კარგი ქცევისათვის" მკაცრი სასჯელი მოუხსნეს და სენ-ლორან დიუ მარონოში გადაიყვანეს, სადაც უპირატესი რეჟიმით სარგებლობდა. ერთ დღესაც, კატორღელი, ვისთანაც რაღაც ისტორიები ჰქონდა, საკანში შეიტყუა და გულში დანა გაუყარა, რაც, ტრი-

ბუნალმა აუცილებელ მოგერიებად ჩაუთვალა და გაამართლა. კატორღის გაუქმების შემდეგ კი ისევ „კარგი ყოფაქცევისათვის" შეინყალეს.

სენ-მარტენ დე რე ათასი ჯურის პატიმრით არის გატენილი. ორი მკვეთრად გამოკვეთილი კატეგორიაა: ცხრაასი თუ ათასი პატიმარი და შვიდასამდე ინტერნირებული. კატორღა რომ მოგისაჯონ, რამე დიდი დანაშაული უნდა გქონდეს ჩადენილი. ყველაზე ნაკლები სასჯელი – შვიდი წლით იძულებითი სამუშაოებია, რაც საფეხურებად იზრდება სამუდამო პატიმრობამდე. შეწყალებული სიკვდილმისჯილი ავტომატურად სამუდამო პატიმრობის კატეგორიაში გადადის. სამიდან შვიდი სასჯელის ჩადენის შემთხვევაში, შეიძლება ინტერნირებული გახდე. მართალია, ამ კატეგორიაში ძირითადად გამოუსწორებელი ქურდები ხვდებიან და, გასაგებია, რომ საზოგადოებამ მათგან თავი უნდა დაიცვას, მაგრამ, რაც იყოს, ცივილიზებული ერისათვის სამარცხვინოა, ინტერნირების ამგვარი ფორმა ჰქონდეს. მათ შორის არიან ხელმოცარული ქურდბაცაცები, რომლებიც ხშირად ვარდებიან. ბევრ მათგანს სიცოცხლეში ათი ათასი ფრანკიც არ მოუპარავს, ნამდვილად ქურდული არაფერი გაუკეთებია და მაინც ინტერნირებული ხდება (ასეთები ჩემთან ერთად, როგორც სამუდამო პატიმრობამისჯილები, ისე მოდიოდნენ) – ამაშია ყველაზე დიდი ნონსენსი საფრანგეთის ცივილიზაციისა. არც ერთ ერს არა აქვს უფლება, ამგვარად მოიშოროს ის ადამიანები, ვინც პრობლემას უქმნის. მათ აღზრდა სჭირდებათ და არა ასე არაადამიანურად დასჯა.

უკვე ჩვიდმეტი დღეა, რაც სენ-მარტენ დე რეში ვართ. გავიგეთ ჩვენი გემის სახელი – მას „ლა მარტინიერი" ჰქვია. მან ათას რვაას სამოცდაათი მსჯავრდებული უნდა ჩაიყვანოს გადასახლებაში. რვაასი თუ ცხრაასი კატორღელი ციხესიმაგრის ეზოში შეგვკრიბეს და ათ-ათ კაცად კვადრატებად დაგვანყვეს. დაახლოებით ერთ საათს ვდგავართ ასე, მერე ერთ-ერთი კარები იღება და უცნობი ადამიანები შემოდიან. მათ ჩვენი დარაჯებისგან განსხვავებული იერი აქვთ – მეზღვაურის ყაიდაზე შეკერილი ღია ცისფერი ტანსაცმელი აცვიათ. ასეთს აქ არც ჟანდარმები ატარებენ და არც ჯარისკაცები. თითოეულს ფართო ქამარზე რევოლვერის ბუდე ჰკიდია, საიდანაც იარაღის ტარი მოჩანს. დაახლოებით ოთხმოცი კაცია. ზოგს ეპოლეტებიც აკერია. ყველა მზისაგან არის გარუჯული. სხვადასხვა ასაკის იქნებიან – ოცდათხუთმეტიდან ორმოცდაათ წლამდე. ის, ვისაც ასაკი ეტყობა, უფრო მიმზიდველად მეჩვენება, ვიდრე ახალგაზრდები, რომლებიც ღრმად ისუნთქავენ ჯანსაღ ჰაერს. ამ ხალხს მოჰყვება ციხის უფროსი, ვიღაც ჟანდარმერიის პოლკოვნიკი, სამი თუ ოთხი კოლონიალურ ფორმაში გამოწყობილი სანიტარი და ორი მღვდელი თეთრ ანაფორაში. ჟანდარმერიის ოფიცერი ხელში მეგაფონს იღებს და ტუჩებთან მიაქვს. გვგონია, „სმენაზე" დგომის ბრძანებას გასცემს, მაგრამ ვცდებით. იგი ყვირის:

– ყურადღებით მომისმინეთ! ამ წუთიდან თქვენ იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა განკარგულებაში გადადიხართ. აი, ეს ადამიანები წარმოადგენენ სასჯელთა აღმასრულებელ დაწესებულებას საფრანგეთის გვიანაში, რომლის ცენტრია ქალაქი კაიენა. ბატონო კომენდანტო ბარო, გაბარებთ თქვენ წინ მყოფ რვაას თექვსმეტ მსჯავრდებულს, გთხოვთ, შეამოწმოთ, ყველა ადგილზეა თუ არა.

სიის ამოკითხვა ორ საათს გრძელდება. არავინ აკლია. მერე ხდება ხელმოწერების გაცვლა ორ ადმინისტრაციას შორის.

კომენდანტ ბაროს იმდენივე გალონი აქვს, რამდენიც ჟანდარმერიის ოფიცერს,

ოლონდ, ოქროსფერი და არა ვერცხლისფერი. იგი მეგაფონს იღებს:

– დღეიდან თქვენ მოიხსენებით, როგორც „ეტაპირებულები“, მოგენიჭებათ შესაბამისი ნომრები და ამ წუთიდან კატორღის საგანგებო კანონებსა და ტრიბუნალს დაემორჩილებით. ეს ტრიბუნალი დამოუკიდებელია და უფლება აქვს, კატორღაში ჩადენილი რაიმე დანაშაულისათვის შესაბამისად გაგასამართლოთ და სიკვდილით დასჯაც კი მოგისაჯოთ. ყოველგვარი სასჯელი, უბრალო პატიმრობა იქნება ეს, თუ დილეგი, აღსრულდება ადმინისტრაციის კუთვნილ სხვადასხვა შენობაში. ეს ხალხი, ვინც მე მახლავს, იწოდებიან ზედამხედველებად. როდესაც გსურთ, მათ მიმართოთ, უნდა უთხრათ: „ბატონო ზედამხედველო“. სადილის შემდეგ თითოეული თქვენგანი საგზაო ჩანთით კატორღელის ტანსაცმელს მიიღებს. ყველაფერი გათვალისწინებულია – სხვა არაფერი დაგჭირდებათ. ხვალ „ლა მარტინიერზე“ ავალთ და ერთად გავემგზავრებით. სასონარკვეთას ნუ მიეცემით, აქ გამოკეტილში ყოფნას კატორღა ჯობია. იქ შეგიძლიათ, თავისუფლად ილაპარაკოთ, ითამაშოთ, იმღეროთ და მოწიოთ. თუ არაფერს დააშავებთ, კარგად მოგექცევიან. ჩემი თხოვნაა, ერთმანეთში მოსაგვარებელი საკითხები კატორღაში მისვლამდე გადადოთ. იმედი მაქვს, გესმით, რომ მგზავრობის დროს სრული წესრიგი უნდა იყოს. თუ ვინმე გრძნობს, რომ ზღვაზე მგზავრობას ვერ გადაიტანს, გთხოვთ, მიბრძანდეთ სამედიცინო პუნქტში, სადაც ამ ეტაპის ექიმები გაგსინჯავენ. კეთილ მგზავრობას გისურვებთ.

ამით ცერემონიალი მთავრდება.

– აბა, დეგა, რა აზრისა ხარ ყველაფერ ამაზე?

– ეჰ, პაპიონ, ვხედავ, რომ არ ვცდებოდი, როცა ვამბობდი, ყველაზე დიდ საფრთხეს თვით კატორღელებისაგან უნდა ველოდოთ-მეთქი. გაიხსენე, როგორ თქვა – ერთმანეთში მოსაგვარებელი საკითხები კატორღაში მისვლამდე გადადეთო. – ეს ბევრ რამეზე მიგვანიშნებს! მკვლელობა ბლომად უნდა ხდებოდეს!

– მაგის დარდი ნუ გექნება, მე მომენდე.

ფრენსის ლა პასს ვპოულობ და ვეუბნები:

– შანი ძმა ისევ სანიტარია?

– კი, კატორღელი არ არის, ინტერნირებულია.

– ეცადე, სასწრაფოდ მოძებნო და გადასცე, ყამა გვიშოვოს. თუ საჭიროა, გადავიხდი.

ორი საათის შემდეგ უკვე ფოლადის მაგარტარიანი ქირურგიული დანის მფლობელი ვარ. მისი ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ ცოტა დიდია.

შუა ეზოში, ტუალეტებთან ვხვდები. გალგანის მოსაყვანად კაცი გავგზავნე. მინდა, „ქისა“ დავუბრუნო. იგი არ ჩანს. თუმცა, ამ რვაასკაციან ეზოში კაცის პოვნა ადვილი არ არის. რაც აქ მოვედით, არც ჟულო, არც გიტუ და არც სუზინი არ გამოჩენილან.

ამ ყოფას ის უპირატესობა აქვს, რომ მარტო არ ხარ, ლაყაფის საშუალება გაქვს და საზოგადოებასთან ურთიერთობას არავინ გიშლის (თუ ამას საზოგადოება ჰქვია). იმდენი რამ არის გასაკეთებელი, სათქმელი და მოსასმენი, რომ ფიქრის დრო აღარ გრჩება. ვგრძნობ, როგორ ნელ-ნელა იშლება წარსული და მეორე პლანზე გადადის – მას ყოველდღიური ცხოვრება აფერმკრთალებს. ვფიქრობდი, კატორღაში რომ მივალ, მაშინვე უნდა დავივიწყო, ვინ ვიყავი და როგორ მოვხვდი აქ, მხოლოდ ერთ რამეზე უნდა ვიფიქრო – გავიქცე-მეთქი, მაგრამ ვცდებოდი. როგორც ჩანს, ყვე-

ლაზე ძნელი ცოცხლად დარჩენაა.

სად ყრიან ახლა ჩემი დამლუპველი „ძაღლები“, ნაფიცი მსაჯულები, მაგისტრები? სად არიან ჩემი ცოლი და მეგობრები? რა თქმა უნდა, ისინი კვლავ ჩემს გულში ცოცხლობენ, მაგრამ გამგზავრების ციებ-ცხელებამ და ახალმა ნაცნობებმა ისინი თითქოს გააუფერულა ჩემს გონებაში.

თუმცა ასე მხოლოდ მეჩვენება: როცა სურვილი მექნება, ჩემი ტვინი გახსნის იმ უჯრას, რომელშიც თითოეული მათგანია შენახული და კვლავ ცოცხლად წარმომიდგებიან.

გალგანი გამოჩნდა. იგი ჩემთან მოჰყავთ, რადგან, უზარმაზარი ლინზების მიუხედავად, თითქმის ვეღარ ხედავს. გამოჯანმრთელებული მეჩვენება. უსიტყვოდ მართმევს ხელს,

– გალგანი, „ქისა“ მინდა დაგიბრუნო. ახლა ჯანმრთელად ხარ და თვითონ შეძლებ მის ტარებას. ასეთი ხანგრძლივი მგზავრობის დროს არ მინდა, მასზე პასუხისმგებლობა ავიღო და, ამას გარდა, ვინ იცის, გემზე ან კატორღაში ერთად მოვხვდებით?! მოკლედ, ჯობია, დაიბრუნო.

გალგანი შეწუხებული სახით მიყურებს.

– შევიდეთ ტუალეტში, – ვეუბნები მე.

– არა, არ მინდა, მიჩუქნია, შენი იყოს.

– ამას რატომ მეუბნები?

– არ მინდა, ამის გამო ვიღაცამ მომკლას. მირჩევნია უფულოდ ვიცხოვრო, ვიდრე ვინმემ ჩამაძაღლოს. სულ შენი იყოს. მე უფლება არა მაქვს, მოგთხოვო, რომ ჩემთვის ატარო და თავი საფრთხეში ჩაიგდო.

– გეშინია, გალგანი? ვინმე ხომ არ დაგემუქრა? ანდა, იქნებ ვინმეს ეჭვი აქვს, რომ „დატვირთული“ ხარ და გითვალთვალებს?

– კი, სამი არაბი თვალს არ მაცილებს, გამუდმებით კუდში დამდევს. შენთან მოსვლას იმიტომ ვერიდებოდი, არ მინდოდა, გაეგოთ, რომ ერთმანეთს ვიცნობდით. ყოველთვის, როცა კი ტუალეტში მივდივარ, დღე იქნება, თუ ღამე, ერთ-ერთი მათგანი მომყვება და ჩემ წინ დგება. მე ისინი გარკვევით მივახვედრე, რომ „დატვირთული“ არა ვარ, მაგრამ არ მეშვებიან. ალბათ ეჭვობენ, რომ „ქისა“ სხვაზე მაქვს გაბარებული და ცდილობენ, გაიგონ, როდის დამიბრუნდება.

გალგანის აშკარად ეტყობა, რომ დაშინებულია.

– სად იკრიბებიან? – ვეკითხები მე. ის მპასუხობს, რომ სამზარეულოსა და სამრეცხაოსთან.

– კარგი, აქ იყავი, მე მალე მოვალ. თუმცა, ჯობია, წამომყვე.

ქუდიდან დანას ვიღებ და სახელოში ვმალავ, ტარით მიჭირავს. ისინი ოთხნი არიან: სამი არაბი და ერთი კორსიკელი, სახელად ჟირანდო. მაშინვე ვხვდები, რომ კორსიკელია ყველაფრის მოთავე. ალბათ, ის ადგილობრივებმა არ გაიკარეს, არაბებს შეეკრა და ეს საქმე მისცა. ეტყობა იცის, რომ გალგანი პასკალ მატრას სიძეა და არ შეიძლება, ფული არ ჰქონდეს.

– მოკრან, როგორ არის საქმე?

– კარგად, პაპიონ.

– არაბო, არა მგონია ყველაფერი კარგად იყოს. მოვედი გითხრათ, რომ გალგანი ჩემი მეგობარია. ამას რომ რამე მოუვიდეს, პირველად შენ გაგასაღებ, ჟირანდო,

მერე დანაჩენებს. როგორც გენებოთ, ისე გაიგეთ.

მოკრანი ბრაზდება ჩემს გამომწვევ ლაპარაკზე და ფეხზე დგება. იგი ჩემი სიმაღლისაა – მეტრი და ოთხმოცი – და ჩემსავით ჩასხმული. ვატყობ, ჩხუბის დაწყებას აპირებს. სწრაფად ვიღებ სიახლისაგან მბრწყინავ დანას და ვეუბნები:

– არ გაინძრე, თორემ ძაღლივით მოგკლავ!

იარაღის გამოჩენამ იქ, სადაც ყოველდღე გვჩხრეკენ, მისმა სიგრძემ და ჩემმა ქცევამ ის დააბნია და ამის თქმასღა ახერხებს:

– ჩხუბი არც მიფიქრია, სალაპარაკოდ ავდექი.

ვიცი, ტყუის, მაგრამ ჩემთვის ასე ჯობს – ამით მის მეგობრებში იმიჯს ვინარჩუნებ და დელიკატურ გამოსავალს ვთავაზობ: – კარგი, თუ ასეა...

– გალგანი თუ შენი მეგობარი იყო, არ ვიცოდი, პაპიონ, ის ერთ-ერთი აქაური „ვირთხა“ მეგონა. ჩვენც უნდა გაგვიგო რაკი ჩავევარდით, გასაქცევად მაყუთია საჭირო.

– ეს მესმის, ნორმალურად მიმაჩნია, მაკრან, ყველას აქვს უფლება, თავის გადარჩენაზე იფიქროს. მაგრამ იცოდე, ჩემს მხარეს ამას ნუ გააკეთებ, სხვა ადგილი მონახე.

ერთმანეთს ხელს ვართმევთ. უფ! ამოვისუნთქე! ეს მყრალი რომ მომეკლა, ხვალ გემზე ვეღარ მოვხვდებოდი. მერე დავრწმუნდები, რომ შეცდომა დავუშვი.

გალგანისთან ერთად უკან ვბრუნდები და ვეუბნები, დეგას არაფერი უთხრას – ვიცი, დამტუქსავს. ვცდილობ, დავარწმუნო, „ქისა“ დაიბრუნოს. მეუბნება, რომ მეორე დღეს, გამგზავრების წინ გამომართმევს. მეორე დღეს ჩვენ ერთმანეთს ვერ შევხვდით და გემზე ორი „ქისით“ ავედი.

ამ ღამეს ჩვენს საკანში, სადაც ათიოდე კაცი ვართ, ხმას არავინ იღებს. ყველა მეტ-ნაკლებად გრძნობს, რომ საფრანგეთის მაწაზე უკანასკნელ ღამეს ატარებს. ძნელია, გაექცე სევდას, როდესაც ხედები, რომ სამუდამოდ ტოვებ მშობლიურ ქვეყანას, მიდიხარ უცნობი მიწისაკენ, უცნობი რეჟიმის მკლავებში მოსახვედრად.

მე და დეგა გისოსებიან კარებთან ვსხედვართ, სადაც მეტი ჰაერია. იგი ხმას არ იღებს. ჩვენი მომავლის შესახებ იმდენად საინაალმდეგო ცნობები გვაქვს, რომ არ ვიცით, გაგვიხარდეს, თუ სასოწარკვეთილებას მივეცით.

ამ საკანში ყველა დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტია, კატორღაში დაბადებული კორსიკელის გარდა. ვითარებამ ისინიც დაამუნჯა. თამბაქოს ბოლი დერეფანში ღრუბლებად გადის და, თუ გინდა, თვალები არ დაგეწვას, რაც შეიძლება დაბლა უნდა დაჯდე. მხოლოდ ანდრე ბაიარს სძინავს. ვერც გაამტყუნებ – სიკვდილს გადაურჩა და დანარჩენი მისთვის მხოლოდ სამოთხეა.

ჩემი წარსული ცხოვრება კინოფილმის კადრებივით გამირბის თვალწინ: ვუყურებ ჩემს ბავშვობას ოჯახში, სადაც მხოლოდ სიყვარული სუფევდა და კარგ ქცევებსა და კეთილშობილებას გვინერგავდნენ; აგერ, ისევ ის მინდვრის ყვავილები, მოჩუხჩუხე წყაროები; განვიცდი ჩემი ბაღის ატმებისა და ქლიავის გემოს; კლავ ვიყნოსავ მიმოზას სურნელს, ყოველ გაზაფხულს ჩვენი სახლის კარის წინ რომ ყვაოდა... ეს ფილმი ხმოვანია და მესმის ჩემი საყვარელი დედისა და მამის ალერსით სავსე ხმები. აგერ, მამაჩემის სანადირო ძაღლი – კლარა ყეფს და ბაღში სათამაშოდ მეპატიჟება. მეზობელ გოგო-ბიჭებთან ვთამაშობ... ეს ფილმი, რომელსაც ჩემდა უნებურად, რაღაც ქვეცნობიერი ძალის მეშვეობით ვუყურებ, გულს

სინაზითა და მომავლის რწმენით მივსებს.

დროა, შევაჯამოთ: მე ოცდაექვსი წლის ჯანმრთელი ადამიანი ვარ. მუცელში ჩემი ხუთი ათასი და გალგანის ოცდახუთი ათასი ფრანკი მიდევს. დეგას ათი ათასი აქვს. ორმოცი ათასი ფრანკის იმედი უნდა მქონდეს, რადგან, რაკი გალგანის აქ არ შეუძლია, მოუაროს თავის ფულს, გემზე და შემდგომ – გვიანაში – უფრო ვერ შეძლებს. ალბათ, ეს იცის და ამიტომაც არ მოვიდა მის წასაღებად. მოკლედ, შემიძლია, ეს ფული გაქცევისთვის გამოვიყენო, თუ გალგანისაც წავიყვან. ფული მისია და მისთვის გამოვიყენებ, თან მეც ვისარგებლებ. ორმოცი ათასი ფრანკი ჩეჩქი ფულია. შესაძლებლობა მექნება, გაქცევის მოსაწყობად ხალხი მოვისყიდო.

ჩასვლისთანავე დეგასა და გალგანისთან ერთად უნდა გავიქცე, მხოლოდ ამაზე უნდა ვიფიქრო. დანას ვეხები. ფოლადის სიცივე რწმენას მმატებს, მით უმეტეს, რომ მან თავისი ძალა არაბებთან უკვე დაამტკიცა.

დილი სამი საათისათვის საკნის გისოსებთან ტილოს თერთმეტი გატენილი საზღვაო ჩანთის წინ დაგვამწკრივეს. თითოეულს საკუთარი ფირნიში აქვს. ერთერთის წაკითხვას ვახერხებ: „...პიერი, ოცდაათი წლის, მეტრი და სამოცდაცამეტი, ზომა – ორმოცდაორი, ფეხსაცმელი – ორმოცდაერთი, მატრიკული – ესა და ეს.“ ეს ბორდოელ პიერო ლე ფუს ეხება, პარიზში მკვლელობისათვის რომ დააპატიმრეს და ოცი წლით კატორღა მიუსაჯეს.

პიეროს კარგად ვიცნობ, იგი ქურდული სამყაროს სამართლიანი და წესიერი წარმომადგენელია. ეს ეტიკეტი იმას მიმანიშნებს, რომ კატორღის ადმინისტრაცია კარგად არის ორგანიზებული. აქამდე, ვისაც რა შეხვდებოდა, იმას აცმევდნენ, ახლა კი ყველა თავის ზომას მიიღებს, ყველაფერი აღრიცხულია. ერთი ჩანთიდან ნაჭრის ნაწილია ამოჩრილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამის შემდეგ თეთრ, წითელზოლებიან ტანსაცმელში ვივლით. ასე შეუმჩნეველი არ დავრჩებით.

ვცდილობ, კვლავ წარმოვიდგინო სასამართლოს სხდომის დეტალები, მაგრამ ვერ ვახერხებ – გონება არ მემორჩილება და მოსამართლეებისა და პროკურორის სახეები მხოლოდ დადებით ტონებში მესახება. ვხვდები, რომ ამის გაკეთება მხოლოდ მარტოობაში შემიძლია. ეს აღმოჩენა შვებას მგვრის და ვხვდები, რომ ჩემი მომავალი ცხოვრება კატორღელებს შორის, სხვა საჭიროებებს, სხვანაირ ქცევებსა და გეგმებს წარმოშობს.

პიერო ლე ფუ გისოსებთან მოდის:

– როგორა ხარ, პაპი?

– შენ?

– ეჰ, რას იზამ, ამერიკაში წასვლა ყოველთვის ჩემი ოცნება იყო, მაგრამ, რაკი მოთამაშე ვარ, ვერასდროს ვიშოვე იმდენი ფული, რომ მემოგზაურა. ჩემზე „ძაღლებმა“ იზრუნეს და უფასოდ მომიწყვეს ეს საქმე. არაფერი მეთქმის, კარგია, არა, პაპიონ?

ამას ჩვეულებრივად მეუბნება. ეტყობა, რომ თავისი თავის იმედი აქვს.

„ძაღლების“ მიერ შეთავაზებულ ამ მუქთა „მოგზაურობას“ ამერიკაში თავისი უპირატესობა აქვს: თხუთმეტ წელიწადს საფრანგეთში ჩაკეტილში ყოფნას კატორღაში წასვლა მირჩევნია.

– ბოლო როგორი იქნება, ის არის საინტერესო, არა, პიერო? ჩემი აზრით, საფრანგეთში, საკანში სიგიჟით სიკვდილს, კატორღაში კეთრით ან ყვითელი ციებით

ჩაძაღლება ჯობია.

– მეც ასე ვფიქრობ.

– შეხედე, პიერო, ეს აბრა შენია.

იგი იხრება, აკვირდება და დამარცვლით კითხულობს.

– ერთი სურვილი მაქვს, რაც შეიძლება, მალე მოვირგო ეს კოსტიუმი. ვერაფერსაც ვერ მეტყვიან. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ის ხომ მე მეკუთვნის!

– თავი დაანებე, ჯობს, დაელოდო. ახლა ისტორიების დრო არ არის, პიერო.

მიჯერებს და გისოსებს შორდება.

ლუი დეგა მიყურებს და მეუბნება:

– ბიჭუნავ, ეს ჩვენთვის უკანასკნელი ღამეა. ხვალ ჩვენს მშვენიერ ქვეყანას გამოვემშვიდობებით.

– ჩვენს ასე მშვენიერ ქვეყანას მშვენიერი სამართალი არა აქვს, დეგა. შემდგომში ალბათ შეგვხვდება სხვა ქვეყნები, რომლებიც ამასავით წარმტაცნი არ იქნებიან, მაგრამ გზასაცდენილებთან მოპყრობის უფრო ჰუმანური მანერა ექნებათ.

არ მეგონა, თუ ასე კარგად გამომივიდოდა. მომავალი დაამტკიცებს, რომ მაშინ მართალი ვიყავი. კვლავ სიჩუმე ისადგურებს.

გზა კატორღისკენ

დილის ექვს საათზე გვაღვიძებენ. ყავის შემდეგ ოთხი ზედამხედველი მოდის. ისინი დღეს თეთრ ტანსაცმელში არიან გამოწყობილნი, ტუნიკებზე ოქროსფერი ღილები უბრწყინავთ და გვერდზე რევოლვერები ჰკიდიათ. ერთ-ერთ მათგანს მარცხენა სახელოზე სამი ოქროსფერი ფორმის გალონი აქვს, მხრებზე – არაფერი.

– ეტაპირებულებო, თქვენ ახლა წყვილ-წყვილად გამოხვალთ დერეფანში, მოძებნით და აიღებთ ჩანთებს, რომლებზეც თქვენი გვარები აწერია და ზურგით მიდგებით კედელთან. ჩანთები წინ დაიწყვეთ.

ამას ოცი წუთი დასჭირდა.

– გაიხადეთ, ტანსაცმელი გამოკარით ჯვალოს სახელოებით... ძალიან კარგი. შენ, ეი, მანდ, აკრიფე ფუთები და შეიტანე საკანში! ახლა ჩაიცვით: ჯერ საცვალი, მერე ტყავის ნიფხავი, ზოლიანი შარვალი, ქურთუკი, წინდები, ფეხსაცმელი... ყველამ ჩაიცვა?

– დიახ, ბატონო ზედამხედველო!

შალის ჯვალო ჩანთაში ღრმად არ ჩადოთ, წვიმის ან სიცივის დროს გამოგადგებათ. ჩანთები – მარცხენა მხარზე!.. ორ მწკრივად მომყევ-ვით!

ჩვენი პატარა კოლონა ეზოში გადის. წინ გალონებიანი მიგვიძღვის, აქეთ-იქით და უკან – ორ-ორი ზედამხედველი მოგვყვება. ორ საათზე ნაკლებდროში რვაას ათი კატორღელი ეზოშია ჩამწკრივებული. იძახებენ ორმოც კაცს, მათ შორის – მე და ლუი დეგასაც, აგრეთვე კატორღიდან გამოქცეულ ჟულოს, გალგანისა და სანჭინის. გვანყობენ ათკაციან რიგებად. თითო წყებას თითო მეთვალყურე ჰყავს. ხუნდები და ხელბორკილები აღარ გვაქვს. კოლონა ადგილიდან იძვრება. ჩვენ წინ, სამ მეტრში, ათი მუშკეტმოლერებული ჟანდარმი უკუსვლით მიდის. თითოეულს გვერდით მეორე ჟანდარმი მოჰყვება, პორტუპეიში ქაჩავს და გეზს უჩვენებს. ასე ივლიან მთელ გზაზე.

ციხე-სიმაგრის ალაყაფი იღება და ჩვენი კოლონა ნელ-ნელა გარეთ გადის. გზადაგზა

თოფებითა და ავტომატებით შეიარაღებული ახალ-ახალი ჟანდარმები გვიერთდებიან და ორი მეტრის დაშორებით მოგვყვებიან. კატორღაში გამგზავრების სანახავად მოსულ ცნობისმოყვარეებს გაჭირვებით აკავებენ. შუა გზაში ვართ, როცა ერთერთი სახლის ფანჯრებიდან სტვენა მესმის. ფანჯარაში ჩემს ცოლს – ნენეტსა და ჩემს მეგობარ ანტუან დ-ს, ხოლო მეორეში – დეგას ცოლს – ასულასა და მის მეგობარს ვამჩნევ. დეგამაც დაინახა და, სანამ შეგვიძლია, ამ ფანჯრებზე თვალებმინებებულები განვაგრძოთ სიარულს. ეს ნენეტის უკანასკნელი ნახვა იქნება და აგრეთვე ანტუანისაც, რომელიც მოგვიანებით მარსელის დაბომბვის დროს დაიღუპება. ხმას არავინ იღებს, სრული სიჩუმეა. მას არც პატიმრები და არც მეთვალყურეები არ არღვევენ. ყველას ესმის, რომ ეს ის წუთებია, როცა ათას რვაასი კაცი ჩვეულებრივი ცხოვრებიდან უნდა გაუჩინარდეს.

პირველი ორმოცი კაცი გემზე ავდივართ და ტრიუმის სიღრმეში მსხვილი გისოსებისაგან შეკრულ გალიაში შევყავართ. მუყაოს ქაღალდზე ვკითხულობ: „საკანი №1, 40 კაცი, სპეციალური კატეგორია, მუდმივი და მკაცრი კონტროლი". გვირიგებენ დახვეულ ჰამაკებს. მათ ჩამოსაკიდად საკმარისზე მეტი რგოლებია გათვალისწინებული. ვიღაცა ხელს მხვევს. ეს ჟულოა. მას ეს ყველაფერი ათი წლის წინ აქვს გავლილი და იცის, როგორ მოიქცეს.

– ჩქარა, აქეთ წამოდი, ჩამოკიდე ჩანთა ამ რგოლზე, მერე ჰამაკს ჩამოკიდებ. აქ ორი დახურული ნახვრეტია, რომლებსაც ზღვაში გასვლისას გააღებენ და ჰაერი გვექნება, – მეუბნება ის.

დეგაც მოდის, ერთმანეთს ვაცნობ და ვსაუბრობთ. ამ დროს ვიღაც უცხო კატორღელი ჩვენკენ მოემართება. ჟულო მხარით უღობავს გზას და ეუბნება:

– თუ გინდა, კატორღაში ცოცხალი ჩახვიდე, აქეთ აღარ გამოიხედო, გასაგებია?

– დიახ, – პასუხობს ის.

– იცი, რატომ?

– დიახ.

– მაშინ, მოუსვი.

დეგა არ მალავს, რომ აღფრთოვანებულია ძალის ამგვარი დემონსტრირებით:

– თქვენთან უფრო მშვიდად დავიძინებ.

– ჩვენთან უფრო ნაკლები საფრთხე გელის, ვიდრე მიწაზე, ფანჯარაგაღებულ გალიაში, – პასუხობს ჟულო.

თვრამეტ დღეს ვიცურეთ. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი შემთხვევაა აღსანიშნავი: ერთ ღამეს ყვირილის ხმამ გაგვაღვიძა. ჰამაკში ზურგში დანაგაყრილი პატიმარი იპოვეს – ოციოდე სანტიმეტრის სიგრძის ბებუთი ჰამაკის ქვემოდან იყო დარტყმული. მაშინვე ოცდახუთმა თუ ოცდაათმა ზედამხედველმა რევოლვერები და მუშკეტები მოგვიშვირა:

– სუყველა გაშიშვლდით, სწრაფად!

ვემორჩილებით. ნათელია, ჩხრეკას დაიწყებენ. დანას ვიღებ და შიშველი ფეხს ვდგამ. მტკენს და მეორე ფეხზე გადამაქვს დაწოლა, მაგრამ, რაც მთავარია, იარაღი დამალულია.

ოთხი მეთვალყურე შემოდის და ტანსაცმელსა და ჩანთებში იქექება. შემოსვლის წინ იარაღი მოიხსნეს და კარი მოკეტეს, თუმცა გარედან თოფმომარჯვებული დარაჯები გვითვალთვალებენ.

– პირველი, ვინც გაინძრევა, მოკვდება! – ამბობს მათი უფროსი. პოულობენ სამ დანას, ორ გალესილ ლურსმანს, ერთ საცობის ამოსაძრობს და ერთ ოქროს „ქისას". ექვსი შიშველი კაცი გამოჰყავთ დერეფანში. ეტაპის უფროსი – კომენდანტი ბარო, ორი ექიმისა და გემის უფროსის თანხლებით მოდის. როცა ზედამხედველები საკნიდან გადიან, ყველა ბრძანების გარეშე იცვამს. დანას შეუმჩნევლად ვიღებ.

მეთვალყურეები დერეფნის სიღრმეში შედიან, დანარჩენები კიბესთან დგანან. ბარო ექვსი შიშველი კაცის წინ ჩერდება.

– ეს ამისია, – ამბობს მეთვალყურე და დანის პატრონზე უთითებს.

– მართალია. ჩემია.

– ძალიან კარგი, – ამბობს ბარო, – მგზავრობას სამანქანო განყოფილების სახურავზე გააგრძელებ.

ასახელებენ ყველა ნაპოვნი საგნის პატრონს, ისინიც აღიარებენ და დაცვის თანხლებით, შიშვლები ადიან კიბეზე. რჩება მხოლოდ ერთი დანა, „ქისა" და ერთი ათლეტური აღნაგობის ლურჯთვალება პატიმარი.

– შენია ეს „ქისა"?

– დიახ, ჩემია.

– რა არის შიგ? – ეკითხება კომენდანტი ბარო.

– სამასი ინგლისური ლივრი, ორასი დოლარი და ორი ხუთკარატიანი მარგალიტი.

– კარგი, ვნახოთ.

– ხსნის. კომენდანტს შემოეხვივნენ და ამიტომ ვერ ვხედავ, რა ხდება. მერე გვესმის:

– მართალია. შენი სახელი?

– სალვიდია რომეო.

– იტალიელი ხარ?

– დიახ, ბატონო.

– „ქისისათვის" არ დაგსჯით; აი, დანის გამო კი სასჯელი არ აგცდება.

– ბოდიში, მაგრამ დანა ჩემი არ არის.

– როგორ თუ არ არის? შენს ტანსაცმელში ვიპოვე, – ამბობს მეთვალყურე.

– ვიმეორებ: დანა ჩემი არ არის.

– ესე იგი, მე ვიტყუები?

– არა, თქვენ ცდებით.

– მაშინ, ვისია? – ეკითხება კომენდანტი ბარო, – თუ შენი არ არის, ვილაცის ხომ არის?

– ის ჩემი არ არის, ეს არის და ეს.

– თუ არ გინდა, დილეგში შეისრუკო, რადგან იგი ორთქლის ქვაბებზეა მოთავსებული, თქვი, ვისია.

– არ ვიცი.

– დამცინი? დანას შენს ფეხსაცმელში პოულობენ და არ იცი, ვისია? სულელი გგონივარ? ან შენია, ან იცი, ვინც ჩადო. მიპასუხე!

– დანა ჩემი არ არის და არც მე ვარ იმის კაცი, რომ გითხრათ, ვისიცაა. რა, „ჩამშვების" სიფათი მაქვს?

– ეს შენ ძვირად დაგიჯდება. დაადეთ ამ ტიპს ბორკილები!

კომენდანტები რაღაცაზე ლაპარაკობენ, მერე გემის კომენდანტი განკარგულებას

იძლევა და მის თანაშემწეს ერთი გიგანტი ბრეტონელი მოჰყავს. მას წყლის ვედრო და მაჯის სიმსხო თოკი მოაქვს. პატიმარს კიბის ძირზე აბამენ. იძულებულია, დაიჩოქოს. მეზღვაური თოკს წყალში ასველებს და მთელი ძალით, გამოზომილად ურტყამს ზურგზე, უკანალზე და თირკმლებზე. მთელი ზურგი დაუსისხლიანდა, მაგრამ ხმას არ იღებს. სამარისებურ სიჩუმეს უცებ ჩვენი საკნიდან გამოვარდნილი ყვირილი არღვევს:

– არამზადების ბანდა!

თითქოს ამას ელოდნენო, ყველა მხრიდან გაისმის:

– მკვლელებო! დამპლებო!

გვემუქრებიან, გაჩუმდით, თორემ გესვრითო, მაგრამ ეს უფრო გვახელებს და ყვირილი ღმუილში გადადის.

– მიუშვით ორთქლი! – ისმის კომენდანტის ბრძანება.

მეზღვაურები ონკანებს ხსნიან და თვალის დახამხამებაში იატაკზე ვყრივართ, იმდენად ძლიერი და ცხელია წყალი. ამან ერთ წუთსაც არ გასტანა, მაგრამ პანიკაში ჩაგვაგდო. დამწვრები ჩივილსაც კი ვერ ბედავენ.

– იმედია, მიხვდით, სადაც ხართ, არა, ვაუკაცებო? პატარა დარღვევა და – იგივე გამეორდება. ადექით!

სამს სერიოზული დამწვრობა აქვს და ამბულატორიაში წაიყვანეს. ნაცემი საკანში დააბრუნეს. ექვსი წლის შემდეგ იგი ჩემთან ერთად გაქცევისას დაიღუპება.

თვრამეტი დღე კატორღაზე ცნობების შეგროვებაში გადის. მართალია, შეიძლება, ყველაფერი ისე არ მოხდეს, როგორც გვგონია, მაგრამ ფულოს ყურადღებით ვუსმენთ და ისიც შეძლებისდაგვარად გვიხსნის.

მის თქმით, სენ-ლორან დიუ მარონი მდებარეობს მდინარე მარონიზე, შესართავიდან ას ოც კილომეტრში. სწორედ აქ არის პენიტენციალური ცენტრი, სადაც პატიმრებს ახარისხებენ: ინტერნირებულები პირდაპირ იგზავნებიან სენ-ჟანის გამასწორებელში, ცენტრიდან ას ორმოცდაათ კილომეტრში; კატორღელებს კი სამ ჯგუფად ყოფენ: პირველ ჯგუფში ხვდებიან განსაკუთრებით საშიში დამნაშავენი, რომელთაც მისვლისთანავე დილეგში ჩაყრიან, შემდგომში ხსნის კუნძულებზე დროებით ან სამუდამოდ გასაგზავნად. ეს კუნძულები სენ-ლორანიდან – ხუთას, ხოლო კაიენადან ას კილომეტრში მდებარეობს. მათგან ყველაზე დიდს რუაიალი ჰქვია, შემდეგ მოდის სენ-ჟოზეფი და ყველაზე პატარაა – დიაბლი. დიაბლზე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში აგზავნიან.

მეორე კატეგორიაში შედიან საშიშად ცნობილი პატიმრები. მათ სენ-ლორანის ბანაკში ტოვებენ და მიწის სამუშაოებზე იყენებენ. საჭიროების შემთხვევაში, ისინი იგზავნებიან – მძიმე სამუშაოზეც – სატყეო ბანაკებში, როგორიცაა „შარვენი“, „კასკადი“, „კრიკი“, „რუჟი“ და სიკვდილის ბანაკად წოდებულ „42-ე კილომეტრზე.“

მერე მოდის ჩვეულებრივი კატეგორია. მასში მოხვედრილი პატიმრები მუშაობენ ადმინისტრაციაში, სამზარეულოებში, დამგველებად, მკერავებად, დურგლებად, მღებავებად, მჭედლებად, ელექტრიკოსებად, მრეცხავებად და ასე შემდეგ.

– მოკლედ, – ამბობს ფულო, – გადამწყვეტი მომენტი მისვლისას დგება. თუ გამოგიძახეს და საკანში გაგიშვეს, ნიშნავს, რომ კუნძულებზე გაგზავნას გიპირებენ, რაც გაქცევის ყოველგვარ საშუალებას გისპობს. გამოსავალი ერთია – ტანზე ჭრილობა უნდა მიიყენო, მუცელი ან მუხლი უნდა გადაიჭრა, რომ ჰოსპიტალში მოხვდე

და იქიდან სცადო გაქცევა. კუნძულზე გაგზავნა ყველა საშუალებით უნდა აიცილო. არის მეორე იმედიც: კუნძულზე წასასვლელი გემი ხანდახან მზად არ არის ხოლმე. მაშინ, თუ ფული გაქვს, სანიტარი უნდა მოისყიდო – ის ან სკიპიდრის ნემსს გაგიკეთებს სახსარში, ან შარდში დასველებულ ბენზს გაგიყრის ხორცში, რომ ინფექცია შეგეჭრას; ან გოგირდს შეგასუნთქებს და სიცხე აგიწევს. სანამ გემს ელოდები, როგორმე ჰოსპიტალში უნდა მოხვდე. თუ არ გამოგიძახებენ და ადგილობრივ ბანაკში დაგტოვებენ, მით უკეთესი, – მოქმედების დრო გრჩება. ასეთ შემთხვევაში, ჯობია, სამსახური ბანაკის შიგნით ეძებო. მამასახლისს თუ ფულს გადაუხდი, შეიძლება, განავლის გამტანად, მეეზოვედ, ან სამრეცხაოში მოგაწყოს. მაშინ ბანაკიდან გასვლის საშუალება გეძლევა და ადვილად დაუკავშირდები სასჯელმოხდილ კატორღელებს ან ჩინელებს. ასე შეგიძლია, გაქცევა მოამზადო. ერიდეთ სატყეო ბანაკებს – იქ კაცს სამი თვეც ვერ გაუძლია, ისე ჩაძაღლებულა. შუა ჯუნგლებში თითოეული ვალდებულია, დღეში ერთი კუბმეტრი რკინის ხე დაამზადოს.

ასეთი, ჩვენთვის მნიშვნელოვანი ცნობები მივიღეთ ჟულოსაგან, სანამ მივცურავდით. თვითონ გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს: იცის, რომ მისვლისთანავე დილეგში გააგზავნიან და წინასწარ პატარა დანა აქვს შენახული „ქისაში" – მივა თუ არა, მუხლს გადაიჭრის და ყველას დასანახად ტრაპიდან ჩამოვარდება. დარწმუნებულია, რომ ნავსადგურიდან პირდაპირ ჰოსპიტალში გააგზავნიან.

მართლაც ასე მოხდება.

სენ-ლორან დიუ მარონი

ზედამხედველები ტანსაცმლის გამოსაცვლელად მიდიან და თეთრებში გამოწყობილი ბრუნდებიან. კეპის მაგივრად კოლონიალური ქუდები ახურავთ.

– მოვედით, – ამბობს ჟულო.

ყველაფერი დახურეს და აუტანელი სიცხეა. დარაბებს იქით სელვა მოჩანს. ეს ნიშნავს, რომ მარონიში შევედით. წყალი ტალახიანია. გემის საყვირის ხმაზე ფრინველები შეშინებულები ფრინდებიან. ნელი ცურვა საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ ამ ველური ტყის ხშირ და მწვანედ ჩამუქებულ მცენარეულობას. გამოჩნდა ცინკით გადახურული ხის პირველი სახლები. მათ წინ მხოლოდ შავკანიანები დგანან. ისინი, ეტყობა, მიჩვეული არიან ადამიანებით დატვირთულ გემებს და ამიტომ გულგრილად უყურებენ მას. არავითარი ხელის დაქნევა. სირენა სამჯერ უსტვენს, მერე ისმის ხრახნების ხმაური და მანქანების მუშაობა ჩერდება. ეს ნიშნავს, რომ მოვედით. ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებ.

ამ სიჩუმეში ჟულო დანას იღებს და შარვალს ნაკერებზე იხსნის. მუხლს გემბანზე გადაიჭრის, რათა აქ სისხლის კვალი არ დარჩეს. ზედამხედველები გალიის კარს გვიღებენ და სამ-სამად გვაწყობენ. ჩვენ მეორე რიგში ვხვდებით. ჟულო ჩემსა და დეგას შუა დგას. გემბანზე ავდივართ. ნაშუადღევის ორი საათია. ცეცხლოვანი მზე გადაპარსულ თავსა და თვალებს მწვავს. ტრაპისკენ მივდივართ. როცა პირველი რიგი ტრაპზე დგამს ფეხს და ამის გამო კოლონა ფერხდება, ჟულოს ჩანთას მხარზე ვუკავებ, რომ ჩანაფიქრი განახორციელოს. იგი ორი თითით ეწევა მუხლზე კანს და შვიდ თუ რვა სანტიმეტრზე იჭრის. შემდეგ დანას მიწვდის და ხელს ჩანთას კიდებს. ტრაპზე შედგომისთანავე ეცემა და ძირამდე მიგორავს. რაკი ხედავენ, რომ დაჭრილია და სისხლი მოსდის, საკაცე მოაქვთ.

ზუსტად ისე ხდება, როგორც გაითვალისწინა – საკაცით მიჰყავთ.

ნაპირზე ათასი ჯურის ხალხი ათვალიერებს ახალმოსულებს: შავები, ნახევრად შავები, ინდიელები, ჩინელები, თეთრკანიანების შთამომავლები (ის თეთრები გათავისუფლებული კატორღელები უნდა იყვნენ). მეორე მხარეს ზედამხედველები და კარგად ჩაცმული სამოქალაქო პირები დგანან. მათ შორის ვხედავთ საზაფხულოდ გამოწყობილი ქალებსა და ბავშვებს. ყველას კოლონიალური ქუდი ახურავს. როცა ორასამდე ვგროვდებით, ეტაპი ადგილიდან იძვრება და ათიოდე წუთის სიარულის შემდეგ მაღალ, ხის ძელებისაგან შეკრულ კართან ჩერდება. ზედ წარწერაა: „სენლორან დიუ მარონის საპყრობილე. ტევადობა 3 000 კაცი". ჭიშკარი იღება და ათ მწკრივად შევდივართ: „ერთი, ორი, ერთი, ორი, იარ!" უამრავი კატორღელი უყურებს ჩვენს მოსვლას. ისინი ფანჯრებზე ჩამოკიდებულან ან დიდ ქვებზე არიან შემომდგარნი, რათა უკეთ დაგვინახონ.

შუა ეზოში მისვლისას ისმის ბრძანება:

– სდექ! ჩანთები წინ დაიწყვეთ! თქვენ, დაურიგეთ ქუდები!

ჩალის ქუდები მართლაც რომ გვჭირდებოდა. მზის დარტყმამ უკვე ორი თუ სამი კაცი წააქცია. ერთ-ერთი გალონებიანი ხელში ქაღალდს იღებს. მე და დეგა ერთმანეთს ვუყურებთ. ორივენი ჟულოს ნათქვამზე ვფიქრობთ. იძახებენ ლე გიტუს:

– აქეთ! – ის ორი ზედამხედველის თანხლებით მიჰყავთ.

– სუზინი! (იგივე „ჟირასოლი")!

– ჟიულ პინარი!

– ჟიულ პინარი (ეს ჟულოა) დაშავდა და ჰოსპიტალში წაიყვანეს.

– კარგი. ესენი კუნძულზე ინტერნირებულები არიან.

მერე მეთვალყურე განაგრძობს:

– ყურადღებით მოისმინეთ, რასაც გეტყვით: ვისაც ამოვიკითხავ, გამოვიდეს და აი, იმ ყვითელ, №1 ბარაკთან ჩანთიანად დადგეს!

დეგა, კარიე და მე ერთად ვხვდებით ბარაკის წინ. კარი იღება და შევდივართ დაახლოებით ოცი მეტრის სიგრძის მართხკუთხა შენობაში. მარცხნივ და მარჯვნივ რკინის ზღუდეებია შუაში ორი მეტრი სიგანის გასასვლელით. ტილოს საწოლ-ჰამაკები თავისი გადასაფარებლებით კედელსა და ზღუდეს შორის არის დაკიდებული. სურვილის მიხედვით ვირჩევთ ჰამაკებს. დეგა, პიერო, სანტორი, გრანდე და მე გვერდიგვერდ ვხვდებით. ამგვარად იქმნება სხვა სამოებიც. ოთახის სიღრმეში მარჯვნივ – შხაპებია, მარცხნივ – საპირფარეშო. გამდინარე წყლის ნასახიც არ არის. ფანჯრის გისოსებზე ჩამოკიდებულები ვუყურებთ სხვების განაწილებას. ლუი დეგა, პიერო ლე ფუ და მე კმაყოფილები ვართ: რაკი საერთო ბარაკში მოვხვდით, ესე იგი კუნძულებზე არ გაგვაგზავნიან. ასე რომ ყოფილიყო, როგორც ჟულომ აგვიხსნა, უკვე დილეგში ვიქნებოდით. დანარჩენებიც ჩვენსავით კმაყოფილნი არიან, თუმცა, როცა ყველა გაანაწილეს, გრანდემ ცოტა შეცვალა ჩვენი განწყობა:

– უცნაურია, – თქვა მან, – ამ უტაპში არც ერთი კაცი არ გაუგზავნიათ კუნძულებზე. სიმართლე რომ ვთქვა, მით უკეთესი.

ეს ის გრანდეა, ვინც ერთ-ერთი განმანაწილებლის სეიფი მოიპრა და მთელი საფრანგეთი აცინა.

ტროპიკებში განთიადი და დაისი არ არსებობს, დღე და ღამე ერთმანეთს უცრად, ერთსა და იმავე დროს ცვლის. ზუსტად შვიდის ნახევარზე ღამდება. ორ

მოხუც კატორღელს ორი მბჟუტავი ფარანი მოაქვს და ჭერზე დატანებულ კაუჭზე ჰკიდებს. საკნის სამი მეოთხედი სიბნელეში რჩება. ცხრა საათზე ყველა იძინებს. ჩამოსვლის აღგზნებამ გაიარა და ახლა სიცხისაგან ვიხრჩობით. ჰაერი არ იძერის. მე დეგასა და პიერო ლე ფუს შუა ვწევარ. ცოტა ხანს ვჩურჩულებთ, მერე ჩვენც ვიძინებთ.

მეორე დილით, ჯერ ისევ ბნელა, როცა საყვირი გვაღვიძებს. ვდგებით, ვიბანთ და ვიცვამთ. გვირიგებენ ყავას და პურის თითო ნაჭერს. კედელზე თაროებია მიხრახნილი, სადაც შენი პურის, კარდალისა და სხვა ნივთების დადება შეგიძლია. ცხრა საათზე ერთი ქათქათა, თეთრ ხალათში გამოწყობილი კატორღელი ორი ზედამხედველის თანხლებით შემოდის. „ძაღლები" კორსიკელები არიან და ახალჩამოსულ თანამემამულეს თავის ენაზე ელაპარაკებიან. ამ დროის განმავლობაში სანიტარი საკანში დადის. როცა ჩემამდე მოდის, მეკითხება:

– როგორაა საქმე, პაპი? ვერ მიცნობ?

– ვერა.

– მე სიერა ალჟირელი ვარ. პარიზიდან, „დანტედან" მახსოვხარ.

– აა, ჰო, ახლა გიცანი. შენ ხომ 1929-ში წამოხვედი; ახლა 1919 33-ია და ისევ აქ ხარ?

– რა ვუყოთ, აქედან ასე ჩქარა ვერ გააღწევ. თავი მოიავადმყოფე. ეს ვინღაა?

– დეგაა, ჩემი მეგობარი.

– ამასაც ჩავწერ მიღებაზე. შენ, პაპი, დიზენტერია გაქვს, შენ კი, მოხუცო, – ასთმა. თერთმეტი საათის მიღებაზე გნახავთ, სალაპარაკო მაქვს, – მერე საკანში სვლას განაგრძობს და ხმამაღლა აცხადებს:

– ვინმე ავად ხომ არ არის?

რამდენიმე კაცი ხელს სწევს და ისიც იწერს. როცა ერთი გაქუცული მოხუცის თანხლებით კვლავ ჩემამდე მოდის, ჩერდება და მეუბნება:

– პაპიონ, ეს ჩემი უფროსია, სანიტარ-ზედამხედველი ბარტელონე. ბატონო ბარტელონე, ესენი ჩემი მეგობრები არიან, მე რომ გელაპარაკეთ.

– კარგი, სიერა, მიღების დროს რამეს მოვუხერხებ, იმედი გქონდეს.

თერთმეტ საათზე ჩვენს წასაყვანად მოდიან. ფეხით მივდივართ ერთ თეთრად შელებილ ბარაკამდე, რომელსაც წითელი ჯვარი ახატია. შევდივართ მოსაცდელ ოთახში, სადაც უკვე სამოციოდე კაცია შეგროვილი. ყოველ კუთხეში ორ-ორი დარაჯი დგას. სიერა ექიმის გაქათქათებული ხალათით გამოდის და ამბობს:

– თქვენ, თქვენ და თქვენ შემოდით!

შევდივართ. როგორც ჩანს, ეს მთავარი ექიმის კაბინეტია. სიერა იქ მყოფ სამ ასაკოვან კაცს ესპანურად ერაპარაკება. ერთ ერთ-მათგანს შესვლისთანავე ვცნობ: ეს ფერნანდესია, რომელმაც პარიზში, კაფე „მადრიდში", სამი არგენტინელი მოკლა. რამდენიმე სიტყვის გაცვლის შემდეგ სიერას იგი ტუალეტში გაჰყავს, მერე ჩვენთან ბრუნდება.

– პაპი, მოდი, მოგეხვიო. მოხარული ვიქნები, თუ შევძლებ, რამეში გამოგადგეთ შენ და შენს მეგობარს. ორივენი ინტერნირებულები ხართ... ო, მაცალე, მათქმევინე! შენ, პაპიონ, სამუდამოდ, ხოლო შენ, დეგა – ხუთი წლით. მაყუთი გაქვთ?

– კი.

– თუ ასეა, თითოეულმა მომეცით ხუთასი ფრანკი და ხვალ დილით ჰოსპიტალში

გაგაგზავნით. პაპიონი დიზენტერიის გამო, ხოლო შენ, დეგა, ღამით კარზე ბრახუნი უნდა ატეხო, ანდა, აჯობებს, ვინმემ „ძაღლებს" დაუძახოს და უთხრას, დეგას შეტევა აქვს და იხრჩობაო. დანარჩენი ჩემზე იყოს. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ, პაპიონ: როცა ათესვას დააპირებ, დროულად გამაფრთხილე, რომ ვიცოდე. თუ კვირაში ას-ას ფრანკს გადაიხდით, ჰოსპიტალში ერთ თვეს გაგაჩერებენ. უნდა იჩქაროთ.

ფერნანდესი შემოდის და ჩვენ თვალწინ სიერას ხუთას ფრანკს აძლევს. მერე მე გავდივარ და ათასის ნაცვლად ათას ხუთასი ფრანკით ვბრუნდები. სიერა ხუთას ფრანკზე უარს ამბობს:

– რასაც მაძლევ, „ძაღლებისთვის" მინდა, მე არაფერი მჭირდება, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ! – მეც აღარ ვაძალებ.

უკვე მეორე დღეს მე, დეგა და ფერნანდესი ჰოსპიტლის დიდ ოთახში ვართ. დეგა შუალამისას წაიყვანეს. ამ პალატის სანიტარი ერთი ოცდათხუთმეტი წლის კაცია, შატალი ჰქვია. სიერასაგან ყოველგვარი ინსტრუქცია აქვს ჩვენ შესახებ. როცა ექიმი ჩამოივლის, ჩემი განავლის ანალიზს წარუდგენს და დაუმტკიცებს, რომ ამება მტანჯავს. გოგირდიც აქვს მომარაგებული. ექიმის მოსვლის დრო რომ მოვა, დაწვავს და დეგას პირსახოცის ქვეშ ასუნთქებს. ფერნანდესს სახე აქვს გასიებული: მან ყბა შიგნიდან გაიხვრიტა და ერთ საათს ბერავდა საკუთარ სიფათს. ამას ისე კეთილსინდისიერად აკეთებდა, რომ ახლა სიმსივნე ცალ თვალს მთლიანად უფარავს. ჩვენი პალატა-საკანი შენობის პირველ სართულზეა. აქ დაახლოებით სამოცდაათი კაცია. უმეტესობას დიზენტერია სჭირს. სანიტარს ჟულოს ამბავს ვეკითხები და ვიგებ, რომ ის ჩვენ წინა შენობაშია.

– გინდა, რამე გადავცე? – მეკითხება სანიტარი.

– კი, უთხარი, პაპიონი და დეგა აქ არიან-თქო. ფანჯარასთან მოვიდეს.

სანიტარს პალატაში შესვლა-გამოსვლას არავინ უშლის. გასვლისას იგი კარზე აკაკუნებს და არაბი ულებს. ეს არაბი ზედამხედველებს ეხმარება კარების გაღება-დაკეტვაში. გასასვლელთან მუშკეტებიანი სამი დარაჯი სკამებზე ზის. ფანჯრებს რელსის სიმსხო გისოსები აქვს, მათი გადაჭრა შეუძლებელია. ფანჯარასთან ვჯდები.

ჩვენი და ჟულოს ბარაკებს ლამაზი, ყვავილებით სავსე ბაღი ყოფს. ჟულო ფანჯარასთან მოდის. ხელში დაფა უჭირავს, რომელსაც ცარცით აწერია: „ყოჩაღ!" ერთი საათის შემდეგ სანიტარს მისი ბარათი მოაქვს. მატყუბინებს, რომ ჩვენთან მოხვედრას ცდილობს. „თუ მე ვერ მოვახერხებ, იქნებ თქვენ სცადოთ: მოიმიზეზეთ, ვითომ პალატაში მტრები გყავთ. ესე იგი, კუნძულებზე ინტერნირებულთა სიაში ხართ! გულს ნუ გაიტეხთ, ჩვენ გავიმარჯვებთ". ცენტალურ განმანაწილებელში მომხდარმა ინციდენტმა და ერთობლივმა ტანჯვამ ძალიან დაგვაახლოვა. საფრანგეთში ჟულო ყოველთვის ხის კეტით მოქმედებდა და ამიტომ მას „ხის ჩაქუჩა კაცი" შეარქვეს. დაიგულებდა და მიადგებოდა მაღაზიას, სადაც ძვირფასი სამკაული იყო გამოფენილი. თანამზრახველი მოშორებით ჩართული მოტორით ელოდებოდა. სწრაფად შიდიოდა ვიტრინასთან, დიდი ხის კეტით მინებს ამტვრევდა, რაც შეიძლება, მეტ სამკაულს იღებდა, ხტებოდა მანქანაში და უჩინარდებოდა. იმით გათამამებულმა, რომ ლიონში, ანჟერში, ტურსა და ჰავრში „სუფთად" გამოვიდა, გადაწყვიტა, პარიზის დიდ საიუველირო მაღაზიასაც დასხმოდა თავს. ნაშუადღევის სამ საათზე განზრახული აღასრულა კიდეც და დაახლოებით მილიონის ძვირფასეულობა გაიტაცა.

როგორღაც დაიჭირეს, ოცი წელი კატორღა მიუსაჯეს, მაგრამ და ორი წლის შემდეგ გაიქცა. მოგვიყვა, თუ როგორ დააკავეს: პარიზში დაბრუნდა და თავის „ჩამშვებს“ დაუწყო ძებნა – იმ კაცს დეგას დიდი ვალი ჰქონდა და მისი დისთვის უნდა მიეტანა, მაგრამ არ მიუტანია. „ჩამშვებმა“ იგი მის ქუჩაზე მოხეტიალე დაინახა და მაშინვე პოლიციას შეატყობინა, რის შემდეგაც ჟულო დააპატიმრეს და ჩვენთან ერთად კატორღაში დააბრუნეს.

უკვე ერთი კვირაა, რაც ჰოსპიტალში ვართ. გუშინ შატალს ორასი ფრანკი გადავეცი, რათა ამ კვირაში აქ დაგვტოვონ. სხვა ავადმყოფები პატივით გვეპყრობიან, რადგან, ვინც გვთხოვს, თამბაქოს ყველას ვურიგებთ. ერთი სამოცი წლის მარსელელი, სახელად კარორა, დეგას დაუძმაკაცდა და მის მრჩევლად გადაიქცა. გამუდმებით უმეორებს, რომ ფულიანი კაცის გაქცევა საშიშია, რადგან, თუ ამის შესახებ სოფელში გაიგებენ (საფრანგეთიდან მოსული გაზეთებიდან ყველაფერი ცნობილი ხდება), „ქისის“ გულისთვის აუცილებლად მოგკლავენ. ამას დეგასგან ვიგებ. უშედეგოდ ვარწმუნებ, რომ ის მოხუცი არაფრის მაქნისი ვინმეა, რადგან, აგერ უკვე ოცი წელია აქ არის და გაქცევა არ უცდია. მაგრამ დეგა ისეა მოქცეული კარორას მონაყოლის შთაბეჭდილების ქვეშ, რომ ვერ ვაჯერებ.

სიერას ბარათს ვუგზავნი და გალგანის გამოგზავნას ვთხოვ. ლოდინი დიდხანს არ დამჭირვებია – მეორე დღეს იგი უკვე ჰოსპიტალშია, მაგრამ სხვა, უგისოსებო პალატაში. როგორ დავუბრუნო თავისი „ქისა“? შატალს ვუმხელ, რომ მისი ნახვა მინდა. მას ჰგონია, საქმე გაქცევას ეხება. არც ვცდილობ, აზრი შევუცვალო. მპირდება, ზუსტად თერთმეტ საათზე, ყარაულის შეცვლის დროს, ხუთი წუთით განაგებო. ამ დროს ვერანდაზე აიყვანს, ფანჯარასთან. ამაში გასამრჯელოს არ მთხოვს. მართლაც, დათქმულ დროს მოჰყავს და მეც მაშინვე ხელებში ვუდებ გალგანის თავის „ქისას“. იქვე, ჩემ თვალწინ იდებს მუცელში და ტირის. ორი დღის შემდეგ რაღაც ჟურნალს მიგზავნის. შიგ ხუთი ათასი ფრანკია და ერთადერთი სიტყვა:„მადლობა“. გაზეთი შატალმა მოიტანა და ფულიც დაინახა. არაფერს ამბობს, მაგრამ მე ვთავაზობ. უარზეა.

– შატალ, – ვეუბნები, – აქედან გაქცევა გვინდა. წამოხვალ ჩვენთან ერთად?

– არა, პაპიონ, მე სხვასთან ვარ შეკრული. ხუთი თვის შემდეგ ჩემი თანამზრახველი გათავისუფლდება და მაშინ ვცდი. ასე უფრო კარგად მოვამზადებ გაქცევას. მესმის, შენ ინტერნირებული ხარ და იმიტომ ჩქარობ, მაგრამ ამ გისოსებიდან როგორ გააღწევ? ჩემი იმედი ნუ გექნება, ვერ დაგეხმარები. ამ თანამდებობაზე მშვიდად ველოდები ჩემი მეგობრის გასვლას და არ მინდა, რისკზე წავიდე.

– კარგი, შატალ, გულახდილობა ჯობია. ამაზე აღარ ვილაპარაკოთ.

– მიუხედავად ამისა, შენს ბარათებს წავიღებ ხოლმე და, თუ რამეა გადმოსაცემი, მოგიტან.

– მადლობა, შატალ.

ღამით ავტომატების სროლის ხმა გვესმის. მეორე დღეს ვიგებთ, რომ „ჩაქუჩის კაცი“ გაქცეულა. ღმერთმა ხელი მოუმართოს, კარგი მეგობარი იყო. ალბათ, შემთხვევა მიეცა და ხელიდან არ გაუშვა. მით უკეთესი მისთვის.

თხუთმეტი წლის შემდეგ, 1948-ში, ჰაიტიზე მოვხვდი – მე და ერთი ვენესუელელი მილიონერი კაზინოს პატრონთან მოსალაპარაკებლად ჩამოვედით სათამაშო კონტრაქტის თაობაზე. ერთ ღამეს კაბარეში შევედით შამპანურის დასალევად, თან

იქაური, ნახშირივით შავი გოგონა გვახლდა. შავი კი იყო, მაგრამ საფრანგეთის პროვანსის კარგ ოჯახში აღზრდილი გეგონებოდათ. კაბარედან გამოსვლისას ის გოგო მეუბნება:

– ბებიაჩემი მისანია და უკვე ოცი წელია, ერთ ბებერ ფრანგთან ცხოვრობს. იგი კაიენადანაა გამოქცეული და „ჟიულ ჩაქუჩი" ჰქვია.

ერთბაშად ვფხიზლდები:

– ჩქარა, პატარავ, ახლავე წამიყვანე ბებიაშენთან!

ტაქსის მძღოლს ჰაიტურად ელაპარაკება და მერე მთელი სიჩქარით მივქრივართ. მანქანას ერთ განათებულ ღამის ბართან ვაჩერებ, შევდივარ და ვყიდულობ ერთ ბოთლ პერნოს, ერთ ბოთლ შამპანურს და ორ ბოთლ აღგილობრივ რომს. მივდივართ ზღვისპირა, კოპწია, თეთრად შეღებილ და წითელსახურავიან სახლთან. გოგონა დიდხანს აკაკუნებს. კარი იღება და მთლად გათეთრებული, ზორბა შავი ქალი გამოდის. თეთრი კამზოლი კოჭებამდე წვდება. ქალები ერთმანეთს ადგილობრივ ენაზე ელაპერაკებიან. მერე მასპინძელი მეუბნება:

– მობრძანდით, მუსიე, მოიქეცით, როგორც საკუთარ სახლში.

სუფთა, ფრინველების გალიებითა და აკვარიუმებით სავსე ოთახს ნავთის ლამპა ანათებს.

– ჟულოსთან მოხვედით? ახლავე დავუძახებ. ჟულ! ჟულ! ვიღაცაა, შენი ნახვა უნდა!

შემოდის ვიღაც მოხუცი. ლურჯზოლებიანი პიჟამო აცვია. კატორღა მახსენდება.

– აბა, თოვლის გუნდავ, ვის უნდა უნდოდეს ჩემი ნახვა ამ უდროო დროს? პაპიონ! დაუჯერებელია! – მეხვევა და ამბობს:

– დამაცა, აქეთ მოსწიე, თოვლის ბებიავ, ლამპა, რათა ჩემი ძმაკაცის სიფათი უკეთ დავინახო. მართლა შენა ხარ, ბიჭო, მართლა შენა ხარ? კეთილი იყოს შენი მობრძანება! აი, ეს ჭერი, ცოტა მაყუთი, რაც გამაჩნია, ჩემი ცოლის პატარა ქალიშვილი, – ყველაფერი შენია. მითხარი რამე!

ვსვამთ პერნოს, შამპანურს, რომს და დროდადრო ჟულო მღერის.

– ბოლოს ხომ მაინც ვათოხლეთ იმათ, არა, ძმაკაც? მე გამოვიარე კოლუმბიაზე, პანამაზე. კოსტა-რიკაზე, იამაიკაზე და აგერ, უკვე დაახლოებით ოცი წელია, აქ ვცხოვრობ და ბედნიერი ვარ ამ თოვლის გუნდის გვერდით. იგი ყველაზე საუკეთესო ქალია, როგორიც კი შეიძლება შეგხვდეს. როდის მიდიხარ? აქ დიდიხანს დარჩები?

– არა, ერთ კვირას.

– რა საქმეზე ხარ?

– თამაშზე კონტრაქტი უნდა გავაფორმოთ კაზინოს პატრონთან.

– ჩემო მეგობარო, მინდა მთელი სიცოცხლე აქ, ჩემთან დარჩე ამ მენახშირეების მხარეში, მაგრამ, გირჩევ, იმ ნაძირალა კაზინოს პრეზიდენტთან საქმე არ დაიჭირო. როგორც კი დაინახავს, რომ საქმე კარგად მიდის, ვინმეს შენს თავს მოაკვლევინებს.

– მადლობა რჩევისთვის.

– რაც შეგეხება შენ, თოვლის ბებო, მოამზადე შენი მაგიური სეანსი – „ტურისტებისათვის" კი არა, ნამდვილი, ჩემი მეგობრისათვის.

ალბათ, სხვა დროს მექნება შემთხვევა, გიამბოთ იმ მაგიის შესახებ, რომელსაც ჟულო „არა ტურისტებისათვის" უწოდებს.

მოკლედ, ჟულო გაიქცა. მე, დეგა და ფერნანდესი კვლავ ხელსაყრელ დროს ველოდებით. ხანდახან მალულად ფანჯრის გისოსებს ვათვალიერებ. ვერაფერს იზამ, ნამდვილი რკინიგზის რელსებია. გვრჩება მხოლოდ კარი, რომელსაც დღედაღამ სამი შეიარაღებული კაცი ყარაულობს. მას შემდეგ, რაც ჟულო გაიქცა, ღამის შემოვლის ინტერვალი შემცირდა. ექიმიც ნაკლებ თავაზიანია. შატალი მხოლოდ დღეში ორჯერ მოდის ნემსის გასაკეთებლად და სიცხის გასაზომად. მეორე კვირა გადის. კვლავ ვიხდი ორას ფრანკს. დეგა ყველაფერზე ლაპარაკობს, გაქცევის გარდა. გუშინ ჩემი დანა დაინახა და მეუბნება:

– არ მოგიშორებია? რისთვის გინდა?

– იმისთვის, რომ, თუ საჭირო გახდება, შენი და ჩემი ტყავი დავიცვა, – ვპასუხობ მე.

ფერნანდესი ესპანელი არ არის – არგენტინელია. როგორც კაცს, ვერაფერს დაუწუნებ, ნამდვილი ავანტიურისტია, მაგრამ კარორას ლაყბობამ მასზეც იმოქმედა. ერთ დღეს ყური მოვკარი, თუ როგორ ეუბნებოდა დეგას:

– კუნძულებზე ჯანმრთელი ჰავა უნდა იყოს და, ეტყობა, არც ცხელა. ამ პალატაში კი, საკმარისია, ტუალეტში გახვიდე, რომ დიზენტერიის ბაცილა აიკიდო.

დღე არ გავა, რომ ამ სამოცდაათკაციან პალატაში ერთი ან ორი კაცი დიზენტერიით არ მოკვდეს. კვდებიან ყოველთვის ნაშუადღევის ან საღამოს მიქცევისას. რატომ?! – ღმერთმა უწყის.

წუხელ დეგას ველაპარაკე. ვუთხარი, რომ ხანდახან, ღამღამობით, არაბი ზედამხედველი დაუდევრობას იჩენს და მძიმე ავადმყოფს თავზე წაფარებულ საბანს უსწორებს. ამ დროს შესაძლებელია, გავთიშოთ, მისი ტანსაცმელი ჩავიცვათ (ჩვენ მარტო პერანგებსა და სანდლებში ვართ), გარეთა ყარაულს მოულოდნელად დავესხათ, მუშკეტი წავართვათ, პალატაში შემოვათრიოთ და ჩავკეტოთ. ამის შემდეგ მარონის მხარეს ჰოსპიტლის კედელზე გადავხტებით და დინებას გავყვებით. მერე ვნახოთ. რაკი ფული გვაქვს, ნავსა და საკვებს ვიყიდით და ზღვაში გავალთ. ორიეე უარზეა, მაკრიტიკებენ კიდეც. ვხვდები, რომ „ჩასვრილები" არიან. გულგატეხილი ვრჩები. დღეები კი შეუბრალებლად გარბიან.

აი, უკვე სამ კვირას ორი დღე აკლია, რაც აქ ვართ. ბედის საცდელად მხოლოდ ათი ან თხუთმეტი დღე მრჩება. დღეს ღირსშესანიშნავი თარიღია – 1933 წლის 21 ნოემბერი: ოთახში კლუზიო შემოდის – კაცი, რომლის მოკვლაც სენ-მარტენში, საპარიკმახეროში სცადეს. მას თვალები ჩირქით აქვს სავსე, თითქმის ბრმაა. შატალი გადის თუ არა, მასთან მივდივარ. სწრაფად მიყვება, რომ უკვე თხუთმეტი დღეა, რაც ინტერნირებულები კუნძულზე წაიყვანეს, ის კი, რატომღაც, დაავიწყდათ. ეს სამი დღის წინ ერთი ალმრიცხველისაგან გაიგო. თვალში აბუსალათინის მარცვალი ჩაიგდო და ჩირქიანი თვალების გამო აქ მოხვდა. გასაქცევად ყველაფერზე მზადაა, თუნდაც ვინმეს მოკვლა გახდეს საჭირო. სამი ათასი ფრანკი აქვს. თბილი წყლით მობანვების შემდეგ მხედველობა დაუბრუნდება. ჩემს გეგმას ვაცნობ. მოსწონს, მაგრამ მირჩევსა, მეთვალყურეებზე თავდასასხმელად ორნი გავიდეთ, ან, თუ შესაძლო იქნება – სამნი. არ გაგვიძნელდება საწოლის რკინის ფეხის მოძრობა და მათი გათიშვა. დარწმუნებულია, მუშკეტებით ვერ შევაშინებთ, იციან, რომ სროლას გაებედავთ და იმ შენობიდან მოუხმობენ დარაჯებს საშველად, რომელიც აქედან ოც მეტრშია და საიდანაც ჟულო გაიქცა.

მესამე რვეული

პირველი გაქცევა:

გაქცევა ჰოსპიტლიდან

ამ საღამოს ჯერ დეგასთან ლაპარაკი მოვახერხე მერე – ფერნანდესთან. დეგას ჩემი გეგმისა არ საჯერა და მზადაა, ნებისმიერი თანხა გადაიხადოს, რომ ინტერნირება მოიხსნას. მთხოვს, სიერას მივწერო ამის შესახებ და. გავიგო, შესაძლებელია ეს თუ არა. შატალს იმავე დღეს მოაქვს პასუხი: „არავის მისცეთ ფული ინტერნირების მოსახსნელად. ეს ზომა საფრანგეთიდან მოდის და არავის, თვით კოლონიის უფროსსაც კი, არ შეუძლია მისი შეცვლა. თუ ჰოსპიტალში ყოფნა მოგწყინდათ, სცადეთ, გამოხვიდეთ გემ „მანას“ კუნძულებზე წასვლის მეორე დღეს. ამგვარად, წასვლამდე რვა დღეს საკნებში დარჩებით და შეიძლება იქიდან უფრო იოლი იყოს გაქცევა, ვიდრე ჰოსპიტლის პალატიდან.“ იმავე ბარათში სიერა მთავაზობს ერთი ყოფილი კატორღელის გამოგზავნას, რათა ჰოსპიტლის უკან ნავის მომზადებაზე მოველაპარაკო. იგი ვინმე ტულონელია, რომელსაც იესო ჰქვია და რომელმაც ორი წლის წინ ექიმ ბუგრის გაქცევა მოამზადა. მის სანახავად რენტგენის გადასაღებად უნდა გავიდე სპეციალურად მოწყობილ პავილიონში, რომელიც ჰოსპიტლის ტერიტორიაზეა. გათავისუფლებულებს იმ დღეს რენტგენზე გასატარებლად ყალბი საბუთებით უშვებენ. სიერა მაფრთხილებს, მანამდე „ქისა“ გამოვიღო, რომ ექიმმა არ აღმოაჩინოს. მე ვატყობინებ, იესო რენტგენზე მოიყვანოს და ისე მოაწყოს, რომ შატალმა მეც იქ გამაგზავნოს. იმავე საღამოს სიერა მპასუხობს, რომ ეს შეხვედრა ზეგ ცხრა საათზე მოხდება.

მეორე დღეს დეგა და ფერნანდესი ჰოსპიტლიდან გაწერას თხოულობენ. „მანა“ დილით წავიდა. მე ჩემს გეგმებს არ გადავუხვევ.

იესოს შევხვდი. ესაა ერთი ბებერი, სარდინივით ხმელი ყოფილი კატორღელი, რომლის გარუჯული სახე ორ დიდ ნაიარევს დაუმახინჯებია. ერთი თვალი განუწყვეტლივ უტირის. რაც სიფათია, გამოხედვაც ისეთი აქვს! უნდობლობის გრძნობა მიჩნდება. მომავალი დაამტკიცებს ჩემს სიმართლეს. სწრაფად ვლაპარაკობთ:

– შემიძლია ოთხი, მაქსიმუმ – ხუთი კაცისთვის ნავი მოგიმზადოთ: სამი ნიჩბით, ერთი კასრი წყლით, საკვებით, ყავით, თამბაქოთი, ფქვილის ცარიელი ტომრებით, ნემსითა და ძაფით, რათა მათგან შეკეროთ აფრები, ფოკის ჩათვლით. იქნება კომპასი, ცული, დანა და ხუთი ლიტრი ტაფია (გვიანური რომი). ყველაფერ ამას ორი ათას ხუთასი ფრანკი დასჭირდება. მთვარე სამ დღეში მიილევა. თუ თანახმა ხარ, აქედან მეოთხე დღიდან ყოველ ღამეს, თერთმეტი საათიდან დილის სამ საათამდე, რვა დღის განმავლობაში, მდინარეში ნავით დაგელოდები. მთვარის პირველი მეოთხედის შემდეგ აღარ მოვალ. ნავი ზუსტად ჰოსპიტლის კედლის კუთხის წინ იქნება. კედელს გამოუყევი და ზუსტად იმ ადგილას მოდი, სხვანაირად ნავს ორ მეტრშიც ვერ დაინახავ.

არ ვენდობი, მაგრამ მაინც „ჰოს“ ვეუბნები.

– მაყუთი? – მეკითხება იესო.

– სიერას ხელით გამოგიგზავნი, – ვპასუხობ და ერთმანეთს ხელის ჩამორთმე-

ვის გარეშე ვშორდებით.

სამ საათზე შატალს სიერასთან ორი ათას ხუთას ფრანკს ვატან. ვფიქრობ: „ამ ფულს გალგანის წყალობით ვიმეტებ, რადგან ავანტიურაზე მივდივარ. ოღონდაც ტაფიაში არ განიავდეს ეს ორი ათას ხუთასი ფრანკი“!

კლუზიო გახარებულია. თავისი თავისაც სჯერა და ჩემი გეგმისაც. ერთი რამ აშფოთებს: არაბი ოთახში იშვიათად შემოდის გვიან. მეორე პრობლემა: ვინ შეიძლება, მესამე კაცად შევიამხანაგოთ? არის ერთი კორსიკელი ნიცადან, ბიაჯო. იგი კატორღაში 1929 წლიდანაა და აქ განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშაა, რადგან ვიღაც მოკლა და საქმე გამოძიების პროცესშია. მე და კლუზიო ვბჭობთ, დაველაპარაკოთ, თუ არა, და როდის. სანამ ჩვენ დაბალ ხმაზე ვსაუბრობთ, ერთი ქალივით ლამაზი, თვრამეტი წლის ჭაბუკი გვიახლოვდება. მატურეტი ჰქვია. ტაქსის მძღოლის მკვლელობისთვის მას სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ აპატიეს, რაკი ჩვიდმეტი წლის იყო. ორნი ჩავარდნენ – ცამეტი და ჩვიდმეტი წლისანები და, იმის მაგივრად, რომ სასამართლოზე დანაშაული ერთმანეთისთვის გადაებრალებინათ, ეს ორი ბავშვი მძღოლის მკვლელობას თავის თავზე იღებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მძღოლს მხოლოდ ერთი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. სასამართლოში ამ ორი ბალღის ქცევამ კატორღელების თვალში მათ ფასი აუწია.

მოკლედ, მატურეტი გვიახლოვდება და ქალური ხმით ცეცხლს გვთხოვს. ვუკიდებ და თან ოთხ ცალ სიგარეტსა და ერთ კოლოფ ასანთს ვაძლევ საჩუქრად. იგი მადლობას კოპწია ღიმილით მიხდის და მიდის. მოულოდნელად კლუზიო მეუბნება:

– პაპი, გვეშველა! როცა და რამდენჯერაც მოგვესურვება, ბუღა იმდენჯერ შემოვა.

– რანაირად?

– უბრალოდ, დავაჯეროთ მატურეტი, რომ ამ ბუღას თავი შეაყვაროს. კარგად იცი, არაბებს ახალგაზრდები უყვართ. აქედან გამომდინარე, ღამით ამ ბიჭთან სასიყვარულოდ შემოტყუება ძნელი არა არის. მატურეტი სთხოვს ჰგვიან შემოვიდეს ხოლმე, რომ არავინ დაინახოს.

– მაცალე, ვცადო.

მუტურეტი ჩემს მიახლოებაზე კეკლუცად მიღიმის. ალბათ ჰგონია, პირველი ლაპარაკის შემდეგ თავი მომაწონა. მაგრამ მე ჩუმად და სწრაფად ვეუბნები:

– ცდები, წამოდი ტუალეტში!

მომყვება.

– თუ ვინმესთან გაიმეორებ იმას, რასაც ახლა გეტყვი, ცოცხალი არ გადამირჩები. აი, რა: გააკეთებ ამას, ამას და ამას, ფული რომ მოგცე? რამდენი გინდა ამ საქმისათვის? იქნებ ჩვენთან ერთად წამოსვლა გსურს?

– წამოსვლა მინდა.

– თანახმა ხარ?

– მპირდები?

– გპირდები.

ერთმანეთს ხელს ვართმევთ და დასაწოლად მიდის.

კლუზიოსთან რამდენიმე სიტყვის გადალაპარაკების შემდეგ მეც ვწვები. საღამოს რვა საათზე მატურეტი ფანჯარასთან ზის. არაბს მიპატიჟება არ სჭირდება – პირდაპირ მასთან მიდის. მარტონი ხმადაბლა საუბრობენ. ათ საათზე მატურეტი

წვება. ჩვენც ვწევართ, მაგრამ ცალი თვალი იქით გვიჭირავს. ბუღა პალატაში შემოვლაზე შემოდის და ვილაცას მკვდარს პოულობს. კარებზე აკაკუნებს და ცოტა ხნის შემდეგ ორ კაცს მკვდარი საკაცით მიაქვს. ეს მიცვალებული დიდ სამსახურს გვიწევს, რადგან ამით არაბის ღამღამობით შემოსვლას გამართლება უჩნდება. მატურეტი პაემანს მეორე დღის საღამოს თერთმეტი საათისთვის უნიშნავს. არაბი ზუსტად ამ დროისათვის შემოდის, მიდის ბიჭის საწოლთან, ფეხებში ქაჩავს და ტუალეტში გადის. მატურეტი მიჰყვება. მეოთხედი საათის შემდეგ არაბი ტუალეტიდან ბრუნდება, პირდაპირ კარისაკენ მიემართება და გადის. მატურეტი სიტყვის უთქმელად წვება. მოკლედ, მეორე დღეს იგივე გამეორდება, ოღონდ, უკვე შუაღამისას. ისე აეწყო, როგორც გვინდოდა: „ბუღა" მაშინ შემოვა, როცა ბიჭუნა ეტყვის.

1933 წლის 27 ნოემბერს საწოლის ორი ფეხი მოსახსნელად გვაქვს გამზადებული. ნაშუადღევის ოთხი საათისთვის სიერასაგან სიტყვას ველოდები. შატალს ბარათი არ მოაქვს, ისე მეუბნება:

– ფრანსუა სიერამ გადმოგცა, რომ იესო დათქმულ ადგილას გელოდება. ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

საღამოს რვა საათზე მატურეტი არაბს ეუბნება:

– ნაშუაღამევს მოდი, მაშინ ერთად უფრო დიდხანს დავრჩებით.

არაბი თანახმაა. ზუსტად შუაღამისას ჩვენც მზად ვართ. არაბი პირველის თხუთმეტი წუთისათვის შემოდის, პირდაპირ მატურეტის საწოლთან მიდის, ფეხებზე ეხება და სველას ტუალეტისკენ განაგრძობს. მატურეტი მიჰყვება. ფეხის მოხსნისას საწოლი იატაკზე ვარდება და ხმაურს იწვევს. კლუზიოს მხრიდან არაფერი ისმის. მე ტუალეტის კარს უკან ვდგები. კლუზიოც იქით წავა, რათა ყურადღება მიიპყროს. ოცი წუთის ლოდინის შემდეგ ყველაფერი ელვის სისწრაფით ხდება: ტუალეტიდან გამოსვლისას კლუზიოს დანახვით გაკვირვებული არაბი, ეკითხება:

– რას დარჭობილხარ აქ ამ შუაღამისას? წადი, დაწექი!

მაგრამ, სიტყვის დასრულებამდე კეფაში დარტყმას იღებს და უხმაუროდ ეცემა. სწრაფად ვიცვამ მის ტანსაცმელს, მერე კი მას ერთ-ერთი საწოლის ქვეშ ვჩურთავთ.

ამ ოთხმოცკაციან ოთახში არავინ განძრეულა. სამივენი სწრაფად მივემართებით კარისკენ. კლუზიო და მატურეტი ისევ პერანგებში არიან. ვაკაკუნებ. დარაჯი კარს ალებს. ვიქნევ ჩემს რკინას და – ბახ! – თავში. მეორეს, კარის პირდაპირ რომ იჯდა, მუშკეტი უვარდება – ეტყობა. ეძინა სანამ რამეს მოიმოქმედებდეს, იმასაც ვთიშავთ. იმან, ვისაც კლუზიომ ჩაარტყა, ჩაკეცვამდე „აპ" წამოიძახა. ჩემები – ორნი – სკამებზე დარჩნენ, ის მესამე კი ძირს გაიშხლართა. ვშეშდებით. ისე მოგვეჩვენა, თითქოს ეს „აპ" მთელმა მსოფლიომ გაიგო, მაგრამ არავინ განძრეულა. ამათ იქვე ვტოვებთ და მივდივართ. მუშკეტები ხელში გვიჭირავს. წინ – კლუზიოა, შუაში – ბიჭუნა, უკან. მე – ცუდად განათებულ კიბეზე ჩავდივართ. კლუზიომ თავისი რკინი გადააგდო. მე ჩემი მარცხენა ხელში მიჭირავს, მარჯვენაში კი მუშკეტი მაქვს ჩაბღუჯული. ქვემოთ სიწყნარეა, ჩვენ ირგვლივ – უკუნეთი. კარგად თუ არ დააკვირდი, მდინარის მხარეს კედელს ვერ დაინახავ. სწრაფად მივდივართ იქითენ. კედელთან მისულები, ხელებით კიბეს ვაკეთებთ. კლუზიო ადის, იხრება და ჯერ მატურეტი აჰყავს, მერე – მე. კედლის მეორე მხარეს სიბნელეში ვეშვებით. კლუზიო რაღაც ორმოში უხერხულად ვარდება და ველარ

დგება – ეტყობა, ფეხი იტკინა – ამბობს, ფეხი მომტყდაო. ჩვენ არაფერი დაგვშავებია. მატურეტს კლუზიოსთან ვტოვებ და ხელების ცეცებით კუთხისაკენ გავრბივარ. ისე ბნელა, რომ კედლის დამთავრებას ვერ ვამჩნევ და კინიღამ კისერს ვიტეხ. მდინარის მხრიდან ვიღაცის ხმა მეკითხება:

– თქვენ ხართ?

– კი. იესო ხარ?

– ჰო.

ნახევარი წამით ანათებს, რომ დავაფიქსირო, სად არის. წყალდაწყალ ვუახლოვდები. ისინი ორნი არიან.

– ამოვიდეს პირველი. რომელი ხარ?

– პაპიონი.

– კარგი.

– იესო, უკან უნდა ავცურდეთ, ჩემმა მეგობარმა კედლიდან ჩამოხტომისას ფეხი მოიტეხა.

– აი, ნიჩაბი, აიღე და მოუსვი!

სამი ნიჩაბი წყალში ეშვება და მსუბუქი ნავი სწრაფად ფარავს იმ ასიოდე მეტრს, რომელიც ჩემიანების სავარაუდო ადგილსამყოფელს გვაშორებს. უკუნეთი ღამეა. „კლუზიო" ვეძახი:

– ღვთის გულისათვის, ჩუმად! – ამბობს იესო, – ლ'ანფლე, ჩამოჰკარი სანთებელას!

ნაპერწკლების წყალობით, შეგვამჩნიეს. კლუზიო ლიონურად, კბილებს შორის უსტვენს. ეს უხმაურო სტვენაა, გველის სისინს ჰგავს და კარგად გვესმის. კლუზიო მანამდე უსტვენს, სანამ ზედ არ ვადგებით. ლ'ანფლე ჩადის, კლუზიო ხელში აჰყავს და ნავში სვამს. მატურეტის შემდეგ ლ'ანფლე ამოდის. ჩვენ ხუთნი ვართ და ნავში წყლის შემოსვლას ორი თითის დადებაღა აკლია.

– გაუფრთხილებლად არ გაინძრეთ, – ამბობს იესო, – პაპიონ, ამოიღე ნიჩაბი და მუხლებზე გარდიგარდმო დაიდე. მიდი, ლ'ანფლე, – და სწრაფად, მდინარების დახმარებით, ნავი სიბნელეში ინთქმება.

როცა ამ ადგილიდან ერთი კილომეტრით დაშორებულ, ღარიბულად განათებულ კოლონიას ჩავუარეთ, უკვე მდინარის შუაგულში ვიყავით და დინება თავბრუდამხვევი სიჩქარით მიგვაქანებდა. ლ'ანფლემ ნიჩბის მოსმა შეწყვიტა. იესოც აღარ უსვამს, ნიჩაბს მხოლოდ ნავის გასაწონასწორებლად იყენებს.

– ახლა შეგვიძლია, ვილაპარაკოთ და მოვწიოთ, – ამბობს იესო. – დარწმუნებული ხარ, რომ არავინ მოგიკლავს?

– არა მგონია.

– ღმერთო ჩემო, იესო, რატომ მომატყუე? – ამბობს ლ'ანფლე, – ხომ მითხარი, ეს უბრალო გაქცევააო. ახლა კი ვიგებ, რომ ინტერნირებულები გარბიან!

– კი, ესენი ინტერნირებულები არიან, ლ'ანფლე. სიმართლე რომ მეთქვა, არ დამეხმარებოდი, მე კი კაცი მჭირდებოდა. ნუ გამიბრაზდები, თუ ჩავვარდებით, ყველაფერს ჩემს თავზე ავიღებ.

– სამართლიანიც იქნება. იესო, არ მინდა, თუ ვინმე მოკლეს, შენი მოცემული ასი ქალალდისათვის თავი საფრთხეში ჩავიგდო, ან კიდევ, სამუდამო ავიკიდო, თუ ვინმე დაჭრეს.

– ლ'ანფლე, – ვეუბნები მე, – ათას ფრანკს კიდევ მოგცემთ ორივესთვის.

– თუ ასეა, რა გაეწყობა. სოფელში შიმშილით ვიხოცებით. პატიმრობა სჯობია ჩვენს ყოფას. იქ ყოველდღიური საჭმელი და ტანსაცმელი მაინც გვქონდა.

– ფეხი ძალიან გტკივა? – ეკითხება იესო კლუზიოს.

– გავუძლებ. პაპიონ, რა გეშველება ჩემი მოტეხილი ფეხით?

– ვნახოთ. საით მივდივართ, იესო?

– ზღვაში გასასვლელიდან ოცდაათ კილომეტრზე ერთ პატარა უბეში დაგმალავთ, სადაც რვა დღეს დარჩებით, სანამ „ძაღლებისა" და ადამიანებზე მონადირეთა საშიშროება გაივლის. აზრი უნდა შევქმნათ, თითქოს ამავე ღამეს მარონიდან ზღვაში გახვედით. ყველაზე საშიში ადამიანებზე მონადირეები არიან, რადგან უმოტორო ნავებით იწყებენ ძებნას. თუ ისინი ახლოს აღმოჩნდებიან, ცეცხლის ანთება, ლაპარაკი ან ხველება, შესაძლოა, თქვენთვის საბედისწერო აღმოჩნდეს. „ძაღლები" მოტორიან ნავებს იყენებენ და პატარა, მეჩხერ ყურეში ვერ შემოაღწევენ.

ღამე იცრიცება. დაახლოებით დილის ოთხ საათზე, დიდი ხნის ძებნის შემდეგ, მხოლოდ იესოსათვის ცნობილი შესახვევით, ნელ-ნელა შევდივართ ტევრში. პატარა მცენარეები ნავის ქვეშ იხრება და ჩვენ უკან გასწორებული ხშირი ღობის საფარველს ქმნის. ჯადოქარი უნდა იყო, რომ მიხვდე, არის, თუ არა ნავის ქვეშ საკმარისი სიღრმე. ტევრში საათზე მეტხანს მივცურავთ. შემხვედრი მცენარეების ტოტებს აქეთ-იქეთ ვეწევით, მაგრამ ერთბაშად ერთგვარ არხში ვხვდებით და ვჩერდებით. ნაპირი მწვანე ბალახით არის დაფარული. ირგვლივ უზარმაზარი ხეების ტყეა და, მიუხედავად დილის ექვსი საათისა, დღის სინათლე ჩვენამდე ვერ აღწევს. ტყის გუმბათის ქვეშ ათასგვარი, ჩვენთვის უცნობი მხეცის ხმა ისმის.

– აი, აქ უნდა დაიცადოთ რვა დღე. მე მეშვიდე დღეს მოვალ და საკვებს მოგიტანთ, – გვეუბნება იესო მერე ხშირი ფოთლებიდან დაახლოებით ორი მეტრის სიგრძის, „პიროგა" გამოჰყავს, შიგ ორი ნიჩაბია. როცა მოქცევა დაიწყება, სენლორანში ამით წავა.

ახლა დროა, კლუზიოს მივხედოთ. იგი უკვე ნაპირზე წევს და რაკი ისევ პერანგი აცვია, შიშველი ფეხები უჩანს. მშრალი ტოტებისაგან ფეხზე არტაშანის დასადებად ცულით ჯოხებს ვჩორკნით. ლ'ანფლე ფეხში ეწევა. კლუზიოს სახეზე ოფლის მსხვილი წვეთები ჩამოსდის.

– შეჩერდი! – ამბობს უცებ, – ასე ნაკლებად მტკივა, ეტყობა, ძვალი თავის ადგილას ჩავარდა.

ტოტებს ვადებთ და ნავიდან აღებული ახალი კანაფის თოკით ვკრავთ. ცოტა მოეშვა. იესოს ჩვენთვის ოთხი შარვალი, ოთხი პერანგი და ოთხი ჯვალო წამოუღია. მატურეტი და კლუზიო იცვამენ, მე არაბის სამოსში ვრჩები. რომს ვსვამთ – წამოსვლიდან უკვე მეორე ბოთლი იცლება. საბედნიეროდ, რომი გვათბობს. მწერები გაუჩერებლად გვიტევენ, ამიტომ ერთ კოლოფ სიგარეტს ვწირავთ: თამბაქოს ვასველებთ და სახეზე, ხელებსა და ფეხებზე ვისვამთ. შალის ჯვალოები ამ ძვალრბილში გამავალი სინესტისაგან გვიცავს.

– მივდივართ, – ამბობს ლ'ანფლე, – სად არის დაპირებული ათასი?

მოშორებით გავდივარ და მთლად ახალი ათასიანი ბანკნოტით ვბრუნდები.

– ნახვამდის, აქედან რვა დღეს ფეხი არ მოიცვალოთ, – გვეუბნება იესო, – მეშვიდე დღეს მოვალ. მერვე დღეს უკვე ზღვაში გახვალთ. მანამდე აფრა და ფოკი

გაამზადეთ, ნავში ყველა ნივთს თავისი ადგილი მიუჩინეთ. საჭე ასაწყობია, გამართეთ და დაამაგრეთ. ათ დღეში თუ არ გამოვჩნდი, ჩათვალეთ, რომ დამაკაევეს. რაკი საქმე მეთვალყურეზე თავდასხმას ეხება, იქ ახლა სისხლიანი ფოიერვერკი იქნება გამართული.

კლუზიო გვეუბნება, რომ მან მუშკეტი კედელს იქით გადააგდო და, რაკი მდინარე ძალიან ახლოს იყო, ნამდვილად წყალში ჩავარდებოდა. იესოს აზრით, ეს ჩვენთვის უკეთესია, რადგან, თუ მუშკეტს ვერ იპოვნიან, ადამიანებზე მონადირეები იფიქრებენ, რომ შეიარაღებულები ხართ. ჩვენთვის ყველაზე საშიშნი ისინი არიან და ეს ფაქტი მათ მონდომებას გაანელებს, რადგან მხოლოდ რევოლვერითა და მაჩეტეთი შეიარაღებული დადიან. თუ ვინმე აღმოგვაჩენს და ნავის მიტოვება მოგვიხდება, ამ ნაკადულს ზემოთ უნდა ავყვეთ მშრალ ტევრამდე და კომპასის დახმარებით ჩრდილოეთისაკენ განვაგრძოთ გზა. ორი-სამი დღის შემდეგ აუცილებლად მივადგებით „სიკვდილის ბანაკს“, რომელსაც „შავრენი“ ჰქვია. იქ ვინმეს ფული უნდა მივცეთ, რომ იესოს ჩვენი ადგილსამყოფელი შეატყობინოს.

ეს ორი კატორღელი მიდის.

რამდენიმე წუთის შემდეგ მათი პიროგა უჩინარდება. ირგვლივ არც არაფერი ისმის და ვერც ვერაფერს ვხედავთ.

დღე ტევრში განსაკუთრებულად შემოდის – თითქოს თაღების ქვეშ ვართ, რომელიც ამომავალი მზის სხივებს ჩვენამდე არ უშვებს. ნელ-ნელა სითბო მატულობს. მოკლედ, ჩვენ – მე, მატურეტი და კლუზიო – მარტო ვრჩებით. პირველი რეაქცია – ვიცინით. როგორც ვფიქრობდით, ისე გამოგვივიდა. ერთადერთი, რაც გვაწუხებს, კლუზიოს ფეხია. გვეუბნება, რომ მას შემდეგ, რაც არტახები დავადეთ, უკეთესად არის. ახლა ყავა არ გვაწყენდა. სწრაფად ვანთებთ ცეცხლს და დიდ ულუფა კასონადთან ერთად მაგარ ყავას ვსვამთ. გემრიელია. გუშინდელს აქეთ იმდენი ენერგია დავხარჯეთ და ისე დავიღალეთ, რომ ძალა არ გვყოფნის, ნავი დავათვალიეროთ და რამე გავაკეთოთ. მერე ვნახავთ. ჩვენ თავისუფლები ვართ, თავისუფლები, თავისუფლები! ზუსტად ოცდაჩვიდმეტი დღეა, რაც კატორღაში ჩამოვედით. თუ ეს გაქცევა არ ჩაგვეშალა, ჩემი სამუდამო პატიმრობა არცთუ ისე ხანგრძლივი გამოვა. ვამბობ: „ბატონო თავმჯდომარევ, რამდენ ხანს გრძელდება სამუდამო პატიმრობა საფრანგეთში?“ – და გულიანად ვხარხარებ. მატურეტიც იცინის, მასაც სამუდამო ჰქონდა.

– გამარჯვების ზეიმი ჯერ ადრეა. კოლუმბია ძალიან შორს არის და არა მგონია, ეს გამომწვარი ხისაგან გაკეთებული ნავი ზღვაში გასასვლელად ვარგოდეს, – გვეუბნება კლუზიო.

არაფერს ვპასუხობ, რადგან, გულახდილად რომ ვთქვა, უკანასკნელ წუთამდე მეგონა, რომ ამ ნავის დანიშნულება იმ ადგილამდე მიყვანა იყო, სადაც ნამდვილი ნავი დაგვხვდებოდა ზღვაში გასასვლელად. როცა მივხვდი, რომ შევცდი, ვერ გავბედე რამე მეთქვა, რადგან ამით მეგობრებს გულს გავუტეხდი და მეორეც, რაკი იესო ამას ბუნებრივად უყურებდა, არ მინდოდა, მისთვის მეგძნობინებინა, რომ ნავებში ვერ ვერკვეოდი.

პირველ დღეს ლაპარაკსა და ტევრის გაცნობაში ვატარებთ. ჩვენს თავზე მაიმუნებისა და ციყვის მსგავს რაღაც ცხოველებს საშინელი წივილ-კივილი გააქვთ. ველური ღორების – ბაკირების კოლტი წყლის დასალევად და საბანაოდ მოდის.

ორი ათასი მაინც იქნება. ისინი ყურეში შემოდიან, ცურაენ და წყალში ჩაშვებულ ფესვებს გლეჯენ. საიდანღაც კაიმანი ჩნდება და ერთ ტახს იჭერს, რომელიც გამწარებული ჭყავის. დანარჩენი ღორები საშველად მოდიან, კაიმანს ყველა მხრიდან უტევენ, ზურგზე აცოცდებიან და ცდილობენ, უზარმაზარი პირის კიდეებში უკბინონ. კაიმანი კუდის ყოველ მოქნევაზე ღორებს მარჯვნივ და მარცხნივ ისვრის და ერთ მათგანს კლავს, რომელიც ახლა ზურგით წყალში ტივტივებს. მას მაშინვე სხვა ღორები ჭამენ. ყურე სისხლისაგან წითლდება. ეს სპექტაკლი ოც წუთს გრძელდება. მერე კაიმანმა წყალში ჩაყვინთა და მეტად აღარ გამოჩენილა.

კარგად გამოვიძინეთ. დილით, ყავის შემდეგ, ჯვალო გავიხადე და ნავიდან აღებული მარსელური საპნით კარგად დავიბანე. ჩემი ქირურგიული დანით მატურეტი ჯერ მე მპარსავს, მერე – კლუზიოს. თვითონ წვერი არა აქვს. როცა ჩასაცმელად ჯვალოს ვიღებ, იქიდან დიდი, ბეწვიანი შავ-იისფერი ობობა ვარდება. მისი გრძელი ბეწვები პლატინის მაგვარი ბურთულებით ბოლოვდება. ხუთას გრამს მაინც უნდა იწონიდეს. ზიზღით ვჭყლეტ. ნავიდან ყველაფერი გადმოგვაქვს, წყლის კასრის ჩათვლით. წყალი იისფერია – მგონი, იესოს აყროლების საწინააღმდეგო პერგამენტი მეტი მოსვლია. კარგად დახშულ ბოთლებში ასანთის ღერები და გასაკრავებია. კომპასი სასკოლოა, მხოლოდ ოთხ მხარეს აჩვენებს, სხვა დანაყოფები არა აქვს. ანძას ორი მეტრი და თხუთმეტი სანტიმეტრის სიმაღლე აქვს და აფრას ფქვილის ტომრების ნაჭრებით ვაძლიერებთ. ვამზადებთ აგრეთვე ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის ფოკს: ეს ნავს ტალღებზე ცხვირის ანევაში დაეხმარება.

როცა ანძას ვაყენებ, მეჩვენება, რომ ნავს ფსკერი მაგარი არა აქვს. ნახვრეტი, სადაც ანძა უნდა შევიდეს, გამოჭმულია, ხოლო საჭის დასამაგრებელი ჭანჭიკი ხეში ისე შედის, როგორც კარაქში, რაც იმას ნიშნავს, რომ ნავი დამპალია. ეს არამზადა იესო სიკვდილზე გვიშვებს! გული მეკუმშება, როცა ამხანაგებს ყველაფერ ამას ვუჩვენებ. უფლება არ მაქვს, დავუმალო. როგორ მოვიქცეთ? როცა იესო მოვა, ვაიძულებ, უფრო საიმედო ნავი გვიშოვოს. მანამდე განვაიარაღებთ და მე, დანითა და ნაჯახით შეიარაღებული, მასთან ერთად სოფელში სხვა ნავის საშოვნელად წავალ. სახიფათოა, მაგრამ ამ კუბოთი ზღვაში შესვლას ასე სჯობს. საკვებზე ვერაფერს იტყვი: ზეთის დიდი ჭურჭლითა და მანიოკის ფქვილით სავსე ყუთებით შორს წასვლა შეიძლება.

ამ დილას საინტერესო სპექტაკლს დავესწარით: მაიმუნების ნაცრისფერსახიანმა ჯგუფმა მთლად შავი მაიმუნების ჯგუფთან იჩხუბა. ამ ომის დროს მატურეტს თავში ტოტის ნატეხი მოხვდა და ახლა კაკლისოდენა კოპი აზის.

უკვე ხუთი დღე და ოთხი ღამეა, რაც აქ ვართ. წუხელ კოკისპირულად იწვიმა. ველური ბანანის ფოთლებს შევეფარეთ. წვიმამ მხოლოდ ფეხები დაგვისველა. დილით ყავას ვსვამ და იესოზე ვფიქრობ: ჩვენი გამოუცდელობით ისარგებლა და დამპალი ნავი შემოგვტენა! ხუთასი თუ ათასი ფრანკის ეკონომიის გამო ნაღდ სიკვდილზე გვიშვებდა. თავს ვეკითხები, როცა სხვა ნავს მოვაყვანინებ, ხომ არ მოვკლა.

ჩვენს პატარა სამყაროს რაღაც ფრინველის გამყინავი კრიახი აფორიაქებს. მატურეტს ვეუბნები, მაჩეტე აიღე და წადი, ნახე რა არის-მეთქი. ხუთი წუთის შემდეგ ბრუნდება და მანიშნებს, გავყვე. მივდივართ. ნავიდან დაახლოებით ას ორმოცდაათ მეტრში, ჰაერში დაკიდებულ მშვენიერ ხოხობს თუ წყლის ფრინველს

ვხედავ: ორი ჩვენებური მოზრდილი მამლის ხელაა, ფეხით კაკანათში გაბმულა და თავდაყირა კიდია. მაჩეტეს ერთი დარტყმით თავს ვაცლი და საშინელი კივილი წყდება. ხელში ვწონი, ხუთი კილო მაინც იქნება. შინაური მამალივით დეზები აქვს. ვაპირებთ, შევწვათ და შევჭამოთ. მერე აზრად მოგვდის, რომ მახე ვიღაცის დაგებული იქნება და შეიძლება, სხვებიც იყოს. სანახავად მივდივართ და იმ ადგილას საინტერესო რამეს ვაწყდებით: უბიდან დაახლოებით ათ მეტრში, ფოთლებითა და გადახლართული ლიანებით გაკეთებული ბარიერი იწყება და წყლის ნაპირს მიჰყვება. ალაგ-ალაგ ვიწრო გასასვლელი აქვს დატოვებული, სადაც მოლუნულ ტოტზე მიბმული სპილენძის ძაფით მახეა დაგებული. მაშინვე ვხედები: ფრინველი გასასვლელამდე მიჰყვება ბარიერს. გაძრომისას ფეხი სპილენძის მავთულზე უხვდება, ტოტი თავისუფლდება, იშლება და ფრინველი ჰაერში ეკიდება მანამ, სანამ პატრონი მოვა.

ეს აღმოჩენა ცუდ გუნებაზე გვაყენებს. ბარიერი კარგად არის შენახული – გამოდის, ახალია. ჩვენს აღმოჩენამდე შორი მანძილი არ არის. მონადირე, ალბათ, დღისით არ მოვა. ამიტომ ღამით ცეცხლის ანთებას უნდა მოვერიდოთ. მოვილაპარაკეთ, მორიგეობა დავაწესოთ და განსაკუთრებით მახეების მხრიდან ვიყოთ ფხიზლად. ნავი და ნივთები კარგად არის დამალული.

მეორე დღის ათ საათზე ჩემი მორიგეობაა. წუხელ ის ხოხობი თუ მამალი შევჭამეთ. ბულიონმა ძალიან გვასიამოვნა და მოხარშული ხორციც გემრიელი იყო. ორ-ორი ულუფა შეგვხვდა. მოკლედ, ვმორიგეობ, მაგრამ ისე ვერთობი მსხვილი ჭიანჭველების ყურებით, რომლებიც დიდი ფოთლის ნაფლეთებს ბუდეში მიათრევენ, რომ მოვალეობა მავიწყდება. ამ ჭიანჭველებს სანტიმეტრნახევარი სიგრძე და მაღალი ფეხები აქვთ. იმ მცენარემდე მივყვები, საიდანაც ამ ფოთლებს ეზიდებიან და მათ მუშაობას ვაკვირდები. აქ მთელი ორგანიზაციაა: ჭიანჭველების ერთი ნაწილი მცენარეზეა ასული და მომჭრელების როლს ასრულებეს. ისინი ბანანის მაგვარ ფოთლებს სწრაფად, თანაბარ ნაწილებად კუწავენ და დაბლა ყრიან, სადაც ამავე ჯიშის, მაგრამ სხვა შეფერილობის ჭიანჭველები ნახევარწრედ დაწყობილან. მათ ყბებზე ნაცრისფერი ხაზები აქვთ. ესენი მეთვალყურეები არიან. მუშა ჭიანჭველები მარჯვნიდან ერთ რიგად მოდიან, სწრაფად იტვირთებიან და მარცხენა რიგით მიდიან. მწკრივში ჩადგომას ჩქარობენ და ამ სიჩქარეში ხანდახან ზედახორა იქმნება. მაშინ ჭიანჭველა-პოლიციელები საქმეში ერევიან და წესრიგს ამყარებენ. ვერ ვხვდები, ერთმა მუშამ ისეთი რა დააშავა, რომ ორი დარაჯი მივარდა და რიგიდან გამოიყვანა. მერე ერთმა თავი მოაგლიჯა, მეორემ წელში ორად გაწყვიტა, რიგიდან ორი სხვა მუშა ჭიანჭველა გამოიყვანა, ფეხებით ორმოები ამოათხრევინა და მოკლულის სხეულის ნაწილები ცალკ-ცალკე ჩამარხვინა.

მტრედების კუნძული

იმდენად ვარ გართული ამ პატარა სამყაროს ცქერით და ისე მაინტერესებს, პოლიციელი ჭიანჭველების მეთვალყურეობა ბუდემდე ერცელდება თუ არა, რომ გულგახეთქილი ვკრთები, როცა ვიღაცის ხმა მეუბნება:

– არ გაინძრე, თორემ გაგათავებ! შემობრუნდი!

ჩემ წინ ნახევრად შიშველი, კაკის შორტებსა და წითელი ტყავის ჩექმებში გამოწყობილი კაცი დგას და ორლულიან თოფს მიმიზნებს. საშუალო ტანისაა,

მელოტი, ჩაფსკვნილი და მზით გარუჯული. თვალებსა და ცხვირს სვირინგის ბადე უფარავს. შუბლის შუაში ჭია ახატია.

– იარაღი გაქვს?

– არა.

– მარტო ხარ?

– არა.

– რამდენი ხართ?

– სამნი.

– წამიყვანე შენს მეგობრებთან.

– არ შემიძლია. ერთ-ერთ მათგანს მუშკეტი აქვს და არ მინდა, მოგკლას, სანამ არ გავიგებ, რა გინდა.

– აჰა! მაშინ, არ გაინძრე და ხმადაბლა ილაპარაკე. თქვენ ის სამი ბიჭი ხართ, ჰოსპიტლიდან რომ გაიქცა?

– დიახ.

– რომელია პაპიონი?

– მე ვარ.

– გასაგებია. თქვენმა გაქცევამ სოფელი ააფორიაქა. სასჯელმოხდილების ნახევარი ჟანდარმერიაშია დაკავებული. – იგი მიახლოვდება, თოფს დაბლა ხრის, ხელს მიწვდის და მეუბნება: – მე ნიღბიანი ბრეტონი ვარ, გაგიგია რამე ჩემ შესახებ?

– არა, მაგრამ ვხვდები, რომ ადამიანებზე მონადირე არუნდა იყოს.

– მართალი ხარ. ჩემი ხელობა მახეების დაგება და ჰოკოების დაჭერაა. ეტყობა, ვეფხვმა ერთი ცალი მომპარა, თუ, რა თქმა უნდა, თქვენ არ ჩამოხსენით.

– ჩვენ ჩამოვხსენით.

– ყავა გინდა? – ზურგზე გადაკიდებული ჩანთიდან თერმოსს იღებს, ცოტაოდენ ყავას მისხამს და თვითონაც სვამს.

– წამოდი, ჩემი მეგობრები გაჩვენო, – ვეუბნები მე. ის მომყვება და ჩვენ გვერდით ჯდება. ჩუმად იცინის მუშკეტის ამბავზე.

– დავიჯერე, – მეუბნება ის, – მით უფრო, რომ არც ერთმა ადამიანებზე მონადირემ არ ისურვა თქვენ დასაკავებლად წამოსვლა. ყველას ჰგონია, ერთი მუშკეტი წამოიღეთ. – მერე გვიყვება, რომ ოცი წელია, რაც გვიანაშია და ხუთი წლის წინ გათავისუფლდა. ორმოცდახუთი წლისაა. თავის დროზე სისულელე ჩაიდინა და სახეზე ბადე დაახატვინა. ამის გამო საფრანგეთში დაბრუნებაზე არც უფიქრია. ტევრს არ სცილდება – ეს მისი საარსებო წყაროა. აგროვებს პეპელების კოლექციას, ნადირობს გველებსა და ვეფხვებზე მათი ტყავების გამო; განსაკუთრებით კი – ჰოკოზე, რომელიც ჩვენ ასე გემრიელად შევჭამეთ. ბრეტონი მათ ორას-ორას ორმოცდაათ ფრანკად ყიდის. ვეუბნები, გადაგიხდი-მეთქი. შეურაცხოფილი სახით უარს მეუბნება. აი, რას გვიყვება ჰოკოს შესახებ:

– ეს გარეული ფრინველი ნამდვილი ტევრის მამალია. რა თქმა უნდა, მას არასდროს უნახავს, არც შინაური ქათამი და მამალი და არც ადამიანი. ვიჭერ მას, მიმყავს სოფელში და ვყიდი. მას ისინი ყიდულობენ, ვინც ქათმებს აშენებს. მათზე დიდი მოთხოვნილებაა, რადგან არ სჭირდება არც მოშინაურება და არც ფრთების დაჭრა. დაბინდებისას რომ შეაგდებ საქათმეში, დილით, ქათმების გამოშვებისას, უკვე კარში დგება და ისეთ იერს იღებს, თითქოს ქათმებს ითვლიდეს. მიჰყვება

მათ ეზოში, მათთან ერთად კენკავს და თან ყარაულობს. განუწყვეტლივ იყურება მარჯვნივ, მარცხნივ და მაღლა, როგორც ნამდვილი დარაჯი ძაღლი. საღამოს საქათმის კარში დგება და უყურებს, როგორ იბუდებენ ფრინველები. არ ვიცი, რანაირად, მაგრამ, თუ რომელიმე ქათამი აკლია, ხვდება და მოსაძებნად მიდის, პოულობს და, დედალი იქნება ეს თუ მამალი, უჩვენებს, როგორ უნდა დაგვიანება – სულ ნისკარტის ცემით მოჰყავს! ამას გარდა, კლავს ვირთხებს, გველებს, ობობებსა და სხვა ქვეწარმავლებს. თუ სადმე ქორი დალანდა, მაშინვე ყველას მალავს, თვითონ კი საბრძოლველად ემზადება. რაკი საქათმეში ერთხელ მოხვდება, არასოდეს მიატოვებს.

რა არაჩვეულებრივი ფრინველი ყოფილა! ჩვენ კი ჩვეულებრივი მამალივით შევჭამეთ!

ნიღბიანი ბრეტონი გვატყობინებს, რომ იესო, ლ'ანფლე და კიდევ ორმოცდაათიოდე სასჯელმოხდილი, სენ-ლორანის ჟანდარმერიის ციხეში არიან. არაბი ხელშეწყობის ბრალდებით დააკავეს და ახლა ჟანდარმერიის დილეგშია. ჩვენ მისთვის სერიოზული ზიანი არ მიგვიყენებია, მხოლოდ ზედამხედველებს დავუტოვეთ კოპები.

– ჩემით არ დაინტერესებულან, რადგან იციან, რომ მე გაქცევის საქმეებში არ ვერევი, – ამბობს ბრეტონი მისი თქმით, იესო გაიძვერაა. როცა ნავის შესახებ გაიგო, მაშინვე ნახვა მოისურვა და ჯერ კარგად არც კი ჰქონდა დათვალიერებული, რომ წამოიყვირა:

– სიკვდილზე გიშვებდათ ეგ არამზადა! ეს ნავი ზღვაზე ერთ საათზე მეტსაც ვერ გაძლებს – პირველივე დიდი ტალღა შუაზე გატეხავს. ამით წასვლა თვითმკვლელობას უდრის!

– მაშ, რა ვქნათ?

– ფული გაქვთ?

– კი.

– მე გეტყვით, როგორ უნდა მოიქცეთ... ანდა, უმჯობესია, დაგეხმარებით. ამას იმსახურებთ. მე არაფერს მოგთხოვთ, ისე დაგეხმარებით, რადგან მინდა, შენს მეგობრებთან ერთად გაიმარჯვო. არავითარ შემთხვევაში სოფელთან მიახლოება არ გაბედოთ. კარგი ნავის საშოვნელად მტრედების კუნძულზე უნდა წახვიდეთ. მასზე დაახლოებით ორასი კეთროვანი ცხოვრობს მეთვალყურეების გარეშე – ვერც ერთი ჯანმრთელი ადამიანი ვერ ბედავს იქ მისვლას, ექიმიც კი. ყოველი დილის რვა საათზე მათთვის ერთი დღე-ღამის სამყოფი მოუხარშავი სანოვაგე და წამლები მიაქვთ და ნაპირზე ტოვებენ. კეთროვანი სანიტრები უელიან ავადმყოფებს. ვიმეორებ, არავინ – მღვდლისა და ადამიანებზე მონადირეების ჩათვლით – არავინ მიდის იქ. კეთროვანები საკუთარი ხელით აშენებულ პატარა ჩალის ქოხებში ცხოვრობენ; აქვთ ერთი საერთო საკრებულო; ყოფას ქათმებისა და იხვების მოშენებით იუმჯობესებენ; აკრძალული აქვთ გარე სამყაროსთან ურთიერთობა, მით უმეტეს – ვაჭრობა, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ეწევიან კონტრაბანდისტობას სენ-ლორანთან, სენ-ჟაკთან, ალბინასთან და ჰოლანდიის გვიანასთან. ისინი, უკლებლივ ყველა, საშიში მკვლელები არიან. ერთმანეთს არ ერჩიან, მაგრამ, როცა საიდუმლოდ ტოვებენ კუნძულს, ათასგვარ დანაშაულს სჩადიან და კვლავ კუნძულს აფარებენ თავს. ასეთი გასვლებისათვის მეზობელ სოფლებში მოპარულ ნავებს იყენებენ. მათთვის ყველაზე

დიდი დანაშაული – ნავის ქონაა. პოლიციელები ესვრიან ყველა ნავს, რომელიც კი კუნძულის მიდამოებში გამოჩნდება და ამიტომ კეთროვანები მათ ქვებით ავსებენ და ძირავენ. როცა დასჭირდებათა წყალში ყვინთავენ და ქვებისაგან ათავისუფლებენ. ამ კუნძულზე ყველა ჯურის ადამიანს შეხვდებით – ყველა რასისა და საფრანგეთის ყველა რეგიონის წარმომადგენელს. მოკლედ, შენი ნავი მხოლოდ მარონიზე გამოდგება, ისიც, იმ შემთხვევაში თუ არ გადატვირთავ. ზღვაში გასასვლელად უკეთესი ნავი გჭირდება და ასეთს მხოლოდ მტრედების კუნძულზე იშოვი.

– მერე, ეს როგორ მოვახერხო?

– აი რა: ეს კუნძული სენ-ლორანიდან ორმოცდაათ, ხოლო შესართავიდან – ას ორმოცდაათ კილომეტრზეა, ესე იგი, საჭიროა დინებას ზემოთ აუყვე. მე კუნძულის თვალსაწიერამდე მიგყვებით. ჩემს პიროგას თქვენს ნავს გამოვაბამთ და როცა კუნძული გამოჩნდება, უკან დავბრუნდები, თქვენ კი თქვენს საქმეს მიხედავთ.

– ჩვენთან ერთად წამოსვლა რატომ არ გინდა?

– ღმერთმა დამიფაროს! მე ერთხელ მოვხვდი იქ დღისით-მზისით, როცა ადმინისტრაციის გემით მივედით და რაც ვნახე, თუნდაც შორიდან, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მეყოფა. მაპატიე, პაპი. იქ ფეხს აღარასოდეს დავადგამ. მათთან ურთიერთობას ზიზღის გარეშე ვერ შევძლებ და ასე შენც გაგიფუჭებ საქმეს.

– როდის წავიდეთ?

– როგორც კი დაღამდება.

– ახლა რომელი საათია, ბრეტონ?

– სამი.

– მაშინ, ცოტას დავიძინებ.

– არა, ნავი ახლავე უნდა დატვირთო და გაამზადო.

– ცარიელი ნავით წამოვალ და მერე კლუზიოს წასაყვანად დავბრუნდები. ის მანამდე ბარგს უყარაულებს.

– შეუძლებელია. ამ ადგილს დღისითაც კი ვეღარ იპოვი, მით უმეტეს, მხოლოდ ღამით უნდა იცურო. ეს ადგილები ჯერ კიდევ საშიშია, რადგან თქვენზე ნადირობა არ შეწყვეტილა.

საღამოვდება. ბრეტონს თავისი პიროგა მოჰყავს და ჩვენს ნავს უბამს. მე – წინ, ხოლო ბრეტონი – ბოლოში, საჭესთან ჯდება. მის წინ კლუზიოა, შუა ნავში – მატურეტი. წვალებით გამოვდივართ სამალავიდან და როცა მდინარის შუაგულს ვაღწევთ, უკვე ღამდება. ცეცხლოვანი, უზარმაზარი მზე ბრჭყვიალა სხივთა თამაშით მდინარის შესართავთან წყალში იძირება. ჩვენ თვალწინ ნათლად ჩანს, თუ როგორ ერთვიან ოკეანეს მდინარის ათასფერად მოლივლივე ტალღები.

– მიქცევა მთავრდება, – ამბობს ბრეტონი, – ერთ საათში მოქცევა დაიწყება და კუნძულამდე მისვლაში დაგვეხმარება.

უეცრად ბნელდება.

– წინ, – ამბობს ბრეტონი, – ღონივრად მოუსვი, რომ მდინარის შუაში გავიდეთ. თამბაქო არ მონიოთ.

ნიჩბები წყალში ეშვება და მდინარეს სიგანეზე ვკვეთთ. საკმაოდ სწრაფად მივსრიალებთ. მე და ბრეტონი შეწყობილად ვუსვამთ, მატურეტიც ცდილობს, არ ჩამოგვრჩეს. რაც უფრო ვუახლოვდებით მდინარის შუაგულს, მით უფრო ვგრძნობთ

მოქცევის ძალას, რომელიც ყოველ ნახევარ საათში მატულობს. ექვსი საათის ცურვის შემდეგ კუნძულს საკმაოდ ვუახლოვდებით, დინება პირდაპირ მისკენ მიგვაქანებს. მდინარის შუაგულში, ჩვენგან ცოტა მარჯვნივ, მსხვილ ლაქას ვამჩნევ.

– ეგ არის, – ხმადაბლა ამბობს ბრეტონი. მდინარეს ნისლი აწევს და ნაპირიდან ჩვენი შემჩნევა ძნელი იქნება. როცა იმდენად ვუახლოვდებით, რომ კუნძულის მოხაზულობა იკვეთება, ბრეტონი თავის პიროგაში გადადის, სწრაფად ხსნის და უბრალოდ, დაბალ ხმაზე გვეუბნება: – წარმატებას გისურვებთ, ბიჭებო!

– გმადლობთ.

– არაფრის.

ნავს ბრეტონის ხელი აკლდება და დინებას პირდაპირ კუნძულისაკენ მიაქვს. ვცდილობ, გავასწორო, მაგრამ ვერ ვახერხებ და წყალში ჩამოკიდებულ მცენარეულობაში ისეთი სისწრაფით შევდივარ, კლდე რომ დაგვხვედროდა, მთელ ჩვენს ავლადიდებას დავკარგავდით. მატურეტი წყალში ხტება და ნავს აბამს. ცოტა რომს ვსვამთ, მერე ამხანაგებს ნავში ვტოვებ და მარტო გადავდივარ ნაპირზე. კომპასით მივდივარ. ზოგან ხეს ვტეხავ დასამახსოვრებლად, ზოგან კი წინასწარ მომარაგებულ ფქვილის ტომრის ნაჭრებს ვაბამ. განათებულ სამ ჩალის ქოხსა და ადამიანების ხმებს ერთდროულად ვარჩევ. მივდივარ და რაკი ვერ მომიფიქრებია რანაირად დავენახო, სიგარეტს ვუკიდებ. ასანთის ანთებასთან ერთად პატარა ძაღლი ყეფით მორბის და ფეხებში მივარდება. ვფიქრობ:„ნეტავ კეთროვანი მაინც არ იყოს ეს ძაღლი. თუმცა, რა სისულელეა, ძაღლებს კეთრი არ ემართებათ“.

– ეი, ვინ არის მანდ? შენ ხარ, მარსელ?

– არა, გამოქცეული ადამიანი ვარ.

– აქ რატომ მოსულხარ, ჩვენი გაქურდვა გინდა? გგონია, ზედმეტი გვაქვს?

– არა, დახმარება მჭირდება.

– მუქთად თუ საზღაურით?

– მოკეტე, ლა შუეტ!

ქოხებიდან ოთხი აჩრდილი გამოდის:

– აუჩქარებლად მოგვიახლოვდი, მეგობარო. ნიძლავს ვდებ, შენ მუშკეტიანი კაცი იქნები. თუ თან გაქვს, მიწაზე დადე, აქ ნურაფრის გეშინია.

– დიახ, ეს მე ვარ, მაგრამ მუშკეტი თან არა მაქვს. – ახლოს მივდივარ. სიბნელე მათი სახეების გარჩევის საშუალებას არ მაძლევს. უნებურად ხელს ვუწვდი. არავინ მართმევს. მოგვიანებით ვხვდები, რომ ასეთი რამ აქ მიღებული არ არის: არ უნდათ, ავადმყოფობა სხვასაც გადასდონ.

– შიგნით შევიდეთ, – ამბობს შუეტი.

ქოხს მაგიდაზე დადგმული ზეთის ლამპარი ანათებს.

– დაჯექი.

უზურგო ჩალის სკამზე ვჯდები. შუეტი კიდევ სამ ლამპას ანთებს და ერთს მაგიდაზე ზუსტად ჩემ წინ დგამს. შიგ, ეტყობა ქოქოსის ზეთი ასხია და გულისამრევად ყარს. ხუთივენი ფეხზე დგანან და მათ სახეებს ვერ ვარჩევ. ლამპა ზუსტად ჩემი სახის სიმაღლეზეა და კარგად მანათებს. მათაც ეს უნდათ. ის ხმა, რომელმაც მაშინ შუეტს უთხრა, მოკეტეო, ამბობს:

– ლ'ანგილ, წადი საკრებულოში და გაიგე, ხომ არ უნდათ იქ მივიყვანოთ. დროზე დაბრუნდი, ტუსენის აზრი მაინტერესებს. მეგობარო, უმი კვერცხების გა-

რდა აქ ვერაფრით გაგიმასპინძლდებით.

– არა, გმადლობთ.

ჩემგან მარჯვნივ, საკმაოდ ახლოს, ერთ-ერთი მათგანი ჯდება და მხოლოდ მაშინ ვხედავ პირველად კეთროვანის სახეს. ეს საშინელებაა და თავს ძალას ვატან, არაფერი შევიმჩნიო. ამ კაცს ცხვირის ადგილას აღარც ძვალი აქვს, აღარც ხორცი, მხოლოდ, სახის შუაგულში მოუჩანს ნახვრეტი არა, არ ვცდები, ორი ნახვრეტი კი არა, ერთი – ორფრანკიანი მონეტის ზომის. ქვედა მარჯვენა ტუჩი შეჭმული აქვს და სამი გრძელი, ჩაყვითლებული კბილი მოუჩანს. ყური ერთიღა შერჩენია. მაგიდაზე შეხვეულ ხელს დებს. ეს მარჯვენაა. მარცხენა ხელის ორი გადარჩენილი თითით თვითნაკეთი, გრძელი და მსხვილი სიგარა უჭირავს. სიგარას მწვანე ფერი აქვს – ეტყობა, ნახევრად მშრალი თამბაქოსგანაა დამზადებული. წამწამები მხოლოდ მარცხენა თვალზე შერჩენია. ღრმა ჭრილობა, რომელიც მარჯვენა თვალიდან იწყება, ხშირ, ნაცრისფერ თმებში იკარგება.

– დაგეხმარებით, ძმაკაც, არ მინდა, იმის დრო გქონდეს, რომ ჩემნაირი გახდე.

– გმადლობთ.

– მე ჟან სან-პერი მქვია. გარეუბნელი ვარ. კატორღაში რომ ჩამოვედი, შენზე ლამაზი, ჯანმრთელი და ღონიერი ვიყავი. ათ წელიწადში აი, რას დავემსგავსე.

– არ მკურნალობ?

– კი. რაც შემოგრას ზეთის ნემსების კეთება დავიწყე, უკეთ გავხდი, ნახე, – თავს ატრიალებს და მარცხენა მხარეს მიჩვენებს, – ამ მხრიდან შრება.

აუწერელი სიბრალული მიპყრობს და მარცხენა ლოყაზე მეგობრულად ხელის მოთათუნებას ვუპირებ. უკან იწევს და მეუბნება: – მადლობა, რომ ჩემი მოფერება გინდოდა, მაგრამ არასოდეს შეეხო ავადმყოფს, არც მისი კარდალიდან დალიო.

– სად არის ის ტიპი? – ქონდრისკაციის აჩრდილი ეცემა ქოხის ზღურბლზე – ტუსენს და სხვებსაც მისი ნახვა უნდათ, წამოიყვანეთ.

ჟან სან-პერი დგება და მეუბნება:

– მ ომყევი. – სიბნელეში მივდივართ. ოთხნი თუ ხუთნი ვართ: წინ, ჟან სან-პერის გვერდით – მე, სხვები – უკან. სამიოდე წუთის სიარულის შემდეგ ასასვლელს მივადექით. ამ ადგილას მთვარის შუქი ეცემა და ვარჩევ, რომ კუნძულის ყველაზე მაღალ წერტილზე ვართ. გორაკის შუაში სახლი დგას. ორი ფანჯრიდან სინათლე გამოდის. კარის წინ ოციოდე კაცი გველოდება და მათკენ მივდივართ. გზას კვითმობენ. შევდივართ დაახლოებით ათი მეტრი სიგრძისა და ორი მეტრი სიგანის ოთახში. ბუხარში შეშის ნაჭერი იწვის. ბუხრის ირგვლივ ოთხი ერთნაირი ზომის ქვა დევს. ოთახს ორი დიდი საზღვაო ლამპარი ანათებს. ტაბურეტზე ერთი თეთრსახიანი კაცი ზის, რომლის ასაკს ვერ გეტყვით. მის უკან, სკამებზე, ხუთ თუ ექვს კაცს ვამჩნევ. თეთრსახიანს შავი თვალები აქვს. იგი მეუბნება:

– მე კორსიკელი ტუსენი ვარ. შენ პაპიონი უნდა იყო.

– დიახ.

– ახალი ამბები კატორღაში ისევე სწრაფად ვრცელდება, როგორც შენ მოქმედებ. მუშკეტი რა უყავი?

– მდინარეში ჩავაგდეთ.

– სად?

– ჰავრისპიტლის კედლის პირდაპირ, ზუსტად იქ, სადაც გადმოვხტით.

– ესე იგი, ამოღება შეიძლება?
– ალბათ, წყალი იმ ადგილა ღრმა არ არის.
– რა იცი?
– წყალში ჩასვლამ მოგვიწია, რომ დაჭრილი მეგობარი ნავში ჩაგვესვა.
– რა მოუვიდა?
– ფეხი მოსტყდა.
– რა გაუკეთეთ?
– ფეხზე ორად გაჩეხილი ტოტი დავადეთ და არტაშანი გავუკეთეთ.
– სტკივა?
– კი.
– სად არის?
– ნავში.
– მე მითხრეს, დახმარებას თხოულობსო. რას ითხოვ?
– ნავს.
– გინდა, რომ ნავი მოგცენ?
– ყიდვა მინდა, ფული მაქვს.
– კარგი. ჩემსას მოგყიდი, მშვენიერი ახალი ნავი მაქვს. გასულ კვირას ალბინაში მოვიპარე. ნავი კი არა ტრანსატლანტიკია. მხოლოდ კილი აკლია. ამასაც ორ საათში დაგიყენებთ. დანარჩენი სრულ წესრიგშია: საჭე, ოთხმეტრიანი რკინის ხის ანძა და მთლად უხმარი აბრეშუმის აფრა. რამდენს შემომთავაზებ?
– შენი ფასი მითხარი, აქაური მაზანდა არ ვიცი.
– სამი ათასი ფრანკი, თუ გადამხდელი ხარ; თუ არა და, ხვალ ღამით წადი, მუშკეტი მომიტანე და ნავი წაიღე.
– არა, მირჩევნია, გადავიხადო.
– კარგი. გარიგება დამთავრებულია. ლა პუს, მოუტანე ყავა.

ლა პუსი ის ქონდრისკაცია, ვინც ჩემს წასაყვანად მოვიდა. იგი ცეცხლის თავზე მიმაგრებულ თაროსთან მიდის და სუფთა, გაპრიალებულ კარდალას იღებს, მერე ბოთლიდან ყავას ასხამს და ცეცხლზე დგამს. ცოტა ხანში იღებს და ფინჯნებში ანაწილებს. ტუსენი იხრება და ყავას ზურგს უკან მდგომ ადამიანებს ურიგებს. მე კარდალას მაწვდის და მეუბნება:

– თამამად შეგიძლია, დალიო, რადგან ამ კარდალიდან მხოლოდ სტუმრები სვამენ, ავადმყოფები არ ეკარებიან.

ვართმევ კარდალას, ვსვამ და მუხლებზე ვიდგამ. ამ დროს ვამჩნევ, რომ კარდალაზე თითია მიკრული. სანამ რამეს მოვიაზრებდე, ლა პუსი ამბობს:

– შეხედეთ, კიდევ ერთი თითი დავკარგე! სად ეშმაკში გადავარდა?
– აქ არის, – ვეუბნები და კარდალას ვუჩვენებ. თითს აცლის, ცეცხლში აგდებს და კარდალას მიბრუნებს:
– დალიე, ნუ გეშინია, მე მშრალი კეთრი მაქვს. ნაწილ-ნაწილ კი ვიშლები, მაგრამ არ ვლპები და გადამდები არა ვარ.

დამწვარი ხორცის სუნი მცემს. ვფიქრობ, რომ ეს თითი უნდა იყოს.

– იძულებული ხარ, ხვალ საღამომდე აქ იყო და მიქცევას დაელოდო. წადი და ფეხმოტეხილი ქოხში გადმოიყვანე. რაც გაქვთ, ისიც გადმოზიდე და ნავი ჩაძირე. გესმის ალბათ, რომ ვერავინ დაგეხმარება. – მეუბნება ტუსენი.

საჩქაროდ მივდივარ. ერთ საათში კლუზიო და ყველა ნივთთან ერთად, ქოხში გადმოვიყვანე. ლა პუსს უნდა, პიროგა და ერთი ნიჩაბი ვაჩუქო. ვაძლევ და იგი მას მონიშნულ ადგილას ძირავს. ღამე სწრაფად გადის. სამივენი ქოხში ვწევართ, ახალ საბნებში გახვეულ რომლებიც ტუსენმა გაუხსნელი პაკეტებით გამოგვიგზავნა. კლუზიოსა და მატურეტს დაწვრილები ვუყვები, თუ რა მოხდა ჩემი კუნძულზე გადმოსვლის წუთიდან ტუსენთან გარიგების ჩავლით. კლუზიოს სულელური აზრი მოსდის:

– ესე იგი, ეს გაქცევა ექვსი ათას ხუთასი ფრანკი ჯდება. ნახევარი უნდა მოგცე, პაპიონ, – სამი ათასი ფრანკი.

– ახლა სომხური ვაჭრობის დრო არ არის. სანამ ერთი სუც კი მექნება, მე ვიხდი. მერე ვნახოთ.

არც ერთი კეთროვანი ქოხს არ ეკარება. თენდება. ტუსენი მოდის:

– გამარჯობა. შეგიძლიათ, მშვიდად გამოხვიდეთ, ნურავისი ნუ შეგეშინდებათ. კუნძულის თავში, ქოქოსის ხეზე, ერთი ბიჭი გვიზის. თუ მდინარეზე „ძაღლების" ნავი გამოჩნდება, შეგვატყობინებს. სანამ ის თეთრი ჩვარი ფრიალებს, საფრთხე არსაიდან გელით. თუ რამე შეიცვლება, გავიგებთ. თუ გინდათ, კარტოფილი მოიხარშეთ და ჭამეთ.

– ტუსენ, კილი? – ვახსენებ მე.

– მაგას სამედიცინო პუნქტის კარის ფიცრებისაგან გავაკეთებთ. ის გველის მძიმე ხისგანაა დამზადებული. ორი ფიცარი გვეყოფა. სიბნელით ვისარგებლეთ და ნავი ნაპირზე გამოვიტანეთ. წამო, ნახე.

ეს მართლაც მშვენიერი, ხუთი მეტრის სიგრძის მთლად ახალი ნავია. ორი სკამი აქვს, მათგან ერთი – გახვრეტილი – ანძის გასატარებლად. ისეთი მძიმეა, რომ მე და მატურეტს მისი გადატრიალება გვიჭირს. გვერდებზე რგოლები აქვს დატანებული ტვირთის, ესე იგი, წყლის კასრის მისამაგრებლად. ვიწყებთ მუშაობას. შუადღისათვის კილი უკვე მყარად არის დამაგრებული ჭანჭიკებით. ჩვენს გარშემო კეთროვანები შეკრებილან და ჩუმად გვიყურებენ. ტუსენი რჩევებს გვაძლევს და ჩვენც ვემორჩილებით. იგი ერთი შეხედვით ნორმალურად გამოიყურება. სახეზე არავითარი ჭრილობა არა აქვს, მაგრამ ლაპარაკის დროს ემჩნევა, რომ მხოლოდ მარცხენა მხარე უმოძრავებს. მეუბნება, რომ მშრალი კეთრი სჭირს. ტორსი და მარჯვენა ხელი უკვე პარალიზირებული აქვს და იცის, რომ მალე მარჯვენა ფეხიც გაუშეშდება. მარჯვენა თვალიდან, მართალია, ხედავს, მაგრამ უმოძრაოდ აქვს გაყინული. მე შეგნებულად არ ვასახელებ აქ კეთროვანების სახელებს. შეიძლება იმათ, ვისაც ისინი უყვარდა, ვერასოდეს გაიგონ, თუ როგორ დაიშალნენ მათი ახლობელი და მეგობრები ნაწილებად სიცოცხლეშივე.

თან ვმუშაობ და თან ტუსენს ვესაუბრები. ლაპარაკში არავინ ერევა. მხოლოდ ერთხელ, როცა სანიტარული პუნქტის ავეჯეულობიდან აგლეჯილი და კილის გასამაგრებლად მოტანილი რამდენიმე ანჯამის აღება მინდოდა, ერთ-ერთი მათგანი მეუბნება:

– ნუ აიღებ, დატოვე, სადაც დევს. მისი აგლეჯისას ხელი გავიჭერი და ზედ სისხლის წვეთი დაეცა. გავწმინდე, მაგრამ, მაინც...

ერთ-ერთი კეთროვანი ანჯამებს რომს ასხამს და ცეცხლს უკიდებს. ამას ორჯერ იმეორებს:

– ახლა შეგიძლია, აიღო.

– შენ რამდენჯერმე ხარ ამგვარად „ათესილი" და კარგად აუხსენი პაპიონს, როგორ უნდა მოიქცეს. ამ სამიდან არც ერთს ამის გამოცდილება არ აქვს, – ეუბნება ტუსენი ერთ კეთროვანს. ისიც მიხსნის:

– საღამოს პირზე, ექვსი საათისთვის, წინ ძლიერი დინება გექნება, რომელიც სამ საათზე ნაკლებ დროში ას კილომეტრს გაგატარებს. ცხრა საათისთვის უნდა გაჩერდე და ტევრის რომელიმე ხეზე გამობმული დაელოდო. მოქცევა ღამის სამ საათამდე გასტანს. მაშინვე ჯარ დაიძრა, რადგან დასაწყისში დინება ნელია. მდინარის შუაგულში ხუთის ნახევარზე გამოდი. ასე საათნახევარი დაგრჩება შესართავამდე მისაღწევად. ამ შუალედის ხელშია შენი ბედი. ექვს საათამდე ორმოცდაათი კილომეტრი უნდა დაფარო და ზღვაში გახვიდე. „ძაღლებმა" კიდეც რომ დაგინახონ, ვერ გამოგედევნებიან, რადგან ახალი მოქცევა მათ წინ ბარიერივით აღიმართება. ეს ასი კილომეტრი შენს სიცოცხლეს უდრის. აქ მხოლოდ ერთ აფრას ვხედავ. შენს ნავზე რა გქონდა?

– ერთი აფრა და ფოკი.

– ეს ნავი მძიმეა, ორ ფოკს გაუძლებს: ერთს – ანძის ქვეშ, მეორეს – ცხვირთან, რომ კარგად აიწიოს. ზღვის ტალღებში შესვლისას, ყველა აფრა გაშალე, რადგან შესართავში ძალიან მაღალი ქალღები იცის, შენი ამხანაგები ნავში ჩაწვნენ, რომ წონასწორობა შეინარჩუნოთ. შენ საჭე გეჭიროს. აფრის თოკს ფეხზე ნუ მოიბამ, ჯობია, ნავის რგოლში გაატარო და მაჯაზე ერთხელ შემოიხვიო. თუ შეატყვე, რომ ქარის ძალა აღემატება ტალღის სიდიდეს და გადაბრუნების შიშით უნდა წყალზე გაწვე, თოკი გაუშვი და დაინახავ, რომ ნავი თვითონ დაიბრუნებს წონასწორობას. თუ ასე მოხდა, აფრა თავის ნებაზე მიუშვი და ტრინკეტითა და ფოკით განაგრძე გზა. მხოლოდ გაშლილ წყლებში გასვლისას შეგიძლია, გამართული აფრით იცრუო. გზას იცნობ?

– არა, მაგრამ ვიცი, რომ ვენესუელა და კოლუმბია ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს.

– ასეა, მაგრამ ყურადღებით იყავი, ნაპირზე არ გამოგრიყოს. ჩვენ წინ ჰოლანდიის გვიანაა, რომელიც გაქცეულებს საფრანგეთს უბრუნებს. ასე იქცევა გვიანის ინგლისური ნაწილიც. ტრინიდადი არ აბრუნებს, მაგრამ გაიძულებს, თხუთმეტ დღეში დატოვო ქვეყანა. ვენესუელა კი, დაკავების შემთხვევაში, ორ წელიწადს გზების გაყვანაზე გამუშავებს, მერე გაბრუნებს.

ყურებდაცქვეტილი ვუსმენ. მეუბნება, რომ თვითონ რამდენჯერმე გაქცეულა, მაგრამ, რაკი კეთროვანია, დაუსჯელად აბრუნებენ. აღიარებს, რომ ინგლისური გვიანის – ჯორჯთაუნის იქით არ ყოფილა. კეთრი მხოლოდ ფეხებზე მოცევნილ თითებზე ეტყობა. ფეხშიშველია. ტუსენი მთხოვს, გავიმეორო, რაც მითხრეს. შეუცდომლად ვიმეორებ. ამ დროს ჟან სან-პერი კითხულობს:

– რამდენ ხანს უნდა იცუროს გაშლილი ოკიანისკენ?

ყველას მე ვასწრებ და ვპასუხობ:

– სამი დღე ჩრდილო-აღმოსავლეთით. გამორიყვის გათვალისწინებით, ეს მოგვცემს ჩრდილოეთ-ჩრდილოეთს და გავაგრძელებ ჩრდილო-აღმოსავლეთს, რაც უდრის სუფთა დასავლეთს.

– ბრავო, – ამბობს კეთროვანი – მე ბოლო წასვლისას მხოლოდ ორ დღეს

მივცურავდი ჩრდილო-აღმოსავლეთით და ამიტომაც ინგლისის გვიანაში მოვხვდი. თუ სამ დღეს ჩრდილოეთით იცურებ, ტრინიდადსა და ტობაგოს ჩრდილოეთიდან აუვლი და ვენესუელას ვერც კი შეამჩნევ, ისე გასცდები. იქიდან კი კურასაოზე ან კოლუმბიაში მოხვდები.

– ტუსენ, როგორ გაყიდე შენი ნავი? – ეკითხება ჟან სან-პერი.

– სამი ათასად. ძვირია?

– არა, ამიტომ არ ვამბობ. მხოლოდ მინდა ვიცოდე, მეტი არაფერი. გადაიხდი, პაპაინ?

– კი.

– ფული გრჩება?

– არა, სულ ესა გვაქვს, ზუსტად სამი ათასი, რომელსაც ჩემი მეგობარი კლუზიო ატარებს.

– ტუსენ, ჩემს რევოლვერს მოგცემ, – ამბობს ჟან სან-პერი, – მინდა, ამ ბიჭებს დავეხმარო. რამდენად აიღებ?

– ათას ფრანკად, – პასუხობს ტუსენი, – მეც მინდა, დავეხმარო.

– ყველაფრისათვის დიდი მადლობა, – ამბობს მატურეტი, თან ჟან სან-პერს უყურებს.

– გმადლობთ, – იმეორებს კლუზიო.

ყოველივე ამის შემყურეს სირცხვილი მიტანს, რომ ვიცრუე და ვამბობ:

– არა, არ მინდა, არ არის საჭირო.

– სწორედ რომ საჭიროა. სამი ათასი ფრანკი დიდი ფულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტუსენი ორი ათას ფრანკს მაინც კარგავს, რადგან დიდებულ ნავს გაძლევთ. არ იქნებოდა სწორი, მეც რამე რომ არ მელონა თქვენთვის.

ამ დროს ამაღელვებელი რამ ხდება: შუეტი გადმობრუნებულ ქუდს მინაზე დებს და კეთროვნები შიგ ბანკნოტებსა და მონეტებს ყრიან. ისინი ყველა მხრიდან გამოდიან და თითოეული რაღაცას აგდებს ქუდში. სირცხვილისაგან არ ვიცი, რა ვქნა და, ამავე დროს, არ შემიძლია, ვაღიარო, რომ ფული კიდევ მაქვს. ღმერთო ჩემო, რა უნამუსოდ მოვიქეცი ამდენი კეთილშობილი ადამიანის თვალწინ!

– ძალიან გთხოვთ, ამას ნუ აკეთებთ, – ვამბობ გაჭირვებით.

ერთი შავი ტამბუქტუელი, რომელსაც ხელების ნაცვლად უთითო ტაკეები აქვს, მეუბნება:

– აიღე, ნუ გრცხვენია, ჩვენ ფული მხოლოდ თამაშისა და კეთროვანი ქალების საყიდლად გვჭირდება, რომლებიც დროდადრო ალბინადან მოდიან.

ამ ფრაზამ შვება მომგვარა და ხელი შემიშალა, სიმართლე მეთქვა.

კეთროვნები ორას კვერცხს ხარშავენ და წითელი ჯვრით დაღდასმული ყუთები მოაქვთ. ეს ის ყუთებია, დილით მედიკამენტები რომ მიიღეს. მოჰყავთ აგრეთვე ორი ცოცხალი კუ. თითოეული ოცდაათი კილო მაინც იქნება. მოაქვთ თამბაქოს ფოთლები და ასანთის ღერებით სავსე ორი ბოთლი, თავისი გასაკრავებით; აგრეთვე ერთი ტომარა ბრინჯი, არანაკლებ ორმოცდაათი კილოგრამისა, ორი ტომარა ხის ნახშირი, სამედიცინო პრიმუსი და ერთი ბიდონი საწვავი. მთელი ეს საბრალო თემი ჩვენთვის ფუსფუსებს, თითოეულს სურს, ჩვენს წარმატებას შეუწყოს ხელი, თითქოს ისინიც ჩვენთან ერთად გამორბოდნენ. ნავი იმ ადგილთან ახლოს მივათრიეთ, სადაც გადმოვედით. ქუდში რვაას ათი ფრანკი მოგროვილა. ტუსენს მხო-

ლოდ ათას ორასი ფრანკი უნდა მივცე. კლუზიო მაძლევს თავის „ქისას“, ვხსნი ყველას თვალწინ. მასში ერთი ათასიანი და ოთხი ხუთასიანი ბანკნოტია. ტუსენს ათას ხუთას ფრანკს ვაძლევ. იქიდან სამასს მიბრუნებს და მეუბნება:

– აჰა, აიღე რევოლვერი, შენი იყოს. თქვენ ყველაფერი სასწორზე შეაგდეთ და დასანანი იქნება, ბოლო წუთებში იარაღის უქონლობის გამო ჩავარდეთ. იმედი მაქვს, მისი გამოყენება არ დაგჭირდებათ.

არ ვიცი, როგორ გადავუხადო მადლობა ჯერ მას და მერე სხვებს. სანიტარს პატარა ყუთი გაუმზადებია ბამბით, სპირტით, ასპირინით, სახვევებით, იოდითა და მაკრატლით. ერთ კეთროვანს სუფთად გაშალაშინებული თხელი ფიცრები და ორი შეფუთული ახალი არტახი მოაქვს. მთავაზობს, კლუზიოს სახვევები შევუცვალო.

ხუთი საათისთვის წვიმას იწყებს.

– თქვენი შანსები იზრდება – ამ ამინდში დანახვის საშიშროება არ არის. შეგიძლიათ, ახლავე გახვიდეთ და მთელი ნახევარი საათი მოიგოთ. ამგვარად ხუთის ნახევრისათვის შესართავთან უფრო ახლოს იქნებით, – მეუბნება ჟან სან-პერი.

– როგორ გამოვთვალო დრო? – ვეკითხები მე.

– მიმოქცევა თვითონ მიგანიშნებს.

ნავს წყალში ვუშვებთ. იმ პიროგას არა ჰგავს. ამდენი ტვირთისა და სამი ადამიანის შიგ ყოფნის მიუხედავად, წყლის ზედაპირიდან ორმოც სანტიმეტრზე მეტზე ამოდის. აფრაშემოხვეული ანძა ფსკერზე დევს, მას მხოლოდ გასვლისას დავაყენებთ. ვამაგრებ საჭეს და ტრინკეტს. ჩემთვის ვამზადებ ლიანების ბალიშს დასაჯდომად. ნავის სიღრმეში კლუზიოსათვის საბნებისაგან ნიშს ვაწყობთ. სახვევებს არ იხსნის. მატურეტი მის წინ ჯდება. მაშინვე უსაფრთხოების შეგრძნება მიჩნდება, რაც პირველი ნავშ ჯდომისას არ მქონია.

ისევ წვიმს. მდინარის შუაგულამდე და ცოტა უფრო მარცხნივ, ჰოლანდიური ნაპირისკენ უნდა გავიდე.

– მშვიდობით! მიდი, დაუჩქარე! – მეუბნება ჟან სან-პერი.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, – ამბობს ტუსენიც და ნავს ღონივრად ჰკრავს წიხლს.

– გმადლობთ, ტუსენ, გმადლობთ, ჟან, ათასი მადლობა ყველას! – ამ სიტყვებით სწრაფად გავდივართ მდინარეში. მიქცევა ორსაათნახევრის წინ დაიწყო და ახლა გასაოცარი სისწრაფით მიგვაქანებს. გადაუღებლად წვიმს. ათ მეტრზე ვერაფერს ვარჩევთ. ვიცით, რომ წინ ორი პატარა კუნძულია და დაჯახების თავიდან ასაცილებლად მატურეტი წინ გადახრილი მიშტერებია სივრცეს. ღამდება. მდინარეს დიდი ხე მოაქვს, რომელიც ცოტა გვაბრკოლებს თავისი ტოტებით. საბედნიეროდ, ის ჩვენზე ნელა მოძრაობს და მალე ვიშორებთ. ცურვას საათში არანაკლებ ოცდაათი კილომეტრის სიჩქარით განვაგრძობ. ვეწევით და რომს ვსვამთ. კეთროვნებმა რომით სავსე ჯიანტის ექვსი მოწნული ბოთლი გვიფეშქაშეს. უცნაურია: არც ერთი ჩვენგანი არაფერს ამბობს კეთროვნებზე და მათ საზარელ იარებზე. ჩვენი საუბრის თემა მხოლოდ მათი კეთილშობილება, დიდსულოვნება და უშუალობაა. იღბალმა შეგვყარა ნიღბიან ბრეტონს და მტრედების კუნძულზე მოგვახვედრა. წვიმა უმატებს, მაგრამ შალის ჯვალოები, თვით სველიც კი, სითბოს ინარჩუნებს და არ გვცივა. მხოლოდ ის ხელი მიშეშდება, რომლითაც საჭეს ვმართავ.

– ალბათ, ახლა უკვე ორმოცი კილომეტრის სიჩქარით ვეშვებით, – ამბობს მატურეტი, – როგორ გგონია, რამდენი დრო გავიდა, რაც ნამოვედით?

– ცოტა დამაცადე, – პასუხობს კლუზიო, ახლავე გეტყვი... სამი საათი და თხუთმეტი წუთია.

– გაგიუდი? საიდან გაიგე?

– ნამოვედით თუ არა, სამას-სამას წამს ვითვლიდი და მუყაოს ნაჭერს ვჭრიდი. ახლა ოცდაცხრამეტი ხუთწუთიანი ნაჭერი მაქვს, რაც სამ საათსა და თხუთმეტ წუთს უდრის. ჩემი ანგარიშით, თხუთმეტ-ოც წუთში დაშვების ნაცვლად იქით წავალთ, საიდანაც წამოვედით.

საჭეს ვაბრუნებ და ვცდილობ, ჰოლონდიურ ნაპირს მივადგე. ტევრამდე არა ვართ მისული, რომ დინება ჩერდება – აღარც ქვემოთ მიდის, აღარც ზემოთ. ისევ წვიმს. აღარ ვეწევით და ჩურჩულით ვლაპარაკობთ:

– აიღე ნიჩაბი და მოუსვი. – თვითონაც ვუსვამ, თან საჭეს მარჯვენა გვერდით ვაწვები. ტევრის ტოტებს ვწევ, ნელა შევდივართ და ვიმალებით. ხშირი მცენარეულობის წყალობით ირგვლივ სიბნელეა. მდინარეს ნაცრისფერი ნისლი აწევს. ახლა, როცა არც მოქცევაა და არც მიქცევა, ვერ გაარჩევ, საით ზღვაა და საით მდინარის შუაგული.

დიდი გამგზავრება

მოქცევა ექვს საათს გაგრძელდება. ამას დაუმატეთ საათნახევარი მიქცევის დაწყებამდე, – ესე იგი, შემიძლია, შვიდ საათს დავისვენო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან აღგზნებული ვარ, თავს ძალა უნდა დავატანო და დავიძინო, რადგან ოკეანეში გასვლი შემდეგ ამის საშუალება აღარ მექნება. ანძასა და წყლის კასრს შორის ვწევები. მატურეტი ზემოდან საბანს ჭიმავს და ამ საფარში ვიძინებ. ვერაფერი მაწყვეტინებს ღრმა ძილს – ვერც წვიმა, ვერც უხერხული წოლა. მძინავს... მძინავს მანამდე, სანამ მატურეტი არ მაღვიძებს:

– პაპი, ვფიქრობ, უკვე დროა, დიდი ხანია, მიქცევა დაიწყო.

ნავი ზღვისკენ არის მიტრიალებული. ხელის თითებით ვგრძნობ, რომ დინება აჩქარებულია. მეოთხედი მთვარის შუქზე ჩვენ წინ დინება ასი მეტრის მანძილზე გარკვევით მოჩანს. ტალღები ბალახებს, ხეებსა და რაღაც შავ საგნებს მოაქანებს. აქ, სადაც ჩვენ ვართ, ქარი არ იგრძნობა. იქნება ის მდინარის შუაში? და თუ იქნება, რა სიძლიერის? გამოვდივართ ტევრიდან. ნავი ისევ ხის ფესვზეა მცურავი მარყუჟით მიბმული. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცას ვაკვირდები, ვარჩევ, სად მთავრდება მდინარე და სად იწყება ოკეანე. უფრო დაბლა ჩამოვსულვართ, ვიდრე ვფიქრობდი. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ შესართავიდან ათ კილომეტრზე უნდა ვიყოთ. დიდი ყლუპებით ვყლურწავთ რომს და თან ვთათბირობთ, ახლავე აღვმართოთ ანძა თუ არა. ვამაგრებ ანძას და ვგრძნობ, რომ სკამის ნახვრეტის გავლით ის მყარად ჯდება ნავის ფსკერში. ანძაზე შემოხვეულ აფრას მაღლა გაუშლელად ვწევ. ტრინკეტი და ფოკი გასამართავად მზადაა. ამას მატურეტი მიხედავს, როცა საჭიროდ ჩავთვლი. აფრის გაშლა ადვილია, მხოლოდ თოკის მოშვებაა საჭირო. ამას მე ადგილიდან ფეხმოუცვლელად გავაკეთებ. მატურეტი წინ და მე – უკან, ნიჩბებით, მზად ვართ, რაც შეიძლება, მკვეთრადრად მოვწყდეთ ნაპირს, რაზეც დინების გამო ვართ მიკრული.

– ყურადღება! ღვთის შეწევნით, წინ!

– ღვთის შეწევნით! – იმეორებს კლუზიო.

– ჩემს თავს შენ განდობ, ღმერთო! – ამბობს მატურეტი.

მე და მატურეტი შეწყობილად, ღრმად ვუსვამთ ნიჩბებს. ნაპირს იოლად ვწყდებით. ოცი მეტრითაც არ დავშორებივართ, რომ დინებას უკვე ასი მეტრით ქვემოთ მივყავართ. ერთბაშად ქარიც იგრძნობა და მდინარის შუაგულისკენ გვიბიძგებს.

– ტრინკეტი და ფოკი აუშვი, კარგად დაამაგრე ორივე! – ეუბნები მატურეტს. ქარი ბერავს და ცხენივით ყალყზე შემდგარი ნავი ისარივით მიჰქრის. უფრო გვიანი უნდა იყოს, ვიდრე გამოვთვალეთ, რადგან მდინარე ერთბაშად ისე ნათდება, შუადღე გეგონება. დაახლოებით ორ კილომეტრში გარკვევით ჩანს მარჯვნივ – ფრანგული ნაპირი, მარცხნივ, ერთ კილომეტრში – ჰოლანდიური, ხოლო წინ – ზღვის თეთრი ქაფიანი წვერები.

– ღმერთო ჩემო, დროში მოვტყუვდით, – ამბობს კლუზიო, – როგორ ფიქრობ, გასვლას მოვასწრებთ?

– არ ვიცი.

– შეხედე, რა მაღალი ტალღებია და რა თეთრი წვერები აქვს! ნუთუ მოქცევა დაიწყო?

– შეუძლებელია. კარგად ვხედავ საგნებს, რომლებიც ქვემოთ მიცურავს.

– ვერ შევძლებთ გასვლას, დროზე ვერ მივალთ, – ამბობს მატურეტი.

– მოკეტე! ფოკისა და ტრინკეტის თოკებთან დაჯექი. შენც მოკეტე, კლუზიო!

სროლის ხმა გვესმის. კარაბინიდან გვესროლეს. მეორედაც გარკვევით გავიგონე. ეს ჩვენი „ძაღლები" არ არიან, ჰოლანდიის გვიანადან ისმის. აფრის თოკს ვუშვებ. აფრა ისე ძლიერად იბერება, ლამის ხელს მწყვეტს. ნავი ორმოცდახუთი გრადუსით იხრება. ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი ქარი მივიღო. ეს ძნელი არ არის, რადგან საკმაოდ ძლიერად უბერავს. კვლავ ისმის სროლის ხმა. მერე წყდება, ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენ უფრო ფრანგული მხარისკენ წაგვიღო. ძლიერი ქარი თავბრუდამხვევი სიჩქარით მიგვაქანებს. ასეთი გეზითა და სიჩქარით, შეიძლება, ფრანგულ მხარეს მივადგეთ. უკვე ვარჩევთ ადამიანებს, რომლებიც ნაპირისკენ მორბიან. რაც შეიძლება ფრთხილად ვიხრები გვერდზე და მთელი ძალით ვეწევი აფრის თოკს. ფოკი და ტრინკეტიც იცველის მიმართულებას – ნავი სამი მეოთხედით ტრიალდება და მაშინ აფრას მთლიანად ვშლი, ზურგის ქარით ვავსებ და მთელი სიჩქარით შევდივარ შესართავში. უჰ! გამოვიდა! სამი წუთის შემდეგ ზღვის პირველი ტალღები გვეგებება. მართალია, ისინი საკმაოდ მაღალია, მაგრამ ადვილად, ართურმაზე მხტუნავი ბავშვის სიმკვირცხლით ვახტებით. ნავი ვიბრაციის გარეშე გადადის ტალღებზე, მხოლოდ კორპუსის ტალღაზე დარტყმის ხმა ისმის.

– ვაშა! ვაშა! გავაღწიეთ! – მთელი ხმით ყვირის კლუზიო და, თითქოს ჩვენი გამარჯვება უნდა გაანათოსო, დიდებული ღმერთი ამომავალ კაშკაშა მზეს გვიგზავნის. ტალღები ერთმანეთს იმავე რიტმით მიჰყვებიან და გაშლილი ზღვისკენ უფრო პატარავდებიან. მარილიანი წყალი ჩვენ წინ, ჩრდილოეთით, შავად გვეჩვენება, მოგვიანებით კი ლურჯ ფერს იღებს. კომპასი არ მჭირდება, მზე მარცხნივ არის და ჩვენ სრული სვლით ჩრდილოეთისკენ მივცურავთ. აფრის თოკი მიშვებულია, ქარი მას სანახევროდ ავსებს და ამიტომაც ნავი ოდნავ არის დახრილი. ჩვენი დიდი თავგადასავალები იწყება!

კლუზიო წამოწევას ცდილობს, რაომ უკეთ დაინახოს, რა ხდება. მატურეტი ეხმარება – ჩემ წინ, კასრთან, ზურგით სვამს, მერე მოკიდებულ სიგარეტს მიწვდის და სამივე ვაბოლებთ.

– მომაწოდეთ ტაფია, ეს ამბავი უნდა აღვნიშნო, – თხოულობს კლუზიო. მატურეტი რკინის სამ ქილაში გულუხვად ასხამს და ერთმანეთს ვუჭახუნებთ. ბედნიერი სახეებით მიყურებენ, მეც, ალბათ, ამ მდგომარეობაში ვარ.

– მითხარით, გეთაყვა, კაპიტანო, საით მივდივართ? – მეკითხება კლუზიო.

– კოლუმბიისაკენ, ღვთის შეწევნით!

– ვიცი, ღმერთი უარს არ გვეტყვის!

მზე მალე ამოდის და ტანსაცმელს გვიშრობს. ჰოსპიტლის სველი პერანგები არაბულ ჩალმებად გადაიქცა – თავს გვიგრილებს და მზის დაკვრისაგან გვიცავს. ოპალივით ლურჯ ზღვაზე სამმეტრიანი, ძალიან გრძელი ტალღები მოგორავს, რაც ჩვენ ძალიან გვაწყობს. ღონიერი ქარის დახმარებით სწრაფად ვშორდებით ნაპირს, რომელიც დროდადრო თვალთახედვიდან მეკარგება. რაც უფრო ვშორდებით ამ მწვანე მასას, მით უკეთესად ვარჩევთ მის მორთულობას. მისი ცქერით ვართ გართულები და ერთი უხერხულად მიღებული ტალღა ამხანაგებისა და ჩემი სიცოცხლის წინაშე პასუხისმგებლობისკენ მომიწოდებს.

– ბრინჯს შევწვავ, – ამბობს მატურეტი.

– მე ქურას დაგიჭერ, შენ ქვაბს მიხედე.

საწვავის ბიდონი ნავის წინა მხარეს გვაქვს დამაგრებული. იქ მოწევა აკრძალულია. ცხიმში მოხრაკულ ბრინჯს მადისაღმძვრელი სუნი ასდის. მას ორ ყუთ სარდინებში ვურევთ და ცხლად ვჭამთ. ზედ ყავას ვაყოლებთ.

– ცოტა რომს ხომ არ დალევთ? – კითხულობს მატურეტი.

უარს ვამბობ, რადგან ძალიან ცხელა და ალკოჰოლის დიდი მოყვარულიც არა ვარ. კლუზიო მალ-მალე უკიდებს სიგარეტს და მაწვდის. ჩვენი პირველი სადილი ნავზე გემრიელი იყო. მზის ადგილმდებარეობის მიხედვით, დღის ათი საათი უნდა იყოს. ჯერ ხუთი საათიც არ იქნება, რაც ზღვაში ვართ და უკვე იგრძნობა, რომ წყალი ჩვენ ქვეშ ძალიან ღრმაა. ტალღების სიმაღლემ იკლო და ნავი ძველებურად აღარ ირყევა. დიდებული დღეა! ეტყობა, დღისით კომპასი მუდმივად არ დამჭირდება, მხოლოდ დროდადრო ვადარებ მისა და მზის მდემარეობას. სხივები თვალებს მჭრის და ვნანობ, რომ შავ სათვალეზე არ ვიზრუნე.

– რა ბედი მქონია, ჰოსპიტალში რომ შეგხვდი, – ამბობს მოულოდნელად, კლუზიო.

– ორივეს გვქონია, რომ შევხვდით ერთმანეთს, – მახსენდება დეგა და ფერნანდესი... რომ დათანხმებულიყვნენ, ახლა აქ, ჩვენთან იქნებოდნენ.

– უთუოდ ასეა, სხვანაირად ვერ მოახერხებდი არაბის ზუსტად გამიზნულ დროს ოთახში შემოტყუებას.

– კი, მატურეტი ძალიან გამოგვადგა და კმაყოფილი ვარ, რომ წამოვიყვანე. ძალიან ერთგული, გამბედავი და მოხერხებული ბიჭია, მისი მადლიერი ვარ.

– მადლობა მე უნდა გითხრათ, რომ, მიუხედავად ჩემი ასაკისა, მენდეთ და წამომიყვანეთ. ვეცდები, თქვენი ნდობა გავამართლო.

– ვისურვებდი, რომ ფრანსუა სიერაც აქ ყოფილიყო, გალგანიც... – ვამბობ გულდაწყვეტილი.

– ხომ ნახე, როგორ აეწყო საქმე, პაპიონ! ასე არ მოხდებოდა. იესო რომ წესიერი კაცი გამომდგარიყო და კარგი ნავი მოეცა: დაველოდებოდით, სანამ მათაც დაეხმარებოდა გაქცევაში და ჩვენთან მოიყვანდა. ბოლოს და ბოლოს, გიცნობენ და მიხვდებიან, რომ, რადგან ხმა არ მიანვდინე, ესე იგი, ამის შესაძლებლობა არ გქონდა.

– მართლა, მატურეტ, როგორ მოხვდი იმ მკაცრი მეთვალყურეობის პალატაში?

– ინტერნირებული თუ ვიყავი, არ მეგონა. სამედიცინო პუნქტში ყელის ტკივილის გამო მივედი. ექიმმა ჩემს ბარათს დახედა და შემეკითხა, კუნძულებზე რატომ ხარ გასახლებულიო. ვერაფერი ვუპასუხე. ისიც არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ინტერნირებული. კარგი, არაფერიაო და ჰოსპიტალში გამწერა. ასე აღმოვჩნდი თქვენ გვერდით.

– ეტყობა, შენთან ფლირტის გაბმა უნდოდა, – ამბობს კლუზიო.

– რას გაიგებ, რატომ მოიქცა ექიმი ასე. ახლა შეუძლია, ჩათვალოს, რომ მისი პროტეჟე ქოროს მგალობელი ბავშვი არ ყოფილა, როგორც ეგონა.

ათასგვარ რამეზე ვლაპარაკობთ. მე ვამბობ:

– ვინ იცის, იქნებ ჟულოს, „ჩაქუჩის კაცს“ შევხვდეთ კიდეც. უკვე შორს უნდა იყოს, თუკი ისევ ტევრში არ არის გაჭედილი.

კლუზიო ამბობს:

– მე წამოსვლისას ბალიშის ქვეშ სიტყვა დავტოვე: „წავიდა მისამართის დაუტოვებლად“.

სიცილი გვიტყდება.

ხუთი დღის განმავლობაში ყოველგვარი თავგადასავლების გარეშე მივცურავთ. დღისით მზე, თავისი აღმოსავლეთ-დასავლეთის ტრაექტორიით, კომპასის მაგივრობას მიწევს. ღამით უკვე კომპასს ეხმარობ. მეექვსე დღეს, დილით, ბრდღვიალა მზე კი ამოდის, მაგრამ ზღვა უეცრად მძიმდება. ირგვლივ, ძალიან ახლოს, მფრინავი თევზები დახტიან. დაღლილობა მკლავს. ღამით, რომ არ დამეძინოს, მატურეტი სახეზე ზღვის წყალში დასველებულ ჩვარს მისვამს, მაგრამ მაინც მეყვინთება. კლუზიო ანთებული სიგარეტით მაფხიზლებს. რაკი ზღვაზე სრული სიწყნარეა, დაძინებას ვაპირებ. მარტო ტრინკეტს ვტოვებ და დაშვებული ფოკისა და აფრის ქვეშ ნავის ფსკერზე მკვდარივით ვითიშები. მატურეტი მანჯღრევს და მაღვიძებს. მეუბნება:

– დღის პირველი საათია. იმიტომ გაღვიძებ, რომ ქარი გრილდება და ჰორიზონტი, იქით, საიდანაც უბერავს, მთლად გაშავდა.

ვდგები და ჩემს ადგილს ვიკავებ. მხოლოდ ფოკის დახმარებით მივსრიალებთ უნაოჭო ზღვაზე. აღმოსავლეთი ჩემ უკან, მთლად შავია. ქარი სულ უფრო და უფრო გრილდება. აფრას კარგად ვახვევ და ანძაზე ვამაგრებ.

– მაგრად დადექით, ქარიშხალი მოდის, – ვაფრთხილებ ორივეს.

მსხვილმა წვეთებმა დაიწყო ცვენა. ის სიშავე თავბრუდამხვევი სიჩქარით გვიახლოვდება. მეოთხედი საათიც არ დასჭირვებია ჰორიზონტიდან ჩვენამდე მოსაღწევად და, აი, უკვე აქ არის გაუგონარი სიძლიერის ქარის თანხლებით. ტალღები საოცარი სისწრაფით იცვლებიან, იქოჩრებიან და ქაფს იკეთებენ. მზე დაიმალა, კოკისპირულ წვიმაში ვერაფერს ვარჩევთ. ნავზე მოჯახებული ტალღები სახეში ნესტიან შხეფებს მაყრის. ეს ჩემი პირველი ქარიშხალი, მთელი თავისი

თავაწყვეტილი ხასიათით, ქუხილით, ელვებით, წვიმით, ტალღებისა და ქარის ღმუილით მომევლინა. ჩალის ღეროსავით ატაცებული ნავი დაუჯერებელ სიმაღლეებზე ადის და ისეთ სიღრმეებში ვარდება, რომ ზოგჯერ ამოსვლის იმედი აღარ გვაქვს, მაგრამ ნავი ამას ახერხებს და ახალ-ახალ ტალღებს ებრძვის. რაც შემიძლია, საჭეს ორი ხელით ვიკავებ და როცა ერთი მაღალი ტალღის გაკვეთას ვცდილობ, ეტყობა, ვჩქარობ, რადგან ნავ სამოცდათხუთმეტ სანტიმეტრამდე წყლით ივსება. ყველაფერი სველდება. ანერვიულებული, ჩემდა უნებურად, მომდევნო ტალღას გვერდულად, უკიდურესად სახიფათოდ ვხვდები. ნავი იმდენად იხრება, რომ გადაბრუნებას აღარაფერი უკლია და თავისით აგდებს უკან წყლის დიდ ნაწილს.

– ბრავო, – ამბობს კლუზიო, – გესმის შენი საქმე, პაპიონ! რა მალე დაცალე ნავი!

– აბა, რა გეგონა, შენი თვალით ხომ ნახე!

რა იცოდა, რომ ჩემი გამოუცდელობის გამო კინაღამ შუა ზღვაში ფსკერისაკენ წავედით! ტალღებთან ბრძოლას თავს ვანებებ და ნავს თავის ნებაზე ვუშვებ. მხოლოდ მის გაწონასწორებასღა ვცდილობ. ტალღას სამი მეოთხედით ვიღებ, მასთან ერთად სიღრმეში ვეშვები და ამოვდივარ. მალე ვხვდები, რომ მნიშვნელოვანი აღმოჩენა გავაკეთე. ამგვარად, ორმოცდაათ პროცენტამდე ვამცირებ საფრთხეს. აღარ წვიმს. ქარი ისევ ძლიერია, მაგრამ ახლა საშუალება მაქვს, დავინახო, რა ხდება წინ და უკან: უკან სინათლეა, წინ – სიბნელე. ჩვენ კი ამ ორი უკიდურესობის შუაში ვართ.

ხუთი საათისთვის ყველაფერი მთავრდება – მზე, ქარი და ტალღები ჩვეულ რიტმს დაუბრუნდნენ. ვშლი აფრას და საკუთარი თავით კმაყოფილნი განვაგრძობთ სვლას. ქვაბებით ნავში დარჩენილ წყალს ვღვრით. ანძაზე მიბმული საბნები ქარში სწრაფად შრება. ბრინჯით, ფქვილითა და ზეთით მომზადებული საჭმლით ვსადილობთ და ორმაგ ყავასა და დიდ ულუფა რომს ვაყოლებთ. ჩამავალი ცეცხლოვანი მზე დაუვიწყარი სურათის მოწმეებს გვხდის: სანახევროდ ზღვაში ჩასული, ფერად სხივებს ესვრის ცას, მასზე მიმოფანტულ რამდენიმე ღრუბელსა და ტალღებს. აწეული ტალღა მოხვედრილი სხივის მიხედვით, ძირში – ლურჯი, ზემოთ – მწვანე და ქოჩორთან – წითელ, ვარდისფერ, ან ყვითელ ფერებს იღებს.

აქამდე უცნობი, ტკბილი სიმშვიდე მიპყრობს და ამასთან ერთად, მიჩნდება იმის შაგრძნება, რომ, შეიძლება, საკუთარ თავს ვენდო. ამ ჯოჯოხეთს თავი კარგად დავაღწიე. ეს მოკლე ქარიშხალი ჩემთვის ძალიან სასარგებლო იყო. სხვის დაუხმარებლად ვისწავლე, თუ როგორ უნდა ვიმოქმედო ასეთ შემთხვევებში. ღამეს მეტი სიმშვიდით შევუტევ.

– აბა, კლუზიო, როგორი მანევრი იყო ნავის დასაცლელად?

– ბიჭო, ეს რომ არ გექნა, მეორე ტალღა ყოფას გვიტირებდა. ჩემპიონი ხარ!

– მეზღვაური რომ იყავი, მაშინ ისწავლე? – მეკითხება მატურეტი.

– ჰო, ხომ ხედავ, სამხედრო ფლოტში სამსახურიც შეიძლება, რაღაცაში გამოგადგეს.

ეტყობა, კურსს ძალიან ავცდით. მიდი და გაიგე, ასეთი ქარიშხლის შემდეგ ოთხ საათში რამდენზე გადავუხვიეთ. რაც არის – არის, ჩრდილო-დასავლეთით ვიცურებ და ალბათ, გამოვასწორებ. მზე უკანასკნელ, ამჯერად იისფერ სხივებს აგზავნის და ჩადის. სწრაფად ბნელდება.

კიდევ ექვსი დღის განმავლობაში უფათერაკოდ მივცურავთ, თუ არ ჩავთვლით პატარა-პატარა ქარიშხლებსა და წვიმებს, რომლებიც სამ საათზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა. ახლა დღის ათი საათია. რაკი სიოც არ იძერის და სრული შტილია, დაახლოებით ოთხი საათით ვიძინებ. როცა ვიღვიძებ, ტუჩები მეწვის. ცხვირზე, ტუჩებსა და მარჯვენა ხელზე ტყავი ცოცხლად მძვრება. მატურეტი და კლუზიოც ამ დღეში არიან. დღეში ორჯერ სახესა და ხელებზე ზეთს ვისვამთ, მაგრამ ეს არ გეშველის – ტროპიკების მზე მას სწრაფად აშრობს.

თუ მზეს დავუჯერებთ, ნაშუადღევის ორი საათი უნდა იყოს. ეჭამ და, რაკი შტილია, აფრისგან ჩრდილის გაკეთებას ვაპირებ. იმ ადგილას, სადაც მატურეტმა ჭურჭელი გარეცხა, თევზები ირევიან. მაჩეტეს ვიღებ და მატურეტს ვეუბნები, ბრინჯის რამდენიმე მარცვალი გადააგდოს. დასველების შემდეგ ბრინჯი ფერმენტაციას იწყებს და მაინც უვარგისი ხდება. თევზები მარცვლების გარშემო იკრიბებიან. ერთს, რომელსაც თავი სანახევროდ ამოყოფილი აქვს, მთელი ძალით ვურტყამ. მაშინვე მუცლით ზემოთ ტრიალდება. ათი კილო იქნება. ვასუფთავებთ, მარილწყალში ვხარშავთ და ვახშმად მანიოკის ფქვილთან ერთად ვჭამთ.

აი, უკვე თერთმეტი დღეა, რაც ოკეანეში გავედით. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი გემი შევამჩნიეთ ჰორიზონტზე. უკვე თავს ვეკითხები, სად ეშმაკებში უნდა ვიყოთ? გაშლილ ოკეანეში რომ ვართ, ეს ნაღდია, მაგრამ ტრინიდადიდან ან სხვა რომელიმე ინგლისური კუნძულიდან რა მანძილზე – არ ვიცი. ძაღლი ახსენეო... პირდაპირ ჩვენ წინ რაღაც წერტილი ნელ-ნელა იზრდება. გემია, თუ საზღვაო კატარღა? გემია. ჩვენკენ კი არა, ჩვენი კურსის გადაკვეთით მიცურავს. მართალია, გვერდულად, მაგრამ მაინც გვიახლოვდება. უქარობის გამო ჩვენი აფრები საცოდავად კიდია. გემმა, ეტყობა, ვერ შეგვამჩნია... უეცრად სირენის ღმუილი და სამი გასროლა ისმის. მერე გემი გეზს იცვლის და პირდაპირ ჩვენზე მოდის. „ოლონდ დიდი სიჩქარით არ მოგვიახლოვდეს!“ – ვფიქრობ შეშფოთებული საშიში არაფერია – ზეთივით ზღვაა. ტანკერი აღმოჩნდა. მოახლოებისთანავე გემბანზე ადამიანებს ვარჩევთ. გვესმის მათი გაკვირვებული ხმები: „რა უნდა უნდოდეს ამ ხალხს გაშლილ ზღვაში კაკლის ნაჭუჭით?“ ნელა გვიახლოვდება. უკვე გარკვევით ვარჩევთ გემის ოფიცრებს, ეკიპაჟის სხვა წევრებს, მზარეულს. გემბანზე ჭრელკაბიანი ქალები და ფერადპერანგიანი მამაკაცები გამოდიან. ტანკერზე მგზავრების ყოფნა უცნაურად გვეჩვენება. იგი ნელა გვიახლოვდება და კაპიტანი ინგლისურად გვეკითხება:

– Where are you coming from? (საიდან მოდიხართ?)

– French Guyane. (საფრანგეთის გვინიდან.)

– ფრანგულად ლაპარაკობთ? – გვეკითხება ერთი ქალი.

– დიახ, ქალბატონო.

– რას აკეთებთ გაშლილ ოკეანეში?

– მივდივართ იქით, საითაც ღმერთი ნაგვიყვანს.

ქალი კაპიტანს ელაპარაკება და მერე გვეუბნება:

– კაპიტანი გთხოვთ, გემზე ამოხვიდეთ, თქვენს პატარა ნავს გემბანზე ამოიტანენ.

– უთხარით, რომ მადლობას ვუხდით, მაგრამ ჩვენს ნავზეც კარგად ვგრძნობთ თავს.

– რატომ არ გინდათ, რომ დაგეხმარონ?
– იმიტომ, რომ გამოქცეულები ვართ და თქვენი მიმართულებით არ მივდივართ.
– საით მიდიხართ?
– მარტინიკაზე და მერე – უფრო შორს. ახლა სად ვიმყოფებით?
– გაშლილ ზღვაში.
– როგორ მოვხვდებით ანტილიებზე?
– შეგიძლიათ, ინგლისურ საზღვაო რუკაში გაერკვათ?
– ჰო.

ცოტა ხნის შემდეგ თოკით უშვებენ ინგლისურ რუკას, რამდენიმე კოლოფ სიგარეტსა და ცხვრის შემწვარ ბარკალს.

– დახედეთ რუკას, – ჩამომძახიან ზემოდან.

ვუყურებ და ვეუბნები:

– კურსი დასავლეთი – მეოთხედი სამხრეთი უნდა ავიღო, რათა ინგლისის ანტილიის კუნძულებზე მოხვდე, არა?
– სწორია.
– დაახლოებით რამდენი მილი იქნება?
– ორ დღეში იქ იქნებით, – მეუბნება კაპიტანი.
– ნახვამდის, მადლობა ყველას.
– გემის კაპიტანი გიქებთ მეზღვაურულ სიმამაცეს!
– გმადლობთ, მშვიდობით!

ტანკერი ნელა მიდის, თითქმის გვეხება. ნავს ვაშორებ, მეშინია, ხრახნი არ გამომდოს. ამ დროს ვიღაც მეზღვაურის კასკეტს მიგდებს. ის ზუსტად ნავის შუაში ვარდება. მოოქროვილი გალონები და ღუზა ახატია. სწორედ ეს ქუდი მეხურება, როცა ორი დღის შემდეგ ტრინიდადს მივადგებით.

ტრინიდადი

ფრინველებმა მიწის მოახლოება მის დანახვამდე დიდი ხნით ადრე გვამცნეს – დილის რვის ნახევრიდან უკვე თავზე დაგვტრიალებენ.

– მოვედით, ბიჭებო, მოვედით! გაქცევის პირველი, ყველაზე გრძელი ნაწილი გადავლახეთ! გაუმარჯოს თავისუფლებას!

სახეებზე იმ გემის მიერ ნაჩუქარი კაკაოს კარაქი გვისვია, რაც ოდნავ მაინც გვიამებს სიდამწვრეს. ცხრა საათისთვის მიწის ნაჭერი ჩნდება. გრილი, სუსტი ქარი საკმაოდ კარგი სიჩქარით გვიბიძგებს მისკენ. ოკეანე თითქმის მშვიდია. ნაშუადღევის ოთხი საათისათვის წაგრძელებული კუნძულის კონტურებს ვარჩევთ. წინ თეთრი სახლები მოჩანს, ხოლო უკან – ქოქოსის ხეები. ჯერ ვერ გაგვირკვევია, მართლა კუნძულია ჩვენ წინ თუ ნახევარკუნძული; ვერც ის – ცხოვრობს თუ არა ვინმე ამ სახლებში. კიდევ ერთი საათის შემდეგ უკვე ვარჩევთ ადამიანებს, რომლებიც სანაპიროსკენ მორბიან. მთელი სოფელი ჩვენ შესახვედრად გამოსულა. მოგვიანებით გავიგებთ, რომ ამ სოფელს სან-ფერნანდო ჰქვია.

ღუზას ნაპირიდან სამას მეტრში ვუშვებ. მაშინვე ედება. ამას სიფრთხილის გამო ვაკეთებ: ჯერ ერთი, მინდა, ამ ხალხის რეაქციას დავაკვირდე და, მეორეც, მეშინია, ფსკერი აქ მარჯნისა არ იყოს და ნავი არ გავაფუჭო. აფრა დავუშვით და ველოდებით. ჩვენკენ პატარა ნავი მოცურავს. შიგ ორი შავკანიანი მენიჩბე და ერთიც

თეთრი კაცი ზის კოლონიური ქუდით.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ტრინიდადში, – გვეუბნება თეთრკანიანი სუფთა ფრანგულ ენაზე. შავები იცინიან და თეთრ კბილებს აჩენენ.

– გმადლობთ, მუსიე, კეთილი სიტყვებისათვის. აქ ფსკერი ქვიშისაა თუ მარჯნის?

– ქვიშისაა, შეგიძლიათ, უშიშრად მიცუროთ ნაპირამდე.

ღუზას ვიღებ და ტალღებს ნელ-ნელა ნაპირამდე მივყავართ. მაშინვე ათი კაცი შემოდის წყალში და თვალის დახამხამებაში ნავი მშრალზე გააქვთ. გვათვალიერებენ, მოფერების ნიშნად ხელით გვეხებიან. შავი ქალები, არ ვიცი, ინდუსები თუ ვინ, ხელის ქნევით გვეპატიჟებიან. თეთრი ფრანგულად მიხსნის, რომ ყველას თავისთან უნდა ჩვენი წაყვანა. მატურეტი პეშვით იღებს ქვიშას და კოცნის. თეთრკანიანს კლუზიოს მდგომარეობა აეუხსენი და მაშინვე იქვე ახლოს, თავის სახლში გადააყვანინა. იგი გვეუბნება, რომ შეგვიძლია, ნივთები ხვალამდე დაეტოვოთ ნავში, ხელს არავინ ახლებს ყველა captain-ს მიწოდებს. მეცინება ამგვარ მონათვლაზე. „Good captain, long ridt on small boat!" (მამაცი კაპიტანი, ასეთი გრძელი გზა – ამ პატარა ნავით!) – გაიძახიან ისინი.

ღამდება. სანამ ინგლისელს სახლში გავყვებოდეთ, ვთხოვ, ჩვენი ნავი ნაპირზე ცოტა ღრმად შემოათრევინოს და სხვა ნავზე მიაბას.

იგი bungalow-ში ცხოვრობს, ისეთში, როგორსაც ყველა ინგლისურ მიწაზე შეხვდებით: რამდენიმესაფეხურიანი ხის კიბით და ტილოგადაკრული მეტალის კარით. ინგლისელის ფეხდაფეხ მე და მატურეტი შიგნით შევდივართ და სავარძელში მოკალათებულ კლუზიოს ვხედავთ, რომელსაც მოტეხილი ფეხი სკამზე შემოუდევს და ქალებს რაღაცას ეტრაბახება.

– გაიცანით: ჩემი მეუღლე და ქალიშვილი! – ამბობს მასპინძელი, – ერთი ბიჭიც მყავს, ინგლისშია და ადიუტანტად მსახურობს.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ამ სახლში, – მეუბნება მისი მეუღლე ფრანგულად.

– დაბრძანდით, ბატონებო, – გვეუბნება ქალიშვილი და ტირიფის ორ სავარძელს გვიჩოჩებს.

– გმადლობთ, ქალბატონებო, ძალიანაც ნუ გაირჯებით ჩვენთვის.

– რატომ? დამშვიდდით, ვიცით, საიდანაც მოდიხართ და გიმეორებთ: კეთილი იყოს თქვენი ფეხი ამ სახლში.

კაცს მისტერ ბოვენი ჰქვია, ადვოკატია და საკუთარი buffet (კანტორა) აქვს ტრინიდადის დედაქალაქ პორტ ოფ სპეინში, რომელიც აქედან ოთხმოც კილომეტრში მდებარეობს. გვიმასპინძლდებიან ჩაით, ნამცხვრებით, კარაქითა და მურაბებით. ჩვენი, როგორც თავისუფალი ადამიანების ეს პირველი საღამო არასდროს დამავიწყდება. არც ერთი სიტყვა ნარსულზე, არავითარი უადგილო გამოკითხვა, გარდა კითხვისა რამდენი დღე ვიყავით ოკეანეში და როგორ ჩაიარა მოგზაურობამ; როგორ გადაიტანა ამხელა გზა კლუზიომ; პოლიციას ხვალვე შევატყობინოთ, თუ კიდევ ერთი დღე მოვიცადოთ; ცოცხლები არიან თუ არა ჩვენი მშობლები, ცოლები და შვილები; თუ წერილის გაგზავნა გვინდა, თვითონ წაიღებენ ფოსტაში. მოკლედ, რაღა გავაგრძელო და, ამ ხალხმა – დაწყებული სანაპიროდან, ამ ოჯახით დამთავრებული – ენით აუწერელი ყურადღება გამოიჩინა სამი დევნილისადმი.

მისტერ ბოვენი ტელეფონით უკავშირდება ერთ ექიმს და კონსულტაციებს იღებს. იგი ურჩევს, მეორე დღეს კლინიკაში მიუყვანონ დაზარალებული – იქ რენტგენს გადაუღებენ და გაარკვევენ, რა არის გასაკეთებელი. მისტერ ბოვენი პორტ ოფ სპეინში Salvation Army-ის (ხსნის არმიის) კომენდანტთან რეკავს. იგი ჰპირდება, რომ სასტუმროში ოთახს მოგვიმზადებს. როცა მოგვესურვება, მაშინ შეგვიძლია, მივიდეთ. ნავი თუ კარგ მდგომარეობაშია, უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან წასასვლელად დაგვჭირდება. ადვოკატი გვეკითხება, გადასახლებულები ვართ თუ კატორღელები. ვპასუხობთ, რომ კატორღელები ვართ. თითქოს კმაყოფილია, რომ ასეა.

– წამობრძანდით, დაიბანეთ და გაიპარსეთ, – გვეუბნება ქალიშვილი, – უარს ნუ იტყვით, ნუ გერიდებათ. აბაზანაში ტანსაცმელი დაგილაგეთ, იმედი მაქვს, მოგეწრებათ.

გავდივარ სააბაზანოში, ვბანაობ და ვიპარსავ. როცა ვბრუნდები, ნაცრისფერი შარვალი, თეთრი პერანგი, ტენისის ფეხსაცმელი და თეთრი წინდები მაცვია.

კარზე ვილაც აკაკუნებს და შემოდის. მას იღლიაში ფუთა უჭირავს, მატურეტს აძლევს და ეუბნება, რომ, ექიმის თქმით, ადვოკატის სახლში მისი ზომისა არავინ ჰყავთ და ტანსაცმლის შერჩევა გაუჭირდებათ. შემდეგ იგი ჩვენ წინ იხრება და მიდის. რა უნდა ვთქვა ამდენი სიკეთის შემყურემ?! აუწერელი მღელვარება მიპყრობს და გულს მიესებს.

კლუზიო პირველი გაიყვანეს მოსასვენებლად. ჩვენ, ხუთნი, სხვადასხვა თემაზე ერთმანეთს ვუზიარებთ აზრებს. ამ მშვენიერ ქალებს ყველაზე მეტად ის აინტერესებთ, როგორ ვაპირებთ ცხოვრების შეცვლას. არავითარი წარსული, მხოლოდ მომავალზე ვლაპარაკობთ. მისტერ ბოვენი ნანობს, რომ ტრინიდადი გამოქცეულებს თავის ტერიტორიაზე არ იღებს. ადრე მას რამდენჯერმე მოუთხოვია ეს შელავათი ვილაცეებისთვის, მაგრამ ყოველთვის უარი მიუღია.

ქალიშვილი ფრანგულად მამასავით სუფთად ლაპარაკობს. ჩვიდმეტი-ოცი წლის იქნება – ვერ ვბედავ, ასაკი ვკითხო. ქერაა და სახეზე ნითური ჭორფლი აყრია. იგი ამბობს:

– თქვენ ახალგაზრდები ხართ და ყველაფერი წინ გაქვთ. არ ვიცი და არც შეიძლება, ვიცოდე, რა ჩაიდინეთ ისეთი, რომ ასე დაგსაჯეს, მაგრამ ის, რომ გაბედეთ და ზღვაში ასეთი პატარა ნავით გახვედით, თავი ასეთ ხანგრძლივ და სახიფათო მოგზაურობას მიეცით, ამტკიცებს, რომ მზად ხართ, თავისუფლებისათვის ყველაფერი გაიღოთ. სწორედ ეს არის ყველაზე დასაფასებელი.

დილის რვა საათამდე გვძინავს. დიასახლისები უბრალოდ გვეუბნებიან, რომ მისტერ ბოვენი პორტ ოფ სპეინშია წასული, მხოლოდ ნაშუადღევს დაბრუნდება და გვეტყვის, შემდგომში როგორ მოვიქცეთ.

ეს კაცი სამ გამოქცეულ კატორღელს თავის სახლში ცოლ-შვილთან მარტო დატოვებით ფასდაუდებელ გაკვეთილს გვიტარებს – იგი თითქოს გვეუბნება: „თქვენ ნორმალური ადამიანები ხართ. ხომ ხედავთ, ისე გენდობით, რომ გაცნობიდან თორმეტი საათის შემდეგ ოჯახში მარტო გტოვებთ, ცოლთან და ქალიშვილთან ერთად. თქვენი გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ნდობის ღირსი ხართ და ეჭვიც არ მეპარება, რომ არც სიტყვით და არც ქცევით არაფერ ცუდს არ ჩაიდენთ. ამიტომ გტოვებთ ჩემს სახლში ძველი მეგობრებივით.“

ამ შემთხვევამ დიდად აგვაღელვა. ალბათ იმდენი გონება არ მეყოფა, მკითხველო – თუ ოდესმე ამ ნაწერს მკითხველი ეყოლება – ისე ხატოვნად, ემოციების სიმძაფრით აღვწერო საკუთარი თავის პატივისცემის უზარმაზარი შეგრძნება. არა, რეაბილიტაციისა კი არა, თავიდან დაბადებისა! ეს იყო ჩემთვის რაღაც ნათლობისმაგვარი – ტალახიდან ამოსვლასა და უმანკოების შხაპის მიღებას უდრიდა. ნდობამ და პასუხისმგებლობის გრძნობამ ამ ორ დღეში ისე მაქცია სხვა ადამიანად, რომ კატორღელის კომპლექსი, რომელიც თავისუფლებაშიც ჯაჭვებს ელოდება და ყოველ წუთს ჰგონია, რომ ვიღაც უთვალთვალებს, რადგან ყოველ წუთს ცდილობს, გარეგნულად მორჩილ და ინერტულ ადამიანში შინაგანად საშიში სული ამოიცნოს – ყველაფერი ეს გაუჩინარდა. გმადლობთ, მისტერ ბოვენ, მისო უდიდებულესობავ ადვოკატო, გმადლობთ, რომ ასე მოკლე დროში სხვა კაცად მაქციეთ!

ქერათმიანი ქალიშვილი, ზღვაზე უფრო ლურჯი თვალებით, მამის სახლის ეზოში ქოქოსის პალმის ქვეშ ჩემ გვერდით ზის. წითელი, ყვითელი და იასამნისფერი ბუგენვილებით და კიდევ სხვა მრავალი ყვავილით გადაპენტილ ბაღს ამ წუთებისთვის ასე საჭირო პოეზიის ელფერს აძლევს.

– ბატონო ანრი (რამდენი ხანია, ჩემთვის „ბატონო" არ უთქვამთ!), როგორც გუშინ მამამ გითხრათ, ინგლისელი ავტორიტარების კანონები, სამწუხაროდ, აქ დარჩენას გიკრძალავთ. მხოლოდ თხუთმეტ დღეს გაძლევენ დასვენებისთვის, მერე კი უნდა დატოვოთ ეს ქვეყანა. დილით ადრე თქვენი ნავი ვნახე. ისეთი დიდი მოგზაურობისათვის, როგორიც თქვენ გელით, მეტისმეტად პატარა და მსუბუქი მეჩვენა. იმედი მაქვს, მიაღწევთ ისეთ ქვეყნამდე, რომელსაც ჩვენსაზე უფრო სტუმართმოყვარე და შეგნებული ერი ეყოლება. ასეთ შემთხვევებში ყველა ინგლისური კუნძული ასე იქცევა. თუ მომავალი მოგზაურობისას სატანჯველი შეგხვედებათ, გთხოვთ, ამაში ამ კუნძულის ხალხს ნუ დაადანაშაულებთ. ეს მათი ბრალი არ არის, ეს ინგლისის კანონებია. ისინი იმ ადამიანებმა დააწესეს, ვინც თქვენ არ გიცნობენ. მამას მისამართია: ტრინიდადი, პორტ ოფ სპეინი, კუინ სტრიტი 101 გთხოვთ, თუ ღვთის ნებით ამას შეძლებთ, რამდენიმე სიტყვა მოგვწეროთ და თქვენი ამბავი გაგვაგებინოთ.

ისე ვარ აღელვებული, რომ არ ვიცი, რა ვუპასუხო. მადამ ბოვენი გვიახლოვდება. იგი ორმოცდაათიოდე წლის ძალიან ლამაზი ქალია, მოწაბლისფრო-ქერა თმა და მწვანე თვალები აქვს. ძალიან უბრალო, თოკშემორტყმული თეთრი კაბა და ღია მწვანე სანდლები აცვია.

– მუსიე, ჩემი ქმარი მხოლოდ ხუთ საათზე მოვა. იგი ახლა იმის მიღწევას ცდილობს, რომ დედაქალაქში თავისი მანქანით, პოლიციის ესკორტის გარეშე წაგიყვანოთ და ღამე პოლიციის განყოფილებაში არ გაათიოთ. თქვენი ფეხმოტეხილი მეგობარი პირდაპირ მის ნაცნობ ექიმთან წავა კლინიკაში, ხოლო თქვენ ორნი – ხსნის არმიის სასტუმროში.

მატურეტი გვიერთდება. იგი ნავის სანახავად იყო წასული და ამბობს, რომ ის ცნობისმოყვარეებით არის გარშემორტყმული. ხელი არაფრისთვის უხლიათ. მათ ნავის დათვალიერებისას საჭის ქვეშ გაჭედილი ტყვია უპოვიათ და ერთ-ერთმა მათგანს სუვენირად წაღება უთხოვია. მატურესტს უპასუხია: „Captain, Captain." ინდუსი მიხვედრილა, რომ ნებართვა კაპიტნისთვის უნდა ეკითხა.

– ის ორი კუ არ გავათავისუფლოთ? – მეკითხება ბოლოს მატურეტი.

– ნავზე გყავთ? – კითხულობს ქალიშვილი, – წავიდეთ, ვნახოთ!

მივდივართ. გზაში ერთი მშვენიერი პატარა ინდუსი უცერემონიოდ მკიდებს ხელს და მომყვება.

– Good afternoon, – მესალმება ყველა ერთად. ორივე კუ ნავიდან გადმომყავს.

– რა ვუყოთ? ზღვაში გავუშვათ, თუ ბაღში გინდათ, რომ გყავდეთ? – ვეკითხებით მის ბოვენს.

– ჩვენს აუზში ზღვის წყალია, იქ ჩავსვამთ. ასე გაგიხსენებთ ხოლმე.

ვარიგებ ყველაფერს, რაც კი ნავში გვაქვს კომპასის, თამბაქოს, კასრის, დანის, მაჩეტეს, ნაჯახის, საბნებისა და რევოლვერის გარდა. რევოლვერს შეუმჩნეველად ვმალავ საბნებში. ხუთ საათზე მისტერ ბოვენი ბრუნდება:

– ბატონებო, ყველაფერი მოვაგვარე. მე თვითონ წაგიყვანთ დედაქალაქში. ჯერ ფეხმოტეხილს მივიყვანთ კლინიკაში, მერე სასტუმროში წავალთ.

კლუზიოს ვსვამთ მანქანის უკანა საჯდომზე. ქალიშვილს ვემშვიდობები, როცა დედამისი ჩემოდნით ხელში მოდის და ამბობს:

– გთხოვთ, ჩემი ქმრის ზოგიერთი ტანსაცმელი აიღოთ, ალალი გულით გთავაზობთ.

რა უნდა თქვა ამგვარი ადამიანური სიკეთის შემყურემ?

– მადლობა, უღრმესი მადლობა.

მივემგზავრებით მანქანით, რომელსაც საჭე მარჯვნივ აქვს. ექვსს თხუთმეტი წუთი აკლია, როცა კლინიკაში შევდივართ. მას სენ-ჟორჟი ჰქვია. სანიტრებს კლუზიო საკაცით აჰყავთ ოთახში, სადაც საწოლზე ერთი ინდუსი ზის. ექიმი მოდის. იგი ჯერ ბოვენს ართმევს ხელს, მერე – ჩვენ. ფრანგული არ იცის და გადმოათარგმნინა, რომ კლუზიოს კარგად მოუვლიან და ჩვენ მის სანახავად მოსვლა მაშინ შეგვიძლია, როცა მოვისურვებთ. ბოვენის მანქანით გაჩახჩახებულ ქალაქში გავდივართ. იგი სავსეა მანქანებითა და ველოსიპედებით. ვის არ დაინახავთ ქუჩებში, ტროტუარებზე: თეთრებს, ყვითლებს, ინდუსებს. ამ მთლიანად ხისგან აშენებულ ქალაქს პორტ ოფ სპეინი ჰქვია. „ხსნის არმიის" ეს შენობაც ხისაა, მხოლოდ პირველი სართული აქვს ქვის. ის განათებულ მოედანზე დგას, სადაც შევძელი, ერთი წარწერა წამეკითხა – Fich Market (თევზის ბაზარი). იქ მისვლისას ერთი კაპიტანი მთელი თავისი შტაბით – კაცებითა და ქალებით გვეგებება. მას ცოტა ფრანგული ესმის, დანარჩენები ინგლისურად მოგვმართავენ. ისეთი მოცინარი სახეები და კეთილი თვალები აქვთ, რომ ეხვდებით, თავაზიან სიტყვებს გვეუბნებიან. მეორე სართულზე სამსაწოლიან ოთახში ავყავართ – მესამე კლუზიოსათვისაა. გვერდით ჩვენს განკარგულებაში სააბაზანო ოთახია საპნითა და პორსახოცით. ოთახის ჩვენების შემდეგ კაპიტანი გვეუბნება:

– ჭამა თუ გინდათ, საერთო ვახშამი შვიდ საათზეა, ესე იგი, ნახევარ საათში.

– არა, არ გვშია.

– ქალაქში გასეირნებას თუ მოისურვებთ, აი, ორ-ორი ანტილიური დოლარი. ყავაზე და ნაყინზე გეყოფათ. ოღონდ, არ დაიკარგოთ. როცა დაბრუნებას დააპირებთ, ვინმეს შეეკითხეთ: „Salvation Army, please?"

ათი წუთის შემდეგ ჩვენ უკვე ქალაქში ვართ და ტროტუარზე, უამრავ ხალხში იდაყვებით ვიკვლევთ გზას. კაციშვილი ყურადღებას არ გვაქცევს. პირველი თავისუფალი ნაბიჯებისგან აღელვებულები, ღრმად ვსუნთქავთ. ყოველდღიური ნდობა,

რასაც ეს ხალხი ჩვენდამი იჩენს, როცა ასეთ დიდ ქალაქში მარტოდ გვიშვებს, ძველ, მშვიდ ცხოვრებასა და საკუთარი თავის რწმენაში გვაბრუნებს და იმის შეგრძნებას გვიძლიერებს, რომ შეუძლებელია, ამ ნდობას ულალატო. სურვილი გვკლავს, ხალხში გავითქვიფოთ და მისი ნაწილი გავხდეთ. ბარში შევდივართ და ლუდს ვუკვეთო. სათქმელად თითქოს არაფერია: „Two beers, please." დიახ! ეს ხომ ჩვეულებრივად ხდება! მაგრამ ჩვენ თავი სიზმარში გვგონია, როცა ცხვირში ოქროს ნიჟარაგაყრილი ინდიელი გოგო, მას შემდეგ, რაც მოგვემსახურა, გვეუბნება: „Half a dollar, sir." მისი სიცილი, როცა მარგალიტის კბილები უჩანს, მისი შავ-იისფერი, ნაპირებში ოდნავ შევინროებული თვალები, მხრებზე დაყრილი გიშერივით თმები, ნახევრად ღია კორსაჟი მკვრივი, ალბათ მშვენიერი მკერდით – ყველაფერი ეს ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი გვგონია: „მოიცა, პაპი, ეს რეალობა არ არის, ეს არ შეიძლება, ცხადი იყოს. როგორ შეიძლება, ცოცხალი მკვდრიდან, სამუდამო კატორღელიდან, ასე სწრაფად გადაქცეულიყავი თავისუფალ ადამიანად?!

დანახარჯს მატურეტი იხდის. მას კიდევ დოლარნახევარი რჩება. ლუდი ცივია და სასიამოვნო.

– კიდევ თითო დავლიოთ? – მეკითხება იგი. მეჩვენება, რომ გამეორება საჭირო არ არის.

– ამას დამიხედეთ! ჯერ ერთი საათიც არ არის, რაც თავისუფლება იგრძნო და უკვე დათრობას აპირებს!

– ო, ნუ აჭარბებ, პაპი! ორი ლუდის დალევასა და დათრობას შორის დიდი განსხვავებაა!

– იქნებ, მართალიც ხარ, მაგრამ, მეჩვენება, რომ შემთხვევით არ უნდა ვისარგებლოთ და სიამოვნებაში ერთბაშად არ უნდა გადავეშვათ. მე ვფიქრობ, ის ნელ-ნელა უნდა ვიგემოთ და არა ერთ ყლუპად. ამას გარდა, ეს ფული ჩვენი არ არის.

– კარგი, მართალი ხარ. თავისუფლებაში ყოფნა წვეთ-წვეთობით ვისწაელოთ, ასე ჯობია.

გამოვდივართ და ფართო ქუჩაზე ვეშვებით. ეს Watters Street-ია – მთავარი ბულვარი, რომელიც ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. ჩვენდა შეუმჩნევლად, ისე ვერთობით ტრამვაის, ვირშებმული ფურგონების, ავტომობილებს, რეკლამების, ზანგი და ინდიელი გოგონების თვალების ყურებით, რომ ვერ ვამჩნევთ, როგორ ვხვდებით ნავსადგურში. ჩვენ წინ გაჩახჩახებული ტურისტული გემებია. მათ სახელებს აღფრთოვანებაში მოვყავართ: „პანამა", „ლოს-ანჯელესი", „ბოსტონი", „კვებეკი"... აქვეა სატვირთო გემები: „ჰამბურგი", „ამსტერდამი", „ლონდონი"... პორტის მთელ სიგრძეზე ერთმანეთზე მიწყობილა ბარები და კაბარეები, რომლებიც კაცებითა და ქალებითაა სავსე. სვამენ, მღერიან და ხმამაღლა საუბრობენ. შეუკავებელი სურვილი მიპყრობს, ამ უბრალო, მაგრამ სიცოცხლით ასე სავსე ბრბოს შევერიო. ბარების წინ ყინულში ჩაწყობილი ხამანწკები, ზღვის ზღარბები, კიბოები, მულები, ზღვის ათასგვარი ნობათი, გვერდზე ჩავლისას გვაცდუნებს. ოთხკუთხა, წითელი და თეთრი კვადრატებიანი სუფრაგადაფარებული მაგიდები, რომელთა უმეტესობა დაკავებულია, დასაჯდომად გვეპატიჟებიან. ბარებში მულატი გოგონები ტრიალებენ. მათ ნეგროიდული არაფერი ეტყობათ – ღია მუქი ფერის კანი და დახვეწილი პროფილი აქვთ. ფართოდ ამოჭრილი სხვადასხვა ფერის კორსაჟები აცვიათ, რაც

ყველაზე მეტად გიბიძგებს, შეხვიდე და ყველაფერი ამით ისარგებლო. ერთ-ერთ მათგანს ვუახლოვდე ვეუბნები:

– French money good? – თან ათასფრანკიან ბანკნოტს ვუჩვენებ.

– Yes, I change for you, – მპასუხობს გოგონა.

– O. K. – ვეუბნები კმაყოთილი. იგი ბანკნოტს მართმევს და ხალხით გაჭედილ დარბაზში უჩინარდება. ცოტა ხანში ბრუნდება:

– Come here. მივყვებით სალარომდე, სადაც ვიღაც ჩინელი გველოდება:

– თქვენ ფრანგები?

– დიახ.

– გაცვლა ათასი ფრანკი?

– კი.

– სულ ანტილიის დოლარი?

– კი.

– პასპორტი?

– არ მაქვს.

– მეზღვაურის მოწმობა?

– არც ის.

– საემიგრაციო საბუთები?

– არ მაქვს.

– კარგი, – ქალიშვილს ორიოდე სიტყვას ეუბნება და ის დარბაზს ათვალიერებს. მერე ერთ ტიპთან მიდის – ალბათ, მეზღვაურია. იმასაც ისეთივე ქუდი ახურავს, როგორიც მე – ოქროს ხაზითა და ღუზით და სალაროსთან მოჰყავს. ჩინელი ეუბნება:

– სად არის შენი პირადობის მოწმობა?

– აი, – და ჩინელი ამ უცნობის სახელით აუღელვებლად ახურდავებს ჩემს ათას ფრანკს.

მერე ქალს ანიშნებს და მას მეზღვაური მკლავგაყრილი მიჰყავს. ის ვერც კი მიხვდა, რა ხდებოდა. მომცეს ორას ორმოცდაათი ანტილიური დოლარი. ერთ დოლარს ქალიშვილს ვაძლევ, მერე გარეთ გამოვდივართ და ერთ მაგიდასთან ზღვის ნობათითა და გემრიელი მშრალი ღვინით საკუთარ თავს „ორგიას" ვუწყობთ.

მეოთხე რვეული

პირველი გაძცევა

(გაგრძელება)

ტრინიდადი

თავისუფლების ეს პირველი ღამე ამ ინგლისურ ქალაქში ისე მიდგას თვალწინ, თითქოს გუშინ ყოფილიყო. სინათლითა და გულში ჩაღვრილი სითბოთი მთვრალები დავეხეტებოდით ამ მოცინარი, ბედნიერი ხალხის შუაგულში. ბარები სავსეა მეზღვაურებითა და მათ გამოსაჭერად ჩასაფრებული ტროპიკელი ქალებით. ამ ქალიშვილებს არაფერი აქვთ საერთო ჰავრისა თუ მარსელის ქუჩის ქალებთან – დათხაპნილ და სახეზე მანკიერებისაგან დაღდასმულ დიაცებთან. მათ შორის შეხვდებით ყველანაირი რასისა და ფერის ქალიშვილებს – ჩინელიდან დაწყებული აფრიკელი ზანგით დამთავრებული; ინდუსებიდან – ჰავაელებამდე, რომელთა წინაპრები კაკაოსა თუ ლერწმის მოყვანის დროს შეერწყნენ ერთმანეთს; ჩინელებიდან – მეტისირებულ კრეოლებამდე, ცხვირში ნიჟარაგაყრილ ინდუსებამდე და ლაპანებამდე, რომელთაც რომანული პროფილი, სპილენძისფერი სახე, დიდი, გიშერივით შავი, ბრწყინავი თვალები და გრძელი წამწამები აქვთ. მკერდი თითქმის ყველას მოულელავს, თითქოს გეუბნებიან: „შეხედე, რა მშვენიერი ძუძუები მაქვს.“ თმებში თითოეულს სხვადასხვა ფერის ყვავილი უკეთია და ყველაფერი ეს ადამიანში სიყვარულისა და სექსის სურვილს ყოველგვარი სიბინძურისა და ვაჭრული გრძნობის გარეშე იწვევს. კაცი ადვილად მიხვდება, რომ ეს მათთვის სამუშაო კი არა, გასართობია და ფული მათ ყოფაში მთავარი არ არის. მე და მატურეტი ლამპის გარშემო მოფარფატე ფარვანებივით დავეხეტებით ერთი ბარიდან მეორეში. როცა ერთ პატარა მოედანზე გავდივართ, ეკლესიის კოშკის საათზე ვხედავ, რომ უკვე ორი საათია – დილის ორი საათი! ჩქარა, ჩქარა უნდა დავბრუნდეთ! ნდობა ბოროტად გამოვიყენეთ! როგორი წარმოდგენა შეექმნება ჩვენზე „ხსნის არმიის“ კაპიტანს? საჩქაროდ ვაჩერებთ ტაქსის და ვბრუნდებით. ვიხდი ორ დოლარს და დიდად დარცხვენილები შევდივართ სასტუმროში. ჰოლში თავაზიანად გვეგებება „ხსნის არმიის“ ერთი ახალგაზრდა, ასე ოცდახუთი-ოცდაათი წლის ქერა ქალი. სულაც არ ეტყობა, რომ ნაწყენი ან გაბრაზებულია რამდენიმე ინგლისური სიტყვის შემდეგ, რომლებიც, ჩვენი აზრით, კეთილმოსურნეობას უნდა გამოხატავდნენ, ოთახის გასაღებს გვაძლევს და მშვიდობის ღამეს გვისურვებს. ჩემოდანში პიჟამოს ვპოულობ. ვწევებით. სანამ შუქს ჩავაქრობდე, მატურეტი მეუბნება:

– ყოველ შემთხვევაში, შეგვეძლო, ღმერთისთვის მადლობა გვეთქვა, რაკი ასე ცოტა დროში ამდენი რამ განგვაცდევინა. რას იტყვი, პაპი?

– ჩემ მაგივრად შენ გადაუხადე მადლობა შენს კეთილ ღმერთს, იგი დიდებული ვინმეა და, როგორც შენ კარგად ამბობ, მეტისმეტად დიდსულოვანი აღმოჩნდა ჩვენთვის. ღამე მშვიდობისა, – და სინათლეს ვაქრობ.

ამ მკვდრეთით აღდგომამ, იმ საფლავიდან ამოსვლამ, სადაც ბოლომდე ვიყავი ჩამარხული, შემდგომმა განცდებმა და ამ ღამის დამაგვირგვინებელმა ცივმა შხაპმა ისე აღაგზნო ჩემი გონება, რომ ძილი არ მეკარება. დახუჭულ თვალებში არეული

სურათების, საგნებისა და განცდების კალეიდოსკოპი მიტრიალებს. ყოველგვარი თანმიმდევრობის გარეშე ფრაგმენტებად წარმომიდგება: სასამართლო, კონსიერჟერია; მერე – კეთროვნები, მერე – სენ-მარტენ დე რე, ტრიბუიარი, იესო, ქარიშხალი... თითქოს, წლის განმავლობაში გადატანილი ერთბაშად შემოესია ჩემი მოგონებების გალერეას. ამაოდ ვცდილობ ამ სურათების გაფანტვას და უფრო საოცარი ის არის, რომ ყველაფერი არეულია ღორებისა და ჰოკოს ჭყივილში, ქარის ღმუილში, ტალღების ხმაურსა და ერთსიმიანი ვიოლინოს მუსიკაში, როგორზეც ახლახანს ბარებში უკრავდნენ ინდიელები.

ბოლოს, გათენებისას, როგორც იქნა, ვიძინებ. ათი საათისათვის კარზე აკაკუნებენ. ეს მოღიმარი მისტერ ბოვენია.

– გამარჯობა, მეგობრებო, არ ამდგარხართ? გავიგე, გვიან დაბრუნებულხართ. დრო როგორ გაატარეთ?

– გამარჯობა. დიახ, გვიან დავბრუნდით, გვაპატიეთ.

– არა, საპატიებელი არაფერია! ბუნებრივია, ყველაფერ იმის შემდეგ, რაც გადაიტანეთ, თავისუფალი კაცის პირველი ღამით ბოლომდე უნდა გესარგებლათ. მოვედი, რათა პოლიციის განყოფილებაში წაგიყვანოთ. ოფიციალურად უნდა განაცხადოთ, რომ ქვეყანაში უნებართვოდ შემოხვედით. ამ ფორმალობის შემდეგ თქვენი მეგობრის სანახავად წავალთ. დილით ადრე რენტგენი გადაუღეს, შედეგები მოგვიანებით იქნება.

სწრაფად მოგვყავს თავი წესრიგში და დაბლა ოთახში ჩამოვდივართ, სადაც ბოვენი კაპიტანთან ერთად გველოდება.

– გამარჯობა, მეგობრებო, – დამტვრეული ფრანგულით გვეუბნება კაპიტანი.

– გამარჯობა ყველას, როგორ ბრძანდებით?

– როგორ მოგეწონათ პორტ ოფ სპეინი? – გვეკითხება ერთი ჩინოსანი ქალი:

– რl ძალიან, ქალბატონო, დიდად გვასიამოვნა.

ფინჯანი ყავის შემდეგ ფეხით მივდივართ პოლიციის განყოფილებაში, რომელიც დაახლოებით ორას მეტრში მდებარეობს. ყველა პოლიციელი გვესალმება და განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობის გარეშე გვიყურებს. ორ ებანოზის ფერის გუშაგს შორის გავლის შემდეგ დიდ კაბინეტში შევდივართ. კაკის უნიფორმიანი, შორტებიანი, ასე, ორმოცდაათიოდე წლის ოფიცერი დგება და ფრანგულად გვეუბნება:

– გამარჯობა, დაბრძანდით. სანამ ოფიციალურად მივიღებდე თქვენს განცხადებას, მინდა, რამდენიმე სიტყვა გითხრათ: რამდენი წლისანი ხართ?

– ოცდაექვსის და ცხრამეტს.

– რისთვის გაგასამართლეს?

– კაცი შემომაკვდა.

– რა მოგისაჯეს?

– სამუდამო კატორღა.

– მაშინ, ეს მკვლელობა ყოფილა.

– არა, მესიე, შემომაკვდა.

– მე – მკვლელობისათვის, – ამბობს მატურეტი, – ჩვიდმეტი წლის ვიყავი.

– ჩვიდმეტი წლისამ იცის, რასაც აკეთებს, – ამბობს ოფიცერი, – ინგლისში, თუ ფაქტი დადასტურდება, ჩამოგკიდებენ. კარგი, ინგლისელი ავტორიტარების საქმე

არ არის, საფრანგეთის სამართალი გაარჩიონ. მაგრამ ერთ რამეში არ ვეთანხმებით: ეს საფრანგეთის გვიანაში მსჯავრდებულების გაგზავნაა. ჩვენ ვიცით, რომ ეს არაადამიანური დასჯაა და არ ეკადრება ასეთ ცივილიზებულ ერს. საუბედუროდ თქვენ ტრინიდადში ან სხვა რომელიმე ინგლისურ კუნძულზე დარჩენის უფლება არ გაქვთ ეს შეუძლებელია. ამიტომაც გთხოვთ, ამ ამბავს გაგებით მიუდგეთ და გამგზავრების დასაყოვნებად მიზეზები არ ეძებოთ – ავადმყოფობა იქნება ეს თუ სხვა რამ თქვენ შეგიძლიათ, პორტ ოფ სპეინში თხუთმეტი-ჩვიდმეტი დღე თავისუფლად დაისვენოთ. როგორც ჩანს, კარგი ნავი გაქვთ. მას აქ, პორტში მოვაყვანინებ. თუ რამე აქვს შესაკეთებელი, სამეფო ფლოტის დურგლები მიხედავენ. გამგზავრებისას საკვების აუცილებელ რაოდენობას, კარგ კომპასსა და საზღვაო რუკას მოგცემთ. იმედი მაქვს, სამხრეთამერიკული ქვეყნები მიგიღებენ. არ გირჩევთ ვენესუელაში წასვლას, რადგან დაგაპატიმრებენ და გზებზე მანამ გამუშავებენ იძულებით, სანამ საფრანგეთს გადაგცემდნენ. ერთი, თუნდაც ძალიან დიდი შეცდომის გამო, კაცი სამუდამოდ არ უნდა დაიკარგოს. თქვენ ახალგაზრდები ხართ, ჯანმრთელი და მშვენიერი იერი გაქვთ. იმედი მაქვს, იმის შემდეგ, რაც გადაიტანეთ, დამარცხებას არ შეურიგდებით. ამას თქვენი აქამდე მოღწევა ამტკიცებს. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვინც თქვენ სხვა ადამიანებად გარდაქმნაში დაგეხმარებათ. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. თუ რამე გაგიჭირდებათ, ამ ნომერზე დარეკეთ, ფრანგულად გიპასუხებენ.

იგი ზარს რეკავს და სამოქალაქო პირს სხვა ოთახში გავყავართ, სადაც ერთი პოლიციელი საბეჭდ მანქანაზე აკაკუნებს. იქ კიდევ რამდენიმე სამოქალაქო პირია. ერთ-ერთი მათგანი ჩვენს განცხადებას იღებს:

– რატომ გაჩერდით ტრინიდადში?

– დასასვენებლად.

– საიდან მოდიხართ?

– საფრანგეთის გვიანიდან.

– გაქცევისას ხომ არ ჩაგიდენიათ რაიმე დანაშაული, როგორიცაა ვინმეს ფიზიკური დაზიანება ან სიკვდილი?

– მძიმედ არავინ დაგვიჭრია.

– საიდან იცით?

– გამომგზავრების წინ გავიგეთ.

შემდეგ გვეკითხება ასაკს, სამართლებრივ დამოკიდებულებას საფრანგეთთან და ასე შემდეგ.

– ბატონებო, თქვენ გეძლევათ თხუთმეტიდან ჩვიდმეტ დღემდე აქ დასარჩენად და დასასვენებლად. ამ ხნის განმავლობაში სრულიად თავისუფალი ხართ. თუ სასტუმროს გამოიცვლით, შეგვატყობინეთ. მე სერჟანტი უილი მქვია. ამ ბარათზე ჩემი ტელეფონებია: ეს სამსახურისაა, ეს – სახლის. რაც უნდა შეგემთხვეთ, თუ ჩემი დახმარება დაგჭირდებათ, მაშინვე დამირეკეთ. იმედი მაქვს, ნდობას არ გაგვიცრუებთ და კარგად მოიქცევით, – გვეუბნება ბოლოს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონ ბოვენს კლინიკაში მივყვებით. კლუზიო ჩვენი ნახვით კმაყოფილია. ქალაქში გატარებულ გუშინდელ ღამეზე არაფერს ვეუბნებით. ვატყობინებთ, რომ თავისუფალი ვართ და შეგვიძლია ჩვენს ნებაზე მოვიქცეთ.

– ბადრაგის გარეშე? – გვეკითხება გაკვირვებული.

– კი, გაცილების გარეშე.

– მართლა? უცნაურები არიან ეს rosbifs-ები (ინგლისელები).

ბოვენი ექიმთან იყო გასული და მასთან ერთად შემოდის.

– ვინ შეგიერთა ძვლები, სანამ არტახებს დაგადებდნენ? – ეკითხება ექიმი კლუზიოს.

– მე და კიდევ ერთი იყო იქ, – ვპასუხობ მე.

– ისე კარგად გაგიკეთებიათ, რომ ძვლის ხელმეორედ გატეხვა საჭირო არ არის, კარგად შეზრდილა. მხოლოდ თაბაშირს დაგადებთ და არტახებს გაგიკეთებთ, რათა ცოტა სიარულიც შეძლოთ. როგორ გირჩევნიათ, აქ დარჩებით, თუ მეგობრებთან გადახვალთ?

– მათთან გადავალ.

– კარგი, ხვალ გაგიშვებთ.

მადლობებად ვდნებით. ბატონი ბოვენი და ექიმი მიდიან. მთელ დილას და ნაშუადღევის დიდ ნაწილს მეგობრებან ვატარებთ. ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს, როცა მეორე დღეს სამივე ერთად ვიკრიბებით სასტუმროს ნომერში. ფანჯარა ფართოდ გვაქვს გაღებული. ჩართული ვენტილატორები ჰაერს აგრილებენ. ვუქებთ ერთმანეთს მშვენიერ იერსა და მიხვრა-მოხვრას, რომელიც ახალმა ტანსაცმელმა შეგვძინა. როცა ვხედავ, რომ საუბარი კვლავ წარსულზე გადადის, ვამბობ:

– რაც შეგვიძლია, ვეცადოთ, დავივიწყოთ წარსული, მხოლოდ აწმყოსა და მომავალზე ვიფიქროთ. სად წავიდეთ? კოლუმბიაში? პანამაში? კოსტა-რიკაში? ბოვენს დავეკითხოთ, რომელ ქვეყანას შეუძლია ჩვენი მიღება.

ბოვენის კანტორაში ვრეკავთ. არ არის. სახლში, სან-ფერნანდოში ვურეკავ. ქალიშვილი გვპასუხობს. თავაზიანი სიტყვების გაცვლის შემდეგ იგი მეუბნება:

– ბატონო ანრი, სასტუმროს წინ, თევზის ბაზართან, ავტობუსების გაჩერებაა. ისინი სან-ბერნანდომდე მოდიან. რატომ არ უნდა გვეწვიოთ ნაშუადღევის ჩვენთან გასატარებლად?

და აი, ჩვენ უკვე სან-ფერნანდოს გზას ვადგავართ. კლუზიო, ნახევრად სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი, მშვენიერი შესახედავია!

იმ სახლში დაბრუნებამ, სადაც ასეთი ღირსებით მიგვიღეს, სამივე აგვაღელვა. ქალები თითქოს ამას მიხვდნენო, ერთხმად გვეუბნებიან:

– აი, თქვენ კვლავ საკუთარ სახლში ხართ, მეგობრებო, კარგად მოეწყვეთ! – და აღარ გვეუბნებიან, „ბატონო", – მხოლოდ სახელებით მოგვმართავენ: „ანრი მომაწოდეთ შაქარი", – „ანდრე, (მატურეტს ანდრე ჰქვია) კიდევ გინდათ პუდინგი?"

მადამ და მადმუაზელ ბოვენ! იმედი მაქვს, ღმერთი გადაგიხდით იმ სიკეთეს, სიხარულსა და განუზომელ ბედნიერებას, რაც თქვენმა ამაღლებულმა სულებმა ჩვენ განგვაცდევინეს. მინდა, რომ უსაზღვროდ ბედნიერები იყოთ!

ვსაუბრობთ და თან მაგიდაზე რუკას ვშლით. დიდი. მანძილები გვაშორებს სხვა ქვეყნებს: კოლუმბიის პირველ პორტამდე – სანტა-მარტამდე – ათას ორასი კილომეტრია; პანამამდე – ორი ათას ასი. კოსტა-რიკამდე – ორი ათას ხუთასი. მისტერ ბოვენი მოდის:

– ყველა საკონსულოში დავრეკე და ერთი კარგი ცნობა მაქვს: შეგიძლიათ, დასასვენებლად კურასაოში გაჩერდეთ. კოლუმბიის კონსულის თქმით, მის ქვეყა-

ნას რაიმე კონკრეტული ზომა არა აქვს განსაზღვრული გამოქცეულთათვის, რადგან იქ ჯერ ასეთები არ გამოჩენილან. ასევეა პანამაში და სხვაგანაც.

– მე ვიცი თქვენთვის ერთი საიმედო ადგილი, – ამბობს მარგარეტი, ბოვენის ქალიშვილი, – მაგრამ ის ძალიან შორსაა – სულ მცირე, სამი ათას კილომეტრზე.

– რომელი? – ეკითხება მამა.

– ინგლისის ჰონდურასი: გუბერნატორი ხომ ჩემი ნათლიაა!

ვუყურებ ჩემს მეგობრებს და ვეუბნები:

– მიმართულება – ინგლისის ჰონდურასი!

– ეს ინგლისელების სამფლობელოა, რომელიც სამხრეთით ჰონდურასის რესპუბლიკას ესაზღვრება, ხოლო ჩრდილოეთით – მექსიკას. ნაშუადღევს მარგარიტსა და მის დედასთან ერთად მარშრუტის ხაზვაში ვატარებთ. პირველი ეტაპია ტრინიდადი-კურასაო, ათასი კილომეტრი; მეორე ეტაპი – კურასაო და რომელიმე შემხვედრი კუნძული; მესამე ეტაპი – ინგლისის ჰონდურასი.

რაკი არავინ უწყის, გზაში რა მოხდება, იმ საკვების გარდა, რასაც პოლიცია მოგვცემს, ვფიქრობთ, სპეციალური ყუთით წავიღოთ სარეზერვო კონსერვები: ხორცი, ბოსტნეული, თევზი და ასე შემდეგ. მარგარეტი გვეუბნება, რომ სუპერმარკეტი „სალვატორი" თავს ბედნიერად ჩათვლის ამ კონსერვების ჩუქებით.

– წინააღმდეგ შემთხვევაში, მე და დედიკო გიყიდით, – ამბობს ის.

– არა, მადმუაზელ.

– გაჩუმდით, ანრი!

– ნამდვილად არა, ეს შეუძლებელია. ჩვენ ფული გვაქვს, ამიტომ, არ იქნება გამართლებული, თქვენი სიკეთით ვისარგებლოთ და გაყიდვინოთ სანოვაგე, როცა თვითონაც მშვენივრად შეგვიძლია მისი ყიდვა.

ნავი პორტ ოფ სპეინში კრეისერს არის შეფარებული. ჩვენს კეთილ მასპინძელს ვემშვიდობებით და ვპირდებით, რომ დიდი გამგზავრების წინ ვნახავთ. ყოველ საღამოს ზუსტად თერთმეტ საათზე გამოვდივართ და კლუზიოს ყველაზე უფრო ხალხმრავალ სკვერში სკამზე ვსვამთ. მე და მატურეტი რიგრიგობით ვრჩებით მასთან, სანამ ერთ-ერთი ჩვენგანი ქალაქში დახეტიალობს. უკვე ათი დღეა, აქ ვართ. არტახის წყალობით კლუზიო სიარულს ახერხებს. ტრამვაით პორტში წასვლაც ვისწავლეთ, უფრო ხშირად ნაშუადღევსა და საღამოს მივდივართ. უკვე გვიცნობენ და პორტის რამდენიმე ბარში კარგად გვიღებენ. მორიგე პოლიციელები მხედრულ სალამს გვაძლევენ. ყველამ იცის, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ. არავითარი სიტყვის გადაკვრა და მინიშნება – მხოლოდ, ვამჩნევთ, რომ ბარებში მეზღვაურებზე ნაკლებს გვახდევინებენ. გოგონებიც ასე იქცევიან: როცა მეზღვაურებისა და ტურისტების მაგიდასთან სხდებიან, ცდილობენ, რაც შეიძლება, მეტი დაახარჯვინონ; მანამდე არ ეცეკვებიან, სანამ რამდენიმე ჭიქა სასმელს არ აყიდვინებენ. ჩვენთან კი ისინი სხვანაირად იქცევიან: მაგიდასთან უფრო დიდხანს რჩებიან და, თუ არ დააძალე, არ სვამენ. ისიც, თუ დათანხმდებიან, მხოლოდ ლუდს, ან ნამდვილ სოდიან ვისკის სვამენ. ეს სიამოვნებას გვანიჭებს, რადგან ვხვდებით – არაპირდაპირ გვეუბნებიან, რომ ესმით ჩვენი მდგომარეობა და გულით გვითანაგრძნობენ.

ჩვენი ნავი გადაღებეს, კილი გაუმაგრეს და ათი სანტიმეტრი სიმაღლის ბორტი დაამატეს. შიგნით ხელი არაფრისთვის უხლიათ, მხოლოდ უფრო მაღალი და მსუბუქი ანძა დააყენეს და ფქვილის ტომრის აფრა ახალი, ჟანგისფერი ტილოთი

შეცვალეს. სამხედრო ფლოტის ერთი გემის კაპიტანმა კომპასი მომცა, რომელიც ქარის მიმართულებასაც აჩვენებს. თან ამიხსნა, როგორ გავნსაზღვრო ადგილმდებარეობა რუკის დახმარებით. კურასაომდე დასაელეთი – მეოთხედი ჩრდილოეთი უნდა ვიცურო.

ფლაგმანის კაპიტანმა წარმადგინა სასწავლო გემ „ტარპონის“ უფროსთან, რომელმაც მთხოვა, თუ არ შეეწუხდებოდი, ხვალ დილით, ასე, რვა საათისთვის, ზღვაში გავსულიყავი და პორტს ცოტაოდენზე გავცლოდი. ვერ ვხვდები, რატომ მთხოვს, მაგრამ პირობას ვაძლევ. ჩვენს ნავში ერთი მეზღვაური ამოდის და საკმაოდ ძლიერი ქარის წყალობით პორტიდან გავდივართ. ორი საათის შემდეგ სამხედრო გემი გვიახლოვდება. გემბანზე თეთრებში გამოწყობილი ეკიპაჟის წევრები და ოფიცრები ჩამწკრივებულან. როცა ჩვენ გვისწორდებიან, ერთხმად ყვირიან: „ვაშა!“ მერე ტრიალდებიან და დროშას ორჯერ სწევენ და უშვებენ. ეს ოფიციალური მისალმებაა, რომლის მნიშვნელობა მე არ მესმის. პორტში რომ ვბრუნდებით, ის გემი უკვე ღუზაზე დგას. მეზღვაური გვანიშნებს, გავყვეთ. გემზე ავდივართ. გემის უფროსი პასერელის თავში გვეგებება. მისალმების ნიშნად ისმის სასტვენის ხმა. მერე, უფროს ოფიცრებთან წარდგენის შემდეგ, მივდივართ კურსანტების გაჭიმულ მწყობრთან, რომელსაც წინ უმცროსი ოფიცრები უდგანან. სასწავლო გემის უფროსი მათ ინგლისურად ეუბნება რამდენიმე სიტყვას და მერე რიგები იშლება. ერთ-ერთი ახალგაზრდა ოფიცერი მიხსნის, რომ, ეს-ესაა, უფროსმა ეკიპაჟსა და კურსანტებს აუხსნა, თუ რაოდენ ვიმსახურებდით მეზღვაურულ პატივისცემას იმის გამო, რომ ამ პატარა ნავით ასეთი გრძელი გზა გავიარეთ და არანაკლებ სახიფათო კიდევ წინ გველის. მადლობას ვუხდით ოფიცერს ჩვენი დაფასებისთვის. იგი სამ წყალგაუმტარ ლაბადას გვაძლევს საჩუქრად, რაც შემდგომში ასე გამოგვადგება. ამ შავ საწვიმრებ ფართო ეკლერის შესაკრავები და კაპიუშონები აქვთ.

გამგზავრებამდე ორი დღით ადრე მისტერ ბოვენი ჩვენ სანახავად მოდის და პოლიციის სუპერინტენდანტის თხოვნას გადმოგვცემს, რომ თან სამი გადასახლებული წავიყოლოთ, რომლებიც ერთი თვის წინ დაუკავებიათ. ისინი ამხანაგებს კუნძულზე გადმოუსხამთ და თვითონ ვენესუელისკენ წასულან. ეს ამბავი არ მსიამოვნებს, მაგრამ ამდენი სიკეთის შემდეგ უარს ვერ ვეუბნები. ვთხოვ, პასუხის მიცემამდე შემახვედროს. მისტერ ბოვენს სუპერინტენდანტთან მივყავარ, ოფიცერთან, რომელმაც ჩამოსვლისას დაგვკითხა. სერჟანტი უილი თარჯიმნობას კისრულობს:

– როგორ ბრძანდებით?

– კარგად, გმადლობთ. თქვენი დახმარება გვჭირდება.

– თუ რამე შეგვიძლია, სიამოვნებით.

– აქ, ციხეში სამი ფრანგი გადასახლებული გვყავს. რამდენიმე კვირაა, ფარულად ცხოვრობენ ამ კუნძულზე და აცხადებენ, რომ ამხანაგებმა მიატოვეს. ჩვენ გვგონია, რომ ნავი, რომლითაც მოვიდნენ, ჩაძირეს, თუმცა ამბობენ, არც ერთმა ნავის მართვა არ ვიცითო. უნდა როგორმე გავუშვათ აქედან. დასანანი იქნებოდა, იძულებული გავმხდარიყავით, პირველივე გამვლელი ფრანგული გემის კომისრისათვის გადაგვეცა.

– ბატონო სუპერინტენდანტო, შეუძლებელს გავაკეთებ, მაგრამ, მანამდე მინდა, მათ დაველაპარაკო. ალბათ, გესმით, რა სახიფათოა სამი უცნობის ნავზე აყვანა.

– მესმის. უილი, გაეცით ბრძანება, ის სამი ფრანგი ეზოში გამოიყვანონ.

მარტომ მინდა დაველაპარაკო და სერჟანტს ვთხოვ, წავიდეს.

– თქვენ გადასახლებულები ხართ?

– არა, კატორღელები.

– რატომ თქვით, გადასახლებულები ვართო?

– გვეგონა, პატარა დანაშაულის მქონე კაცს უფრო კარგად მიიღებდნენ. ვხედავთ, რომ შევცდით. შენ ვინ ხარ?

– კატორღელი.

– ვერ გიცნობთ.

– მე უკანასკნელი ეტაპიდან ვარ. თქვენ?

– 1929-ის.

– მე 1927-ის – ამბობს მესამე.

– მოკლედ, სუპერინტენდანტმა დამიძახა და მთხოვა, თან წაგიყვანოთ. ჩვენ სამნი ვართ. ის ამბობს, რომ, თუ უარს ვიტყვი, იმის გამო, რომ არც ერთმა თქვენგანმა ნავის მართვა არ იცის, იძულებული გახდება, პირველივე გამვლელ ფრანგულ გემს გადაგცეთ. რას იტყვით ამაზე?

– იმ მიზეზების გამო, რომლებიც მხოლოდ ჩვენ გვეხება, ზღვით ხელმეორედ გამგზავრება არ გვინდა. მოვაჩვენებთ, რომ თქვენთან ერთად წამოვედით, სინამდვილეში კი კუნძულის ბოლოში ჩამოგვსხამ და შენ შენს გზას გააგრძელებ.

– ამის გაკეთება არ შემიძლია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ არ შემიძლია, სიკეთე ასე გადავუხადო.

– ჩემი აზრით, როსბიფებზე წინ კატორღელები უნდა დააყენო.

– რატომ?

– იმიტომ, რომ შენც კატორღელი ხარ.

– კი, მაგრამ იმდენი ჭრელი კატორღელია, რომ, შესაძლოა, თქვენსა და ჩემ შორის უფრო დიდი განსხვავება იყოს, ვიდრე ჩემსა და როსბიფებს შორის. გაიჩნია...

– ესე იგი, საფრანგეთის ხელისუფალთა ხელში ჩასაგდებად გვტოვებ?

– არა, მაგრამ არც თქვენი სადმე გადასხმა მინდა კურასაომდე.

– გამბედაობა არა მყოფნის, ყველაფერი თავიდან დავიწყო, – ამბობს ერთ-ერთი მათგანი.

– მომისმინეთ, ჯერ ნავი ნახეთ. შეიძლება ის, რითაც თქვენ მოხვედით, არ ვარგოდა.

– კარგი, ვცადოთ, – ამბობს დანარჩენი ორი.

– შევთანხმდით. სუპერინტენდანტს ვთხოვ, ნავის სანახავად მოგიყვანოთ.

სერჟანტ უილის ფანხლებით პორტში მივდივართ. ნახვის შემდეგ იმ სამს, თითქოს ნავის ნდობა გაუჩნდა.

ახალი გამგზავრება

ორი დღის შემდეგ ჩვენ და სამი უცნობი ზღვაში გავდივართ. არ ვიცი, საიდან გაიგეს, მაგრამ ჩვენს ნასვლას ბოვენის ოჯახისა და „ხსნის არმიის“ კაპიტნის გარდა, გოგოების მთელი დუჟინი ესწრება ბარიდან. როცა ერთ-ერთი ქალიშვილი გამომშვიდობებისას მკოცნის, მარგარეტი სიცილით მეუბნება:

– ანრი, ასე მალე დაინიშნეთ? რა არასერიოზულობაა!

– ნახვამდის, არა, მშვიდობით, მაგრამ, იცოდეთ, რომ ჩვენს გულებში სამუდამოდ დარჩებით!

ნაშუადღევის ოთხი საათია. ბუქსირის დახმარებით პორტიდან იოლად გავდივართ. ცრემლების წმენდით დიდხანს ვუყურებთ ჩვენს გასაცილებლად მოსულ ადამიანებს, რომლებიც ახლა დიდ, თეთრ ცხვირსახოცებს აფრიალებენ. ბუქსირის ჩახსნისთანავე გაბერილი აფრით ვუტევთ პირველ ტალღას იმ ათასობით ტალღიდან, რომელთა გადალახვაც ადგილზე ჩასვლამდე მოგვიწევს...

* * *

ნავზე ორი დანაა: ერთი მე მაქვს, მეორე – მატურეტს. ნაჯახი და მაჩეტე კლუზიოსთანაა. დარწმუნებული ვართ, რომ არც ერთი იმ სამთაგან, შეიარაღებული არ არის. მთელი მგზავრობის განმავლობაში ჩვენგან მხოლოდ ერთი დაიძინებს ხოლმე. მზის ჩასვლისას სასწავლო გემი გვეწევა და გვერდით ნახევარ საათს მოგვყვება, მერე სალამს გვაძლევს და მიდის.

– რა გქვია? – ვეკითხები ჩემს ახალ თანამგზავრის.

– ლებლონი.

– რომელი ეტაპიდან ხარ?

– 27-ე.

– რა სასჯელი გქონდა?

– ოცი წელი.

– შენ?

– კარგერე, ეტაპი 29, თხუთმეტი წელი. ბრეტონელი ვარ.

– ბრეტონელი ხარ და ნავის მართვა არ იცი?.

– არა.

– მე დიუფისი მქვია, ანჟერიდან ვარ. სასამართლოზე ერთი სულელური სიტყვის თქმისთვის სამუდამო ავიკიდე. ეს რომ არა, მაქსიმუმ ათი წელი მექნებოდა.

– რა სიტყვა იყო ასეთი?

– ჩემი ცოლი უთოთი მოვკალი. პროცესის დროს ჟიურის ერთ-ერთი წევრი შემეკითხა, რატომ მაინცდამაინც უთო დაარტყიო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვუპასუხე, რომ ამ უთოთი ჩემი ცოლი ტანსაცმელზე არასწორ ნაკეცებს აკეთებდა. როგორც ჩემმა ადვოკატმა მითხრა, სწორედ ამ იდიოტური ფრაზის გამო გამაფუჭეს ასე.

– საიდან წამოხვედით?

– ერთ-ერთი სატყეო ბანაკიდან, რომელსაც „კასკადი" ჰქვია, სენ-ლორანიდან ორმოც კილომეტრზეა. ძნელი არ იყო, რადგან საკმაოდ თავისუფლად ვიყავით. ხუთნი წამოვედით, რამდენიც ჩავეტიეთ.

– როგორ თუ ხუთნი, სად არიან დანარჩენები?

უხერხული სიჩუმე ვარდება. კლუზიო ეუბნება:

– ძმაკაც, აქ ყველა მამაკაცები ვართ და, რაკი ერთად მოვხვდით, უნდა ყველაფერი ვიცოდეთ. ილაპარაკეთ.

– ყველაფერს გეტყვით, – ამბობს ბრეტონელი, – მართლაც ხუთნი წამოვედით. იმ ორმა კანელმა, რომლებიც ახლა გვაკლია, გვითხრა, რომ მეთევზეები ვართო. მათ გაქცევისათვის არაფერი დაუხარჯავთ, რადგან გვარწმუნებდნენ, ნავის მა-

რთვის ცოდნა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ფულიო. სამწუხაროდ, მხოლოდ გზაში მივხვდით, რომ არც ერთს და არც მეორეს ნაოსნობისა არაფერი გაეგებოდა. ოცჯერ კინალამ ჩავიძირეთ. იძულებული ვიყავით, ნაპირთან ახლოს გველო. ჯორჯთაუნსა და ტრინიდადს შორის მე ის მოვკალი, ვინც იქადნიდა, გაქცევის კაპიტანი ვიქნებიო. ტყუილისათვის სიკვდილს იმსახურებდა. მეორემ იფიქრა, მეც მომკლავენო, ნავის საჭეს ხელი გაუშვა და ზღვაში გადახტა. ცუდი ამინდი იყო... რამდენჯერმე აგვეცვსო ნავი წყლით, ერთხელ კლდეზეც მივეჭყლიტეთ და სასწაულად გადავრჩით. კაცურ სიტყვას გაძლევთ, რომ ის, რაც გითხარით, სიმართლეა.

– ასე იყო, – კვერს უკრავენ სხვებიც, – სამივეს მისი მოკვლა გვინდოდა. აბა, რას იტყვი, პაპიონ?

– ჩემს მდგომარეობაში მოსამართლეობა ძნელია.

– ჩვენს ადგილზე რას იზამდი? – მაციებდება ბრეტონელი.

– ეს გასააზრებელია. ასეთ ამბავში რომ გაერკვე, თვითონ უნდა ესწრებოდე და განიცადო. სხვანაირად ვერ გაიგებ, სად არის ჭეშმარიტება.

კლუზიო ამბობს:

– მე აუცილებლად მოვკლავდი, რადგან მისი ტყუილი, შესაძლოა, ყველას სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა.

– კარგი, ამაზე აღარ ვილაპარაკოთ, მაგრამ მე ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მაშინდელი შიში ჯერ ვერ მოგინელებიათ და იძულებული რომ არ ყოფილიყავით, ზღვაში არ გამოხვიდოდით. ასე არ არის?

– ასეა, ასე! – მპასუხობენ ერთხმად.

– მოკლედ, აქ არავითარი პანიკა არ დავინახო. რაც უნდა მოხდეს, არავინ არავითარ შემთხვევაში არ ჩაისვაროს. ვისაც შეეშინდება, მოკეტილში იყოს! ეს კარგი ნავია და ამას დაამტკიცებს. მართალია, უფრო მეტი ტვირთი აქვს, ვიდრე წინა ჯერზე, მაგრამ, სამაგიეროდ, ათი სანტიმეტრითაა ამაღლებული.

ვეწევით და ყავას ვსვამთ. გამოსვლის წინ კარგად ვისადილეთ და ამიტომ გადავწყვიტეთ, მხოლოდ მეორე დღეს, დილით ვჭამოთ.

ახლა 1933 წლის 9 დეკემბერია. ორმოცდაორი დღეა, რაც სენ-ლორანის ჰოსპიტლის გისოსებიანი პალატიდან გამოვიქეცით დაიწყო. ამას კლუზიო – ჩვენი თემის აღმრიცხველი გვაგებინებს. ახლა დამატებით სამი ძვირფასი ნივთი მაქვს: ტრინიდადში ნაყიდი ნყალშეუვალი ფოლადის საათი, ორმაგკორპუსიანი ზუსტი კომპასი ქარის მაჩვენებლით და ცელულოიდის შავი სათვალე. კლუზიოსა და მატურეტს კასკეტები ახურავთ.

სამი დღე ისტორიების გარეშე გადის, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ორჯერ დელფინების გუნდის შუაგულში აღმოვჩნდით. უნდა გენახათ, როგორ გვასხამდა ცივი ოფლი, როცა ნავთან თამაში დაიწყეს! ნავის უკან ჩაყვინთავდნენ და წინ ამოდიოდნენ. ზოგჯერ ზოგიერთ მათგანს ვეხებოდით კიდეც. მაგრამ ყველაზე შთამბაჭდავი შემდეგი თამაში იყო: სამი დელფინი სამკუთხედად – ერთი წინ და ორი ცოტა უკან, პირდაპირ ჩვენზე საშინელი სისწრაფით მოექანებოდა. იმ დროს, როცა უკვე გვეგონა, გვეჯახებოდნენ, ყვინთავდნენ და ნავის აქეთ-იქეთ ამოდიოდნენ. ძლიერი ქარის დახმარებით მთელი სისწრაფით მივცურავდით, მაგრამ მაინც გვასწრებდნენ. ასეთი თამაში საათობით გრძელდებოდა და ჰალუცინაციებს იწვევდა. პატარა შეცდომა რომ დაეშვათ, აუცილებლად გადაგვაბრუნებდნენ. იმ

სამს ხმა კრინტი არ დაუძრავს, მაგრამ უნდა გენახათ მათი სიფათები!

მეოთხე დღეს, შუაღამისას, საშინელი ქარშხალი ამოვარდა. ცუდი ის იყო, რომ ტალღებს ერთი მიმართულება არ ჰქონდა, ხშირად ერთმანეთს ეჯახებოდნენ; ზოგი ღრმა იყო, ზოგი – მოკლე, ვერაფერს გაიგებდი. ხმას არავინ იღებდა კლუზიოს გარდა, რომელიც დროდადრო მიყვიროდა: „მიდი, ჩემო ბიჭო, მიდი! შენ ამას ისევე მოუვალი, როგორც სხვებს მოუარე!“ ან კიდევ: „იმას გაუფრთხილდი, უკანიდან რომ მოდის!“ ხანდახან იშვიათი რამ ხდებოდა: აქაფებული ტალღა გაცოფებული მოდიოდა ირიბად. წინისწარ ვითვალისწინებდი მის სიჩქარესა და დარტყმის კუთხეს, მაგრამ უეცრად ყალყზე დგებოდა და ნავს უკანიდან ურტყამდა. მთლად ვიბნეოდი. რამდენჯერმე თავზეც გადაგვევლო და, რა თქმა უნდა, წყლის დიდი ნაწილი ნავში დატოვა. ხუთი კაცი გაუჩერებლად მუშაობდა ქვაბებითა და ყუთებით. არც ერთხელ ნავი ერთ მეოთხედზეც არ გავსებულა და არც ჩაძირვის საშიშროება გვქონია. სტიქია მთელი ნახევარი ღამის განმავლობაში ზეიმობდა, დაახლოებით შვიდ საათს. წვიმის გამო მზე მხოლოდ რვა საათისათვის დავინახეთ, რამაც ყველას, ჩემი ჩათვლით, დიდი სიხარული მოგვგვარა.

ჯერ ყავა! „ნესტლეს“ რძიანი ქაფქაფა ყავა და მეზღვაურის რკინასავით მაგარი, მაგრამ ყავაში ჩამბალი გემრიელი ორცხობილა! ქარიშხალთან გადატანილმა ღამის ბრძოლამ მთლად მიმასავათა. მეტი აღარ შემიძლია. მიუხედავად იმისა, რომ ისევ ძლიერი ქარი ქრის და მაღალი, ურითმო ტალღები მოდიან, მატურეტს ვთხოვ, ცოტა ხანს შემცვალოს – მეძინება. ათი წუთიც არ გასულა, რაც დავწექი და მატურეტი უკვე გარდიგარდმო იღებს ერთ ტალღას, რის გამოც ნავი სამი მეოთხედით ივსება. ყველაფერი წყალში ცურავს: ყუთები, ღუმელი, საბნები... ერთი ვეება ტალღა პირდაპირ ჩვენზე მოექანება. მუცლამდე წყალში მდგარი, საჭმედე სულზე ვასწრებ, ერთი ბრუნით ვუქცევ ზურგს და ამით წყლის შემოჭრას ვიცილებ. ტალღის ბიძგმა ათი მეტრით დაგვაწინაურა.

ყველანი წყალს ვხაპავთ. მატურეტის დიდი ქვაბი ერთდროულად თხუთმეტ ლიტრს იტევს; არაფრის გადარჩენას არ ვცდილობთ, მხოლოდ ერთი ფიქრი გვიტრიალებს: რაც შეიძლება ჩქარა მოვიშოროთ წყალი, რომელიც ნავს ასე ამძიმებს და ტალღებთან ბრძოლას უშლის. უნდა ვაღიარო, რომ ის სამი ჯეელი თავგამოდებით გვეხმარებოდა, ხოლო ბრეტონელმა ყურადღება არ მიაქცია, რომ მისი ჩემოდანი წყალს მჰქონდა და უყოყმანოდ გადაწყვიტა, ნავის შესამსუბუქებლად წყლით სავსე კასრი გადაეგდო. ორი საათის შემდეგ ნავი შეძლებისდაგვარად გავათავისუფლეთ ტვირთისგან, მაგრამ, ამასთან ერთად, საბნები, პრიმუსი, ღუმელი, ხის ნახშირის ტომრები და საწვავის ბიდონი დავკარგეთ.

შუადღეა. როცა შარვლის გამოცვლას ვაპირებ, ვხედავ, რომ ჩემი პატარა ჩემოდანი და სამიდან ორი საწვიმარი წყალს წაუღია. ნავის ძირში ორ ბოთლ რომს ვპოულობთ. თამბაქო დაიკარაგა ან დასველდა, გასახვევი ქაღალდი კი თავისი წყალგაუმტარ, რკინის თეთრ ყუთთან ერთად გაუჩინარდა.

– მოდი, ბიჭებო, ჯერ თითო მოზრდილი ულუფა რომი გადავკრათ, მერე სათადარიგო ყუთი გავხსნათ და ვნახოთ, რისი იმედი უნდა გექონდეს. ხილის წვენებია? – კარგია, სასმელად გამოვიზოგავთ. ბისკვიტების ყუთებია? – ერთი დაცალეთ და ქურა გააკეთეთ. ნავის ფსკერზე კონსერვის ქილებს დავაწყობთ და ყუთის ფიცრებით მათზე ცეცხლს ავანთებთ. მართალია, ბლომად შიში ვჭამეთ, მაგრამ ახლა

საფრთხემ გაიარა. ამ წუთიდან არავინ არ უნდა თქვას, მწყურია, მშია, ან მოწევა მინდაო. მეთანხმებით?

– კი, პაპი, თანახმა ვართ.

ხიფათის დროს ყველა ვაუკაცურად მოიქცა და განგებამაც ინება, რომ ქარი ჩამდგარიყო, რამაც საშუალება მოგვცა, დაკონსერვებული ხორცისაგან სუპი გაგვეკეთებინა. ამ წვნიანით საავე თითო კარდალამ, რომელშიც ჯარისკაცურ ორცხობილას ვანობდით, ჩვენს კუჭებს შება მოჰგვარა და სალბუნივით დაედო. თითოეულს ცოტ-ცოტა მწვანე ჩაი შეგეხედა. გადარჩენილ ყუთში ერთი შეკვრა სიგარეტი ვიპოვეთ პატარ-პატარა, რვასიგარეტიანი კოლოფებით, სულ ოცდაოთხი ცალი. რომ არ ჩამეყვინთოს, ამხანაგების გადაწყვეტილებით, მხოლოდ მე უნდა მოვწიო. კლუზიოსი რომ არ შეშურდეთ, იგი სიგარეტს აღარ მიკიდებს, მხოლოდ ცეცხლს მანვდის. ამ ურთიერთგაგების წყალობით, არავითარი უსიამო ინციდენტი ჩვენ შორის არ მომხდარა.

აი, უკვე ექვსი დღეა, რაც გამოვედით და ძილის საშუალება არ მქონია. რაკი ამ საღამოს ზეთივით ზღვაა, ვწვები და დაახლოებით ხუთ საათს მკვდარივით მძინავს. ღამის ათ საათზე მეღვიძება. ზღვა ისევ მშვიდია. უჩემოდ უჭამიათ და სიმინდის ფქვილის მჭადისმაგვარ კვერს მახვედრებენ, რასაც რამდენიმე შებოლილ სოსისთან ერთად ვჭამ. გემრიელია. ჩაი თითქმის ცივია, მაგრამ არა უშავს. ვაბოლებ და ქარის ადგომას ველოდები.

ვარსკვლავებით მოჭედილი, საესემთვარიანი მშვენიერი ღამეა. ჩრდილოეთის ვარსკვლავს სიკაშკაშეში მხოლოდ „სამხრეთის ჯვარი“ სჯობნის. ნათლად ვხედავთ დიდი და პატარა დათვის თანავარსკვლავედებს. ცაზე არც ერთი ღრუბელი არ ჩანს. ბრეტონს აკანკალებს – პიჯაკი დაკარგა და მოკლე პერანგში დარჩა. წყალგაუმტარს ვაძლევ. მეშვიდე დღე იწყება.

– მეგობრებო, კურასაოდან ძალიან შორს აღარ უნდა ვიყოთ. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ცოტა ჩრდილოეთით ავედით. ამიერიდან ზუსტად დასავლეთისაკენ ავიღებ გეზს, რათა ჰოლანდიის ანტილიის კუნძულებს არ ავცდეთ. ცოტა გაგვიჭირდება, რადგან სასმელი წყალი აღარ გვაქვს და რეზერვის გარდა მთელი საკვები დავკარგეთ.

– შენ იცი, პაპიონ, გენდობით, – ამბობს ბრეტონელი.

– კი, გენდობით, – ერთხმად იმეორებენ სხვებიც, – მოიქეცი, როგორც საჭიროდ ჩათვლი.

– გმადლობთ.

ვფიქრობ, საჭირო იყო ამის თქმა. მთელი ღამის განმავლობაში ქარს ამაოდ ვნატრობდით. მხოლოდ გამთენიისას, ოთხი საათისთვის დაწყებულმა ბრიზმა, რომელიც დილისათვის გაძლიერდა და ოცდათექვსმეტ საათზე მეტხანს იქროლა, საშუალება მოგვცა, დაძრულიყავით და საშუალო სიჩქარით გვეცურა. ტალღები იმდენად დაბალი იყო, რომ ნავი წყალზე კიჩოსაც კი არ ურტყამდა.

კურასაო

თოლიები. ჯერ მხოლოდ ყვირილი გვესმის, რადგან ბნელა. მერე მათაც ვამჩნევთ – ნავის გარშემო ტრიალებენ. ერთი მათგანი ანძაზე ჯდება, მიფრინავს და კვლავ დასაჯდომად ბრუნდება. ეს სურათი სამ საათზე მეტ ხანს, გათენებამდე,

მოცინარი მზის ამოსვლამდე გრძელდება. ჰორიზონტზე არაფერი მიგვანიშნებს ხმელეთის სიახლოვეზე. სად ეშმაკებიდან მოვიდნენ ეს თოლიები და თევზიყლაპიები?! მთელ დღეს უშედეგოდ ვიღლით თვალებს. მზის ჩასვლისთანავე სავსე, ტროპიკული მთვარე ამოდის, რომელიც ისე ანათებს, რომ თვალს მჭრის. შავი სათვალეები აღარ მაქვს, ისინი იმ ცნობილმა ტალღამ ქუდებთან ერთად გაიტაცა. საღამოს რვა საათისთვის, ძალიან შორს, ჰორიზონტზე, შავ ზოლს ვამჩნევთ.

– ეს უეჭველად მიწაა, – ვამბობ სხვებზე ადრე.

– კი, ნამდვილად.

მოკლედ, ყველანი ერთ აზრზე ვართ – რომ ვხედავთ რაღაც შავ ხაზს, რომელიც ხმელეთი უნდა იყოს. ღამის დანაჩენ ნაწილს ამ ხაზამდე მისვლას ვანდომებთ. ის ნელ-ნელა იკვეთება. ქარი საკმაოდ ძლიერია, ტალღები – მაღალი, მაგრამ გრძელი და თანმიმდევრული. მთელი სიჩქარით მივექანებით ამ სიშავისკენ, რომელიც წყლიდან იმდენად არ იკვეთება, რომ გავარკვიოთ, კლდოვანი აქვს ნაპირი თუ არა. მთვარე ამ დროს ამ მიწის უკანა მხარეს ეშვება და მის ჩრდილში ჯერ სინათლის მთლიან ჯაჭვს, ხოლო შემდეგ მხოლოდ ფრაგმენტებს ვხედავ. ვუახლოვდები და მერე, ასე ერთ კილომეტრში, ღუზას ვუშვებ. ძლიერი ქარი ნავს ერთ ადგილზე ატრიალებს და ტალღები ყოველ მოსვლაზე ყირაზე აყენებენ. ეს მოძრაობა უხერხულ სიტუაციაში გვაყენებს. რა თქმა უნდა, აფრები ჩამოშვებული და აკეცილი გვაქვს. გათენებამდე გავძლებდით ამ უხერხულ, მაგრამ საიმედო პოზიციაში დგომას, მაგრამ, სამწუხაროდ, ღუზა უეცრად სუსტდება. ახლა, ნავის მართვა რომ შევძლო, მან უნდა იმოძრაოს – უამისოდ ვერ დავიმორჩილებ. ვმართავ ფოკს და ტრინკეტს, მაგრამ უცნაური რამ ხდება: ღუზა არ ედება. თოკს ვეწევით. ის ღუზის გარეშე ამოდის. დაგვიკარგავს. მიუხედავად ჩემი მცდელობისა, ტალღები ისე სახიფათოდ მიგვაქანებენ კლდეებისკენ, რომ გადაწყვეტილებას ვიღებ, აფრა აღვმართო და ჩემი ნებით წავიდე მათკენ. ისე კარგად გამომივიდა მანევრი, რომ ორ კლდეს შორის შევერჭვე. ნავი სრულიად დაიშალა. არავინ ყვირის – თავს უშველეთო, მაგრამ როცა მორიგი ტალღა მოდის, ყველანი შიგ ვხტებით, რომ ნაპირამდე გავაღწიოთ. ნაგორავები, ნაბეგვები და დაკაწრულები გადვიართ, მაგრამ, რაც მთავარია, გადავრჩით! ტალღები, თაბაშირიანი ფეხის გამო, მხოლოდ კლუზიოს, მოექცნენ ცუდად – მას სახე გადატყავებული აქვს ხელები კი – სისხლში მოსვრილი. არც ჩვენ გვაკლია ტკივილები მუხლებზე, კოჭებსა და ხელებზე. მე ერთი ყური კლდეს გავუხახუნე და ახლა სისხლი მდის.

რაც უნდა იყოს, ტალღებს ცოცხლად დავუსხლტით და მშრალ მიწაზე ვართ. როცა თენდება, წყალგაუმტარ ლაბადას ვპოულობ და ნავზე ვბრუნდები. ის უკვე დაშლას იწყებს. ვხსნი კომპასს, რომელიც ნავში უკანა სკამზე ლურსმნებით მქონდა დამაგრებული. ირგვლივ კაცისშვილი არ ჩანს. იქით ვიყურები, სადაც დიდი სინათლეებია. ეს დიდი ლამპიონების რიგია, რომელიც, როგორც მერე გავიგებთ, მეთევზეებს აფრთხილებს, რომ ეს ადგილები სახიფათოა. ხმელეთის სიღრმისკენ მივდივართ. მხოლოდ უზარმაზარი კაქტუსები და ვირები გვხვდებიან. როცა ერთ ჭამდე ვაღწევთ, უკვე ქანცგაწყვეტილები ვართ. კლუზიო ორ-ორს, სკამისმაგვარად გადაჭდობილი ხელებით მოგვყავს. ჭის გარშემო სახედრებისა და თხების გამომშრალი ჩონჩხები ყრია. ჭა დამშრალია. წისქვილის ფრთები, რომლებსაც ოდესღაც, ალბათ, წყალი ამოჰქონდა, ახლა სიცარიელეში ტრიალებს. სულიერის ჭაჭა-

ნება არ არის, მხოლოდ ვირები და თხებია ირგვლივ.

ერთ პატარა, კარღია სახლამდე მივდივართ. ვეძახით: „ოლა, ოლა!" არავითარი პასუხი. ბუხარზე თოკით შეკრული ტილოს ქისა დევს. ვიღებ და როცა ვხსნი, თოკი წყდება. ქისა ფლორინტებითაა სავსე – ჰოლანდიური მონეტებით. ესე იგი, ჰოლანდიის ტერიტორიაზე ვართ: ბონერზე, კურასაოზე ან არუბაზე. ქისას ხელუხლებლად თავის ადგილზე ვდებთ, წყალს ვპოულობთ და ჩამჩით რიგრიგობით ვსვამთ. არც სახლში და არც ირგვლივ არავინაა. გამოვდივართ და კლუზიოს გამო ნელნელა განვაგრძობთ გზას. ამ დროს ერთი ძველი „ფორდი" გვიღობავს გზას:

– თქვენ ფრანგები ხართ?

– დიახ, ბატონო.

– თუ შეიძლება, მანქანაში ჩასხედით!

კლუზიოს უკან, იმ სამის მუხლებზე ვსვამთ, მე და მატურეტი კი მძღოლის გვერდით ვჯდებით.

– ზღვაში კატასტროფა შეგემთხვათ?

– დიახ.

– დაიხრჩო ვინმე?

– არა.

– საიდან მოდიხართ?

– ტრინიდადიდან.

– მანამდე?

– საფრანგეთის გვიანიდან.

– კატორღელები ხართ თუ გადასახლებულები?

– კატორღელები.

– მე დოქტორი ნაალი ვარ, კურასაოზე მიკრული ამ ნახევარკუნძულის პატრონი. აქ მხოლოდ ვირები და თხები ცხოვრობენ. ეს გრძელეკლებიანი კაქტუსები, რითაც ისინი იკვებებიან, „კურასაოს ქალიშვილებად" არიან მონათლულები.

– კურასაოელი გოგონებისთვის ეს არც თუ კარგი ქათინაურია, – ვამბობ მე.

ეს ზორბა უცნობი ხმამაღლა იცინის. სულშეხუთული „ფორდი" ასთმიანივით ჩერდება. ვირების ჯოგზე ვანიშნებ და ვეუბნები:

– თუ მანქანას თვითონ აღარ შეუძლია სიარული, ამ ვირებს მოვუბათ.

– თან ყველალნაირი თოკი მაქვს, მაგრამ მათი დაჭერა და შებმა ადვილი არ არის.

ძრავას სახურავს ხდის და მაშინვე ამჩნევს, რომ ჯაყჯაყისაგან სანთლებს მავთულები ამოსძრობია. სანამ კვლავ მანქანაში ჩაჯდება, შეწუხებული სახით აქეთიქით იყურება. გზას განვაგრძობთ და რამდენიმე ხნის აღმართ-დაღმართებზე სვლის შემდეგ შლაგბაუმთან ვჩერდებით. გვერდით პატარა თეთრი სახლია. დოქტორი ნაალი ჰოლანდიურად ელაპარაკება ერთ შავკანიანს, რომელიც გაუთავებლად იმეორებს: „Ya master, ya master".

ჩამოვდივართ და ჩრდილში ბალახზე ვსხდებით. „ფორდი" ქშენა-ქშენით მიდის. ორმოცდაათი მეტრიც არ ექნება გავლილი, რომ ჰოლანდიის ანტილიების მაცხოვრებელთა კილოზე, რომელიც ინგლისური, ჰოლანდიური, ფრანგული და ესპანური სიტყვებისაგან შედგება, შავკანიანი გვეუბნება, რომ მისი პატრონი, დოქტორი ნაალი, პოლიციის მოსაყვანად წავიდა, რადგან ჩვენი ძალიან ეშინია და გააფრთხილა,

რომ თვითონაც ფრთხილად ყოფილიყო, რადგან ჩვენ გამოქცეული ქურდები ვართ. ამ საბრალო მულატმა ეშმაკმა არ იცის, როგორ გვასიამოვნოს – გვიხარშავს, მართალია ღია ფერის, მაგრამ ამ სიცხეში ჩვენთვის დიდად გემრიელ ყავას. ერთ საათზე მეტი ხნის ლოდინის შემდეგ მოდის ორი მანქანა. ერთი დიდია, როგორიც პატიმრები გადაჰყავთ ხოლმე. შიგ გერმანულ ფორმაში ჩაცმული ექვსი პოლიციელია. მეორე, ღია მანქანაში, უნიფორმიანი მძღოლის გვერდით, პოლიციის ვიღაც სამი ჩინოსანი მოკალათებულა, ხოლო მათ უკან – დოქტორი ნაალი ზის.

მანქანიდან ჩამოსვლის შემდეგ, ერთ-ერთი მათგანი, ყველაზე პატარა, რომელსაც მღვდელივით სუფთად გადაპარსული თავი აქვს, გვეუბნება:

– მე კუნძულ კურასაოს უშიშროების შეფი ვარ. ვალდებული ვარ, დაგაკავოთ. ჩაიდინეთ რაიმე დანაშაული, რაც კუნძულზე მოხვედით? თუ ჩაიდინეთ, რა სახის და რომელმა თქვენგანმა?

– ბატონო ჩემო, ჩვენ გამოქცეული კატორღელები ვართ. ტრინიდადიდან მოვდივართ და მხოლოდ რამდენიმე საათია, რაც ნავი თქვენს კლდეებზე დაგვემსხვრა. მე ამ პატარა ჯგუფის კაპიტანი ვარ და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არც ერთ ჩვენგანს აქ პატარა დანაშაულიც არ ჩაუდენია.

იგი დოქტორ ნაალს რაღაცას ჰოლანდიურად ელაპარაკება. ამ ლაპარაკის დროს ველოსიპედით მოდის ერთი პატარა კაცი, რომელიც სწრაფად და ხმამაღლა ელაპარაკება დოქტორ ნაალს და უშიშროების შეფს.

– ბატონო ნაალ, რატომ უთხარით ამ კაცს, რომ ჩვენ ქურდები ვართ?

– სანამ თქვენ შეგხვდებოდით, ამ კაცმა გამაფრთხილა, რომ მან კაქტუსის უკან დამალულმა დაგინახათ, როგორ შეხვედით და გამოხვედით მისი სახლიდან. ის ჩემი ვირების მწყემსია.

– რაკი სახლში შევედით, ამიტომ ვართ ქურდები? რასაც თქვენ ამბობთ, სისულელეა. ჩვენ მხოლოდ წყალი დავლიეთ. თქვენ ამას ქურდობად თვლით?

– ფლორინების ქისა?

– ქისა მართლაც გავხსენი, თოკიც კი გამიწყდა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ მონეტების მიხედვით გამეგო, რომელ ქვეყანაში მოვხვდით. ფული უკან, ქისაში ჩავყარე და სადაც იდო, იქ დავდე – ბუხრის თავზე.

კომისარი თვალებში მიყურებს, მერე ველოსიპედიან კაცს ძალიან უხეშად ელაპარაკება. დოქტორ ნაალს უნდა, სიტყვა ჩაურთოს, მაგრამ კომისარი მშრალი გამომეტყველებით, გერმანულად აწყვეტინებს. მერე თავისი მანქანის მძღოლის გვერდით იმ კაცუნას სვამს, თვითონაც ორი პოლიციელის თანხლებით ჯდება და მიდის. ნაალი და მასთან ერთად მოსული მეორე კაცი ჩვენთან რჩებიან.

– მინდა, აგიხსნათ, რომ ამ კაცმა მითხრა, ქისა მოიპარესო, – მეუბნება ნაალი, – სანამ გაგჩხრეკდნენ, კომისარმა გადაწყვიტა, იგი დაკითხოს, რადგან ფიქრობს, რომ ის ტყუის. თუ თქვენ უდანაშაულო ხართ, ვწუხვარ ამ ინციდენტის გამო, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის.

მეოთხედ საათზე ნაკლებ ხანში მანქანა ბრუნდება და კომისარი მეუბნება:

– თქვენ სიმართლე თქვით, ეს კაცი უსირცხვილო მატყუარაა. იგი ამისათვის დაისჯება.

იმ კაცუნას მაშინვე საპატიმრო მანქანაში ჩემს მეგობრებთან ერთად სვამენ. მეც აბვლას ვაპირებ, მაგრამ კომისარი მაჩერებს და მეუბნება:

– ჩაჯექით ჩემს მანქანაში, მძღოლის გვერდით.

დიდი მანქანა უკან გვრჩება და მალე მას თვალხედვიდან ვკარგავთ. გავდივართ კარგად მოასფალტებულ გზაზე და შევდივართ ქალაქში, რომლის სახლები ჰოლანდიურ სტილშია ნაგები. ირგვლივ ყველაფერი გაპრიალებულია და მცხოვრებთა უმეტესობა ორთვლიან ველოსიპედზე შემომჯდარი მიდი-მოდის. მივდივართ პოლიციის შენობამდე, შევდივართ და, დიდი კაბინეტის გავლით, სადაც თეთრებში ჩაცმული რამოდენიმე ოფიცერი საწერ მაგიდებს უზის. შევდივართ ერთ კონდიცი-ონერიან ოთახში. სავარძელში ვიღაც ბრგე, ორმოციოდე წლის ქერა კაცი ზის. ის ფეხზე დგება და ჰოლანდიურად ლაპარაკობს. კომისარი ფრანგულად მითარგმნის:

– წარმოგიდგენთ კურასაოს პოლიციის პირველ კომენდანტს. ბატონო კომენდა-ნტო, ეს კაცი ფრანგია. იგი ჩვენ მიერ დაკავებული ექვსი კაცის უფროსია.

– კარგი, კომისარო. კეთილი იყოს თქვენი, როგორც დაღუპული გემიდან გადარჩენილების მობრძანება კურასაოზე, რა გქვიათ?

– ანრი.

– კარგი, ანრი, უსიამოვნო წუთები კი გადაიტანეთ ქისის გამო, მაგრამ, სამაგი-ეროდ, ის თქვენ სასარგებლოდ მეტყველებს, რადგანაც დამტკიცდა, რომ პატი-ოსანი კაცი ხართ. დასასვენებლად კარგად განათებულ, ტიხრიან ოთახს მოგცემთ. თქვენი ამბავი გუბერნატორს უნდა ვაცნობო, იგი გვეტყვის, შემდგომში როგორ უნდა მოვიქცეთ. კომისარი და მე თქვენ სასარგებლოდ ჩავერევით, – იგი ხელს მართმევს და გამოვდივართ. ეზოში დოქტორი ნაალი ბოდიშებს მიხდის და ისიც ჩვენ მხარდასაჭერად ჩარევას მპირდება. ორი საათის შემდეგ დიდ ოთხკუთხა ოთახში გვკეტავენ, რომელშიც თორმეტიოდე საწოლი და შუაში გრძელი ხის მა-გიდა დგას თავისი სკამებით. გისოსებიანი ფანჯრიდან ერთ პოლიციელს ტრინიდა-დულ დოლარებს ვუწვდი და ვთხოვ, თამბაქო, ქაღალდი და ასანთი გვიყიდოს. იგი ფულს არ იღებს და ვერ ვიგებ, რას გვეუბნება. ამ ებანოზივით შავკანიანს ისეთი იერი აქვს, თითქოს მზად არის, გემსახუროს, თამბაქო კი ჯერ არ ჩანს. დაკაკუნე-ბას ვაპირებ, როცა კარები იღება და ერთი პატარა, კულის რასის კაცი შემოდის. პატიმრის ნაცრისფერი სამოსი აცვია თავისი ნომრით. იგი გვეუბნება:

– ფული, სიგარეტი – არა; თამბაქო, ასანთი და ქაღალდი – ჰო. – ცოტა ხანში ბრუნდება და ყველაფერ ამასთან ერთად დიდი ორთქლიანი ქვაბით შოკოლადი თუ კაკაო მოაქვს. თითოეული დიდი ფიალეიდან ვსვამთ.

ნაშუადღევს მე პოლიციის კომენდანტს კაბინეტში გავყავარ:

– გუბერნატორმა მიბრძანა, ციხის ეზოში გასვლის უფლება მოგცეთ. უთხარით თქვენს მეგობრებს, გაქცევა არ სცადონ, რადგან ამას მძიმე შედეგები მოჰყვება თქვენთვის. პირადად თქვენ, როგორც კაპიტანს, ნება გეძლევათ ყოველდღე ორ-ორი საათით გახვიდეთ ქალაქში: დილის ათიდან თორმეტამდე და ნაშუადღევის სამიდან ხუთამდე. ფული გაქვთ?

– დიახ, ინგლისური და ფრანგული.

– სამოქალაქო ფორმიანი პოლიციელი გამოგყვებათ, როცა ქალაქში გახვალთ ხოლმე.

– რას გვიპირებენ?

– ვფიქრობთ, გამოვძებნოთ საშუალება, რომ რიგრიგობით, სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ტანკერზე დაგსვათ. დიდი გადამამუშავებელი ქარხნების წყალობით,

კურასაოს ვენესუელასთან კავშირები აქვს, რის გამოც აქ ყოველდღე ყველა ქვეყნის ოციდან ოცდახუთამდე ტანკერი შემოდის და გადის. ეს თქვენთვის საოცნებო გადაწყვეტილება იქნებოდა, რადგან ყოველგვარი პრობლემის გარეშე მიხვიდოდით რომელიმე ქვეყანაში.

– რომელ ქვეყანაში, მაგალითად? პანამაში, კოსტა-რიკაში, გვატემალაში, ნიკარაგუაში, მექსიკაში, კანადაში, კუბაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში თუ სხვა ინგლისური კანონების მქონე ქვეყნებში?

– შეუძლებელია. ევროპაც ასევე შეუძლებელია. მშვიდად იყავით, გვენდეთ და გვაცალეთ, თქვენთვის ვიზრუნოთ და ახალი ცხოვრების გზაზე დაგაყენოთ,

– გმადლობთ, კომენდანტო.

ყველაფერ ამას ამხანაგებს დაწვრილებით ვუყვები. კლუზიო, რომელიც ჩვენ შორის ყველაზე ჭკვიანია, მეკითხება:

– შენ რა აზრის ხარ, პაპიონ?

– ჯერ ვერაფერს გეტყვი, მაგრამ, მგონია, რომ ეს ფუჭი ლაპარაკია, უნდათ, დაგვამშვიდონ, რომ გაქცევა არ დავაპიროთ.

– ვშიშობ, მართალი უნდა იყო.

ბრეტონელი, პირიქით, ამ ამბით აღტაცებულია და ამბობს:

– აღარც ნავი იქნება და აღარც რაიმე ხიფათი – ეს ნაღდია. თითოეული რომელიმე ქვეყანაში დიდი ტანკერით, თანაც, ოფიციალურად შევა.

ლერუც ამ აზრისაა.

– შენ, მატურეტ? – ვეკითხები და ეს ჩვიდმეტი წლის ქალის ნაზნაკვთებიანი გომბიო, რომელიც შემთხვევითობამ კატორღელად აქცია, ტკბილი ხმით მპასუხობს:

– გჯერათ, რომ ეს კვადრატულთავიანი პოლიციელები თითოეულისათვის ყალბ პირადობის მოწმობას დაამზადებენ? მე არ მჯერა. ისინი მხოლოდ თვალს დახუჭავენ, რათა სათითაოდ, ჩუმად ავიპაროთ გსამგზავრებლად გამზადებულ გემზე. ამგვარად, ისინი თავის ტკივილის გარეშე მოგვიშორებენ. ასეთია ჩემი აზრი. ამ ისტორიებისა არ მჯერა.

ქალაქში იშვიათად გამოვდივარ, ისიც – დილაობით, რომ რაღაცეები ვიყიდო. ერთი კვირაა, აქ ვართ და არაფერი იცვლება. უკვე ვნერვიულობთ. ერთ ნაშუადღევს ვხედავთ პოლიციელებით გარშემორტყმულ სამ მღვდელს, რომლებიც რიგრიგობით შედიან პატიმრებთან. ჩვენ გვერდითა საკანში, სადაც ერთი ქურდობისათვის დაჭერილი ზანგი ზის, დიდხანს ჩერდებიან. ვფიქრობთ, რომ ჩვენთანაც შემოვლენ და ამიტომ ოთახში ჩვენ-ჩვენს საწოლებზე ვსხდებით. მართლაც, სამივე მღვდელი დოქტორ ნაალის, პოლიციის კომენდანტისა და ერთი თეთრებში ჩაცმული, სამხრეებიანი, ალბათ, ფლოტის ოფიცრის თანხლებით, ჩვენს საკანში შემოდის.

– მონსენიორ, ესენი ფრანგები არიან, – ფრანგულად მიმართავს პოლიციის კომენდანტი, – სანიმუშოდ იქცევიან.

– დამილოცნიხართ, შვილებო. ამ მაგიდის გარშემო ტაბურეტებზე ჩამოსხედით, რომ უკეთესად ვისაუბროთ.

ყველა ჯდება. ეპისკოპოსისათვის გარედან ტაბურეტი შემოაქვთ და მაგიდის თავში უდგამენ, რათა უკეთესად დაგვინახოს.

– ფრანგები თითქმის ყველანი კათოლიკეები არიან, თქვენ შორის ვინ არ არის ასეთი?

ხელს არავინ სწევს. ვფიქრობ, რომ კონსიერჟერიის მღვდელმა თითქმის მომწალა და ამიტომ მეც კათოლიკედ უნდა ჩავთვალო თავი.

– მეგობრებო, მე წარმოშობით საფრანგეთიდან ვარ და ირენ დე ბრუინი მქვია. ჩემი წინაპრები ჰუგენოტი პროტესტანტები იყვნენ და თავი ჰოლანდიას შეაფარეს იმ დროს, როცა ეკატერინე მედიჩი მათ სასიკვდილოდ სდევნიდა. ასე რომ, ფრანგული სისხლი მაქვს. კურასაოს ეპისკოპოსი ვარ. ამ ქალაქში უფრო მეტი პროტესტანტია, ვიდრე კათოლიკე, მაგრამ კათოლიკეები ჭეშმარიტი მორწმუნეები არიან. როგორია თქვენი მდგომარეობა?

– ველით, რიგრიგობით როგორ დაგვსვამენ ტანკერებზე.

– უკვე რამდენი გაემგზავრა ამგვარად?

– ჯერ არც ერთი.

– ჰმ! რას იტყვით ამაზე, კომენდანტო? ფრანგულად მიპასუხეთ, გეთაყვა, თქვენ ამ ენაზე კარგად ლაპარაკობთ!

– მონსენიორ, გუბერნატორს გულწრფელად უნდოდა, მათ ამ ფორმით დახმარებოდა, მაგრამ, გულახდილად უნდა ვთქვა, რომ დღემდე არც ერთი გემის კაპიტანს არ მოუსურვებია რომელიმეს წაყვანა, იმიტომ, რომ არც ერთს არა აქვს პასპორტი.

– აქედან უნდა დაგეწყოთ. გუბერნატორს არ შეუძლია, გამონაკლისის სახით პასპორტები გაუკეთოს?

– არ ვიცი, ამაზე მასთან არ მილაპარაკია.

– ზეგ თქვენ შესახებ მერს დაველაპარაკები. გნებავთ, ხვალ ნაშუადღევს აღსარებაზე მოხვიდეთ? თქვენგან აღსარებას პირადად მივიღებ და მაღალ ღმერთს შევთხოვ, ცოდვები მოგიტევოთ, – გვითხრა ეპისკოპოსმა და შემდეგ ისევ კომენდანეს მიმართა: – გამომიგზავნით მათ სამ საათზე ტაძარში? ეს შესაძლებელია?

– დიახ.

– მე ვისურვებდი, ისინი ტაქსით ან კერძო მანქანით მოვიდნენ.

– თვითონ გამოვყვები, მონსენიორ, – ამბობს დოქტორი ნაალი.

– გმადლობთ, შვილო ჩემო. ჩემო ბავშვებო, არაფერს გპირდებით. ამ წუთიდან შევეცდები, თქვენთვის რაიმე ვიღონო.

როცა ვხედავ, რომ ჯერ ნაალი და მერე ბრეტონელი მის ბეჭედს კოცნიან, ჩვენც მათ ვბაძავთ და ეზოში მანქანამდე ვაცილებთ.

მეორე დღეს ყველა აღსარებას აძლევს. მე ბოლო ვარ.

– აბა, შვილო ჩემო, დაიწყე ყველაზე დიდი ცოდვიდან.

– ჯერ ერთი, მამაო, მე მონათლული არა ვარ, მაგრამ, საფრანგეთის ციხეში რომ ვიყავი, ერთმა მღვდელმა მითხრა, არა აქვს მნიშვნელობა, მონათლული ხარ, თუ არა, ყველანი ღვთის შვილები ვართო.

– ის მართალი იყო. კარგი, გავიდეთ სააღსარებოდან და ყველაფერი მითხარი.

დაწვრილებით ვუყვები ამ ეკლესიის პრინცს ჩემი ცხოვრების დეტალებს. დიდხანს, მოთმინებით, ყურადღებით მისმენს, ლაპარაკს არ მანყვეტინებს. ჩემი ხელები თავისაში აქვს ჩადებული, თვალებში მიყურებს და, ხანდახან, ძნელად საღიარებელ პასაჟებში, თვალებს ხრის, რათა აღსარება გამიადვილოს. ამ სამოცი წლის

კაცს ბავშვური, წმინდანის გამომეტყველება აქვს; სუფთა, განუზომელი სიკეთით სავსე სული მისი სახის ნაკვთებში გამოსჭვივის, ხოლო ღია ნაცრისფერი თვალებით ისე იჟღინთება ჩემს სულში, როგორც მალამო ჭრილობაში. აუჩქარებლად, დათაფლული ხმით, თითქმის ჩურჩულით მეუბნება:

– ზოგჯერ ღმერთი თავის რჩეულს ადამიანური ბოროტების ორომტრიალში აგდებს, რათა იქიდან განწმენდილი და კეთილშობილი გამოიყვანოს. სწორედ ამიტომ, შვილო ჩემო, შენ რომ ეს გოლგოთა არ გაგეცვლო, ვერ ამაღლდებოდი და ასე არ მიუახლოვდებოდი ღმერთის ჭეშმარიტებას. მეტსაც გეტყვი: ყველაფერმა ამან – ბოროტმა ადამიანებმა, იმ სისტემის ყველა შემადგენელმა ნაწილმა, რომლებმაც გაგთელეს, გაწამეს და გტანჯეს, იმავდროულად უდიდესი სამსახური გაგიწიეს – მათ შენ ახალ, პირველებში უპირველეს არსებად გაქციეს და თუ დღეს შენ ღირსება გაგაჩნია, ჯერ კიდევ გაქვს სიკეთისა და შეწყნარების ძალა, თუ შენ შეგწევს უნარი, ყოველგვარ სიძნელეზე მაღლა დადგე – მხოლოდ იმათ უნდა უმადლოდე. ისეთ არსებაში, როგორიც შენ ხარ, არ შეიძლება, არსებობდეს შურისძიების გრძნობა – სურვილი იმისა, რომ ყველას თავისი კუთვნილი სასჯელი მიუზღოს. იმისთვის კი არ უნდა იცოცხლო, რომ ბოროტებას ბოროტებით უპასუხო, თუნდაც გჯეროდეს, რომ ამისკენ სამართლიანობა გიბიძგებს; პირიქით, შენ ადამიანთა მხსნელი უნდა იყო. ღმერთმა შენ მიმართ დიდსულოვნება გამოიჩინა და გითხრა: „ხელი გაანძრიე და მოგეხმარები". ის ყველაფერში დაგეხმარა და იმის საშუალებაც კი მოგცა, რომ სხვებიც წაგეყვანა თავისუფლებისაკენ და გადაგერჩინა. ნუ გგონია, რომ შენი ცოდვები ყველაზე მძიმეა. ბევრი მაღალი მდგომარეობის მქონე ადამიანი გამხდარა უფრო ძლიერი ცოდვის ჩამდენი. უბრალოდ, მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ადამიანური სამართლიანობით ბოძებული შემწყნარებლობის გამო შენსავით ამაღლებულიყვნენ.

– გმადლობთ, მამაო. თქვენ ჩემთვის უდიდესი სიკეთე ჩაიდინეთ. ამას არასოდეს დავივიწყებ, – ვამბობ გულაჩუყებული და ხელებზე ვკოცნი.

– შენ მალე წახვალ, შვილო ჩემო და ახალ-ახალ ხიფათს შეეჭიდები. მინდა, სანამ წახვალ, მოგნათლო, რას იტყვი?

– მამაო, დამტოვე ისეთი, როგორიც ვიყავი. მამაჩემმა რელიგიის გარეშე აღმზარდა. მას ოქროს გული აქვს. დედაჩემის სიკვდილის შემდეგ მან იპოვა ძალა, ჩემ მიმართ უფრო მეტი სიყვარული გამოეჩინა, რომ უდედობა არ მეგრძნო. ვფიქრობ, თუ დაგთანხმდებით, მისდამი გამცემლობას ჩავიდენ. მადროვეთ, ვიყო ისეთივე თავისუფალი, როგორიც ვარ. როცა მიწერის საშუალება მექნება, შევეკითხები, ისე, რომ ტკივილი არ მივაყენო, მაძლევს თუ არა უფლებას, მივატოვო მისი რწმენა და მოვინათლო.

– მესმის შენი, შვილო ჩემო და დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი შენკენაა. გლოცავ და უფალს შევთხოვ, დაგიფაროს.

– აი, ასე ქადაგებს მონსენიორი ირენ დე ბრუიანი, – მეუბნება დოქტორი ნაალი.

– ეჭვი არ მეპარება, მესიე; თქვენ ახლა რას აპირებთ?

– გუბერნატორს ვთხოვ, საბაჟოს უბრძანოს, რომ კონტრაბანდისტებისათვის ჩამორთმეული პირველივე ნავის შესყიდვის უპირატესი უფლება მოგვცეს. ასარჩევად ჩემთან ერთად წამოხვალთ.

ეპისკოპოსთან ყოფნის შემდეგ დიდი სტუმრიანობა გვაქვს, განსაკუთრებით, საღამოს ექვსი საათისთვის. ამ ხალხს ჩვენი გაცნობა უნდა. შემოდიან, ტუბურეტე-

ბზე მაგიდასთან სხდებიან და საწოლზე რალაცას დებენ, ისე, რომ არ ამბობენ, ესა და ეს მოგიტიანეთო. ხშირად, ნაშუადღევის ორი საათისთვის, პატარა მონყალების დები უფროსი მონაზვნის თანხლებით მოდიან. ისინი ფრანგულად ძალიან კარგად ლაპარაკობენ. მათი კალათი მუდამ საკუთარი ხელით გამომცხვარი ნუგბარით არის სავსე. უფროსი მონაზონი საკმაოდ ახალგაზრდაა – ორმოცი წლისაც არ იქნება. თეთრ ქუდში შეკეცილ თმებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ლურჯი თვალები და ქერა წამწამები აქვს. დოქტორ ნაალის გადმოცემით, იგი ცნობილი პოლანდიური ოჯახიდანაა და თხოვნა გაუგზავნია თავის ქვეყანაში, რათა ჩვენი გამგზავრების სხვა ფორმა გამოძებნონ. სტუმრებთან ერთად სასიამოვნო წუთებს ვატარებთ. მონაზონმა რამდენჯერმე მომაყოლა ჩემი გაქცევის ისტორია. მაიძულა, სხვა მონყალების დებისათვისაც მომეთხრო, რომლებიც მას დაჰყვებოდნენ და ფრანგული ესმოდათ. თუ მოყოლის დროს რაიმეს გამოვტოვებდი, წყნარად მომიწოდებდა წესრიგისაკენ: „ანრი, ნუ ჩქარობთ, თქვენ ჰოკოს ისტორია გამოტოვეთ... რატომ დაგავიწყდათ დღეს ჭიანჭველები? მნიშვნელოვანი დეტალია, რადგან მათი მიზეზით შეგიპყროთ ნიღბიანმა ბრეტონმა!“

ამას იმიტომ ვყვები, რომ ეს წუთები მთლიანად უპირისპირდება იმას, რაც აქამდე გადავიტანე. ახლა თითქოს არარეალურად გვეჩვენება სიდამპლის ის გზა, ჩემს გონებაში ნელ-ნელა რომ უჩინარდება.

ნავი ენახე – შესანიშნავი რვამეტრიანი ნავი, ძლიერი კილით, მაღალი ანძითა და უზარმაზარი აფრებით. ეტყობა, კონტრაბანდისტული საქმიანობისათვის არის გამიზნული. ყველაფერი ადგილზე აქვს, საბაჟოს უამრავი ცვილის ბეჭდით დაბეჭდილი. აუქციონზე ვიღაც უცნობი ექვსი ათასი ფლორინიდან იწყებს – დაახლოებით ათასი დოლარიდან. მოკლედ, მას შემდეგ, რაც დოქტორმა ნაალმა ამ კაცს რამდენიმე სიტყვა ჩასჩურჩულა, ექვსი ათას ფრანკად გვითმობენ.

ხუთ დღეში უკვე მზად ვართ – ნავი გადაიღება, საკვები კი ტრიუმშია მოთავსებული. ეს ნავი ნამდვილი მეფური საჩუქარია. თითოეულისთვის ყოველგვარი სამოსი წყალგაუმტარ ტილოშია გახვეული, ჩემოდნებშია ჩაწყობილი და ნავის roof-შია მოთავსებული.

რიო-აჩას ციხე

მზის ამოსვლისას გავდივართ. დოქტორი და პატარა დები ჩვენთან გამოსამშვიდობებლად მოდიან. ნავსადგურიდან ადვილად გავდივართ, ქარი მაშინვე გვიტაცებს და სასურველი სიჩქარით მივცურავთ. მხიარული მზე ამოდის. როგორც ჩანს, მშვიდი დღე გველის. უცებ ვამჩნევ, რომ ნავს მეტისმეტად დიდი აფრა აქვს და ცუდად არის გაწონასწორებული. ფრთხილად უნდა ვიყო. მთელი სიჩქარით მივცურავთ. ეს ნავი დიდი სიჩქარისათვის ზედგამოჭრილია, მაგრამ ეჭვიანია და მალე ღიზიანდება. კურსი პირდაპირ დასავლეთისაკენ მიჭირავს. წინასწარ გადავწყვიტეთ, რომ ის სამი კაცი, რომლებიც ტრინიდადში ავიყვანეთ, ჩუმად გადავსხათ კოლუმბიის სანაპიროზე. გაშლილ წყალში დიდხანს ყოფნის შესახებ გაგონებაც არ უნდათ. მათი თქმით, მე მენდობიან, მაგრამ ამინდს – ვერა. მართლაც, ციხეში წაკითხულ გაზეთებში გამოქვეყნებულ მეტეობიულეტენებს თუ დავუჯერებთ, ამ პერიოდისთვის ცუდი ამინდია მოსალოდნელი, თვით ვრიგალებიც კი.

ვემორჩილები მათ სურვილს და ერთ დაუსახლებელ ნახევარკუნძულზე გადა-

სხმას ვპირდები, რომელსაც გვახირა ჰქვია. ჩვენ სამნი კი ბრიტანეთის ჰონდურასისკენ გავაგრძელებთ გზას. პირდაპირ კოლუმბიის ნაპირისაკენ მივცურავთ. ნახევარმთვარე საკმაო შუქს აფრქვევს და ჩანაფიქრის შესრულებას გვიადვილებს. ღუზას ვუშვებ და სიღრმეს ვზომავ, რათა გავიგო, შეუძლიათ თუ არა ფეხით გასვლა. საუბედუროდ, წყალი აქ ძალიან ღრმაა და საჭიროა კლდოვან ნაპირს იმდენად მივუახლოვდე, რომ წყალი მეტრნახევარი მაინც იყოს. ეს სახიფათოა, მაგრამ რას იზამ. ერთმანეთს ხელს ვართმევთ, მერე თითოეული ჩადის, ფეხს იკიდებს ფსკერზე, ჩემოდანს თავზე იდებს და ხმელეთისკენ მიდის. მათ მოძრაობას ნაღველგარეული ყურადღებით ვაკვირდებით. ეს ბიჭები ჩვენთან კარგად იქცეოდნენ და ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. დასანანია, რომ დაგვშორდნენ. სანამ ისინი ნაპირისა კენ მიდიან, ქარის ნასახიც კი ქრება. ფუი, ეშმაკს! რუკის მიხედვით, აქ ერთი სოფელი უნდა იყოს – რიო-აჩა. ოლონდაც იქიდან არ შეგვამჩნიონ! ამ სოფელში პოლიციელების პირველი პოსტია. პატარა შუქურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იმ ადგილს გამოცდენილი უნდა ვიყოთ. ღმერთმა ქნას! ველით... ველით... იმ სამმა თეთრი ცხვირსახოცები დაგვიქნია, სანამ გაუჩინარდებოდნენ. ღმერთო, ქარი, ქარი მოგვეცი, რათა მოვშორდეთ ამ ჩვენთვის უცნობ ნაპირებს. არ ვიცით, აბრუნებს თუ არა ეს ქვეყანა გამოქცეულებს. ბრიტანეთის ჰონდურასის საიმედოობა გვირჩევნია კოლუმბიის გაურკვევლობას. ქარი მხოლოდ ნაშუადღევის სამი საათისთვის იწყებს ქროლვას. აფრას ვშლი და ჩვენი ნავით, ცოტა ზედმეტად დახრილი, ორ საათზე მეტხანს მშვიდად მისრიალებს. ამ დროს ვხედავთ, ჩვენკენ კატარღა მოჰქრის. იგი კაცებითაა სავსე და თოფის სროლით გაჩერებას გვაიძულებენ. არ ვემორჩილები და ვცდილობ, გაშლილ წყალში გავიდე, რათა ტერიტორულ წყლებს გავცდე. ეს შეუძლებელია. კატარღა სწრაფია და საათნახევარიც არ დასჭირვებია ჩვენს დასაწევად. ათიოდე კაცი თოფებს გვიმიზნებს და ჩვენც იძულებული ვართ, დავემორჩილოთ.

ამ ჯარისკაცებს თუ პოლიციელებს არაჩვეულებრივი იერი აქვთ: ჭუჭყიანი, ოდესღაც თეთრი შარვლები და დახეული შალის ტრიკოები აცვიათ, რომლებიც ალბათ არასდროს გარეცხილა. ყველა ფეხშიშველაა, გარდა კომენდანტისა, რომელიც უკეთესადაა ჩაცმული და უფრო სუფთად გამოიყურება. ცუდად აცვიათ, მაგრამ, სამაგიეროდ, კბილებამდე არიან შეიარაღებულნი. ქამრის ადგილას ტყვიებით სავსე პატრონტაშები აქვთ შემორტყმული. საბრძოლო თოფებს მზრუნველობა ეტყობათ. ამას გარდა, ხელმისაწვდომზე, ქარქაშიანი ბებუთები ჰკიდიათ. ის, ვისაც „კომენდანტს“ უძახიან, მკლელის მეტისი სიფათი აქვს. ტყვიებით სავსე ქამარზე რევოლვერი აქვს ჩამოკიდებული. არ გვესმის, რა უნდათ, რადგან მხოლოდ ესპანურად ლაპარაკობენ, თუმცა, მათ გამომეტყველებასა და ხმის ტონზე ვატყობთ, რომ არაფერ სასიკეთოს არ გვეუბნებიან.

გზა პორტიდან ციხემდე, სოფელზე გავლით (რომელსაც მართლა რიო-აჩა ჰქვია) ამ ექვსი არამზადით გარშემორტყმულებმა ფეხით გავიარეთ; ამათ დაუმატეთ კიდევ სამი, რომლებიც ორ მეტრში თოფდამიზნებულები მოგვყვებოდნენ – მშვენიერი მიღებაა!

შევყავართ დაბალღობეშემორტყმულ ციხეში. ეზოში ოციოდე წვერმოშვებული, ჭუჭყიანი პატიმარია – ზოგი ფეხზე დგას, ზოგი ზის. ისინიც მტრულად გვიყურებენ. „Vamos, vamos!“ – ვხედებით, რომ ეს ნიშნავს: „მიდი, ჩქარა, მიდი!“ ჩვენთვის

ეს არც თუ ისე ადვილია კლუზიოს ფეხის გამო. კომენდანტი გვეწევა, ხელში ჩვენი კომპასი უჭირავს და იღლიაში საწვიმარი ამოუჩრია, ჩვენი ორცხობილათი ილუკმება და ზედ შოკოლადს აყოლებს. ვხვდები, არაფერს შეგვარჩენენ და არც ვტყუვდები. გვამწყვდევენ აყროლებულ ოთახში, რომელსაც გისოსებიანი ფანჯარა აქვს. იატაკზე ფიცრები ყრია, რომელთაც ერთ მხარეზე ხის ბალიშები აქვთ – ეტყობა, ეს საწოლებია. პოლიციელების წასვლის შემდეგ ერთი პატიმარი ფანჯარასთან მოდის: „ფრანგო, ფრანგო!“

– რა გინდა?

– ფრანგებო, არა კარგი, არა კარგი.

– რა – არა კარგი?

– პოლიცია.

– პოლიცია?

– ჰო, პოლიცია არა კარგი, – და მიდის.

ღამდება. ოთახს მბჟუტავი, დაბალამპერაჟიანი ნათურა ანათებს. მწერები ყურებში ჩაგვზუზუნებენ და ცხვირში გვიძვრებიან.

– ღირსები ვართ, ძვირი დაგვიჯდა იმ სამი ბიჭის გადმოსხმა. არ უნდა დავთანხმებულიყავით.

– რას იზამ, არ ვიცოდით. უქარობის ბრალია.

– ძალიან ახლოს მიხვედი, – ამბობს კლუზიო.

– მოკეტე! ახლა ვინმეს დადანაშაულების დრო არ არის. პირიქით, ახლა უნდა დავუდგეთ ერთმანეთს მხარში, როგორც არასდროს.

– ბოდიში! მართალი ხარ, პაპი, ეს არავის ბრალი არ არის.

ო! რა უსამართლობა იქნება, ამდენი ბრძოლის შემდეგ ყველაფერი ასე სავალალოდ რომ დამთავრდეს. არ გავუჩხრეკივართ. „ქისა“ ჯიბეში მაქვს და საჩქაროდ ვიდებ იქ, სადაც საჭიროა. კლუზიოც მბაძავს. კარგი ექნით, ისინი რომ არ დავშალეთ. ჩემს საათზე საღამოს რვა საათია. თითოეულისათვის მოაქვთ მუშტისხელა კასონადის შაქარი და მარილწყალში გამომცხვარი ბრინჯის ლავაში. „Buenas noches!“ – ეს „ღამე მშვიდობისას“ უნდა ნიშნავდეს, – ამბობს მატურეტი.

მეორე დღეს ეზოში გემრიელ ყავას გვირიგებენ. რვა საათისთვის კომენდანტი მოდის. ვთხოვ, ნავზე წაგვიყვანონ, რათა ტანსაცმელი ვაშოვიღოთ. ან ვერ გაიგო, ან თავი მოიკატუნა. რაც უფრო მეტად ვაკვირდები, მით უფრო ვრწმუნდები, რომ მკვლელის სიფათი აქვს. მარცხენა გვერდზე პატარა, ტყავში ჩასმული ბოთლი ჰკიდია. იღებს, საცობს ხსნის, ერთ ყლუპს სვამს, აფურთხებს და მიწედის. მისი მხრიდან ეს პირველი თავაზიანი ქცევაა და უარს არ ვეუბნები. საბედნიეროდ, ძალიან ცოტას ვსვამ. სპირტი კი არა, ნამდვილი ცეცხლია. სწრაფად ვყლაპავ და ხველება მიტყდება. ამის დანახვაზე ეს ზანგთან ნაჯვარი ინდიელი გულიანად ხარხარებს.

ათი საათისთვის მოდის თეთრებში გამოწყობილი ექვსი თუ შვიდი ჰაეროსტუხიანი პირი და შედის ერთ შენობაში, სადაც ციხის ადმინისტრაცია უნდა იყოს. გვიძახებენ. უცნობები ოთახში ნახევარწრედ სხედან. კედელზე დიდი, მრავალი ჯილდოთი დამშვენებული ოფიცრის სურათი კიდია: – კოლუმბიის პრეზიდენტი, ალფონსო ლოპესი. ერთ-ერთი მათგანი კლუზიოს ფრანგულად მიმართავს და სკამზე სვამს. ჩვენ ფეხზე ვრჩებით. შუაში მჯდომი სათვალიანი პიროვნება, რომელსაც გაპრანჭული, არწივისებური ცხვირი აქვს, ჩემს დაკითხვას იწყებს. თარჯიმანი, სანამ თარგმნას

დაიწყებდეს, მეუბნება:

– ის კაცი, რომელმაც ახლა უნდა დაგკითხოთ, რიო-აჩას მოსამართლეა. დანარჩენები მისი მეგობრები და ამ კუთხის გამოჩენილი ადამიანები არიან. მე ჰაიტელი ვარ და აქ ელექტროტექნიკურ საქმეებს ვავრმართავ. არ იმჩნევენ, მაგრამ, მე მგონი, ამათ შორის ვიღაცას ფრანგული უნდა ესმოდეს, შეიძლება, თვით მოსამართლესაც კი.

მოსამართლე მოუთმენლად იშმუშნება ამ პრეამბულის გამო და პირდაპირ დაკითხვაზე გადადის. ჰაიტელი თარგმნის:

– თქვენ ფრანგები ხართ?

– დიახ.

– საიდან მოდიხართ?

– კურასაოდან.

– მანამდე?

– ტრინიდადიდან.

– მანამდე?

– მარტინიკიდან.

– ცრუობთ. ჩვენმა კონსულმა კურასაოზე ერთ კვირაზე მეტი ხნის წინ გაგვაფრთხილა, სანაპიროზე თვალთვალი დაგვეწესებინა, რადგან შესაძლებელი იყო, საფრანგეთის კატორღიდან ექვს გამოქცეულს აქ გადმოსვლა ეცადა.

– რა გაეწყობა, კაიენადან გამოქცეულები ვართ.

– ესე იგი, კაიენელები?

– დიახ.

– რაკი ისეთმა ღირსეულმა ქვეყანამ, როგორიც საფრანგეთია, ასე მკაცრად დაგსაჯათ და ასე შორს გამოგგზავნათ, საშიში ბანდიტები იქნებით.

– შეიძლება.

– ქურდები ხართ თუ მკვლელები?

– მკვლელობაზე ვისხედით.

– Matadors, ეს იგივეა. ესე იგი, თქვენ მკვლელები ხართ? სად არის დანარჩენი სამი?

– კურასაოში დარჩნენ.

– ისევ ცრუობთ. თქვენ ისინი აქედან სამოც კილომეტრზე გადმოსხით, კასტელეტთან. საბედნიეროდ, დავაკავეთ და რამდენიმე საათში აქ მოიყვანენ. ნავი მოპარულია?

– არა, კურასაოს ეპისკოპოსმა გვაჩუქა.

– კარგი, სანამ გუბერნატორი თქვენ მიმართ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებს, ციხეში დარჩებით. იმ დანაშაულისათვის, რომ სამი თანამოაზრე კოლუმბიის ნაპირებზე გადმოსვით და შემდგომ ზღვაში გასვლა სცადეთ, ნავის კაპიტანს ვუსჯი სამ, ხოლო დანარჩენ ორს – თითო თვის პატიმრობას. კარგად მოიქეცით, თუ არ გინდათ, პოლიციელებმა ფიზიკურად დაგსაჯონ. ისინი საკმაოდ უხეში კაცები არიან. გაქვთ რამე სათქმელი?

– არა, მხოლოდ ნავიდან ჩვენი ნივთების აღება გვინდა.

– საბაუომ ყველაფერ კონსფიკაცია გაუკეთა. თითოეულს დაგიბრუნებენ ერთ შარვალს, ერთ პერანგს, ერთ ქურთუკს და წყვილ ფეხსაცმელს. ნუ შემეკამათებით,

არაფერი გამოგივათ, ასეთია კანონი.

ეზოში გასვლისას მოსამართლეს იქაური პატიმრები ეხვევიან: „დოქტორ, დოქტორ!“. იგი მათ ყურადღებას არ აქცევს, ღირსების გრძნობით გადის ციხის ეზოდან და სხვებთან ერთად უჩინარდება.

პირველ საათზე დანარჩენი სამიც შვიდ თუ რვა შეიარაღებული პოლიციელის თანხლებით ფურგონით მოჰყავთ. ჩემოდნებით ხელში დარცხვენილები მოდიან. ერთად შევდივართ ოთახში.

– რა საშინელი შეცდომა ჩავიდინეთ და თქვენც ჩაგაგდეთ, – ამბობს ბრეტონელი, – ამის პატიება არ შეიძლება, პაპიონ. თუ ჩემი მოკვლა გინდა, აქ ვარ, თავს არ დავიცავ. კაცები კი არა, პედერასტები ვართ. ზღვის შიში სასაცილოა ამ კოლუმბიელი ტიპების ხელში ყოფნასთან შედარებით. ქარის გამო ჩავარდით?

– ჰო, ბრეტონ, არავის მოკვლას არ ვაპირებ. ყველანი შევცდით. უარი უნდა მეთქვა თქვენთვის და არაფერი არ მოხდებოდა.

– ძალიან კეთილი ხარ, პაპი.

– არა, სამართლიანი ვარ. – შემდეგ ვუყვები დაკითხვის ამბებს და ვეუბნები: „ბოლოს და ბოლოს, შეიძლება, გუბერნატორმა გაგვანთავისუფლოს.

– ჰო, როგორც ამბობენ, კაცი იმედით ცოცხლობს. ჩემი აზრით, ამ ნახევრად ცივილიზებულ ბანდას ჩვენ მიმართ რაიმე გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია. მხოლოდ მაღალ დონეზე გადაწყდება, კოლუმბიაში დაგვტოვებენ, საფრანგეთს გადაგვცემენ თუ გზის გასაგრძელებლად ჩვენს ნავზე დაგვაბრუნებენ. უსამართლობა იქნებოდა, ამ ხალხს ჩვენს მიმართ მკაცრი გადაწყვეტილება მიეღო, რადგან, ბოლოს და ბოლოს, მათ ტერიტორიაზე არავითარი დანაშაული არ ჩაგვიდენია.

ერთი კვირაა, აქ ვართ. არაფერი არ იცვლება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ლაპარაკია საიმედო დაცვის ქვეშ უფრო დიდ ქალაქში – სანტა-მარტაში ჩვენს გადაყვანაზე, რომელიც აქედან ორას კილომეტრშია. ამ ყაჩაღებისა თუ მეკობრეების იერის მქონე პოლიციელებს ჩვენდამი დამოკიდებულება არ შეუცვლიათ. გუშინ ერთმა კინაღამ ტყვია დამახალა, როცა პირსაბანთან ჩემი საპონი უკან გამოვართვი. ისევ იმ მწერებით სავსე დამპალ საკანში ვართ. საბედნიეროდ, მატურეტისა და ბრეტონელის წყალობით, რომლებიც მას ყოველდღე რეცხავენ, ცოტა მეტი სისუფთავეა. სასონარკვეთა მიპყრობს და არაფრის იმედი აღარ მაქვს. ეს ინდიელების, ზანგებისა და ამ ქვეყნის ძველი პატრონების – ესპანელების ნარევი კოლუმბიური რასა ჩემში უნდობლობას ინვევს. ერთმა აქაურმა პატიმარმა სანტა-მარტაში დაბეჭდილი ძველი გაზეთი მათხოვა. პირველ გვერდზე ჩვენი სურათებია, ქვემოთ – პოლიციის კომენდანტი სიგარით პირში და უზარმაზარი ქუდით. გარს თოფებით შეიარაღებული დუჟინი პოლიციელი არტყია. ეხვდები, რომ ჩვენი დაკავების ამბავი გაზვიადებულია. თითქოს, ჩვენი დაკავებით კოლუმბია, უდიდეს საფრთხეს გადაურჩა. და მაინც, ჩვენი ფოტოები უფრო სასიამოვნო საყურებელია, ვიდრე პოლიციელებისა – „ბანდიტებს“ უფრო პატიოსანი კაცის სახეები აქვთ, მაშინ, როცა, ბოდიში... უფროსიდან დაწყებული, რიგითამდე, – ყველაზე განსაკუთრებული აზრი გვაქვს. რას იზამ? ესპანური სიტყვების მნიშვნელობას ვსწავლობ: გაქცევა – fugarse, პატიმარი – preso, მოკვლა – matar, ჯაჭვი – cadena, ხელბორკილი – esposas, კაცი – hombre, ქალი – mujer.

გაქცევა რიო-აჩადან

ეზოში ერთ ტიპს დავუმეგობრდი. მას ბორკილი მოუხსნელად ადევს. რიგრიგობით ვეწევით ერთ სიგარას, რომელიც გრძელია, წვრილი და ძალიან მაგარი, მაგრამ მაინც ვეწევით. ვიგებ, რომ ჩემი ახალი მეგობარი ვენესუელასა და კუნძულ არუბას შორის კონტრაბანდისტობდა. სანაპიროს დაცვის წევრის მკვლელობის გამოა დაპატიმრებული და სასამართლოს ელოდება. ხან ძალიან მშვიდია, ხან კი ნერვიულობს და აღგზნებულია. ვამჩნევ, რომ მაშინ მშვიდდება, როცა მნახველი მოსდის, რაღაც ფოთლები მოაქვთ და ღეჭავს. ერთ დღეს, ერთი ფოთლის ნახევარს მაძლევს და ყველაფერი ნათელი ხდება: ჩემმა ენამ, სასამ და ტუჩებმა შეგრძნების უნარი დაკარგეს ეს კოკას ფოთლებია. ამ ოცდათხუთმეტი წლის ბანჯგვლიან კაცს აუწერელი ძალა უნდა ჰქონდეს. ფეხის ძირები ისე აქვს გამაგრებული, რომ ხანდახან სიარულის დროს შერჭობილ ლურსმანს ან შუშის ნატეხებს იძრობს, რომელთაც ხორცამდე არ შეუღწევიათ.

– Fuga შენ და მე, – ვეუბნები ერთ საღამოს.

ჰაიტელს ფრანგულ-ესპანური ლექსიკონი ვთხოვე და მომიტანა. მიმიხვდა და მაგებინებს, რომ გაქცევა უნდა, მაგრამ ბორკილი უშლის ხელს. ამ ბორკილებს ამერიკული საკეტი აქვ. ნახვრეტის მიხედვით ვხვდები, რომ ბრტყელი გასაღები მოერგება. ბრეტონელი გაბრტყელებული მავთულისაგან კაუჭს მიკეთებს. რამდენიმე ცდის შემდეგ ბორკილის გახსნას ვახერხებ. როცა მომესურვება, მაშინ გავხსნი. იგი ღამით მარტოა თავის calabozo-ში (საკანში), რომელსაც საკმაოდ დიდი გისოსები აქვს. ჩვენთან ისინი უფრო წვრილია. მათ გაწევას უეჭველად შევძლებთ, ანტონიოს მხოლოდ ერთი გისოსი ექნება გასახერხი (ჩემს ახალ მეგობარს ანტონიო ჰქვია).

– როგორ ვიშოვოთ saccette (ხერხი)? – ვეკითხები ანტონიოს.

– Plata (ფული). – მპასუხობს ის.

– Cuanto (რამდენი)?

– ასი პესო.

– დოლარი?

– ათი. – მოკლედ, ათ დოლარს ვაძლევ და მალე მეტალის ორი ხერხი მაქვს. ეზოში, მიწაზე ვუხაზავ და ვაგებინებ, რომ ყოველთვის, როცა კი ცოტას გახერხავს, ნაქლიბი ბრინჯის ცომში აზილოს და გაჭრილი ადგილი შელესოს. საკანში შესვლისას ცალ ბორკილს ვხსნი. თუ შემოწმება დაიწყება, თვითონაც ადვილად ჩაკეტავს. სამი ღამეა, ხერხავს. მიხსნის, რომ ამ საქმის დასამთავრებლად წუთიც არ დასჭირდება და დარწმუნებულია, გისოსების გადაღუნვას შეძლებს. მერე ჩემთან მოვა.

ხშირად წვიმს. მეუბნება, რომ „primera noche de lluvia" (წვიმის პირველ ღამეს) მოვა. ამ ღამეს თავსხმაა. ჩემმა ამხანაგებმა იციან, რასაც ვაპირებ, მაგრამ გამოყოლა არ უნდათ. მათი აზრით, ძალიან შორს ვაპირებ წასვლას. მინდა ამ ნახევარკუნძულის ნვერამდე – ვენესუელის საზღვრამდე მივიდე. რუკა მაქვს, სადაც წერია, რომ ამ ტერიტორიას Guajira ქვია. მას კოლუმბია და ვენესუელა ერთმანეთს ედავება. კოლუმბიელი მეუბნება, რომ „eso es la tierra de los indios" (ეს ინდიელების მიწაა) და რომ ამ ორი ქვეყნიდან არც ერთის პოლიცია იქ არ არის. კონტრაბანდისტებისათვის იქ გავლა ძალიან სახიფათოა, რადგან ინდიელებს არ უყვართ, როცა მათ ტერიტორიაზე ცივილიზებული ადამიანი შედის. ტერიტორიის სიღრმეში მცხოვრები ინდიელები უფრო სახიფათონი არიან. სანაპიროს ინდიელები მეთევზე-

ობასა და ნიუარების ამოღებას მისდევენ და ცოტა უფრო ცივილიზებული ინდიელების შუამავლობით სოფელ კასტელეტთან და დაბა ლა ველასთან ვაჭრობენ. ანტონიო უარზეა, იქ ჩემთან ერთად შევიდეს. იგი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა მას ან მის ამხანაგებს ვინმე ინდიელი ჰყავდეთ მოკლული, როცა ერთხელ, კონტრაბანდით დატვირთულები, იძულებულები გახდნენ, მათ ტერიტორიას შეფარებოდნენ და ბრძოლა მოუწიათ. იგი მპირდება, გვახირასთან ძალიან ახლოს მიმაცილოს, მერე მარტო უნდა წავიდე. ალბათ მიხვდებით, რა ძნელი იყო ჩვენი ლაპარაკი, რადგან ბევრ მის ნათქვამ სიტყვას ჩემს ლექსიკონში ვერ ვპოულობდი. მოკლედ, ამ ღამეს კოკისპირულად წვიმს. ფანჯარასთან ვდგავარ. დიდი ხანია, რაც საწოლს ფიცარი ავაგლიჯეთ. მას გისოსების გასაწევად ბერკეტივით გამოვიყენებთ. ორი ღამის წინ ჩატარებულმა ცდამ დაგვანახვა, რომ ეს ადვილია.

– Listo (მზად ვარ), – ვამბობ მე.

ანტონიოს სიფათი გისოსებს შორის ჩნდება. მატურეტისა და ბრეტონის დახმარებით გისოსებს ერთი დაწოლით არა თუ ვღუნავთ, არამედ მთლიანად ვაგლეჯთ. გადაძრომას მშველიან და, სანამ სიბნელეში გავუჩინარდებოდე, უკანალზე ხელებს მირტყამენ – ეს დასამშვიდობებელ ხელის ჩამორთმევას ნიშნავს. უკვე ეზოში ვართ. კოკისპირული წვიმა თუნუქის სახურავს საშინელი ხმაურით ეცემა. ანტონიო ხელს მკიდებს და კედლამდე მიმყავარ. მასზე გადაძრომა ადვილია – მხოლოდ ორი მეტრის სიმაღლისაა. მიუხედავად ამისა, ზედა კიდეზე ჩარჭობილ შუშის ნატეხებზე ხელს მაინც ვიჭრი. ეს არაფერია, წავედით. სამ მეტრში არაფერი ჩანს. მიუხედავად ამისა, ეს დაწყევლილი ანტონიო გზის გაგნებას ახერხებს. სიბნელის წყალობით თამამად ვკვეთთ სოფელს და ტევრსა და სანაპიროს შორის გზას ვადგებით. რამდენიმე ხნის შემდეგ წინ სინათლეს ვამჩნევთ. ტევრში შევდივართ, რომელიც, საბედნიეროდ, აქ მეჩხერია და შემოვლის შემდეგ კვლავ გზაზე გამოვდივართ. გადაუღებელი წვიმის მიუხედავად გათენებამდე განვაგრძობთ სიარულს. წამოსვლისას მან ერთი ფოთოლი მომცა, რომელსაც ისევე ვღეჭავ, როგორც ის ციხეში ღეჭავდა. არავითარ დაღლილობას არ ვგრძნობ. ნამდვილად ფოთლის ბრალია. გათენების მიუხედავად, არ ეჩერდებით. დროდადრო ანტონიო მინაზე წვება, რომელზეც წვიმის ნაკადულები მოდის და ყურს ადებს. მერე ისევ მიედივართ.

ანტონიოს სიარულის უცნაური მანერა აქვს: არც მირბის, არც მიდის – ჰაერში ხელებს ნიჩბებივით უსვამს და ნახტომისებურ ნაბიჯებს აკეთებს. ეტყობა, რაღაცამ დააეჭვა, რადგან ტევრში შევყავარ. ისევ წვიმს. მართლაც, მალე ტრაქტორს გამობმულმა სატკეპნმა ჩაიარა, ალბათ გზის გასაწორებლად.

დილის თერთმეტის ნახევარია. წვიმამ გადაიღო და მზემ გამოანათა. ტევრში შესულები, ერთ კილომეტრზე მეტ მანძილზე ბალახ-ბალახ მივდივართ, მერე ხშირი ეკლიანი მცენარეულობით გარშემორტყმულ ადგილას ვწვებით. მე მგონია, აქ არავითარი საფრთხე არ გვემუქრება, მაგრამ ანტონიო მოწევასა და ხმამაღლა ლაპარაკს მიშლის. იგი კოკას ღეჭვასა და მისი წვენის ყლაპვას ისევ განაგრძობს და მეც მას ვბაძავ, თუმცა, ვცდილობ, ზომა დავიცვა. იგი მიჩვენებს ტანსაცმლის შიგნით გამოკერებულ ჯიბეს, რომელშიც ოცზე მეტი ფოთოლი აქვს და უხმოდ იცინის, სიბნელეში მის ჯანსაღ კბილებს ვხედავ. მწერები გვაწუხებენ. სიგარას ვღეჭავთ და ნიკოტინს სახესა და ხელებზე ვისვამთ. ეს ცოტათი გვშველის.

საღამოს შვიდი საათია. დაღამდა, მაგრამ მთვარე გზას მეტისმეტად ანათებს. ის

თითებით მიჩვენებს 9 საათს და ამბობს: „Lluvia" (წვიმა). ვხვდები, ცხრა საათზე იწვიმებს. მართლაც, 9 საათსა და 20 წუთზე წვიმას იწყებს და მივდივართ. რომ არ ჩამოვრჩე, მასავით ვმოძრაობ და მალე ვეჩვევი. ეს ძნელი არ არის – უფრო ჩქარა მივდივარ და არც ვიღლები. ამ ღამეს სამჯერ შევედით ტევრში, რადგან ორი ავტომანქანისა და ერთი ვირშებმული ურმის გატარება მოგვიწია. თენდება. ამ ფოთლების წყალობით არავითარ დაღლილობას არ ვგრძნობ. როცა რვა საათზე წვიმა წყდება, გუშინდელივით, ერთი კილომეტრის ბალახ-ბალახ გავლა გვიწევს და და ტევრში ვიმალებით. ამ ფოთლების ნაკლი ის არის, რომ ძილი არ გვეკარება. რაც წამოვედით, თვალი არ მომიხუჭავს. ანტონიოს თვალის გუგები ისე აქვს გაფართოებული, რომ ირისი აღარ ეტყობა. ალბათ მეც ასე ვარ.

საღამოს ცხრა საათზე, თითქოს წვიმა ამ დროს ელოდებაო, კვლავ თქეში მოდის მოგვიანებით ვიგებ, რომ ტროპიკებში ყოველთვის ასე ხდება. თვის განმავლობაში, ერთსა და იმავე დროს მოვა და გადაიღებს. ამ ღამეს, ის იყო დავიძარით, რომ ხმაური გვესმის, მერე სინათლეები ჩნდება.

– Castillete, – ამბობს ანტონიო, მერე ხელს მკიდებს და ტევრში შევყავარ. ორსაათიანი ძნელი შემოვლის შემდეგ, კვლავ გზაზე გამოვდივართ. მთელ ღამეს და თითქმის მთელ დილას მივდივართ. მზემ ტანსაცმელი ზედვე შეგვაშრო. სამ დღეს სველები ვიყავით, სამი დღეა, პირში არაფერი ჩაგვიდევს, კასონადის ნატეხის გარდა, რომელიც წამოსვლისას შევჭამეთ. ახლა ანტონიო ისეთი უზრუნველი იერით მიდის, რომ, ეტყობა, ცუდ ადამიანებთან შეხვედრისა აღარ ეშინია. აი, უკვე რამდენიმე საათია, მიწაზე ყური არ დაუდევს. როცა გზა სანაპიროს მიუყვება, ანტონიო ჯოხს ჭრის. უკვე ნესტიან მიწაზე მივაბიჯებთ. ანტონიო ჩერდება და ზღვიდან გამომავალ ორმოცდაათიოდე სანტიმეტრის მქონე საგნის კვალს აკვირდება, რომელიც მშრალ ქვიშამდე მიდის. მივყვებით იქამდე, სადაც კვალი ფართოვდება. ანტონიო ქვიშაში ჯოხს არჭობს და როცა უკანვე იღებს ზედ კვერცხის გულივით ყვითელ სითხეს ვამჩნევ. ხელებით ვთხრით სილას და მალე ორმოში დაახლოებით სამასი თუ ოთხასი კუს კვერცხი ჩნდება. მათ ნაჭუჭის ნაცვლად მკვრივი, რბილი გარსი აქვთ. ანტონიო პერანგს იხდის და შიგ ასიოდე კვერცხს ყრის. ტევრში შევდივართ და უცხო თვალისაგან დაფარულები, ჭამას ვიწყებთ. ანტონიო მანიშნებს, რომ მხოლოდ გული იჭმევა. კბილებით კბეჩს კვერცხს, ცილას ღვრის და ყვითელ მასას ყლაპავს, მეორეს მე მაწვდის. ასე რიგრიგობით ვნაყრდებით. მერე თავქვეშ ქურთუკებს ვიდებთ და ბალახზე ვწვებით. ანტონიო მეუბნება:

– Manana tu siges solo dos dias mas. De manana en adelante no hay policias (ხვალიდან შენ კიდევ ორ დღეს ივლი მარტო, ხვალიდან პოლიცია არსად აღარ შეგხვდება).

უკანასკნელ სასაზღვრო პოსტამდე საღამოს ათ საათზე მივდივართ. მას ძალლების ყეფითა და პატარა, გაჩახჩახებული შენობით ვცნობთ. ანტონიო მასაც ჩვეული ოსტატობით უვლის გვერდს და ამის შემდეგ მთელი ღამის განმავლობაში, ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე, დაახლოებით ორმოცდაათი სანტიმეტრის სიგანის ბილიკზე მივდივართ, რომელიც სანაპიროს გასწვრივ ორი მეტრის სიმაღლეზე ტევრს მიუყვება. ალბათ მასზე ხშირად დადიან, რადგან ბალახი აღარ ეტყობა. ზოგჯერ ვირის ან ცხენის ნალების ანაბეჭდები გვხვდება. ანტონიო ხის დიდ ფესვზე ჯდება და მანიშნებს, მეც დავჯდე. მზე უმოწყალოდ აცხუნებს. ჩემს საათზე თერთმეტი საათია, მზის მიხედვით

შუადღე უნდა იყოს: მიწაში ჩასმული პატარა ჯოხი არავითარ ჩრდილს არ იძლევა – ესე იგი, შუადღეა და საათს თორმეტზე ვაყენებ. ანტონიო კოკას ფოთლებს იღებს და ითვლის. შვიდია. ოთხს მე მაძლევს, სამს თვითონ იტოვებს. მე გვერდზე გავდივარ და ორმოცდაათი ტრინიდადული დოლარითა და სამოცი ფლორინით ებრუნდები. ვუწვდი. ანტონიო ბანკნოტებს ხელით ეხება და განცვიფრებული მიყურებს. ვერ გაუგია, სველი რატომ არ არის, რადგან არ შეუმჩნევია, რომ მე ისინი გამეშროს. მართმევს და მადლობას მეუბნება. მერე, ცოტა ფიქრის შემდეგ, ექვს ხუთფლორინიან ბანკნოტს იტოვებს და დანარჩენს მიბრუნებს. ჩემი დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, მეტს არ იღებს. უცებ აზრს იცვლის: გადაწყვეტილი ჰქონდა, აქ დავშორებულიყავით, მაგრამ ახლა აპირებს, კიდევ ერთი დღე დამითმოს. მაგებინებს, მერე დავბრუნდებიო. სანამ გზას გავაგრძელებდეთ, რამდენიმე კვერცხს ვყლაპავთ, ნახევარსაათიანი წვალების შედეგად, ორი ქვის ხახუნით მშრალი ხავსს ვანთებთ და სიგარებს ვუკიდებთ.

სამი საათის სიარულის შემდეგ, ჩვენკენ ვილაც ცხენოსანი მოდის. უცნობს უზარმაზარი ჩალის ქუდი ახურავს, სამხედრო ყაიდის გახუნებული მწვანე პერანგი, ქურთუკი, შარვლის მაგივრად – ერთგვარი ტყავის სლიპი და ჩექმები აცვია. კარაბინით და უზარმაზარი რევოლვერით არის შეიარაღებული.

– Caramba! Antonio, hijo mio! (ჩემო შვილო!).

ანტონიოს ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ მივხვდი, რომ შორიდანვე იცნო, ვინც მოდიოდა. უცნობი ორმოცი წლისაც არ იქნება. სპილენძისფერი დაჰკრავს. ქვეითდება და ისინი ერთმანეთს მხარზე ხელის დარტყმით ესალმებიან. მისალმების ამ ფორმას შემდგომში ყველგან შევხვდები.

– ეს ვინ არის?

– Companero de fuga (ერთად გამოვიქეცით), ფრანგია.

– სად მიდიხარ? – მე მეკითხება,

– მინდა, რამდენადაც შესაძლებელია, ინდიელების ტერიტორიას მივუახლოვდე.

– მას სურს, ინდიელების ტერიტორიის გავლით ვენესუელაში გადავიდეს. იქიდან არუბაზე გადასვლას შეეცდება, ან ვენესუელაში დარჩება, – უხსნის ანტონიო.

– ინდიელი გვახირო – ცუდი – ამბობს უცნობი, – შენ იარაღი არა გაქვს, toma (აიღე), – მაძლევს რქის პრიალატარიან ხანჯალს თეთრი ტყავის ქარქაშით. ბილიკთან ვსხდებით. ფეხსაცმელს ვიხდი და ვხედავ, რომ ფეხები დასისხლიანებული მაქვს. ანტონიო და მხედარი გაცხარებული ლაპარაკობენ. ვატყობ, ჩემი გეგმა არ მოსწონთ. ხელის მოძრაობით მაგებინებს, ფეხსაცმელი მხრებზე გადავიკიდო და ცხენზე შევჯდე, ფეხშიშველს უფრო მალე მომიშუშდება იარები. უცნობიც ჯდება ცხენზე, ანტონიო ხელს მართმევს და, სანამ აზრზე მოვალ, უკვე მის მეგობრის ზურგს უკან მჯდარი, ჭენებით მივქრივარ. დროდადრო ვჩერდებით და ანისის ბოთლს მაწვდის. მე ცოტას ვსვამ. მზის ამოსვლისას ის ჩერდება, გამხმარი ყველის ნაჭერს, ორ ცალ ორცხობილასა და კოკას ფოთოლს მაძლევს. მათ სატარებლად თხელ, ქამარზე ჩამოსაკიდებელ ჩანთასაც მიტოვებს. მერე მეხვევა, ბეჭებზე ხელს მიტყაპუნებს, როგორც ანტონიოსთან შეხვედრისას და ჭენებით მიდის.

ინდიელები

ნაშუადღევის პირველ საათამდე მივდივარ. ტევრი მთავრდება. ჰორიზონტზე ხის ნასახი არ არის. მხურვალე მზის ქვეშ ზღვა ვერცხლისფრად ლაპლაპებს. გადა-

ბმული ფეხსაცმელები მარცხენა მხარზე მკიდია. დასვენებას ვაპირებ, როცა შორს, ნაპირიდან კარგა მოშორებით, ხუთ თუ ექვს საგანს ვლანდავ. ვერ ვარჩევ, კლდეებია თუ ხეები. ვცდილობ, მანძილი გამოვთვალო – ათი კილომეტრი იქნება. პირში კოკას ხორციანი ფოთლის ნახევარს ვიდებ და ღეჭვა-ღეჭვით, საკმაოდ ჩქარი ნაბიჯით განაგრძობ გზას. ერთი საათის სიარულის შემდეგ ვხედები, რომ ეს ჩალით მოწნული და ლერწმით თუ ფოთლებით დახურული ქოხებია. ერთ-ერთი მათგანიდან ბოლი ამოდის. მერე ადამიანებსაც ვარჩევ. დამინახეს. მესმის და ვხედავ, როგორ უყვირიან და ანიშნებენ ვიღაცას ზღვის მიმართულებით. ნაპირს სწრაფად უახლოვდება ორი ნავი, საიდანაც თორმეტიოდე კაცი გადმოდის. ისინი ქოხების წინ იკრიბებიან და ჩემკენ იყურებიან. ყველა დედიშობილაა, მხოლოდ, სქესის დასაფარავად ჰკიდიათ რაღაც. ნელა ეუახლოვდები. სამი მათგანი მშვილდზეა დაყრდნობილი და ხელში ისრები უჭირავს. არც მტრობას გამოხატავენ, არც კეთილგანწყობას. ერთი ძაღლი გაცოფებული ყეფით მორბის ჩემკენ, წვივზე მკბენს და შარვლის დიდ ნაჭერს მაგლეჯს. მეორედაც მიტევს, მაგრამ ამ დროს, ვერ ვიგებ, საიდან (მერე გავიგე, რომ ჩასაბერი მილიდან), უკანალში პატარა ისარი ხვდება, წკავილით გარბის და ერთ-ერთ ქოხში ძვრება. საკმაოდ სერიოზულად მიკბინა და უკვე კოჭლობით მივდივარ. მათგან უკვე ათ მეტრში ვარ, ისინი კი არ ინძრევიან და არც ხმას იღებენ. ბავშვები დედების ზურგებს ეფარებიან. მამაკაცებს სპილენძისფერი სხეული დაკუნთვიათ, ქალებს კი მკვრივი, შეყენებული, დიდი კერტებით დაბოლოებული მკერდი აქვთ, მხოლოდ ერთ ქალს აქვს მსხვილი, ჩამოკიდებული ძუძუები.

მათგან ერთი მამაკაცი კეთილშობილი იერითა და დახვეწილი ნაკვთებით გამოირჩევა და პირდაპირ მისკენ მივდივარ. იგი უიარაღოდაა. ჩემი ტანის იქნება. ყურებამდე შეჭრილი მუქი იისფერი თმები და წარბებამდე ქოჩორი აქვს. დაკუნთულ, სპილენძისფერ ტანზე არც ერთი ბეწვი არ ეტყობა. რკინისფერი თვალებით მიყურებს. ფეშიშველია. მისგან სამ მეტრში ვჩერდები. ორი ნაბიჯით მიახლოვდება და მოჭუტული თვალებით დაახლოებით ორ წუთს მაკვირდება. სახეზე არც ერთი ნაკვთი არ ერხევა. მერე ელიმება და მხარზე ხელით მეხება. ამის დანახვაზე დანარჩენებიც მოდიან და მას ბაძავენ. ერთი ინდიელი ქალიშვილი ხელს მკიდებს და ერთ-ერთი ქოხის ჩრდილში შევყავარ. აქ შარვლის ტოტს მიხევს. დანარჩენები ირგვლივ სხდებიან. ერთი მამაკაცი ანთებულ სიგარას მინვდის. ვართმევ და ვაბოლებ. ამაზე იცინიან, რადგანაც ისინი სიგარას უკულმა ეწევიან – ცეცხლით პირში. ნაკბენიდან სისხლი აღარ გამომდის, მაგრამ ასსუიანი მონეტის ნახევრის ხელა ხორცია ამოგლეჯილი. ქალიშვილი ჭრილობის გარშემო ბეწვებს მაგლეჯს, მერე ერთი პატარა გოგონას მიერ მოტანილი ზღვის წყლით მბანს და თან ხელს უჭერს, რომ სისხლი გამოადინოს. ეტყობა, კმაყოფილია, რაკი სისხლი აღარ გამოდის და ნაკბილარებს რკინის წამახვილებული ნაჭრით აფართოებს. თავს ძალას ვატან, რომ ტკივილისაგან არ დავიმანჭო, რადგან ვატყობ, მაკვირდებიან. მეორე ინდიელი ქალიშვილი დახმარებას აპირებს, მაგრამ ის, ვინც პირველმა მომიარა, უხეშად იშორებს. ამაზე ყველას ეცინება. ვხვდები, ჩემი მომვლელი ამგვარად მიანიშნებს, რომ მხოლოდ მისი საკუთრება ვარ. სწორედ ამაზე ხითხითებენ. ქალიშვილი შარვლის ტოტებს მუხლის ზემოთ მაჭრის, ნაყავს ქვით რაღაც ზღვის წყალმცენარეებს მადებს და ჩემივე შარვლის ნახევებით მიხვევს. შემდეგ კი თავისი ნახელავით კმაყოფილი მანიშნებს, ადექიო.

ვდგები და ქურთუკს ვიხდი. ამ დროს იგი პერანგის საყელოს შიგნით ამჩნევს

პეპელას, რომელიც კისრის ძირში მახატია. მათვალიერებს და ხედავს, რომ სხვა სვირინგებიც მაქვს. პერანგს მხდის და გაკვირვებული უყურებს. ყველა იქ მყოფი ინტერესით ათვალიერებს ჩემი სხეულის მახატულობას: მარჯვნივ – კალვის კოლონია, მარცხნივ – ქალის თავი, მუცელზე – ვეფხვის ხახა, ხერხემალზე – დიდ ჯვარზე გაკრული მეზღვაური, თირკმლების გასწვრივ კი ვეფხვზე ნადირობა თავისი მონადირეებით, პალმის ხეებით, სპილოებითა და ვეფხვებით. ამის შემხედვარე მამაკაცები ქალებს გვერდზე სწევენ და დიდხანს მაკვირდებიან. ბელადიდან დაწყებული, ყველა რიგრიგობით გამოთქვამს აზრს. ამის შემდეგ მამაკაცებმა საბოლოოდ მაღიარეს. ქალებმა ეს მანამდე გააკეთეს – ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბელადმა გამიღიმა და მხარზე შემეხო.

ინდიელებს შევყავარ ყველაზე უფრო დიდ, ნითელი მიწით შელესილ მრგვალ ქოხში და აქ მთლად ვიბნევი: მას რვა კარი აქვს. ერთ კუთხეში სუფთა შალის ჭრელი ჰამაკებია აკეცილი. ქოხის შუაში ბრტყელი, პრიალა ქვა დევს, რომლის გარშემო ასევე ბრტყელი ქვებია დასაჯდომად. კედელზე რამდენიმე ორლულიანი თოფი, ერთი ხმალი და უამრავი სხვადასხვა ზომის მშვილდი კიდია. იქვეა ზღვის კუს უზარმაზარი გადმობრუნებული ბაკანი, რომელშიც კაცი თავისუფლად მოთავსდება. ბუხარი ქვებით არის აწყობილი, ყოველგვარი კირის გარეშე. მაგიდაზე გადაჭრილი გოგრა დევს, რომელშიც ორი თუ სამი მუჭა მარგალიტი ყრია. ხის ფიალით მასმევენ მოტკბო გემოს მქონე ხილის რაღაცა უგემრიელეს წვენს. შემდეგ მთავაზობენ ბანანის ფოთლებზე დაწყობილ, ნაკვერცხლებზე შემწვარ ორ კილოგრამამდე თევზს. ნელ-ნელა ვჭამ. როცა ჭამას ვამთავრებ, ქალიშვილი ხელს მკიდებს და ზღვის ნაპირზე გავყავარ, სადაც ხელებს ვიბან და პირს ვირეცხავ. მერე ქოხში ვბრუნდებით. ქალიშვილი გვერდზე მიჯდება და ხელს თეძოზე მხვევს. სხვა ინდიელები ჩემ ირგვლივ სხედან და ვცდილობთ, ერთმანეთს ჟესტებით გავუგოთ.

უცებ ბელადი დგება, ქოხის სილრმეში მიდის, იღებს თეთრი ქვის ნატეხს და მაგიდაზე ხატვას იწყებს. ჯერ ხატავს შიშველ ინდიელებს და მათ სოფელს, მერე – ოკეანეს; სოფლის მარჯვნივ – ფანჯრებიან სახლებს, ჩაცმული ქალებითა და კაცებით. კაცებს თოფები უჭირავთ. მარცხნივაც იმაეცს იმეორებს – ყველა მამაკაცი თოფიანია და ქუდების ქვეშ ბოროტი სახეები უჩანთ. მერე ნახატს აკვირდება და ხედება, რომ რაღაც დააკლდა. ამატებს ინდიელთა სოფლიდან იმ სოფლებისაკენ ირიბად მიმავალ გზებს, რათა ამიხსნას, როგორ მდებარეობენ ისინი მის დასახლებასთან მიმართებაში; ვენესუელის მხრიდან ხატავს ამომავალ მზეს, რომელიც კოლუმბიის მხარეს ეშვება. ეს ახალგაზრდა ბელადი სიამაყით უყურებს თავის შედევრს. დანარჩენებიც რიგ-რიგობით ათვალიერებენ. როცა რწმუნდება, რომ კარგად გავიგე, რისი თქმაც უნდოდა, იღებს ცარცს და იმ ორ სოფელს ჯვარედინად უსვამს ხაზს. ეხედები: იგი ამით მეუბნება, რომ იქ ბოროტი ხალხი ცხოვრობს და არ მირჩევს მათთან საქმის დაჭერას. მხოლოდ მისი სოფელია კარგი.

დაფას სველი ჩვრით წმენდენ. როცა შრება, ბელადი ხელში ცარცის ნაჭერს მიდებს და მანიშნებს, ასევე, ნახატებით მოყვე ჩემ შესახებ. ჩემთვის ეს უფრო ძნელია, ვიდრე მისთვის. ვხატავ ბორკილდადებულ კაცს ორი ბადრაგით. მერე გაქცეულ ტუსაღს, რომელსაც ზედამხედველები მისდევენ შემართული თოფებით. ამას სამჯერ ვიმეორებ და ყოველ ჯერზე კაცი უფრო და უფრო შორდება მდევარს და მათი სოფლისკენ გარბის. მდევრები ჩერდებიან. მერე ვხატავ ინდიელების

სოფელს ძაღლით და წინა პლანზე მათ ბელადს, ჩემსკენ გამოწვდილი ხელებით.

ეტყობა, კარგად გამომივიდა, რადგან მამაკაცებთან რამდენიმე სიტყვის გაცვლის შემდეგ ბელადი ზუსტად ისე შლის ხელებს, როგორც ჩემს ნახატზეა.

იმავე ღამეს ინდიელ ქალიშვილს თავის ქოხში მივყავარ, სადაც ჩვენ გარდა კიდევ ექვსი ქალი და ოთხი კაცი ცხოვრობს. შლის ჭრელი შალის ჰამაკს, რომელშიც ადვილად ჩაეტევა ორი ადამიანი. მე ჩვეულებრივად, ის კი მეორე ჰამაკში გარდიგარდმო წვება. მეც მას ვბაძავ. მაშინ ის მოდის და გვერდზე მიწვება. გრძელი, ნატიფი თითებით მისინჯავს მთელ ტანს, ყურებს, თვალებსა და პირს. თითები მთლად დაკაწრული და გამაგრებული აქვს, ალბათ, მარჯნისაგან, როცა ზღვის ფსკერიდან მარგალიტის ნიჟარებს იღებს. ჩემი მხრივ, სახეზე ვეფერები. იგი ჩემს ხელს იღებს და ძალიან უკვირს მისი სინაზე. ჰამაკში წოლის ერთი საათის შემდეგ ვდგებით და ბელადის დიდ ქოხში მივდივართ. გამოსაცდელად 12 და 16-კალიბრიან სენტ-ეტიენის თოფებს მაძლევენ. ორმაგი, ნული კალიბის ტყვიებით სავსე ექვსი ყუთი აქვთ.

ეს ინდიელი ქალი საშუალო ტანისაა, თვალები ბელადივით ნაცრისფერ-რკინისფერი და აქვს პროფილიც მასავით დახვეწილი. ყურებთან დაწნული ორი ნაწნავი თეძოებამდე წვდება. მშვენიერ, შავთავიან ძუძუებს მსხლის ფორმა აქვს. კოცნის მაგიერ იკბინება – არ იცის. მალე ითვისებს ცივილიზებულ კოცნას. როცა სადმე მივდივართ, უკან მომყვება, ვერაფრით დავითანხმე, გვერდით გამომყვეს. ერთერთ დაუსახლებელ, დანგრეულ ქოხს სხვა ქალების დახმარებით ქოქოსის ფოთლების სახურავს უკეთებს და წითელი თიხით ლესავს. ინდიელებს ნებისმიერი მჭრელი საგანი აქვთ: დანები, ბებუთები, მაჩეტეები, ნაჯახები, თოხები, აგრეთვე, ერთი რკინის კბილებიანი ფოცხი. სხვა წვრილმანებიც მოეძებნებათ: სპილენძისა და ალუმინის სარწყულები, ქვაბები, როდინი, ქურა, რკინისა და ხის კასრები, უზომოდ დიდი, ათასფრად შეღებილი წმინდა შალის ჰამაკები – დაწნული ფოჩებით მორთული და მყვირალა, სისხლივით წითელი, მუქი ლურჯი, კუპრივით შავი, იადონივით ყვითელი ფერის ნახატებით. როცა ქოხი მზადაა, ქალი მასში ინდიელებისაგან მიცემულ ნივთებს ეზიდება (თვით სახედრის აღვირის ჩათვლით): ზედადგარს, ჰამაკს, რკინის ქილებს, ქვაბებსა და ასე შემდეგ.

უკვე თხუთმეტი დღეა, ერთმანეთს ვეფერებით, მაგრამ ბოლომდე მისვლაზე გადაჭრით უარზეა. არ მესმის: თვითონ მიწვევს და, როცა საქმე საქმეზე მიდგება, არ მნებდება. მთლად შიშველია, მხოლოდ წვრილი თოკით შეკრულ სქესის საფარს ატარებს ნინა მხრიდან. ყოველგვარი ცერემონიის გარეშე ვსახლდებით ამ პატარა, მრგვალ ქოხში, რომელსაც სამი, თანაბრად დაშორებული შესასვლელი აქვს. მათი დანიშნულება სხვადასხვაა: მე ყოველთვის ჩრდილოეთის კარიდან უნდა შევიდე და გავიდე. ის კი სამხრეთის კარით ისარგებლებს. ერთმანეთის შესასვლელით სარგებლობა არ შეგვიძლია. მესამე, დიდი კარი მეგობრებისთვისაა და მე და ინდიელ ქალს მასში შესვლა მხოლოდ სტუმრების თანხლებით შეგვიძლია.

მხოლოდ ქოხში გადასვლის შემდეგ დამნებდა. არ მინდა, დეტალებს შევეხო, მაგრამ ვიტყვი, რომ მხურვალე გრძნობით აღსავსე აღმოჩნდა და ლიანასავით ჩამეხვია. უცხო თვალისგან მალულად ვვარცხნი და თმას ვუწნავ. ამ დროს მის სახეზე ერთდროულად უზომო ბედნიერება და შიში ეხატება – ეშინია, ვინმემ არ დაინახოს. მესმის მისი: მათი ადათ-წესის მიხედვით, კაცმა ქალს არასოდეს არ

უნდა დავარცხნოს თმა, არც სახე და ხელები უნდა გაუხეხოს ქვებით და არც ტუჩებსა და მკერდზე არ უნდა აკოცოს.

მოკლედ, მე და ლალი – მას ასე ჰქვია – ამ ქოხში დავსახლდით. ჩემდა გასაკვირად, იგი არასდროს ხმარობს მეტალის ჭურჭელს და არც შუშის ნაკეთობიდან სვამს წყალს. ყველაფერს თვითნაკეთი, გამომწვარი თიხის ქვაბებსა და კეცებზე ამზადებს.

პირს სარწყულიდან პეშვებით ვიბანთ და ტუალეტისა თვის ზღვაში გავდივართ.

დავესწარი მარგალიტის ნიჟარების გახსნას – ეს ასაკოვანი ქალების საქმეა. მარგალიტზე მონადირე ყველა ქალიშვილს თავისი ჩანთა აქვს. ნიჟარაში აღმოჩენილი მარგალიტები შემდეგნაირად ნაწილდება: ერთი წილი – ბელადს, რომელიც ტომის სახეა; მეორე წილი – ფსკერიდან მის ამომღებს; ნახევარი წილი – ნიჟარის გამხსნელს და ნახევარიც – მყვინთავს. თუ ქალიშვილი ოჯახთან ერთად ცხოვრობს, იგი თავის წილს მამის ძმას აძლევს, ოღონდ, ვერ გავიგე, რატომ. ვერც იმას მივხვდი, ქალის გათხოვების დროს რატომ შედის ქოხში პირველი ბიძა, რომელიც იღებს ქალის ხელს და ხვევს მამაკაცის წელს, ხოლო კაცის მარჯვენა ხელს – ქალიშვილის წელს; ამავე დროს, თითს აყოფინებს ჭიპში, ხოლო ყველაფერი ამის შემდეგ ტოვებს იქაურობას.

მოკლედ, ნიჟარების გახსნას ვესწრები, მაგრამ მარგალიტების საძებნელად გასასვლელად არავინ მეპატიჟება. ისინი ნაპირიდან ხუთას მეტრზე გადიან. ზოგჯერ ლალი მარგალიტებისაგან მთლად დაკაწრული ბრუნდება და ხშირად ბარძაყებიდან და გვერდებიდან სისხლი სდის. მაშინ ის წყალმცენარეებს ნაყავს და ჭრილობებზე ისვამს. მე უსაქმოდ ვარ, თუ ვინმე რამის გაკეთებას არ მანიშნებს. არასდროს შევდივარ ბელადის სახლში, თუ ვინმემ ხელი არ მომკიდა და არ წამიყვანა. ლალი ეჭვობს, რომ, როცა მარტო ვართ, მისი ასაკის ინდიელი გოგონები მოდიან, ქოხთან ახლოს ბალახებში იმალებიან, რათა გაიგონ ან დაინახონ რას ვაკეთებთ.

გუშინ ერთი ინდიელი გავიცანი, რომელიც ამ სოფელსი და პირველ კოლუმბიურ დასახლებას შორის მიდი-მოდის. ამ სოფელს ლა ველა ჰქვია და სასაზღვრო პოსტიდან ორ კილომეტრშია. ორი ვირი ჰყავს და ვინჩესტერის ავტომატური კარაბინით დაიარება. ისიც სხვებივით შიშველია. ესპანურად ერთი სიტყვაც არ იცის და მიკვირს, როგორ ახერხებს იქ ვაჭრობას. ლექსიკონის დახმარებით ქაღალდზე ვწერ: „Agujas (ნემსები), ლურჯი და წითელი ჩინური მელანი და საკერავი ძაფი", რადგან ბელადი გამუდმებით მთხოვს. მოვასვირინგო. ეს მეკავშირე ინდიელი პატარაა და უსაშველოდ გამხდარი. მას ტანზე საშინელი ჭრილობა აქვს, რომელიც ფერდის ძირიდან იწყება, კვეთს მთელ ტანს და მარჯვენა მხართან მთავრდება. ჭრილობა თითის სიმსხო ნაწიბურად არის შეხორცებული.

მარგალიტებს სიგარის ყუთში ყრიან, რომელსაც განყოფილებები აქვს და მარგალიტები მასში სიდიდის მიხედვით ხარისხდება. როცა ინდიელი მიდის, მე ბელადის თანხმობით ცოტაზე ვაცილებ. ბელადი ერთგვარი გულუბრყვილობით ორლულიან თოფსა და ექვს ვაზნას მატანს. დარწმუნებულია, რომ ამგვარად იძულებული ვიქნები, დავბრუნდე, რადგან სჯერა, რომ არ გავიყოლებ ისეთ რამეს, რაც არ მეკუთვნის. რაკი სახედრები დაუტვირთავია, ერთზე ინდიელი ჯდება, მე – მეორეზე, მთელ დღე იმავე გზას მივუყვებით, რომლითაც მოვედი, მაგრამ სასაზღვრო პოსტიდან დაახლოებით სამ-ოთხ კილომეტრში, ინდიელი ზღვას ზურგს

აქცევს და ტერიტორიის სიღრმეში შედის.

ხუთი საათისთვის ერთ ნაკადულთან ვართ, სადაც ინდიელთა ხუთი ქოხია. ყველა ჩემ სანახავად გამოეფინა. ინდიელი გაუთავებლად ლაპარაკობს, სანამ ერთი ვიღაც არ მოდის. ის თვალებით, თმით, ცხვირით და, საერთოდ, მთელი გარეგნობით, ინდიელს ჰგავს, გარდა ფერისა – მას ღია შეფერილობის კანი და წითელი, ალბინოსის თვალები აქვს. კაკის შარვალი აცვია. მაშინ ვხედები, რომ ჩემი სოფლის ინდიელი ამ ადგილის იქით აღარ მიდის. თეთრი ინდიელი მეუბნება:

– Buenos dias (გამარჯობა). Tu eres el matador que se fue con Antonio (შენ ხარ ის მკვლელი, ვინც ანტონიოსთან ერთად გაიქცა)? Antonio es compadre mio de sangre (ანტონიო ჩემი ძმადნაფიცია).

– ამ ძმებად გაფიცვის რიტუალი ასეთია: ორი მამაკაცი ერთიმეორეს მხრებით ებმება, მერე ერთურთს მკლავებს დანით უსერავს და ერთმანეთის სისხლს ლოკავენ.

– Que quieres (რა გინდა)? – მეკითხება.

– Agujas, tinta china roja y azul (ნემსები, წითელი და ლურჯი ჩინური მელანი, სხვა არაფერი).

– ყველაფერ ამას Tu lo tendras de aqui a un cuarto de luna (შენ დღეიდან მთვარის მეოთხედის გასვლის შემდეგ მიიღებ).

იგი ესპანურად ჩემზე უკეთესად ლაპარაკობს და ეტყობა, რომ ცივილიზაციასთან კონტაქტის დამყარება და თავისი რასის ინტერესების დაცვა შეუძლია. წამოსვლისას კოლუმბიური ვერცხლის მონეტებისაგან ასხმულ ყელსაბამს მაძლევს და მაგებინებს, ლალის წავუღო.

– Vuelva a verme (დაბრუნდი ჩემს სანახავად), – მეუბნება თეთრი ინდიელი და, რათა დარწმუნებული იყოს, რომ მოვალ, მშვილდს მაძლევს.

მარტო ვბრუნდები. ნახევარი გზაც არ მექნება გავლილი, რომ ლალის თავისი ერთ-ერთი პატარა დის, ასე თორმეტ-ცამეტი წლის გოგონას თანხლებით ვხვდები. თვითონ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის იქნება. იგი გიჟივით მიკაწრავს მკერდს და კისერზე სასტიკად მკბენს. სახეს ვიფარავ და მის შეკავებას ვცდილობ. უეცრად წყნარდება. გოგონას ვირზე ვსვამთ და გადახვეულები გზას სოფლისკენ ვაგრძელებთ. გზაში ბუს ვკლავ. ისე ვესროლე, არც ვიცოდი, რა იყო, მხოლოდ სიბნელეში მბრწყინავ თვალებს ვხედავდი. ლალის ძალიან უნდა მისი წამოღება და ვირის უნაგირზე კიდებს. სოფელში გარიურაჟზე შევდივართ. დაღლილი ვარ და დაბანა მინდა. ლალი მბანს, მერე, ჩემ თვალწინ, თავის პატარა დას სქესის საფარს ხსნის, ბანს და თვითონაც იბანს.

როცა ორივენი ქოხში შემოდიან, მე ვზივარ და წყლის ადუღებას ველოდები, რათა ლიმონითა და შაქრით დავლიო. მაშინ ხდება ერთი რამ, რის აზრსაც მოგვიანებით მივხვდი: ლალი დას ფეხებს შორის მიყენებს და ხელებს მის წელზე მახვევინებს. მას სქესის საფარი არა აქვს და ის ყელსაბამი ჰკიდია, რომელიც ლალის მოვუტანე. არ ვიცი, როგორ გამოვიდე ამ უცნაური სიტუაციიდან. გოგონა ხელში ამყავს და ჰამაკში ვაწვენ მერე ყელსაბამს ვხსნი და ლალის ვკიდებ. ლალი დის გვერდით წევება, მე – ლალის გვერდით. მერე გავიგე, თურმე ლალის უფიქრია, მასთან ბედნიერი არ ვიყავი, წასასვლელად ცნობებს ვაგროვებდი და შეიძლებოდა, დას შევეკავებინე. გვიან მელვიძება – დილის თერთმეტი საათია. პატარა წასულა.

ლალი დიდი, ნაცრისფერი, შეყვარებული თვალებით მიყურებს და ტუჩის კიდეებზე მკბენს. ამგვარად მახვედრებს, რომ ბედნიერია, რაკი დარწმუნდა ჩემს სიყვარულში და იმის გამო არ წავსულვარ, რომ ჩემი შეკავება არ შეეძლო.

ქოხის წინ ინდიელი ელოდება, რომელიც ლალის ნავს მართავს. იგი მიღიმის და თვალებს ხუჭავს, რითაც მახვედრებს, რომ იცის, ლალის ჯერ კიდევ სძინავს. მის გვერდით ვჯდები. რაღაცას ლაპარაკობს, მაგრამ ვერ ვიგებ – რას. ახალგაზრდაა და დაკუნთული, ათლეტის ტანი აქვს. ჩემს სვირინგებს დიდხანს ათვალიერებს და მერე მანიშნებს, მეც მომხატეო. თავის ქნევით ვპირდები. ლალი მოდის. მთელ ტანზე ზეთი უსვია. იცის, რომ მე ეს არ მომწონს, მაგრამ მაგებინებს, რომ ამ ღრუბლიან ამინდში წყალი ძალიან ცივი უნდა იყოს. ამას ისეთი ლამაზი, ნახევრად სიცილით და ნახევრად სერიოზული მიმიკებით აკეთებს, რომ თავს ვიკატუნებ, თითქოს ვერ ვხვდები და რამდენჯერმე ვამეორებინებ. როცა ვანიშნებ, კიდევ ერთხელ გაიმეოროს, იგი ისე იმანჭება, თითქოს უნდა, მითხრას: „სულელი ხარ, თუ მე ვარ ისეთი torpe (მოუქნელი), რომ ვერ გიხსნი, რატომ წავისვი ზეთი?"

ბელადი მოდის ორი ინდიელი ქალის თანხლებით, რომელთაც დიდი, მწვანე, არანაკლებ ოთხ-ხუთკილოგრამიანი ხვლიკი მოაქვთ. თვითონ ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს. ხვლიკი ეს-ესაა მოუკლავს და მოგვიანებით მის შესაჭმელად მეპატიჟება. ლალი რაღაცას ელაპარაკება, რის შემდეგაც ბელადი მხარზე მეხება და ოკეანესთან მიანიშნებს – ვხვდები, მეუბნება, რომ, თუ მსურს, შემიძლია, ლალისთან ერთად გავიდე წყალში. სამივენი – ლალი, მისი კომპანიონი და მე – კორპის ხის მსუბუქ, პატარა კანოეს წყალში ვუშვებთ. ნავი მათ მხრებზე შედებული მიაქვთ. ჩაჯდომა ჩემთვის უცნაურად ხდება: კიჩოზე ჯერ ინდიელი მაგრდება. ლალი მკერდამდე წყალში დგას, ნავი წონასწორობაში მოჰყავს და უკან, პლაჟისკენ გაცურებისაგან იკავებს. მერე მე ავდივარ და შუაში ვჯდები. ერთი ამოსუნთქვით ლალი წინ ხტება და იმავდროულად ინდიელი ნიჩბის მოსმით ზღვის სიღრმეში გვიბიძგებს. ტალღები რულონებივით მოგორავს და, რაც უფრო გაშლილ ზღვაში გავდივართ, მით უფრო მაღლდებიან. ნაპირიდან ხუთას თუ ექვსას მეტრში ერთგვარ ფარვატერში შევდივართ, სადაც უკვე ორი ნავია. ლალი ნაწნავებს კისერზე შებმული ხუთი წითელი ტყავის თასმით გარდიგარდმო და სიგრძეზე იმაგრებს. დიდი დანით ხელში იგი მსხვილ, თხუთმეტიოდე კილოგრამის რკინის ნაჭერს ჩაჰყვება. ეს რკინა ღუზის მაგივრობას გვინევს, თუმცა ნავს ბოლომდე არ ამშვიდებს, რის გამოც ის ტალღის ყოველ რულონზე ადი-ჩადის.

ლალი სამ საათზე მეტი ხნის განმავლობაში ყვინთავს და ზღვის ფსკერიდან ჩანთით ნიჟარები ამოაქვს. ფსკერი არ ჩანს, მაგრამ, მისი ჩასვლა-ამოსვლით თუ ვიმსჯელებთ, აქ სიღრმე თხუთმეტი-თექვსმეტი მეტრი უნდა იყოს. ინდიელი ნიჟარებს ნავში აბინავებს. ამ სამი საათის განმავლობაში ლალი ნავში არ ამოდის, დასასვენებლად ხუთი-ათი წუთით კიჩოზე ჩამოკიდებული ჩერდება. არც მაშინ ამოვიდა, როცა ორჯერ გადავინაცვლეთ. ბოლო ჩაყვინთვისას ჩანთას აესებს და ნიჟარებიც უფრო მსხვილია. ლალი ნავში ამოდის და ზღვის ტალღები ნაპირზე გვაბრუნებს. ისევ ის მოხუცი ინდიელი ქალი გვხვდება. ლალი და მე ველოდებით, სანამ ნიჟარებს მშრალზე გადაიტანენ. როცა ყველა ნიჟარა ნაპირზეა, ლალი მოხუც ქალს არ ანებებს და დანის წვერით სწრაფად იწყებს მათ გახსნას, სანამ თხუთმეტიოდე ცდის შემდეგ, მარგალიტს არ იპოვის. არ დაიჯერებთ, მაგრამ ორი

დუჟინი მარგალიტი მაინც გადავყლაპე! ეტყობა, ზღვის სიღრმეში წყალი ძალიან გრილია, რადგან მარგალიტები საკმაოდ ცივია. ლალი ფრთხილად იღებს ნიჟარებიდან მუხუდოსხელა მარგალიტებს. ვერ იტყვი, პატარებიაო, უფრო დიდი ეთქმის. მერე როგორ ბრწყინავენ! ბუნებას მათთვის ცვალებადი ტონები უბოძებია, რათა ძალიან შესამჩნევი არ იყოს. ლალი მათ სათითაოდ იღებს, ცოტა ხნით პირში იდებს და მერე მე მაძლევს. ყბის მოძრაობით მანიშნებს, გავღეჭო და ჩავყლაპო. როცა უარს ვაპირებ, ისე მომხიბლავად მეხვეწება, რომ ვუთმობ. მარგალიტებს კბილებით ვამტვრევ და ვყლაპავ. მიწაზე მაწვენს და ამოწმებს, გადაუყლაპავი ნატეხები ხომ არ ჩამრჩა კბილებში. მერე ინდიელებს დანარჩენი ნიჟარების გასახსნელად ვტოვებთ და მივდივართ.

უკვე ერთი თვეა, აქ ვარ. შეცდომა გამორიცხულია, რადგან ყოველ დღესა და რიცხვს ქაღალდზე ვინიშნავ. ნემსები და ჩინური მელანი უკვე ჩემთან არის. ბელადთან სამი „სილიგენის" სამართებელი ვნახე. იგი მათ არასდროს ხმარობს გასაპარსავად, იმიტომ, რომ ინდიელებს წვერი არ ამოსდით. ერთ-ერთი სამართებლით მხოლოდ თმებს იკრეჭენ. ტომის ბელადს, სატოს, მკლავზე სხვადასხვა ფერის ბუმბულებით თავშემკული ინდიელი დავახატე. სიხარულისაგან აღარ იცის, რა ქნას და მთხოვს, სანამ მკერდსაც არ მოვუხატავ, არავინ მოვასვირინგო. ჩემნაირი დიდებილებიანი ვეფხვის ტარება უნდა. ვშიშობ, ამგვარი ხახის დახატვის ნიჭი არ მექნება.

ლალიმ ტანზე ბალნები ამომიძირკვა. როგორც კი დაინახავს ამოსულ თმას, მაშინვე მაგლეჯს და დაფქულ, ნაცარში არეულ ზღვის ბალახებით მიზელს. მეჩვენება, რომ ბალანი უკვე ძნელად ამომდის.

ინდიელთა ამ ტომს გვახირა ჰქვია. მათი ტერიტორია ზღვის ნაპირიდან მთების ძირამდე მიდის. მთებში სხვა ტომები ცხოვრობენ – მოტინოლები. მრავალი წლის შემდეგ მათთან ურთიერთობა მექნება. როგორც უკვე ვთქვი, ცივილიზაციასთან გვახირას არაპირდაპირი კავშირი მხოლოდ გაცვლის საშუალებით აქვს. ისინი თეთრი ინდიელის დახმარებით აგზავნიან მარგალიტებსა და კუებს. აქაური კუ ას ორმოცდაათ კილომდე იქნება. ისინი არასოდეს იზრდებიან ამაზონსა თუ მარონიში მცხოვრები ცხოველების ზომამდე, რომლებიც ოთხას კილომდე იწონიან და სიგრძეში ზოგჯერ ორ, ხოლო სიგანეში – ერთ მეტრამდე აღწევენ. ზურგზე დაწვენილი კუ ვერასდროს გადატრიალდება. მინახავს, როგორ წაიყვანეს ცოცხალი, სამი კვირის განმავლობაში უჭმელ-უსმელი, ზურგზე დაწვენილი კუ. რაც შეეხება დიდ, მწვანე ხვლიკებს, მათ გემრიელი, თეთრი და ნაზი ხორცი აქვთ. ქვიშაში, მზეზე შემწვარი მათი კვერცხები გარეგნულად იწვევენ ზიზღს, თორემ საჭმელად არანაკლებ გემრიელია.

ყოველთვის, როცა ლალი ნიჟარებზე გადის, სახლში თავისი წილი მარგალიტები მოაქვს და მე მაძლევს. მათ დახარისხების გარეშე ვყრი ხის თასში, მხოლოდ რამდენიმეს, მათ შორის ორ ვარდისფერს, სამ შავსა და შვიდ რუხი ფერის ლამაზ მარგალიტს ასანთის კოლოფში ცალკე ვინახავ. გადანახული მაქვს აგრეთვე ერთი უფორმო, ჩვენებური ჭერმისხელა მარგალიტი, რომელსაც სამი ერთმანეთში გარდამავალი ფერი აქვს. ამინდის მიხედვით, ამ ფერებიდან ერთ-ერთი უფრო მკაფიოდ ჩანს ხოლმე: ხან შავია, ხან ვერცხლისფერი, ხან – ვარდისფერი.

მარგალიტებისა და რამდენიმე კუს გაყიდვით ტომი უზრუნველყოფილია. მათ ისეთი საგნები აქვთ, რომლებსაც არაფერში არ იყენებენ, მაშინ, როცა ბევრი

აუცილებელი ნივთი აკლიათ. მაგალითად, ერთი სარკეც ვერ მოვძებნე და იძულებული გავხდი, ქარიშხლისაგან გამორიყული ნავიდან ორმოციოდე სანტიმეტრის მონიკელებული მეტალი ამეგლიჯა, რათა გაპარსვის დროს მესარგებლა.

ახალი მეგობრების მიმართ ჩემი პოლიტიკა უბრალოა: არაფერს ვაკეთებ ისეთს, რაც ბელადისა და ერთი ბებერი ინდიელის ავტორიტეტს შელახავს. ის ბებერი ინდიელი ტერიტორიის სიღრმეში გველების, ორი თხისა და დუჟინი ცხვრების გარემოცვაში ცხოვრობს. იგი გვახიროს ტომის ქურუმია. ასეთი ქცევის წყალობით, ჩემი არც შურთ, არც ცუდი თვალით მიყურებენ და ორი თვის თავზე უკვე თავისიანივით მექცევიან. ქურუმს ოციოდე ქათამიც ჰყავს. ეტყობა, თხების, ცხვრებისა და ქათმების ყოლა ქურუმის პრივილეგიაა, რადგან მათ სხვაგან ვერ შეხვდებით. ყოველ დილით რომელიმე ინდიელ ქალს თავზე დადგმული კალათით მისთვის თევზი, ნიჟარები და ახალგამომცხვარი მჭადები მიაქვს. ხშირად არა, მაგრამ ზოგჯერ კვერცხებითა და მაწვნით ბრუნდებიან. როცა ქურუმს ჩემი ნახვა უნდა, სამ კვერცხსა და გაპრიალებულ ხის დანას მიგზავნის. ლალი ნახევარ გზაზე მომყვება, მერე უზარმაზარი კაქტუსების ჩრდილში მელოდება. პირველად რომ მივდიოდით, ლალიმ უხმოდ ჩამიდო დანა ხელში და მანიშნა, საით წვსულიყავი.

ქურუმი ხარის გადაჭიმული ტყავებისგან გაკეთებულ ქოხში, გულისამრევ ჭუჭყში ცხოვრობს. ქოხის შუაში მუდმივად ანთია ცეცხლი, რომელსაც ირგვლივ სამი ქვა უდევს. ჰამაკის ნაცვლად მიწიდან ერთ მეტრზე აწეულ, ხის ტოტებისაგან გაკეთებულ საწოლში სძინავს. ქოხის ფართობი ოცი კვადრატული მეტრი მაინც იქნება. კედლების მაგივრად ტოტები აქვს შემოწყობილი, საიდანაც ქარი გამუდმებით უბერავს. მკლავის სიმსხო ორი, გველის დანახვაზე, რომელთაგან ერთს შუბლზე V-ის მაგვარი ნიშანი ჰქონდა, გავიფიქრე: „ალბათ, რამდენ კვერცხსა და ქათამს ჭამენ!“ არ ვიცი, რანაირად, მაგრამ ქოხში ეტევიან თხებიც, ქათმებიც, ცხვრებიც და ვირიც. ქურუმი ყველა ნაკვთს მისინჯავს, მერე მხდის ლალის მიერ შორტებად გარდაქმნილ შარვალს და მთლად შიშველს კერიასთან, ერთ-ერთ ქვაზე მსვამს. მერე ცეცხლში რაღაც მწვანე ფოთლებს ყრის, რომლებიც ხრჩოლავენ და მენთოლის სუნს გამოსცემენ. ბოლი სულს მიხუთავს, ლამის დავიხრჩო, მაგრამ არ ვახველებ. ეს დაახლოებით ათ წუთს გრძელდება. ამის შემდეგ ჩემს შარვალს ცეცხლში წვავს და მის მაგივრად სქესის ორ საფარს მაძლევს, ისეთებს, როგორსაც ინდიელები ატარებენ: ერთი გველის ტყავისაა, მეორე – ცხვრის. ისინი ხელთათმანებივით რბილია. ამას გარდა, მკლავზე მიკეთებს გველის, თხისა და ცხვრის ტყავებისაგან დაწნულ, ათიოდე სანტიმეტრის სიგანის თასმას, რომლის მოჭერა და მოშვება შეიძლება.

ინდიელს მარცხენა კოჭთან ორფრანკიანის ზომის წყლული აქვს, რომელზეც ქინქლები ახვევია. დროდადრო ხელის ქნევით იშორებს, ხოლო როცა ძალიან შეაწუხებენ, ნაცარს იყრის. მიღება დამთავრებულია და ნასვლას ვაპირებ. მაშინ იმაზე უფრო პატარა დანას მაძლევს, ვიდრე გამომიგზავნა. მოგვიანებით ლალი ამიხსნის, რომ, თუ მისი ნახვა მომინდება, შემიძლია, ეს დანა გაუგზავნო და, თუ მიმიღებს, დიდი დანით შემატყობინებს. წამოსვლის წინ კარგად ვათვალიერებ ამ ბებერი ინდიელის დანაოჭებულ სახესა და კისერს; პირს, სადაც მხოლოდ ხუთი კბილიღა შემორჩენია – ორი მაღლა და სამი დაბლა; ნუშისებურ თვალებს ხორციანი ქუთუთოებით, რომლებიც დახუჭვისას ბურთებად იქცევიან; შავ, გაფშეკილ მხრებთან შე-

ჭრილ თმას და იმ ადგილას შეკვეცილ ქოჩორს, სადაც წარბები უნდა ჰქონდეს.

მოვდივარ და თავს უხერხულად ვგრძნობ შიშველი უკანალის გამო. ალბათ რა სასაცილოდ გმოვიყურები! რა ვქნა, მე ხომ გამოქცეული ვარ! ინდიელებთან ხუმრობა არ გამომადგება, ხოლო თავისუფლება მსხვერპლს მოითხოვს. ლალი მითვალიერებს სქესის საფარს და მარგალიტივით მშვენიერი კბილებით იცინის. სინჯავს სამკლაურს და მსუნავს, რათა დარწმუნდეს, რომ ბოლში გამოვლილი ვარ. ინდიელებს ყნოსვა ძალიან განვითარებული აქვთ.

თანდათან ვეჩვევი ამ ცხოვრებას და ვამჩნევ, რომ ჩემი აქ დიდხანს დარჩენა აღარ შეიძლება, რადგან მეშინია, დროის გასვლასთან ერთად, წასვლის სურვილიც არ გამიქრეს. ლალი გამუდმებით მითვალთვალებს. ალბათ, უნდა, უფრო აქტიურად ჩავება ტომის ცხოვრებაში. მან უკვე ნახა, რომ ნავის მართვა ოსტატურად შემიძლია და გვიან არ არის იმ დრომდე, როცა თავისთან ერთად ოკეანეში, იმ ინდიელის ნაცვლად გასვლას მომთხოვს. ამის დაშვება არ შეიძლება.

ლალი სოფლის გოგონებიდან ყველაზე საუკეთესო მყვინთავია და მის ნავს ყველაზე უფრო მსხვილი და ბევრი ნიჟარა მოაქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ წყალში ღრმად ჩადის. ისიც ვიცი, რომ ის ახალგაზრდა ინდიელი, რომელიც მის ნავს მართავს, ბელადის ძმაა და ლალისთან მე რომ დავიწყო მარგალიტებზე გასვლა, ეწყინება. ამის გაკეთება კი არ მინდა. როგორც კი ლალი ჩაფიქრებულს დამინახავს, მაშინვე დის მოსაყვანად გარბის. ისიც გახარებული მოჰყვება და ქოხში ჩემი კარიდან შემოდის. ამას, ალბათ დიდი მნიშვნელობა აქვს. ორივენი დიდ კარამდე ზღვის მხრიდან ერთად მოდიან, იქ იყრებიან და ლალი თავისი კარიდან შემოდის, ხოლო ზორაიმა (ასე ჰქვია პატარას) – ჩემი კარიდან. ზორაიმას მანდარინის ხელა ძუძუები და მოკლე თმა აქვს, რომელიც ნიკაპის დონეზე ოთხკუთხედად აქვს შეჭრილი და ქოჩორიც უფრო დაბლა, თითქმის ქუთუთოებამდე სწვდება. ყოველთვის, როცა კი ამგვარად, დისგან გამოძახებული მოდის, შემოსვლამდე ორივენი ბანაობენ, მერე სქესის საფარს იხსნიან და ჰამაკზე კიდებენ. პატარა ჩვენგან ყოველთვის ნაწყენი მიდის, რადგან არ ვეუფლები. ერთ დღეს, როცა ერთად ვიწექით, ლალი ადგა, მეორე მხარეს გადაწვა და ზორაიმას შიშველი სხეული ჩემთან ჩახუტებული დატოვა.

ლალის ამხანაგმა ინდიელმა მუხლი დაიჭრა. საკმაოდ ფართო და ღრმა ჭრილობა აქვს. მამაკაცებმა იგი ქურუმთან წაიყვანეს, საიდანაც თეთრი თიხის თაბაშირით დაბრუნდა. მოკლედ, ამ დილით ლალის მე მივყვები. წყალში შესვლამ, როგორც მაშინ, კარგად ჩაიარა. მე ზღვაში ჩვეულებრივზე შორს შევედი. ლალი სიხარულ ვერ მალავს, ნავში ჩემთან მარტოდ დარჩენის გამო. ჩასვლამდე მთელ ტანზე ზეთს ისვამს. შავ სიღრმეში წყალი ცივი უნდა იყოს. ჩვენგან ახლოს ზვიგენის სამი ფრთა ჩნდება. ლალის ვუჩვენებ, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევს.

დილის ათი საათია და მზე უკვე აცხუნებს. მარცხენა მკლავზე დახვეული ჩანთითა და ქამარზე ჩამოკიდებულ ქარქაშში ჩადებული დანით ისე ყვინთავს, რომ ნავიდან ბიძგს არ იღებს და გაუგონარი სისწრაფით უჩინარდება წყლის შავ სიღრმეში. პირველი ჩასვლა, ეტყობა, დაზვერვა იყო, რადგან ჩანთას ცოტა ნიჟარა ამოაქვს. თავში ერთი აზრი მომდის: ნავში ტყავის თასმების დიდი გორგალი გვაქვს; ჩანთას თასმებზე ორმაგ მარყუჟს ვამაგრებ და ისე ვატან. მიხვდა, რაც მინდოდა და დასასვენებლად ჩანთის გარეშე ამოდის. მანიშნებს, ამოვწიო. ვეწევი და ვგრძნობ, რომ რაღაცას გამოედო – ალბათ, მარჯანს. ყვინთავს და ათავისუ-

ფლებს. ჩანთა თითქმის სავსეა. ამ დილით, რვა ჩაყვინთვით, ნავი პირთამდე გავავსეთ. როცა საქმეს ვამთავრებთ და ლალი ნავში ამოდის, წყალი ნავის პირს უკვე ორი თითის დადებაზე სწვდება. ღუზის ამოღებას ვაპირებ, მაგრამ, იმის შიშით, რომ ასე დატვირთული ნავი არ ჩაიძიროს, თოკს ვხსნი და ნიჩაბს ვაბამ – აქ იტივტივებს, სანამ მეორედ მოვალთ. მშვიდობიანად გავდივართ ნაპირზე, სადაც ინდიელი ქალი ჩვეულ ადგილას გველოდება. ამდენი ნიჟარის დანახვით კმაყოფილია. ლალი უხსნის, როგორ გაუკეთე ორმაგი მარყუჟი ჩანთას, რამაც ჩასვლა-ამოსვლა გაუადვილა და თვითონაც ცდილობს თოკის ამგვარად შეკვრას. რამდენიმე ცდის შემდეგ ამას ახერხებს და სიამაყით მიყურებს.

ნიჟარების გახსნისას მოხუცი ქალი ცამეტ მარგალიტს პოულობს. ლალი საერთოდ არ ესწრება ხოლმე ნიჟარების გახსნას და თავის წილს ქოხში ელოდება, მაგრამ ახლა ბოლომდე რჩება. სულ ცოტა, სამ მეთორმეტედს ვყლაპავ, ლალი – ხუთს თუ ექვსს. მარგალიტები თითქმის ყველა ერთი ზომის – მუხუდოს მარცვლის ხელაა. ინდიელი ქალი მათ ანაწილებს: სამი ცალი – ბელადს, სამი – მე, ორი – თვითონ, ხუთი – ლალის. ლალი თავის წილიდან სამს მე მაძლევს. ვართმევ და დაჭრილ ინდიელს ვაწვდი. აღება არ უნდა, მაგრამ ძალით ვუშლი ხელს და შიგ ვუყრი. ამ სცენას მისი ცოლი და ქალიშვილი აქამდე შორიდან ჩუმად უყურებდნენ. ამის დანახვაზე სიცილი ატყდებათ და ახლოს მოდიან. მე დაჭრილის ქოხში გადაყვანაში ვეხმარები. ამგვარი სცენები დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში მეორდება. ჩემს წილს ყოველთვის დაჭრილს ვაძლევ. გუშინ იმ ექვსიდან, რომლებიც მე შემხვდა, ერთი ცალი დავიტოვე და სახლში მისულმა, ლალი ვაიძულე, შეეჭამა. სიხარულისაგან კინაღამ გაგიჟდა და მთელ დღეს მღეროდა.

დროდადრო თეთრი ინდიელის სანახავად მივდივარ. იგი მავალებს, ზორილიოს დავუძახო, რაც ესპანურად „პატარა მელას“ ნიშნავს. შემდეგ მაცნობებს, რომ ბელადს აინტერესებს, რატომ არ ვახატავ ვეფხვის თავს. ვუხსნი, რომ კარგი ხატვა არ ვიცი. ლექსიკონის დახმარებით ვთხოვ, ოთხკუთხედი, ჩემი მკერდის სიდიდის სარკე, გამჭვირვალე ქაღალდი, წმინდა ფუნჯი, ერთი ბოთლი მელანი, ასლის გადასაღები ქაღალდი და, თუ სხვას ვერ იშოვის, მსხვილი, ძალიან რბილი ფანქარი მომიტანოს. ამას გარდა, ვეუბნები, მიყიდოს ჩემი ზომის ტანსაცმელი და თავისთან შეინახოს. მატყობინებს, რომ პოლიციამ იგი ჩემსა და ანტონიოს შესახებ დაჰკითხა. მას უთქვამს, რომ მე მთების გადავლით ვენესუელაში წავედი, ხოლო ანტონიოს გველმა უკბინა და მოკვდა. ისიც გაიგო, რომ ფრანგები სანტა-მარტას ციხეში არიან.

ზორილიოს სახლში ისეთივე საოჯახო ნივთებია, რაც ბელადთან ვნახე: ინდიელთათვის ძვირფასი ნახატებით მოხატული, აყალო მიწისაგან ნაკეთები ქილები, ფორმითა და მოხატულობებით განსხვავებული კერამიკის ნივთები,სუფთა შალის მშვენიერი ჰამაკები: ზოგი მთლად თეთრი, ზოგიც ფერად-ფერადი და ფოჩებით შემკული; გველების, ხვლიკებისაც და უზარმაზარი გომბეშოების ტყავები; თეთრი და სხვადასხვა ფერის ლიანებისაგან დაწნული კალათები. ზორილიო მეუბნება, რომ ყველაფერი ეს ამ ტომის მონათესავე რასის ხალხის მიერ არის გაკეთებული. ისინი აქედან ოცდახუთი დღის სავალზე, ტევრის სიღრმეში ცხოვრობენ. სწორედ იქიდან მოაქვთ კოკას ფოთლები. ზორილიო ახლაც ოციოდეს მაძლევს და მეუბნება, მოწყენილობის დროს დავღეჭო. წამოსვლისას ზორილიოს კიდევ ერთხელ

ვთხოვ, მომიტანოს, რაც ვუთხარი და ამას დაუმატოს რამდენიმე ესპანური ჟურნალ-გაზეთი. ჩემი ლექსიკონის დახმარებით ამ ორ თვეში ბევრი სიტყვა ვისწავლე. ანტონიოზე არაფერი გაუგია, მხოლოდ ის იცის, რომ სანაპიროს დაცვასა და კონტრაბანდისტებს შორის დიდი შეჯახება მოხდა და დაცვის ხუთი წევრი და ერთი კონტრაბანდისტი დაიღუპა. კონტრაბანდისტების ნავი ვერ დააკავეს. ხილის ნაყენის გარდა სოფელში ერთი წვეთი ალკოჰოლი არ შემხვედრია. ზორილიოსთან ერთ ბოთლ ანისს ვამჩნევ და ვთხოვ, მომცეს. უარზეა. შემიძლია, აქვე დავლიო, მაგრამ არ გამატანს. ეს ალბინოსი ბრძენია!

ზორილიოსგან მოვდივარ ნათხოვარი ვირით, რომელიც ხვალ თავისი ფეხით მარტო დაუბრუნდება. თან მხოლოდ ფერად ქაღალდებში გახვეული მსხვილი კანფეტები და სამოცი კოლოფი სიგარეტი მომაქვს. ლალი ჩვენი სოფლიდან სამ კილომეტრში, დასთან ერთად მელოდება. ამჯერად სცენებს არ მიწყობს და მთანხმდება, ჩემ გვერდით, ხელგადახვეულმა იაროს. დროდადრო ჩერდება და ცივილიზებულად, ტუჩებში მკოცნის. მისვლისას ბელადთან შევდივარ და კანფეტებსა და სიგარეტებს ვთავაზობ. ოკეანის მხარეს, ქოხის წინ ვსხდებით და თიხის ქვევრებში გრილად შენახულ ნაყენს ვსვამთ. ლალი და ზორაიმა აქეთ-იქეთ მისხედან და ხელები ჩემს თეძოებზე უწყვიათ, თან კანფეტებს წუწნიან. ტკბილეული წინ გაშლილი ფუთით გვიდევს. ქალები და ბავშვები მორიდებით მოდიან და იღებენ. ბელადი ზორაიმას თავს ჩემი თავისკენ სწევს და მახვედრებს, რომ მისი სურვილია, ისიც ლალივით ჩემი ცოლი გახდეს. ლალი თავის ძუძუებს ხელებში იქცევს და ბელადს აჩვენებს, რომ მე ზორაიმას პატარა მკერდის გამო ვარ უარზე. მხრებს ვიჩეჩავ, რაზეც ყველას ეცინება. ზორაიმა ძალიან უბედურია. ამის შემხედვარე, ხელში ვიყვან და მკერდზე ვკოცნი. ბედნიერებისაგან აღარ იცის, რა ქნას. რამდენიმე სიგარეტს ვეწევი. ინდიელებიც უსინჯავენ გემოს, მაგრამ მალე აგდებენ, თავის სიგარებს უბრუნდებიან და უკუღმა ექაჩებიან. ვემშვიდობებით ყველას და გამოვდივართ. ლალი და ზორაიმა უკან, რიგში მომყვებიან. სახლში ორ კილოგრამამდე ლანგუსტებს ცეცხლზე ვწვავთ და სიამოვნებით მივირთმევთ. მათ ნაზ ხორცს.

მივიღე სარკე, თხელი და ასლის გადასაღები ქაღალდები, რამდენიმე მსხვილი, ნახევრად რბილი ფანქარი, სამელნე, ფუნჯი და აგრეთვე ერთი ტუბი წებო, რომელიც არ მომითხოვია, მაგრამ, ალბათ, გამომადგება. სარკეს ძაფით ისე ვკიდებ, რომ დამჯდარს მკერდი მიჩანს. ჩემი ვეფხვის თავის დეტალები მკაფიოდ ჩანს. ლალი და ზორაიმა ცნობისმოყვარეობით მიყურებენ. ფუნჯით ნახატის კონტურებს მივყვები და, რაკი მელანი იღვენთება, მასში წებოს ვურევ. ამ წუთიდან ყველაფერი კარგად მიდის. ერთ საათში, სამი ცდის შემდეგ, სარკეზე ვეფხვის თავის ასლის მიღებას ვახერხებ.

ლალი ბელადის მოსაყვანად მიდის. ზორაიმა ჩემს ხელს იღებს და ძუძუებზე იდებს. ისეთი უბედური გამომეტყველება აქვს, თვალები ისე ავსებია სურვილითა და სიყვარულით, ისე, რომ არც კი ვიცი, რას ვაკეთებ და იქვე, მიწაზე, ქოხის შუაგულში ვეუფლები. ერთი დაიკვნესა, მაგრამ მისი სურვილისაგან დაძაბული სხეული ტანზე შამომეკრა და გაშვება აღარ უნდა. ფრთხილად ვიშორებ და ზღვაში საბანაოდ გავდივარ, რადგანაც მიწაში ვარ ამოგანგლული. ზორაიმა უკან მომყვება და ერთად ვბანაობთ. ჯერ მე ვუხეხავ ზურგს, მერე ის მბანს ფეხებსა და მკლავებს და ქოხში ვბრუნდებით. ლალი იმ ადგილას ზის, სადაც ჩვენ ვიწექით. ჩვენი დანა-

ხვისთანავე ხვდება, რაც მოხდა. დგება, კისერზე მეხვევა და ნაზად მკოცნის. მერე დას ხელს კიდებს, ჩემი კარიდან გაჰყავს, ბრუნდება და თავისი კარიდან გადის. გარედან დარტყმის ხმები მესმის. გავდივარ და ვხედავ, რომ ლალი, ზორაიმა და რამდენიმე ინდიელი ქალი კედლის გახვრეტას ცდილობენ. ვხვდები, მათ მეოთხე კარის გაკეთება უნდათ. კედელი რომ ბზარების გარეშე გაიხვრიტოს, სარწყულით წყალს ასხამენ. ცოტა ხანში კარი მზადაა. ზორაიმა ნამტვრევებს გარეთ ყრის. ამის შემდეგ იგი მხოლოდ ამ ნახვრეტიდან გავა და შემოვა, ჩემი კარით აღარასოდეს ისარგებლებს.

ბელადი ძმისა და სამი ინდიელის თანხლებით მოდის. ძმას ფეხი თითქმის მოურჩა. სარკეში ვეფხვის თავსა და საკუთარ გამოსახულებას უყურებს და აღფრთოვანებულია, ასეთ მკაფიო ნახატს რომ ხედავს თავის ტანზე. ვერ ხვდება, რის გაკეთებას ვაპირებ. რაკი ყველაფერი უკვე მშრალია, სარკეს მაგიდაზე ვდებ და გამჭვირვალე ქაღალდის მეშვეობით ასლის გადაღებას ვიწყებ. ეს ადვილი საქმეა – ნახევრად რბილი ფანქარი ერთგულად მიჰყვება კონტურებს და ნახევარ საათზე ნაკლებში, ცნობისმოყვარე თვალების წინ ისეთსავე მშვენიერ სურათს ვიღებ, როგორიც ორიგინალია. ინდიელები სათითაოდ, ერთი-მეორის მიყოლებით იღებენ ქაღალდს და ათვალიერებენ, თან ჩემი მკერდისა და ქაღალდის ვეფხვს ერთმანეთს ადარებენ.

ლალის მაგიდაზე ვაწვენ და სველი ჩვრით მსუბუქად ვასველებ. მუცელზე მას ასლის გადასაღებ ქაღალდს ვადებ, ხოლო ზემოდან იმ ფურცელს, რომელზეც ესესაა, ვეფხვი დავხატე და რამდენიმე ხაზს ვაკეთებ. დამსწრეთა აღფრთოვანება პიკს მაშინ აღწევს, როცა ქაღალდს ვაცლი და ლალის მუცელზე ნახატის ნაწილს ხედავენ. მხოლოდ მაშინ ხვდება ბელადი, რომ ის, რასაც ვცდილობ, გავაკეთო, მისთვისაა.

პრიმიტიული არსებანი, ვისთვისაც ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი ფარისევლობა უცხოა, საგნებსა და მოვლენებს ბუნებრივად აღიქვამენ – ისეთად, როგორებიც ისინი სინამდვილეში. თავის გრძნობებს – კმაყოფილებასა თუ უკმაყოფილებას, სიხარულსა თუ ნაღველს, ინტერესსა თუ გულგრილობას ისინი მაშინვე, მოვლენების თუ საგნების ხედვისთანავე გამოხატავენ. ამ ინდიელების სულის ამაღლებულობა შთამბეჭდავია. ისინი ყველაფერში ჩვენზე წინ არიან. თუ ვინმეს გულით მიიღებენ, ყველაფერს აძლევენ და უთმობენ, რაც მოესურვება, სამაგიეროდ კი უბრალო ყურადღების გამოჩენით კმაყოფილდებიან.

ვფიქრობ, პირველ სეანსზე საერთო კონტურები სამართებლით გავაკეთო. მერე ამოვჩხვლეტ. – ამას ხვალიდან შეუდგები.

ზატო ქვიშაზე წევს და თვალსაც არ ახამხამებს, იმდენად ფრთხილობს, არ გააფუჭოს ის ნახატი, რომელიც სარკეში ნახა. ნახატის მაგარი ფანქრით თხელი ქაღალდიდან უფრო სქელზე გადატანის შემდეგ, მკერდი თეთრი თიხის ხსნარით დავუფარე და გაშრობა ვაცალე. ახლა სამართებლით ნახატის კონტურები გამოვყავს. აქა-იქ ამოჟონილ სისხლს ჩვრით ვწმენდ. მკერდი წითელი ხაზებით დაეფარა. ლურჯი, ჩინური მელნით ვბან. იქ, სადაც ჭრილობა უფრო ღრმაა, სისხლი მელანს აგდებს, მაგრამ საერთო სურათი დიდებულია. რვა დღის შემდეგ ზატოს მკერდზე უკვე ვეფხვის ხახა ახატია თავისი წითელი ენით, თეთრი კბილებით, ცხვირით, შავი ულვაშებითა და შავი თვალებით. ნახელავით კმაყოფილი ვარ: ჩე-

მსას სჯობია – უფრო ცოცხალი ტონები აქვს. როცა ნაწიბურები გასწორდება, ზოგიერთ ადგილს ნემსით ამრვჩხვლეტ. ზატო ისეთი კმაყოფილია, რომ ზორილიოს ექვსი სარკის მოტანა სთხოვა, ყოველი ქოხისათვის – თითო, ხოლო თავისთვის – ორი ცალი.

დღეები ერთმანეთს მისდევენ. უკვე აპრილია. ოთხი თვე გავიდა, რაც აქ ვარ. ჯანმრთელობას არ ვუჩივი. სვლიკებზე ნადირობისას ჩემი სიშიშვლეს შეგუებული ფეხები დაღლილობას არ გრძნობენ. დამავიწყდა, მეთქვა: ქურუმთან ჩემი პირველი ვიზიტის შემდეგ ზორილიოს ვთხოვე ზეჟანგის ხსნარი, იოდი, ბამბა, სახვევები, ქინაქინის ტაბლეტები და სტოვარსოლი მოეტანა. ჰოსპიტალში ყოფნისას ერთ კატორღელს ზუსტად ისეთი წყლული ჰქონდა, როგორიც ქურუმს აქვს და სანიტარი სტოვარსოლის დაფხვნილ აბებს ადებდა. ზორილიომ ყველაფერი ეს მომიტანა და თავისი ინიციატივით მალამოც მოაყოლა. ქურუმმა პატარა დანაზე დიდი დანით მიპასუხა. დიდხანს ვაჯერებდი, მკურნალობის უფლება მოეცა. რამდენიმე მისვლის შემდეგ წყლულის ზომა განახევრდა და მერე მარტომ განაგრძო მკურნალობა. დღეს დიდ დანას მიგზავნის და, როცა მივდივარ, სრულიად განკურნებული მხვდება. არასდროს არავის გაუგია, რომ მე განვკურნე.

ჩემი ცოლები არსად არ მიშვებენ. როცა ლალი ზღვაშია გასული, ზორაიმა გვერდიდან არ მშორდება და პირიქით.

ზატოს ბიჭი შეეძინა. მისი ცოლი, როცა ტკივილები დაეწყო, სანაპიროზე გავიდა და ერთ კლდეს მოეფარა. ზატოს მეორე ცოლს მასთან დიდი კალათით ორცხობილები, დასალევი წყალი და პაპელონი – დაურაფინირებელი შაქარი მიჰქონდა.

ქალმა ეტყობა ნაშუადღევის ოთხი საათისთვის იმშობიარა, რადგან მზის ჩასვლისას იგი უკვე ყვირილით მოდის სოფლისკენ და თავს ზემოთ აწეული ბავშვი უჭირავს. ჩანს, ზატომ უკვე იცის, რომ ბიჭია. მგონია, ვხვდები: გოგო რომ გაჩენილიყო, ბავშვს მხიარული კივილით მაღლა კი არ ასწევდა, არამედ დაბლა დაშვებული ხელებით ჩუმად დაბრუნდებოდა. ლალი ამას მიმიკებით მიხსნის. ინდიელი ქალი მოდის, ბავშვს ისევ მაღლა სწევს და ჩერდება. ზატო ხელებს წინ იწვდის, ყვირის, მაგრამ ადგილიდან არ იძვრის. მერე ცოლი ისევ რამდენიმე მეტრით უახლოვდება, ბავშვს კვლავ მაღლა სწევს და ჩერდება. ეს სცენა უკანასკნელ ორმოციოდე მეტრში ხუთჯერ თუ ექვსჯერ მეორდება. ზატო ქოხის წინ ინდიელებს შორის გაუნძრევლად დგას. ცოლი მისგან ხუთ ნაბიჯში ჩერდება და კვლავ ყვირის. ზატო მხოლოდ მაშინ გამოდის წინ, ბავშვს იღლიებით იყვანს, აღმოსავლეთისაკენ მიბრუნებული, სამჯერ მაღლა სწევს და სამჯერ ყვირის. მერე შვილს მარჯვენა ხელით მკერდზე გარდიგარდმო იწვენს, თავს იღლიაში იდებს, მარცხენა ხელს აფარებს და ქოხში უკან-უკან შედის. ყველა მიჰყვება. ბავშვის დედა ბოლოს შედის. იმ დღეს, რაც კი ღვინის მაგვარი ხსნარი გააჩნდათ, სულ დაილია.

მთელი კვირის განმავლობაში კაცები და ქალები დილა-საღამოს ზატოს ეზოს რწყავენ და ფეხებით ტკეპნიან. ცოტა ხანში წითელი მიწის წრე კეთდება. ჭიმავენ ხარის ტყავების კარვებს და ოცამდე უზარმაზარ, გამომწვარი თიხის ქოთანს თავისი საყვარელი სასმელით ავსებენ. მოედნის შუაში, ქვების ირგვლივ, ნელ-ნელა იზრდება შეშის გროვა.

ეს შეშა ტალღებმა სხვადასხვა დროს გამორიყა. ზოგი თეთრია და პრიალა, ზოგიც – ძალიან მსხვილი. ვინ იცის, საიდან მოიტანა ისინი ზღვამ. არჭობენ

თანაბარი ზომის ორ ბოძს უზარმაზარი შამფურისათვის. ორი გადაბრუნებული კუ, ოცდაათი ბრჭყალებგადახლართული ხელიკი – რომ არ გაიქცნენ – და ორი ცხვარი „ელოდება“, როდის შეწირავენ და შეჭამენ.

ერთ დილას თხუთმეტიოდე ინდიელი მხედარი მოდის. ყელსაბამები ჰკიდიათ და დიდი ჩალის ქუდები ახურავთ. აცვიათ ცხვრის გადმობრუნებული ტყავის უსახელო ჯუბები და სქესის საფარი. ქამარზე ყველას უზარმაზარი სატევარი აქვს დაკიდებული; ორს – სანადირო ორლულიანი თოფი, ხოლო მეთაურს – ავტომატური კარაბინი აქვს. ამ უკანასკნელს მშვენიერი, გრძელსახელოებიანი კურტაკი აცვია და წელზე ტყვიებით სავსე სამასრე შემოურტყამს. შესანიშნავი, დაწინწკლული, პატარა, მაგრამ ძალიან ნერვიულ ცხენებზე სხედან. უკან, გავაზე, ხმელი ბალახის კონები უდევთ. თოფის სროლით ძალიან შორიდან გვაცნობეს თავისი გამოჩენა, მაგრამ, რაკი ჭენებით მოდიოდნენ, სწრაფად აღმოჩნდნენ ჩვენ გვერდით. მეთაური ცოტა ასკოვანი კი არის, მაგრამ რაღაცნაირადა ზატოსა და მის ძმას ჰგავს. წმინდა სისხლის ცხენიდან ჩამოხტომის შემდეგ ზატოსთან მიდის და ერთმანეთს მხარზე ხელს ურტყამენ. იგი მარტო შედის ქოხში და უკან ბავშვით ხელში გამოდის. უკან ინდიელი მოჰყვება, რომელიც იმავე ცერემონიას იმეორებს, რაც ზატომ გააკეთა და უკან-უკან შედის ქოხში. მხოლოდ ამის შემდეგ ადგამენ მიწას ფეხს დანარჩენი მხედრები, ცხენებს ადუშაყებენ, კისერზე თივას ჰკიდებენ და შორიახლო უშვებენ. შუადღისთვის მოდის ინდიელი ქალებით სავსე უზარმაზარი, ოთხცხენშებმული ურემი. მეურმე ზორილიოა. ურემში ოცამდე ახალგაზრდა ინდიელი ქალი და შვიდი თუ რვა ბიჭუნა ზის.

ზორილიოს მოსვლამდე, მეთაურიდან დაწყებული, ყველა ახალმოსულთან წარმადგინეს. ზატო მიჩვენებს და მიხსნის, რომ თვითონ, მის ძმასა და ახალმოსულთა შეფს, ერთნაირად გადახლართული ფეხის ნეკა თითები და მხრებზე სამი ერთნაირი ხალი აქვთ. ზატოს სვირინგით ყველა აღფრთოვანებულია, განსაკუთრებით ვეფხვის ხახა მოსწონთ. თითოეულ ახალმოსულ ინდიელ ქალს სახე და სხეული სხვადასხვა ფერის ნახატებით აქვთ დაფარული. ლალი კისერზე ზოგს მარგალიტის ნატეხების კოლიეს ჰკიდებს, ზოგს – ნიჟარებისას. მათ შორის ერთ მშვენიერ, სხვებზე უფრო მაღალ ინდიელ ქალს ვამჩნევ. მას იტალიელის პროფილი აქვს, იტყვი – კამეაო. შავ-იისფერი თმა, დიდი მწვანე თვალები, გრძელი ნამწამები და მორკალური წარბები ამშვენებს. ინდიელთა ყაიდაზე შეკრეჭილ, ორად გაყოფილ თმას ატარებს. ძირში შეტყუპებული ძუძუები ჰარმონიულად ეშლება.

ლალი მას მაცნობს და ჩვენს ქოხში მოჰყავს ერთ ინდიელ ქალთან ერთად, რომელსაც თასები და ფუნჯები მოაქვს. მოსულებმა ჩვენი სოფლის ქალები უნდა მოხატონ. შევდივარ და ვუყურებ, თუ რას ხატავს ის მშვენიერი ქალი ლალისა და ზორაიმას სხეულზე. მათი ფუნჯები ხის ნაფოტზე დამაგრებული შალის ნაჭრებია. ამის დანახვაზე ვიღებ ჩემს ფუნჯს და ლალის მუცელზე ხე გამომყავს, რომლის ორი ტოტი ძუძუების ძირამდე მიდის. მერე ვხატავ ვარდის ფურცლებს და ძუძუს თავებს ვუყვითლებ. – იფიქრებ, ნახევრად გაშლილი ყვავილია თავისი კოკორითო. დანარჩენებსაც უნდათ, ამგვარად მოვასვირინგო. ზორილიოს შევეკითხები. იგი მოდის და მეუბნება, შეგიძლია, ისინიც მოხატო, თუ კი თანახმა იქნებიანო. რა არ გამაკეთებინეს: ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში ყველა სტუმარი ინდიელი ქალისა და მასპინძელი ქალების ძუძუები ვაფერადე. ზორაიმაც ზუსტად ისეთივე

ნახატს თხოულობს, როგორიც ლალის აქვს. ამ ხნის განმავლობაში ინდიელებმა ცხვრები შამფურზე შეწვეს, რამდენიმე კუ კი – ნაკვერცხლებზე. მათი ხორცი გემოთი ხარისას ჰგავს.

მე კარავში ზატოსა და მისი მამის წინ ვზივარ. კაცები ერთ მხარეს სხედან, ქალები – მეორე მხარეს, იმათ გარდა, ვინც გვემსახურება. ზეიმი ძალიან გვიან, უცნაური ცეკვით მთავრდება. ცეკვას აკომპანიმენტს ცხვრის ტყავის ტამბური და მჭახეხმიანი სტვირი უწევს. ინდიელთა უმეტესობა, ქალიც და კაციც, მთვრალია, მაგრამ არავითარი ინციდენტს ადგილი არ აქვს. ქურუმი ვირით არის მოსული. მის წყლულს ყველა იცნობდა და ახლა დახურულ, წვრილ ნაკაწრს უთვალიერებენ. მხოლოდ მე და ზორილიომ ვიცით, რაშია საქმე. ზორილიო მიხსნის, რომ მოსულების ბელადი ზატოს მამაა და ხუსტო ჰქვია, რაც, სამართლიანს, ნიშნავს. იგი გვახირას ტომების საქმეებს იხილავს. თუ კონფლიქტი სხვა რასის ტომთან წარმოიშვება, მაგალითად ლაპასთან, იგი ხალხს კრებს და წყვეტს, ომი წამოიწყონ თუ მეგობრულად მოაგვარონ საქმე. როცა რომელიმე ინდიელს სხვა ტომის ინდიელი კლავს, ხშირად თანხმდებიან, რომ მკვლელმა საზღაური გადაიხადოს, რაც ზოგჯერ ორას ხარს აღწევს. მთის ძირას და მთებში მცხოვრებ ინდიელებს აურაცხელი საქონელი ჰყავთ, მაგრამ, რაკი არასდროს არ ცრიან, მაგალითად, თურქულის საწინააღმდეგოდ, ეპიდემია ოთხფეხის დიდ რაოდენობას ანადგურებს. ზორილიოს თქმით, ეს, ერთი მხრივ, კარგია, რადგანაც ამ ავადმყოფობის გარეშე საქონელი ზედმეტად გამრავლდება. მათი პირუტყვი ოფიციალურად ვერ გაიყიდება კოლუმბიაში ან ვენესუელაში და ეპიდემიის გავრცელების შიშით, ინდიელთა ტერიტორიას ვერ გასცილდება, მაგრამ მთების გადავლით საქონლის გახურებული კონტრაბანდაა.

ხუსტო ზორილიოს პირით მეუბნება, მას სოფელში ვესტუმრო, სადაც, როგორც ჩანს, ასამდე კომლი ცხოვრობს. იგი ლალისა და ზორაიმასთან ერთად მეპატიჟება და მეუბნება, არაფერი წავიღო თან, რადგან იმ ქოხში, რომელსაც იქ დამითმობს, ყველა საჭირო ნივთი იქნება. მხოლოდ მოსვირინგებისთვის საჭირო საგნები უნდა ვიქონიო, რომ ვეფხვის ხახა დავახატო. იგი თავის ძლიერების დამადასტურებელ ტყავის სამჯურს იხსნის და მაძლევს. ზორილიოს თქმით, ეს მეტად მნიშვნელოვანი ადათია და ნიშნავს, რომ ამიერიდან იგი ჩემი მეგობარია და, ჩემს ნებისმიერ სურვილზე უარს ვერ მეტყვის. მეკითხება, ცხენი ხომ არ დაგჭირდებაო. ვეუბნები, რომ კარგი იქნება, მაგრამ ვერ მივიღებ, რადგან აქ ბალახი თითქმის არ არის. მპასუხობს, რომ ცხენით ნახევარი დღის სავალზე საკმარისი ბალახია და როცა საჭირო იქნება, მოიტანენ. ცხენის წინადადებას ვთანხმდები. მალე გამომიგზავნის.

ზორილიოსთან ამ ხანგრძლივი შეხვედრით ვსარგებლობ და ვეუბნები, რომ ვენდობი, ვიცი, არ გამთქვამს და ვუმხელ ჩემს განზრახვას ვენესუელაში ან კოლუმბიაში გადასვლის შესახებ. იგი მიყვება იმ საშიშროებაზე, რაც საზღვრის იქით, პირველი ოცდაათი კილომეტრის მანძილზე შეიძლება შემხვდეს. კონტრაბანდისტებს თუ ვენდობით, ვენესუელისაკენ წასვლას კოლუმბიისაკენ წასვლა ჯობია, რადგანაც იქეთ ნაკლებ სახიფათოა. ამას გარდა, მას შეუძლია, კოლუბიისკენ სანტა-მარტამდე გამომყვეს იმ გზით, რომელიც მე უკვე გამოვიარე. იგი მირჩევს, ეპანური ენის სახელმძღვანელო ვიყიდო და სტანდარტული ფრაზები შევისწავლო. მისი აზრით, უკეთესი იქნება, თუ ენის კიდებით ვილაპარაკებ. ამგვარად, მოთმინე-

ბიდან გამოსული მოსაუბრე თვითონ დაამთავრებს ფრაზას და აქცენტსა და წარმოთქმაზე ყურადღებას არ გაამახვილებს. ასეც ვიზამ. იგი მპირდება წიგნისა და რაც შეიძლება ზუსტი რუკის მოტანას, აგრეთვე ჩემი მარგალიტების კოლუმბიურ ფულზე გადაცვლას.

ზორილიოს აზრით, ინდიელები, ბელადის ჩათვლით, ჩემს გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერენ, რადგან მე ასე მსურს. დაეწანებათ ჩემი გაშვება, მაგრამ გამიგებენ, რაკი ჩემიანებთან დაბრუნება მინდა. ყველაზე ძნელი ზორაიმასა და, განსაკუთრებით – ლალის დარწმუნება იქნება. ორივეს, მაგრამ განსაკუთრებით ლალის, შეუძლიათ, თოფით მომკლან. ამასთან, ზორილიოსგან იმასაც ვიგებ, რომ ზორაიმა ფეხმძიმედაა, რაც აქამდე არ ვიცოდი. არ ემჩნევა და გაკვირვებული ვარ.

ზეიმი დამთავრდა, ყველა წავიდა, ტყავის კარავი დაშალეს და ცხოვრება ძველ კალაპოტში დგება, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად. მშვენიერი, ნაცრისფერხალებიანი ცხენი მომიყვანეს. ძუა მიწამდე წვდება და პლატინისფერი ფაფარი აქვს. ჩემს ცოლებს უკმაყოფილება ეტყობათ და ქურუმმა გამომიძახა, რათა შეეტყობინებინა, რომ ლალიმ და ზორაიმამ ჰკითხეს, შეიძლებოდა თუ არა, ცხენისთვის დაფქული შუშა ეჭმიათ და მოეკლათ. მას უპასუხია, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგან მე რომელილაც წმინდანი ინდიელი მიფარავდა და ბოროტება მათ მუცლებს დაუბრუნდებოდა. ქურუმი ამატებს, რომ მთლად დარწმუნებული არ არის, დააჯერა თუ არა. შეიძლება, საშიშროებამ გაიარა, მაგრამ, მაინც ფხიზლად უნდა ვიყო.

– მე? – ვეკითხები.

მპასუხობს, რომ თუ ისინი შეამჩნევენ წასასვლელად ჩემს სერიოზულ მზადებას, ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეუძლიათ, ეს თოფით მოკვლაა. განსაკუთრებით ეს ლალისგანაა მოსალოდნელი.

– რომ დავპირდე, დავბრუნდები მეთქი?

– არა, არაითარ შემთხვევაში არ გააგებინო, რომ წასვლას აპირებ, – მპასუხობს ის.

ქურუმმა ჩემთვის ამის თქმა ზორილიოს დახმარებით შეძლო, რომელიც მაშინვე გამოიძახა.

– საქმე ძალიან სერიოზულია და აუცილებელია სიფრთხილის ზომების მიღება, – ამიხსნა მან.

ზორილიო ქურუმთან სხვა გზით მოვიდა და წავიდა, ამდენად, არავინ იცის, რომ ქურუმმა ერთდროულად გამოგვიძახა.

უკვე ექვსი თვე გავიდა და წასვლას ვჩქარობ. ერთ დღეს სახლში ვბრუნდები და ლალისა და ზორაიმას რუკაზე დახრილებს ვხედავ. ვერ გაუგიათ, რა არის, განსაკუთრებით აინტერესებთ რუკაზე დახატული სხვადასხვა მიმართულების ისრები. ეტყობა, გრძნობენ, რომ ამ ქაღალდში არის რაღაც მნიშვნელოვანი, რაც ჩვენს ცხოვრებას ეხება.

ზორაიმას მუცელი გაბერვას იწყებს. ლალის, ეტყობა, შურს და, როგორც კი ხელსაყრელ დროს იხელთებს, სადაც უნდა იყოს, დღე იქნება თუ ღამე, მაიძულებს, დავეუფლო. ზორაიმასაც უნდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მხოლოდ ღამით. ზატოს მამასთან – ხუსტოსთან წავედი. ლალი და ზორაიმა წამომყვნენ. იმ ნახაზების დახმარებით, რომლებიც, საბედნიეროდ, შემოვინახე, მკერდზე ვეფხვის ხახა დავა-

ხატე. მოსვირინგება ექვს დღეში დავამთავრე, რადგან ნაწიბური სწრაფად გასწორდა: წყალში ჩაუმქრალი კირი გახსნა და იმით იბანდა – ამან დააჩქარა. ხუსტო ისეთი კმაყოფილია, რომ სარკეში დღეში რამდენჯერმე იყურება. ჩემი იქ ყოფნის დროს ზორილიოც მოვიდა. იგი ხუსტოს ჩემი გეგმების შესახებ ელაპარაკა. ეს ჩემი თანხმობით მოხდა, რადგან მინდა, რომ მან ცხენი შეიცვალოს. გვახირას რუხი, დაწინწკლული ცხენები კოლუმბიაში არ არის. ხუსტოს სამი მწითური, კოლუმბიური ბედაურიც ჰყავს. როგორც კი იგი ჩემს გეგმებს იგებს, ცხენების მოსაყვანად კაცს აგზავნის. მათგან ერთ-ერთს ვირჩევ, რომელიც უფრო თვინიერი მეჩვენება. იგი აკაზმ-ინებს, მე კოლუმბიურად მმოსავს და ხელში სადავეებს მიდებს. მერე, ჩემ თვალწინ, ზორილიოს ოცდაცხრამეტ ოქროს მონეტას – თითოეულს ასი პესოს ღირებულებისას, – უთვლის. ზორილიომ ისინი უნდა შეინახოს და წასვლისას გადმომცეს. ვინჩესტერის ავტომატური კარაბინის მოცემასაც აპირებს, მაგრამ მე უარზე ვარ და ზორილიოც ამბობს, რომ კოლუმბიაში შეიარაღებული ვერ შევალ. მაშინ ხუსტო შალში გახვეულ და პატარა ტყავის ბუდეში ჩაწყობილ ორ თითის სიგრძე ისარს მაძლევს. ზორილიო მეუბნება, რომ ეს ისრები ძალიან იშვიათი და ძლიერი შხამით არის მოწამლული. მას აქამდე არასოდეს ჰქონია და არც უნახავს მოწამლული ისრები. ისინიც ჩემს წასვლამდე უნდა შეინახოს. არ ვიცი, როგორ გადავუხადო ხუსტოს ამდენი სიკეთე. ის მეუბნება, რომ ზორილიოსაგან იცის ჩემი ისტორია და, რაკი პატარა აღარ ვარ, აქ მოსვლამდე, ალბათ, საინტერესო ცხოვრება მქონდა. მან ცხოვრებაში პირველად ნახა თეთრი ადამიანი. აქამდე ისინი ყველა მტრად მიაჩნდა, ახლა კი აზრი შეიცვალა და შეეცდება, ჩემნაირი კიდევ სხვა ვინმე გაიცნოს.

– კარგად დაფიქრდი, სანამ იმ მიწისაკენ გაეშურებოდე, სადაც მტერი გყავს, რადგან ბევრი აქ, ამ მინაზე, მხოლოდ შენი მეგობრები ცხოვრობენ.

მეუბნება, რომ ზატო და თვითონ მიხედავენ ლალისა და ზორაიმას, რომ ზორაიმას ბიჭს – რა თქმა უნდა, ბიჭი იქნება – ყოველთვის ღირსეული ადგილი ეჭირება ტომის ცხოვრებაში.

– არ მინდა, რომ ნახვიდე. დარჩი და იმ მშვენიერ ინდიელს შეგრთავ, რომელიც ნადიმზე გაიცანი. იგი ქალწულია და უყვარხარ. შეგიძლია, აქ, ჩემთან დარჩე, დიდი ქოხი გექნება და უამრავი საქონელი გეყოლება. თუ მოისურვებ, ასე იქნება.

ვტოვებ ამ დიდებულ ადამიანს და ჩემს სოფელში ვბრუნდები. მთელი გზა ისე გავიარეთ ლალის ხმა არ ამოუღია. იგი მწითურ ცხენზე უკან მიზის, საჯდომი სტკივა, მაგრამ ხმას არ იღებს. ზორაიმა ერთ ინდიელს უზის უკან. ზორილიო თავის სოფელში სხვა გზით ნავიდა. ხუსტოს ნაჩუქარი ცხვრის ტყავის კურტაკი ლალის ისე ჩავაცვი, რომ სიტყვა არ დაუძრავს – უბრალოდ, ნება მომცა, ჩამეცმია, არავითარი გრძნობა არ გამოუხატავს. გაჭენებულ ცხენზე ერთხელაც არ შემოუხვევია წელზე ხელი. სოფელში მისვლისას ზატოს სანახავად მივდივარ. ლალი ცხენს აღკაზმულობის მოუხდელად აბამს ქოხზე და ბალახს უყრის. ზატოსთან მთელი ერთი საათის გატარების შემდეგ ქოხში ვბრუნდები.

როცა ინდიელები და, განსაკუთრებით – ქალები, მოწყენილები არიან, იღუშებიან, სახეზე ნაკვთები უშეშდებათ, თვალები ნაღველში ეძირებათ, მაგრამ არასდროს ტირიან. ღამით, შემთხვევით, ზორაიმას მუცელი ვატკინე. მის წამოკივლებაზე ავდექი და სხვა, დაბლა დაკიდებულ ჰამაკში გადავწექი. ცოტა ხნის შემდეგ

ვგრძნობ, რომ გვერდით ვიღაცაა. თავს ვიმძიმარებ. ეს ლალია, გაუნძრეველად ზის და მიყურებს. მალე სურნელით ვგრძნობ ზორაიმას მოსვლას: იგი ერთი ინდიელი ქალისაგან, რომელიც დროდადრო მოდის სოფელში, ნარინჯის ყვავილებს ყიდულობს, ჭყლეტს და ტანზე ისვამს. როცა ვიღვიძებ, ორივე ისევ გაუნძრეველად ზის და მიყურებს. მზე ამოდის. დაახლოებით რვა საათზე ისინი პლიაჟზე მიმყავს და ქვიშაზე ვწვები. ლალი და ზორაიმაც სხდებიან. ზორაიმას მკერდზე, მუცელზე და ფეხებზე ვეფერები, მაგრამ იგი მარმარილოსავით ცივი რჩება; ლალის ვაწვენ და ვკოცნი – ტუჩებს კუმავს. ლალის ამხანაგი ინდიელი მოდის, მაგრამ მისი სახის დანახვაზე ყველაფერს ხედება და მიდის. აღარ ვიცი, რა ვქნა, მხოლოდ მოფერებითა და კოცნით შემიძლია, ვაჩვენო მათ, რომ ორივე მიყვარს. მათი ბაგეებიდან ერთი სიტყვაც არ ამოდის. იმის გაფიქრება, თუ როგორი იქნება მათი ცხოვრება ჩემი წასვლის შემდეგ, უდიდეს წუხილსა და ტკივილს მაყენებს. ლალი ხშირ-ხშირად მაიძულებს, დავეუფლო და ამას ყოველთვის სასოწარკვეთით აკეთებს. აქ მიზეზი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: დაორსულება უნდა.

პირველად ამ დღეს შევამჩნიე მისი შური ზორაიმას მიმართ. როცა მას მოფარებულში ვეფერებოდი, ლალი მოვიდა, დას მკლავში ხელი მოკიდა, ჯერ მის გაბერილ მუცელს აუსვა ხელი, მერე თავის ცარიელ მუცელს. ზორაიმა ადგა, თითქოს ამბობდა – შენ მართალი ხარო – და ადგილი დაუთმო.

ქალები ყოველ დღე მიმზადებენ საჭმელს, მაგრამ თვითონ არაფერს ჭამენ, უკვე მესამე დღეა. ცხენზე ვჯდები და, თითქმის ხუთი თვის აქ ყოფნის მანძილზე, კინალამ პირველ გამოუსწორებელ შეცდომას ვუშვებ: ნებართვის გარეშე მივდივარ ქურუმთან. გზაში ამ შეცდომას ვხვდები და მისვლის მაგივრად მისი ქოხიდან დაახლოებით ორას მეტრში ვიწყებ ბოდიალს. იგი მამჩნევს და მანიშნებს, მივიდე. როგორც იქნა, გავაგებინე, რომ ლალი და ზორაიმა აღარ ჭამენ. იგი მაძლევს ერთგვარ კაკალს, რომელიც სახლში მისვლისას სასმელ წყალში უნდა ჩავაგდო. ვბრუნდები და კაკალს დიდ ქილაში ვაგდებ. იქიდან რამდენჯერმე დალიეს, მაგრამ საჭმელი მაინც არ უჭამიათ. ლალი აღარ გადის ნიჟარების მოსაგროვებლად. დღეს, ოთხი დღის მარხვის შემდეგ, დიდი სიგიჟე ჩაიდინა: ნავის გარეშე, ცურვით გავიდა ნაპირიდან ორასიოდე მეტრში და ოცდაათი ნიჟარით დაბრუნდა, რათა ჩემთვის მარგალიტები ეჭმია. მათი უსიტყვო სასოწარკვეთა იმ ზომამდე მაწუხებს, მეც თითქმის აღარ ვჭამ. უკვე ექვსი დღეა, რაც ასე გრძელდება. ლალის სიცხე მისცა და ჩაწვა. ექვს დღეში მან რამდენიმე ლიმონი თუ გამოწუწნა, ეს იყო და ეს. ზორაიმა დღეში ერთხელ, შუადღით სადილობს. აღარ ვიცი, რა ვქნა. ლალის გვერდით ვზივარ. იგი მიწაზე, ჰამაკზე წევს, რომელიც მე ლეიბივით დავახვიე. ჭერს მიშტერებია. ვუყურებ ლალის, ვუყურებ ზორაიმას გაბერილ მუცელს და, ჩემდა უნებურად, ტირილს ვიწყებ. რას დავტირი? ჩემს თავს თუ მათ? რას გაიგებ! მსხვილი ცრემლები ლოყებზე ღაპაღუპით ჩამომდის. ამის დანახვაზე ზორაიმა კვნესას იწყებს. დის კვნესის ხმაზე ლალი თავს ატრიალებს და ხედავს, რომ ვიცრემლები. უეცრად დგება, ჩემს ფეხებთან ჯდება და ისიც კვნესას იწყებს, თან მეხუტება და მკოცნის. ზორაიმა მხრებზე მეხვევა. ლალი კვნესანარევი ხმით რაღაცის ლაპარაკს იწყებს და ზორაიმა პასუხობს. ისეთი იერი აქვს, თითქოს ლალის რაღაცას საყვედურობს. ლალი მუშტისხელა შაქრის კასონადს იღებს, წყალში ორჯერ ასველებს და მაჩვენებს, რომ ყლაპავს. მერე ზორაიმასთან ერთად გადის. მესმის,

რომ ცხენი მოჰყავთ. როცა გარეთ გავდივარ, ის შეკაზმული მხვდება. ზორაიმასთვის ცხვრის ქურქს ვადებ, ლალისთვის – დახვეულ ჰამაკს. მე შუაში ვჯდები, წინ – ზორაიმა, უკან – ლალი. დაბნეული ვარ და ვერავის ვაფრთხილებ, რომ მივდივართ.

მე ქურუმის სახლისკენ ავიღე გეზი, მაგრამ ლალი სადავეებს ეწევა და ამბობს: „ზორილიო". ზორილიოს სანახავად მივდივართ. გზაში, ჩემს ქამარს ჩაბღაუჭებული, რამდენჯერმე მკოცნის კისერში. მარცხენა ხელით აღვირი მიჭირავს, მარჯვენათი კი ზორაიმას ვეფერები. ზორილიოს სოფელში ზუსტად იმ დროს მივდივართ, როცა ის კოლუმბიიდან სამი სახედრითა და ერთი დატვირთული ცხენით ბრუნდება. სახლში შევდივართ. ჯერ ლალი ლაპარაკობს, მერე – ზორაიმა.

და, აი, რას მიხსნის ზორილიო: იმ დრომდე, სანამ ვიტირებდი, ლალი ფიქრობდა, რომ მე ერთი ჩვეულებრივი თეთრი ადამიანი ვიყავი, ვისთვისაც მას არავითარი ფასი არ ჰქონდა. წასვლა რომ მინდოდა, ეს მან ისედაც იცოდა, მაგრამ მე გველივით ვიქცეოდი – არასდროს მითქვამს და არც მიმიხვედრებია. უზომოდ გულნატკენია, რადგან ეგონა, რომ ისეთ ინდიელ ქალს, როგორიც თვითონაა, შეეძლო კაცი ბედნიერი გაეხადა და მისგან წასვლა არ მონდომებოდა. ფიქრობს, ასეთ ცხოვრებას გამართლება არა აქვს. ზორაიმაც იმავეს ამბობს და ამატებს, რომ ეშინია მისი შვილიც ისეთი არ გამოვიდეს, როგორიც მამაა: სიტყვის გამტეხი და ცრუ, – კაცი, რომელიც ცოლებისგან შეუძლებელ რამეებს მოითხოვდა, ხოლო ისინი, ვინც მისთვის სიცოცხლესაც კი გასწირავდნენ, მას ვერ უგებდნენ. ლალის არ ესმოდა, რატომ უნდა გავქცეოდი ისე, თითქოს იგი ის ძაღლი ყოფილიყოს, რომელმაც მე მოსვლის დღეს მიკბინა.

მე ვეუბნები:

– რას იზამდი, ლალი, მამაშენი ავად რომ იყოს?

– ეკლებზე გავივლიდი, რომ მივსულიყავი და მომევლო.

– რას იზამდი იმ დღეს, როცა მხეცივით განდევნილს, შურისძიების შესაძლებლობა მოგეცემოდა?

– მოვძებნიდი ჩემს მტერს და ისე ღრმად ჩავფლავდი, რომ ვერც კი გადატრიალებულიყო.

– ამ საქმეებს რომ მოათავებდი, რას იზამდი, თუ გეცოდინებოდა, რომ ორი მშვენიერი ცოლი გელის?

– ცხენით დავბრუნდებოდი უკან.

– იქეც, ზუსტად ამის გაკეთებას ვაპირებ.

– თუ მაშინ, როცა შენ დაბრუნდები, მე ბებერი და უსახური ვიქნები?

– მე იმაზე ბევრად ადრე დავბრუნდები, ვიდრე შენ ბებერი და უსახური გახდები.

– ჰო, შენ თვალებიდან წყალი გადმოადინე, ამას ვერასოდეს დავივიწყებ. ამიტომაც, შეგიძლია, როცა გინდა, წახვიდე, მაგრამ ეს ყველას თვალწინ, დღისით-მზისით უნდა მოხდეს და არა ქურდივით გაიპარო. ისევე უნდა წახვიდე, როგორც გააკეთო – ნაშუადღევის იმავე საათზე და ისევე ჩაცმული. წასვლისას უნდა თქვა, სანამ შენ არ იქნები, ვინ გვიპატრონებს. ზატო ბელადია, ვინმე სხვა კაცმა უნდა მოგვიაროს. უნდა განაცხადო, რომ შენი ქოხი მუდამ შენი იქნება და არც ერთი მამაკაცი, შენი შვილის გარდა, თუკი ზორაიმას მუცელში ბიჭი ჰყავს, შენი კარიდან

შიგ არ უნდა შევიდეს. ამისათვის, იმ დღეს, როცა წასვლას დააპირებ, ზორილიო უნდა მოვიდეს, რათა გვითხრას ის, რისი თქმაც შენ გენდომება.

დასაძინებლად ზორილიოსთან ვრჩებით. მშვენიერი, ნაზი და თბილი ღამეა. ბუნების ამ ორი შვილის ჩურჩულს მთელ ღამეს ამაღელვებელი ჟღერადობა ჰქონდა. გამთენიისას, ზორაიმას მუცლის გამო ცხენით ნელა ვბრუნდებით. მე ახალი მთვარიდან რვა დღის შემდეგ უნდა წავიდე – ლალის ამ დროისთვის ეცოდინება, ორსულადაა თუ არა. გასული მთვარის დროს სისხლი არ დაუნახავს, მაგრამ ეშინია, არ შეცდეს. თუ მომავალ მთვარეზეც ასე იქნება, მაშინ დარწმუნდება, რომ ბავშვი ჩაისახა. ზორილიომ ტანსაცმელი უნდა მომიტანოს. ჯერ ტომს შიშველმა უნდა დაველაპარაკო და მერე ჩავიცვა. წინა დღეს ქურუმთან სამიევე უნდა წავიდეთ. იგი გვეტყვის, ჩემი კარი ამოვქოლოთ თუ ღია დავტოვოთ. ახლა მათ ნაღველი აღარ ეტყობათ. მათ ურჩევნიათ, ყველამ იცოდეს, რომ ჩემი ნასვლა ცოლების თანხმობით მოხდა, ვიდრე მიტოვებული და სოფლის ქალებისა და კაცების დასაცინი გახდნენ. როცა ზორაიმას შვილი ეყოლება, იგი ვინმე მეთევზეს გაიამხანაგებს, ზღვაში გავა, ბევრ მარგალიტს მოაგროვებს და შემინახავს. უფრო მეტ ხანს ითევზავებს, რათა დრო მოკლას. ვნანობ, რომ გვახიროს ენაზე მხოლოდ დუჟინი სიტყვები ვისწავლე. იმდენი რამ მექნება მათთვის სათქმელი, რომ თარჯიმნის დახმარებით ვერ შევძლებ მათ გადმოცემას. ჯერ ზატოს უნდა ვეახლო და ბოდიში მოვუხადო, რომ მის დაუკითხავად წავედი. ზატო ისეთივე კეთილშობილია, როგორც მისი ძმა. სანამ რამეს ვეტყოდე, კისერზე ხელს მხვევს და მეუბნება:

– იულუ, – გაჩუმდი!

ახალი მთვარე თორმეტიოდე დღეში იქნება. თუ იმ რვა დღესაც გავითვალისწინებ, ოც დღეში გზას უნდა გაეუდგე.

როცა კვლავ რუკას ვათვალიერებ, რათა ჩემი გზის დეტალები დავაზუსტო, თავში ხუსტოს ნათქვამი მიტრიალებს: სად ვიქნები უფრო ბედნიერი, თუ არა აქ, სადაც ყველას ვუყვარვარ? ცივილიზაციისაკენ ლტოლვით ჩემს უბედურებას ჩემივე ხელით ხომ არ ვაშენებ? მომავალი ამას დამიმტკიცებს. სამი კვირა სწრაფად გადის. ლალი დარწმუნდა, რომ ფეხმძიმედაა და როცა დებრუნდები, ორი, ან სამი ბავშვი დამხვდება – იგი მეუბნება, რომ დედამისს ორჯერ ეყოლა ტყუპი.

ქურუმთან ვიყავით. კარი არ უნდა ჩავკეტოთ. მხოლოდ გარდიგარდმო უნდა მივადოთ ხის ტოტი. ჰამაკი, რომელშიც სამივენი ვიწექით, ქოხის ჭერზე უნდა გაიჭიმოს. ამის შემდეგ ისინი ერთად უნდა დაწვნენ, რადგანაც ერთი სისხლისა და ხორციანი არიან. ბოლოს ქურუმი ცეცხლთან გვსხამს, შიგ მწვანე ფოთლებს ყრის და ათ წუთზე მეტ ხანს გვბოლავს. მერე სახლში მოვდივართ და ზორილიოს ველოდებით. იგი იმავე საღამოს მოდის. ღამეს, ჩემი ქოხის წინ, ცეცხლთან, მჯდომი, ინდიელებთან საუბარში ვატარებ. ზორილიოს მეშვეობით ყოველ მათგანს რაიმე თავაზიან სიტყვას ვეუბნები და ისინიც ასევე მპასუხობენ. განთიადისას ზორაიმასა და ლალისთან ერთად ქოხში შევდივარ და მთელი დღის განმავლობაში ერთმანეთს ვეფერებით. ზორაიმა ზემოდან მაჯდება, რათა უკეთესად მიგრძნოს თავის სხეულში, ხოლო ლალის სქესი სუროსავით მიჭერს და გულივით ფეთქავს. ნაშუადღევს გამგზავრებაა. მე ვლაპარაკობ, ზორილიო თარგმნის:

– ზატო, ამ ტომის დიდო ბელადო, ვინც მიმიღე და ყველაფერი მომეცი, მინდა გთხოვო, ნება დამრთო ბევრი მთვარით დაგტოვო.

– რატომ გინდა მეგობრების მიტოვება?

– იმიტომ, რომ აუცილებელია წავიდე და დავსაჯო ისინი, ვინც მხეცივით მდევნიდა. შენმა სიკეთემ შესაძლებლობა მომცა, შენს სოფელში ბედნიერად მეცხოვრა, კარგად მეჭამა, მყოლოდა კეთილშობილი მეგობრები და ცოლები, რომლებმაც ჩემს გულში მზე შემოიტანეს. მაგრამ, ამასთან ერთად, ჩემნაირი კაცი იმ ცხოველს არ უნდა დაემსგავსოს, რომელმაც, იპოვა რა მყუდრო ადგილი, სამუდამოდ იქ რჩება და ბრძოლას თავს არიდებს. მივდივარ მტრებთან საბრძოლველად, მივდივარ მამაჩემთან, ვისაც ძალიან ვჭირდები. ჩემი სული ჩემს ცოლებში, ლალისა და ზორაიმაში, ჩვენი ცოლქმრობის ნაყოფებში, რჩება. ჩემი ქოხი ჩემს მომავალ შვილებს ეკუთვნის. იმედი მაქვს, ზატო, რომ, თუ ვინმეს ეს დაავიწყდება, შენ შეახსენებ. გთხოვ, შენი პირადი თვალყურის გარდა, ერთმა კაცმა, ვისაც იუსლი ქვია, დაიცვას დღისით და ღამით ჩემი ოჯახი. მე ყველა მიყვარხართ და ყოველთვის მეყვარებით. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჩქარა დავბრუნდე. თუ მოვალეობის აღსრულებისას მოვკვდები, ჩემი ფიქრები თქვენთან იქნება – ლალისთან, ზორაიმასთან, ჩემს შვილებთან და თქვენთან, გვახიროს ინდიელებო, ვისაც ჩემი ოჯახის წევრებად გთვლით.

ლალისა და ზორაიმას თანხლებით ჩემს ქოხში შევდივარდა ვიცვამ კაკის პერანგს, შარვალს, წინდებს და ნახევარჩექმებს.

ძალიან ნელა, ნაწილ-ნაწილ ვავლებ თვალს ამ სოფელს, სადაც ექვსი თვე იდილიაში გავატარე. ეს გვახიროს ტომი, რომელსაც ასე უფრთხიან როგორც სხვა ტომები, ისე თეთრკანიანები, ჩემთვის ადამიანური ბოროტებისაგან თავშესაფარი იყო. მე აქ სიყვარული, სიმშვიდე, სიწყნარე და კეთილშობილება ვპოვე. მშვიდობით, გვახიროელებო, კოლომბო – ვენესუელის ნახევარკუნძულის ველურო ინდიელებო! საბედნიეროდ, თქვენი დიდი ტერიტორია თავისუფალია გარშემო მყოფი ცივილიზაციის ჩარევისა და გავლენისაგან. ცხოვრებისა და თავის რჩენის თქვენეულმა წესმა ერთი მნიშვნელოვანი რამ მასწავლა მომავლისათვის: ჯობია, ველური ინდიელი იყო, ვიდრე მაგისტრის ჩინით ლიცენზირებული ადამიანის მაგვარი.

მშვიდობით ლალი და ზორაიმა, ჩემო უბადლო, უანგარო, ბუნებასთან ასე ახლოს მყოფო ცოლებო, ვინც მთელი მარგალიტები, რაც ქოხში გაგაჩნდათ, ნასვლის წინ ასე უბრალოდ, პატარა პარკში ჩამიყარეთ. უსათუოდ დავბრუნდები! როდის? როგორ? – არ ვიცი, მაგრამ, პირობას ვდებ, რომ დავბრუნდები.

ნაშუადღევს ზორილიო ცხენზე ჯდება და კოლუმბიისაკენ მივდივართ. ჩალის ქუდი მახურავს და ცხენი აღვირით მიმყავს. ტომის ყველა ინდიელი მარცხენა ხელით სახეს იფარავს და მარჯვენას ჩემკენ იწვდის. ამგვარად გამოხატავენ, რომ ჩემი წასვლის ნახვა არ სურთ, რადგან ეს მათ დიდ ტანჯვას აყენებს და ამგვარად ჩემი შეკავება უნდათ. ლალი და ზორაიმა ასიოდე მეტრის მანძილზე ლასლასით მომყვებიან. მეგონა, გამოსამშვიდობებლად გადამეხვეოდნენ, მაგრამ ისინი უეცრად მიბრუნდნენ და ჩვენი ქოხისკენ ღმუილით გაიქცნენ.

მეხუთე რვეული

ცივილიზაციაში დაბრუნება

სანტა-მარტას ციხე

გვახიროს ინდიელთა ტერიტორიიდან გამოსვლა ძნელი არ არის – ისტორიების გარეშე გადავლახეთ ლა ველას სასაზღვრო პოსტები. ცხენით ორ დღეში დავფარეთ ის მანძილი, რასაც მე და ანტონიო ამდენ ხანს მოვუნდით. საშიში მარტო ამ პოსტების გავლა არ არის. კიდევ ერთი, ასოცკილომეტრიანი მონაკვეთია რიოაჩამდე, საიდანაც გამოვიქეცი.

მე და ზორილიომ ერთ ტრაქტირში ვილაც კოლუმბიელთან ექსპერიმენტი ჩავატარეთ. ვგონებ, ცუდად არ გამოგვივიდა. როგორც ზორილიო მეუბნება, ძლიერი ბლუკუნი გამოთქმისა და ლაპარაკის მანერის დამალვაში დამეხმარება.

გზას სანტა-მარტასკენ ვაგრძელებთ. ზორილიო ამ გზის ნახევარზე უნდა დამემშვიდობოს და დილით უკან გაბრუნდეს.

ზორილიომ დამტოვა. გადავწყვიტეთ, ცხენი თან წაეყვანა. მართლაც, ცხენის ყოლა სახლის ქონას ნიშნავს, ესე იგი, ეკუთვნი რომელილაც სოფელს და იძულებული გახდები, უპასუხო დამაბნეველ კითხვებს: „იცნობ, ამას და ამას? რა ქვია მერს? რას აკეთებს მადამ X? და ასე შემდეგ.

არა, ჯობია, გზა ფეხით გავაგრძელო, ან, სანტა-მარტამდე საბარგო მანქანით ან ავტობუსით მივიდე და მერე მატარებელში ჩავჯდე. ყველას თვალში ამ მხარისათვის უცხოელი უნდა ვიყო, ვინც შემთხვევითი სამუშაოთი ირჩენს თავს.

ზორილიომ სამი ასპესოიანი ოქროს მონეტა ათას პესოდ გადამიხურდავა. აქ, ვისაც სამუშაო აქვს, დღეში რვიდან ათ პესომდე აკეთებს. ამრიგად, ამ ფულით თავის გატანა დიდხანს შემიძლია. ვურიგდები ერთი საბარგო ავტომანქანის მძღოლს, რათა სანტა-მარტამდე მიმიყვანოს. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პორტია და იმ ადგილიდან, სადაც ზორილიომ დამტოვა, ას კილომეტრში მდებარეობს. ეს მანქანა, ზუსტად არ ვიცი, თხების თუ თიკნების ჩამოსაყვანად მიდის.

ყოველ ექვს თუ ათ კილომეტრში ტავერნაა. მძღოლი აჩერებს და მეპატიჟება. ის მეპატიჟება, მაგრამ მე ვიხდი. ყოველ ჯერზე ხუთ, თუ ექვს ჭიქა ცეცხლოვან ალკოჰოლს სვამს. თავს ვაჩვენებ, თითქოს მეც ვსვამდე. ორმოცდაათი კილომეტრის შემდეგ ისეთი მთვრალია, რომ გზა ეშლება, ტალახებში შედის და ეფლობა. ველარ გამოვდივართ, თუმცა თავს ძალიანაც არ იწუხებს: საბარგოში დასაძინებლად წვება და მეუბნება, კაბინაში დავწვე. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. სანტა-მარტამდე კიდევ დაახლოებით ორმოცი კილომეტრია. მასთან ყოფნა მირჩევნია, რადგან ასე შევთხვევით შემხვედრებთან ურთიერთობებს ვიცილებ და, ამას გარდა, მართალია, ხშირად ვჩერდებით, მაგრამ ფეხით სიარულს მაინც ჯობია – უფრო ჩქარა მივდივარ.

მოკლედ, ბედს ვემორჩილები და ვიძინებ. გათენებისას, დაახლოებით შვიდი საათისათვის, ორცხენშებმული ერთი ფურგონი მოდის და, რადგან მანქანა უშლის, ჩერდება. რაკი კაბინაში მძინავს, მძღოლი ვგონივართ და მაღვიძებენ. მე ახალგაღვიძებული, დაბნეული კაცივით ვბლუკუნებ.

მძღოლს ელვიძება და მეეტლეს ელაპარაკება. ვცდილობთ, მაგრამ მანქანა ისე ჩაფლული, რომ ვერ ამოგვყავს. ვერაფერს ვუხერხებთ. ფურგონში ორი შავებში ჩაცმული მონაზონი და სამი პატარა გოგონაა. დიდი კამათის შემდეგ თანხმდებიან ტევრის ნაწილი გაკაფონ, რათა ეს ოციოდე მეტრი ფურგონმა მანქანასა და მცენარეულობას შორის გაიაროს.

თვითოეული იღებს მაჩეტეს (ლერწმის მოსაჭრელი ხმალი, რომელიც ასე საჭიროა ამ გზებზე) და იწყებენ ტევრის კაფვას. მე მოჭრილ მცენარეულობას ვაგროვებ და გზაზე ვყრი. დაახლოებით ორი საათის შემდეგ გასასვლელი მზადაა. მონაზენები მადლობას მიხდიან და მეკითხებიან, საით მივდივარ. ვპასუხობ:

– Santa Marta.

– კი მაგრამ, ეს ქალაქი სხვა მხარესაა. ჩვენთან ერთად უკან უნდა დაბრუნდეთ. სანტა-მარტასთან ახლოს, რვა კილომეტრში მიგიყვანთ.

უარის თქმა არაბუნებრივი იქნებოდა. მე კი ვაპირებდი მეთქვა, დავრჩები და მძღოლს მოვეხმარები მეთქი, მაგრამ ჩემთვის ასეთი გრძელი წინადადების წარმოთქმა ძნელი იყო და ამიტომ მხოლოდ ამის თქმასღა ვახერხებ:

– Gracias, gracias.

და აი, უკვე ფურგონის უკანა მხარეს, სამ გოგონასთან ერთად ვზივარ. ორი კეთილი მონაზონი მეეტლის გვერდით ზის. საკმაოდ სწრაფად ვფარავთ იმ ხუთ თუ ექვს კილომეტრს, რომელიც მანქანით შეცდომით გავიარეთ და კარგ გზაზე გავდივართ. სიჩქარეს უფრო ვუმატებთ და შუადღისათვის საჭმელად ერთ ფუნდუკთან ვჩერდებით. ის სამი გოგონა ერთ, ხოლო მე და მონაზვნები მეორე მაგიდასთან ვსხდებით. ქალები ოცდახუთი, ოცდაათი წლისა იქნებიან, თეთრი კანის ფერი აქვთ. ერთი ესპანელია, მეორე – ირლანდიელი. ირლანდიელი წყნარად მეკითხება:

– თქვენ აქაური არ უნდა იყოთ.

– კი, ბარანკილიიდან ვარ,

– არა, თქვენ კოლუმბიელი არა ხართ, ძალიან ღია ფერის თმა გაქვთ. ამას გარდა, კანი იმიტომ გაქვთ მუქი, რომ მზისგან ხართ დამწვარი. საიდან მოდიხართ?

– რიო-აჩადან.

– იქ რას საქმიანობდით?

– ელექტრიკოსი ვარ.

– მართლა? იქ, ელექტროკომპანიაში მეგობარი მყავს, პერესი ჰქვია, იცნობთ?

– დიახ.

– ძალიან სასიამოვნოა.

ჭამას რომ ვამთავრებთ, ისინი ხელების დასაბანად მიდიან და ირლანდიელი მარტო ბრუნდება. მიყურებს და ფრანგულად მეუბნება:

– ნუ გეშინიათ, არ გაგთქვამთ. ჩემი მეგობარი ამბობს, რომ თქვენი ფოტო ერთ გაზეთში ნახა. თქვენ ის ფრანგი ხართ, ვინც რიო-აჩას ციხიდან გაიქცა, არა?

უარის თქმას აზრი არ აქვს:

– ჰო, ჩემო დაო, გთხოვთ, ნუ დამაბეზღებთ. არც ისეთი ცუდი ადამიანი ვარ, როგორც წერენ; ღმერთი მწამს და მიყვარს.

როცა ესპანელი ქალი ბრუნდება, ირლანდიელი ეუბნება: „კი“. ერთმანეთს ისე სწრაფად ელაპარაკებიან რაღაცას, ვერ ვიგებ. შეწუხებული გამომეტყველება აქვთ. მერე დგებიან და ისევ ტუალეტში მიდიან. იმ ხუთი წუთის განმავლობაში, სანამ

ისინი იქ არიან, ვორჭოფობ, მათ მოსელამდე გავიქცე თუ დავრჩე. სულ ერთია, გინდაც ნავიდე, თუ „ჩამიშვებენ", მაინც დაჭერილი ვარ. აქ ტევრი არ არის, რომ დავიმალო და გზებს, ალბათ უთვალთვალებენ. ბედს ვემორჩილები – მას ხომ აქამდე არ უღალატია!

ისინი ღიმილით ბრუნდებიან. ირლანდიელი მეკითხება, რა გქვიაო.

– ენრიკე.

– კარგი, ენრიკე, ჩვენთან ერთად წამოხვალთ მონასტერში. ის სანტა-მარტადან რვა კილომეტრშია. ფურგონში, ჩვენ გვერდით, არაფერი გემუქრებათ. ხმას ნუ ამოიღებთ, ყველას ეგონება, მონასტრის მუშა ხართ.

დანახარჯს ისინი იხდიან. წასელამდე ერთ შეკერა სიგარეტს და სანთებელას ვყიდულობ. მივდივართ. გზაში მონაზვნები არ მელაპარაკებიან, რისთვისაც მადლიერი ვარ. ასე მეეტლეც ვერ მიხვდება, რომ ესპანურად ცუდად ვლაპარაკობ. ნაშუადღევს დიდ ფუნდუკთან ვჩერდებით. იქ ერთი ავტობუსი დგას, რომელსაც აწერია: „Rio-Acha – Santa-Marta". სურვილი მიჩნდება, მასში გადავჯდე. ამას ირლანდიელ დას ვუმხელ.

– ეს ძალიან სახიფათოა, – მეუბნება ის, – სანტა-მარტამდე პოლიციის ორი პოსტი მაინც არის, სადაც მგზავრებს cedula-ს – პირადობის მონმობას სთხოვენ. თუ ფურგონში დარჩებით, ამას ასცდებით.

მხურვალე მადლობას ვუხდი და ის მოუსვენრობა, რაც მათ მიერ ჩემი ამოცნობის წუთიდან გამიჩნდა, მთლიანად მიქრება. პირიქით, იღბალი მქონია, რომ მათ შევხვდი. მართლაც, საღამო ხანს ერთ პოსტთან (ესპანურად „alkabale"), სანტა-მარტადან რიო-აჩაში მიმავალი ავტობუსი დგას და პოლიციელები ჩხრეკენ. ფურგონში გულაღმა ვწვები, ჩალის ქუდს სახეზე ვიფარებ და თავს ვიმძინარებ. ერთ-ერთი, ასე რვა წლის გოგონა, თავს მხარზე მადებს და მართლა იძინებს. ფურგონი ზუსტად ავტობუსსა და პოსტს შუა ჩერდება:

– Como estan por aqui (როგორ ხართ)?

– Muy bien, Hermana (ძალიან კარგად, ჩემო დაო).

– Me alegro, vamonos, muchachos (სასიამოვნოა, წავედით, შვილებო), – და მშვიდად ვაგრძელებთ გზას.

საღამოს ათი საათისთვის მეორე, კარგად განათებული საგუშაგო გვხვდება. მანქანების ორმხრივი რიგი დგას. პოლიციელები საბარგულებს ხსნიან და ჩხრეკენ. ერთი ქალი, რომელიც ჩანთაში იქექება, ძალით ჩამოჰყავთ მანქანიდან და საგუშაგოში შეჰყავთ. ალბათ, პირადობის მოწმობას არა აქვს. ასეთ შემთხვევაში ვერაფერს იზამ. მანქანები ერთმანეთს ახლოს მიჰყვებიან, მათ შორის ვერ გაძვრები, რადგანაც ორი რიგია. უნდა ბედს დამორჩილდე და რიგს დაელოდო. თავი უკვე გამოჭერილი მგონია. ჩვენ წინ ხალხით გაჭედილი პატარა ავტობუსია. სახურავი და უკანა მხარეს მიმაგრებული ბადე ჩემოდნებითა და ჩანთებით არის სავსე. ავტობუსს ერთი კარი აქვს. ორ პოლიციელს მგზავრები რიგრიგობით ჩამოჰყავს, მათ შორის ბევრი ბავშვიანი ქალია.

– Cedula! Cedula! – ყვირის პოლიციელი.

ყველა ჩამოსული უჩვენებს ფოტოსურათიან მუყაოს ქაღალდს და მერე ისევ უკან ადის.

ზორილიოს ჩემთან ამაზე არასდროს ულაპარაკია. ეს რომ მცოდნოდა, შევეცდე-

ბოდი, როგორმე ყალბი საბუთი მეშოვა. ამ საგუშაგოს თუ გადავურჩი, არანაირ თანხას არ დავიშურებ, რომ ბარანკილიაში მისვლამდე cedula ვიყიდო. როგორც ლექსიკონიდა ვიგებ, იმ ქალაქში 250 000 კაცი ცხოვრობს.

ღმერთო ჩემო, რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ამ ავტობუსის შემონმება!

– დაწყნარდით, ენრიკე! – მამშვიდებს ირლანდიელი:

გულში ვსაყვედურობ ამ გაუფრთხილებელი ფრაზის გამო – მეეტლემ უეჭველად გაიგონა.

როგორც იქნა, ჩვენი ფურგონი წინ მიიწევს და განათებულ ადგილას ჩერდება. გადავწყვიტე, წამოვჯდე, რადგან მგონია, რომ დაწოლილი დამალვის შთაბეჭდილებას ქმნის. მონაზვნების ზურგსუკან სანახევროდ ქუდჩამოფხატული ფიცრებს ვეყრდნობი. მხოლოდ პროფილში შეუძლიათ, შემხედონ.

– Como estan todos por aqul (როგორ ხართ)?

– Muy bien, Hermanas. Y como viajan tan tarde (ძალიან კარგად, ჩემო დებო, ასე გვიან რატომ მოდიხართ)?

– Por una urjencia, por eso no me detengo. Somos muy apuradas (სასწრაფო საქმის გამო, ამიტომაც ნუ დაგვაყოვნებთ, ძალიან გვეჩქარება).

– Vayanse con Dios, Hermanas (წადით, ღმერთი იყოს თქვენი შემწე, დებო).

– Gracias, hijos. Qe Dios les proteje (გმადლობთ, შვილებო, ღმერთი გფარავდეთ).

– Amen (ამინ), – გვპასუხობენ პოლიციელები და ისე, რომ არავინ არაფერს გვეკითხება, გზას ვაგრძელებთ.

ეტყობა, საწყალ მონაზვნებზეც იმოქმედა ამ წუთებმა, რადგან ასიოდე მეტრის გავლის შემდეგ ფურგონს აჩერებენ და ცოტა ხნით ტევრში შედიან. მეც აღელვებული ვარ, ვეწევი და როცა ბრუნდებიან, ვეუბნები:

– გმადლობთ, დებო.

– არაფრის, მაგრამ ისე შეგვეშინდა, რომ კუჭები აგვეშალა – მპასუხობს ირლანდიელი.

შუალამისას მონასტრამდე ვაღწევთ. მის მაღალ კედელს დიდი კარები აქვს დატანებული. მეეტლე ფურგონს ფარდულში აჩერებს და სამი პატარა გოგონა მონასტერში შეჰყავთ. შესასვლელში ჩემს დებსა და ერთ მონაზონს შორის, რომელმაც კარები გაგვიღო, გაცხოველებული ლაპარაკი იმართება. ირლანდიელი მეუბნება, რომ დედა მონაზვნის გაღვიძებაა საჭირო, რათა მონასტერში დარჩენის ნებართვა მივიღო. აქ მე გადაწყვეტილებას ვერ ვიღებ, ვერაფერს ვეუბნები. კვლავ იმაზე ვფიქრობ, მაშინ ხომ არ უნდა გავცლოდი მათ, როცა გავიგე, რომ რვა კილომეტრილა იყო გასავლელი.

ეს შეცდომა შემდეგში შვიდი წლის კატორღად დამიჯდება.

ბოლოს, როგორც იქნა, დედა მონაზვნის გაღვიძების შემდეგ, მეორე სართულზე მდებარე ერთ ოთახში ავყავარ. ფანჯრიდან ქალაქის სანაპირო ზოლის სინათლეები მოჩანს. პორტიდან დიდი გემი გადის.

ვიძინებ. მზე უკვე ამოსულია, როცა კარზე აკაკუნებენ. საშინელი სიზმარი ვნახე: ლალი ჩემ თვალწინ მუცელს იფატრავდა და იქიდან ჩვენი ბაღშვი ნაწილ-ნაწილ გადმოდიოდა.

ვიპარსავ და თავი სწრაფად მომყავს წესრიგში. დაბლა ჩამოვდივარ. კიბის ძი-

რას ირლანდიელი და ღიმილით მელოდება:

– გამარჯობა, ანრი, კარგად გეძინათ?

– დიახ, დაო.

– გთხოვთ, ჩვენი დედა მონაზვნის კაბინეტში გამომყვეთ, თქვენი ნახვა სურს.

მივყვები. საწერ მაგიდის მეორე მხრიდან ორმოცდაათიოდე წლის ქალი კუშტი გამომეტყველებით მიცქერის:

– Senor, sabe usted hablar espanol (სენიორ, ლაპარაკობთ ესპანურად)?

– Muy poco (ძალიან ცოტას).

– Bueno, la Hermana va servir de interprete (კარგი, და თარჯიმნობას გაგვიწევს.)

– თქვენ ფრანგი ხართ?

– დიახ, დედაო.

– თქვენ რიო-აჩას ციხიდან გაიქეცით?

– დიახ, დედაო.

– რამდენი ხანია?

– დაახლოებით შვიდი თვეა.

– რას აკეთებდით ამ დროის განმავლობაში?

– ინდიელებთან ვიყავი.

– რა? თქვენ გვახიროებთან იყავით? ეს შეუძლებელია. ეს ველურები არავის არასდროს არ იღებენ. ვერც ერთმა მისიონერმა მათ ტერიტორიაზე შეღწევა ვერ შესძლო. ეს პასუხი არ მაკმაყოფილებს, სიმართლე თქვით.

– არ ვტყუი, ამის დამამტკიცებელი საბუთი მაქვს.

– რა საბუთი?

– მათ მიერ მოპოვებული მარგალიტები, – ზურგზე, ქურთუკში ჩაკერებულ ქისას ვიღებ და ვუწვდი. იგი ქისას ხსნის და მუჭით მარგალიტებს იღებს.

– რამდენია?

– არ ვიცი, დაახლოებით ხუთასი ან ექვსასი.

– ეს საბუთი არ არის, თქვენ მათი მოპარვა შეგეძლოთ.

– რომ დარწმუნდეთ, დამტოვეთ აქ რამდენ ხანსაც გნებავთ, სანამ გაარკვევთ, იყო, თუ არა სადმე მარგალიტების ქურდობა. ფული მაქვს. შემიძლია, ჩემი შენახვის საფასური გადავიხადო. პირობას გაძლევთ, ჩემი ოთახიდან არ გამოვალ, სანამ თქვენი განკარგულება არ იქნება.

ჩაციებით მიყურებს. ალბათ ფიქრობს: „რომ გაიქცე? შენ ხომ ციხიდან გაიქეცი, აქედან წასვლა უფრო ადვილია".

– გიტოვებთ ამ მარგალიტებს, ეს მთელი ჩემი ქონებაა, ვიცი, რომ საიმედო ხელში იქნება.

– კარგი, ასე იყოს. არა, ოთახში არ ჩაგკეტავთ. შეგიძლიათ, როცა მონაზვნები სამლოცველოში იქნებიან, ბაღში გაისეირნოთ. მოსამსახურეებთან ერთად სამზარეულოში გამოგკვებავენ.

ამ დაკითხვიდან უნდობლობის გრძნობით გამოვდივარ. სანამ ოთახში ავიდოდე, ირლანდიელ მონაზონს სამზარეულოში მივყავარ. მაგიდაზე რძიანი ყავა, ახალი პური და კარაქია. სანამ მე ვსაუზმობ, იგი სიტყვის უთქმელად დგას მაგიდის წინ. ვეუბნები:

– გმადლობთ, დაო, ყველაფრისთვის.

– სიამოვნებით გავაკეთებდი უფრო მეტს, რომ შემეძლოს, ჩემო მეგობარო ანრი, – და ამ სიტყვებით სამზარეულოდან გადის.

ფანჯარასთან ვზივარ და ქალაქს, პორტსა და ზღვას გავყურებ. ირგვლივ კარგად მოვლილი მინდვრებია. საფრთხის შეგრძნებისაგან ვერ ვთავისუფლდები. ეს გრძნობა იმდენად ძლიერია, რომ ვფიქრობ, ამ ღამესვე გავიქცე. ეშმაკმაც წაიღოს მარგალიტები! მონასტერს მოახმაროს, ანდა, სულაც თვითონ დაიტოვოს. ეს ქალი ნდობას არ იმსახურებს. და მაინც, არ უნდა შევცდე. როგორ შეიძლება დედა მონაზონმა, ესე იგი განათლებულმა ქალმა, ფრანგული არ იცოდეს? დასკვნა: ამ საღამოსვე უნდა გავიქცე. ნაშუადღევს ბაღში ჩავალ და კედელს შევათვალიერებ, ადგილს შევარჩევ გადასაძრომად.

პირველი საათისათვის კარებზე აკაკუნებენ:

– გთხოვთ, სადილზე ჩამოხვიდეთ, ანრი!

ის იყო, სამზარეულოში ხორცი და მოხარშული კარტოფილი გადავიღე, რომ კარი გაიღო და ოთხი რევოლვერმომარჯვებული, თეთრფორმიანი პოლიციელი შემოვიდა.

– No te mueve, o te mato (არ გაინძრე, თორემ მოგკლავ)! – და ბორკილებს მადებენ. ირლანდიელ დას გული მისდის. ორი სხვა აყენებს.

– Vamos (წავედით), – ამბობს შეფი. ჩემს ოთახში ავყავართ. ჩხრეკავენ ჩემს ბოხჩას და ოცდათექვსმეტ ასპესოიან ოქროს მონეტას პოულობენ. ისრებს ხელს არ ახლებენ, ალბათ, ფანქრები ჰგონიათ. შეფი დაუფარავი კმაყოფილებით იყრის მონეტებს ჯიბეში. გამოვდივართ. ეზოში ავტო გველოდება.

ხუთი პოლიციელი და მე ვიჩურთებით ამ ჯაბახანაში და მთელი სისწრაფით მივდივართ. პოლიციის ფორმაში გამოწყობილი მძღოლი ნახშირივით შავია. გაოგნებული ვარ და ბედს ვემორჩილები. ვცდილობ, თავი ღირსეულად დავიჭირო. ახლა შეკითხვებისა და შებრალების თხოვნის დრო არ არის. კაცური იერი უნდა შევინარჩუნო და იმედი არ დავკარგო. ეს აზრი სწრაფად გარბის ჩემს გონებაში და ისე მტკიცედ ვწყვეტ, თავი ჩვრად არ მოვაჩვენო და ისე კარგად ვახერხებ ამას, რომ, როცა მანქანიდან ჩამოვდივარ, ოფიცრის პირველი სიტყვებია:

– ამ ფრანგს ეტყობა, სულაც, არ ენაღვლება, ხელში რომ ჩაგვივარდა.

მის კაბინეტში შევდივართ. ქუდს ვიხდი, დაუპატიჟებლად ვჯდები და ფუთას ფეხებშუა ვიდებ.

– Tu sabes hablar espanol (ესპანური იცი)?

– არა.

– Llame el zapatero (ხარაზს დაუძახეთ), – და ცოტა ხანში მოდის ერთი პატარა კაცი ლურჯი წინსაფრით და მეწაღის ჩაქუჩით.

– შენ ის ფრანგი ხარ, რიო-აჩას ციხიდან ერთი წლის წინ რომ გაიქცა?

– არა.

– ტყუი!

– არ ვტყუი. მე ის ფრანგი არა ვარ, ვინც ერთი წლის წინ რიო-აჩადან გაიქცა.

– მოხსენით ბორკილი. გაიხადე ქურთუკი და პერანგი, – იგი რაღაც ქაღალდს იღებს და უყურებს, იქ ყველა სვირინგია ჩამოთვლილი, – შენ მარცხენა ხელზე ცერი გაკლია. კი, ეს შენ ხარ.

– არა, მე არა ვარ, რადგან მე ერთი წლის წინ კი არა, შვიდი თვის წინ გავიქეცი.

– ეს ერთი და იგივეა.

– შენთვის კი, ჩემთვის – არა.

– ვხედავ, შენ ნამდვილი მკელელი ხარ. არა აქვს მნიშვნელობა, ფრანგი იქნები თუ კოლუმბიელი, ყველა მკელელი ერთნაირად მოურჯულებელია. მე მხოლოდ ამ ციხის მეორე კომენდანტი ვარ და არ ვიცი, შენ მიმართ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ. მანამდე ძველ ამხანაგებთან ჩაგსვამ.

– რომელ ამხანაგებთან?

– ფრანგებთან, რომლებიც კოლუმბიაში ჩამოიყვანე.

პოლიციელებს მივყვები. ისინი მამწყვდევენ საკანში, რომლის გისოსები ეზოში გამოდის. აქ კვლავ ვხვდები ჩემს ხუთ მეგობარს. ვეხვევით.

– მეგონა, სამუდამოდ გააღწიე, ჩემო ბიჭო, – მეუბნება კლუზიო; მატურეტი ბავშვივით ტირის. ის სამიც გაოგნებულია. მათთან შეხვედრა ძალას მმატებს.

– მოყევი, – მეუბნებიან.

– მოგვიანებით მოგიყვებით, თქვენ როგორ ხართ?

– ჩვენ ჩვენ უკვე სამი თვეა, რაც აქ ვართ.

– კარგად გექცევიან?

– საშუალოდ. ველოდებით, როდის გაგვაგზავნიან ბარანკილიაში, სადაც, როგორც ჩანს, საფრანგეთის ხელისუფლებას გადაგვცემენ.

– რა არამზადები არიან! გაქცევა არ გიცდიათ?

– ჯერ არ მოსულხარ და უკვე გაქცევაზე ფიქრობ?

– არა, მაგრამ მაინც, გგონია, ჩემსას მოვიშლი? მკაცრი მეთვალყურეობაა?

– დღისით ისე არა, მაგრამ ღამით ჩვენთვის სპეციალური ყარაულია გამოყოფილი.

– რამდენი?

– სამი.

– ფეხი როგორ გაქვს?

– კარგად, არც კი ეკოჭლობ.

– სულ ჩაკეტილები ხართ?

– არა, ორ საათს დილით და სამ საათს ნაშუადღევს ეზოში გვიშვებენ სასეირნოდ.

– კოლუმბიელი პატიმრების რა კატეგორიაა?

– ყველანაირი – ქურდებიც არიან და მკელელებიც.

ნაშუადღევს, როცა ეზოში კლუზიოს ველაპარაკები, მეძახიან. პოლიციელს იმავე კაბინეტში შევყავარ, სადაც დილით ვიყავი. იქ ციხის კომენდანტი და დილანდელი ტიპი მხვდებიან. სკამზე ღირსების გრძნობით ზის ერთი ხუჭუჭთმიანი, გაშავებული, თითქმის ზანგი კაცი. ორმოცდაათიოდე წლის იქნება, შავი და ბოროტი თვალები აქვს. მსხვილ, ცოფიან ტუჩებზე მოკლე ულვაში ადევს. უჰალსტუხო, გაღეღილ პერანგზე, მარცხნივ, თეთრ-მწვანე ლენტა აქვს მიმაგრებული – ალბათ, რამე მედალია. ხარაზიც აქ არის.

– ფრანგო, შენ შვიდი თვის გაქცევის შემდეგ დაგიჭირეს. რას აკეთებდი ამ ხნის განმავლობაში?

– გვახიროლებთან ვიყავი.

– ნუ დამცინი, თორემ შეგისწორებ.

– სიმართლეს ვამბობ.

– არავის არასდროს არ უცხოვრია ინდიელებთან. მარტო წელს სანაპიროს ოცდახუთზე მეტი მცველი მოკლეს.

– არა, სანაპიროს მცველები კონტრაბანდისტებმა მოკლეს.

– საიდან იცი?

– შვიდი თვე ვიცხოვრე იქ. გვახიროები არადროს გამოდიან თავისი ტერიტორიიდან.

– კარგი, შეიძლება ეს მართალიც იყოს. სად მოიპარე ოცდათექვსმეტი ოქროს მონეტა?

– ჩემია. მთებში მცხოვრები ერთ-ერთი ტომის ბელადმა, ხუსტომ მაჩუქა.

– როგორ შეიძლება, ინდიელმა ასეთი სიმდიდრე მოგცეს?

– მითხარით, უფროსო, სადმე დაიკარგა ასპესოიანი მონეტები?

– არა, რაც მართალია, მართალია, ბიულეტენებში ასეთი რამ არ ყოფილა, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა გადავამოწმოთ.

– ეს ჩემს სასარგებლოდ იქნება.

– ფრანგო, შენ რიო-აჩას ციხიდან გაქცევით დიდი დანაშაული ჩაიდინე, მაგრამ უფრო დიდი დანაშაული ის არის, რომ თან ანტონიო გაიყოლე, რომელიც სანაპიროს მცველთა მკვლელობისათვის უნდა დახვრეტილიყო. ჩვენთვის ცნობილია, რომ საფრანგეთი გეძებთ, სადაც სამუდამო პატიმრობა გქონდათ მოსჯილი. შენ საშიში მკვლელი ხარ. მინდა, დარწმუნებული ვიყო, რომ აქედანაც არ გაიქცევი და ამიტომ იმ ფრანგებთან ვერ დაგტოვებ. ბარანკილიაში წაყვანამდე დილეგში ჩაგსვამთ. თუ დამტკიცდა, რომ მოპარული არ არის, ოქროს მონეტებს დაგიბრუნებთ.

გამოვდივართ, მინისქვეშ ჩასასვლელ კიბეებზე ჩავდივართ დაახლოებით ოცდახუთ საფეხურს და ცუდად განათებულ დერეფანში შევდივართ. მარჯვნივ და მარცხნივ გალიებია. ერთ-ერთ მათგანში მაგდებენ და როცა კარი იხურება, ცხვირში წებოვანი მიწიდან ამომავალი სიმყრალე მცემს. თითოეულ გისოსებიან სოროში ორი-სამი პატიმარია. ყოველი მხრიდან მესმის: ფრანგო, ფრანგ, რა ჩაიდინე? რატომ ხარ აქ? იცი, რომ სიკვდილის დილეგში მოხვდი?

– გაჩუმდით, მოუსმინეთ! – ყვირის ერთი ხმა.

– ჰო, მე ფრანგი ვარ. აქ იმიტომ ვარ, რომ რიო-აჩას ციხიდან გავიქეცი.

ჩემი დამტვრეული ესპანური კარგად გაიგეს.

– მომისმინე და დაიმახსოვრე, ფრანგო: საკნის სიღრმეში ფიცარია დასაწოლად, მარჯვნივ – წყლის ჭურჭელი. გამოიზოგე, რადგან წყალს მხოლოდ დილაობით გვაძლევენ და არავინ დაგიმატებს. მარცხნივ – სათლია ტუალეტისთვის. ქურთუკი დააფარე, ეს იგი აქ არ გჭირდება, რადგან ძალიან ცხელა. დააფარე, რომ სიმყრალე არ ამოვიდეს. ჩვენც ასე ვიქცევით.

გისოსებთან ახლოს მივდივარ, რათა სახეები დავინახო, მაგრამ მხოლოდ ორს ვარჩევ – იმათ, რომლებიც ჩემ წინ არიან და ფეხები გისოსებიდან გამოუყვიათ. ერთს გაესპანელებული ინდიელის სახე აქვს. იმ პოლიციელებს ჰგავს, მე რომ რიო-აჩაში დამაკავეს. მეორე; ახალგაზრდა, ლამაზი ჭაბუკია, ღია შავი ფერის კანით, შავი მაფრთხილებს, რომ ყოველ მოქცევაზე წყალი დილეგებში შემოდის. ამისი არ უნდა შემეშინდეს, რადგან წყლის დონე არასდროს მუცელზე მაღლა. ადის. ვირთა-

გვები თუ ამაცოცდებიან, არ უნდა ვცადო მათი დაჭერა, უნდა მხოლოდ უნდა გავრეკო, თორემ დამკბენენ.

– რამდენი ხანია, დილეგში ხარ? – ვეკითხები.

– ორი თვეა.

– სხვები?

– სამ თვეზე მეტით არავის არ სვამენ. თუ ვინმემ სამ თვეს გადააცილა, ეს ნიშნავს, რომ აქ უნდა მოკვდეს.

– ვინმემ გაძლო ამაზე მეტი?

– ერთი უკვე რვა თვეა, აქ არის, მაგრამ დიდი დღე აღარ უწერია. აი, უკვე ერთი თვეა, მხოლოდ მუხლებზე წამოდგომას ახერხებს. ერთხელაც, დიდი მოქცევის დროს, დაიხრჩობა.

– ველურების ქვეყანა გქონიათ!

– არასოდეს მითქვამს, რომ ცივილიზებულები ვართ. ისე, არც შენია ნაკლები, რაკი სამუდამო პატიმრობა მოგისაჯეს. აქ, კოლუმბიაში, ან სიკვდილს გისჯიან, ან ოც წელს; სამუდამოს – არასოდეს.

– ასეა, ყველა ქვეყანა ერთნაირია.

– ბევრი მოგიკლავს?

– არა, ერთი.

– შეუძლებელია. ერთის მოკვლისთვის ასე არ სჯიან.

– გარწმუნებ, ასეა.

– მაშინ, ხედავ? შენი ქვეყანაც ისეთივე ველური ყოფილა, როგორიც ჩემი.

– კარგი, ჩვენს ქვეყნებზე ნუ ვიკამათებთ. მართალი ხარ, პოლიცია ყველგან ერთი ქაქია. შენ რა ჩაიდინე?

– მე ერთი კაცი, მისი ქალიშვილი და ცოლი დავხოცე.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩემი პატარა ძმა ნეზვს გადაუგდეს შესაჭმელად.

– შეუძლებელია! რა საშინელებაა!

– ჩემი ძმა ყოველდღეს ქვებს ესროდა მათ შვილს და რამდენჯერმე თავიც გაუტეხა.

– ეს გამართლება არ არის.

– მეც ეგ ვთქვი, როცა გავიგე.

– როგორ გაიგე?

– ჩემი პატარა ძმა გაუჩინარდა და ორ დღეს ვეძებდით. მესამე დღეს მისი სანდალი ნეხვში ვიპოვეთ. ეს ნეხვი იმ ბაკიდან ჰქონდათ გამოტანილი, სადაც ნეზვი ჰყავდათ. ქექვისას თეთრი, სისხლიანი წინდა ვიპოვე. მივხედი. ქალმაც ყველაფერი აღიარა. სანამ მოვკლავდი, ლოცვა ვათქმევინე. თოფის პირველი გასროლით მამას ფეხი მოვტეხე.

– კარგი გიქნია, რომ მოკალი. რას გიზამენ?

– სულ დიდი, ოცი წელი მომცენ.

– დილეგში რატომ ხარ?

– აქ ერთი მათი გვარის ოფიცერი იყო და იმას გავარტყი. უკვე სხვაგან გადაიყვანეს. ახლა მშვიდად ვარ.

დერეფნის კარი იღება. ერთი დარაჯის თანხლებით ორ პატიმარს ძელზე ჩამო-

კიდებული ხის კასრი მოაქვს. მათ უკან, სიღრმეში, ორი სხვა თოფიანი დარაჯი დგება. საკნებს მოუყვებიან, პარაშა გამოაქვთ და კასრში ცლიან. შარდისა და განავლის სუნისაგან მოწამლული ჰაერი გვახრჩობს. ხმას არავინ იღებს. როცა ჩემამდე მოდიან, ის, ვინც ჩემს სათლს იღებს, მიწაზე რაღაც კოლოფს აგდებს. ფეხით სწრაფად ვაგდებ საკნის სიღრმეში, სადაც სიბნელეა. როცა მიდიან, კოლოფს ვხსნი და შიგ ორ ყუთ სიგარეტს, სანთებელას და ფრანგულად დაწერილ ბარათს ეპოულობ. ჯერ ორ სიგარეტს ვუკიდებ და იმ ორს ვუგდებ. მერე მეზობელს ვეძახი. ხელს მიწვდის და სიგარეტს იღებს, რათა სხვებსაც გადააწოდოს. ამის შემდეგ ჩემთვისაც ვუკიდებ და ვცდილობ, დერეფნის სინათლეზე ბარათი წავიკითხო. ვერ ვახერხებ. მაშინ, რამდენიმე ცდის შემდეგ იმ ქაღალდს ვანთებ, რომელიც ყუთს ჰქონდა შემოხვეული. სწრაფად ვკითხულობ: „გამაგრდი, პაპიონ, ჩვენი იმედი გქონდეს. ყურადღებით იყავი, ხვალ ქაღალდსა და ფანქარს გამოგიგზავნით. მოგეწერე. სიკვდილამდე შენთან ვართ“.

ეს სიტყვები გულში სითბოს მიღვრის და ძალას მმატებს. მარტო არ ვარ, ჩემზე მეგობრები ფიქრობენ! ხმას არავინ იღებს. ყველა ეწევა. სიგარეტების განაწილებით თუ ვიმსჯელებთ, ამ დილეგში ცხრამეტნი ვართ. რას იზამ, მე ისევ წუმპეში ვარ და ამჯერად ყელამდე ვზივარ ტალახში! მაღალი ღმერთის ის მოწყალების დები ეშმაკის მსახურები აღმოჩნდნენ. რა სისულელე ჩავიდინე, რომ ვენდე. არა, არა მგონია იმათი ჩაშვებული ვიყო. იქნებ მეფურგონემ? ორჯერ თუ სამჯერ გაუფრთხილებლობა გამოვიჩინე და ფრანგულად დავილაპარაკე. ალბათ გაიგო. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს? მე სიდამპლეში ვარ და აჯერად კარგა მყარადაც. დებმა ჩამიშვეს, მეეტლემ, თუ დედა მონაზონმა – შედეგი ერთი და იგივეა: ვაგდივარ ახლა ამ საზიზღარ ჯურღმულში, რომელიც, როგორც ჩანს, დღეში ორჯერ წყლით ივსება. ისე ცხელა, რომ ჯერ პერანგს ვიხდი, მერე შარვალს, ფეხსაცმელებს და გისოსებზე ვკიდებ.

„ორი ათას ხუთასი კილომეტრი იმისთვის გადავლახე, რომ აქ მოვხვედრილიყავი? სამარცხვინო შედეგია! ღმერთო, აქამდე ასე დიდსულოვანი იყავი ჩემ მიმართ და ახლა აპირებ, მიმატოვო? იქნებ იმის გამო გაბრაზდი, რომ ჭეშმარიტად მშვენიერი თავისუფლება მომეცი და მე არ დაგიფასე? ერთის მაგივრად ორი ცოლი მარგუნე: მაჩუქე ზღვა, მზე, ქოხი, სადაც ბატონივით ვცხოვრობდი. რა ტკბილი, მშვიდი და უბოროტო იყო ის პრიმიტიული სამყარო! მე კი არ დაგიფასე! არც ის ლურჯ-მწვანე ზღვა (თუნდაც შავი ყოფილიყო), და არც მშვიდობისმყოფელი მზის ჩასვლა-ამოსვლა. მე გავექეცი ცხოვრებას, სადაც არაფერი მაკლდა, სადაც ფული არაფერს წარმოადგენდა. რატომ, სად მივიჩქაროდი? – იმ საზოგადოებისაკენ, რომელსაც ჩემი გაგება და ჩემში ადამიანის დანახვა არ უნდა?! რომელიც თავს არ იწუხებს, გაარკვიოს, შეიძლება, თუ არა დანაშაული გამოვისყიდო?! იმ სამყაროსაკენ, რომელიც ხელს მკრავს და მხოლოდ იმას ცდილობს, რომ საბოლოოდ გამანადგუროს?!

ალბათ, გამოჩნდება ვინმე ჟურნალისტი და ჩემი დაჭერის ამბავს საფრანგეთამდე მიიტანს. როგორი კმაყოფილი დარჩებიან ამ ამბით ის თორმეტი „ყველის ნაჭერი“ ჟიურის წევრი, დამპალი პოლენი და „ძაღლები“!

ჩემი ახლობლები? როგორ გაუხარდებოდათ, როცა ჟანდარმები მივიდოდნენ და გაიგებდნენ, რომ მათი შვილი და ძმა გაიქცა! ჩემი დაჭერის ამბავი მათ ხელმეორე ტანჯვას მიაყენებს!

შევცდი, როცა ჩემი ტომი უარყავი. კი, მე უფლება მაქვს, ვთქვა: – „ჩემი ტომი", – რადგან მან შვილად მიმიღო და ამ შეცდომის გამო ღირსი ვარ, რაც დამემართა. და მაინც... ციხიდან იმიტომ არ გამოვქცეულვარ, რომ სამხრეთ ამერიკის ინდიელები გავამრავლო. გამიგე, ღმერთო, მე უნდა დავუბრუნდე ცივილიზებულ სამყაროს, უნდა დავამტკიცო, რომ მისთვის ხიფათს არ ნარმოვაღგენ, სხვაზე ნაკლები არა ვარ და უფლება მაქვს, მისი ნაწილი ვიყო. მე ამას მივაღწევ, ღმერთო, შენი დახმარებით და შენთან ერთად!"

ვეწევი. წყლის დონე მატებას იწყებს, უკვე კოჭებში შემიდგა.

– წყალი რამდენ ხანს რჩება საკანში? – გავძახი შავს.

– ეს მოქცევის ძალაზეა დამოკიდებული. ერთი საათი, სულ დიდი – ორი. – Esta llegando მოდის! – ყვირიან ირგვლივ.

ნელა, ძალიან ნელა, წყალი მაღლა იწევს. მეტისი და შავი უკვე გისოსებზე აცოცებულან და ფეხები დერეფანში გამოუყვიათ. რაღაც ფართხალებს. ვირთხაა. გისოსებზე ამოცოცებას ცდილობს. ფეხსაცმელს ვიღებ და, როცა ჩემსკენ მოდის, თავში ძლიერად ვურტყამ. ჭყიპინით დერეფანში გარბის.

– ფრანგო, თუ ნადირობა დაიწყე, ვერასოდეს მორჩები, ყველას ვერ მოკლავ. აძვერი გისოსებზე, ძელებზე დაეკიდე და წყნარად იჯექი, – მეუბნება შავი.

ვუჯერებ, მაგრამ გისოსები საჯდომში მესობა და ამ მდგომარეობაში ვერ ვძლებ. მაშინ პარაშას ჩემს ქურთუკს ვაცლი, ვეცავ და ქვეშ ვიდებ. ახლა უკეთესად ვარ.

წყლის ამგვარი შემოტევის დროს ყველაზე დამამცირებელი და საზიზღარი ის არის, რომ მას ათასგვარი მრავალფეხა და კიბო მოჰყვება, მიქცევის დროს კი ტალახის სქელი, წებოვანი ფენა რჩება. ფეხსაცმელებს ვიცვამ, რადგან არ მინდა, ამ შლამში შიშველი ფეხი ჩავდგა. ის შავი ათიოდე სანტიმეტრის ფიცარს მიგდებს და მეუბნება ტალახი იმით გადავხვეტო. ჯერ იმ ადგილას, სადაც უნდა დავიძინო. ეს მთელ ნახევარ საათს მართმევს და მხოლოდ ამაზე ვფიქრობ. თერთმეტი საათია. წყალი ჯერ ექვსი საათის განმავლობაში იქით მიდის და მერე ხუთი საათი სჭირდება აქამდე მოსასელელად. ამაზე რომ ვფიქრობ, მეცინება:

„პაპიონ, შენი ბედი მუდმივად ზღვის მიმოქცევებთან არის გადახლართული. მთვარეს, გინდა თუ არ გინდა, დიდი მნიშვნელობა აქვს შენთვის. მიქცევის წყალობით იყო, რომ მარონიდან ასე თავისუფლად გამოხვედი და კატორღას გაექეცი; ასევე მოხდა ტრინიდადსა და კურასაოშიც და, თუ რიო-აჩაში დაგაპატიმრეს, სუსტი მიქცევის ბრალი იყო – ნაპირიდან დროულად მოცილება ვერ შეძელი. მიმოქცევამ არც აქ დაგივიწყა!

თუ ეს გვერდები ოდესმე გამოიცემა, იმის მოსმენაზე, თუ რა გადავიტანე კოლუმბიის ამ ჯურღმულში, ვინმე კეთილი გულის ადამიანს შევებრალები, მაგრამ იმ თორმეტი ნაბუშარი ყველის ნაჭრისა და პროკურორის თანამოაზრენი იტყვიან, ახი იყო მასზე, დატეულიყო კატორღაში და ეს არ დაემართებოდაო. რას იზამ! გსურთ, ერთი რამ გითხრათ როგორც თქვენ, კეთილო ხალხო, ისე ნაბიჭვრებო?! მე სასონარკვეთას სულაც არ მივცემივარ; მეტსაც გეტყვით: მირჩევნია აქ, ესპანური ინკვიზიციის დროინდელ, კოლუმბიის ძველ ციხესიმაგრეში ვიჯდე, ვიდრე ხსნის კუნძულებზე ვიყო. აქ გაქცევის მეტი საშუალება მაქვს და, თუმცა დამპალ სოროში ვაგდივარ, კატორღიდან ორი ათას ხუთას კილომეტრში ვარ! დიდი სიფრთხილე მართებთ, რათა ეს არ გამომივიდეს. მხოლოდ იმას ვნანობ, რომ მივა-

ტოვე ჩემი ტომი, ლალი, ზორაიმა და ის თავისუფალი ბუნება, სადაც ცივილიზებული კომფორტი არ იყო, მაგრამ, არც პოლიცია, ციხე და, მით დილეგი არსებობდა. დარწმუნებული ვარ, ჩემს ველურებს არასოდეს მოუვიდოდათ აზრად, მტრისათვის მიეყენებინათ ამგვარი ტანჯვა, მით უფრო – ჩემნაირი კაცისთვის, ვისაც კოლუმბიელების მიმართ არაფერი ცუდი არ ჩაუდენია."

ფიცარზე ვწვები და ორ თუ სამ სიგარეტს დილეგის სიღრმეში ვეწევი, რათა სხვებმა არ დამინახონ. ფიცარს რომ ვუბრუნებდი, ერთი მოკიდებული სიგარეტი შავსაც ვესროლე და ისიც ჩემსავით იქცევა. თითქოს არაფერია, მაგრამ ამ დეტალებს ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ამტკიცებს, რომ ჩვენ, საზოგადოების ხორცმეტებს, ელემენტარული სირცხვილის გრძნობა კიდევ შემოგვრჩა.

ვის შეეძლო პოლიციისათვის ეცნობებინა, რომ მონასტერში ვიყავი? თუ ოდესმე გავიგებ, გადავუხდი! მერე თავს ვეუბნები: „ნუ ახურებ, პაპიონ! შურის საძიებელი იმდენი გაქვს საფრანგეთში, რომ ამ გადაკარგულ ქვეყანაში ბოროტების ჩასადენად არ ჩამოხვალ! შენს დამბეზღებელს ღმერთი აუცილებლად დასჯის. თუ ოდესმე მობრუნდი, ეს მხოლოდ იმისთვის უნდა მოხდეს, რომ ლალის, ზორაიმას, შენს შვილებსა და გვახიროლებს, რომლებმაც ასეთი პატივით მიგიღეს თავისიანად, ბედნიერება მოუტანო. მართალია, ისევ სიდამპლის გზაზე, ნყალქვეშა დილეგში მეთვალყურეობის ქვეშ ვარ, მაგრამ ეს მაინც გაქცევაა და თავისუფლების გზას ვადგავარ. ამის უარყოფა არ შეიძლება."

მივილე ქაღალდი, ფანქარი და ორი კოლოფი სიგარეტი. სამი დღეა, დილეგში ვაგდივარ. უნდა მეთქვა, სამი ღამე, რადგან აქ სულ ღამეა. სიგარეტის კოლოფს „Piel Roja" აწერია. სანამ ვუკიდებ, პატიმრების ერთმანეთის მიმართ ერთგულების გამო აღფრთოვანება მიპყრობს. ისინი თავს უდიდეს საფრთხეში იგდებენ. კოლუმბიელს, რომელმაც ეს ყუთი შემომაწოდა, გამოჭერის შემთხვევაში დილეგი არ ასცდება. მან ეს, რა თქმა უნდა, იცის და მაინც თანხმდება, დამეხმაროს. ეს არა მარტო მის გამბედაობას, არამედ იშვიათი ღირსებების ქონასაც ამტკიცებს. ისევ ანთებული ქაღალდის შუქზე ვკითხულობ: „ვიცით, რომ უძლებ. ბრავო! მოგვწერე ხოლმე. ჩვენ ძველებურად ვართ. შენ სანახავად ერთი მშვენიერი, ფრანგულად მოლაპარაკე მოწყალების და მოვიდა. ჩვენამდე არ შემოუშვეს, მაგრამ ერთმა კოლუმბიელმა მოახერხა ეთქვა, რომ დილეგში ხარ. მას უთქვამს: „მე დავბრუნდები". სულ ეს არის. გკოცნით. შენი მეგობრები."

პასუხის მიწერა ადვილი არ არის, მაგრამ მაინც ვახერხებ: „გმადლობთ ყველაფრისათვის. კარგად ვარ. ვუძლებ. მისწერეთ საფრანგეთის კონსულს – ვინ იცის, რა შედეგი მოჰყვება! მხოლოდ ერთმა შემომიგზავნოს ხოლმე, რათა გამოჭერის შემთხვევაში ბევრი სხვა არავინ დაისაჯოს. არ შეეხოთ ისრების წვერებს. გაუმარჯოს გაქცევას!"

გაქცევა რიო–აჩადან

ამ ჯოჯოხეთიდან მხოლოდ ოცდაშვიდი დღის შემდეგ გამოვედი ბელგიის კონსულის დახმარებით. მას კლაუზენი ჰქვია. ზანგი სამი კვირით ადრე გავიდა და პაემნის დროს დედისთვის უთქვამს, რომ დილეგში ერთი ბელგიელიაო. ეს აზრი იმიტომ გასჩენია, რომ ერთხელ უნახავს, როგორ ეწვია კონსული ვილაც ბელგიელ პატიმარს.

მოკლედ, ერთ დღეს კომენდანტის კაბინეტში მიძახიან. იგი მეუბნება:

– თქვენ ფრანგი ხართ. რატომ სთხოვთ დახმარებას ბელგიის კონსულს?

კაბინეტის სავარძელში ვიღაც თეთრებში ჩაცმული პატარა ტანის, ორმოცდაათიოდე წლის, ქერა, თითქმის თეთრთმიანი კაცი ზის, რომელსაც მრგვალი, ვარდისფერი სახე აქვს და მუხლებზე ტყავის ჩანთა უდევს.

– ამას თქვენ ამბობთ. ვაღიარებ, რომ საფრანგეთის სამართალს გაევექეცი, მაგრამ ბელგიელი ვარ.

– აი, ხომ ხედავთ! – ამბობს პატარა კაცი.

– რატომ აქამდე არ თქვით?

– არ მეგონა, თუ ამას თქვენთვის რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა. მე თქვენს მიწაზე მართლაც არ ჩამიდენია დანაშაული, გარდა გაქცევისა, რაც ყველა პატიმრისათვის ნორმალური უნდა იყოს.

– Bueno, დაგტოვებ შენს ამხანაგებთან, მაგრამ, Senor, – მიუბრუნდა იგი კონსულს, – გაქცევის პირველსავე ცდაზე დავაბრუნებ იქ, საიდანაც მოვიდა. – შემდეგ კი ზედამხედველებს მიმართა: – წაიყვანეთ პარიკმახერთან და მერე თავის ძმაკაცებთან დააბრუნეთ!

– გმადლობთ, ბატონო კონსულო, ჩემი გულისათვის თავი რომ შეიწუხეთ.

– ღმერთო ჩემო, ალბათ როგორ იტანჯებოდით იმ საშინელ დილეგში! ჩქარა, წადით აქედან, ამ ცხოველმა აზრი არ შეიცვალოს! კიდევ გნახავთ.

დალაქი ადგილზე არგეხვდება და ჩემს მეგობრებთან მაბრუნებენს. ეტობა, საშინელი სიფათი მაქვს, რადგან გაუთავებლად იმეორებენ:

– არა, შეუძლებელია! ეს შენ არა ხარ! შეუძლებელია! რა გიქნეს ამ არამზადებმა? გეელაპარაკე, გვითხარი რამე. დაბრმავდი? თვალებზე რა დაგემართა? რატომ ახამხამებ გაუჩერებლად?

– იმიტომ, რომ ამ სინათლეს ვერ ვეგუები.

მეტისმეტად ნათელი დღე წყვდიადს მიჩვეულ თვალებს მჭრის. ვჯდები და საკნის სილრმისკენ ვიყურები – ასე უკეთესია.

– საშინელი სუნი აგდის, დაუჯერებელია! სხეული სულ გიყარს!

ეშიშვლდები და ისინი ჩემს ტანსაცმელს კართან ყრიან. მკლავები, ზურგი და ფეხები წითელი, ჩვენებური ბაღლინჯოს ნაკბენის მსგავსი ლაქებით მაქვს დაფარული. ეს იმ პატარა კიბოების ნამოქმედარია, მოქცევის დროს რომ ტივტივებდნენ ჩემს დილეგში საბედნიეროდ, სარკე არ არის, რომ ჩემი გაუბედურებული სხეული დავინახო. ეს ხუთი კატორღელი, ვისაც ამდენი რამ უნახავს, ჩემი ტანის დანახვაზე ხმას ვეღარ იღებს. კლუზიო ერთ პოლიციელს უძახის და ეუბნება, რომ, დალაქი თუ არ ჩანს, წყალი ხომ მოდის. ის პასუხობს, რომ ეზოში გამოსვლის დროს უნდა დაველოდოთ.

ეზოში მთლად შიშველი გავდივარ. კლუზიოს სუფთა ტანსაცმელი მოაქვს. მატურეტის დახმარებით, აქაური შავი საპნით ვიხეხები. რაც მეტს ვიბან, მით უფრო მეტი ჭუჭყი ჩამომდის. როგორც იქნა, რამდენიმე გასაპენისა და გახეხვის შემდეგ, თავს სუფთად ვგრძნობ. მზე ხუთ წუთში მაშრობს და ვიცვამ. დალაქი მოდის. მე ვეუბნები:

– თავი ნორმალურად გამკრიჭე და გამპარსე, გადაგიხდი.

– რამდენს?

– ერთ პესოს.

– კარგად გაპარსე და ორს გადაგიხდი, – ეუბნება კლუზიო.

დაბანილს, გაკრეჭილს, გაპარსულსა და სუფთა ტანსაცმელში გამოწყობილს თავი მკვდრეთით აღმდგარი მგონია. მეგობრები ჩემს გამოკითხვას განაგრძობენ:

– წყალი? რა დონეზე? ვირთხები? და მრავალფეხები? ტალახი? კიბოები? კარიდან განავალი ამოდის და ტივტივებს? მკვდრები? ეს ბუნებრივი სიკვდილი იყო, თუ თავი ჩამოიხრჩვეს? იქნებ პოლიციელები „დაეხმარნენ" თვითმკვლელობაში?

შეკითხვებს ბოლო არ უჩანს და ამდენი ლაპარაკისგან ხშირად მწყურდება. ეზოში ყავის გამყიდველია. იმ სამი საათის განმავლობაში, რაც ეზოში ვიყავით, არანაკლებ დუჟინი papelon-ით (კასონადით) დაშაქრული მაგარი ყავა დავლიე. მაშინ ის მსოფლიოში საუკეთესო სასმელად მეჩვენებოდა. ის ზანგი, რომელიც დილეგში ჩემ წინ იჯდა, სანახავად მოდის. იგი ჩურჩულით მიყვება ბელგიის კონსულთან დედამისის მისვლის ამბავს. ხელს ვართმევ. ამაყობს, რომ ჩემი გამოსვლის მიზეზი გახდა. ბედნიერი ღიმილით მეუბნება:

– დღეისთვის გვეყოფა, ხვალ განვაგრძოთ.

ჩემი მეგობრების საკანი სასახლე მგონია. კლუზიოს საკუთარი ფულით ნაყიდი ჰამაკი აქვს. მაიძულებს, მასში მოვისვენო და უკვირს, როცა მხედავს, რომ შიგ გარდიგარდმო ვწვები. ვუხსნი, რომ თუ ის სიგრძეზე წევება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჰამაკის ხმარება არ იცის.

დღისა და ღამის ნაწილს დომინოსა და ესპანური კარტებით თამაშში, ჭამა-სმასა და ძილსში ვატარებთ. ველაპარაკები პოლიციელებსა და კოლუმბიელ პატიმრებს, რათა ესპანურში გავიწაფო. ძნელია საღამოს ცხრა საათზე დაწოლა. მაშინვე სენლორანის ჰოსპიტლიდან სანტა-მარტამდე ჩემი გაქცევის დეტალები მიდგება თვალწინ, ფილმის კადრებივით მწკრივდებიან და გაგრძელებას ითხოვენ. აუცილებლად გაგრძელდება! დამიჯერეთ, მაცალეთ, ძალები მოვიკრიბო და აუცილებლად იქნება ახალი ეპიზოდები! ჩემი ისრები ხელუხლებელი დამხვდა. აქ არის კოკას ორი ფოთოლიც, ერთი გამხმარა, მეორეს ჯერ კიდევ დაჰკრავს სიმწვანე. ვლეჭავ. ყველა განცვიფრებული მიყურებს. ვუხსნი, რომ ეს ის ფოთლებია, რისგანაც კოკაინს აკეთებენ.

– დაგვცინი!

– გასინჯე!

– ჭართლაც, ენასა და ტუჩებს აბრუებს!

– ამას აქ არ ყიდიან?

– არ ვიცი.

– კლუზიო, „ქისას" როგორ იღებ ხოლმე, როცა ფული გჭირდება?

– რიო-აჩაში ყოფნისას გადავცვალე და ახლა ფული ყველას თვალწინ მაქვს.

– მე ოცდათექვსმეტი ასპესოიანი ოქროს მონეტა მაქვს დატოვებული კომენდანტთან. თითოეული სამასი აქაური პესო ღირს. ამ დღეებში მოვიკითხავ.

– ესენი დამშეულები არიან, ჯობია, საქმე შესთავაზო.

– კარგი იდეაა.

კვირას ბელგიის კონსულსა და ბელგიელ პატიმარს ველაპარაკე. ეს პატიმარი ბანანების ამერიკულ კომპანიასთან სიტყვის გატეხვის გამო ზის. კონსული ჩვენს დაცვას კისრულობს. იგი ქაღალდს მავსებინებს, სადაც ვაცხადებ, რომ ბრიუსელში დავიბადე და ბელგიელი მშობლები მყავდა. მოვუყევი მონაზვნებისა და მარგალი-

ტების ამბავი. იგი პროტესტანტია და მათ არ იცნობს, მხოლოდ ეპისკოპოსს იცნობს შორიდან. რაც შეეხება მონეტებს, მირჩევს, ჯერ არ მოვიკითხო, ძალიან სახიფათოა:

– ბარანკილიაში გადაყვანამდე ოცდაოთხი საათით ადრე გაგვაფრთხილებენ და მაშინ მათ მოთხოვნას ჩემი თანდასწრებით შეძლებთ, რადგან, რამდენადაც გავიგე, მოწმეებიც გყავთ, – მეუბნება ის.

– კეთილი.

– ახლა არაფერი მოითხოვოთ. მას შეუძლია, ისევ იმ საშინელ ჯურღმულში ჩაგაგდოთ და გამორიცხული არ არის, თქვენი თავი ვინმეს მოაკლევინოს. აქ ასპესოიანი ნამდვილი სიმდიდრეა, რადგან თითოეული სამასი პესო კი არა, როგორც თქვენ გგონიათ, არამედ ხუთას ორმოცდაათი ღირს. ასე რომ, ეს დიდი თანხაა. ეშმაკი არ უნდა აცთუნო. რაც შეეხება მარგალიტებს, ეს სხვა საქმეა. დრო მომეცით, ვიფიქრო.

იმ შავს ვეკითხები, ჩემთან ერთად ხომ არ გაიქცევი და რა უნდა ვიღონოთ-მეთქი.

გაქცევის გაგონებაზე კანი ნაცრისფერი უხდება:

– გეხვეწები, ამაზე არც კი იფიქრო. თუ არ გამოგივა, ეს ნელ, საშინელებით აღსავსე სიკვდილს უდრის. ამის გემო უკვე იცი. დაელოდე სხვაგან გადაყვანას, მაგალითად, ბარანკილიაში. აქ ეს თვითმკვლელობის ტოლფასია. თუ სიკვდილი არ გინდა, წყნარად იყავი. მთელ კოლუმბიაში ასეთ, შენთვის უკვე ნაცნობი დილეგის მაგვარს ვერსად შეხვდები. რატომ გინდა ჩაიგდო თავი საფრთხეში?

– კი, მაგრამ, აი, იქიდან, სადაც კედელი შედარებით დაბალია, ათესვა ადვილი უნდა იყოს.

– Hombre, facil o no, ჩემი იმედი ნუ გექნება. ვერც ნამოვალ და ვერც დაგეხმარები. ამაზე ლაპარაკიც კი არ მინდა. ფრანგო, შენ ნორმალური კაცი კი არა, გიჟი ხარ, რაკი ამგვარ რამეებზე აქ, სანტა-მარტაში ფიქრობ, – და შეშინებული მშორდება.

ყოველდღე – დილით და ნაშუადღევს – იმ კოლუმბიელ პატიმრებს ვაკვირდები, ვინც დიდი საქმეებისათვის მოხვდნენ აქ. ყველას მკვლელის სიფათი აქვს, მაგრამ იმის შიში, რომ დილეგში ჩააგდებენ, ხელ-ფეხს უბორკავთ. ოთხი თუ ხუთი დღეა, რაც დილეგიდან ერთი დიდთავა კაცი გამოუშვეს. მას El Caiman-ი ჰქვია და უკიდურესად საშიში ადამიანის სახელი აქვს. ვეცნობი. მერე, ორი თუ სამი სეირნობის შემდეგ ვეუბნები:

– Caiman, quieres fugarte conmigo (კაიმან, გინდა ჩემთან ერთად გაქცევა)? – ისე მიყურებს, თითქოს ეშმაკი გამოეცხადაო და მეუბნება:

– და, თუ ჩავვარდით, ისევ იქ დავბრუნდე, საიდანაც ამოვედი?! არა, გმადლობთ, იქ დაბრუნებას დედის მოკვლა მირჩევნია.

ეს ჩემი ბოლო ცდა იყო, გაქცევაზე აღარავის დაველაპარაკები.

ერთ ნაშუადღევს ვხედავ, ციხის კომენდანტი მიახლოვდება, ჩერდება, მიყურებს და მეუბნება:

– როგორ ხარ?

– კარგად, მაგრამ უკეთესად ვიქნებოდი, ჩემი ოქროს მონეტები რომ მქონდეს.

– რატომ?

– ადვოკატის დაქირავებას შევძლებდი.

– წამოდი ჩემთან.

კაბინეტში შევყავარ. მარტო ვართ. სიგარას მიწვდის – კარგია! მიკიდებს – მით უკეთესი!

– იცი იმდენი ესპანური, რომ, თუ ნელა ვილაპარაკებ, გაიგო და გარკვევით გამცე პასუხი?

– დიახ.

– კარგი. შენ ამბობ, რომ გინდა, შენი ოცდაექვსი მონეტა გაყიდო.

– არა, ოცდათექვსმეტი.

– ა, დიახ, დიახ! და ამ ფულით ადვოკატი დაიქირავო? კი მაგრამ, ჩვენ ორს გარდა სხვამ არავინ იცის ამ მონეტების არსებობის შესაახებ.

– როგორ არა, იცის სერჟანტმა და იმ ხუთმა კაცმა, ვინც დამაკავა, აგრეთვე მეორე კომენდანტმა, რომელმაც ისინი ჩამომართვა და თქვენ გადმოგცათ. ამის შესახებ იცის ჩემმა კონსულმაც.

– აააა, Bueno, უკეთესიც კია, ამდენმა რომ იცის – ღიად ვიმოქმედებთ. იცი, მე შენ დიდი სამსახური გაგიწიე – შეკითხვები არ გამიგზავნია მონეტების ქურდობის თაობაზე.

– ეს ხომ თქვენი მოვალეობა იყო?

– არა, შენს სასიკეთოდ ჯობდა, ასე მოექცეულიყავი.

– მადლობას გიხდით, კომენდანტო.

– მათი გაყიდვა გინდა?

– გააჩნია, რამდენად.

– ვთქვათ, იმ ფასად, როგორც შენ მაშინ მითხარი – სამასი პესო გადამიხადესო. შენი დახმარებისთვის მონეტაში ას პესოს მომცემ. რას იტყვი?

– არა, შენ მე დამიბრუნებ მონეტებს ათ-ათად, მე კი თითოეულში მოგცემ ორას პესოს – ეს ღირს იმად, რაც ჩემთვის გააკეთე.

– ფრანგო, შენ ძალიან ეშმაკი ჩანხარ. მე ერთი საბრალო, მიმნდობი კოლუმბიელი ოფიცერი ვარ და ცოტა გულუბრყვილოც. შენ განათლებული ხარ და, როგორც უკვე გითხარი, ძალიან ეშმაკი.

– კარგი, მაშ რა გონივრული წინადადების შემოთავაზებას აპირებ?

– ხვალ აქ, ჩემს კაბინეტში მყიდველს მოვიყვან. იგი ნახავს მონეტებს, ფასს გვეტყვის და მერე შუაზე გავიყოთ. ან ასე, ან – არაფერი, ან ბარანკილიაში ფულით წახვალ, ან მონეტებს საქმეს დავურთავ.

– ჩემი ბოლო წინადადება კი ასეთია: მყიდველი მოდის, ნახულობს მონეტებს და რასაც თითოზე სამას ორმოცდაათ პესოზე მეტს მომცემს, შენია.

– Esta bien (კარგი), Tu tienes mi palabra (სიტყვას გაძლევ), მაგრამ, რას უზამ ასეთ დიდ თანხას?

– ფულის გადმოცემის დროს ბელგიის კონსულს მოაყვანინებ. ფულს იმას გავატან, რომ ადვოკატი დამიქირავოს.

– არა, მოწმე არ მჭირდება.

– ამით არაფერს კარგავ, ხელს მოვაწერ, რომ ჩემი ოცდათექვსმეტი მონეტა დამიბრუნე. დათანხმდი და, თუ არ გამაცურებ, სხვა საქმესაც შემოგთავაზებ.

– რომელს?

– მენდე. ისიც ისეთივე სარფიანია, როგორიც ეს და ორმოცდაათ პროცენტს მიიღებ.

– Cual es (რა საქმეა)? მითხარი.

– იჩქარე და თუ ხვალ სალამოს, ხუთ საათზე, ფული ჩემს კონსულთან იქნება, მეორე საქმესაც გეტყვი.

საუბარი გაგვიგრძელდა და როცა კმაყოფილი ეზოში ვბრუნდები, ჩემი მეგობრები უკვე საკანში არიან შესული.

– აბა, რა ხდება? – მეკითხებიან ინტერესით. ვუყურებ. ჩვენი მდგომარეობის მიუხედავად, სიცილით იხოცებიან:

– რა მელაა ეს სალახანა! მაგრამ შენ მას დროში დაასწარი. გგონია, ეს საქმე გაიჩარხება?

– ას პესოს ვდებ ორასის წინააღმდეგ. აბა, ვინმე ჩამოვა?

– არა, მეც ვფიქრობ, რომ გამოვა.

ღამეს ფიქრში ვატარებ: „პირველი საქმე მოგვარდა. რაც შეეხება მეორეს, ვფიქრობ კომენდანტი კმაყოფილი უნდა იყოს და მარგალიტების მოსატანად წავა. რჩება მესამე. მესამე... მესამე კი იქნება ის, რომ უფლება მომცეს, ვინმეს ჩემთვის ნავი მოვაპარინო. ამ ნავს იმ ფულით ვიყიდი, რომელიც „ქისაში" მაქვს. ვნახოთ, ცთუნებას თუ გაუძლებს. რას ეკარგავ? პირველი ორი საქმის შემდეგ ჩემს დასჯასაც ველარ გაბედავს. ვნახოთ. ჯერ გადახტი, „ჰოპლა" მერე დაიძახე. ბარანკილიას დაველოდო? რატომ? დიდ ქალაქში ციხეც დიდია, ესე იგი, უკეთესი დაცვა ჰყავს და კედლებიც უფრო მაღალი აქვს. ლალისთან და ზორაიმასთან უნდა დავბრუნდე. იქ რამდენიმე წელიწადს გავჩერდები, მერე მთების მესაქონლე ტომთან გადავალ და ვენესუელელებს დავუკავშირდები. რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა გავიქცე!" მთელ ღამეს გეგმებს ვანყობ, როგორ დავამთავრო გამარჯვებით მესამე საქმე.

მეორე დღეს მოვლენები სწრაფად ვითარდება: დილის ცხრა საათზე ჩემ ნასაყვანად მოდიან და მეუბნებიან, კომენდანტთან ვიღაც ბატონი გიცდისო. შევდივარ. პოლიციელი გარეთ რჩება. კაბინეტში ნაცრისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი, ნაცრისფერყელსახვევიანი კაცი ზის. მაგიდაზე კოვბოური სტილის დიდი ნაცრისფერი ფეტრის ქუდი დევს. ყელსახვევზე დიდი ნაცრისფერი მოვერცხლისფრო მარგალიტი უკეთია. ვერაფერს იტყვი: ამ გამხდარ და ხმელ კაცს ელეგენტურობა არ აკლია.

– გამარჯობა, მესიე!

– ლაპარაკობთ ფრანგულად?

– დიახ, მესიე, მე წარმოშობით ლიბანელი ვარ. გავიგე, ასპესოიანი მონეტები გაქვთ. მე ეს მაინტერესებს. გინდათ, თითოეულში ხუთასი პესო მოგცეთ?

– არა, ექვსას ორმოცდაათი.

– თქვენ ცუდად ხართ ინფორმირებული, მესიე! მათი მაქსიმალური ფასი ხუთას ორმოცდაათია.

– მომისმინეთ: რაკი მთლიანად ყიდულობთ, ექვსასად დაგითმობთ.

– არა, ხუთას ორმოცდაათი.

მოკლედ, ხუთას ოთხმოცზე ვთანხმდებით.

– ვაჭრობა დამთავრებულია.

– Que han dicho (რა თქვით)?

– ვაჭრობა დამთავრებულია. კომენდანტო, ხუთას ოთხმოცზე შევთანხმდით. გაყიდვა ნაშუადღევს შედგება.

ვაჭარი მიდის. კომენდანტი დგება და მეკითხება:

– ძალიან კარგი. აბა, რამდენია ჩემი?

– მონეტაში ორას ორმოცდაათი გხვდებათ. როგორც ხედავთ, თითოეულში ასი პესოთი მეტი გერგოთ, ვიდრე თქვენ ფიქრობდით.

იგი იღიმება და მეუბნება:

– მეორე საქმე?

– ჯერ არა, როცა კონსული ფულით წავა, მეორე საქმეს მაშინ მიიღებ.

– ესე იგი, მართლა არის მეორე საქმეც?

– სიტყვას გაძლევ, რომ არის.

– კარგი, ნეტავ, მართლა იყოს!

ორ საათზე კონსული და ლიბანელი აქ არიან. ეს უკანასკნელი ოცი ათას რვაას პესოს მითვლის. აქედან თორმეტი ათას ექვსასს კონსულს ვაძლევ, რვა ათას ორას ოთხმოცს – კომენდანტს. კომენდანტს ხელწერილს ვუწერ, რომ ჩემი ოცდათექვსმეტი ასპესოიანი ოქროს მონეტა გადმომცა. როცა მარტო ვრჩებით, დედა მონაზვნის ამბავს ვუყვები.

– რამდენი მარგალიტი იყო?

– ხუთასი თუ ექვსასი.

– ქურდია მონაზვნების დედა. მარგალიტები ან უნდა დაებრუნებინა, ან გამოეგზავნა, ან კიდევ – პოლიციისათვის ჩაებარებინა. მოვახსენებ, სადაც საჭიროა.

– არა, წახვალ მასთან და ჩემს ფრანგულად დაწერილ ბარათს გადასცემ. წერილზე ლაპარაკისას ირლანდიელი მონაზონი მოაყვანინე.

– მესმის: ირლანდიელმა უნდა წაუკითხოს და გადაუთარგმნოს შენი ბარათი. ძალიან კარგი. მივდივარ.

– ახლავე წერილს დაგიწერ.

– ჰო, მართლა! ხოსე! მანქანა მოამზადე ორი პოლიციელით, – უყვირის ნახევრად ღია კარიდან.

კომენდანტის მაგიდასთან ვჯდები და ციხის თავტიტულიან ქაღალდზე შემდეგ წერილს ვწერ:

„როდესაც ღმერთმა თქვენთან მომიყვანა, სადაც იმ დახმარების მიღებას ვფიქრობდი, რისი უფლებაც ქრისტიანული კანონებით ყველა დევნილს აქვს, პატივი მქონდა, თქვენთვის ჩემი საკუთარი, მარგალიტებით სავსე ქისა მომენდო, რათა თქვენც მომნდობოდით, რომ მაგ ჭერიდან, რომელიც ღვთის სახლს აფარია, თქვენი ნებართვის გარეშე არ წავიდოდი. ვიღაც უნამუსო არსებამ თავის მოვალეობად ჩათვალა პოლიციაში დავებეზღებინე, რომელმაც ჩემი დაპატიმრება არ დააყოვნა. იმედი მაქვს, რომ ის ბილწი სული, ვინც ეს ჩაიდინა, თქვენს რომელიმე მონაზონს არ ეკუთვნის. ვერ დაგპირდებით, რომ ამ დამპალ პიროვნებას (ქალს თუ კაცს) ვპატიობ – ეს სიცრუე იქნებოდა. პირიქით, ღმერთს ან მის რომელიმე წმინდანს ვევედრები, რომ ის (ქალია თუ კაცი) შეუბრალებლად დასაჯოს ამ საშინელი ცოდვის გამო. გთხოვთ, მადამ, კომენდანტ სეზარიოს გადასცეთ მარგალიტების ის ქისა, რომელიც მე თქვენ მოგანდეთ. დარწმუნებული ვარ, ხელუხლებლად გადმომცემს. ეს წერილი ქვითრად ჩათვალეთ“.

მონასტერი სანტა-მარტადან რვა კილომეტრზეა. მანქანა საათ-ნახევარში ბრუნდება. კომენდანტი ჩემს მოსაყვანად კაცს აგზავნის.

– მოგიტანე. აბა, დათვალე, ხომ არაფერი აკლია.

ვითვლი. იმიტომ კი არა, რომ გავიგო, აკლია თუ არა (რადგანაც არ ვიცი, რამდენი იყო), არამედ, მაინტერესებს, ამ წუნკის ხელში გამოვლის შემდეგ რამდენი მარგალიტი დამრჩა: ხუთას სამოცდათორმეტი.

– სწორია?

– კი.

– არ აკლია?

– არა. მომიყევი როგორ იყო.

– როცა მონასტერში მივედი, დედა მონაზონი ეზოში დამხვდა. ორი პოლიციელის თანხლებით ვეახლე და ვუთხარი: „მადამ, ერთ სერიოზულ საქმესთან დაკავშირებით, რომლის არსს უნდა ხვდებოდეთ, ირლანდიელი მონაზვნის თანდასწრებით მინდა გელაპარაკოთ.“

– მერე?

– იმ ქალმა კანკალით წაუკითხა დედა მონაზონს შენი წერილი. მას ხმა არ ამოუღია, თავი დახარა, მაგიდის უჯრა გამოწია და მითხრა: „აი, ხელუხლებელი ქისა თავისი მარგალიტებით. ღმერთმა მიუტევოს მის დამბეზღებელს. უთხარით, რომ მისთვის ვილოცებთ“, – და აი, Hombre, – ამთავრებს სახეგაბრწყინებული კომენდანტი, – მეც აქ ვარ!

– მარგალიტებს როდის გავყიდით?

– Manana (ხვალ). არ შეგეკითხები, საიდან გაქვს ისინი. ახლა ნამდვილად ვიცი, რომ საშიში matador-(მკვლელი) ხარ. მაგრამ, იმაშიც დავრწმუნდი, რომ სიტყვის კაციც გეთქმის. წაიღე ეს ლორი, ბოთლი ღვინო და ფრანგული პური. შენს მეგობრებთან ერთად იზეიმე ეს ღირშესანიშნავი დღე.

– ღამე მშვიდობისა.

მეგობრებთან ორლიტრიანი „ჯიანტის“ ბოთლით, სამ კილოგრამამდე შებოლილი ბარკლითა და ოთხი გრძელი ფრანგული პურით ვბრუნდები.. ნამდვილ საზეიმო ნადიმს ვინყობთ. ლორი, პური და ღვინო სწრაფად ილევა. მადიანად ვჭამთ და ვსვამთ.

– ფიქრობ, ადვოკატი რამეს გიშველის?

სიცილი მიტყდება. ამათაც კი დაიჯერეს ადვოკატის იგავი: – რა ვიცი, ვიფიქრებ და გავიკითხავ, სანამ დავიქირავებდე.

– უკეთესი იქნებოდა, – ამბობს კლუზიო, – მხოლოდ წარმატების შემთხვევაში გადაგეხადა.

– სწორია, უნდა ვიპოვოთ ადვოკატი, რომელიც ამ წინადადებას დათანხმდება. ამაზე მეტს აღარ ვლაპარაკობ, ცოტა არ იყოს, მრცხვენია.

მეორე დღეს ლიბანელი ბრუნდება:

– რთული საქმეა, – ამბობს ის, – მარგალიტები ჯერ სიმსხოს, წარმოშობისა და ფორმის მიხედვითუნდა დახარისხდეს. – ამას გარდა, ლიბანელმა სხვა, უფრო კომპეტენტური მყიდველი უნდა მოიყვანოს. ოთხ დღეში ამ საქმეს ვამთავრებთ. იგი ოცდაათი ათას პესოს მიხდის. ბოლო წუთს ერთ ვარდისფერ და ორ შავ მარგალიტს ვარჩევ და ბელგიელი კონსულის ცოლისთვის საჩუქრად ვინახავ. კომე-

რსანტები მეუბნებიან, რომ ეს სამი მარგალიტი ხუთი ათასი პესო ღირს. მაინც ვიღებ.

ბელგიის კონსულს მარგალიტების ჩუქებაზე ძნელად ვითანხმებ. შესანახად თხუთმეტი ათას პესოს ვატან. მოკლედ, ოცდაშვიდი ათასი პესო მაქვს. როგორმე მესამე საქმეც უნდა დავაგვირგვინო.

როგორ, საიდან დავიწყო? კოლუმბიაში კარგი მუშა დღეში ცხრა-ათ პესოს იღებს, ესე იგი ოცდაშვიდი ათასი პესო დიდი თანხაა. რკინა მანამდე უნდა გამოვჭედო, სანამ ცხელია. კომენდანტმა ოცდასამი ათასი პესო მიიღო. ამ ოცდაშვიდი ათასს თუ დავუმატებ, ორმოცდაათი ათასი გაუხდება.

– კომენდანტო, რა ელირება საქმე, რომელიც ვინმეს უკეთესად აცხოვრებდა, ვიდრე დღეს თქვენ ცხოვრობთ?

– კარგი საქმე ნაღდ ფულზე ორმოცდათხუთმეტიდან სამოც ათას პესომდე ჯდება.

– რამდენ მოგებას იძლევა? სამჯერ მეტს, რასაც თქვენ ახლა? ოთხჯერ?

– არა, მეტს. ხუთ-ექვსჯერ მეტს, ვიდრე მე ვიღებ.

– რატომ არ გახდებით საქმოსანი?

– მაგას იმაზე ორჯერ მეტი დასჭირდებოდა, ვიდრე მაქვს.

– მომისმინეთ, კომენდანტო: მესამე საქმე მინდა შეგთავაზოთ.

– ნუ მეთამაშები.

– არა, გარწმუნებ. გინდა, ჩემი ოცდაშვიდი ათასი პესო მოგცე? როცა მოისურვებ; შენი იქნება.

– როგორ?

– გამიშვი აქედან.

– მომისმინე, ფრანგო. ვიცი, რომ არ მენდობი. ადრე, შეიძლება მართალიც იყავი, მაგრამ ახლა, როცა შენი წყალობით სიღარიბიდან გამოვედი, სახლის ყიდვა და შვილების ფასიან სკოლაში გაშვება შემიძლია, იცოდე, შენი მეგობარი ვარ. არ მინდა, ფული ტყუილად ნაგართვა; არც ის, რომ მოგკლან. აქ, თუნდაც რომ შეგპირდე, არაფრის გაკეთება არ შემიძლია. გარანტიას ვერ მოგცემ, რომ არ ჩავარდები.

– მე რომ საწინააღმდეგო დაგიმტკიცო?.

– მაშინ, ვნახოთ, მაგრამ წინასწარ დაფიქრდი.

– კომენდანტო, მეთევზე მეგობარი გყავთ?

– კი.

– შეუძლია, რომ ზღვაში გამიყვანოს და ნავი მომყიდოს?

– არ ვიცი.

– მისი ნავი დაახლოებით რამდენი ეღირება?

– ორი ათასი პესო.

– შვიდი ათასი რომ იმას მივცე და შენ – ოცი, გამოვა?

– ფრანგო, ჩემთვის ათი ათასიც საკმარისია, შენთვისაც დაიტოვე რამე.

– მოაგვარე საქმე.

– მარტო ნახვალ?

– არა.

– რამდენი იქნებით?

– სამნი.

– მადროვე, ჩემს მეგობარ მეთევზეს დაველაპარაკები.

გაკვირვებული ვარ ამ ტიპის ჩემ მიმართ ცელილებით. მკვლელის სიფათი აქვს, მაგრამ გულში ლამაზი რამეები ჰქონია დამალული. ეზოში კლუზიოსა და მატურეტს ველაპარაკე. ისინი მეუბნებიან, როგორც საჭიროა, ისე მოვიქცე, წამოსასვლელად მზად არიან. კმაყოფილი ვარ, რომ ამდენად მენდობიან. ფრთხილად ვიქნები, რომ ეს ნდობა გავამართლო. ვალდებული ვარ, დანარჩენი ფრანგებიც გავაფრთხილო. დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე, დომინოს ტურნირის დამთავრების შემდეგ, ყავის დალევის დრო მოდის. ვუძახი: – Cafeterol – და თავს ექვსი ცხელი ყავით ვუმასპინძლდებით.

– სალაპარაკო მაქვს, – ვეუბნები ხუთივეს, – ვგონებ, გაქცევის შესაძლებლობა მიჩნდება. საუბედუროდ, მხოლოდ სამს შეგვიძლია, წავიდეთ. ნორმალური იქნება, თუ კლუზიოსა და მატურეტთან ერთად წავალ, ვისთან ერთადაც კატორღიდან გამოვიქეცი. თუ ვინმეს რამე საწინააღმდეგო აქვს, ალალად მითხრას, მოვუსმენ.

– არა, – ამბობს ბრეტონელი, ეს ყოველ მხრივ სამართლიანი იქნება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კატორღიდან ერთად წამოხვედით; მეორეც, თქვენ ამ მდგომარეობაში ჩვენ ჩაყარეთ, როცა კოლუმბიაში გადმოსხმა გთხოვეთ. მადლობა, პაპილონ, აზრი რომ გვკითხე, მაგრამ შენ უფლება გაქვს, ასე იმოქმედო. ღმერთმა ქნას, რომ გამოგივიდეთ, რადგან, თუ დაგიჭერეს, ეს ნაღდი და თანაც საშინელ პირობებში სიკვდილი იქნება.

– ვიცით, – ერთხმად ამბობენ კლუზიო და მატურეტი.

ნაშუადღევს კომენდანტი მელაპარაკა. მისი მეგობარი თანახმაა. კითხულობს, ნავით რისი წაღება უნდათო.

– ორმოცდაათლიტრიანი სასმელი წყლით სავსე კასრი, ოცდახუთი კილო სიმინდის ფქვილი და ექვსი ლიტრი ზეთი, – სულ ეს არის.

– Carajo! – უკვირს კომენდანტს, – ასე მცირე რამით აპირებთ ზღვაში გასვლას?

– დიახ.

– გაგიჟდი, ფრანგო?

გადაწყდა. მესამე ოპერაცია დაიგეგმა! იგი ცივად ამატებს:

– გინდა დაიჯერე, გინდა არა, ამას ჯერ ჩემი ბავშვებისათვის ვაკეთებ და მერე შენთვის – ამდენი სიმამაცისათვის შენ გაქცევას იმსახურებ, – ამატებს იგი ცივად.

ვიცი, რომ ეს ასეა და მადლობას ვუხდი.

– როგორ მოახერხებ, რომ არ გაიგონ ჩემი შენთან კავშირის შესახებ?

– ნუ გეშინია, ღამით წავალ, მაშინ, როცა მეორე კომენდანტი იქნება მორიგე.

– რა გეგმები გაქვს?

– ხვალიდან, ყოველ სამ საათში, თითო პოლიციელის შემცირებას დაიწყებ. როცა მარტო ერთიღა დარჩება, მისთვის ჯიხურს დადგამ. პირველივე წვიმიან ღამეს, დარაჯი ჯიხურს რომ შეეფარება, უკანა ფანჯრიდან გადავძვრებით. მინდა გთხოვო, კედლის ირგვლივ განათებაზე იზრუნო. რამე მოიფიქრე, რომ მოკლე ჩართვა მოხდეს – სულაც, ქვაზე მობმული სპილენძის ერთმეტრიანი მავთული გადაკიდე ელექტროხაზებზე. რაც შეეხება მეთევზეს, მისი ნავი ისე უნდა იყოს მიბმული, რომ ახსნაში დრო არ დავკარგო. ნავს სამი ნიჩაბი და გასაშლელად

გამზადებული აფრა უნდა ჰქონდეს.

– აფრა რად გინდა, პატარა ძრავა აქვს.

– აჰა! მით უკეთესი! დაბალ ბრუნზე დააყენოს, თითქოს ახურებდეს და თვითონ მახლობელ კაფეში შევიდეს დასალევად. როცა დაგვინახავს, რომ მივდივართ, ნავთან დადგეს. შავი წყალგაუმტარი ლაბადა უნდა ეცვას.

– ფული?

– ოცი ათასი პესოს ბანკნოტებს ორად გავხევ: ერთ ნახევარს წინასწარ მოგცემ, მეორე ნახევარს აქ დარჩენილი ერთ-ერთი ფრანგი გადმოგცემს – მერე გეტყვი, რომელი. მეთევზეს შვიდი ათასს წინასწარ გადაეუხდი.

– არ მენდობი? ცუდია!

– არა, არ გენდობი კი არა, შეიძლება, მოკლე ჩართვა ვერ მოახერხო, უამისოდ კი ვეღარ გავიქცევით და აღარ გადაგიხდი.

– კარგი.

ყველაფერი მზადაა. კომენდანტის ხელით მეთევზეს შვიდი ათასი პესო გავუგზავნე. მეხუთე დღეა, რაც მხოლოდ ერთი პოლიციელი გვდარაჯობს. ჯიხურიც დადგეს და მხოლოდ წვიმას ველოდებით, ის კი არ მოდის. კომენდანტის მიერ მოცემული ხერხით გისოსები გადავხერხეთ, გავამზადეთ და თუთიყუშის გალიით შევნიღბეთ. ეს თუთიყუში უკვე ფრანგულად იგინება. ეკლებზე ვზივართ. კომენდანტმა ბანკნოტების ნახევარი მიიღო. ყოველ ღამე წვიმას ველოდებით. წვიმის დაწყებისთანავე კომენდანტი ციხის გარეთ მოკლე ჩართვას მოახდენს: წვიმების სეზონია, ის კი მაინც არ მოდის. დაუჯერებელია! დილაობით გამოჩენილი ყველაზე პატარა ღრუბელიც კი იმედით გვავსებს, მაგრამ მას არაფერი მოსდევს. აღარ ვიცით, რა ვქნათ, ლამის გავგიჟდეთ. უკვე ცამეტი დღეა, ყველაფერი მზადაა, ცამეტ უძილო ღამეს ყელში გულმობჯენილები ვატარებთ. ერთ კვირა დილით კომენდანტი პირადად გამოდის ჩემთან ეზოში, კაბინეტში შევყავარ და ბანკნოტების ნახევრებს მიბრუნებს.

– რაშია საქმე?

– ფრანგო, ჩემო მეგობარო, შენ მხოლოდ ეს ღამე დაგრჩა. ხვალ ექვსი საათისათვის ბარანკილიაში მიდიხართ. იმ ფულიდან, რაც მეთევზეს გადაეცი, მხოლოდ სამი ათას პესოს გიბრუნებ, რადგან დანარჩენი დახარჯა. თუ ღმერთმა ინება და ამაღამ წვიმა მოვიდა, მეთევზე დაგელოდება და შენ თვითონ გადაუხადე. გენდობი, ვიცი, რომ არაფრის შიში არ უნდა მქონდეს.

არც იმ ღამეს იწვიმა.

გაქცევა ბარანკილიიდან

დილის ექვს საათზე ორი სერჟანტისა და ლეიტენანტის თანხლებით რვა ჯარისკაცი მოდის, ბორკილებს გვადებენ და ბარანკილიისკენ სამხედრო მანქანით მივყავართ. სამსაათნახევარში ას ორმოცდაათ კილომეტრს გავდივართ. დილის ათ საათზე უკვე ციხეში ვართ, რომელსაც „80" ქვია და მედელინის ქუჩაზე მდებარეობს. ამდენი რამ გავაკეთე, რათა ბარანკილიაში არ მოვხვედრილიყავი და მაინც აქ ვარ! ბარანკილია დიდი ქალაქია. ის ატლანტიკაზე კოლუმბიის პირველ პორტად ითვლება და მდინარე მაგდალენას შესართავშია გაშენებული. რაც შეეხება ციხეს, მასში ოთხას პატიმარს ასამდე დარაჯი იცავს და საიმედობით ის ევროპის ნები-

სმიერ ციხეს უტოლდება. გარშემო რვა მეტრზე მაღალი საყარაულო კედელი არტყია.

ჩვენ ციხის მთელი შტაბი გვეგებება უფროსის – დონ გრეგორიოს მეთაურობით. ციხეს ოთხი ეზო აქვს: ორი ერთ მხარეს, ორი-მეორე მხარეს. ეზოს გრძელი სამლოცველო ჰყოფს, რომელსაც მესისა და პაემნებისათვის იყენებენ. ჩვენ ყველაზე საშიშების ეზოში შევყავართ. ჩხრეკისას ოცდასამ ათას პესოსა და ისრებს პოულობენ. თავს მოვალედ ვთვლი, ციხის უფროსი გავაფრთხილო, რომ ისრები მოწამლულია. ეს მაშინვე საშიში ხალხის იმიჯს გვიქმნის: „ამ ფრანგებს მოწამლული ისრებიც კი აქვთ!“

ჩვენი დევნილობის ყველაზე გადამწყვეტი მომენტი ამ ციხეში დგება – აქედან უნდა გადაგვცენ საფრანგეთს. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, სწორედ აქედან უნდა გავიქცეთ.

ჩვენი საკანი ეზოშია, თუმცა ეს საკანი კი არა, უფრო გისოსებზე დაფარებული ცემენტის სახურავიანი გალიაა. ერთ კუთხეში ტუალეტი და პირსაბანი გვაქვს. ასიოდე სხვა, პატიმარი კედელში ჩატანებულ გალიებში ზის, რომელთა გისოსები ეზოში გამოდის. ყოველ საკანს წინ, წვიმისაგან დასაცავად, თუნუქის სახურავი აქვს. მხოლოდ ჩვენ – ექვსი ფრანგი ვართ დამწყვდეული ცენტრალურ გალიაში დღისით და ღამით, დანარჩენი პატიმრებისა და, უფრო – დარაჯების თვალწინ. დღისით, დილის ექვსი საათიდან საღამოს ექვსამდე, ეზოში ვართ. საკანში შესვლა-გამოსვლა თავისუფლად შეგვიძლია. ლაპარკს, სეირნობასა და ეზოში საჭმლის ჭამასაც კი არავინ გვიშლის.

ჩვენი ჩამოსვლიდან ორი დღის შემდეგ, ექვსივე სამლოცველოში შეგვკრიბეს, სადაც ციხის უფროსი, რამდენიმე პოლიციელი და შვიდი თუ რვა ჟურნალისტია ფოტოაპარატებით.

– თქვენ საფრანგეთის კაიენის კატორღიდან გამოქცეულები ხართ?

– ჩვენ ამას ყოველთვის ვაღიარებდით.

– რა დანაშაულისთვისაა თითოეული თქვენგანი ასე მკაცრად დასჯილი?

– ამას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარი ის არის, რომ კოლუმბიის მიწაზე არაფერი ჩაგვიდენია და რომ თქვენი ერი არა მარტო უარს გვეუბნება, ჩვენი ცხოვრება გარდავქმნათ, არამედ, პირიქით, თვითონაც ხდება ადამიანებზე მონადირე და საფრანგეთის მთავრობის ჟანდარმი.

– კოლუმბიას მიაჩნია, რომ თავის ტერიტორიაზე არ უნდა მიგიღოთ.

– მაგრამ, პირადად მე და კიდევ ორი ჩემი ამხანაგი სულაც არ ვაპირებთ კოლუმბიაში ცხოვრებას. სამივე შუა ზღვაში დაგვაკავეს და არა ამ მიწაზე. პირიქით, ყველა ღონეს ვხმარობდით, მას გავშორებოდით.

– ფრანგები, – მეუბნება ერთი კათოლიკური გაზეთის კორესპონდენტი, – თითქმის ყველა ჩვენგანივით, კოლუმბიელებივით, კათოლიკეა.

– შესაძლებელია, კათოლიკებად ინათლებით, მაგრამ თქვენი მოქმედება ქრისტიანულს სულაც არ ჰგავს.

– რას გვსაყვედურობთ?

– გსაყვედურობთ იმას, რომ მხარში უდგახართ ამ ჯალათებს, რომლებიც კვალში გვიდგანან. მეტსაც გეტყვით: თქვენ მათ გასაკეთებელს აკეთებთ. ჯერ ერთი, ამათ გაგვფცქვნეს და წაგვართვეს ყველაფერი, რაც ჩვენი საკუთრება იყო და გვჭირდებოდა; არ დაგვიტოვეს არაფერი, რაც კურასაოს კეთილმა კათოლიკებმა,

მათ შორის უკეთილშობილესმა ეპისკოპოსმა ირენ დე ბრუინმა, ნავის ჩათვლით გვაჩუქეს. ვერ გაგვიგია, რატომ არ გინდათ, საშუალება მოგვცეთ, ეცადოთ საკუთარი თავის გარდაქმნა? თქვენ კი რას შვრებით: ხელს გვიშლით, რომ ჩვენი ძალებით გაეცილდეთ ამ მხარეს და მიეაღწიოთ იმ ქვეყნამდე, რომელიც ამის

[illegible] ცდილობ ყველაფერი ეძლეს ბრალის?

– არა, მაგ გაგებით არა. ჩვენ ამ ქვეყნის პოლიციურ და სამართლებრივ სისტემას ვადანაშაულებთ.

– რას დაამატებდით?

– თუ სურვილი იქნება, გამოუსწორებელი შეცდომა არ არსებობს. გაგეიშვით სხვა ქვეყნისაკენ.

– შევეცდებით, ამას მივაღწიოთ.

საკანში დაბრუნებისას მატურეტი მეუბნება:

– ვერც ახლა გაიგე? ამჯერად საბოლოოდ მოვხვდით იმ ტაფაზე, საიდანაც ძნელი იქნება გადმოხტომა.

– ძმებო, ამჯერად არ ვიცი, ერთად უფრო ძლიერები ვიქნებით თუ ცალ-ცალკე. სიტუაციიდან გამომდინარე, მინდა გითხრათ, რომ თითოეულს შეუძლია, ისე მოიქცეს, როგორც საჭიროდ ჩათვლის. რაც შემეხება მე, აუცილებლად უნდა გავიქცე ამ ყბადაღებულ „80"-დან.

ხუთშაბათს პაემანზე მეძახიან. მნახველების მიღება ყოველ ხუთშაბათსა და კვირას სამლოცველოში ხდება. იქ ერთი კარგად ჩაცმული კაცი მელოდება, დაახლოებით ორმოცდახუთი წლის იქნება. ვაკვირდები: საოცრად ჰგავს ლუი დეგას.

– შენ ხარ პაპიონი?

– დიახ.

– მე ჟოზეფი ვარ, ლუი დეგას ძმა. გაზეთებიდან გავიგე და შენ სანახავად მოვედი.

– მადლობა.

– იქ ჩემს ძმას ხომ არ შეხვედრიხარ?

დაწვრილებით ვუყვები დეგას ისტორიას, სანამ ჰოსპიტალში დავცილდებოდით. ჟოზეფი მეუბნება, რომ მარსელიდან მიღებული ცნობებით, მისი ძმა ახლა ხსნის კუნძულებზეა. აქ, ბარანკილიაში, დუჟინამდე ფრანგი, ცოლებით, ბედის საძიებლად არის გადმოხვეწილი. ყველა მათგანი სუტენიორობას მისდევს. ქალაქის ერთ-ერთ კვარტალში საფრანგეთიდან ჩამოსული ოციოდე ქალი არ არცხვენს ფრანგული პროსტიტუციის „მაღალ ტრადიციებს", ასე გამორჩეულსა და დახვეწილს. აქაც იმავე ქალებს შეხვდებით, რომლებიც კაიროდან – ლიბანამდე, ინგლისიდან – ავსტრალიამდე, ბუენოს-აირესიდან – კარაკასამდე, საიგონიდან – ბრაზავილამდე – მთელი დედამიწის ზურგზე დაატარებენ თავის სამყაროსავით ძველ ხელობას – მეძაობასა და მისით არსებობის ნესს.

ჟოზეფ დეგა ერთ საინტერესო ამბავსაც მატყობინებს: ბარანკილიის სუტენიორები ღელავენ. ისინი შიშობენ, რომ ჩვენი ჩამოყვანა ამ ქალაქის ციხეში მათ მყუდროებას დაარღვევს და მათ საქმიანობას, რომელიც გაფურჩქვნის გზაზეა, ზიანს მიაყენებს. მართლაც, თუ რომელიმე ჩვენგანი გაიქცევა, პოლიცია მათ საძებნელად მაშინვე ფრანგულ „casetas"-შიც შეიხედავს, თუნდაც გაქცეული იქ

საერთოდ არ გამოჩნდეს და მაშინ ბევრი რამ შეიძლება გამოაშკარავდეს: მაგალითად, ყალბი საბუთები და ბინადრობის ვადაგასული მოწმობები. ამას გარდა, მათ შორის შეიძლება არსებობდნენ პიროვნებები, რომლებსაც შემონმებისას პრობლემები შეექმნებათ.

აი, მე თითქმის ყველაფერი ვიცი მათ შესახებ. ჟოზეფი ამატებს, რომ მზად არის, ყველაფერში მემსახუროს და რომ ყოველ ხუთშაბათსა და შაბათს ჩემს სანახავად მოვა. მადლობას ვუხდი ამ კაცს, რომელიც შემდგომში დაამტკიცებს, რომ მისი დაპირება ფუჭი არ ყოფილა. მისი თქმით, გაზეთებს თუ დავუჯერებთ, ჩვენი ამ ქვეყნიდან გაძევება საფრანგეთთან უკვე შეთანხმებულია.

– მაშ ასე, ბატონებო, ბევრი რამ მაქვს სათქმელი, – ვეუბნები თანამოსაკნეებს.

– რა? – ერთხმად მეკითხება ხუთივე.

– პირველი: ილუზიები ნუ გექნება. ჩვენი გადაცემა დამთავრებული საკითხია. ნასაყვანად საფრანგეთის გვიანიდან სპეციალური გემი ჩამოვა, რათა იქ დაგვაბრუნოს, საიდანაც გამოვიქეცით. მეორე: ჩვენი აქ ყოფნა დიდად ადარდებთ თანამემამულე სუტენიორებს, რომლებიც, როგორც ჩანს, მშვენივრად მოწყობილან ამ ქალაქში. იმას, ვინც ჩემ სანახავად მოვიდა, ეს ყველაფერი ფეხებზე პკიდია, მაგრამ მისი კოლეგები შიშობენ, რომ თუ ერთ-ერთი ჩვენგანი გაიქცევა, მათ ბიზნესს დიდ ზიანს მივაყენებთ.

ყველა ხარხარებს – ჰგონიათ, ეხუმრობ. კლუზიო ამბობს:

– ბატონო სუტენიორო ესა და ეს, შეიძლება აქედან გავიქცე?

– გვეყოფა ხუმრობა. თუ ის ხალხი აქ გამოჩნდება, ეუთხრათ, რომ მეტი აღარ მოვიდნენ. გასაგებია?

– გასაგებია.

ჩვენს ეზოში, როგორც ვთქვი, ასიოდე კოლუმბიელი პატიმარია. მათ შორის არიან სხვადასხვა ფერის, რასისა და წარმოშობის ნამდვილი ქურდები, გამოჩენილი ყალბისმქმნელები, დიდსულოვანი თაღლითები, ბანდიტები, ნარკოტიკებით მოვაჭრენი და რამდენიმე ქილერი, რაც ასე გავრცელებულია ამერიკაში. მათ სამსახურს მდიდრები, პოლიტიკანები და ავანტიურისტები იყენებენ.

აქ სხვადასხვა ფერის ხალხია – სენეგალელი ზანგით დაწყებული, ჩალისფერი კრეოლებით დამთავრებული; მონგოლოიდიდან – წმინდა თეთრებამდე. ეცდილობ, მათ შორის ისეთებს დავუკავშირდე, ვინც გაქცევაში გამომადგება. ასეთები მრავლად შეიძლება იყოს იმათში, ვისაც სამუდამო აქვს მისჯილი.

ამ ოთხკუთხა ეზოს კედლების თავზე ბილიკი გადის, რომელზეც დარაჯები დადიან. ყოველ კუთხეში ჯიხური დგას, რათა საჭიროების დროს თავი შეაფარონ. ასე რომ, დღისით და ღამით ოთხი დარაჯი კედელზე მორიგეობს, ერთიც-უიარაღოდ დგას დაბლა, სამლოცველოს კარებთან. საჭმელი საკმარისად გვაქვს. ზოგიერთი პატიმარი გარედან შემოტანილი საჭმელ-სასმელებით ვაჭრობს, ან ამ ქვეყნის ხილეულის – ფორთოხლის, ანანასის, პაპაიასა თუ სხვა ნაყოფის სასმელს ყიდის. დროდადრო ამ პატარა კომერსანტებს თავს ესხმიან. ეს გასაოცარი სისწრაფით ხდება: სანამ მსხვერპლი „უფ-ს იტყვის, თავზე უკვე პირსახოცი აქვს ჩამოფარებული და ფერდში ან კისერში დანის წვერი ესობა, რათა არ გაინძრეს; გაძარცვისა და პირსახოცის მოხსნის შემდეგ კი ნიკაპში მუშტს იღებს. არასდროს არავინაა არავინაა. ხანდახან დაზარალებული კომერსანტი სპეციალურად გამოფენს, რაც

აქვს გასაყიდი, რათა გაარკვიოს, ვინ არის მძარცველი. თუ მიხვდა, დანებით ჩხუბი გარდაუვალია.

ორი პოლუმბიელი ქურდი ჩემთან წინადადებით მოდის. ყურადღებით ვუსმენ. როგორც ეტყობა, ქალაქში მძარცველი პოლიციელები არსებობენ. როცა ისინი რომელიმე უბანში მორიგეობე, თანამზრახველებს ატყობინებენ, მოვიდნენ და იქურდონ.

მათგან ყველას იცნობენ და მიხსნიან, რომ კვირაში ერთხელ რომელიმე მათგანი აუცილებლად მორიგეობს სამლოცველოს კართან. საჭირო იქნება, ვინმეს რევოლვერი შემოვატანინო. პოლიციელი-ქურდები დათანხმდებოდნენ, ვითომ ჩვენგან დაშინებულებს დაეკაკუნებინათ სამლოცველოდან გამოსასვლელ კარზე, რომელიც, ბევრი-ბევრი, ექვსკაციან საყარაულო პოსტზე გადის. მოულოდნელი თავდასხმის წყალობით, ხალხით საესე ქუჩისკენ გაგვატარებდნენ და მხოლოდ ისღა დაგვრჩებოდა, რომ მასაში გავრეულიყავით და მოგვეკურცხლა.

მათი გეგმა არ მომწონს. რევოლვერი ძალიან პატარა, მაქსიმუმ 6,35 კალიბრიანი უნდა იყოს, რომ დამალვა შეძლო. ასეთით რისკზე წასვლა უგუნურება იქნება, რადგან ამით დარაჯს ვერ შეაშინებ და შეიძლება ისეთი რამ გააკეთოს, რომ თავი მოგაკვლევინოს. უარს ვეუბნები.

უმოქმედობა მარტო მე კი არა, მეგობრებსაც აწუხებს. ჩემგან განსხვავებით, ზოგიერთი მათგანი სასონარკვეთის შემოტევისას იმაზეც კი ლაპარაკობს, თუ რომელი გემი მოვა ჩვენს წასაყვანად, როგორი იქნება ჩვენი სასჯელი იქ და როგორ მოგვექცევიან ჩვენი თანამემამულენი. ასეთი განწყობიდან ხელის ჩაქნევამდე კი შორი არ არის.

– მე თქვენი სისულელეების მოსმენაც კი არ მინდა. წადით და ასეთ მომავალზე სადმე კუთხეში ილაპარაკეთ. ბედისწერაზე თქვენნაირად მხოლოდ იმპოტენტები მსჯელობენ. საჭურისები ხართ? თქვენ შორის ვინმეს ყვერები მოაჭრეს? თუ ასეა, მითხარით. როცა მე გაქცევაზე ფიქრით ტვინს ვიჭყლეტ, ეს ყველას ეხება. ექვსი კაცის გაქცევაზე ფიქრი ადვილი არ არის. იმ ზომამდე ვარ მისული, რომ, თუ ვერაფერი გამომივიდა, მზად ვარ, გადაცემის დროს ვინმე კოლუმბიელი პოლიციელი მოვკლა, რათა დრო მოვიგო. თუ ამ ქვეყანას პოლიციელს მოვუკლავ, საფრანგეთს აღარ გადამცემენ. მაშინ უკვე მარტო ვიქნები და გაქცევაც გამიადვილდება, – ვტუქსავ ჩემს მეგობრებს.

ის კოლუმბიელები სხვა, არცთუ ისე ცუდ გეგმას აწყობენ: კვირაობით, მესის დროს, სამლოცველო ყოველთვის მომსვლელებითა და პატიმრებით არის სავსე. მესის დამთავრების შემდეგ იქ მხოლოდ ის პატიმრები რჩებიან, ვისაც პაემანი აქვს. კოლუმბიელები მთხოვენ, მომავალ კვირას წირვაზე წავიდე და კარგად გავეცნო სიტუაციაში, რათა შემდეგ კვირა დღეს ჩვენი მოქმედების გეგმა შეეადგინოთ. ბუნტის მეთაურობას მთავაზობენ, რაზეც უარს ვამბობ, რადგან მათ კარგად არ ვიცნობ, მხოლოდ ოთხ ფრანგზე ვაგებ პასუხს. ბრეტონელი და „უთოს კაცი“ უარზე არიან, მაგრამ ეს პრობლემა არ არის, უბრალოდ, მესაზე არ წამოვლენ.

კვირა დღეს მესას ოთხნი ვესწრებით. სამლოცველოს ოთხკუთხედის ფორმა აქვს. სიღრმეში, ქოროს ორივე მხარეს, ცენტრში, ორი კარია, რომლებიც ეზოში გადის. მთავარი – გისოსებიანი ალაყაფი საგუშაგოს უკავშირდება. ის ცხაურითაა გადაღობილი და მის უკან ოციოდე გუშაგი დგას. ბოლოს, მათ უკან, კარი უკვე

ქუჩაში გადის და, რაკი სამლოცველოში ხალხი ყოველთვის ჭყლეტაზეა, მცველები ცხაურს ღიად ტოვებენ და შემჭიდროებულ რიგად დგებიან. მომსვლელებიდან ორმა ქალმა დუნდულებში დამალული იარაღი უნდა შემოიტანოს. ეს მსხვილი, 38 და 45-კალიბრიანი რევოლვერები იქნება. იარაღებს ბუნტის უფროსს გადასცემენ და სწრაფად გაშორდებიან. ქოროს ბავშვის ზარის მეორე ჩამოკვრა შეტევის სიგნალი იქნება. მე დირექტორს, დონ გრეგორიოს, დიდი დანა ყელზე უნდა მივადო და ვუთხრა: „Da la orden de nos dejar passar, si no, te mato (უთხარი, გაგვატარონ, თორემ მოგკლავ)!" მეორე ასევე მოექცევა მღვდელს. დანარჩენი სამნი კუთხეებში დადგებიან და მოკვლის შიშით გისოსებთან მიმდგარ პოლიციელებს აიძულებენ, იარაღი დაყარონ. გარეთ პირველები უიარაღოები გავლენ, დირექტორს და მღვდელს საფარად გამოვიყენებთ. პოლიციელებს სამლოცველოში შევყრით და კარს ჩავურაზავთ. გარეთა საგუშაგოები ცარიელი იქნება, რადგან ყველა პოლიციელი ვალდებულია, მესას დაესწროს. ქუჩაში საბარგო მანქანა იდგება პატარა ასასვლელი კიბით, რომ, რაც შეიძლება, სწრაფად ავიდეთ. საბარგო მხოლოდ მაშინ დაიძვრება, როცა ბუნტის მეთაური დაჯდება – იგი ბოლოს უნდა ავიდეს. მხოლოდ მესაზე დასწრების შემდეგ ვაძლევ თანხმობას: ყველაფერი მართლაც ისე მიდის, როგორც ფერნანდომ ამიწერა.

კვირას ჟოზეფ დეგა პაემანზე არ მოვა. იცის, რატომ. მან ყალბი ტაქსი და სამალავი უნდა მოამზადოს. ჩვენ საბარგოში არ ჩავსხდებით. მთელი კვირის აღგზნებული, მოუთმენლად ველოდები მოქმედების დაწყებას. ფერნანდომ რევოლვერის შოვნა სხვა საშუალებით შეძლო. ეს 45 კალიბრის, კოლუმბიის ეროვნული გვარდიის მართლაც ნაღდი იარაღია. ხუთშაბათს ჟოზეფის ერთ-ერთი ქალთაგანი ჩემ სანახავად მოდის. იგი თავაზიანად მეუბნება, რომ ტაქსი ყვითელი იქნება. შეცდომა გამორიცხულია.

– O. K., გმადლობთ.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, – ორივე ლოყაზე მორიდებით მკოცნის. შეცბუნებული მეჩვენება.

– Entra, entra! დაე, ეს სამლოცველო ღმერთის ხმის მოსასმენად ხალხით გაივსოს! – ამბობს მღვდელი.

კლუზიო მზადაა. მატურეტს თვალები უბრწყინავს. მშვიდად ვიკავებ ჩემს ადგილს. დირექტორი დონ გრეგორიო ვიღაც სქელი ქალის გვერდით ზის. მე კედელთან ვდგავარ. ჩემგან მარჯვნივ კლუზიოა, მარცხნივ – ორი თანამზრახველი, რომელთაც ისე აცვიათ, რომ ვერ მიხვდები, ქუჩაში გასვლას თუ აპირებენ. მარჯვენა მაჯის ქვეშ გახსნილი დანა მიჭირავს. როცა გალობა მაღალ ტონალობაში გადადის, ქოროს ბავშვი ზარს მაშინ რეკავს. ამ დროს ყველა თავდახრილია. ზარის მეორე ჩამოკვრა ჩვენი სიგნალია – თითოეული ჩვენგანი თავისი გეგმის მიხედვით იმოქმედებს.

პირველი ზარი, მეორე... მე დონ გრეგორიოს ნაოჭებიან კისერზე ბებუთს ვადებ.

– Misericordia, no me mata (შემიბრალე, არ მომკლა)! – ყვირის მღვდელი.

ვერ ვხედავ, მაგრამ მესმის, როგორ უბრძანებს გუშაგებს დანარჩენი სამი, იარაღი დაყარონ. ყველაფერი კარგად მიდის. დონ გრეგორიოს პიჯაკის საყელოში ვეწევი და ვეუბნები:

– Sigua y no tengas miedo, no te hare dano. (მომყევი და ნუ გეშინია, არაფერს გავნებ)!

– მღვდელს ყელზე სამართებელი აქვს მიბჯენილი.

– „Vamos, Frances, vamos a la salida (გასავლელისკენ წავედით, ფრანგო)! – მეუბნება ფერნარდო.

გამარჯვების სიხარულით შეპყრობილები, უკვე ქუჩაში გამავალი კარისაკენ მივდივართ, როცა ორი თოფის გავარდნის ხმა ერთდროულად ისმის. ფერნანდო და ერთ-ერთი იარაღიანი ძირს ეცემიან. მე კიდევ ერთი მეტრით მივიწევ წინ, მაგრამ გუშაგები უკვე ფეხზე არიან და თოფებს გვიღერებენ. საბედნიეროდ, შუაში ქალები გვყავს. თოფის ახალ გასროლას რევოლვერის ხმაც უერთდება. ჩვენი მესამე შეიარაღებული მას შემდეგ ეცემა, რაც ალალბედზე ისროლა და შემთხვევით ერთი გოგონა დაჭრა.

– დანა მომეცი! – მეუბნება: მკვდარივით გაფითრებული დონ გრეგორიო.

ვაძლევ. წინააღმდეგობას აზრი არ აქვს. მდგომარეობა ოც წამზე ნაკლებ ხანში შეიცვალა.

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გავიგე, რომ გაქცევის ჩაშლა ციხის სხვა ეზოს ერთ-ერთი პატიმრის ბრალი იყო. იგი ცნობისმოყვარეობის გამო მოსულიყო და სამლოცველოს გარედან უსმენდა მესას. როგორც კი მოქმედება დავიწყეთ, მას დაუნახავს და გარე დაცვა გაუფრთხილებია, რის შემდეგაც დარაჯები ამ ექვს მეტრზე მეტი სიმაღლის კედლიდან სამლოცველოს ეზოში სასწრაფოდ ორივე მხარეს ჩამომხტარან. მათ კარის გისოსებიდან ჯერ იმ ორს ესროლეს, რომლებიც სკამებზე შემდგარნი პოლიციელებს იარაღით აშინებდნენ; მესამე კი რამდენიმე წამის შემდეგ მაშინ გააგორეს, როცა გავლისას მათი მხედველობის არეში მოხვდა. გაგრძელება მშვენიერ „კორიდად" გადაიქცა. დირექტორის გვერდით ვრჩები, რომელიც ბრძანებებს იძლევა. თექვსმეტი ჩვენგანი, მათგან ოთხი ფრანგი, ბორკილებდადებული, დილეგში პურსა და წყალზე აღმოვჩნდით. დონ გრეგორიოსთან ჟოზეფი მივიდა. მან გამომიძახა და ამიხსნა, რომ ჟოზეფის ხათრით ეზოში ჩემს მეგობრებთან მაბრუნებს. ამგვარად, ჟოზეფის წყალობით, ბუნტიდან მეათე დღეს ჩვენ, კოლუმბიელების ჩათვლით, კვლავ ეზოში და იმავე საკანში ვართ. გამოსვლისთანავე ვთხოულობ ფერნანდოსა და მისი ორი მკვდარი მეგობრის ხსოვნას წუთიერი დუმილით მივაგოთ პატივი. ერთ-ერთი პაემნის დროს ჟოზეფი მეუბნება, რომ სუტენიორებში ათასი პესოს შეგროვება მოახერხა, რითაც დონ გრეგორიო მოისყიდა. ამან სუტენიორებს ჩვენს თვალში ფასი აუწია.

ახლა რა ვქნა, ახალი რა მოვიგონო? მარცხს არ ვაღიარებ და არ ვურიგდები. გემის მოსვლამდე რამეს მოვიფიქრებ.

საერთო პირსაბანში მზისგან დაფარული ვწევარ. ვერავინ მიხვდება, თუ დაცვის მოქმედებას ვაკვირდები. ღამით, ყოველ ათ წუთში, ისინი რიგრიგობით უყვირიან ერთმანეთს: „გუშაგო, ფრთხილად იყავი". ამგვარად დაცვის უფროსს შეუძლია დარწმუნდეს, რომ ოთხიდან არც ერთს არ ძინავს. თუ რომელიმე პასუხს არ იძლევა, მას მანამდე უმეორებენ ფრაზას, სანამ არ გამოეხმაურება.

მგონია, რაღაცას მივაგენი. მართლაც: ოთხივე ჯიხურთან თოკით ყუთი კიდია. როცა გუშაგს ყავა მოუნდება, cafeteros-ს უძახის, რომელიც ერთ ან ორ ყავას უსხამს და ყუთში უდგამს. მარცხნივ, ბოლო ჯიხური ეზოზეა გადმოწეული. ვფი-

ქრობ, რომ, თუ მსხვილ ჩანგალს გავაკეთებ და თოკზე მოვაბამ, ამ ადგილს ადვილად მოედება. წამიც არ უნდა დამჭირდეს, ისე უნდა გადავლახო ეს კედელი ქუჩის მხარეს. პრობლემა მხოლოდ გუშაგის ნეიტრალიზებაა. როგორ მოვახერხო?

ვუყურებ, როგორ იმართება და რამდენიმე ნაბიჯს დგამს. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ სიცხისაგან შეწუხებული ძილს ებრძვის. ღმერთო ჩემო, მივაგენი! უნდა დაიძინოს! კაუჭიან თოკს მოვამზადებ, დავაძინებ და ბედს ვცდი. რამდენიმე ტილოს პერანგსა და ნაჭრებს ვშოულობ და ორ დღეში შვიდიოდე მეტრის თოკს ვწნავთ. ჩანგლის შოვნაც არ არის ძნელი – დარაბის ერთ-ერთ ბიჯგს ვიყენებ. ჟოზეფ დეგამ ერთი ბოთლი ძლიერმომქმედი ძილის წამალი მომიტანა. გეგმის მიხედვით, მხოლოდ ათი წვეთია საკმარისი. ბოთლში დაახლოებით ექვსი სუფრის კოვზი იქნება. დარაჯს ვაჩვევ, რომ ყავა ჩემგან მიიღოს. იგი ყუთს უშვებს და ყოველ ჯერზე სამ ყავას ვუგზავნი. რაკი ალკოჰოლი უყვართ, ხოლო ძილის წამალს ცოტა ანისის გემო აქვს, ერთი ბოთლი ანისი შემოვატანინე. დარაჯს ვეუბნები:

– გინდა, ფრანგულად მომზადებული ყავა დაგალევინო?

– ფრანგული როგორიღაა?

– ანისგარეული.

– ჯერ გამასინჯე.

რამდენიმე დარაჯმა ჩემი ანისიანი ყავა იგემა და ახლა, როცა მოუნდებათ, მეუბნებიან:

– ფრანგულად!

– თქვენი ნებაა, – და ყავაში ანისს ვამატებ.

„H" დრო შაბათს დგება. შუადღეა და საშინლად ცხელა. ჩემს ამხანაგებს ესმით, რომ ერთზე მეტის გაქცევისათვის დრო არ გვეყოფა, მაგრამ ერთი არაბის სიახლნარევი კოლუმბიელი, ალი, მეუბნება, რომ ჩემ შემდეგ ისიც გადმოვა. ვეთანხმები, რადგან ასე ჯობია – მარტო ფრანგი არ იქნება შეთქმულების ნერვი და არც მარტო ის დაისჯება. მეორე მხრივ, გუშაგისთვის ყავის დასხმისას, თოკსა და ჩანგალს თან ვერ ვიქონიებ – შეამჩნევს. ვფიქრობთ, ყველაფერი ხუთ წუთში მოვამთავრთ.

დარაჯს ვუძახი:

– როგორაა საქმე, კარგად?

– კი.

– ყავას დალევ?

– ჰო, ფრანგულად მირჩევნია.

– დამელოდე, ახლავე მოგიტან.

მივდივარ cafetero-სთან:

– ორი ყავა!

ყუთში უკვე მთელი ბოთლი ძილის წამალი მაქვს ჩასხმული, ალბათ ხარს ნაადუღევს. კედელთან მივდივარ და ვაჩვენებ, როგორ ვუსხამ.

– მაგარი გირჩევნია?

– ჰო.

ცოტას კიდევ ვამატებ, მერე ყველაფერს მის ჭურჭელში ვასხამ და მაშინვე ააქვს. გადის ხუთი წუთი, ათი, თხუთმეტი, ოცი! – არაფერი არ ხდება. იმის მაგივრად, რომ დაჯდეს, თოფით ხელში ბოლთას სცემს. მთლიანად გამოცალა და

მაინც არაფერი ეტყობა! ყარაულის შეცვლა კი ერთ საათშია!

ნაკვერჩხლებზე ვზივარ და ისე ვაკვირდები მის მოძრაობას. გაბრუების არაფერი ეტყობა – ამაზე არფერი მიანიშნებს. აჰა, აი, შებარბაცდა! ნიშის წინ ჯდება და თოფს ფეხებშუა იდებს. თავი მხარზე უვარდება. ორი თუ სამი კოლუმბიელი, ვინც იცის, რაც ხდება, ჩვენთან ერთად ადევნებს თვალს მის მოძრაობას.

– მიდი, – ვეუბნები კოლუმბიელს, – ჩქარა, თოკი!

ის არის, თოკის გადაგდებას აპირებს, რომ დარაჯი დგება, თოფს ძირს ტოვებს, იზმორება და ფეხებს ადგილზე ამოძრავებს. კოლუმბიელი გაჩერებას ასწრებს. ყარაულის შეცვლამდე თვრამეტი წუთი რჩება. გუნებაში ღმერთს დახმარებას ვთხოვ: „გეხვეწები, დამეხმარე, ღმერთო, კიდევ ერთხელ დამეხმარე, გემუდარები, ნუ მიმატოვებ!" მაგრამ, უშედეგოდ ვეხვეწები ქრისტიანების ღმერთს, რომელიც ზოგჯერ ასეთი გაუგებარია, განსაკუთრებით ჩემთვის – ათეისტისთვის.

– ერთი უყურე, ამ არამზადას, – მეუბნება მოახლოებული კლუზიო, – გაუგონარი ამბავია, როგორ არ იძინებს!

დარაჯი თოფის აღებას აპირებს, იხრება და ამ დროს მთელი სიგრძე-სიგანით მეხდაცემულივით იშხლართება. კოლუმბიელი თოკს ისვრის. კაუჭი მხოლოდ მეორე ცდაზე ედება. ქაჩავს, რომ დარწმუნდეს, კარგად მოედო თუ არა. უკვე ასვლას ვაპირებ და ფეხს კედელს ვადებ, როცა კლუზიო მეუბნება:

– მოეშვი, ცვლა მოდის.

ზუსტად იმდენი დრო მაქვს, რომ, სანამ შემამჩნევდნენ, თოკს მოვშორდე. თავდაცვისა და ამხანაგობის იმ ინსტიქტიდ, რომელიც ყველა პატიმარს გააჩნია, ათიოდე კოლუმბიელი გარს მერტყმის და თავის ჯგუფში მრევს. თოკს ჩამოკიდებულს ვტოვებთ და კედლის გასწვრივ მივდივართ. ახალი ცვლიდან ერთ-ერთი გაშხლართულ კოლეგასა და თოკს ერთდროულად ამჩნევს. მირბის და ორი თუ სამი მეტრში განაგაშის ღილაკს აჭერს ხელს. დარწმუნებულია, რომ ვიღაც გაიქცა.

მძინარე საკაცით მიყავთ. შემოვლის ბილიკზე გამოსული ოცამდე პოლიციელი და დონ გრეგორიო თოკს სწვევენ და ჩანგალს ათვალიერებენ. ცოტა ხნის შემდეგ ეზო თოფმომარჯვებული პოლიციელებით ივსება. იწყებენ ამოკითხვას. გამოძახებული საკანში უნდა შევიდეს. უკვირთ, რომ არავინ აკლია. ყველას თავ-თავის საკანში ამწყვდევენ და უკვე იქ განაგრძობენ ამოკითხვას: არა, არავინ გაქცეულა. სამი საათისთვის ეზოში გამოსვლის უფლებას გვაძლევენ. ვიგებთ, რომ იმ დარაჯს ისევ ჩვეულებრივით სძინავს – ვერაფრით ვერ აღვიძებენ. ჩემი კოლუმბიელი თანამზრახველი იმდენად იყო დარწმუნებული ამ გეგმის რეალურობაში, რომ ახლა და თათხავს ამერიკულ პროდუქციას ლანძღავს, რაკი ძილის წამალი ამერიკული იყო.

– როგორ მოვიქცეთ? – მეკითხება.

– არა უშავს, ყველაფერი თავიდან დავიწყოთ, – ამის თქმასღა ვახერხებ. მას ჰგონია, ისევ დარაჯის დაძინებას ვაპირებ, მე კი ვფიქრობ, სხვა რამ მოვტვინო.

– გგონია, ამ დარაჯებში გამოჩნდება ვინმე სულელი, რომელიც დათანხმდება შენი ფრანგულად დაყენებული ყავის დალევას? – მეუბნება იგი.

მიუხედავად ჩვენი მდგომარეობის, სიცილს ვერ ვიკავებ: „რა თქმა უნდა, ძმობილო.

პოლიციელს სამი დღესა და ოთხ ღამეს ეძინა. როცა, ბოლოსდაბოლოს გაიღვიძა, რა თქმა უნდა თქვა, რომ უეჭველად მე დავაძინე ფრანგული ყავით. დონ

გრეგორიო მასთან მაპირისპირებს. დაცვის უფროსი ხმლით აჩეხვას მიპირებს. ოთახის კუთხისკენ ვხტები და გამომწვევად ვიქცევი. იგი ხმალს მიქნევს, ამ დროს დონ გრეგორიო შუაში გვივარდება, ხმალი მხარში ხვდება და ძირს ეცემა. ლავინი გადაუტყდა. საშინელი ხმით ღრიალებს და ოფიცერს მის გარდა აღარაფერი ახსოვს. ძლივს აყენებს ფეხზე. დონ გრეგორიო მშველელს უხმობს. მეზობელი კაბინეტებიდან სამოქალაქო მოსამსახურეები გამორბიან ციხის უფროსის დასახმარებლად და ოფიცერთან, ორ სხვა პოლიციელსა და ძილგამოვლილ დარაჯთან ხელჩართულ ჩხუბს მართავენ. ამ tangana-ში რამდენიმე მსუბუქად იჭრება. მხოლოდ მე ვრჩები უვნებელი. ეს ჩემი საქმე არ არის, თავში ქვა უხლიათ. დონ გრეგორიო ჰოსპიტალში მიჰყავთ. მის მოადგილეს ისევ ეზოში გამოუყავარ:

– შენთვისაც მოვიცლი, ფრანგო!

მეორე დღეს თაბაშირში მხარჩასმული ციხის უფროსი მიბარებს და ოფიცრის წინააღმდეგ განცხადების დაწერას მთხოვს. სიამოვნებით ვემორჩილები. ძილის წამლის ისტორია აღარ აინტერესებს, დაავიწყდა – ბედი თუ გინდა, ეს არის!

რამდენიმე დღის შემდეგ დეგა გარედან მოქმედებას მთავაზობს. იცის, რომ ღამით შემოვლის ბილიკი გაკაშკაშებულია და ამიტომ მეუბნება, რომ საჭიროა, როგორმე შუქი ერთი ელექტრომექანიკოსის დახმარებით ციხის გარეთ არსებული ტრანსფორმატორიდან გამორთოს. მე მხოლოდ ორი დარაჯი უნდა მოვისყიდო: ერთი, რომელიც ქუჩის მხარეს ყარაულობს და მეორე – სამლოცველოსთან რომ დგას. ეს არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ჯერ დონ გრეგორიო ძლივს დავითანხმე, ჩემთვის ათი ათასი პესო მოეცა იმ მოტივით, თითქოს ჟოზეფის დახმარებით ჩემი ოჯახისათვის უნდა გამეგზავნა. რომ დამეთანხმებინა, რა თქმა უნდა, „ვაიძულე", საჩუქრად ათი ათასი პესო აეღო. მერე, იმის გარკვევის შემდეგ, თუ ვინ არეგულირებდა გუშაგების მონაცვლეობას, მისი მოსყიდვაც გახდა საჭირო. იგი სამი ათას პესოს მიიღებს, მაგრამ ორ სხვა გუშაგთან მოლაპარაკებაზე უარს ამბობს. მათთან ურთიერთობა მე თვითონ უნდა მოვაგვარო. მათ სახელებს მერე ვეტყვი და, როცა საჭირო იქნება, მაშინ გაუშვებს საყარაულოდ.

ამ ახალი გაქცევის მომზადებას ერთ თვეს მოვუნდი. როგორც იქნა, ყველაფერი წუთებამდეა გათვლილი. რაკი ეზოს პოლიციელის არ მოგვერიდება, გისოსებს გადავხერხავთ – სამი ხერხი მაქვს. ის კოლუმბიელიც გაფრთხილებულია. გაქცევის ღამისათვის მისი გისოსებიც გადაჭრილი იქნება. ამ ღამით მისი ერთ-ერთი ამხანაგი, რომელიც კარგა ხანია, თავს იგიჟიანებს, ციხის სახურავზე ბრახუნსა და ხმამაღლა სიმღერას დაიწყებს. კოლუმბიელმა იცის, რომ დარაჯი მხოლოდ ორი ფრანგის გაქცევაში მონაწილეობას დათანხმდა და განაცხადა, რომ თუ მესამე ვინმესაც დაინახავს, ესვრის. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა, ბედი სცადოს და მეუბნება, რომ თუ ერთმანეთს მივეკვრებით, სიბნელეში გუშაგი ვერ გაარჩევს, რამდენი კაცი გადის. მატურეტი კენჭს ყრის. კლუზიოს ხვდება.

უმთავარო ღამე დგება. სერჟანტმა და ორმა პოლიციელმა თავისი კუთვნილი გასამრჯელოს ნახევარბანკნოტებიანი მიიღეს. ამჯერად მათი გადაჭრა არ დამჭირვებია – მეორე ნახევრებს მათ ჟოზეფ დეგას ცოლი Barrio Chino-ში გადასცემს.

სინათლე ითიშება. ათ წუთში გისოსების გადახერხვას ვამთავრებთ. მსუბუქი ტანსაცმელი გვაცვია. საკნიდან გამოვდივართ და მთლად შიშველი, შავი სლიპის ამარა, კოლუმბიელი გვიერთდება. მე calabozo-ს კარის გისოსებზე ავდივარ და

ჩანგალს ვისერი. სამ წუთში, უხმაუროდ, შემოელის ბილიკზე ვარ. მუცელზე გართხმული, კლუზიოს ამოსვლას ველოდები. უკუნი ღამეა. უფრო ვგრძნობ, ვიდრე ვხედავდე, რომ ხელს მიწვდიან. ვეჭიდები და ვეწევი. საშინელი ხმაური ისმის. ეს იმიტომ, რომ კლუზიომ დარაბასა და კედელს შორისაა მოქცეული. და შარვლის ზონრით კედელს გამოსდებია. რა თქმა უნდა, ხმაურზე ვჩერდები, აღარ ვეწევი. რაკი ცინკი აღარ ხმაურობს, მგონია, თავი გაითავისუფლა, ამიტომ მთელი ძალით ვეწევი და საშინელი ხმაურის თანხლებით ბილიკზე ამომყავს. იქითა საგუშაგოებიდან თოფის ხმა ისმის. სროლის ხმისაგან დამფრთხლები ქუჩაში იმ მხრიდან კი არ ვხტებით, საითაც კედელი ხუთ მეტრზე ნაკლებია, არამედ იქიდან, სადაც იგი შვიდი მეტრი იქნება. შედეგი: კლუზიო ისევ მარჯვენა ფეხს იტეხს, ხოლო კოლუმბიელს მუხლი უსკდება. ბათქა-ბუთქმა გუშაგები ქუჩაში გამოყარა. გარს გვერტყმიან და დიდი ელექტრო ლამპის შუქზე თოფებს გვიმიზნებენ. ბრაზისაგან ვქვითინებ. ამას გარდა, პოლიციელებს არ უნდათ, დაიჯერონ, რომ ადგომა არ შემიძლია. ასობით ხელკეტის დარტყმის ქვეშ, მუხლებზე ფორთხვით გვერეკებიან ციხის ეზოში. კლუზიო და კოლუმბიელი ცალ ფეხზე ხტუნვით მოდიან. კონდახებით ცემისაგან თავიდან სისხლი თქრიალით მომდის.

თოფის ხმამ დონ გრეგორიოც გამოაღვიძა, რომელიც საბედნიეროდ, იმ ღამეს მორიგე იყო და კაბინეტში ეძინა. ის რომ არა, ჯოხებისა და ხელკეტების ცემით დაგვხოცავდნენ. ყველაზე მეტად ჩემთან შეკრული სერჟანტი აქტიურობს. დონ გრეგორიო უბრძანებს, შეწყვიტონ ეს ველური ცემა-ტყეპა და ტრიბუნალით ემუქრება, თუ სერიოზულ ზიანს მოგვაყენებენ. ამ მაგიური სიტყვის გაგონებაზე ყველა ჩერდება.

მეორე დღეს ჰოსპიტალში კლუზიოს ფეხზე კვლავ თაბაშირი დაადეს, ხოლო კოლუმბიელს ერთმა პატიმარმა მუხლი ჩაუგდო. ღამით თავი და ფეხები საშინლად გამისივდა და სისხლით გაიბერა. ექიმმა ფეხები თბილ მარილიან წყალში ჩამაყოფინა და დღეში სამჯერ წურბელებს მკიდებს. როცა ისინი სისხლისგან იბერებიან, მწყვეტს და წყალში ცლის. თავზე ექვსი ნაკერი დამადეს.

ვიღაც ცუდად ინფორმირებული ჟურნალისტი ჩემზე სტატიას აქვეყნებს, სადაც წერს, რომ მე სამლოცველოში მომხდარი ბუნტის მეთაური ვიყავი, მერე ერთი დარაჯი მოვწამლე, ბოლოს, კი გარე თანამზრახველების დახმარებით ტრანსფორმატორი გამოვრთე და კოლექტიური გაქცევა მოვაწყე. „იმედი ვიქონიოთ, – ასკვნის – ის, რომ საფრანგეთის წარმომადგენლები რაც შეიძლება მალე ჩამოვლენ, რათა მოგვაშორონ თავიანთი ნომერ პირველი განგსტერი".

ჟოზეფი ცოლის – ანის თანხლებით მოდის. სერჟანტი და სამი პოლიციელი ცალკ-ცალკე მისულან და ბანკნოტების მეორე ნახევარი მოუთხოვიათ. ანი მეკითხება, როგორ მოიქცეს. ვეუბნები გადაუხადოს, რადგან მათ პირობა შეასრულეს, გაქცევის ჩაშლა მათი ბრალი არ იყო.

უკვე ერთი კვირაა, რკინის ურიკით მატარებენ, რომელიც საწოლის მაგივრობასაც მიწევს. მხოლოდ ფეხებანეულს მიამდება ტკივილები. ფეხები შედედებული სისხლით დამისივდა და, დანოლილ მდგომარეობაშიც კი არ შეუძლიათ არაფერზე დაყრდნობა. თხუთმეტიოდე დღის შემდეგ სიმსივნე სანახევროდ ცხრება. რენტგენზე მივყავარ. ორივე ფეხზე სერიოზული მოტეხილობა მაქვს – მთელი სიცოცხლე ბრტყელტერფიანი დავრჩები.

დღევანდელი გაზეთი იტყობინება, რომ ჩვენს წასაყვანად გემი თვის ბოლოს ჩამოდის. მას „მანა" ჰქვია. ჩვიდმეტი დღე გვრჩება. „ვა ბანკზე" უნდა წავიდე, მაგრამ – როგორ? ჩემი დამტვრეული ფეხებით?

ჟოზეფი სასონარკვეთილებაშია ჩავარდნილი. პაემანზე მიყვება, რომ Barrio Chino-ს ყველა ფრანგი, განსაკუთრებით – ქალები, აღფრთოვანებულები არიან თავისუფლებისაკენ ჩემი ლტოლვით და ნუხან, რომ რამდენიმე დღეში საფრანგეთს უნდა გადამცენ. ჩემმა ამბავმა მთელი კოლონია ააფორიაქა და მითვლიან, რომ მორალურად ჩემ გვერდით დგაგან.

ვინმე კოლუმბიელი პოლიციელის მოკვლის აზრი თავიდან ამოვიგდე. მართლაც და, რატომ უნდა წავართვა სიცოცხლე იმ კაცს, რომელსაც ჩემთვის არაფერი დაუშავებია?! იმასაც ხომ მამა და დედა, ცოლი და შვილები ეყოლება? იმაზე ფიქრისას, რომ ბოროტი და მარტოხელა პოლიციელი უნდა მოვძებნო, მეცინება. ჯერ უნდა ვკითხო: „თუ „გაგასაღებ", არავის დააკლდები?"

დღეს, 13 ოქტომბერს, სევდა მანევს. პიკრინმჟავას ქვის ნატეხს ვათვალიერებ, რომელსაც ახლა შევჭამ, სიყვითლეს დამმართებს და ჰოსპიტალში გამაგზავნიან. იქნებ იქიდან ჟოზეფის ხალხს გავატაცებინო თავი. მეორე დღეს, თოთხმეტში, ლიმონივით გაყვითლებული ვარ. დონ გრეგორიო ჩემ სანახავად ეზოში გამოდის. მე ჩრდილში, ურიკაში სანახევროდ წამოწოლილი ვხვდები. ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და სიფრთხილის გარეშე ვეუბნები:

– ათი ათასი პესო, თუ ჰოსპიტალში გამაგზავნით.

– ფრანგო, შეეცდები. არა, ათი ათასი პესოს გულისთვის კი არა, არამედ იმიტომ, რომ გული მიკვდება, როცა თავისუფლებისათვის შენს უნაყოფო ბრძოლას ვხედავ. მაგრამ, არა მგონია, იმ საგაზეთო სტატიის გამო ჰოსპიტალში დაგტოვონ. შეეშინდებათ.

ერთი საათის შემდეგ ექიმი ჰოსპიტალში მგზავნის. იქ მიწასაც არ შევხებივარ. სანიტარული მანქანიდან საკაცეზე გადმომსვეს, გულმოდგინედ გამსინჯეს, შარდის ანალიზი ამიღეს და ორ საათში საკაციდან ჩამოუსვლელად უკან დამაბრუნეს.

ხუთშაბათს, 19-ში, ანი – ჟოზეფის ცოლი – ერთი კორსიკელის მეუღლის თანხლებით მოდის. სიგარეტები და ტკბილეული მოაქვთ. ამ ორი ქალის მგრძნობიარე სიტყვებმა შვება მომგვარა და ეს მწარე დღე მზით განათებულ ნაშუადღევად მიქციეს. ალბათ, ვერ აგიხსნით, რამდენად შემიმსუბუქა ტანჯვა ამ ხალხის თანაგრძნობამ ჩემი იქ ყოფნის განმავლობაში. ვერც იმას, თუ როგორ ვარ დაეალებული ჟოზეფ დეგასაგან, რომელიც საკუთარი თავისუფლების საფრთხეში ჩაგდებით მეხმარებოდა გაქცევაში.

ანის ერთმა სიტყვამ ახალი იდეა გამიჩინა:

– ჩემო ძვირფასო პაპიონ, თავისუფლების დასაბრუნებლად თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რაც კი ადამიანურად შესაძლებელი იყო. ბედ-იღბალი თქვენ მიმართ მეტად ბოროტი აღმოჩნდა. ისღა დაგრჩენიათ, ეს „80" ააფეთქოთ.

რატომაც არა? რატომ არ უნდა ავაფეთქო ეს ბებერი ციხე? კოლუმბიელებს ეს სამსახური უნდა გავუწიო. თუ მოვსპობ, შეიძლება ახალის, უფრო ჰიგიენურის აშენება გადაწყვიტონ.

როცა ამ ლამაზ, ახალგაზრდა ქალებს სამუდამოდ გამოსამშვიდობებლად ვე-

ხვევი, ანის ვეუბნები:

– ჟოზეფს სთხოვეთ, კვირას მნახოს.

კვირას, 22-ში, ჟოზეფი მოდის.

– მომისმინე, შეუძლებელი შეძელი და ხუთშაბათს ვინმეს ერთი შეკვრა დინამიტი, დეტონატორი და ბიკფორდის შნური მოატანინე. მე ჩემი მხრივ ბურღებს ვიშოვი.

– რას აპირებ?

– დღისით, მზისით, ციხის კედელი უნდა ავაფეთქო. დაჰპირდი ხუთი ათასი პესო იმას, ვინც ყალბ ტაქსის მომიმზადებს. ის ყოველდღე, დილის რვიდან საღამოს ექვს საათამდე მედელინის ქუჩის უკან უნდა დამელოდოს. თუ არაფერი მოხდება, დღეში ხუთას პესოს გადავუხდი, თუ მოხდება – ხუთი ათას პესოს მიიღებს. დინამიტისაგან გაკეთებული ხვრელიდან მანქანამდე ვინმე ღონიერი კოლუმბიელი მიმათრევს, დანარჩენი მან იცოდეს. თუ მანქანის საქმე მოაგვარე, დინამიტი გამომიგზავნე, თუ ვერა – მაშინ ეს დასასრული იქნება. მეტი არაფრის იმედი აღარ მაქვს.

– დაელოდე, – მეუბნება ჟოზეფი.

ხუთ საათზე ვთხოულობ, სამრეკლოში გადამიყვანონ, რადგან მინდა, მარტომ ვილოცო. მიყავართ. დონ გრეგორიოს კაცს ვუგზავნი, ჩემთან მოვიდეს. როცა მოდის, მეუბნება:

– Hombre, შენს წასვლამდე მხოლოდ რვა დღე დარჩა.

– სწორედ ამიტომ გთხოვეთ, მოსულიყავით. თქვენ ჩემი თხუთმეტი ათასი პესო გაქვთ. მინდა, წასვლამდე ფული ამხანაგებს გადავცე, რათა ჩემს ოჯახს გაუგზავნონ. გთხოვთ, იქიდან სამი ათასი პესო დაიტოვოთ, მთელი გულით გთავაზობთ, რადგან თქვენ ყოველთვის მიცავდით პოლიციელთა ცუდი მოპყრობისაგან. დიდად დამავალებდით, თუ ფულს დღესვე მომიტანდით წებოიან ქაღალდთან ერთად, რომ ხუთშაბათამდე მოვასწრო გადასაცემად მომზადება.

– გასაგებია.

ბრუნდება და ორად გაჭრილ თორმეტი ათასი პესოს ბანკნოტებს მაძლევს. სამი ათასი დაუტოვებია. როცა ურიკაში ვბრუნდები, იმ კოლუმბიელს ვუძახი, ვისაც ბოლოს ჩემთან ერთად გაქცევა უნდოდა და ჩემს განზრახვას ვუმხელ. თან ვეკითხები, შეძლებს თუ არა ოცი თუ ოცდაათი მეტრი მანქანამდე მხარზე შესმული მიმიყვანოს. უყოყმანოდ მთანხმდება. ამ მხრივ საქმე კარგადაა. თითქოს დარწმუნებული ვიყო, რომ ჟოზეფს ყველაფერი გამოუვა, მოქმედებას ვიწყებ. ორშაბათ დილით მატურეტს იმ სერჟანტის მოსაყვანად ვაგზავნი, რომელსაც მე სამი ათასი პესო მივეცი და მერე ასე უმოწყალოდ მცემა.

– სერჟანტო ლოპეს, თქვენთან სალაპარაკო მაქვს.

– რა გნებავთ?

– ორი ათას პესოს მოგცემთ, თუ სამსიჩქარიან ბურღსა და ექვს მაგარ, სხვადასხვა ზომის საჭრისს მომიტანთ.

– მათ საყიდლად ფული არ მაქვს.

– აი, ხუთასი პესო.

– ყველაფერს ხვალ, სამშაბათს, განანესის შეცვლიდან ერთ საათში მიიღებ. მოამზადე ორი ათასი პესო.

სამშაბათს ყველაფერი ეს სანაგვე ყუთში მელოდება. კოლუმბიელი იღებს და მალავს. ხუთშაბათს, 26-ში, ჟოზეფი აგვიანებს. პაემნების დრო უკვე მთავრდება, როცა მეძახიან. ჟოზეფის დავალებით ერთი ბებერი, დანაოჭებული ფრანგი მოსულა:

– პურის ნაჭერში ყველაფერია, რაც მოითხოვე.

– აი, ორი ათასი პესო მანქანის მძღოლისთვის – დღეში ხუთასი პესო.

– ტაქსის მძღოლი ერთი ტიკივით გაბერილი ბებერი პერუელია. ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, Ciao.

– Ciao.

გასინჯვისას პურს ყურადღება რომ არ მიაქციონ, ქაღალდის დიდ პარკში სიგარეტები, ასანთები, შებოლილი ძეხვი, სოსისი, ერთი ყუთი კარაქი და ერთი ბოთლი დამწვარი ზეთი ჩაუწყვიათ. სანამ პარკს ჩხრეკენ, გუშაგს ერთ კოლოფ სიგარეტს, ასანთსა და ორ ძეხვს ვაძლევ.

– პურიც მომიჭერი. – მეუბნება ის. ესღა მაკლდა!

– არა, აი შენ ხუთი პესო, პური იყიდე.

უფ! კარგად გამოვძვერი! რამ მომაფიქრა, ამ სალახანასათვის ძეხვი შემეთავაზებინა?! ურიკა სწრაფად შორდება ამ ადგილს. პურის თხოვნა იმდენად მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ ოფლმა დამასხა.

– პაბლო, ხვალ ფოიერვერკს მოვაწყობთ. ზუსტად იმ ადგილას, სადაც საყარაულო ჯიხურია გადმოწეული, კედელში ხვრელი უნდა გავაკეთოთ. „ძაღლი“ ზემოდან ვერ დაგვინახავს.

– ვერ დაგვინახავს, მაგრამ ხმას გაიგონებს.

– ეს გათვალისწინებული მაქვს: დილის ათი საათისათვის ეზოს ეს მხარე ჩრდილშია და ვინმემ იქ, ჩვენგან რამდენიმე მეტრში, ყველას დასანახავად, თუნუქის ფურცლის გაბრტყელება უნდა დაიწყოს, თუ ორნი იქნებიან, უკეთესი. თითოეულს ხუთას პესოს მივცემ. მომიძებნე ორი კაცი.

მან ისინი მალე მიპოვა.

– ჩემი ორი მეგობარი ჩაქუჩით თუნუქის გაბრტყელებას დაიწყებს და გუშაგი ბურღის ხმას ვერ გაარჩევს. შენ, შენი ურიკით ცოტა წინ უნდა დადგე და ფრანგებს გაუბა ლაპარაკი – ასე სხვა კუთხის კოშკების თვალთვალისაგან დამიფარავ.

ერთ საათში ხვრელი მზად არის. ჩაქუჩის ხმისა და ბურღზე ზეთის დასხმის წყალობით, გუშაგი ვერაფერს ხვდება. დეტონატორიან დინამიტს ოცსანტიმეტრიანი ფითილით, კედელში აყალო მიწით ფამაგრებ. თუ ყველაფერი კარგად წავიდა, აფეთქება კედელს გახსნის, გუშაგი ჯიხურთან ერთად ჩამოვარდება და, პაბლოს ზურგზე ამხედრებული, ტაქსისკენ გავიქცევი. სხვები თვითონ მიხედავენ თავის თავს. კლუზიო და მატურეტი ჩემზე გვიანაც რომ გამოვიდნენ, მაინც მიმასწრებენ მანქანამდე.

სანამ ცეცხლს მოუკიდებდეს, პაბლო კოლუმბიელთა ერთ ჯგუფს აფრთხილებს:

– თუ გაქცევა გინდათ, ცოტა ხანში კედელში ხვრელი გაკეთდება.

კარგია! თუ პოლიციელები დაგვედევნებიან, ჯერ უკანა ხალხი მოხვდებათ თვალში და იმათ ესვრიან.

ცეცხლს ვუკიდებთ. საშინელი აფეთქება მთელ კვარტალს აზანზარებს. ჯიხური დარაჯთან ერთად დაბლა ვარდება. მთელ კედელს დიდი ნაპრალები უჩნდება,

ქუჩის მეორე მხარეც კი ჩანს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ისეთი სიგანის; რომ გავეტიოთ. ახლა კი ვხვდები, რომ განწირული ვარ. ალბათ, ჩემი ბედი იქ, კაიენაში დაბრუნებაა.

აუწერელია ის ალიაქოთი, რაც ამ აფეთქებას მოჰყვა. ორმოცდაათზე მეტი პოლიციელი ეზოში გამოვარდა. დონ გრეგორიომ არ იცის, რა ქნას:

– კარგი, ფრანგო, ვფიქრობ, ამჯერად, უკანასკნელია.

დაცვის უფროსი გააფთრებულია. უფრო იმიტომ, რომ არ შეუძლია, ხეიბარი, ურიკაში მწოლიარე კაცის ცემის ბრძანება გასცეს. არ მინდა, სხვა ვინმე დაზარალდეს და ამიტომ ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ყველაფერი მარტომ გავაკეთე. გაბზარულ კედელს შიგნიდან და გარედან ექვს-ექვსი გუშაგი ყარაულობს, სანამ კალატოზები შეაკეთებდნენ. საბედნიეროდ, კედლიდან ჩამოვარდნილი გუშაგი არ დაშავებულა.

კატორღაში დაბრუნება

სამი დღის შემდეგ, 30 ოქტომბერს, დილის თერთმეტ საათზე, თეთრებში ჩაცმული კატორღის ათი თანამშრომელი ჩვენ წასაყვანად მოდის. წასვლას წინ პატარა ოფიციალური ცერემონია უსწრებს: თითოეული ჩვენგანი ამოცნობილი უნდა იქნეს. მათ ჩვენი ანთროპომეტრიული ბარათები ჩამოიტანეს – ფოტოები, თითის ანაბეჭდები და ყველაფერი, რაც გვეხება. ამის შემდეგ, საფრანგეთის კონსული და ამ რაიონის მოსამართლე, ვინც უფლებამოსილია, ოფიციალური გადაცემა მოახდინოს, დოკუმენტს ხელს ანერენ. ყველა იქ დამსწრეს უკვირს, რომ ჩამოსული ბადრაგი მეგობრულად გვექცევა. მათგან არავითარი მტრობა არ იგრძნობა და არც მკვახე სიტყვებით მოგვმართავენ. ის სამი ჩვენზე დიდხანს არის ნამყოფი კატორღაში და ზოგიერთ მათგანს იცნობენ. ერთმანეთს ძველი მეგობრებივით ელაპარაკებიან და ემასხრებიან. ბადრაგის უფროსი ჩემს ფეხებს ათვალიერებს და მეუბნება, რომ გემზე კარგი სანიტარი ჰყავთ და მიმკურნალებენ.

ამ ტაშტის ტრიუმში მგზავრობა აუტანელმა სიცხემ და ტულონის კატორღის დროინდელმა რკინის ძელებმა უფრო გააძნელა. გზაში ერთი შემთხვევაა აღსანიშნავი: გემი ტრინიდადში ნახშირის შესავსებად შევიდა და ნავსადგურში ინსპექციის ერთმა ინგლისელმა საზღვაო ოფიცერმა მოითხოვა, ჩვენთვის რკინის ბორკილები აეხსნათ. როგორც ეტყობა, საერთაშორისო ნორმებით გემზე ხალხის დაბმა აკრძალულია. ვისარგებლე ამ შემთხვევით და ინგლისური ინსპექციის მეორე ოფიცერს სილა გავაწანი. ამგვარად მინდოდა დაველაპარაკებინე და მიწაზე გადავევსვი. ოფიცერი მეუბნება:

– მე თქვენ არ დაგაკავებთ და არ ჩამოგსვამთ იმ მძიმე დანაშაულისათვის, რაც ახლა ჩაიდინეთ. თქვენ უფრო მეტად დაისჯებით, როცა იქ მიხვალთ.

მეტი აღარ შემიძლია! არა, ნამდვილად კატორღაში დაბრუნება მიწერია. სამწუხაროა: გაქცეულიდან თერთმეტი თვის განმავლობაში გაუთავებელი წვალება და ბრძოლა – საბოლოოდ დამთავრდა. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, არაფერს შეუძლია წაშალოს ის დაუვიწყარი წუთები, რაც მე გადავიტანე. ტრინიდადის ამ პორტიდან, რომელიც ეს-ესაა დავტოვეთ, რამდენიმე კილომეტრში ბოვენების შეუდარებელი ოჯახი ცხოვრობს. ახლოს ჩავუარეთ კურასაოს, იმ დიდი კაცის მიწას, რომელიც ამ ქვეყნის ეპისკოპოსია და ირენ დე ბრუინი ჰქვია. ალბათ, არც გვახსოვს ინდიელების ტერიტორიაა შორს, სადაც სიყვარული მთელი თავისი სპონტა-

ნური ბუნებით შეეიცანი:

მტრედების კუნძულის კეთროვნები! ის უბედური, საზარელი ავადმყოფობით შეპყრობილი კეთროვნები, ვისაც მკერდში იმდენი კეთილშობილება შერჩენოდა, რომ დახმარების ხელი გამოგვინოდეს.

ბელგიის კონსული! ჟოზეფ დეგა, ვინც უცნობი ადამიანებისათვის თავი საფრთხეში ჩაიგდო! ეს გაქცევა ღირდა იმად, რომ ასეთი ადამიანები გამეცნო! მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდი, არაფერს ვნანობ.

აი, მარონიც, თავისი ტალახიანი წყლებით. „მანას" გემბანზე ვდგავართ. დილის ცხრა საათია და ტროპიკების მზე უკვე წვავს ამ მიწას. ნელ-ნელა შეედივართ იმავე შესართავში, საიდანაც დიდი სისწრაფით გავედი მაშინ. ჩემი ამხანაგები ხმას არ იღებენ. ბადრაგი კმაყოფილია, რომ მოგზაურობა დამთავრდა, რადგან მთელი გზა ზღვაზე ცუდი ამინდი იდგა და ახლა შვებით ამოისუნთქეს.

ნავსადგურში ცნობისმოყვარეობისაგან გაგიჟებული ბრბო გველოდება. აინტერესებთ იმ ადამიანთა ნახვა, რომლებიც საფრთხეს არ შეუშინდნენ და ასე შორს წავიდნენ. დღეს კვირაა და ჩვენი ჩამოსვლა ერთგვარი გასართობია, რაც ამ ხალხს ასე აკლია. გეესმის: „დამტვრეული – პაპაიონია, აი, ის – კლუზიოა, ის კი – მატურეტი!"

გამასწორებელი კოლონიის ტერიტორიაზე ექვსასი კაცი თავ-თავის ბარაკებთან ჯგუფ-ჯგუფად ჩამწკრივებულა. ყოველი ჯგუფის წინ ზედამხედველი დგას. პირველად ჰოსპიტლის ფანჯრიდან გადმოყუდებულ ფრანსუა სიერას ვამჩნევ. იგი დაუფარავად ტირის. ბანაკის შუაგულში ვჩერდებით და კომენდანტი ხმის გამაძლიერებელს იღებს:

– ეტაპირებულებო! ახლა შეგიძლიათ, დარწმუნდეთ გაქცევის ამაოებაში. ყველა ქვეყანა გაკავებთ და უკან გაბრუნებთ, არავის არ სჭირდებით. აქედან გამომდინარე, ჯობია, ჭკვიანად იყოთ და კარგად მოიქცეთ. რა ელის ამ ხუთ კაცს?! – უმძიმესი სასჯელი, რომელიც სენ-ჟოზეფის კუნძულზე, სატუსაღოში უნდა მოიხადონ, ხოლო დანარჩენ წლებს ხსნის კუნძულებზე – გადასახლებაში დაასრულებენ. აი, რა მოიგეს მათ გაქცევით. იმედი მაქვს, მიხვდით, ზედამხედველებო, ნაიყვანეთ სადამსჯელო განყოფილებაში!"

რამდენიმე წუთში უკვე განსაკუთრებული მეთვალყურეობის განყოფილების საკანში ვართ. მისელისთანავე ვთხოულობ, ჯერ კიდევ გასიებულ და გაბერილ ფეხებზე მიმკურნალონ. კლუზიო ჩივის, თაბაშირი ფეხს მტკენსო. ბედს ვცდით... იქნებ ჰოსპიტალში მოვხვდეთ! ფრანსუა სიერა ზედამხედველთან ერთად მოდის.

– აი, სანიტარი, – გვეუბნება ზედამხედველი.

– როგორ ხარ, პაპი?

– ცუდად, ჰოსპიტალში დაწვენა მჭირდება.

– შევეცდები, ჩაგინყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც იქ ჩაიდინე, ეფიქრობ, თითქმის შეუძლებელი იქნება. ეს კლუზიოსაც ეხება.

ფეხებს მიზელს, მალამოს მისვამს, მერე კლუზიოს თაბაშირს ამოწმებს და მიდის. „ძაღლების" შიშით ვერაფრის თქმას ვერ ვახერხებთ, მაგრამ ისეთი თბილი გამომეტყველებით გვიყურებს, რომ მღელვარება გვიპყრობს.

– არა, არაფერი გამოვა, – მეუბნება მეორე დღეს, როცა დასაზელად მოდის, – თუ გინდა, საერთო საკანში გადავაყვანინებ შენს თავს. ღამით ძელებს გადებენ?

– კი.

– მაშინ, უკეთესია, გადახვიდე. ძელს ისევ დაგადებენ, მაგრამ მარტო მაინც არ იქნები. ახლა შენთვის მარტო დარჩენა ალბათ საშინელებაა.

მართლაც ასეა – მარტო ყოფნა ახლა ჯოჯოხეთს უდრის. ჩემი გონება ისეთ მდგომარეობაშია, რომ თვალის დახუჭვა არ მჭირდება, რათა ნარსული ისევე შევიგრძნო, როგორც აწმყო. იმის გამო, რომ სიარული არ შემიძლია, დილეგი ჩემთვის ახლა უფრო აუტანელია, ვიდრე აქამდე იყო.

აი, მე ისევ „ბიწიერების ბილიკზე“ დავბრუნდი – სიდამპლის გზაზე! მაინც რა უცებ მოვახერხე თავის დაღწევა და თავისუფლებისა და შურისძიებისაკენ გაფრენა ამხელა ზღვის გადავლით? ისე არ უნდა მოხდეს, რომ იმ სამეულს – პოლენს, პოლიციელებსა და პროკურორს – ჩემი ვალი შერჩეთ. რაც შეეხება ჩემოდანს, არავინ მჭირდება, მე თვითონ გადავიცვამ ვაგონ-რესტორნის მზარეულის სამოსს, დავიხურავ სარკინიგზო კომპანიის კოკარდიან ქუდს და ისე მივალ. ჩემოდანს დიდი წარწერა ექნება: „დივიზიის კომისარი ბენუა, 36, ორფეერის სანაპირო (სენის დეპარტამენტი)“. პოლიციელების დახმარება არ მჭირდება, თვითონ ავიტან მას სათათბირო დარბაზში. წინასწარ გამოთვლილი მექნება, რომ საათის მექანიზმი ხოლოდ ჩემი გამოსვლის შემდეგ ამოქმედდეს. არა მგონია, ჩამეშალოს. ამ გადაწყვეტილების პოვნამ დიდი შვება მომგვარა. რაც შეეხება პროკურორს, მისთვისაც მოვიცლი, მეთოდს არ შევცვლი, ნაღდია – იმ გარყვნილ ენას ნაწილ-ნაწილ ამოვაგლეჯ.

ახლა ჩემი მთავარი საზრუნავი ფეხების მკურნალობაა. რაც შეიძლება ჩქარა უნდა გავიარო. ტრიბუნალამდე სამი თვეა. სამ თვეში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს: ერთი თვე – რომ სიარული შევძლო, კიდევ ერთი – გაქცევის მოსამზადებლად და მერე – ნახვამდის, ბატონებო! მიმართულება: ბრიტანეთის ჰონდურასი. ამჯერად კაციშვილი ვერ მომაბრუნებს!

გუშინ, ჩვენი დაბრუნებიდან სამი დღის შემდეგ, საერთო საკანში გადამიყვანეს. აქ ორმოცი კაცი სამხედრო ტრიბუნალს სხვადასხვა დანაშაულისთვის ელოდება: ქურდობისათვის, ძარცვისათვის, განზრახ ცეცხლის წაკიდებისათვის მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობისათვის გაქცევისა და გაქცევის მცდელობისათვის და, თვით კაციჭამიობისთვისაც კი. ხის ტიხრის აქეთ-იქეთ ოც-ოც კაცს საერთო, თხუთმეტი მეტრი სიგრძის „სამართლის ძელი“ გვადევს. საღამოს ექვს საათზე თითოეულის მარცხენა ფეხი ძელზე ჯაჭვით ებმება. დილის ექვს საათზე ხუნდებს გვხსნიან და მთელი დღეს ჩვენს ნებაზე შეგვიძლია, ვისხდეთ, დომინო ვითამაშოთ, ვისაუბროთ და ვისეირნოთ საკნის შუაში მოქცეულ ერთგვარ დერეფანში. დღისით მოსაწყენად არ მცალია კატორღელები ცალკ-ცალკე თუ ჯგუფებად მოდიან მოსაკითხავად და გაქცევის პერიპეტიების თხრობას მთხოვენ. ბოლოს, იმის გაგების შემდეგ, რომ გვახიროს ტომი, ლალი და ზორაიმა მივატოვე, ყველა გიჟს მიწოდებს.

ერთი პარიზელი ტიტი[1] ჩემს მონაყოლზე ცხარდება:

– სად მიდიოდი, ძმაკაც, რას ეძებდი? ტრამვაის? ლიფტებს? კინოთეატრებს? თუ მაღალი ძაბვის ელექტროგანათება მოგენატრა, რომელიც ასე კარგად ამუშავებს ელექტროსკამს? იქნებ „პლას პიგალის“ აუზში ჭყუმპალაობის სურვილი გკლავდა? როგორ! ორ ტურფასა და ნუდისტების მთელი ბრბოს გვერდით, მთლად შიშველი, ბუნებაში ცხოვრობდე, ჩასახეთქი არ გაკლდეს, სვამდე, ნადირობდე;

გქონდეს ზღვა, მზე, ცხელი ქვიშა, მუქთი მარგალიტები და ყველაფერ ამის მიტოვებისა და გაქცევის გარდა სხვას ვერაფერს პოულობდე?! მერე საით? რა გინდოდა: ქუჩებზე სირბილით გადასვლა, რომ მანქანას არ გაეჭყლიტე? იძულებული იყო, გადაიხადო მკერავის, დენის, ტელეფონის ქირა და, იმისთვის, რომ ბუნაგი არ წაგართვან, წახვიდე და იქურდო ან ვირივით იმუშაო სადმე, სადაც მხოლოდ იმდენს მოგცემენ, რომ შიმშილით არ ჩაძაღლდე?! არ მესმის, ბიჭო! სამოთხეში იყავი და ნებაყოფლობით დაბრუნდი ჯოჯოხეთში, იქ, სადაც სხვა ცხოვრებისეულ ტანჯვას ისიც ემატება, რომ გამუდმებით გაურბიხარ კვალში ჩამდგარ ყველა ქვეყნის პოლიციელებს?! მართალია, შენ საფრანგეთიდან ახალი ჩამოსული ხარ და ვერ შეამჩნევდი, როგორ ხუნდება შენი ფიზიკური და მორალური შესაძლებლობები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე, ჩემი ათწლიანი კატორღელის სტაჟით, მაინც არ შემიძლია შენი გაგება. ასეა თუ ისე, კეთილი იყოს შენი გამოჩენა ჩვენ შორის და, რაკი მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი, ყველაფერი თავიდან დაიწყო, ჩვენი იმედი გქონდეს – ყველაფერში დაგეხმარებით. ასე არ არის, ძმებო? თანახმა ხართ?

„ძმები“ ყაბულს არიან და მეც მადლობას ვუხდი. ვატყობ, რომ სანდო ხალხია. სივიწროვის გამო ძალიან იოლია მიხვდე ვინ ატარებს „ქისას“; ღამით, როცა ყველა „სამართლის ძელით“ არის დაბმული, ადვილია, ვინმე მოკლა და შეგრჩეს. ამისთვის საკმარისია გასაღებების მცველი არაბი მოისყიდო, რათა ბორკილი კარგად არ ჩაგიკეტოს. ღამით შეგიძლია ადგე, ჩანაფიქრი შეასრულო და დანოლისას თვითონვე ჩაიკეტო ხუნდის კლიტე – რაკი არაბი არაპირდაპირი მონაწილეა, ხმას არ ამოიღებს.

კატორღაში დაბრუნებიდან სამი კვირა სწრაფად გარბის. ნარებს შუა დატანებულ მოაჯირზე დაყრდნობით ნელ-ნელა სიარულს ვიწყებ. გასულ კვირას დაკითხვაზე ჰოსპიტლის იმ სამ ზედამხედველს შევხვდი, რომლებიც გაქცევისას მოვაყუჩეთ. დიდად კმაყოფილნი არიან, რომ უკან დაგვაბრუნეს და იმედი აქვთ, ერთხელაც ისეთ ადგილას მოვხვდებით, სადაც ისინი იქნებიან პოსტზე, რადგან ჩვენი გაქცევის გამო მათ მკაცრი სასჯელები დაადეს: ერთი წლით გაუუქმეს კოლონიალური დანამატი ჯამაგირზე და არ გაუშვეს ევროპაში მორიგ ექვსთვიან შვებულებაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენს შეხვედრას გულითადს ვერ ვუწოდებ. ამის შესახებ გამოძიებას ვატყობინებთ, რომ შემდგომში გაითვალისწინონ.

არაბი უკეთესად მოიქცა: მან მხოლოდ სიმართლე თქვა, გადაჭარბების გარეშე, მხოლოდ მატურეტის როლი გამოტოვა. მთავარი გამომძიებელი ძალიან „გვანვებოდა“, რათა გაეგო, ნავი ვინ მოგვიმზადა. უნდა გენახათ ჩვენი ყოფა, როცა დაუჯერებელ ისტორიებს ვუყვებოდით საკუთარი ხელით ტივის შეკვრასა და სხვა არარსებულ ქმედებებზე.

იმის გამო, რომ ზედამხედველებს თავს დავესხით, გამომძიებელი მე და კლუზიოს, ხუთ-ხუთ, ხოლო მატურეტს – სამი წლით საპყრობილეს გვპირდება.

– თქვენ, რაკი პაპიონს გიწოდებენ, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ფრთებს შეგაჭრით, რათა გასაფრენად მუდმივი მზადყოფნა მოგაშლევინოთ.

ვშიშობ, დანაპირები არ შეასრულოს.

სამხედრო ტრიბუნალამდე ორ თვეზე მეტია დარჩენილი. ძალიან ვნანობ, რომ „ქისაში“ ერთი ან ორი მოწამლული ისრის წვერი არ ჩავიდე. ასე რომ მოვქცეული-

ყავი, იქნებ აქვე შემეგდო სასნორზე ყველაფერი.

– ფეხები მირჩება და ნელ-ნელა უკეთესად დავდივარ. ფრანსუა სიერა გაუცდენლად, დღისითაც და ღამითაც მოდის და ქაფურის ზეთით მიზელს. მისი მოსვლა ყოველთვის შვებაა ჩემთვის, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად – კარგია, როცა გვერდით მეგობარი გყავს!

შეიმჩნევა, რომ ხანგრძლივმა გაქცევამ კატორღელების თვალში ფასი აგვიწია. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ადამიანებს შორის არავითარი საფრთხე არ გვემუქრება. გაქურდვის მიზნით ვერაფინ გაბედავს ჩვენს მოკვლას. უმრავლესობა ამას არ იზამს და მკვლელებსაც არ აცოცხლებენ. ყველა, გამონაკლისის გარეშე, პატივს გვცემს და ერთგვარი აღტაცებითაც კი გვიყურებს. ხოლო ის, რომ „ძაღლებზე" ხელი აეღმართეთ, თავზეხელაღებულებისა და ყველაფერზე წამსვლელების რანგში გვაყენებს. საინტერესოა საკუთარი უსაფრთხოების შეგრძნება!

დღითიდღე მეტს და ხშირად დავდივარ. სიერამ პატარა ბოთლით ზეთი დამიტოვა და ბევრი მთავაზობს არა მარტო მოტეხილი ტერფების, არამედ უძრაობისაგან ატროფირებული ფეხის კუნთების დაზელასაც.

ჭიანჭველების არაბი

ამ საკანში ორი გულჩახვეული კაცია, სულ ერთად არიან და მხოლოდ ერთმანეთს ელაპარაკებიან, თანაც ისე ხმადაბლა, რომ არავის ესმის. ერთ დღეს ერთერთ მათგანს სიერას მოტანილ ამერიკულ სიგარეტს ვთავაზობ. მადლობას მიხდის, მერე მეკითხება:

– ფრანსუა სიერა შენი ძმაკაცია?

– კი, ჩემი საუკეთესო მეგობარია.

– შესაძლებელია, ერთ დღეს, თუ ყველაფერი ცუდად დამთავრდა, ის, რაც გაგვაჩნია, მისი ხელით შენ გამოგიგზავნოთ.

– რაზე ლაპარაკობ?

– მე და ჩემმა მეგობარმა გადავწყვიტეთ, თუ გილიოტინას მოგვისჯიან, ჩვენი „ქისები" სიერას ხელით გადმოგცეთ, რათა ახალი გაქცევისას გამოიყენო.

– გგონიათ, სიკვდილს მოგისჯიან?

– თითქმის განაღდებული გვაქვს, პატარა ალბათობაა.

– ასე თუა, საერთო საკანში რატომ ხართ?

– ჩემი აზრით, ეშინიათ ჩვენი მარტო დატოვების, თავი რომ არ მოვიკლათ.

– შეიძლება, მართლაც ასეა. რა ჩაიდინეთ?

ერთი ბუღა ჭიანჭველებს შევაჭამეთ. ამას იმიტომ არ ვმალავ, რომ, საუბედუროდ, ფაქტზე დაგვიჭირეს.

– ეს სად მოხდა?

– 42-ე კილომეტრზე, სიკვდილის ბანაკში, სპარუინის უბის იქით.

მისი ამხანაგიც გვიახლოვდება. ტულონელია. სიგარეტს მასაც ვთავაზობ. მეგობრის გვერდით, ჩემ წინ ჯდება.

– აქამდე აზრი არავისთვის გვიკითხავს, – ამბობს ტულონელი, – მაგრამ მაინტერესებს, შენ რას ფიქრობ ჩვენზე.

– როგორ გეტყვით, როცა არ ვიცი რა მოხდა? როგორ გითხრათ, მართალი ხართ თუ არა, როცა ცოცხალი კაცი, თუნდაც არაბი, ჭიანჭველებს ცოცხლად

შესაჭმელად მიუგდეთ? აზრის გამოსათქმელად საქმე თავიდან ბოლომდე უნდა ვიცოდე.

– ახლავე მოგიყვები, – ამბობს ახალმოსული და მიამბობს:

– სატყეო ბანაკი „42-ე კილომეტრი“, სენ-ლორანიდან ორმოცდაორ კილომეტრში მდებარეობს. იქ კატორღელებს აიძულებენ, დღეში ერთი კუბმეტრი რკინის ხე მოჭრან. ყოველ საღამოს, ტევრში, შენ მიერ მოჭრილ და კარგად დაწყობილი ხის გროვის წინ უნდა დადგე. ზედამხედველები დამხმარე არაბის თანხლებით მოდიან და ნორმის შესრულებას ამოწმებენ. ჩაბარების შემდეგ თითოეული ხის მორი წითელი, მწვანე, ან ყვითელი ფერის მელნით ინიშნება. ეს კეირის დღეზეა დამოკიდებული. სამუშაო შესრულებულად არ ითვლება, თუ გროვაში თუნდაც ერთი სხვა ჯიშის ხე ურევია. შრომის გასაადვილებად ორ-ორ კაციან ჯგუფებს ვქმნიდით. ძალიან ხშირად აუცილებელი რაოდენობის ხის მოჭრას ვერ ვახერხებდით და მაშინ საღამოს, დილეგში მშიერ-მწყურვალს გვყრიდნენ და დილით კვლავ უჭმელს გვაგზავნიდნენ სამუშაოდ. ახლა უკვე ვალდებული ვიყავით, წინა დღის რაოდენობაც დაგვესრულებინა და ამ დღის ნორმაც მოგვეჭრა. ძაღლური სიკეთილი შორს აღარ იყო.

რაც დრო გადიოდა, ძალა გვაკლდებოდა, ვსუსტდებოდით და დავალების შესრულებაც ძნელი ხდებოდა. ამას გარდა, ყარაული მოგვიჩინეს – ზედამხედველებიდან კი არა, ერთი არაბი. იგი მოგვყვებოდა სამუშაო ადგილამდე, მოხერხებულად ჩამოჯდებოდა, ფეხებს შუა ხარის ძარღვის მათრახით და გაუთავებლად დაგვცინოდა. ჭამის დროს ყბებს ხმაურით იქნევდა, რათა შიმშილი უფრო მეტად გვეგრძნო. მოკლედ, ჩვენს ტანჯვას საზღვარი არა ჰქონდა. ორივეს გასაქცევად გადავინახეთ „ქისები“, თითოეულში სამ-სამი ათასი ფრანკით. ერთ დღეს გადავწყვიტეთ, არაბი მოგვესყიდა, მაგრამ უფრო უარეს დღეში ჩავცივდით. საბედნიეროდ, მას ეგონა, რომ მხოლოდ ერთი „ქისა“ გვქონდა. მისი მეთოდი უბრალო იყო: მაგალითად, ორმოცდაათ ფრანკად უფლებას გვაძლევდა, უკვე ჩაბარებული მორებიდან მოგვეპარა ისეთები, რომლებზეც საღებავის წასმა დავიწყებოდათ. ამგვარად დღიურ ნორმას როგორღაც ვასრულებდით. ასე, ორმოცდაათ-ორმოცდაათ და ას-ას ფრანკებად გამოგვცინცლა ორი ათასამდე.

რაკი დაინახეს, რომ გეგმას ვასრულებდით, არაბი მოგვაშორეს. ვიფიქრეთ, ამდენი ფულის აღების შემდეგ არ ჩაგვიშვებდა და ტევრში ხეების ქურდობა განვაგრძეთ. ერთ დღეს, თურმე მალულად გამოგვყოლოდა და როცა დაინახა, რომ ხეს ვიპარავდით, თავზე დაგვადგა:

– ააა! შენ ხეების მოპარვა და არა გადახდა?! თუ შენ არ მოგეცი ჩემზე ხუთასი ფრანკი, მე დაბეზღება.

ჩავთვალეთ, რომ ეს მხოლოდ მუქარა იყო და უარი ვუთხარით. მეორე დღეს ისევ მოვიდა:

– შენ გადაიხადო, ან ამ საღამოს დილეგში წახვიდე.

ისევ უარი ვტკიცეთ. ნაშუადღევს ზედამზედველების თანხლებით დაბრუნდა. რაც მაშინ მოხდა, საშინელებაა, პაპაონ: გაგვაშიშვლეს და არაბის შოლტის ცემის ქვეშ გვაიძულეს, დაგვეშალა ჩვენი გროვები და დაგვებრუნებინა ისინი, საიდანაც მოვიპარეთ. ამას სირბილით გვაკეთებინებდნენ. ეს corrida უჭმელ-უსმელად, ორ დღეს გაგრძელდა. ხშირად ვეცემოდით და არაბი ადგომას ნიხლებით ან ხარის

ძარღვით გვაიძულებდა. ბოლოს ადგომა აღარ შეგვეძლო და იცი, როგორ გვაიძულა ეს? იპოვა ერთი ველური კრაზანების მაგვარი მწერების ბუდე, რომელშიც ცეცხლოვანი ბუზები ცხოვრობენ. მოჭრა ტოტი, რაზეც ეს ბუდე ეკიდა და ზედ დაგვაჭყლიტა. ტკივილისაგან გაგიჟებულები, არა თუ ნამოვხტით, არამედ გიჟებივით ვირბინეთ. ვერ აგიწერ, რა ტანჯვა იყო! ალბათ იცი, რა მტკივნეულია კრაზანის ნაკბენი. წარმოიდგინე ორმოცდაათი, სამოცი ასეთი ნაკბენი და თანაც, ეს ბუზები უფრო მწარედ იკბინებიან, ვიდრე კრაზანები.

ათი დღით ჩაგვყარეს დილეგში პურისა და წყლის ამარა, ყოველგვარი მკურნალობის გარეშე. შარდს ვისვამდით, მაგრამ სამ დღეს მაინც გვეწვოდა. ბუზები მარცხენა თვალზე უფრო მეტად მეხვეოდნენ და დამაბრმავეს. როცა ბანაკში დაგვაბრუნეს, სხვა პატიმრებმა გადაწყვიტეს, დაგვხმარებოდნენ: თითოეული დღეში თითო ხის ნაჭერს გვაძლევდა. ამგვარად ერთი ნორმა მზადდებოდა. დიდი შეღავათი იყო და ჩვენ მხოლოდ ერთი გროვის მოჭრა გვინევდა. ამასაც ძლივს ვახერხებდით. ბევრს ვჭამდით და ნელ-ნელა ძალღონე აღვიდგინეთ. შემთხვევით მოგვივიდა თავში არაბზე ჭიანჭველებით შურისძიების აზრი. ერთ უღრან ადგილას, რკინის ხის ძებნაში, ხორცის მჭამელი ჭიანჭველების უზარმაზარი ბუდეს გადავაწყდით – იქვე რაღაც თხისხელა ცხოველს შესეოდნენ და ღრღნიდნენ.

ერთხელაც, დავუდარაჯდით, შემოველის დროს არაბი ცულით გავთიშეთ, ჭიანჭველების ბუდესთან მივათრიეთ, გავაშიშვლეთ, ხელფეხი თოკით შევუკარით და წამოქცეულ ხეზე მივაბით; პირში ჩვარი ჩავჩარეთ, რომ ყვირილი არავის გაეგონა და ტანი ნაჯახით დავუსერეთ. ჭიანჭველების ბუდეში ჯოხი ჩავარჭეთ და სხეულზე დავაბერტყეთ. მაშინვე შეუტიეს.

ნახევარი საათის შემდეგ ათასობით ჭიანჭველა დაეხვია. გინახავს ხორცისმჭამელი ჭიანჭველები, პაპიონ?

– არასოდეს. მხოლოდ დიდი, შავი ჭიანჭველები მინახავს.

– ესენი პატარები არიან და სისხლის ფერი აქვთ. სხეულს მიკროსკოპიულ ნაწილებს აგლეჯენ და ბუდეში მიაქვთ. წარმოიდგინე, როგორი წამება იქნებოდა! ჩვენი ბუზები მათთან შედარებით ნეტარება იყო! არაბის აგონია ორ დღესა და ერთ დილას გაგრძელდა. ოცდაოთხი საათის შემდეგ თვალები უკვე აღარ ჰქონდა.

ვაღიარებ, შეუბრალებლად ვიძიეთ შური, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რაც მან დაგვმართა. ჩვენ ხომ სასწაულმა გადაგვარჩინა! რა თქმა უნდა, ბუღას სხვა არაბები და ზედამხედველები ეძებდნენ, თან ეჭვი ქონდათ, რომ ჩვენ შორს არ ვიდექით მისი გაუჩინარების მიზეზიდან.

მოშორებით, ერთ მიუვალ ადგილას, ნელ-ნელა ორმოს ვთხრიდით, რათა გვამის ნარჩენები დაგვემალა. ერთ დღეს გვითვალთვალეს და დაინახეს, რასაც ვამზადებდით – ამან დაგვღუპა.

მეორე დღეს, სამუშაზე მისვლისთანავე, არაბის ჩონჩხს, რომელიც ჯერ კიდევ სავსე იყო ჭიანჭველებით (ჩვენც დაგვასისხლიანეს გვამის გადატანის დროს), ვიღებთ და დასამარხავად მიგვაქვს. სამი არაბი და ორი ზედამხედველი მოფარებულში მოთმინებით გველოდა, სანამ საქმეს მოვრჩებოდით და მერე წამოგვადგნენ.

აი, ასე გასკდა ეს საქმე! ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჯერ მოვკალით და ჭიანჭველებს მერე მივუგდეთ. ბრალდება ადგილობრივ ექიმზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ არაბს არც ერთი სასიკვდილო ჭრილობა არ ჰქონია და ჩვენ იგი მწერებს ცო-

ცხლად შევაჭამეთ.

ადვოკატი ზედამხედველი (აქ ზედამხედველები თამაშობენ ამ როლს) გვეუბნება, რომ თუ ჩვენი ვერსია გავიდა, შეიძლება, თავები მხრებზე შეგერჩეს. გულახდილად რომ გითხრათ, ამის იმედი არა გვაქვს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს მემკვიდრედ დაგვესახეთ, თუმცა ამის შესახებ შენთვის წინასწარ არ გვითქვამს.

– იმედი მაქვს, არ მომიწევს თქვენს მემკვიდრედ გახდომა, ამას მთელი გულით ვისურვებდი, – ვეუბნები გულწრფელად.

ვაბოლებთ. ვგრძნობ, რომ ერთი სული აქვთ, როდის დავილაპარაკებ, აინტერესებთ, რას ვიტყვი.

– მომისმინეთ, ბიჭებო. ვიცი, იმას ელოდებით, რაც თავიდან მთხოვეთ – როგორ ვუყურებ თქვენს საქციელს. ერთი კითხვა მაქვს, რომელსაც არავითარი გავლენა არ ექნება ჩემს გადაწყვეტილებაზე: რას ფიქრობს ამ საკნის უმრავლესობა და რატომ არავის არ ელაპარაკებით?

– უმრავლესობას მიაჩნია, რომ მოსაკლავი იყო, მაგრამ ცოცხალი არ უნდა მიგვეგდო ჭიანჭველებისთვის. რაც შეეხება მეორე კითხვას, იმიტომ არ ვეკარებით არავის, რომ ნაწყენები ვართ: ერთ დღეს შესაძლებლობა გვქონდა, ბუნტი მოგვეწყო და გავქცეულიყავით, მაგრამ მხარი არავინ დაგვიჭირა.

– გეტყვით ჩემს აზრს: კარგად მოიქეცით, რომ ასწილად გადაუხადეთ. იმის პატიება, რაც იმ ბულამ კრაზანებით თუ ცეცხლოვანი ბუზებით გაგიკეთათ, შეუძლებელია. გილიოტინაზე ასვლისას შეგიძლიათ; მხოლოდ ერთ რამეზე იფიქროთ: „მე თავს მჭრიან, ეს მხოლოდ ოცდაათ წამს გაგრძელდება – თავის ჩარჩოში გაყოფიდან დანის ჩამოვარდნამდე; მისი აგონია კი სამოც საათს გრძელდებოდა. მე მოგებული ვარ." რაც შეეხება ამ საკნის ხალხს, ვერ გეტყვით, მათთან მართლები ხართ თუ არა. თქვენ თუ ფიქრობდით, რომ ბუნტის მეშვეობით გაქცევას მოახერხებდით, მათ, შეიძლება, საწინააღმდეგო აზრი ჰქონოდათ. ჯანყს ყოველთვის გაუთვალისწინებელი მკვლელობები მოჰყვება. სამწუხაროდ, ჩემი აზრით, აქ მყოფთაგან რისკზე მხოლოდ თქვენ და ძმები გრავიეები წახვიდოდით. ყოველ კერძო სიტუაციას აუცილებლად სხვადასხვაგვარი რეაქცია მოჰყვება ხოლმე.

ჩემთან საუბრით კმაყოფილი ორი საბრალო ისევ თავის სიჩუმეს უბრუნდება, ჩემ გამო რომ დაარღვიეს.

კაციჭამიების გაქცევა

„მათ ხის ფეხი შესანსლეს!" „ერთი ხის ფეხის რაგუ, თუ შეიძლება!" ანდა ქალური ხმით: „მეტრ, თუ შეიძლება, ბიჭუნას ერთი კარგად შებრაწული ნაჭერი მომეცით, წინაკის გარეშე!" – ღამე არ გავა, რომ ასეთი წამოძახილები სამჯერ მაინც არ გაისმას საკანში. მე და კლუზიო ერთმანეთს ვეკითხებით, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს ღამეული ბოდვები და ვერ აგვიხსნია.

დღეს, ნაშუადღევს, საიდუმლოს გასაღებს ამ ამბის ერთ-ერთი მონაწილის მეშვეობით ვპოულობ. მას მარიუს დე ლა ჩიოტა ჰქვია. იგი სეიფების სპეციალისტია. როცა გაიგო, რომ მამამისს – ტიტენს ვიცნობდი, არაფერი დაუმალავს.

მას შემდეგ, რაც ჩემი გაქცევის ერთი ნაწილი მოვუყევი, ბუნებრივია, ვეკითხები:

– შენ?

– ოჰ! მე ჭუჭყიან ისტორიაში ვარ გარეული. ძალიან მეშინია, ერთი უბრალო გაქცევის გამო ხუთწლიანი დილეგი არ ავიკიდო. მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ, ვის გაქცევასაც „კაციჭამიების გაქცევას“ უწოდებენ. შენ რომ ღამეული ბოდვები გესმის: „შეჭამეს“, „რაგუ“ და სხვა, – ეს ძმებ გრავიეებს ეხება.

„42-ე კილომეტრიდან“ ექვსნი გავიქეცით: ლიონელი ძმები დედე და ჟან გრავიეები, – ოცდაათი და ოცდათხუთმეტი წლის; ერთი ნეაპოლელი მარსელიდან; მე – ჩიოტადან; აგრეთვე ერთი ანჟერელი ხისფეხიანი ტიპი, თავის ოცდასამი წლის მეგობართან ერთად, რომელიც ქალობას უწევდა. მარონიდან გასვლა არ გაგვჭირვებია, მაგრამ ოკეანეში ვერაფრით ვერ გავაღწიეთ და რამდენიმე საათში ტალღამ ჰოლანდიის გვიანის ნაპირს მიგვალეწა.

გარდა იმისა, რაც ზედ გვეცვა, ვერაფერი გადავარჩინეთ, საჭმელიც მთლიანად დავკარგეთ და ამ ყოფაში აღმოვჩნდით ტევრში. მინდა გითხრა, რომ აქ ზღვას ნაპირი არა აქვს და წყალი ტყეში ღრმად აღწევს. უამრავ წაქცეულ, ერთმანეთში გადახლართულ ხეებში გავლა თითქმის შეუძლებელია.

მხოლოდ მთელი დღის სიარულის შემდეგ ვიპოვეთ მშრალი მიწა. აქ სამ ჯგუფად გავიყავით: გრავიები ცალკე წავიდნენ; მე და გეზეპი ცალკე; „ხის ფეხი“ და მისი პატარა მეგობარი – ცალკე. მოკლედ, სხვადასხვა მიმართულებით გაფანტულეები, თორმეტი დღის შემდეგ თითქმის იმავე ადგილას ვხვდებით: გრავიეები, მარიუსი და მე. ირგვლივ მხოლოდ ჭაობი იყო და გასასვლელი ვერ ვიპოვეთ. ალბათ მიხვდები, რა გუნებაზე ვიქნებოდით. ცამეტი დღე უჭმელ-უსმელი დავყავით, მხოლოდ ხის ფესვებითა და ყლორტებით ვიკვებებოდით. როცა მეტის ატანა აღარ შეგვეძლო, მე და მარიუსმა გადავწყვიტეთ, მოგვეკრიბა დარჩენილი ძალები, გავსულიყავით ზღვის ნაპირამდე და მაღალ ხეზე პერანგი დაგვემაგრებინა, რათა რომელიმე სანაპირო დაცვის ჰოლანდიურ გემს, რომელიც აქ აუცილებლად გაივლიდა, აღმოვეჩინეთ და ავეყვანეთ. გრავიეებს ცოტა უნდა დაესვენათ და მერე დანარჩენი ორის საძებნელად წასულიყვნენ. ამას ადვილად შეძლებდნენ, რადგან გაყრისას დავთქვით, რომ კვალი მოტეხილი ტოტებით დაგვეტოვებინა.

მოკლედ, რამდენიმე საათის ძებნის შემდეგ, ისინი მარტოდ მომავალ „ხის ფეხს“ ხვდებიან.

– სად არის ბიჭი?

– აქედან შორს დავტოვე, სიარული აღარ შეეძლო.

– არამზადა ხარ ასეთი საქციელის გამო.

– თვითონ მოისურვა. მერე ვაპირებდი მიბრუნებას.

ამ დროს დედე ამჩნევს, რომ მას ერთადერთ ფეხზე ბიჭის ფეხსაცმელი აცვია.

– ყველაფერთან ერთად, ფეხშიშველიც დატოვე, არა? ყოჩაღ! რაღაც კარგ ფორმაში მეჩვენები, ჩვენსავით არ მისავათებულხარ, აშკარად გეტყობა, რომ საკვები არ გაკლდა.

– ჰო, დიდ დაჭრილ მაიმუნს წავაწყდი.

– მით უკეთესი შენთვის, – დედე დანით ხელში ფეხზე დგება, რადგან დარწმუნებულია, რომ მიხვდა, რაშიც არის საქმე, მით უმეტეს, რომ მის სავსე ჩანთას ამჩნევს.

– გახსენი ჩანთა, შიგ რა გაქვს? – უხსნის ჩანთას და ხორცის ნაჭერს ხედავს.

– ეს რა არის?

– მაიმუნის ხორცია.

– გაფუჭებულო! ბიჭი მოკალი და შეჭამე, არა?

– არა, დედე, გეფიცები, ვერ გაუძლო და მოკვდა. მე მხოლოდ ცოტაოდენი შევჭამე. ბოდიში...

სიტყვის დამთავრებას არ აცლის და მუცელში დანას უყრის. ჩხრეკვისას მის ჩანთაში ასანთსა და გასაკრავებსაც პოულობს. გაცოფებული შიმიშილისა და იმისგან, რომ წასვლისას „ხის ფეხმა“ ასანთი არ გაგვიყო, ცეცხლს ანთებს და ძმასთან ერთად მისი ხორცის ჭამას იწყებს.

გეზეპი გახურებული ნადიმის დროს ბრუნდება. პატიჟებენ, მაგრამ უარზეა – სანაპიროზე კიბოებითა და ნედლი თევზით დანაყრდა. გრავიეების ქეიფს მონაწილეობის გარეშე ესწრება. ხედავს, როგორ იყენებენ ხის ფეხს ცეცხლის გასაჩაღებლად. სხეულის ნაწილებსაც კი არჩევს: კანჭს, ბარკალს...

– მე, – განაგრძობს მარიუსი, – ისევ ზღვის პირას ვიყავი, როცა გეზეპი ჩემ წასაყვანად სირბილით მოვიდა. ქუდი პატარა თევზებითა და კიბოებით გავავსეთ და გრავიეების ცეცხლზე შესაწვავად წავიღეთ. მე გვამი არ მინახავს – ალბათ შორს გადაათრიეს – მაგრამ ნაცარზე დაყრილი ხორცის რამდენიმე ნაჭერი კი შევამჩნიე.

სამი დღის შემდეგ, სანაპიროს დაცვის ერთ-ერთმა გემმა აგვიყვანა და სენ-ლორან-დიუ-მარონის გამასწორებელს გადაგვცა.

გეზეპიმ ენა ვერ გააჩერა – საკანში ყველამ გაიგო ეს ამბავი, თვით ზედამხედველებმაც კი იციან. ამიტომაც გიყვები – მაინც ყველამ იცის. აი, აქედან მოდის ის ღამის ბოდვები.

ოფიციალურად, ბრალი კაციჭამიობით დამძიმებულ გაქცევაში გვედება. უბედურება ის არის, რომ თავის დასაცავად ვილაც უნდა დავადანაშაულოთ, ეს კი არ შემიძლია. გეზეპის ჩათვლით, გამოძიებაზე ამ ბრალდებას ყველა უარეყოფთ. ვამბობთ, რომ ისინი ტევრში დაიკარგნენ. აი, რა მდგომარეობაში ვართ, პაპილონ.“

– მესმის შენი მდგომარეობა და გითანაგრძნობ, თავს მართლაც ვერ დაიცავ, თუ ვილაც არ დაადანაშაულე.

ერთი თვის შემდეგ გეზეპის გულში დანა გაუყარეს. ნათელი იყო, ეს ვინ და რატომ ჩაიდინა.

ასეთია ნამდვილი ისტორია კაციჭამიებისა, რომლებმაც კაცი, მანამდე ბიჭი რომ შეჭამა, თავისივე ხის ფეხის ნაკვერჩხალზე შეწვეს.

ამ ღამით სხვა ადგილზე გადავწექი – ერთი წასული პატიმრის ადგილი დავიკავე. კლუზიომ სთხოვა დანარჩენებს, თითო ადგილით ჩაეწიათ და ახლა მის გვერდით ვარ. ამ ადგილიდან, მიუხედავად იმისა, რომ მარცხენა ფეხი ხუნდებში მაქვს, შესაძლებლობა მეძლევა, დავაკვირდე, თუ რა ხდება ეზოში.

მეთვალყურეობა ისეა გაძლიერებული, რომ მორიგეობას რიტმი არა აქვს. ზედამხედველები ერთმანეთს მიჰყვებიან, სხვები – საპირისპირო მიმართულებიდან მოდიან.

ფეხები უკვე მომირჩა, მხოლოდ წვიმის დროს მაწუხებს. მოკლედ, მოქმედების დასაწყებად მზად ვარ, მაგრამ როგორ? ამ საკანს ფანჯრები არა აქვს, მხოლოდ ერთი უზარმაზარი რკინის ბადე ფარავს მთელ სიგრძეზე, დაბლიდან ჭერამდე. ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი შიგნით თავისუფლად აღწევს. ერთი კვირის დაკეი-

რვების მიუხედავად, დაცვის მონაცვლეობაში ხარვეზს ვერ ვპოულობ. ჩამოყვანის დროიდან ახლა პირველად ვაღიარებ, რომ სენ-ჟოზეფის საპყრობილეში-ჩემს ჩაკეტვას შეძლებენ. როგორც მითხრეს, ის საშინელი რამ არის და მას „კაციჭამიას" უწოდებენ. იმასაც მეუბნებიან, რომ მისი ოთხმოცი წლის არსებობის მანძილზე იქიდან ვერც ერთი კაცი ვერ გაქცეულა.

ბუნებრივია, ის ფაქტი, რომ ბედს თითქმის ვმორჩილდები, მაიძულებს, ჩემს მომავალს ახლებურად გადავხედო. ახლა ოცდაცხრა წლისა ვარ და უფროსი გამომძიებელი ხუთი წლის სატუსაღოს თხოულობს, რასაც,ალბათ ვერ გადავურჩები. ესე იგი, დილეგიდან ოცდაცამეტი წლისა გამოვალ.

„ქისაში" ჯერ კიდევ ბევრი ფული მაქვს. თუ იქიდან ვერ გავიქცევი, რაც მოძიებული ფაქტების გათვალისწინების მიხედვით, სათუოა, ის მაინც უნდა მოვახერხო, რომ ჯანმრთელობა შევინარჩუნო. ძნელია ხუთი წლის სრული მარტოობა ისე გადაიტანო, რომ არ გაგიჟდე. ამიტომაც, განზრახული მაქვს, სასჯელის პირველივე დღიდან კარგად ვიკეებო და გონება წინასწარ შედგენილი და ჩამოყალიბებული მრავალფეროვანი პროგრამით გავწვრთნა. შეძლებისდაგვარად უნდა ვერიდო ოცნების კოშკების შენებას და, რაც მთავარია, შურისძიებაზე ფიქრს. ამგვარად, აქედანვე უნდა მოვემზადო, რათა გამარჯვებული გამოვიდე იმ ყოფიდან, რაც მელის. დიახ, ამათ იმედი უნდა გავუცრუო: დილეგიდან ფიზიკურად და მორალურად ძლიერი გამოვალ!

ბედს დამორჩილებისა და ამგვარი სამოქმედო გეგმის ჩაფიქრების შემდეგ, შვებით ამოვისუნთქე. ბრიზი, რომელიც ამ საკანში სხვაზე ადრე მე მეფერება, მართლაც მსიამოვნებს.

კლუზიო ყოველთვის ხვდება, როდის არა ვარ ლაპარაკის გუნებაზე. ხმას არ მცემს, მხოლოდ ზედიზედ ეწევა. ცაზე რამდენიმე ვარსკვლავს ვამჩნევ. ვეკითხები:

– შენი ადგილიდან ვარსკვლავებს ხედავ?

– ჰო, – მპასუხობს და თან ცოტა წინ იხრება. მირჩევნია, არ ვუყურო, რადგან ისინი ძალიან მაგონებენ გაქცევის დროინდელ ვარსკვლავებს.

– ამაზე ნუ იდარდებ, მომავალი გაქცევის დროს კვლავ ათასობით ვნახავთ.

– როდის, ხუთი წლის შემდეგ?

– კლუზიო, ის ერთი წელი, ყველა თავს გადახდენილი ფათერაკი და ადამიანები, რომლებიც გავიცანით, განა არ ღირდა ხუთწლიან დილეგად? შენ რა, გერჩია, არ გაქცეულიყავი და ჩამოსვლის დღიდანვე კუნძულზე გაესახლებინე? იმის გამო, რაც ჩვენ გველის, რაც, რა თქმა უნდა, თაფლი არ იქნება, ნანობ, რომ გამოიქეცი? გულახდილად მითხარი, ნანობ, თუ არა?

– პაპი, შენ გავიწყდება ერთი რამ, რაც მე არ მქონია: შვიდი თვე შენ ინდიელებთან გაატარე. შენს ადგილას რომ ვყოფილიყავი, მეც ასე ვიფიქრებდი, მაგრამ მე ციხეში ვიჯექი.

– ბოდიში, ამაზე არ მიფიქრია; რას ვყბედობ!

– არა, არ ყბედობ. ყველაფრის მიუხედავად, ძალიან კმაყოფილი ვარ ამ გაქცევით, რადგან მეც გამოვიარე დაუვიწყარი წუთები. ოღონდ, რაღაცნაირად, ნაღველი მაწვება იმის გაფიქრებაზე, რაც იმ „კაციჭამიაში" მელის. ხუთ წელიწადს გაძლება თითქმის შეუძლებელია.

ვუკვირდები ჩემს გეგმებს და, ეგრძნობ და მსიამოვნებს, რომ ჩემი სიტყვები სიმხნე-

ვეს მატებს. ტრიბუნალამდე თხუთმეტი დღეა დარჩენილი. ზოგიერთ ხმას თუ დავუჯერებთ, კომენდანტი, რომელიც სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ ჩამოდის, ცნობილია როგორც მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ადამიანი. იგი თურმე ადვილად არ ეთანხმება კოლონიის ადმინისტრაციის ყბედობას. ასე რომ, ეს უფრო სასიამოვნო ცნობად უნდა ჩავთვალოთ. მე და კლუზიომ (მატურეტი ჩამოსვლის დღიდან საკანშია) უარი ვთქვით ადვოკატად ზედამზედველის აყვანაზე. გადავწყვიტეთ, რომ სამიევეს მაგივრად მე ვილაპარაკებდი და ჩვენს დაცვას წარმოვადგენდი.

ტრიბუნალი

ამ დილით, გაპარსული და გაკრეჭილი, ახალ, წითელზოლიან ტილოს ჩასაცმელსა და ფეხსაცმელებში გამოწყობილები, ეზოში ტრიბუნალის დანყებას ველოდებით. კლუზიოს თაბაშირი თხუთმეტი დღის წინ მოხსნეს და ახლა ნორმალურად დადის – არც კი კოჭლობს.

სამხედრო საბჭოს სხდომა ორშაბათს დაიწყო. ახლა შაბათის დილაა; ასე რომ, ხუთი დღეა, სხვადასხვა პროცესი მიდის. „ჭიანჭველების საქმემ" მთელი ერთი დღე წაიღო. ორივეს სიკვდილი მიუსაჯეს და ისინი მეტად აღარ მინახავს. ძმები გრავიეები მხოლოდ ოთხ-ოთხ წელს იღებენ (კაციჭამიობის ფაქტის დაუმტკიცებლობის გამო). მათმა პროცესმა ნახევარ დღეზე მეტ ხანს გასტანა. დანარჩენებმა მკვლელობებისათვის ხუთ-ხუთი თუ ოთხ-ოთხი წელი მიიღეს.

საერთოდ, ტრიბუნალის წინაშე მდგარ თოთხმეტივე დამნაშავეს მკაცრი, მაგრამ მისაღები სასჯელი გამოუტანეს – გადაჭარბების გარეშე.

ჩვენი საქმის განხილვა რვის ნახევარზე იწყება. უკვე დარბაზში ვართ, როცა ბედუინის სამოსში გამოწყობილი კომენდანტი მოხუცი ინფანტერიის კაპიტნისა და ერთი ლეიტენანტის თანხლებით შემოდის. ორი უკანასკნელი თანათავმჯდომარე იქნება.

ტრიბუნალის მარჯვნივ, ერთი გალონებიანი ზედამხედველი, კაპიტნის ჩინით, ადმინისტრაციის ბრალდებას წარმოადგენს.

„ისმინება შარიერის, კლუზიოსა და მატურეტის საქმე!"

ტრიბუნალიდან დაახლოებით ოთხ მეტრში ვართ და საშუალება მეძლევა, დავაკვირდე ამ ორმოცდაათიოდე წლის კაპიტნის უდაბნოსაგან „დამუშავებულ" თავს, შეევრცხლილი საფერთქლებით. სქელი წარბების ქვემოდან შავი, პირდაპირ გვიყურებს. ლამაზი თვალები ეტყობა, რომ ნამდვილი სამხედროა. გამოხედვაში ბოროტება ვერ ვამჩნევ. რამდენიმე წამში თვალებით გვაფასებს. მზერას ვუსწორებ, მერე თვალებს ვხრი.

ადმინისტრაციის წარმომადგენელი გადაჭარბებით აქტიურობს, რაც ბოლოს პარტიას წააგებინებს. იგი ზედამხედველების მოცილებას მკვლელობის მცდელობას უწოდებს. არაბი თავის მხრივ აცხადებს, რომ უამრავი დარტყმა მივაყენეთ და სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. კაპიტანი მეორე შეცდომას მაშინ უშვებს, როცა ამბობს, რომ ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც კატორღის დაარსებიდან დღემდე საფრანგეთის სირცხვილი ასე შორს გაიტანა:

– კოლუმბიამდე! ორი ათას ხუთას კილომეტრზე, ბატონო თავმჯდომარევ. ამ ხალხმა გაიარა ტრინიდადი, კურასაო, კოლუმბია და ყველა ამ ერმა უეჭველად მოისმინა უდიდესი მონაჩმახები საფრანგეთის გამასწორებელი სისტემის ადმინი-

სტრაციის შესახებ!

შარიერისა და კლუზიოსათვის მოვითხოვ ორ სასჯელს გადაფარვის გარეშე, ანუ, რვა-რვა წელს: ხუთ წელს – განზრახ მკვლელობის მცდელობისა და სამ წელს – გაქცევისთვის. მატურეტისათვის, მხოლოდ გაქცევის გამო, ვითხოვ სამ წელს, რადგან, როგორც გამოძიების მასალებიდან ჩანს, მას მკვლელობის მცდელობაში მონაწილეობა არ მიუღია.

თავმჯდომარე:

– ტრიბუნალს დააინტერესებდა, რაც შეიძლება მოკლედ მოგეყოლათ ამ გრძელი ოდისეის შესახებ.

ვყვები ჩვენს მოგზაურობას ტრინიდადამდე, მარონის ერთი ნაწილის გამოტოვებით; ვხატავ ბოვენების ოჯახს და მათ მიერ განეულ სიკეთეს; მომყავს ტრინიდადის პოლიციის შეფის სიტყვები: „ინგლისელი ავტორიტარების საქმე არ არის საფრანგეთის სამართალი გაარჩიონ, მაგრამ ერთ რამეში არა ვართ თანახმა: ესაა საფრანგეთის გვიანაში მსჯავრდებულების გაგზავნა. ამიტომაც გეხმარებით.“ კურასაო, მამა ირენ დე ბრუინი, ფლორინების ქისა; მერე, კოლუმბია, რატომ და როგორ მოვხვდი იქ; ძალიან მოკლედ ვყვები ინდიელებთან ჩემი ცხოვრების შესახებ. თავმჯდომარე არ მაწყვეტინებს. იგი მხოლოდ ინდიელებთან ყოფნის რამდენიმე, მისთვის საინტერესო დეტალის დაზუსტებას მთხოვს. მერე კოლუმბიელთა ციხე, განსაკუთრებით – სანტა-მარტას წყალქვეშა დილეგი.

– გმადლობთ, თქვენი მონაყოლი სასამართლოსთვის სასარგებლო და საინტერესო იყო. თხუთმეტი წუთით შესვენებას ვაცხადებ. მე თქვენს დამცველებს ვერ ვხედავ, სად არიან?

– არ გვყავს. გთხოვთ, დაგვთანხმდეთ, ჩემი და ჩემი მეგობრების დაცვა მე წარმოვადგინო.

– შეგიძლიათ. რეგლამენტი ამას არ კრძალავს.

– გმადლობთ.

მეოთხედი საათის შემდეგ სხდომა გრძელდება.

თავმჯდომარე:

– შარიერ, ტრიბუნალი უფლებას გაძლევთ, წარმოადგინოთ თქვენი და თქვენი მეგობრების დაცვა. ამასთან, გაფრთხილებთ, რომ სიტყვა ჩამოგერთმევათ, თუ ადმინისტრაციის ნარმომადგენლების მიმართ უპატივცემულობას გამოიჩენთ. შეგიძლიათ, თავისუფლად, მაგრამ მისაღები გამოთქმებით დაიცვათ თავი. გისმენთ.

– ტრიბუნალს ვთხოვ, მოგვიხსნას მკვლელობის მცდელობა. ასეთი რამ არ ყოფილა და ამას ახლავე დავამტკიცებ: გასულ წელს მე ოცდაშვიდი წლის ვიყავი, ხოლო კლუზიო – ოცდაათის. საფრანგეთიდან ახალჩამოსულებს ჯან-ღონე არ გვაკლდა. ჩვენ სიმაღლით მეტრი და სამოცდათოთხმეტი და მეტრი სამოცდახუთმეტი ვართ. არაბსა და ზედამხედველებს საწოლის რკინი ფეხი ჩავარტყით. არც ერთი იმ ოთხთაგანი სერიოზულად არ დაჭრილა – ესე იგი, დარტყმა მოხდა დიდი სიფრთხილით, რომ რაც შეიძლება ნაკლები ტკივილი მიგვეყენებინა და მხოლოდ გაგვეთიშა. ბრალმდებელს დაავიწყდა, ან არ იცის, რომ იმ რკინის ნაჭერს ჩვარი ჰქონდა შემოხვეული, რათა რომელიმეს მოკვლის საფრთხე აგვეცილებინა. ამ ტრიბუნალს, რომელიც ძირითადად კადრის სამხედროებისგან არის შედგენილი, კარგად მოეხსენება, თუ რას ნიშნავს ძლიერი მამაკაცის მიერ ხმლის დარტყმა,

თუნდაც სიბრტყიდან. აქედან, გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, რისი გაკეთება შეიძლება საწოლის რკინის ფეხით. მინდა, ტრიბუნალის ყურადღება მივაპყრო იმ ფაქტს, რომ არც ერთი მათგანი ჰოსპიტალში არ მოხვედრილა.

– მე ვფიქრობ, რომ სამუდამო კატორღამისჯილი კაცისათვის უფრო მისატევებელია გაქცევის დანაშაული, ვიდრე იმისთვის, ვისაც პატარა სასჯელი აქვს მოსახდელი. ჩვენს ასაკში ძნელია, შეურიგდე აზრს, რომ ნორმალურ ცხოვრებას ველარასოდეს დაუბრუნდები. ტრიბუნალს ვთხოვ, ჩვენ სამს ბრალდება მოგვიხსნას.

თავმჯდომარე თანამსაჯულებს ეჩურჩულება და მაგიდაზე ჩაქუჩს ურტყამს:

– მსჯავრდებულნო, ადექით!

სამივე სარგადაყლაპულივით თდგავართ და ველით.

პრეზიდენტი:

– ტრიბუნალი, რომელსაც ვერავინ უკარნახებს სასჯელის ზომას, თვით გამამართლებელსაც კი, გიხსნით განზრახ მკვლელობის მუხლს. გაქცევისათვის ცნობილი ხართ მეორე ხარისხის დამნაშავეებად და გისჯით ორ-ორი წლით საპყრობილეს.

ერთხმად ვამბობთ: „გმადლობთ თავმჯდომარევ!“ მერე მე ვამატებ: „მადლობა ტრიბუნალს!“

პროცესზე დამსწრე „ძაღლები“ გაოგნებული არიან.

საკანში, ამხანაგებთან ვბრუნდებით. ყველა კმაყოფილია ამ ამბით, არავის არ შურს. თვით ისინიც კი, ვინც მკაცრად დაისაჯა, გულწრფელად გვილოცავენ.

ფრანსუა სიერა მოდის და მეხვევა. სიხარულისაგან არ იცის, რა ქნას.

მეექვსე რვეული

ხსნის კუნძულები

კუნძულებზე მისვლა

ხვალ ხსნის კუნძულებზე წასასვლელად გემში უნდა ჩავსხდეთ. მიუხედავად ამდენი ბრძოლისა, ცოცხლად დამარხვას რამდენიმე საათი მაშორებს. სენ-ჟოზეფის საპყრობილეში ორი წელი უნდა მოვიხადო. იმედი მაქვს, „კაციჭამია" კატორღელების მიერ შერქმეულ ზედმეტ სახელს არ გაამართლებს.

პარტია კი წავაგე, მაგრამ დამარცხებულის იერი სულაც არა მაქვს.

უნდა მახსოვდეს, რომ ამ ციხის ციხეში მხოლოდ ორი წელი მაქვს მოსახდელი. როგორც თავს შევპირდი, სულიერად არ უნდა დავეცე, რასაც სრული იზოლაცია მიქადის. მის წინააღმდეგ უებარი წამალი მაქვს: თავი წინასწარ უნდა დავინახო თავისუფალი, ჯანმრთელი და სრულ გონებაზე მყოფი, როგორც კუნძულის ყველა კატორღელი. როცა გამოვალ, ოცდაათი წლის ვიქნები.

ვიცი, რომ კუნძულებიდან გაქცევა ძალზე იშვიათია, მაგრამ ხომ იყო შემთხვევები, თუნდაც თითებზე ჩამოსათვლელი? ვილაც-ვილაცეები ხომ გაიქცნენ? მაშასადამე, მეც გავიქცევი, – ამას წყალი არ გაუვა!

– ორ წელინადში გავიქცევი, – ვეუბნები კლუზიოს, რომელიც გვერდში მიზის.

– ჩემო კარგო პაპიონ, ძალიან ძნელია შენი დამარცხება. მშურს, როცა ვხედავ, რომ თავისუფლების სურვილი ასე გაქვს გამჯდარი. ერთი წელია, გაუჩერებლად გარბიხარ და ამაზე ხელი ვერაფერმა ვერ აგაღებინა. ჯერ ერთი დამარცხება არ მოგინელებია და უკვე მეორეს ამზადებ. ძალიან მიკვირს, აქაც რომ რამე არ წამოიწყე.

– აქ, ჩემო, ბიჭო, მხოლოდ ერთი რამ შეიძლება: ბუნტის მომზადება; ამისთვის კი საკმარისი დრო არ მქონდა, რომ ამდენი მძიმე ხასიათის ადამიანი ხელში ამეყვანა. ვაპირებდი, მაგრამ ჩავთვალე, რომ თვითონაც შევეწირებოდი. ეს ორმოცი კაცი ყველა ძველი კატორღელია. ამ ჭაობის სიდამპლემ ისინი ისე ჩაითრია, რომ ჩვენგან განსხვავებულად აზროვნებენ. გინდა მაგალითები? – „კაციჭამიები", „ჭიანჭველების ბიჭები", ტიპი, რომელმაც ერთი კაცის მოსაკლავად სუპში საწამლავი უყოყმანოდ ჩაყარა და არც კი დაფიქრებულა, რომ სხვა შვიდ უდანაშაულოს მოწამლავდა...

– კუნძულებზეც ხომ ასეთივე ხალხი იქნება!

– კი, მაგრამ, კუნძულებიდან გასაქცევად არავინ მჭირდება – მარტო წავალ, ან, მაქსიმუმ, ერთ კაცს წავიყვან. რატომ გეღიმება, კლუზიო?

– იმიტომ მეღიმება, რომ ვხედავ, როგორ გწვავს ერთ დღეს პარიზში ჩასვლისა და იმ სამ „მეგობართან" ანგარიშის გასწორების სურვილი. ეს ისე მოგდებია, რომ არასოდეს აღიარებ დამარცხებას და არასოდეს დათანხმდები იმ აზრს, რომ ის, რისკენაც მიილტვი, შეიძლება, განუხორციელებელი დაგრჩეს.

– ძილი ნებისა, კლუზიო, ხვალამდე. რას იზამ, წავიდეთ იმ დაწყევლილი ხსნის კუნძულების სანახავად. ერთი რამ არის საკითხავი: რატომ ჰქვია „ხსნის კუნძულები?"

კლუზიოს ზურგს ვაქევ და თავს ღამის ბრიზისკენ ვხრი.

მეორე დღეს, დილაადრიან, კუნძულებისაკენ მიმავალ გემზე ავდივართ. ამ პატარა, ოთხასი ტონა წყალწყვის გემზე – „ტანონზე", ოცდაექვსი კაცი ვართ. ის კაიენას, კუნძულებსა და სენ-ლორანს შორის მიდი-მოდის. ყველას ხელბორკილი გვადევს და წყვილ-წყვილად, ფეხებით ვართ ერთმანეთზე გადაბმული. ორი ჯგუფია. წინა, რვაკაციან ჯგუფს ორი მუშკეტიანი ზედამხედველი ყარაულობს, უკანას – ცხრაკაციანს – ექვსი დარაჯი და ამ ეტაპის ორი შეფი. ყველანი ამ პატარა გემის, უფრო კი ნავის გემბანზე ვართ, რომელიც უბრალო ცუდ ამინდშიც კი შეიძლება, ჩაიძიროს.

სხვა რამეზე რომ არ ვიფიქრო, ვაპირებ, გზაში გავერთო. მხოლოდ იმიტომ, რომ ზედამხედველი გავაღიზიანო, ახლოს მდგომ ერთ-ერთ მათგანს, რომელსაც საფლავიდან ამოღებულის სიფათი აქვს, ვეუბნები:

– ისეთი მძიმე ჯაჭვები დაგვადეთ, რომ თუ ეს ტაშტი ფსკერისკენ ნავა, რაც ადვილი მოსალოდნელია ასეთ ზღვაზე, ვერავინ გადავრჩებით.

გამოუძინებელი „ძაღლი" ზუსტად ისე რეაგირებს, როგორც ველოდი:

– დაიხრჩობით თუ არა, ფეხებზე გეკიდია. ჯაჭვების დადება გვიბრძანეს და მორჩა! პასუხს ბრძანების გამცემები აგებენ, ჩვენ არაფერ შუაში ვართ.

– მართალი ბრძანდებით, ბატონო ზედამხედველო, მაგრამ, თუ ეს კუბო შუა გზაში გასკდა, ვერც ჯაჭვიანი გადარჩება და ვერც უჯაჭვო.

– იცით, რა? – ამბობს ერთი უტვინო, – დიდი ხანია, ეს გემი ამ გზაზე მიდი-მოდის და არასდროს არაფერი მოსვლია.

– სწორედ მაგიტომ, რომ „დიდი ხანია", უნდა ყოველ წუთს ველოდოთ, რომ რაღაც დაემართება.

მივაღწიე, რაც მინდოდა – ნერვების მომშლელი სიჩუმე დავარღვიე. თემა სხვა კატორღელებმა და ზედამხედველებმაც აიტაცეს:

–ასეა, ეს პატარა გემი მართლაც საშიშია, ამას გარდა, ჯაჭვებსაც გვადებენ! უჯაჭვოდ, გადარჩენის შანსი მაინც გვექნება!

– ოჰ! რა შეცავათია! ამ უნიფორმით, ჩექმებითა და მუშკეტით არც ჩვენ ვართ მსუბუქები.

– მუშკეტს ნუ ჩავთვლით, თუ რამე მოხდება, მაშინვე მოვიშორებთ, – ამბობს მეორე.

რაკი ვხედავ, პირველმა გაჭრა, მეორე აზრს ვისვრი:

– ან, სად არის სამაშველო ნავები? მხოლოდ ერთს, ძალიან პატარას ვხედავ, რომელშიც, ბევრი-ბევრი, რვა კაცი ჩაეტევა – კომენდანტი და ეკიპაჟის წევრები, – დანარჩენებო, მშვიდობით!

და, წავიდა! ერთმანეთს ხმის ტონალობაში ეჯიბრებიან:

– მართლაც, ეს ტაშტი ისეთ მდგომარეობაშია, რომ გაუგონარი უპასუხისმგებლობაა, ოჯახის მამები ასეთ საფრთხეში ჩააგდო ამ არარაობების გასაცილებლად. უჯაჭვოდ გადარჩენის საშუალება მაინც გვექნება!.

მე უკანა გემბანის ჯგუფში ვარ, სადაც ამ ეტაპის ორივე უფროსიც იმყოფება. ერთ-ერთი მათგანი მიყურებს და მეუბნება:

– ეს შენა ხარ პაპიონი, კოლუმბიიდან რომ დააბრუნეს?

– დიახ.

– არ მიკვირს, ასე შორს რომ წახვედი. გეტყობა ზღვას იცნობ.

– დიახ, ძალიან კარგად, – ვპასუხობ მედიდურად:

ამის გაგონებაზე გემზე სიცივე ისადგურებს. უფრო მეტიც: კომენდანტიც მიახლოვდება, რომელიც აქამდე ბოგურაზე იყო ასული – რადგან მარონის ყველაზე სახიფათო გასასვლელში ვიყავით, თვითონ იდგა შტურვალთან, ახლა კი სხვას გადააბარა. იგი ტამბუქტუელივით შავია, პატარა და მსუქანი და საკმაოდ ახალგაზრდული იერი აქვს. მოკლედ, კომენდანტი მოდის და კითხულობს, სად არიან ის ბიჭები, რომლებიც ხის ნაგლეჯით კოლუმბიაში ჩავიდნენო.

– ეს, ის და მეორე იქ, გვერდით, – პასუხობს ეტაპის უფროსი.

– კაპიტანი რომელი იყო? – კითხულობს ქონდრისკაცი.

– მე ვიყავი, მესიე.

– ძალიან კარგი, ჩემო ბიჭო! როგორც მეზღვაური – მეზღვაურს, გილოცავ. შენ არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ. აიღე! – ხელს ქურთუკის ჯიბეში იყოფს, – აი, თამბაქო და ქაღალდი, ჩემს სახელზე გააბოლე.

– გმადლობთ, კომენდანტო. ამასთან, მეც მინდა შეგიქოთ გამბედაობა, რაკი ამ კუბოთი, ჩემი აზრით, კვირაში ორჯერ მაინც დაცურავთ.

ხარხარებს და, იმ ხალხის გულის გასახეთქად, ვისიც მე მხოლოდ გაღიზიანება მინდოდა, ამატებს:

– შენ მართალი ხარ. ეს ჯაბახანა დიდი ხნის წინ უნდა გაგვეგზავნა სასაფლაოზე, მაგრამ კომპანია თავს იკავებს – ელოდება, როდის ჩაიძირება, რომ დაზღვევა აიღოს.

მაშინ მე მოულოდნელ ჩხვლეტას ვაყენებ:

– საბედნიეროდ, ეკიპაჟისა და თქვენთვის ერთი სამაშველო ნავი გაქვთ.

– საბედნიეროდ, გვაქვს, – დაუფიქრებლად მპასუხობს კომენდანტი და კიბეზე უჩინარდება.

ამ თემამ, რომელიც მე განგებ წამოვწიე, შეავსო ჩვენი თითქმის ოთხსაათნახევრიანი მოგზაურობა. ყველას რაღაც ჰქონდა სათქმელი. არ ვიცი როგორ, მაგრამ ჩვენი საუბარი რომელიც, გემის უვარგისობას შეეხებოდა, ქიმამდე გავიდა.

დილის ათი საათისთვის ზღვა არ ღელავს, მაგრამ ქარი და ტალღები გემის სვლას ხელს არ უწყობენ. ჩვენ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მივცურავთ, ესე იგი – ტალღებისა და ქარის საპირისპიროდ, რაც, ბუნებრივია, გემის საშუალოზე მაღალ რყევას იწვევს. ზოგიერთ ზედამხედველსა და კატორღელს ზღვის ავადმყოფობა შეეყარა. საბედნიეროდ, იმას, ვინც ჩემთან არის ჯაჭვით დაწყვილებული, მეზღვაურის გამძლეობა აქვს, თორემ იმაზე უსიამოვნო არაფერია, ვიდრე ხედავდე, როგორ არწყევენ შენ გვერდით. ეს ტიპი პარიზის ერთი ნამდვილი ქუჩის ბიჭია და კატორღაში 1927 წელს ჩამოიყვანეს, ესე იგი, შვიდი წლის წინ. ახალგაზრდაა – ოცდარვა წლის.

– მე ტიტი ლა ბელოტი მქვია, რადგან, უნდა იცოდე, ძმაკაც, რომ თამაში ჩემთვის ყველაფერია. კუნძულებზეც ამით ვცხოვრობ. მთელი ღამის განმავლობაში, ორფრანკიანი ფსონით დაწყებული, ბელოტი გადახურვით, შორს მიდის. ხდება ხოლმე, რომ, თუ ვალეტით ორასს მოიგებ, უნდა გადაგიხადონ ოთხასი და კიდევ წესებით გათვალისწინებული სხვადასხვა თანხა.

– ესე იგი, კუნძულებზე ბევრი ფულია?

– დიახ, პაპიონ, კუნძულებზე გამოულეველია მაყუთით სავსე „ქისები“. ზოგს

თან მოჰყვა, ზოგი კომბინატორ ზედამხედველებს შემოაქვთ ორმოცდაათი პროცენტის მითვისებით. კაცი ადვილად მიხვდება, რომ ახალი ხარ, სახეზე გაწერია.

– ასეა, ამ კუნძულების შესახებ სრულიად არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ იქიდან გაქცევა ძალიან ძნელია.

– გაქცევა? ამაზე ლაპარაკიც არ ღირს. უკვე შვიდი წელია, კუნძულებზე ვარ და მხოლოდ ორი გაქცევა მახსოვს სამი მოკლულითა და ორი დაკავებულით. ეს ჯერ არავის გამოსვლია, ამიტომაც, გაქცევას თითქმის არავინ ცდილობს.

– დიდ მინაზე რისთვის იყავი?

– რენტგენი გადამიღეს, რათა ენახათ, სიმსივნე ხომ არ მქონდა.

– და ჰოსპიტალიდან გაქცევა არ სცადე?

– შენც ამბობ, რაღა! შენ მაშინ ისეთი ამბავი დაატრიალე, რომ ამაზე ოცნებაც არ შეიძლება. თანაც ბედმა სწორედ იმ საკანში მომახვედრა, საიდანაც გაიქცეი. უნდა ნახო, როგორი მეთვალყურეებაა! ყოველთვის, როცა კი კაცი ფანჯარასთან ცოტა ჰაერის ჩასაყლაპად მიდის, აიძულებენ, უკან დაიხიოს და თუ შეეკითხები – რატომო, გპასუხობენ: „ყოველი შემთხვევისათვის, რომ თავში ისეთივე აზრები არ მოგვიდეს, როგორიც პაპიონს".

– მითხარი, ტიტი, ვინ არის ის ტიპი, ეტაპის უფროსის გვერდით რომ ზის? „ჩამშვებია"?

– გაგიჟდი? ამ კაცს ყველა პატივს სცემს. ჩვენი წრის არ არის, მაგრამ თავი ნამდვილი ქურდივით უჭირავს: არავითარი ურთიერთობა „ძაღლებთან", არავითარი უპირატესი მდგომარეობა... როგორც კატორღელი, თავის ადგილზეა. შეუძლია, სასარგებლო რჩევა მოგცეს და კარგი მეგობრობა გაგიწიოს. ჯაშუშობისგან ძალიან შორს დგას. თვით მღვდელმა და ექიმმაც კი ვერ შეძლეს მისი გამოყენება. ეს კაცი, რომელიც თავისი ქცევით შენ „ჩამშვები" გგონია, ლუი მეთხუთმეტის შთამომავალია, დიახ, ძმაკაც, იგი გრაფია, ნამდვილი, ისე კი არა! მას გრაფი ჟან დე ბერაკი ჰქვია. თუმცა კატორღაში ისეთი საზიზღარი საქმის გამო მოხვდა, რომ დიდი ხანი დასჭირდა ნდობის მოსაპოვებლად.

– რა ჩაიდინა ასეთი?

– მოკლედ გეტყვი: ხიდიდან მდინარეში ახალდაბადებული საკუთარი შვილი გადააგდო და როცა დაინახა, რომ იგი მეჩხერ წყალში ჩავარდა, გამბედაობა ეყო, ჩასულიყო, აეყვანა და უფრო ღრმა მორევში მოესროლა.

– როგორ! ეს ხომ საკუთარი შვილის ორჯერ მოკვლას ნიშნავს!

– ერთ-ერთი ჩემი მეგობარი აღმრიცხველად მუშაობს და მისი დოსიე აქვს ნანახი. მომიყვა, რომ ამ ტიპს მისი თავადაზნაურული გარემოცვა ატერორებდა. დედამისმა ბავშვის დედა, რომელიც მათი ციხე-დარბაზის მოსამსახურე იყო, ძაღლივით ქუჩაში გამოაგდო. ისე იყო დამცირებული ქედმაღალი და ამპარტავანი დედისაგან მოახლესთან ურთიერთობის გამო, რომ არ იცოდა, რას აკეთებდა და საზოგადოებრივ ქველმოქმედ დაწესებულებაში წაყვანის ნაცვლად (როგორც დედას გამოუცხადა), ჩვილი წყალში გადააგდო.

– რამდენი მიუსაჯეს?

– მხოლოდ ათი წელი. ხედები, ალბათ, პაპიონ, რომ ეს კაცი ჩვენი წრის არ არის. გრაფინიამ მაგისტრებს განუცხადა, რომ არ შეიძლება მოსამსახურის შვილის მოკვლა დანაშაული იყოს მაშინ, როცა ამას გრაფი ოჯახის ღირსების დასაცავად სჩადის.

– დასკვნა?

– ჰმ! პირადიდ ჩემი – ერთი პარიზელი მოკრძალებული ბიჭის დასკვნა ასეთია: ეს გრაფი ჟან დე ბერაკი ერთ-ერთი იმ თავადთაგანი იყო, ვისთვისაც მხოლოდ ცისფერ სისხლს ჰქონდა მნიშვნელობა. მართალია, მოსამსახურეები, როგორც ასეთი, მისი ყმები არ იყვნენ, მაგრამ მაინც არარაობას წარმოადგენდნენ. ეგოიზმისა და პრეტენზიულობის მონსტრმა – დედამისმა – ისე დაამუშავა და დააშინა, რომ ესეც იმათნაირი გახდა. ეს ბატონი, რომელსაც აქამდე ეგონა, რომ პირველი ღამის უფლება ჰქონდა, მხოლოდ კატორღაში გადაიქცა კეთილშობილ თავადად. როგორ პარადაოქსულადაც უნდა მოგეჩვენოს, იგი მხოლოდ ახლაა ნამდვილი გრაფი-გრაფი ჟან დე ბერაკი.

რამდენიმე საათში ხსნის კუნძულები ჩემთვის „უცნობი" აღარ იქნება. ვიცი, რომ იქიდან გაქცევა ძალიან ძნელია, – მაგრამ არა შეუძლებელი. ღრმად ვისუნთქავ გაშლილი ზღვის ჰაერს და ვფიქრობ: „როდის გარდაიქმნება ეს პირქარი გაქცევის ზურგის სიოდ?"

მივედით. აი, კუნძულებიც! ისინი სამკუთხედს ქმნიან. ამ სამკუთხედის ფუძეს რუაიალი და სენ-ჟოზეფი შეადგენს. დიაბლი მწვერვალია. ტროპიკების ჩამავალ, ჯერ კიდევ კაშკაშა მზეზე მათი კარგად გარჩევა შეიძლება. ჯერ რუაიალი, ზღვაზე დადებულ ნვერწაჭრილ მექსიკურ ქუდს რომ ჰგავს. გორაკის ირგვლივ, ძალიან მაღალი, მუქი მწვანე ქოქოსის ხეები, ხოლო ფერდობზე – აქა-იქ „ჩათესილი", პატარა, წითელსახურავიანი სახლები ისეთ იერს ქმნიან, რომ გაუცნობიერებელ კაცს მთელი სიცოცხლის იქ გატარების სურვილი გაუჩნდება. პლატოზე დიდი შუქურა ალბათ ღამით და ცუდ ამინდში აფრთხილებს გემებს, რომ მის კლდოვან ნაპირებს არ შეელეწონ. რაც უფრო ვუახლოვდებით, მით უფრო მკაფიოდ მოჩანს ხუთი გრძელი შენობა: ტიტის თქმით, ამათგან ორ უზარმაზარ ყაზარმაში ოთხასი კატორღელი ცხოვრობს. მერე მოსდევს მაღალი, თეთრი კედლით გარშემორტყმული დისციპლინარული კვარტალი თავისი საკნებითა და დილეგებით. მეოთხე შენობა – კატორღელების, ხოლო მეხუთე – ზედამხედველების ჰოსპიტლებია. ფერდობზე მიმოფანტულ წითელკრამიტიან სახლებში მეთვალყურეები ცხოვრობენ. ჩვენგან ცოტა შორს, მაგრამ რუაიალის მწვერვალთან ძალიან ახლოს, სენ-ჟოზეფის კუნძულია, სადაც მცენარეულობა ნაკლებია და, ქოქოსის ხეებიც იშვიათია მხოლოდ პლატოს თავზეა უზარმაზარი შენობა, რომელიც აქედან გარკვეით ჩანს. ვხვდები: ეს საპყრობილეა და ტიტი ლა ბელოტიც მიდასტურებს. იგი ცოტა დაბლა, ზღვის ნაპირთან განლაგებული, ბანაკის შენობებს მიჩვენებს, სადაც კატორღელები ჩვეულებრივ სასჯელებს იხდიან. ირგვლივ – სათვალთვალო, ამბრაზურიანი" კოშკები და კოპწია სახლებია შეთეთრებული კედლებითა და წითელი სახურავებით.

გემი რუაიალის ნავსაყუდელს სამხრეთიდან უახლოვდება და კუნძული დიაბლი აღარ ჩანს. გადმოცემით ვიცი, რომ ეს დიდი, ქოქოსის ხეებით დაფარული კლდეა, რაიმე მნიშვნელოვანი ნაგებობის გარეშე. ყვითლად შეღებილ სახლებში პოლიტიკური გადასახლებულები ცხოვრობენ.

შევდივართ რუაიალის პორტში, რომელიც აქეთ-იქედან კარგად არის დაცული უზარმაზარ მიწაყრილზე დაწყობილი დიდი ქვის ლოდებით. ალბათ რამდენი კატორღელის სიცოცხლის ფასად დაუჯდათ მისა აშენება!

სირენის სამჯერ დაყვირების შემდეგ, „ტანონი" ღუზას ნავსაყუდელიდან და-

ახლოებით ორას ორმოცდაათ მეტრში უშვებს. სამი მეტრის სიმაღლეზე აწეული გრძელი ბაქანი რკინა-ბეტონითაა ნაგები და მსხვილი ქვებით მოკირწყლული. მის პარალელურად, ცოტა უკან, თეთრად შეღებილი შენობები ჩამწკრივებულა. შავით თეთრზე ვკითხულობ: „დაცვის განყოფილება," „საზღვაო სამსახური," „საფუნთუშე," „პორტის ადმინისტაცია"...

ჩვენს მოსვლას რამდენიმე კატორღელი უყურებს. ზოლიანის ნაცვლად თეთრი ტანსაცმელი აცვიათ. ტიტი ლა ბელოტი მიხსნის, რომ კუნძულებზე, პატიმრებია, ვისაც ფული აქვს, მკერავთან დადიან და ფქვილის ტომრებისაგან, რომლებზეც წარწერებს შლიან, ტანსაცმელს „თავის გემოზე" აკერინებენ. ასეთი ტანსაცმელი კაცს კარგად ერგება და ერთგვარ ელეგანტურობასაც კი მატებს. აქ კატორღელის სამოსს თითქმის არავინ ატარებს.

„ტანონისაკენ" ნავი გამოდის. ერთი ზედამხედველი საჯესთან ზის, ორნი – მუშკეტებით შეიარაღებული – მარჯვნივ და მარცხნივ სხედან, ხოლო მათ უკან ექვსი, წელზევით შიშველი, თეთრ შარვლებიანი კატორღელი, ფეხზე მდგარი უსვამს გრძელ ნიჩბებს. უკან დიდი, ცარიელი ნავი უბიათ, სამაშველო ნავის მსგავსი. ჩვენამდე მანძილს სწრაფად ფარავენ. ჯერ ბადრაგის უფროსები გადადიან და კიჩოსთან იკავებენ ადგილს, მერე ორი მუშკეტიანი ზედამხედველი დგება ქიმთან. ხუნდები მოგვხსნეს და მხოლოდ ხელბორკილები დაგვიტოვეს. გემიდან ორ-ორი ჩავდივართ: ჯერ ჩემი ჯგუფის ათი, მერე – წინ ჯგუფის რვა კაცი. მივცურავთ. დანარჩენებისთვის მერე დაბრუნდებიან. ბაქანზე ასულები „პორტის ადმინისტრაციის" წინ ემწკრივებით და ველოდებით. ინტერნირებულები ბადრაგს ყურადღებას არ აქცევენ და, ყოველი შემთხვევისათვის ხუთი-ექვსი მეტრი მანძილის დაცვით, ხმამაღლა გეელა-პარაკებიან. ზოგიერთი ჩემი ეტაპიდანაა და მეგობრულად მესალმება, მათ შორის სეზარი და ესარი – ორი კორსიკელი ბანდიტი, რომელთაც სენ-მარტენიდან ვიცნობ. ისინი მეუბნებიან, რომ პორტში მენავეებად მსახურობენ. ამ დროს მოდის ჩაპარი, რომელიც ჯერ კიდევ თავისუფალმა, პარიზში გავიცანი. იგი მარსელის ბირჟის საქმის გამო ჩავარდა. დარაჯებს ყურადღებას არ აქცევს და მეუბნება:

– გულს ნუ გაიტეხ, პაპიონ! მეგობრების იმედი გქონდეს, დილეგში არაფერს მოგაკლებთ. რამდენი მოგცეს?

– ორი წელი.

– არა უშავს, მალე გაივლის, ჩვენთან დაბრუნდები და ნახავ რომ აქ არცთუ ისე ცუდად ვართ.

– მადლობა, ჩაპარ. დეგასი რა იცი?

– იქ, მაღლა, აღმრიცხველად მუშაობს. მიკვირს, რატომ არ მოვიდა. ინანებს, რომ ვერ შეგხვდა.

ამ დროს, ვხედავ, ჩემკენ გალგანი მოდის. ბადრაგი ცდილობს, შეაჩეროს, მაგრამ ის არ ეპუება, თან იმეორებს:

– ვერ მოგართვით, ვერავინ დამიშლის ძმა გულში ჩავიკრა! – მეხვევა და მეუბნება: – ჩემი იმედი გქონდეს. – წასვლას აპირებს, როცა ვეკითხები:

– რა სამუშაო გაქვს?

– ფოსტალიონი ვარ, ასე ვთქვათ, ვაგმისტრი.

– კარგია?

– ჩემთვის ვარ, მშვიდად.

გემიდან დანარჩენებიც გადმოსხეს და გვიერთდებიან. ხელბორკილებს გვხსნიან. ტიტი ლა ბელოტი, დე ბერაკი და კიდევ რამდენიმე უცნობი – ცალკე გადიან. ერთი ზედამხედველი ეუბნება:

– აბა, წაეედით, გავუყვეთ ბანაკის გზას.

თითოეულს კატორღელის ჩანთა აქვს; მხარზე იკიდებენ და გადიან გზაზე, რომელიც მაღლა უნდა ადიოდეს. კუნძულის კომენდანტი ექვსი ბადრაგის თანხლებით მოდის და ამოკითხვას იწყებენ. არავინ აკლია. ვიძვრებით.

– აღმრიცხველი სად არის? – კითხულობს კომენდანტი.

– აგერ, მოდის, უფროსო.

ვხედავ, მოდის მთლად თეთრებში გამოპრანჭული დეგა ერთი ზედამხედველის თანხლებით. თითოეულს იღლიაში დიდი წიგნი ამოუჩრია. მწკრივიდან სათითაო კაცი გამოჰყავთ და ახარისხებენ:

–თქვენ, ტუსაღო ესა და ეს, ამის შემდეგ გექნება ეტაპირებულის X ნომერი, დილეგში იჯდები Y ნომრით.

– რამდენი მოგისაჯეს?

– X წელი.

როცა ჩემი რიგი მოდის, დეგა რამდენჯერმე მეხვევა. კომენდანტი გვიახლოვდება:

–. ეს არის პაპიონი?

– ჰო, ეს არის, ჩემო კომენდანტო, – პასუხობს დეგა.

– საპყრობილეში კარგად მოიქეცით, ორი წელი სწრაფად გადის.

საპყრობილე

ჩვენი ნავი მზად არის. ცხრამეტი ტუსაღიდან ათი – პირველი ნავით წავა. მიძახებენ:

– არა, – ეს ბოლოს წავა, – ცივად პასუხობს დეგა

რაც ჩამოვედი, განცვიფრებას ვერ ვმალავ კატორღელების ქცევისა და ლაპარაკის გამო. არავითარი დისციპლინა არ ეტყობათ და იგრძნობა, რომ ზედამხედველები ფეხებზე ჰკიდიათ. დეგა ჩემ წინ ჯდება და ვსაუბრობთ. ჩემი ისტორია დანვრილებით იცის – სენ-ლორანიდან ჩამოსულებმა უამბეს. არ იმჩნევს, რომ ვეცოდები, მხოლოდ ერთ ფრაზას ვერ იკავებს:

– უნდა გამოგსვლოდა – შენ ამას იმსახურებდი, შვილო. – იმასაც კი არ მეუბნება – „ვაჟკაცურადო“, – იცის, მე ეს არ მაკლია.

– მე აქ მთავარ აღმრიცხველად ვმუშაობ და კომენდანტთან ძალიან კარგ ურთიერთობაში ვარ. საპყრობილეში კარგად მოიქეცი. თამბაქოსა და ზოგიერთ საჭმელს მოგანვდი ხოლმე. არაფერი მოგაკლდება.

– პაპიონ, წაეედით!

ჩემი რიგი მოსულა.

– ნახვამდის ყველას. გმადლობთ თბილი სიტყვებისათვის.

ნავში ვჯდები. ოცი წუთის შემდეგ სენ-ჟოზეფის კუნძულს ვადგებით. დროს არ ვკარგავ, დავაკვირდე, რომ ექვს მენიჩბე კატორღელსა და ათ ტუსაღზე მხოლოდ სამი შეიარაღებული ბადრაგია. შეთანხმებული მოქმედება და ამ ნავის დაუფლება სასაცილოზე ადვილი იქნებოდა. სენ-ჟოზეფის მიმღებში ორი კომენდანტი წარმო-

გვიდგება: ერთი – კუნძულის გამასწორებელი სამუშაოების და მეორე – სატუსაღოსი. ბადრაგის შუაში ჩამდგარები მივდივართ საპყრობილისკენ. გზაში არცერთი კატორღელი არ გვხვდება. დიდ შესასვლელ კარზე წარწერაა: „სენ-ჟოზეფის დისციპლინარული საპყრობილე“. აქედანვე ვხვდებით ამ ძალისმიერი შენობის სერიოზულობას. ეს კარი და ოთხი მაღალი კედელი ფარავს ერთ პატარა ნაგებობას, წარწერით: „ადმინისტრაცია-მმართველობა“ და სამ სხვა დანომრილ შენობას: A, B, C. შევყავართ „სამმართველოში“. ცივი ოთახი. ცხრამეტივეს ორ რიგად გვამწკრივებენ. საპყრობილეს კომენდანტი გვეუბნება:

– ტუსაღებო, ეს ადგილი, მოგეხსენებათ, განკუთვნილია იმ ადამიანების დასასჯელად, რომლებმაც უკვე კატორღელად ყოფნისას ჩაიდინეს დანაშაული. აქ თქვენს გამოსწორებას არავინ აპირებს – ვიცით, ეს უშედეგოა, მაგრამ თქვენს მოთვინიერებას კი შევეცდებით. ერთადერთი აუცილებელი რეგლამენტია: მოკეტო და ხმა არ ამოიღო. აბსოლუტური სიჩუმე. ტელეგრაფირება თქვენთვის უკიდურესად სახიფათოა – თუ გამოგიჭირეს, უმკაცრეს სასჯელს მიიღებთ. ასევე, თუ სერიოზული არაფერი გჭირთ, ექიმს ნუ მოითხოვთ, რადგან დაუდასტურებლობაც თქვენს დასჯას გამოიწვევს. სულ ეს მინდოდა მეთქვა. აჰ! დამავიწყდა: უკიდურესი სიმკაცრით იკრძალება თამბაქოს მოწევა. მიდით, ზედამხედველებო, გულმოდგინედ გაჩხრიკეთ და თითოეული თავის საკანში ჩაკეტეთ. შარიერი, კლუზიო და მატურეტი ერთ შენობაში არ უნდა მოხვდნენ. პირადად მიხედეთ ამას, ბატონო სანტორი!

ათი წუთის შემდეგ A შენობის 234-ე საკანში ვარ ჩაკეტილი. კლუზიო B-შია, მატურეტი – C-ში. მანამდე ერთმანეთს თვალებით დავემშვიდობეთ. სამივე შემოსვლისთანავე მივხვდით, რომ თუ აქედან ცოცხლად გაღწევა გვინდა, ამ არაადამიანურ წესებს უნდა დავემორჩილოთ. ვუყურებ, როგორ მიდიან ჩემი ამაყი და გამბედავი ბიჭები, იმ ხანგრძლივი გაქცევის თანამგზავრები. მათ თავი ღირსეულად ეჭირათ, არასდროს დაუჩივლიათ და არც უნანიათ, რომ გამომყვნენ. გული მეკუმშება. თოთხმეტი თვის გვერდიგვერდ დგომამ ერთმანეთზე უსაზღვრო მეგობრობით გადაგვაჯაჭვა.

ვათვალიერებ ჩემს საკანს. ვერასდროს ვივარაუდებდი და ვერც წარმოვიდგენდი, რომ, ისეთ ქვეყანას, როგორიც ჩემია – საფრანგეთს, დედამიწაზე თავისუფლების დედას, მიწას, რომელმაც ადამიანისა და მოქალაქის უფლებები შვა – შეიძლებოდა ჰქონოდა, თუნდაც საფრანგეთის გვიანაში, ატლანტიკაში ჩაკარგულ ცხვირსახოცისხელა კუნძულზე, ისეთი ბარბაროსული დამსჯელი დაწესებულება, როგორიც სენ-ჟოზეფის საპყრობილეა. წარმოიდგინეთ ორ რიგად ჩაწყობილი, ერთმანეთზე ზურგებითა და გვერდებით მიყრდნობილი საკნები, ოთხი ძალიან სქელი, სარკმლიანი რკინის კარისათვის მხოლოდ ერთ ადგილას გახვრეტილი კედლით; თითოეული სარკმელის ქვეშ კარებზე აწერია: „ამ კარის გაღება აკრძალულია უზენაესი განკარგულების გარეშე“; მარცხნივ, როგორც ბოლიეში – საწოლი, რომელიც იკეცება და კედელზე მაგრდება; ზედ – ერთი საფარებელი. საკნის სიღრმეში სკამის მაგივრად ცემენტის ბლოკ; ცოცხი, ჯარისკაცური კარდალა, ხის კოვზი და ბრტყელი რკინის ფირფიტა, რომელიც მეტალის კასრს აფარია და მასზე ჯაჭვით არის მიბმული (ამგვარად შესაძლებელია კასრის გარეთ გაწევა და დაცლა). საკნის სიმაღლე სამი მეტრი იქნება. ჭერად ტრამვაის რელსის სიმსხო რკინის ძელები ისეა ერთმანეთზე

გადაჯვარედინებული, რომ შიგ ვერაფერი გაძვრება. მათ ზემოთ, იატაკიდან დაახლოებით შვიდ მეტრზე – შენობის სახურავია. ზურგით ერთმანეთზე მიყრდნობილი საკნების თავზე დაახლოებით ერთი მეტრი სიგანის რკინის მოაჯირიანი საყარაულო ბილიკი გადის. ორი დარაჯი შეუჩერებლად დადის ერთმანეთის საპირისპიროდ. შეხვედრისას ნახევარ ბრუნს აკეთებენ და უკან მიდიან. პირველი შთაბეჭდილება თავზარდამცემია. დღის სინათლე მხოლოდ რკინის მოაჯირამდე აღწევს. საკანში, თვით შუადღესაც კი, ვერაფერს ჭაარჩევ. შესვლისთანავე ბოლთის ცემას ვიწყებ, თან ველოდები, როდის მოგვცემენ სასტვენით ან სხვა მინიშნებით, საწოლების ჩამოშვების უფლებას. სრული სიჩუმის დაცვის მიზნით, პატიმრებიცა და ზედამხედველებიც მხოლოდ წინდებით დადიან. გულში ვამბობ: „შარიერ, პაპილონად წოდებულო, ეცადე, ეს ორწლიანი სასჯელი, ანუ შვიდას ოცდაათი დღე, ამ „234“-ში ისე მოიხადო, რომ გიუ შარიერად არ გადაიქცე. შენზეა დამოკიდებული, გაუმტყუნებ თუ არა ამ საპყრობილეს ზედმეტ სახელს!“

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი – ნახევარბრუნი... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი – ნახევარბრუნი. საკნის თავზე დარაჯმა გაიარა. რომ არ დამენახა, ვერ მივხვდებოდი მის მოახლოებას. წკაპ! – სადღაც მაღლა, ჭერზე, ექვსიოდე მეტრის სიმაღლეზე, ნათურა ინთება. მხოლოდ მოაჯირს ანათებს, საკანი სიბნელეში რჩება. დავდივარ. ქანქარა კვლავ მოძრაობაში მოდის. შეგიძლიათ, მშვიდად დაიძინოთ, ჩემი სასჯელის მონაწილე ჟიურის წევრებო! მჯერა, რომ იცოდეთ, სად გამომაგზავნეთ, კატეგორიულად უარყოფდით მასში მონაწილეობას. ძნელი, თითქმის შეუძლებელი იქნება წარმოდგენებში ხეტიალს გავექცე. ჯობია, ის კი არ შევებოჭო, არამედ ისე ვმართო, რომ დეპრესიაში არ ჩავვარდე.

და აი, სასტვენი გვატყობინებს, რომ საწოლის ჩამოწევა შეიძლება. ვილაც ბოხი ხმით ამბობს:

– ახალმოსულთა საყურადღებოდ: დაიმახსოვრეთ, ამ წუთიდან, თუ გსურთ, შეგიძლიათ, საწოლები ჩამოუშვათ და დაწეთ! ვიმახსოვრებ სიტყვებს „თუ გსურთ“. ასე რომ, სიარულს განმაგრძობ. ახლა იმ მდგომარეობაში არ ვარ, რომ დავიძინო. როგორმე უნდა მივეჩვიო ამ თავღია გალიას. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი – ქანქარის რიტმს მალე ვიბრუნებ. თავდახრილი, ზურგზე ხელებდაწყობილი, გამოზომილი ნაბიჯებით, კედლის საათის ქანქარასავით გაუჩერებლად მივდი-მოვდივარ, როგორც მთვარეული. ამ მარათონს არც ფინიში აქვს და არც დამთავრების დრო.

ჰო, პაპი, ეტყობა, „კაციჭამიასთან“ ხუმრობა არ შეიძლება. თუნდაც, რა გულგასახეთქი რამეა, როცა „ძაღლის“ ჩრდილი დაგეცემა ზემოდან. თუ მაღლა აიხედავ – კიდევ უარესი – თითქოს ორმოში ჩავარდნილი მხეცი ხარ, რომელსაც მონადირე ზემოდან უთვალთვალებს. შთაბეჭდილება მართლაც საშინელია და ამის მისაჩვევად ალბათ თვეები დამჭირდება.

ერთი წელი – სამას სამოცდახუთი დღე; ორი წელი – შვიდას ოცდაათი, თუ ნაკიანი არ გამოერია. ამაზე მელიმება: იცი, რა? შვიდას ოცდაათი დღე იქნება თუ შვიდას ოცდათერთმეტი, ერთი და იგივე არ არის? რატომ არის იგივე? არა, ეს ერთი და იგივე არ არის. ერთით მეტი დღე ოცდაოთხი საათით მეტს უდრის, ხოლო ოცდაოთხი საათი არც თუ ისე მოკლე დროა. შვიდას ოცდაათი დღე რამდენი საათი იქნება? ნუთუ გონებაში ვერ შევძლებ დავთვალო? რატომაც არა, თუკი საერთოდ ამგვარი დათვლა შესაძლებელია. აბა, ვცადოთ: ასი დღე ორი ათას

ოთხასი საათია. გავამრავლოთ შვიდზე – სულაც არ არის ძნელი – უდრის თექვსმეტი ათას რვაასს. ამას მივუმატოთ ოცდაათი დღე, რომელიც დარჩენილი ოცდაოთხი საათით იქნება შვიდას ოცი საათი. ჯამი: თექვსმეტი ათას რვაასს მიმატებული შვიდას ოცი, თუ არ მოვტყუვდი, უნდა უდრიდეს ჩვიდმეტი ათას ხუთას ოც საათს. ჩემო ძვირფასო მესიე პაპიონ, თქვენ მხეცებისათვის დამზადებულ გლუვ კედლებიან გალიაში ჩვიდმეტი ათას ხუთას ოცი საათი უნდა მოკლათ. წუთი? რამდენი წუთი მაქვს გამოსავლელი? ნუ გაუტიე, ეს რა საინტერესოა! საათები – მესმის, მაგრამ წუთებს რა მნიშვნელობა აქვს? თუმცა, რატომაც არა? აქვს თუ არა აქვს მნიშვნელობა, მე მინდა და მორჩა! რამით ხომ უნდა შეავსო მარტოდმარტომ ეს დღეები, საათები და წამები? ვინ შეიძლება იჯდეს ჩემგან მარჯვნივ, მარცხნივ და უკანა საკნებში? თუ ისინი დაკაებულია, ალბათ ის სამი კაციც ფიქრობს, ვინ შეიძლება შესულიყო „234“-ში.

ზურგს უკან მოგუდული ხმა მესმის. თითქოს საკანში რაღაც ჩამოეარდა. რა შეიძლება იყოს? ნუთუ ჩემს მეზობელს იმდენი მოხერხება აქვს, რომ გისოსებს იქიდან რაიმე გადმომიგდოს? ვცდილობ გავარკვიო, რა არის. ვიხრები. კი არ ვხედავ, გუმანით ვხედები, სადაც არის რაღაც მოგრძო საგანი, როცა აღებას ვაპირებ, იგი ინძრევა და გარბის. ვკრთები და უკან ვიხევ. კედელთან მიდის, აცოცებას იწყებს, მაგრამ გლუვ ზედაპირზე ვერ ადის და იატაკზე ვარდება. სამჯერ ვაცლი, მერე ფეხით ვსრეს. წინდების ქვეშ სირბილეს ვგრძნობ. რა შეიძლება იყოს? მუხლებზე ვიჩოქები და ვახერხებ, გავარჩიო: ეს დიდი, ოც სანტიმეტრზე მეტი სიგრძისა და ორი თითის სიგანის მრავალფეხაა. ისე თი ზიზღი მიპყრობს, რომ ფეხით სანოლის ქვეშ ვაგდებ. კასრში ხვალ, დღის სინათლეზე ჩავაგდებ. მომავალში მრავალი ამისთანა ჭიის ნახვის საშუალება მომეცემა. ისინი ჭერიდან ცვივიან. შევეჩვიე მათ სეირნობას ჩემს შიშველ სხეულზე. როცა ვწევარ, თავსაც კი არ ვიწუხებ, რომ დავიჭირო და მოვიშორო. როცა ტანზე გაზის, ტაქტიკური შეცდომა არ უნდა დაუშვა, თორემ ეს ძვირი დაგიჯდება: ამ საზიზღარი მწერის ნაკბენი ექვს საათზე მეტ ხანს გეწვის და თორმეტი საათის განმავლობაში ცხენის დოზა სიცხე გაქვს.

რაც უნდა იყოს, ამით მაინც გავერთობი და ფიქრებს სხვა მიმართულებას მივცემ. როცა გამელვიძება და დავინახავ, რომ მრავალფეხა ჩამოვარდნილა, ჯერ რაც შეიძლება დიდხანს ცოცხით ვაწამებ, მერე საშუალებას მივცემ დამემალოს და მე შევეცდები ვიპოვო – აი, ასე გავერთობი.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... ირგვლივ სრული სიჩუმეა. კი მაგრამ, აქ არავინ ხვრინავს? არავინ ახველებს? სულის შემხუთველი სიცხეა, თანაც – ღამით! დღისით რა იქნება! ამ მრავალფეხების გვერდით საცხოვრებლად ვარ განწირული. როცა სანტა-მარტას წყალქვეშა დილეგში წყლის დონე იწევდა, ასეთები მრავლად მოჰყვებოდნენ. მართალია, ისინი უფრო პატარები იყვნენ, მაგრამ ჯიში ერთი აქვთ. სანტა-მარტაში ყოველდღე წყალდიდობა იყო, მაგრამ იქ შეგვეძლო გველაპარაკა, გვეყვირა, გვემღერა და მოგვესმინა დროებითი თუ სამუდამო გიჟების ბოდვისათვის. ეს იმას არ შეედრება. თუ საქმე საქმეზე მიდგა, მე სანტა-მარტას ციხე მირჩევნია! არა, პაპიონ, შენს მსჯელობაში ლოგიკა არ არის. იქ ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ ექვს თვეზე მეტს ვერავინ გაძლებდა, აქ კი ბევრს ოთხი, ან ხუთი წელი აქვს მისჯილი. თუმცა, მისჯა ერთია, გაძლება – მეორე. ნეტავ რამდენი

თვითმკვლელობა ხდება? ანდა, როგორ უნდა მოიკლა აქ თავი? აჰა, ვხედავ. ძნელად, მაგრამ თავი სჩამოხრჩობა მაინც შეიძლება: შარვლისგან თოკს დაგრეხ, მის ერთ ბოლოს ცოცხზე მიამაგრებ, საწოლზე დადგები და როგორმე ზედა გისოსებზე გადააგდებ. ეს საყარაულო ბილიკის პირას უნდა მოახერხო, რათა „ძაღლმა" არ დაგინახოს. როცა ჩაივლის, მაშინ უნდა ჩამოეკიდო. როცა მობრუნდება, შენ უკვე ჩაძაღლებული დახვდები. არა მგონია, თავი შეიწუხოს და მაშინვე საკნის გასაღებად ჩამოვიდეს. საკნის გასაღებად?! მას ხომ ეს არ შეუძლია! საკნის კარებზე გარკვევით აწერია: „აკრძალულია ამ კარების გაღება უზენაესი განკარგულების გარეშე". მაშ საშიში არაფერი ყოფილა. იმას, ვისაც თავის ჩამოხრჩობა უნდა, საკმარისი დრო ექნება, სანამ „უზენაესი განკარგულებით" ჩამოხსნიან.

რასაც მე ვყვები, იმ ხალხისათვის, ვისაც მოქმედება და მწვავე განცდები უყვარს, შეიძლება, საინტერესო და ამაღელვებელი არ იყოს. თუ ასეთებს თავი შევაწყინე, შეუძლიათ, გვერდები გამოტოვონ. მე მგონია, რომ აუცილებელია, რაც შეიძლება დაწვრილებით აღვწერო ის პირველი განცდები და შთაბეჭდილებები, რაც ჩემს საკანთან პირველი გაცნობისას ,– საფლავში ცოცხლად ჩაგდებისას მქონდა.

უკვე საკმაო ხანია, დავდივარ. ვარჩევ ჩურჩულს ყარაულის ცვლის დროს. პირველი დიდი იყო და გამხდარი; ახალი პატარაა და ჩასუქებული. იგი ფეხებს იატაკზე მიაფრატუნებს და ხახუნის ხმა ორი საკნით მიახლოებამდე და ორი საკნის შემდეგაც ისმის. კოლეგებისაგან ამ ხმაურით განსხვავდება. სიარულს განვაგრძობ. უკვე გვიან უნდა იყოს. რომელი საათი იქნება? ხვალ ამ საკითხსაც მოვაგვარებ. სარკმლის ოთხჯერ გაღების წყალობით დაახლოებით მეცოდინება რომელი საათია. საღამოსთვის ამას შევაჯერებ ყარაულის ცვლის დროსა და ხანგრძლივობასთან და მექნება ჩამოყალიბებული განზომილება: პირველი ყარაული, მეორე, მესამე და ასე შემდეგ.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... განვაგრძობ, დაუსრულებელ სეირნობას და დაღლილობის დახმარებით წარსულში გადავდივარ: საკნის სიბნელის საპირისპიროდ, ჩემი ტომის სანაპიროზე მზის გულზე ვზივარ. ოპალივით ზღვაზე ლალის ნავი ქანაობს. ფეხით ქვიშას ვჩიჩქნი. ზორაიმას დიდი, ნაკვერჩხლებზე შემწვარი, ბანანის ფოთლებში ცხლად შეხვეული თევზი მოაქვს. იგი ჩემ წინ ფეხმორთხმით ჯდება და შემომცქერის, როგორ ვჭამ, რა თქმა უნდა, თითებით. კმაყოფილებით უყურებს, როგორ ადვილად ვაცლი თევზს მსხვილ ნაჭრებს და ცდილობს, ჩემს სახეზე ამოიკითხოს, მასიამოვნა თუ არა, ასეთი გემრიელი საჭმელი რომ მომიმზადა.

საკანი, საპყრობილე, კუნძულები, სენ-ჟოზეფი – ასეთ რამეებს მე არ ვიცნობ. ხელებს ფქვილივით ნმინდა მარჯნის ზედაპირზე ვიწმენდ, მერე მივდივარ და კამკამა მარილიან წყალს სახეზე ვისხამ და პირს ვირეცხავ. ხელს კისერზე რომ ვისვამ, ვხვდები, რომ თმები გამზრდია. ლალი საქმეს რომ მორჩება და მობრუნდება, გავაკრეჭინებ. ზორაიმას სქესის საფარს ვხსნი და იქვე, ქვიშაზე, მზის გულზე, ზღვის ქარის ალერსის ქვეშ ვეუფლები. როგორც სჩვევია, სიყვარულისა და სიამოვნებისაგან კრუსუნებს. არ შეიძლება, ეს შეყვარებული მუსიკა ნიავს ლალიმდე არ მიჰქონდეს. ამას გარდა, ნაპირთან იგი ძალიან ახლოსაა და ალბათ გვხედავს, რომ ერთმანეთზე ვართ გადაწნულები. კი, ასეა. ლალი ნაპირთან მოდის და მოცინარი სახით გადმოდის ქვიშაზე. გზადაგზა შესაკრავებს იხსნის და სველ თმას თითებით იშლის მზეზე გასაშრობად. შესახვედრად მივდივარ. მარჯვენა ხელს

წელზე მხვევს და პლიაჟის გავლით ქოხისკენ მიბიძგებს. სანამ ქოხში შევიდოდეთ, განუწყვეტლივ ცდილობს, გამაგებინოს: „მე? მე?“ შესვლისთანავე აკეცილ ჰამაკებზე მაგდებს და მაშინვე მავიწყდება, რომ სამყარო არსებობს. ზორაიმა მხოლოდ მაშინ შემოდის, როცა დარწმუნებულია, რომ ჩვენი თავდავიწყება დამთავრდა. ალერსისაგან დაღლილები, ჯერ ისევ შიშველები ვწევართ. გვერდით გვიჯდება, დას ლოყებზე უტყაპუნებს და გაუჩერებლად უმეორებს ერთ სიტყვას, რაც, ალბათ, რაღაც ამგვარს უნდა ნიშნავდეს: „ღორმუცელავ!“ მერე ნაზად, უმანკო მოძრაობით გვიკეთებს ორივეს სქესის საფრებს. ღამე გვახირაში გავატარე. თვალი არ მომიხუჭავს. დაწოლა და თვალებზე დაფარება არ დამჭირვებია, რომ კვლავ დავბრუნებოდი იმ სილამაზეს და სიტკბოებას, რაც დაახლოებით ექვსი თვის წინ განვიცადე.

ნათურა ქრება და დღის სინათლე ნელ-ნელა აუფერულებს სიბნელეს. სასტვენის შემდეგ, საწოლების აკეცვით გამოწვეული ხმაური აღწევს და გარკვევით ვარჩევ, როგორ ამაგრებს მას ჩემი მარჯვენა მეზობელი კედელში ჩატანებულ რგოლზე. იგი ახველებს და წყალს ახმაურებს. ნეტავ აქ პირს როგორ იბანენ?

– ბატონო ზედამხედველო, როგორ დავიბანო?

– ტუსაღო, ამჯერად გაპატიებ, რადგან არ იცოდი: ზედამხედველთან ლაპარაკის უფლება არა გაქვს – ამისათვის მკაცრი სასჯელია დაწესებული. კასრთან დადგებით, ჩამჩით მუჭში დაისხამთ და დაიბანთ. საბანი არ გაგიშლიათ?

– არა.

– გაშალეთ, შიგ აუცილებლად იქნება პირსახოცი.

ამათ დამიხედეთ! უფლება არა მაქვს, მორიგე ზედამხედველს დაველაპარაკო? არავითარ შემთხვევაში? რამე რომ ამტკივდეს? ჩაძაღლების პირას რომ ვიყო? ხომ შეიძლება, ათასი რამ დამემართოს? მაგალითად, გულის, ბრმანაწლავის, ან ასთმის შეტევა? ესე იგი, სიკვდილის საფრთხის შემთხვევაშიც კი არ შეიძლება, მშველელს მოუხმო?! ეს უკვე მეტისმეტია! თუმცა, არა, ნორმალურია. ასე რომ არ იყოს, თითოეული, ამ ას ორმოცდაათი კაციდან, ნერვიული დაძაბულობის ზღვარზე, დღეში ოცჯერ, წამოიწყებდა ლაპარაკს მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმეს ხმა გაეგონა, თუნდაც მას ეთქვა: „თუ ჩაძაღლება გიწერია, ჩაძაღლდი“ – რათა გახეთქვამდე მისული ტვინისათვის ორთქლის გამოშვების საშუალება მიეცა.

არ შეიძლება, ვინმე ფსიქიატრის იდეა ყოფილიყო ამ ლომის გალიების ამგვარად მოწყობა: მკურნალი აქამდე არ დაეცემოდა. არც შინაგანაწესი იქნება ვინმე ექიმის შექმნილი, მაგრამ ისინი, ვინც ეს არქიტექტურული და ფუნქციონალური ანსამბლი შექმნა, ვინც ასე კარგად გათვალა დასჯის პროცესი, მხოლოდ ცბიერი ფსიქიატრი და პატიმრებისადმი სიძულვილით აღსავსე ურჩხულები უნდა ყოფილიყვნენ..

კაენში, ბოლიეს ცენტრალის დილეგებიდან, თუნდაც მინის ქვეშ ორი სართულის სიმაღლეზე ყოფილიყვნენ, არ შეიძლებოდა როდესმე არ გამოეღწია და საზოგადოებრიობისათვის ცნობილი არ გამხდარიყო რომელიმე პატიმრის ნამების, ან სულაც, მის მიმართ ცუდად მოპყრობის ექოს. ამის მაგალითი ჩემი შემთხვევაა: როცა ბორკილები მომხსნეს, დარაჯების სახეზე აშკარად დავინახე შიში – შიში იმისა, რომ ამას უეჭველად გართულებები მოჰყვებოდა.

აქ კი, კატორღის დილეგში, სადაც ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გარდა ვერავინ შემოდის, ისინი მშვიდად არიან – არაფერი ემუქრებათ.

უცნაური ტკაცუნით იღება ყველა სარკმელი. კარს ვუახლოვდები, ჯერ ნაწილო-

ბრივ, მერე კი მთლიანად ვბედავ თავის გაყოფას. დერეფანში, მარჯვნივ და მარცხნივ, სიფათებია გამოფენილი. მაშინვე ვხვდები, რომ ასეთ დროს ყველა ჩქარობს თავის გამოყოფას მარჯვენა მეზობელი უგრძნობი თვალებით მიყურებს, ალბათ მეტისმეტი მასტურბაციისაგან გამოშტერდა, რადგან ფერმიხდილია და იდიოტური გამომეტყველება აქვს. მარცხენა მეზობელი სწრაფად მეკითხება:

– რამდენი?

– ორი წელი.

– მე ოთხი. ერთი უკვე გავიდა. სახელი?

– პაპაინი.

– მე ჟორჟი ვარ – ჟოჟო ივერნელი, სად ჩავარდი?

– პარიზში, შენ?

პასუხს ველარ ასწრებს: ყავისა და პურის ნაჭრის დამრიგებლები უკვე წინა საკნამდე მოდიან. ჟორჟი თავს შიგნით სწევს და მეც ასე ვიქცევი. მერე კარდალას გარეთ ვყოფ და ყავას მისხამენ, თან პურის ნაჭერს მიწვდიან. აღებას ვაგვიანებ და სარკმლის მოჯახუნებისას დაბლა ვარდება. საჭმლის დამრიგებელი ორი უნდა იყოს, რადგანაც ყველაფერი მალე მთავრდება და მეოთხედ საათზე ნაკლებში ისევ სიჩუმე ისადგურებს. სადილად გვირიგებენ წვნიანს, მოხარშული ხორცის ნაჭრით; ვახშამზე – ოსპის შეჭამანდს. ორი წლის მანძილზე ეს მენიუ მხოლოდ საღამოს იცვლებოდა: ხან წითელი ლობიოთი, ხან სოიოთი ან ბრინჯიანი მუხუდოთი.

ყოველ თხუთმეტ დღეში, ყველას გვაყოფინებენ თავს ხერელიდან და ვიღაც კატორღელი გვკრეჭს.

უკვე სამი დღეა, რაც აქ ვარ. ერთი რამ მაწუხებს: რუაიალზე ყოფნისას მეგობრები დამპირდნენ, საკვებსა და მოსაწევს გამოგიგზავნით როგორმეო. ჯერ არაფერი მიმიღია და, ამას გარდა, თავს ვეკითხები: რა სანაულით მოახერხებენ ამას? ამიტომაც, დიდად არ მიკვირს, რომ ჯერ არაფერი მიმიღია. მოწევის ფუფუნება აქ სახიფათო უნდა იყოს. საკვები კი აუცილებლად მჭირდება, რადგან, სადილი, ანუ წვნიანი, მხოლოდ წყალია, რომელშიც ორი-სამი მწვანილის ფოთოლი და პატარა, ასიოდე გრამი ხორცის ნაჭერი აგდია. ასეევა სღამოსაც – წყალში ლობიო და რომელიმე გამხმარი ბოსტნეული ტივტივებს. გულახდილად რომ ვთქვა, მე ეჭვი მზარეულ პატიმრებზე უფრო მაქვს, ვიდრე ციხის ადმინისტრაციაზე. ეს აზრი იმიტომ გამიჩნდა, რომ ვაკვირდები, როგორ არიგებს ერთი პატარა მარსელელი ვახშამს: ჩემამდე რომ მოდის, ჩამჩას ქვაბში ღრმად ყოფს და წყალზე მეტს ბოსტნეულს მაძლევს, სხვებთან პირიქით იქცევა: ჩამჩას ზერელედ უსვამს და მარტო წყალს უსხამს. ჩემთვის ყველაზე საშიში უჭმელობაა, რადგანაც ფიზიკური ძალის გარეშე გონებრივი წონასწორობის შენარჩუნება ძალიან გამიჭირდება,

დერეფანს ვიღაც გვის და მეჩვენება, რომ ჩემს საკანთან ყოვნდება – ცოცხი კარს ჯიუტად ფხაჭნის. ყურადღებით ვაკვირდები და ვამჩნევ, რომ პატარა, თეთრი ქაღალდის ხვეულაა შემოყოფილი და, ეტყობა, ცდილობს, ბოლომდე შემოაგდოს, ან მე ავიღო, რომ დაგვა განაგრძოს. ქაღალდს ეშლი, ველოდები დარაჯის ჩავლას და ფოსფორიანი ასოებით ნაწერს ვკითხულობ:

„პაპი, ხვალიდან დაწყებული, ყოველდღე, კასრში ხუთი ცალი სიგარეტი და ერთი ქოქოსის კაკალი გექნება. კარგად დაღეჭე, თუ გინდა, რომ შეგერგოს. არასდროს არ მოწიო ყავის შემდეგ – მხოლოდ „პარაშის" გატანის დროს, სადილისა

და ვახშმის შემდეგ. გიგზავნით ფანქრის გულსა და ქაღალდს. ყოველთვის, როცა კი რამის შეტყობინება გინდა, დამგეელის ჩამოვლის დროს კარზე დააფხაჭუნე და, თუ ისიც ასევე გიპასუხებს, დახვეული ქაღალდი გამოაძერინე. არასდროს არ გააკეთო ეს, თუ საპასუხო ხმას არ გაიგონებ. ქაღალდის ნაგლეჯი ყურში გაიკეთე, რათა „ქისის" გამოღება არ დაგჭირდეს, ხოლო ფანქრის გული კედლის ძირში დამალე. გაბედულად. გეხვევით. იგნასი, ლუი."

ეს გალგანი და დეგა არიან. იმის შეგრძნება, რომ გარეთ ერთგული მეგობრები მყავს, გულში სითბოს მიღერის, ყელში სიხარული მაწვება და ამ სამარიდან ცოცხლად ამოსვლის იმედს მმატებს. უფრო მხნედ ვიწყებ ბოლთის ცემას: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი – ნახევარბრუნი და ასე შემდეგ – დავდივარ და ვფიქრობ: რამდენი კეთილშობილება და სიკეთის ჩადენის სურვილია ამ ორ კაცში! თავს უეჭველად უკიდურეს საფრთხეში იგდებენ და სამუშაო ადგილის (ერთი ფოსტალიონის და მეორე აღმრიცხველისა, დაკარგვის რისკზე მიდიან. იმაზე არც კი ფიქრობენ, რომ, შესაძლოა, ეს ძალიან ძვირად დაუჯდეთ. რამდენი ვინმეს მოსყიდვა უნდა მოეხერხებინათ, რომ რუაიალიდან „კაციჭამიას" ამ დილეგამდე მოეღწიათ!

მკითხველო, ალბათ იცი, რომ მწიფე ქოქოსის კაკალი დიდი რაოდენობით ზეთს შეიცავს. მისი მაგარი და თეთრი გული ისეა ცხიმით გაჯერებული, რომ, თუ ექვს გარჩეულ კაკალს ცხელ წყალში ჩააგდებთ, მეორე დღეს ექვს ლიტრ ზეთს მოხდით. კაკალი ვიტამინებით არის სავსე, რაც ასე გვაკლია არსებული კვების რეჟიმის წყალობით. ყოველდღე თითო ქოქოსის კაკალი – თითქმის განაღდებული ჯანმრთელობაა: გამოფიტვით სიკვდილის აღარ უნდა გეშინოდეს.

დღეს ორ თვეზე მეტი გავიდა, რაც საკვებსა და სიგარეტებს ვიღებ. არავითარი უსიამოვნო შემთხვევა არ მომხდარა. მოწევის დროს სიუს სიფრთხილეს ვიჩენ: ბოლს ღრმად ვისუნთქავ, ნელ-ნელა ვუშვებ და ხელით ვფანტავ.

გუშინ ერთი უცნაური რამ მოხდა და არ ვიცი ცუდად მოვიქეცი თუ კარგად: მორიგე გუშაგი მოაჯირზე გადმოეყუდა და საკანში ყურება დაიწყო, მერე სიგარეტს მოუკიდა, მაგრად მოქაჩა, შიგნით ჩამოაგდო და შემოვლა განაგრძო. დაველოდე, სანამ უკან გამოიელიდა და მის დასანახავად ფეხით გავჭყლიტე. ამაზე, თითქოს შეკრთა და გზა გააგრძელა. შევეცოდე თუ ადმინისტრაციის მაგიერ რცხვენია, რომელსაც თვითონაც ეკუთვნის? იქნებ, ხაფანგი იყო? ვერ ვხვდები და ეს მაწუხებს. ტანჯვა კაცს მგრძნობიარეს ხდის. არ იქნებოდა კარგი, თუ ეს ზედამხედველი ჩემთვის რამდენიმე წამით სიკეთეს მოისურვებდა და მე, მადლობის მაგიერ, სიძულვილის გამომხატველი ქცევით ტკივილს მივაყენებდი.

უკვე ორი თვეა, რაც აქ ვარ და დავრწმუნდი: ეს საპყრობილე, ჩემი აზრით, ერთადერთია, სადაც ახალს ვერაფერს გამოიგონებ. ჩემი ტაქტიკა აქაც უტყუარია: ვარსკვლავებში რომ ვიხეტიალო, დავუბრუნდე ჩემი ფათერაკებით აღსავსე ცხოვრებასა თუ ბავშვობას, ან ოცნების კოშკები ვაშენო, ამისათვის საჭიროა, საათების განმავლობაში გაუჩერებლად ვიარო და დაეიქანცო. მნიშვნელობა არა აქვს ამ დროს, რაზე ვიფიქრებ. ბოლოს, არაქათგამოცლილი, ვიშხლართები სანოლზე, თავს ზენრის ერთ ნახევარზე ვდებ, ხოლო მეორეს სახეზე ვიფარებ. ზენარი ჰაერს ძნელად ატარებს, ფილტვებში ასფიქსიას იწვევს და თვალები მეწვის. ჰაერის უკმარისობისაგან ვიხრჩობი, მაგრამ ვუძლებ და მერე ერთბაშად მივფრინავ. ვერ აგიწერთ, ამგვარად, რა ბედნიერ და ცხადზე ცხად წუთებს განვიცდი! დიახ! სივრცეში

ამგვარი მოგზაურობით საშუალება მეძლევა, გადავფრინდე ჩვიდმეტი წლით უკან და ჩემი მკვდარი დედიკოს გვერდით დავჯდე. აი, მე მის კაბას ვეთამაშები და ის კულულებზე მეფერება, რომელთაც ყოველთვის გრძლად მიტოვებდა, თითქოს ხუთი წლის გოგონა ვყოფილიყავი; ვკოცნი მის აბრეშუმივით რბილ და გრძელ თითებს; ელიმება, როცა ვთხოვ, მომცეს უთლება, მდინარეში ისევე ჩავხტე, როგორც ამას დიდი ბიჭები აკეთებდნენ – წელან, სეირნობისას რომ ვნახეთ; ყურში მიდგას მისი წყნარი ხმა, რომელიც მეუბნება: „ჩემო პატარა რირი, უგუნურებას ნუ ჩაიდენ, დადგება დრო, როცა შენც ჩახტები მდინარეში დიდი, ძალიან დიდი სიმაღლიდან. ჯერ ისევ ძალიან პატარა ხარ, ჩემო საუნჯევ. მალე შენც დიდი ბიჭი იქნები," – და ხელიხელჩაკიდებულნი, ბაღების ჩავლით, სახლში ვბრუნდებით. ახლა ჩემი ბავშვობის სახლში ვარ. ეს იმდენად რეალურია, რომ ვხედავ, როგორ მივდივარ და ტაბურეტზე შემდგარი, უკნიდან ვაფარებ დედაჩემს თვალებზე ხელებს, რათა ნოტები ვეღარ ნაიკითხოს. მიუხედავად ამისა, იგი პიანინოზე დაკერას განაგრძობს, მისი თლილი თითები მოხერხებულად დარბიან კლავიშებზე და ბოლომდე უკრავენ ჩემთვის „მხიარულ ქვრივს".

ვერც შენ, უსულო პროკურორო, ვერც თქვენ, საეჭვო რეპუტაციის მქონე პოლიციელებო; ვერც შენ, პოლენ, ვინც თავისუფლება ყალბი ჩვენებით იყიდე; ვერც თქვენ, ნაფიცო მსაჯულებო, დოყლაპიებივით რომ აჰყევით პროკურორის „მჭევრმეტყველებას"; ვერც თქვენ, ამ საპყრობილის „ძაღლებო", ასე ღირსეულად რომ ატარებთ „კაციჭამიის" მცველთა სახელს – ვერც ერთი თქვენგანი, თვით ატლანტიკაში ჩაკარგული კუნძულის ეს სქელი კედლებიც კი, ვერაფერი – მატერიალური იქნება ეს თუ სულიერი – ვერ შემიშლის ხელს, ვიმოგზაურო ვარსკვლავებსა და ვარდისფრად შეფერილ ბედნიერებაში.

მე მაშინ შევცდი, როცა ჩემი მომავალი მარტოობის დროს საათებით გაზომვას ვუპირებდი. არა, წუთებით უნდა გავზომო, რადგან ზოგჯერ წუთებს ვითვლი: ყავისა და პურის დარიგების შემდეგ კასრებს ცლიან; დაახლოებით ერთ საათში, ცარიელ კასრთან ერთად ქოქოსის კაკალი და სიგარეტები უნდა ვიპოვო, ხოლო, ხანდახან – ბარათი, – აი, ამ დროს ვითვლი წუთებს. თორმეტი წრე ერთი წუთია. ოღონდ ნუ იფიქრებთ, რომ ვეღარ ვითმენდე, როდის მექნება ქოქოსი და სიგარეტები, რომელთაც ორ ჯერზე ვეწევი. არა, ყოველთვის, როცა კი ყავას ვსვამ, სევდა და შიში მიპყრობს, რომ, რაღაც განსაკუთრებული მიზეზების გამო, არ ჩავარდნენ ის ადამიანები, რომლებიც ასე დიდსულოვნად მეხმარებიან და ჩემი გულისთვის საკუთარ თავისუფლებას სასწორზე აგდებენ. ამიტომაც, შვებით მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქავ ხოლმე, როცა ქოქოსის კაკალს ვხედავ. შემომაწოდეს – ესე იგი, მათ არაფერი ემუქრებათ.

ნელა, ძალიან ნელა, მაგრამ საათები, დღეები, კვირები და თვეები მაიც ხანს მიჰყვებიან ერთმანეთს. ერთი წელი გავიდა. უფრო ზუსტად, თერთმეტი თვე და ოცი დღეა, რაც ორმოც წამზე მეტ განმავლობაში არავის თან მილაპარაკია, ისიც, უფრო ჩურჩულით, ვიდრე ხმამაღლა. თუმცა, იყო შემთხვევა, როცა ვიღაცას დაველაპარაკე: ერთხელ გავცივდი და ვახველებდი. იმ მიზნით, რომ ექიმი მომეყვანინებინა, თავი მოვიავადმყოფე.

მოვიდა. ჩემდა გასაოცრად, სარკმელი იღება და ნახვრეტში ვიღაცის თავი ჩნდება. „რა გჭირთ? რა გაწუხებთ? ბრონქები? შემობრუნდით. დაახველეთ."

ამას შეხედეთ! დამცინის? არა, სრული სიმართლეა: კოლონიას ასეთი ექიმიც ჰყოლია, სარკმლის იქიდან, ყურშემოყოფილი, ერთ მეტრში მდგომს რომ მატრიალებს და ჩემს სუნთქვას უსმენს! მერე მეუბნება: „აბა, ხელი გამოყავით!"

ინერციით, ის-ისაა, ხელის გაყოფას ვაპირებ, რომ უცებ ჩემში საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობა იღვიძებს და ამ უცნაურ ექიმს ვეუბნები: „გმადლობთ, ექიმო, ასე ნუ შეინუხებთ თავს, არ არის საჭირო." მეყო ხასიათის სიმტკიცე და ძალა, რათა მეგრძნობინებინა, რომ მის მოქმედებას არასერიოზულად ვთვლიდი. „როგორც გენებოთ", – ცინიკურად მპასუხობს ექიმი და მიდის. კიდევ კარგი, თორემ აღშფოთებისაგან, ალბათ, გავსკდებოდი.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი – ნახევარბრუნი... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი – ნახევარბრუნი. დავდივარ, დაღლილობას არ ვგრძნობ. სხვა დროს თითქმის მოდუნებული ფეხები, ექიმის წასვლის შემდეგ გაცოფებულნი მიდი-მოდიან და გაუჩერებლად ქელავენ ვილაცას, თუ რაღაცას.

რას შეიძლება, ასე გამწარებით ქელავდნენ ჩემი ფეხები ამ ცემენტის იატაკზე? რას და: ამ ექიმბაშის უნებისყოფობას, რომელიც ადმინისტრაციის გულის მოსაგებად, თავს ასეთ საზიზღარ რამეებს ჰკადრებს; ადამიანთა ერთი წრის გულგრილობას მეორე წრის ადამიანების ტკივილისა და ტანჯვისადმი; ფრანგი ხალხის ინერტულობას იმ ფაქტისადმი, რომ არავინ ინტერესდება, თუ ორ წელინადში ერთხელ, სად იგზავნება სენ-მარტენ-დე-რედან, ადამიანებით დატვირთული გემი და როგორ ექცევიან მათ; როლიციური ქრონიკის ჟურნალისტებს, რომლებიც ვინმეს დანაშაულზე მხოლოდ ერთხელ, დაწერენ რამე სკანდალურ სტატიას და მეორე დღესვე ავიწყდებათ მისი არსებობა; კათოლიკე მღვდლებს, ვინც აღსარებას იღებენ, ყველაფერი იციან, თუ რა ხდება საფრანგეთის კატორღაში და ხმას არ იღებენ; არსებულ სასამართლო პროცესს, რომელიც ბრალმდებელსა და ვექილებს შორის ორატორული მჭერმეტყველების ასპარეზად გადაიქცევა ხოლმე; ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დაცვის ლიგას, რომელიც ხმას არ იღებს, რომ თქვას: „გააჩერეთ თქვენი უსისხლო გილიოტინა, შეწყვიტეთ ადმინისტრაციის თანამშრომელთა კოლექტიური სადიზმი!"; ყველა ორგანიზაციასა და ასოციაციას, რომელიც პასუხისმგებელია და მოვალეა, გაარკვიოს, თუ როგორ უჩინარდება აშმორებულ გზაზე, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი; ოფიციოზის ექიმების მიერ შედგენილ ცნობებს გარდაცვლილთა შესახებ, რომლებშიც მხოლოდ ის წერია, რომ ესა და ეს გარდაიცვალა თვითმკვლელობით, ფსიქოლოგიური კრიზისით, შიმშილობისგან, სურავანდით, ტუბერკულიოზით, ცოფით, ჭკუასუსტობით და ასე შემდეგ... რა ვიცი, კიდევ რას ვგულისხმობ ფეხებსქვეშ. ერთი კი ნაღდია: მას შემდეგ, რაც ვნახე, ჩემი ფეხები განუწყვეტლივ ვილაცას სრესენ.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... საათები გარბიან და და დაღლილობის მოსელასთან ერთად ანელებენ ჩემი სულის უსიტყვო ბუნტს.

კიდევ ათიდღე და ჩემი დილეგში ყოფნის ვადის ნახევარი ამოიწურება. შემიძლია, ვიზეიმო ეს წლისთავი, რადგან, თუ იმ გრიპს არ ჩავთვლით, ფრჩხილიც არ წამომტკიებია; გონებაზეც არ გადავსულვარ და არც ვაპირებ – მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი და დარწმუნებული ვარ, კიდევ ერთი წლის შემდეგ, აქედან ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი გავალ.

ვილაცის ხმადაბალი ლაპარაკი მაღვიძებს:

– უკვე გაშეშებულა, აქამდე რატომ ვერ შეამჩნიეთ, ბატონო დიურან?

– რა ვიცი, უფროსო, კუთხეში ჩამოკიდებულა და მიუხედევად იმისა, რომ რამდენჯერმე ჩავიარე, ვერ დავინახე.

– ეს არ გამართლებთ, აღიარეთ, რომ უყურადღებობა გამოიჩინეთ.

მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ ჩემს მარცხენა მეზობელს თავი ჩამოუხრჩვია. მიაქვთ. კარი, რომელიც რეგლამენტის სრული დაცვით – „უზენაესი განმკარგულებლის" საპყრობილის შეფის თანდასწრებით გაიღო, იხურება. – ხმაზე ვიცანი. ამ ათ კვირაში ეს მეხუთე უჩინარდება ჩემ ირგვლივ.

წლისთავიც დგება. კასრში „ნესტლეს" კონდენსირებულ რძის პაკეტს ვპოულობ. ჩემი მეგობრები მთლად გაგიჟებულან: ჯერ ერთი, რა ფასად უნდა ეშოვნათ და, მეორეც, როგორ იგდებენ თავს საფრთხეში მის შემოსაგზავნად! ასე რომ, ჩემს ბედკრულ ყოფაზე დღეს გამარჯვებამ იზეიმა. ამიტომაც გადავწყვიტე, ოცნებებში აღარ გავფრენილიყავი და სატუსაღოში დავრჩენილიყავი. მეამაყება, რომ ყოველმხრივ მზად ვარ, გავიქცე, თუკი ამის საშუალება მომეცემა.

ნაშუადღევს დამგველმა უფრო მშვენიერი საჩუქარი მომიტანა. – ჩემი მეგობრების ბარათი: „ცოტაც გაუძელი, ერთი წელიღა დაგრჩა. ვიცით, კარგ ჯანზე ხარ. ჩვენც არაფერი გვიჭირს. გეხვევით. ლუი, იგნასი. თუ შეგიძლია, ამის მომტანის ხელით ორიოდე სიტყვა გამოგვიგზავნე."

პატარა ქაღალდზე, რომელიც ბარათს მოჰყვა, ვწერ: „გმადლობთ ყველაფრისთვის. ჯანმრთელობას არ ვუჩივი და იმედი მაქვს, თქვენი წყალობით ასეთივე ვიქნები ერთი წლის შემდეგაც. არ შეგიძლიათ, კლუზიოსა და მატურეტის ამბები შემატყობინოთ?" დამგველი ბრუნდება და ჩემს კარებზე აფხაჭუნებს. მაშინვე ქაღალდს ვაძვრენ და ისიც სწრაფად უჩინარდება. მთელი ეს დღე და ღამის დიდი ნაწილი იმის ფიქრში გავატარე, თუ რომელ კუნძულზე გამაგზავნიან, ერთი წლის შემდეგ – სენ-ჟოზეფზე თუ რუაიალზე. რომელზეც არ უნდა იყოს, ლაპარაკითა და თამბაქოს მონეცით ვიჯერებ გულს და მაშინვე მომავალი გაქცევის გეგმის დამუშავებას დავიწყებ.

მომდევნო სამას სამოცდახუთი დღიდან რვა თვის განმავლობაში არაფერი მომხდარა, მაგრამ მეცხრე თვეში საქმე ცუდად წავიდა: ერთ დილას, „პარაშის" გატანის დროს, ჩემი კეთილმოსურნე იმ დროს გამოიჭირეს, როცა კასრში ქოქოსის კაკალსა და სიგარეტებს აწყობდა.

აქ ეს იმდენად გაუგონარი ამბავია, რომ რამდენიმე ხნით სიჩუმის დაცვის აუცილებლობასაც კი ივიწყებენ. გარკვევით მესმის, როგორ ურტყამენ საბრალოს და ჩემამდე აღწევს სასიკვდილოდ განწირული კაცის ხროტინი. ჩემი საკნის ნახვრეტი იღება და რომელიღაც დარაჯის შეშლილი სიფათი მიყვირის:

– შენთვისაც მოვიცლი, დამაცადე!

- როცა გენებოს, მზად ვარ, არამზადავ! – თან ლამის სიბრაზისაგან გავსკდე, რადგან მესმის, როგორ ეპყრობიან საბრალო ბიჭს.

ეს დილის შვიდ საათზე მოხდა. ჩემ წასაყვანად დელეგაცია, სატუსაღოს მეორე კომენდანტის მეთაურობით მხოლოდ თერთმეტ საათზე მოდის. აღებენ კარს, რომელიც ოცი თვის განმავლობაში დაკეტილი იყო. მე საკნის სიღრმეში, ჩამჩით ხელში ვიკავებ პოზიციას, რათა, ჯერ ერთი, თუ დამარტყამენ, სამაგიერო გადავუხადო და მეორეც, რაც შეიძლება მალე გავითიშო. არაფერი ამდაგვარი არ ხდება:

– ტუსალო, გამოდით!

– არ გამოვალ, არ მინდა, ალყაში მომაქციოთ და ისე მცემოთ. აქ მირჩევნია. პირველივეს, ვინც ხელს დამაკარებს, ადგილზე გავაგორებ!

– შარიერ, ცემას არავინ გიპირებთ.

– ვინ არის თავდები?

– მე, სატუსაღოს მეორე კომენდანტი.

– მერე, თქვენ სიტყვის კაცი ხართ?

– შეურაცყოფას ნუ მაყენებთ, არ გინდათ. ღირსებას გეფიცებით და გპირდებით, რომ ხელს არ გახლებენ. გამოდით.

ჩამჩას არ ვაგდებ.

– შეგიძლიათ დაიტოვოთ, მისი გამოყენება საჭირო არ იქნება.

– კარგი, ასე იყოს, – გამოვდივარ. ექვსი ზედამხედველისა და კომენდანტის თანხლებით, გრძელი დერეფნის გავლით გარეთ გავდივართ. ეზოში სინათლე მაბრმავებს და თვალებს ვერ ვახელ. ბოლოს, როგორც იქნა, ვამჩნევ პატარა შენობას, სადაც მოსვლისას შემიყვანეს. ირგვლივ ზედამხედველები ირევიან. შევყავარ ადმინისტრაციის ოთახში. იატაკზე სისხლში მოსვრილი კაცი კვნესის. კედლის საათი თერთმეტს უჩვენებს: ოთხი საათია, რაც ამ უბედურს ნამებენ. სატუსაღოს კომენდანტი საწერ მაგიდას უზის. მეორე კომენდანტი გვერდით უჯდება.

– შარიერ, რამდენი ხანია, რაც საჭმელსა და სიგარეტებს იღებთ?

– ეს გეტყოდათ.

– მე თქვენ გეკითხებით.

– მე ამნეზია მჭირს, გუშინ რა მოხდა, ისიც კი არ მახსოვს.

– დამცინით?

– არა, მიკვირს, რატომ არ არის შეტანილი ეს ჩემს პირად საქმეში. თავში დარტყმისაგან დამემართა.

კომენდანტი იმდენად არის ამ პასუხით გაკვირვებულით, რომ ბრძანებას იძლევა:

– შეეკითხეთ რუაიალს, არის თუ არა ამგვარი ცნობა მის საქმეში! – სანამ რეკავენ და არკვევენ, განაგრძობს:

– ის თუ გახსოვთ, შარიერი რომ გქვიათ?

– ეგ – კი, – და სწრაფად, რათა უფრო მეტად დავაბნიო, ავტომატივით ვაყრი: – მე შარიერი მქვია, დავიბადე 1906 წელს არდეშის დეპარტამენტში, სამუდამო მომისაჯეს პარიზში, სენის სასამართლოში. – კომენდანტი ბურთულებივით მრგვალ თვალებს აჭყეტს და ვხედები, რომ შევარყიე.

– ამ დილას თუ მიიღეთ თქვენი კუთვნილი ყავა და პური?

– დიახ.

– რა ბოსტნეული გაჭამეს გუშინ ვახშამზე?

– არ მახსოვს.

– ესე იგი, თქვენ თუ დაგიჯერებთ, მეხსიერება დაკარგული გაქვთ?

– მხოლოდ სახეები არ მავიწყდება. მახსოვს, რომ ოდესღაც თქვენ აქ მიმიღეთ. როდის იყო, არ მახსოვს.

– მაშინ, არც ის გეცოდინებათ, რამდენი დაგრჩათ მოსახდელი.

– სამუდამო? ვფიქრობ, როცა მოვკვდები, მაშინ.

– არა, დილეგში ყოფნას გეუბნებით.

– მე დილეგი მაქვს მისჯილი? რატომ?

– აჰ! ეს უკვე მეტისმეტია! თუ ღმერთი გწამთ, მოთმინებიდან არ გამომიყვანოთ! ვერ დამაჯერებ, რომ არ გახსოვს რისთვის დაგსაჯეს. გაქცევა არ გახსოვს? ვერ მოგართვეს!

აქ საბოლოო დარტყმას ვაყენებ:

– მე და გაქცევა? კომენდანტო, მე სერიოზული კაცი ვარ და ჩემს თავზე პასუხს ვაგებ. წამოდით ჩემს საკანში და ნახეთ, თუ გავიქეცი.

– ამ დროს, ერთი ზედამხედველი ეუბნება:

– რუაიალია ხაზზე, კომენდანტო.

ის ტელეფონთან მიდის:

– არაფერია? უცნაურია, აცხადებს, რომ ამნეზია აქვს... მიზეზი?! თავში ჩარტყმა... გასაგებია, სიმულიანტია. რას გაიგებ... კარგი, ბოდიში, ჩემო კომენდანტო, გადავამონმებ. ნახვამდის. კარგი, შეგატყობინებთ.

– კომედიანტო, აბა, ერთი, თავი მაჩვენე! აჰ, კი, თავზე საკმაოდ გრძელი ჭრილობა გაქვს. როგორ ხდება, რომ გახსოვს, რომ მახსოვრობა ამ დარტყმის შემდეგ დაკარგე! აბა, ერთი ამიხსენი!

– მე კი არ გიხსნით, გიდასტურებთ, რომ მახსოვრობა ამ დარტყმის შემდეგ დავკარგე და რომ, აგრეთვე, შარიერი მქვია და კიდევ რაღაცეები.

– რა გაქვთ სათქმელი, ყველაფერ ამის შემდეგ?

– სწორედ ამაზეა ლაპარაკი. თქვენ მეკითხებით, როდიდან მიგზავნიან საჭმელსა და მოსანევს, ხომ? აი, ჩემი საბოლოო პასუხი: არ მახსოვს, პირველად თუ მეასედ. ამნეზიის გამო, არ შემიძლია, გარკვეული პასუხი გითხრათ. სულ ეს არის, რაც გინდათ, ის ქენით.

– რაც მინდა, ადვილი გასაკეთებელია: ძალიან დიდი ხნის განმავლობაში კარგად იკვებებოდით, ამის შემდეგ კი გახდომა მოგიწევთ. სასჯელის ვადის გასვლამდე ვახშამს ვეღარ მიიღებთ.

იმავე დღეს, დამგველის მეორედ ჩამოვლისას, ბარათი მივიღე. ფოსფორირებული არ არის და სიბნელეში ვერ ვკითხულობ. სიგარეტს ვუკიდებ, რომელიც გუშინ, ჩხრეკისას ვერ იპოვეს, ისე კარგად მქონდა ქვეშაგებში დამალული. ვექაჩები და ვახერხებ გავარჩიო: „მომტანს არავინ ჩაუშვია. განაცხადა, რომ საკუთარი სურვილით გააკეთა ეს, რადგან საფრანგეთიდან გიცნობდა. რუაიალზე არავის დაკითხავენ. გაბედულად.“

მოკლედ, მომესპო არა მარტო ქოქოსი და სიგარეტები, არამედ მეგობრების შესახებ ცნობების მიღების შესაძლებლობაც. ამას დაუმატეთ უვახშმობა. შიმშილის შეგრძნებას გადაჩვეული ვარ და, ამას გარდა, სიგარეტები დღისა და ღამის დიდ ნაწილს მივსებდა. ჩემს თავს არ ვჩივი, იმ საბრალოს ბედი მაწუხებს, რომელიც ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს. ღმერთს შევთხოვ, მეტისმეტად უმოწყალოდ არ დასაჯონ.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი – ნახევარბრუნი...ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი – ნახევარბრუნი... „ამ ახალ რეჟიმს ასე ადვილად ვერ გადაიტან და იქნებ, იმის გამო, რომ ცოტა ჭამა მოგიწევს, ჯობია, ტაქტიკა შეცვალო? უკეთესი ხომ არ იქნება, შეძლებისდაგვარად, იწვე და ნაკლები კალორიები დახარჯო, ხოლო დღისით დიდხანს იჯდე? ოთხი თვე – ას ოცი დღეა. ამ ახალ რეჟიმში რამდენი ხნის

შემდეგ დამეწყება ანემია? ალბათ, ორი თვის შემდეგ. ესე იგი, ორი თვის გოლგოთა მრჩება. როცა მეტისმეტად დავსუსტდები, მაშინ გავხდები ავადმყოფობების შემოტევათა ასპარეზიც...“ გადაწყვეტილებას ვიღებ, საღამოს ექვსი საათიდან დილის ექვსამდე ვიწვე. ყავის დარიგებისა და დასუფთავების შემდეგ, აგრეთვე ნასადილევს, ორ-ორ საათს ვივლი – სულ ოთხ საათს. დაღლილობის გარეშე ძნელი იქნება ოცნებებში გაფრენა, მაგრამ მაინც შევეცდები ამის გაკეთებას.

დღეს, მას შემდეგ, რაც დიდი დრო გავატარე ჩემს მეგობრებსა და იმ უბედურზე ფიქრში, ვინც ასე სასტიკად დასაჯეს, ვინყებ ახალი რეჟიმის მიხედვით თავის გაწვრთნას. ამას ადვილად ვაღწევ, თუმცა დრო უფრო ნელა გადის და ფეხებში მუდმივად ჭიანჭველები დამირბიან.

ათი დღეა, ასე გრძელდება. ახლა გამუდმებით მშია და დაღლილობა არ მშორდება. ქოქოსი და სიგარეტები საშინლად მაკლია. საკმაოდ ადრე ვწვები და საკნიდან მაშინვე ოცნებებში გავრბივარ: გუშინ პარიზში, „რა-მორთან“, მეგობრების წრეში შამპანურს ვსვამდი. ანტონიო ლონდონელი, რომელიც წარმოშობით ბალეარის კუნძულებიდან არის, ფრანგულად პარიზელივით მელაპარაკებოდა ინგლისურად კი – როგორც ნამდვილი ინგლისელი rosbif-ი. მეორე დღეს, „კლიშის ბულვარზე“, „მარონიესთან“, იგი უკვე რევოლვერის ხუთი ტყვიით ერთ-ერთ თავის მეგობარს კლავდა. დამნაშავეთა სამყაროში მეგობრობას სიძულვილი ადვილად ცვლის. დიახ, გუშინ პარიზში ვიყავი, „პეტი-ჟარდენის“ ბალზე, სადაც მხოლოდ კორსიკელები და მარსელელები იყვნენ შეკრებილი და აკორდეონის ხმაზე ვცეკვავდი. ყველა ჩემი მეგობარი ისე მიდგას თვალწინ, თითქოს არასოდეს მიმეტოვებინოს ის ადგილები, სადაც ასეთი მშვენიერი ღამეები გამიტარებია! ახლა, საკვების უკმარისობის გამო, დაღლილობა აღარ მჭირდება, რომ ამ საკანს .მოვწყდე დაწარსულის წარმოსახვაში გადავეშვა.

გამოსვლამდე ერთი თვე მრჩება. უკვე სამი თვეა, მხოლოდ პურის ნატეხსა და ამღვრეულ წვნიანში ჩაგდებულ ხორცის ნაჭერს ვიღებ. შიმშილმა იმ ზომამდე მიმიყვანა, რომ დასხმისთანავე ვეცემი და ვსინჯავ, ხორცის მაგივრად ტყავი ხომ არ შემომაპარეს, როგორც არაერთხელ მომხდარა. ჩამოვხმი და ახლა ვხვდები, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემი ჯანმრთელობისა და წონასწორობისათვის იმ ქოქოსის კაკალს, რომელსაც ოცი თვის განმავლობაში ვიღებდი.

ამ დილით ისე ვარ ანერვიულებული, რომ ყავასთან ერთად პურის ნატეხის ნახევარი შემეჭამა, რაც არასდროს გამიკეთებია. აქამდე პურს ოთხ თანაბარ ნაწილად ვყოფდი და სხვადასხვა დროს ვჭამდი. თავს ვკიცხავ: „რა ქენი? ასეთი არასერიოზულობა აღსასრულის მოახლოებას ხომ არ ნიშნავს?“ – „რა ვქნა, მშია და ძალა გამომელია. – მეტისმეტს ნუ მოითხოვ! საიდან გექნება ძალა, როცა თითქმის არაფერს გაჭმევენ? მთავარი ის არის, რომ გამარჯვება შენ მხარეზეა, რადგან. სუსტად კი ხარ, მაგრამ ავადმყოფობა ვერ მოგერია. ლოგიკურად, „კაცი-ჭამიამ“, თუ ცოტა იღბალიც გექნება, შენთან პარტია უნდა წააგოს“.

ორსაათიანი სიარულის შემდეგ ცემენტის სკამზე ვზივარ. ოცდაათი დღის, ანუ შვიდას ოცი საათის შემდეგ, კარი გაიღება და მეტყვიან: „ტუსაღო შარიერ, გამოდით. თქვენი ორწლიანი სასჯელი დამთავრდა.“ რას ვუპასუხებ? ვეტყვი: „დიახ, როგორც იქნა, გავიარე ეს ორწლიანი გოლგოთა.“ თუმცა, არა! თუ ის კომენდანტი მოვა, ვისაც ამნეზიაზე ველაპარაკებოდი, მაშინ უმჯობესი იქნება, ცივად ვუთხრა:

„როგორ, შემიწყალეს? საფრანგეთში მივდივარ? დამთავრდა ჩემი სამუდამო პატიმრობა?“ – და ეს მხოლდ იმიტომ, რომ მას სიფათში შეეხედო და დავარწმუნო, რომ მარხულობა უსამართლოდ მომისაჯა. თუმცა, რას ვროშავ? კომენდანტს სულ ფეხებზე არ ჰკიდია უსამართლობა და სამართლიანობა, ან, მოატყუეს, თუ არა?! მისი აზროვნების მქონე ადამიანისათვის ამას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს? გიკრძალავ, პაპიონ, ციხის დარაჯის ჩვეულებრივ ადამიანად ჩათვლას. არ შეიძლება, მისი წრის რომელიმე ადამიანს კაცი უწოდო. ადამიანი ცხოვრებაში ყველაფერს ეჩვევა და კარიერა არამზადად აქცევს! მხოლოდ სიკვდილის პირას მისულმა, ისიც, თუ ღვთის მოშიშია, შეიძლება, მონანიებაზე იფიქროს მხოლოდ იმიტომ, რომ შეეშინდება, წარსულის გამო ღმერთმა არ გამასამართლოს და თვითონვე არ გავხდე პატიმარიო. ასე რომ, გასვლისას, იმის მიუხედავად, რომელ კუნძულზე მოვხვდები, არავითარი კომპრომისი არ უნდა დავუშვა ამ ჯიშთან. ჩვენ კედლის სხვადასხვა მხარეს ვდგავართ: იქით – უსულგულო და სადისტი ავტორიტარები და აქეთ – ჩვენ – მე და ჩემნაირი ადამიანები, რომელთაც, უეჭველად, მძიმე დანაშაულები გვაქვს ჩადენილი, მაგრამ სატანჯველმა შეძლო ჩვენში შეუდარებელი თვისებები ჩაესახა: კეთილშობილება, სიბრალული, თავგანწირვა, სიკეთის გაკეთების სურვილი, სიმამაცე და სხვა. გულწრფელად ვამბობ: კატორღელად ყოფნა მირჩევნია ადამიანთა დარაჯად ყოფნას.

ოც დღეზე ნაკლები რჩება. ნამდვილად ძალიან სუსტად ვარ. ამ ბოლო დროს ვამჩნევ, რომ ჩემი პურის ნაჭერი დაპატარავდა და ისედაც წყალწყალა წვნიანში ხორცის ნაცვლად ან ძვალი აგდია, ან – ტყავი. ვინ აკეთებს ამ სიმდაბლეს? ავად გახდომის შიში ამეკვიატა და ვერ ვიშორებ. გავიღვიძებ თუ არა, მაშინვე, ძალდატანების გარეშე, ოცნებებში ვვარდები. ამ მდგომარეობას თან დეპრესია ახლავს და ეს უფრო მაფიქრებს. ვცდილობ, მოძრაობის უნარი დავიბრუნო, მაგრამ ყოველი ოცდაოთხი საათი უფრო ძნელი გასავლელი ხდება. კარებზე მიფხაჭუნებენ. სწრაფად ვიტაცებ ბარათს. ფოსფორიანია. დეგა და გალგანი მწერენ: „სიტყვა გამოგვიგზავნე. ძალიან გვაწუხებს შენი ჯანმრთელობის ამბავი. 19 დღე დაგრჩა. ვაჟკაცურად. ლუი, იგნასი.“

თანმოყოლილ თეთრი ქაღალდის ნაგლეჯზე ვწერ: „ვუძლებ. ძალიან სუსტად ვარ. მადლობა. პაპი.“ ცოცხი ბრუნდება და ბარათი იგზავნება, რომელიც ყოველგვარ ქოქოსის კაკალსა და სიგარეტებს მირჩევნია. მეგობრობის კიდევ ერთი გამოხატულება წკეპლასავით მირტყამს და მაფხიზლებს. თუ შევატყობინებდი, ავად ვარ მეთქი, აუცილებლად მივიდოდნენ ექიმთან და გამომიგზავნიდნენ, რათა წესიერად ემკურნალა. ისინი მართალნი არიან – ცოტაც უნდა გავუძლო. 19 დღეში დამთავრდება ჩემი რბოლა სიკვდილსა და სიგიჟეს შორის. ავად არ უნდა გავხდე. რაც შეიძლება, ნაკლები უნდა ვიმოძრაო და ნაკლები კალორიები დავხარჯო; უნდა შევწყვიტო ორ-ორ-საათიანი სიარული – ან უნდა ვიწვე, ან ჩემი ქვის სკამზე ვიჯდე. დროდადრო ვდგები და ვბუქნან, ან უბრალო მოძრაობებს ვაკეთებ.

ათ დღეს ტრინიდადში ვსეირნობ და იაეური, ერთსიმიანი ვიოლინოს ნაღვლიანი ხმა მარწევს, როცა გამყინავი კივილი რეალობაში მაბრუნებს. ხმა უკანა საკნიდან მოდის:

– მატრაბაზო, არ მოგწყინდა მაღლიდან გაუთავებელი თვალთვალი? ვერ ხვდები, რომ უსინათლობის გამო სანახაობის ნახევარს კარგავ? ჩამოდი ამ ორმოში, რაღას

უყურებ!

– გაჩუმდით, თორემ მკაცრად დაისჯებით! – ეუბნება „ძაღლი".

– ჰა, ჰა, ჰა! ნუ მაცინებ! ამ სიჩუმეზე მეტ სასჯელს რას მოიგონებ? როგორც გენებოს, დამსაჯე, მცემე, თუ სიამოვნებას მოგაყენებს, მაგრამ ამ სიჩუმეზე უარესს ვერაფერს მოიგონებ! არა, არა! აღარ მინდა, აღარ შემიძლია ჩუმად ყოფნა! სამი წელია, სურვილი მაქვს გითხრა, რომ დამპალი ხარ, მაგრამ იმდენად ჩასვრილი ვიყავი დასჯის შიშით, რომ ვერ ვბედავდი. ოცდათექვსმეტი თვე დამჭირდა ამისათვის, ბინძურო ყარაულო!

ცოტა ხნის შემდეგ მისი კარი იღება და მესმის:

– არა, ასე არა! უკუღმა ჩააცვი, ასე უფრო უპრიანია!

საბრალო ბიჭი ღრიალებს:

– როგორც გინდა, ჩამაცვი ეგ პერანგი, როგორც გინდა, ისე შემომიჭირე! ეს არ შემიშლის ხელს გითხრა, რომ დედაშენი მხოლოდ ღორი შეიძლებოდა ყოფილიყო, რაკი ასეთი სიბინძურე გშობა!

ხმა წყდება – ეტყობა, პირში ჩვარი ჩასჩარეს. ამ სცენის გამო აღელვებული ერთი ახალგაზრდა ზედამხედველი, რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი საკნის წინ ჩერდება და ამბობს:

– ეტყობა, გაგიჟდა.

– ასე გგონიათ? ჩემი აზრით, ის, რაც მან თქვა, ამას არ ადასტურებს.

მოულოდნელობისაგან გაშტერებული „ძაღლი" ნასელისას მიგდებს: – ეს თქვენც არ აგცდებათ.

ამ შემთხვევამ ვიოლინოებს, ინდიელებსა და პოტ ოფ სფეინის ნავსადგურს მომწყვიტა და სატუსალოს სევდიან რეალობაში დამაბრუნა. ათი დღე, ესე იგი ორას ორმოცი საათი დამრჩა მოსახდელი.

გაუნძრევლად ყოფნის ტაქტიკა ამართლებს. მხოლოდ ეს არის, დღეები ტაატით მიდის. მე სხვებთან შედარებით უკეთ ვარ. დილეგიდან გასვლას ორას ორმოცი საათი მაშორებს. სისუსტე ჩემს ტვინს ვერ შეეხო – მხოლოდ ცოტა მეტი ენერგია სჭირდება, რომ კვლავ უწინდებურად იმუშაოს. ჩემ უკან კი, კედელს იქით, ორ მეტრში, ერთი საბრალო ბიჭი სიგიჟის პირველ ფაზაში ყველაზე უფრო საშინელი კარით – ძალადობის კარით შედის. დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია, რადგან ამგვარად მან საშუალება მისცა ადმინისტრაციას, გულმოდგინედ შეისწავლონ და რაც შეიძლება მეცნიერული მეთოდებით გაისტუმრონ იმქვეყნად. მრცხვენია, რომ დამარცხებულის გვერდით თავს უფრო ძლიერად ვგრძნობ. ნუთუ მეც ერთ-ერთი იმ ეგოისტთაგანი ვარ, ვინც თავს უფრო უკეთესად გრძნობს, როცა ზამთარში, ქუჩაში, თავით ფეხებამდე ჩათბუნებული, დილის ყინვისაგან გალურჯებულ, ხალვათად ჩაცმულ ხალხს უყურებს, რომლებიც ჩქარობენ, მეტროს პირველ მატარებელს ან ავტობუსს მიუსწრონ, რათა სამუშაოზე არ დააგვიანდეთ და უფრო მეტად უხარია, რომ ქურქი და ხელთათმანები აქვს. ცხოვრებაში ძალიან ხშირად ყველაფერი შედარებითია: „მართალია, მე ათი წელი მაქვს მოსახდელი, მაგრამ პაპაინოს სამუდამო აქვს მისჯილი; მე სამუდამო მომისაჯეს, მაგრამ მხოლოდ ოცდაშვიდი წლის ვარ, ის კი, მართალია თხუთმეტი წელი მისცეს, მაგრამ უკვე ორმოცდაათი წლისაა.

როგორც იქნა, მოდის გასვლის დღე. ვიმედოვნებ, ექვს თვეზე ადრე აღვიდგინო

ჯანმრთელობა და გავიქცე. პირველი გაქცევა რა იყო! მეორე კატორღის ერთ-ერთ კედელზე ამოიტვიფრება!

უკანასკნელი ღამე სატუსაღოში. 234-ე საკანში ჩემი შესვლიდან ათას ხუთას რვა საათი გავიდა. მისი კარი მხოლოდ ერთხელ გაიღო, როცა კომენდანტთან დასასჯელად გამიყვანეს. ამ ხნის მანძილზე, მეზობლის გარდა, რომელსაც ხანდახან თითო-ოროლა სიტყვას ვეტყოდი ხოლმე, სულ ოთხჯერ დამელაპარაკნენ: პირველ დღეს, როცა ამიხსნეს, როდის ჩამომეშვა საწოლი; მეორედ – ექიმი: „შემობრუნდით, დაახველეთ". მესამედ: საკმაოდ ხანგრძლივი ლაპარაკი კომენდანტთან და მეოთხედ: აღელვებული ზედამხედველის ორიოდე სიტყვა. რას იზამ, ამ მხრივ ფუფუნებაში არ ვყოფილვარ!

მშვიდად ვიძინებ. მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ხვალ ამ კარს გააღებენ. ვნახავ მზეს და თუ რუაიალზე გამაგზავნიან, ზღვის ჰაერით ვისუნთქებ. ხვალიდან თავისუფალი ვარ. სიცილი მიტყდება. თავისუფალი? თავისუფალი კი არა, ოფიციალურად ხვალ იწყებ სამუდამო გამასწორებელი კატორღის მოხდას. ამას თავისუფლებას უძახი? კი, ვიცი, ვიცი, მაგრამ, რა შედარებაა იმასთან, რაც გადავიტანე! ნეტავ, როგორ დამხვდებიან კლუზიო და მატურეტი?

ექვს საათზე ყავასა და პურს მაძლევენ. სურვილი მკლავს, ვიკითხო: რატომ მაძლევთ, მე ხომ დღეს გამოვდივარ? რაღაც გეშლებათ! უმალ მახსენდება, რომ მე „ამნეზია" მჭირს და ვინ იცის, კომენდანტის გაცურების ამგვარი ალიარებით, შეიძლება, დამატებით ოცდაათი დღე „შემტენონ". აუცილებლად უნდა გავიდე სენჟოზეფის საპყრობილიდან დღეს – 1936 წლის 26 ივნისს. ოთხ თვეში ოცდაათი წლის გაეხდები.

რვა საათია. პურის ნაჭერი მთლიანად შევჭამე. საკვებს ბანაკში ვიშოვი. კარს აღებენ. მეორე კომენდანტი და ორი ზედამხედველი მოსულან: „შარიერ, დღეს 1936 წლის 26 ივნისია. თქვენი ორწლიანი სასჯელი დამთავრდა. გამოგვყევით."

გავდივარ. ეზოში მზე მაბრმავებს. სისუსტისაგან მუხლები მეკეცება და თვალებში შავი ლაქები დამირბის.

ადმინისტრაციის შენობასთან, ჩონჩხად ქცეულ, თვალებჩაცვენილ მატურეტსა და საკაცეზე მწოლიარე კლუზიოს ვხედავ. კლუზიო მთლად გალურჯებულია და თითქოს სიკვდილის სუნი ასდის. ვფიქრობ: „ჩემი ძმაკაცები ძალიან ცუდად გამოიყურებიან. ნუთუ მეც ამ მდგომარეობაში ვარ?" არ ვჩქარობ საკუთარი თავის სარკეში დანახვას:

– აბა, ბიჭებო, როგორ ხართ?

არ მპასუხობენ. ვიმეორებ:

– კარგად ხართ?

– ჰო, – ჩურჩულებს მატურეტი.

მინდა ვუთხრა, რომ ახლა ლაპარაკის უფლება გვაქვს. კლუზიოს ლოყაზე ვკოცნი. იგი გაბრწყინებული თვალებით მიყურებს და ეღიმება:

– მშვიდობით, პაპიონ.

– არა, არა, რას ამბობ!

– მე უკვე იქ ვარ, ყველაფერი დამთავრდა.

რამდენიმე დღის შემდეგ იგი რუაიალის ჰოსპიტალში მოკვდება. ოცდათორმეტი წლის იყო. აქ ოცი წლით გამოგზავნეს ველოსიპედის ქურდობის ცრუ ბრალდების

გამო.

კომენდანტი მოდის:

– შეიყვანეთ. მატურეტი და თქვენ, კლუზიო, კარგად იქცეოდით. ასე, რომ თქვენს პირად საქმეებში მე ვწერ: „კარგად იქცეოდა“. თქვენ, შარიერ, რაკი მძიმე შეცდომა დაუშვით, გიწერთ იმას, რასაც იმსახურებთ: „ცუდად იქცეოდა.“

– ბოდიში, კომენდანტო, რა შეცდომაზე ლაპარაკობთ?

– როგორ, არ გახსოვთ სიგარეტებისა და ქოქოსის კაკლის ისტორია?

– არა, გეფიცებით.

– მოდი, ვნახოთ. როგორი რეჟიმი გქონდათ ბოლო ოთხი თვის განმავლობაში.

– რა გაგებით? საჭმლის მხრივ? ისეთივე, როგორიც თავიდან.

– ო! ეს უკვე მეტისმეტია! გუშინ რა ჭამეთ?

– ჩვეულებრივად, რაც მომცეს, რა ვიცი? არ მახსოვს. შეიძლება, ბრინჯიანი ლობიო ცხიმით, ან სხვა რამ ბოსტნეული.

– ესე იგი, საღამოსაც ჭამეთ?

– ეშმაკმა დალახვროს, როგორ გგონიათ, საჭმელს გადავყრიდი?

– არა, ამას არ გეუბნებით. კარგი. არ ჩავწერ „ცუდად იქცეოდა“. შეასწორეთ გასვლისას ბარათი, ბატონო X... გიწერთ: „კარგად იქცეოდა“. მოსულა?

– აი, ეს სამართლიანი იქნება. არაფერი ჩამიდენია ისეთი, რომ პირველი დამემსახურებინა.

საპყრობილის დიდი კარი იღება და გარეთ გვიშვებს. მხოლოდ ერთი ზედამხედველის თანხლებით ნელ-ნელა ვეშვებით ბანაკისაკენ მიმავალ გზაზე. დაბლა, ვერცხლისფრად მოელვარე ქაფიანი ოკეანეა, წინ – ამწვანებული და წითელი სახურავებით მოფენილი რუაიალი და ველური, პირქუში დიაბლი. ზედამხედველის თანხმობით ცოტა ხანს ვჩერდებით. მე მატურეტისა და კლუზიოს შუაში ვჯდები. უნებურად ერთმანეთს ხელს ვკიდებთ და მღელვარებისაგან უსიტყვოდ ვეხვევით.

– წავედით, ბიჭებო, გველოდებიან, – გვეუბნება ზედამხედველი ნელ-ნელა ვეშვებით და მე და მატურეტი ხელიხელჩაკიდებული შევდივართ ბანაკში. უკან, საკაცით, ჩვენი აგონიაში მყოფი მეგობარი მოჰყავთ.

რუაიალი

ბანაკის ეზოში შესვლისთანავე კეთილმოსურნე კატორღელების ყურადღების ქვეშ ვხვდებით. აქ არიან პიერო ლე ფუ, ჟან სარტრუ, კოლონტინი, ჩისელია. ზედამხედველი გვეუბნება, რომ სამივე სამედიცინო პუნქტში ვართ წასასვლელი. თან ოციოდე კაცი მოგვყვება. რამდენიმე წუთში ჩვენ წინ საკვებითა და მოსაწევით სავსე პარკები ხვავდება. ყველას რაღაცა მოაქვს. კლუზიოს ქაფურის ზეთისა და ანდრენალინის ნემსებს უკეთებენ გულისთვის. ერთი გამხდარი ზანგი ეუბნება:

– სანიტარო, მიეცი ჩემი ვიტამანები, ჩემზე მეტად ამას სჭირდება. ჩემ მიმართ სოლიდარობის ამგვარი გამოვლინება ამაღელვებელ სურათს ქმნის.

– ფული გჭირდება, – მეუბნება პიერ ბორდელე, – რუაიალში გაგზავნამდე,შემიძლია შემოწირულობები ავკრიფო.

– არა, ფული მაქვს, დიდი მადლობა. ნამდვილად იცი, რომ რუაიალზე გვაგზავნიან?

– კი, აღმრიცხველმა ასე თქვა. ვფიქრობ, ჯერ ჰოსპიტალში დაგაწვენენ სამივეს.

სანიტარი ერთი კორსიკელი მთის ყაჩაღია. მას ესარი ჰქვია. შემდგომში იგი კარგად გავიცანი და ოდესმე მოგიყვებით მის მართლაც საინტერესო თავგადასავალს. კარგად დაგვაპურეს და კმაყოფილები ვართ. მთელი ამ ხნის განმავლობაში კლუზიოს თვალი არ გაუხელია. მხოლოდ მაშინ, როცა ვუახლოვდებოდი და შუბლზე ხელს ვადებდი, დაბინდული თვალებით შემომხედავდა და მეუბნებოდა:

– პაპი, ჩვენ ნამდვილი მეგობრები ვართ.

– უფრო მეტი – ჩვენ ძმები ვართ, – ვპასუხობდი.

ერთი ზედამხედველის თანხლებით ნავსაყუდლისკენ ვეშვებით. შუაში კლუზიოს საკაცე მოაქვთ. აქეთ-იქით მე და მატურეტი მივყვებით. გასასვლელში თითქმის ყველა კატორღელი გვემშვიდობება და ბედნიერ მგზავრობას გვისურვებს. მადლობას ვუხდით. პროტესტის მიუხედავად, პიერო ლე ფუ თამბაქოთი, სიგარეტებით, შოკოლადებითა და „ნესტლეს“ რძით სავსე სავსე აბგას მკიდებს. მატურეტსაც შეაჩეჩა ვილაცამ. ასეთივე ნავსაყუდლამდე გვაცილებენ ზედამხედველი და სანიტარი ფერნანდესი, რომელიც რუაიალის ჰოსპიტლისთვის შესაბამის ბარათებს გვატანს. ვხვდები, რომ ესარი და ფერნანდესი ამას ექიმის დაუკითხავად აკეთებენ.

აი, ნავიც. შიგ ექვსი მენიჩბე ზის. საჭესთან ერთი, ხოლო უკან – ორი შეიარაღებული ზედამხედველი დგას. ერთ-ერთი მენიჩბე ჩაპარია – მარსელის ბირჟის საქმიდან.

– აბა, წავედით!

ნიჩბები წყალში ეშვება.

– როგორ ხარ, პაპი? ქოქოსის კაკალი ყოველთვის აღწევდა შენამდე? – მეკითხება ჩაპარი.

– არა, ბოლო ორი თვის განმავლობაში არ მიმიღია.

– ვიცი, რაც მოხდა. ის ბიჭი მხოლოდ მე მიცნობდა ამ საქმეში და არ ჩამიშვა.

– რა ბედი ეწია?

– მოკვდა.

– შეუძლებელია, რითი?

– როგორც სანიტარი ვარაუდობს, წიხლების რტყმით ღვიძლი გაუხეთქეს.

შევდივართ რუაიალის ნავსაყუდელში. საფუნთუშის საათი სამს უჩვენებს. მზე მწვავს და თვალს მჭრის. ერთ-ერთი ზედამხედველი საკაცის წასაღებად ხალხს თხოულობს. ორი, თეთრებში გამოწყობილი ბრგე კატორღელი, რომლებსაც მაჯებზე ტყავის სამაჯურები უკეთიათ, ბუმბულივით იტაცებენ კლუზიოს და ჩვენც მივყვებით. უკან ერთი დარაჯი რაღაც ქაღალდებით მოგვდევს.

ოთხ მეტრზე მეტი სიგანის რიყის ქვით მოფენილი გზის ავლა ადვილი არ არის. საბედნიეროდ, ისინი, ვისაც საკაცე მიაქვთ, დროდადრო ჩერდებიან და გველოდებიან, როდის დავეწევით. მაშინ კლუზიოსთან ვჯდები და თავზე ვეფერები. თვალს ახელს და მეუბნება:

– ჩემო ბებერო პაპი.

მატურეტი მის ხელს იღებს.

– ეს შენ ხარ, პატარავ? – ჩურჩულებს კლუზიო. აშკარად ეტყობა, რომ უსაზღვროდ ბედნიერია ჩვენ გვერდით ყოფნით.

თითქმის უკვე ადგილზე ვართ მისულები, როცა სამუშაოდ მიმავალ ბრიგადას ვხვდებით. ყველა ჩემი ეტაპის კატორღელია. ისინი ჩავლისას თავაზიან სიტყვებს

გვეუბნებიან. პლატოზე ავდივართ. თეთრად შეღებილი შენობის წინ, ჩრდილში, ამ კუნძულის ავტორიტარები სხედან და გველოდებიან. აქ არის კომენდანტი ბარო, მეტსახელად „ხმელი ქოქოსი“ და სხვა უფროსები.

– აბა, ძალიან გაგიჭირდათ სატუსაღოში ყოფნა? ვინ არის საკაცეზე? – ცერემონიების გარეშე გვეკითხება კომენდანტი.

– კლუზიო.

უყურებს და მერე ამბობს:

– წაიყვანეთ ეს ხალხი ჰოსპიტალში. ჩაინიშნეთ, რომ, როცა იქიდან გამოელენ, ბანაკში გაგზავნამდე, ჯერ მე შემახვედრონ.

ჰოსპიტალში კარგად განათებულ, დიდ პალატაში სუფთა საწოლებსა და ქვეშაგებში გვაწვენენ. პირველივე სანიტარი, ვისაც ვხედავ, შატალია – სენ-ლორან-დიუმარონის მკაცრი მეთვალყურეობის პალატიდან. იგი მაშინვე კლუზიოს მოვლას იწყებს და ერთ-ერთ ზედამხედველს უბრძანებს, ექიმს დაუძახოს. ექიმი ხუთი საათისთვის მოდის, კლუზიოს გულმოდგინედ სინჯავს, თავს უკმაყოფილოდ აქნევს და დანიშნულებას წერს. მერე ჩვენკენ მოდის:

– ჩვენ, მე და პაპიონი გულითადი მეგობრები არ ვართ, – ეუბნება შატალს.

– მიკვირს. ჩემი აზრით, იგი ცუდი ბიჭი არ არის.

– შეიძლება, მაგრამ დიდი ჭირვეული ვინმეა.

– როდის შეამჩნიე?

– სატუსაღოში მის გასასინჯად ვიყავი.

– ექიმო, კარის ნახვრეტიდან ავადმყოფის დანახვას გასინჯვას უძახით?

– ადმინისტრაციის ინსტრუქციით, პატიმრის კარის გაღება აკრძალულია.

– კარგი, ასე იყოს. იმედი მაქვს, ამ ადმინისტრაციის ნანილი არა ხართ.

– ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. ახლა კი შევეცდები, თქვენი და მატურეტის ჯანმრთელობა აღვადგინო. რაც შეეხება იმას – მეშინია დაგვიანებული არ იყოს.

შატალი მიყვება, რომ მისი გაქცევის მზადების შესახებ როგორღაც ეჭვი აიღეს და კუნძულებზე გაასახლეს. იესო, ვინც მაშინ მომატყუა, ვიღაც კეთროვანს მოუკლავს. თავს ვეკითხები, ეს ერთ-ერთმა იმათთაგანმა ხომ არ ჩაიდინა, ვინც ასე დიდსულოვნად დაგვეხმარა.

კუნძულებზე კატორღელები სრულიად განსხვავებულად ცხოვრობენ. უმეტესობა მეტისმეტად საშიშია. ამის მიზეზი ის არის, რომ ყველა კარგად ჭამს და კარგ ჯანზეა, რადგან ყველაფერი იშოვება: ალკოჰოლი, სიგარეტი, ყავა, შოკოლადი, შაქარი, ხორცი, ბოსტნეული, თევზი, ლანგუსტები, ქოქოსის კაკალი და ასე შემდეგ ამას გარდა, ჰავაც ხელს უწყობს. მხოლოდ განსაზღვრული სასჯელის მქონე კატორღელებს აქვთ გათავისუფლების იმედი. სამუდამო კატორღა-მისჯილებს დასაკარგი არაფერი აქვთ, ამიტომ ყველა საშიშია. კუნძულელები, ზედამხედველების ჩათვლით, ყოველდღიურ ვაჭრობაში არიან ჩაფლული. ზედამხედველების ცოლები ახალგაზრდა კატორღელებს საშინაო საქმეებისათვის ირჩევენ და ძალიან ხშირად საყვარლებად იხდიან. მათ „ოჯახის ბიჭებს“ ეძახიან: ზოგი მებაღეა, ზოგი – მზარეული. გადასახლებულთა ეს ნაწილი ბანაკსა და ზედამხედველებს შორის შუამავლის როლს ასრულებს. „ოჯახის ბიჭებს“ კატორღელები ცუდი თვალით არ უყურებენ, რადგან მათი წყალობით ყველაფრით სპეკულაციის საშუალება ეძლევათ, თუმცა, ავტორიტარების წრეში არასდროს იღებენ. ქურდული სამყაროს არც ერთი

წარმომადგენელი იქამდე არ დაეცემა, რომ ასეთი სამუშაო შეასრულოს. ისინი არასოდეს არ იკადრებენ გასაღებების მცველობას ან ზედამხედველების სასადილოში მუშაობას. სამაგიეროდ, არაფერს იშურებენ, რომ ისეთ ადგილას მოეწყონ, სადაც დარაჯებთან არავითარი შეხება არ ექნებათ: განავლის გამტანებად, მეეზოვეებად, მეხრეებად, სანიტრებად, ყასბებად, მეფუნთუშეებად, მენავეებად, ფოსტალიონებად, შუქურის ზედამხედველებად. ამ თანამდებობებზე მხოლოდ ისინი არიან. არასდროს თანხმდებიან იმუშაონ მზის გულზე ზედამხედველობის ქვეშ, ესე იგი, გზებისა და ბურჯების შეკეთებაზე, ქოქოსის ხეების რგვაზე და სხვა. მუშაობა დაწესებულია დილის შვიდი საათიდან შუადღემდე და მერე – ორიდან ექვსამდე. ეს ორი განსხვავებული კატეგორია – პატიმრები და მათი ყარაულები – ერთ გარემოში ცხოვრობენ, სადაც ყველაფერს არჩევენ, ყველაფერს ასამართლებენ, ყველა ერთმანეთის ცხოვრებას ხედავს და აკვირდება.

კვირას დეგა და გალგანი ჩვენს სანახავად ჰოსპიტალში მოდიან და მთელ დღეს, რჩებიან. სადილს შატალის ოთახში ვაწყობთ. ვჭამთ ნივრით შეზავებულ თევზიან ფლავს, თევზის სუპს, კარტოფილს, ყველს; ვაყოლებთ ყავასა და თეთრ ღვინოს. მთხოვენ, დაწერილებით ვუამბო გაქცევის შესახებ. დეგას გადაწყვეტილი აქვს, გაქცევაზე აღარ იფიქროს. საფრანგეთში და აქ მოხდილი სამ-სამი წლით ოთხი წელიღა რჩება და ბედს დამორჩილებია. გალგანიც აცხადებს, რომ ერთი კორსიკელი სანიტარი მისი ბედით არის დაინტერესებული. ჩემი მხრივ ვეკითხები, სად შეიძლება, იყოს გასაქცევად ხელსაყრელი ადგილები. ტირილი მინდება, როცა ვხედები, რომ არც ერთს ამაზე არც კი უფიქრია. შატალის ვარაუდით, საამისოდ ბაღები უნდა გამოდგეს, სადაც ტივის შეკვრა და დამალვა იქნება შესაძლებელი. გრანდე მაცნობებს, რომ ერთ დიდ სახელოსნოში მჭედლად მუშაობს, სადაც ყველა ხელობის ადამიანია: მხატვრები, დურგლები, კალატოზები – დაახლოებით ას ოცი კაცი. ისინი ადმინისტრაციის შენობების მოვლა-შენახვას ემსახურებიან. დეგას მთავარი აღმრიცხველის თანამდებობა უკავია და მპირდება, ისეთი სამსახური „ჩამიწყოს“, როგორსაც მოვისურვებ – არჩევანი ჩემზეა. გრანდე თამაშის წამყვანის ადგილის ნახევარს მთავაზობს. ამგვარად, მოთამაშეებისაგან აღებული ფულით შესაძლებლობა მექნება, არაფერი დავიკლო და ჩემი „ქისაც“ ხელუხლებლად შევინახო. შემდგომში ვნახავ, რომ ეს საინტერესო, მაგრამ უკიდურესად საშიში საქმეა.

კვირა დღე გასაოცარი სისწრაფით გადის. დეგა თავის ძვირფას საათზე იყურება და ამბობს: „უკვე ხუთი საათია, ბანაკში დაბრუნების დროა.“ წასვლისას იგი ხუთას ფრანკს მიტოვებს პოკერის სათამაშოდ, რადგან გაიგო, რომ ჩვენს პალატაში ხანდახან დიდი პარტიები იმართება ხოლმე. გრანდე თვითნაკეთ ფოლადის დანას მაძლევს:

– არ მოიცილო არც დღისით, არც ღამით.

– არ გვჩხრეკენ?

– ამას უმეტესად გასაღებების მცველი არაბები აკეთებენ და, როგორც წესი, ვერაფერს პოულობენ.

– ბანაკში შეხვედრამდე, – მეუბნება გრანდე.

წასვლის წინ გრანდე მპირდება, რომ თავის „საძმოში“ ჩემთვის ადგილი უკვე შენახული აქვს. „საძმოს“ წევრები ერთად ჭამენ და თვითოეულის ფული ყველას ეკუთვნის. დეგა ადმინისტრაციის ერთ-ერთ ოთახში იძინებს.

უკვე სამი დღეა, რაც აქ ვართ, მაგრამ, რაკი კლუზიო ძალიან ცუდადაა და გვერდიდან არ ვშორდები, ამ სამოცკაციანი პალატის ცხოვრებას ვერ ვწვდები. მერე კლუზიო უარესად ხდება და სხვა ოთახში გადაპყავთ, სადაც კიდევ ერთი მძიმე ავადმყოფია. შატალმა მორფინით გაჭყიპა და შიშობს, რომ ამ ღამეს ვერ გააღწევს.

ორი ნავთის ლამპით განათებულ პალატაში, სამმეტრიანი გასასვლელის იქეთ-აქეთ, ოცდაათ-ოცდაათი საწოლი დგას. თითქმის ყველა დაკავებულია:

– იქ პოკერს თამაშობენ, – მეუბნება მატურეტი.

მოთამაშეებისკენ მივდივარ. ისინი ოთხნი არიან.

– შემიძლია, მეხუთე ვიყო?

– კი, დაჯექი. ფსონი მინიმუმ ასი ფრანკია. თამაშის დასაწყებად სამი ფსონია საჭირო, ესე იგი სამასი ფრანკი. აი, სამასი ფრანკის ჟეტონები.

ორას ფრანკს შესანახად მატურეტს ვაძლევ. ერთი პარიზელი, სახელად დიუპონი, მეუბნება:

– ჩვენ ინგლისური რეგლამენტით ვთამაშობთ – ჯოკერის გარეშე. გითამაშია?

– კი.

– მაშინ, დაარიგე, შენი სვლაა.

ეს ტიპები დაუჯერებელი სისწრაფით თამაშობენ. თუ ფსონის გაორმაგება გინდა, ფხიზლად უნდა იყო და არ დააგვიანო, თორემ თამაშის წამყვანი დაგასწრებს: „გაორმაგება დაგვიანებულია!“ აი, აქ აღმოვაჩინე კატორღელების ახალი კლასი – მოთამაშეთა კლასი. ისინი მხოლოდ თამაშისთვის ცხოვრობენ – სხვა არაფერი აინტერესებთ, ავიწყდებათ საკუთარი თავიც და სასჯელიც. არც ერთი, თუნდაც „ყოჩაღი“ ბიჭი, აღარ ფიქრობს საკუთარი ყოფის შეცვლაზე.

თამაში მთელ ღამს გაგრძელდა და მხოლოდ ყავის დროს შევწყვიტეთ. მე ათას სამასი ფრანკი მოვიგე. მოვდივარ. პაოლო მეწევა და მთხოვს, ორასი ფრანკი ვასესხო, რათა ორ კაცში ბელოტი ითამაშოს. მხოლოდ ასი აქვს.

– აჰა, შენ სამასი ფრანკი, სანახევროდ ითამაშე.

– მადლობა, პაპიონ, შენ მართლაც ისეთი მაგარი ბიჭი ჩანხარ, როგორსაც ამბობენ. დავმეგობრდებით, – ხელს მიწვდის, ვართმევ და გახარებული მიდის.

ამ დილით კლუზიო მოკვდა. გუშინ, როცა ცოტა ხნით გონზე მოვიდა, შატალს სთხოვა, მორფინი აღარ გაეკეთებინა:

– მინდა, საღი გონებით, მეგობრების გვერდით, საწოლზე ჩამომჯდარი მოკვდე.

რეანიმაციის პალატაში შესვლა სასტიკად არის აკრძალული, მაგრამ შატალმა ეს თავის თავზე აიღო და კლუზიომ ჩვენს ხელში დალია სული. თვალები მე დავუხუჭე. წავიდა ჩვენი მშვენიერი თავგადასავლების მონაწილე. იგი ზვიგენებს გადაუგდეს. როცა პირველად გავიგე სიტყვები: „ზვიგენებს გადაუგდეს“, სისხლი გამეყინა. მართლაც, კუნძულებზე კატორღელებისათვის სასაფლაო არ არსებობს. როცა ვინმე კატორღელი კვდება, მზის ჩასვლისას, ექვს საათზე, სენ-ჟოზეფსა და რუაიალს შორის ზღვაში აგდებენ. ის ადგილი ზვიგენებით არის სავსე.

მეგობრის სიკვდილი ჰოსპიტალს ჩემთვის აუტანელს ხდის. დეგას ვატყობინებ, რომ მეორე დღეს გამოსვლა მინდა. იგი სიტყვას მიგზავნის: „შატალს სთხოვე, თხუთმეტი დღე დასვენება მოგცეს. ამ ხნის განმავლობაში შენთვის სასურველ სამუშაოს აირჩევ.“ მატურეტი აქ კიდევ რამდენიმე ხანს დარჩება. შეიძლება, შატა-

ლმა დამხმარე სანიტრად აიყვანოს.

პოსპიტლიდან გამოსვლის შემდეგ პირდაპირ „ქოქოსის კაკალთან" მივდივარ.

– პაპიონ, სანამ ბანაკში გაგიშვებდეთ, სიტყვა მინდა რამდენიმე გითხრათ. თქვენ აქ მფარველი მეგობარი გყავთ – მთავარი აღმრიცხველი ლუი დეგა. იგი უდანაშაულოდ მიგიჩნევთ. აცხადებს, რომ არ იმსახურებთ იმ ჩანაწერებს, საფრანგეთიდან რომ ჩამოგყვათ და მისი აზრით, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მუდმივად გაქცევას ცდილობთ. მე მაინცდამაინც არ ვეთანხმები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მინდა გავიგო, ახლა რას ფიქრობთ.

– სანამ რამეს გიპასუხებდეთ, ჩემო კომენდანტო, შეგიძლიათ მითხრათ, რა ჩანაწერებია ჩემს დოსიეში?

– თქვენ თვითონ ნახეთ, – და გაყვითლებულ მუყაოს საქაღალდეს მიწვდის. შიგ დაახლოებით ამას ვკითხულობ:

„ანრი შარიერი, პაპიონად წოდებული, დაბადებული 1906 წლის 16 ნოემბერს, არდეშში, გასამართლდა სენის სასამართლოს მიერ განზრახ მკვლელობისთვის და მიესაჯა სამუდამო პატიმრობა. არის ყოველ მხრივ საშიში, საჭიროებს მუდმივ მეთვალყურეობას. არ უნდა მიეცეს უპირატესი სამსახური."

„კაენის ცენტრალი: გამოუსწორებელი პატიმარი. მუდმივად მზად არის, ბუნტი ატეხოს და უხელმძღვანელოს. საჭიროებს მკაცრ მეთვალყურეობას."

„სენ-მარტენ-დე-რე: დისციპლინირებულია. დიდი გავლენა აქვს გარემოცვაზე. ყოველ წუთს შეეცდება გაქცევას".

„სენ-ლორან-დიუ- მარონი: ჰოსპიტლიდან გაქცევის მიზნით, დაესხა სამ ზედამხედველს და გასაღებების ერთ არაბ მცველს. დააბრუნეს კოლუმბიიდან. წინასწარი გამოძიების დროს კარგად იქცეოდა. მიესაჯა ორი წელი საპყრობილე, რაც განხილული უნდა იქნეს, როგორც მსუბუქი სასჯელი.

„სენ-ჟოზეფის საპყრობილე: გათავისუფლებამდე კარგად იქცეოდა."

– ამის წაკითხვის შემდეგ, პაპიონ, – მეუბნება შეფი, როცა დოსიეს ვუბრუნებ, – ვერ დავიჯერებ, რომ თქვენგან პრობლემები არ მექნება. გინდათ, მოვილაპარაკოთ?

– რატომაც არა, გააჩნია, რაზე.

– თქვენ ის ადამიანი ხართ, რომელიც ყველაფერს გააკეთებს, რომ კუნძულებიდან გაიქცეს, თუმცა ამის გაკეთება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. შეიძლება, გამოგივიდეთ კიდეც. საქმე ისაა, რომ ამ კუნძულების უფროსი კიდევ ხუთ თვეს უნდა ვიყო. იცი, რად უჯდება კუეძულების კომენდანტს თუნდაც ერთი გაქცევა? გაგახსენებთ: ერთწლიანი შეღავათის ჩამოჭრად, რაც კოლონიალური პენსიის დაკარგვას უდრის. ამას გარდა, ექვსთვიან შვებულებას უგვიანებენ და სამ თვემდე ამცირებენ. თუ გამოძიება კომენდანტის დაუდევრობას დაადგენს, შესაძლოა, ერთი წოდებითაც ჩამოაქვეითონ. როგორც ხედავთ, სერიოზული სიძნელეების წინაშე ვდგები. მე შემიძლია, თუ პატიოსნად მივუდგები ჩემს მოვალეობას, დილეგში გამყოფოთ, თუნდაც როგორც გაქცევის მზადებაში ეჭვმიტანილი. ამის გაკეთება კი არ მინდა. მირჩევნია, სიტყვა ჩამოგართვათ, რომ, სანამ მე აქ ვიქნები – ხუთი თვე – არ გაიქცევით.

– კომენდანტო, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, სანამ თქვენ აქ იქნებით, არ გავიქცევი, თუ ეს არ გადააჭარბებს ექვს თვეს.

– ჩადაწყვეტილია. ხუთ თვეზე ცოტა ნაკლებში აქედან წავალ.

– ძალიან კარგი, შეეკითხეთ დეგას – ის გეტყვით, ვარ, თუ არა სიტყვის კაცი.

– თქვენი მჯერა.

– სამაგიეროდ სხვა რამეს გთხოვთ.

– რას?

– იმას, რომ იმ ხუთი თვის განმავლობაში, რაც აქ უნდა გავატარო, მივიღებ ისეთ სამსახურს, როგორსაც მოგვიანებით გასაქცევად გამოვიყენებ, თუნდაც ამისთვის კუნძულის გამოცვლა გახდეს საჭირო.

– კარგი, გასაგებია. მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენ შორის უნდა დარჩეს.

– რა თქმა უნდა, ჩემო კომენდანტო.

დეგას იძახებს და ის არწმუნებს, რომ ჩემი ადგილი საშიშების ბარაკშია, სადაც ყველა ჩემი მეგობარი ზის. კატორღელის ჩანთას ხელუხლებელს მიბრუნებენ. კომენდანტი ბარო შიგ რამდენიმე შარვალსა და ლაბადას ამატებს.

და აი, ჩანთაში ორი მთლად ახალი თეთრი შარვლით, სამი ჯვალოთი და თავზე ბრინჯის ჩალის ქუდით, ერთი ზედამხედველის თანხლებით, ცენტრალური ბანაკისკენ მივაბიჯებ. ადმინისტრაციის შენობიდან იქამდე მთელი პლატოა გადასასვლელი. ოთხი მეტრი სიმაღლის კედლის გაყოლებით, ზედამხედველების ჰოსპიტლის წინ გავლით მივდივართ კუნძულის გამასწორებელი ბანაკის მთავარ კარამდე. ხის უზარმაზარი ალაყაფი ყურთამდე ღიაა. აქეთ-იქით ორი საყარაულო პოსტია თითოეულში ორ-ორი დარაჯით. სკამზე ერთი სამხრეებიანი ზედამხედველი ზის. არც ერთს არა აქვს მუშკეტი, ყველას რევოლვერი ჰკიდია. აქვე ვხედავ გასაღებების მცველ ხუთ თუ ექვს არაბს.

როცა კარიბჭის გადახურულში შევდივარ, ყველა ზედამხედველი გადის. მათი უფროსი, ვიღაც კორსიკელი, ამბობს:

– აი, ახალი და, თანაც, მაღალი ხარისხის.

არაბები ჩემს გაჩხრეკას ჩქარობენ, მაგრამ ის აჩერებს:

– ნუ ამოაყრევინებთ ახლა მთელ ბარგი-ბარხანას. მიდი, შედი, პაპიონ, შენნაირების ბარაკში ალბათ ბევრი გელოდება. მე სოფრანი მქვია. კეთილი იყოს შენი ჩამოსვლა ამ კუნძულზე.

– გმადლობთ, უფროსო,

– და ფართო ეზოში შევდივარ, სადაც სამი დიდი შენობაა წამოჭიმული. ზედამხედველი ერთ ბარაკამდე მაცილებს, რომელსაც აწერია: „ბარაკი A, სპეციალური კატეგორია". გაღებული კარის წინ ზედამხედველი ყვირის:

– მამასახლისო!

ვიღაც ბებერი კატორღელი გამოდის.

– აი, ახალი მიიღე, – და ზედამხედველი მიდის.

შევდივარ დიდ, სწორკუთხა ბარაკში, სადაც ას ოცი კაცი ცხოვრობს. როგორც სენ-ლორანში, აქაც ორივე მხარეს ბარიერებია, რომლებიც კარამდე აღწევს. კარი მხოლოდ ღამით იკეტება. კედელსა და ბარიერებს შორის უხეში ტილოებია გაჭიმული დასაწოლად, რომლებსაც ჰამაკებს უძახიან, თუმცა მე ასე არ დავარქმევდი. „ჰამაკები" მოხერხებული და სუფთაა. თითოეულის თავთან ორ-ორი ფიცარია მიმაგრებული, რომელთაგან ერთი თეთრეულისთვისაა, მეორე – საკვებისა და ჭურჭლისათვის. ბარიერებს შუა სამი მეტრის სიგანის გასასვლელია დატოვებული. კატორღელები პატარ-პატარა თემებად – საძმოებად ცხოვრობენ. საძმო ძირითა-

დად ორკაციანია, მაგრამ არის ათკაციანიც.

ჯერ შესულიც არ ვარ, რომ ყოველი მხრიდან თეთრებში ჩაცმული კატორღელები მეხვევიან:

– პაპი, აქეთ მოდი.

– არა, ჩემთან ჯობია. გრანდე ჩემს ჩანთას იღებს და ამბობს:

– ჩემთან წამოვა. – მივყვები. ჭიმავენ სუფთა ტილოს, რომელიც ჩემი საწოლი იქნება.

– აიღე ეს ბალიში – ბუმბულისაა.

აქ ნაცნობების მთელი გუნდი მხვდება. უმეტესობა კორსიკელია ან მარსელელი. არიან პარიზელებიც, რომლებსაც საფრანგეთიდან ვიცნობდი, აგრეთვე სანტეში, კონსიერჟერიაში, ან ეტაპირების დროს გაცნობილი ტიპები. მიკვირს, ასეთ დროს ბარაკში რომ არიან და ვეკითხები:

– სამუშაოზე რატომ არ ხართ?

სიცილი უტყდებათ – დამცინიან:

– მალე შენც ასე იქნები. ამ ვინც ბარაკიდან სამუშაოდ გადის, ორ საათში სოროს უბრუნდება.

მიღება ნამდვილად გულთბილია. იმედი ვიქონიოთ, რომ ასე გაგრძელდება. ძალიან მალე ვამჩნევ, რომ გადაჩვეული ვარ ხალხთან ერთად ცხოვრებას და ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო. ამაზე ადრე არ მიფიქრია, თუმცა რამდენიმე დღე ჰოსპიტალში გავატარე.

ვესწრები ერთ რამეს, რასაც აქამდე ვერც კი წარმოვიდგენდი: ვიღაც თეთრებში ჩაცმული ტიპი შემოდის, ხელში ქათქათა ტილოთი დაფარული ტაბლა უჭირავს და ყვირის: „ბიფშტექსი! ბიფშტექსი! ვის უნდა ბიფშტექსი!" ჩვენამდე რომ მოდის, ჩერდება და ტილოს ხდის. თეფშზე ბიფშტექსებია ჩამწკრივებული, ისე, როგორც საფრანგეთში, საყასბოებში მინახავს. ეტყობა, გრანდე მუდმივი კლინტია, რადგან იმას კი არ ეკითხება, უნდა თუ არა, არამედ – რამდენი უნდა.

– ხუთი.

– სუკის, თუ მხრის?

– სუკის. რამდენი გერგება? ანგარიში გამისწორე, რადგან ახლა ერთით მეტი ვართ და გადასახდელიც მოიმატებს.

ბიფშტექსების გამყიდველი ბლოკნოტს იღებს და ანგარიშობს.

– სულ ას ოცდათხუთმეტი ფრანკი იქნება.

– მიიღე და თავიდან დავიწყოთ.

როცა ის მიდის, გრანდე მეუბნება:

– აქ უფულოდ ჩაძაღლდები. თუმცა, არის საშუალება ფული ყოველთვის იშოვო. ამას „ჩალიჩი" ჰქვია.

კატორღაში ფულის საშოვნელად ყველა „ჩალიჩობს": ბანაკის მზარეული, როცა პატიმრებისთვის განკუთვნილ ხორცს მიუტანენ, თითქმის ნახევარს აჭრის და ბიფშტექსებად ყიდის; ნაწილი ზედამხედველებთან მიდის მათი ცოლების მეშვეობით ნაწილს ფულიანი კატორღელები ყიდულობენ. რა თქმა უნდა, მზარეული მოგებას სასადილოს ზედამხედველს უყოფს. პირველი, სადაც იგი თავის საქონელს ასაღებს, ჩვენი ბარაკია.

მოკლედ, ყველა „ჩალიჩობს": მზარეული ყიდის ხორცსა და ქონს; ხაბაზი –

ზედამხედველებისთვის განკუთვნილ თეთრ პურს – „ბატონებს“; ყასაბი – ხორცს; სანიტარი – ნემსებს; აღმრიცხველი ფულს იღებს, რათა რომელიმე სამუშაოზე გაგამწესოს, ან არასასურველი ბრიგადიდან ამოგაგდოს; მებაღე ყიდის ახალ ბოსტნეულსა და ხილს; განსაზღვრულ ფასად, ლაბორატორიაში მომსახურე კატორღელი „ჩაგიწყობთ“ თქვენთვის სასურველ ყალბ ანალიზს: ტუბერკულოზს, კეთრს, გასტრიტსა და ასე შემდეგ; ზედამხედველების ეზოებში ქურდობის სპეციალისტები ყიდიან მოპარულ კვერცხებს, ქათმებსა და სარეცხის საპონს; „ოჯახის ბიჭები“ ზედამხედველების სახლებიდან ეზიდებიან და ვაჭრობენ ყველაფრით, რაზეც მოთხოვნილებაა: კარაქით, მაწვნით, რძის ფხვნილით, თევზეულის კონსერვებით, ყველით და, რათქმა უნდა, ალკოჰოლით (ამიტომაცაა, რომ საძმოში მუდმივად გვაქვს ბოთლი რიკარდი და ინგლისური თუ ამერიკული სიგარეტები). თევზაობის უფლების მქონე კატორღელები იჭერენ და ყიდიან თევზსა და ლანგუსტებს.

ყველაზე სარფიანი და ამავე დროს ყველაზე სახიფათო – თამაშის წამყვანის ადგილია. დაუწერელი კანონის თანახმად, ერთ ასოცკაციან ბარაკში სამი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, თამაშის ოთხი წამყვანი შეიძლება იყოს. ხდება ხოლმე, რომ ყველა ადგილი დაკავებულია, მაგრამ ვიღაცას მასზე პრეტენზია აქვს. მაშინ, რომელიმე ღამეს, თამაშის დროს, იგი მიდის მოთამაშეებთან და აცხადებს: „მე მინდა, თამაშის ხელმძღვანელი გავხდე“. რა თქმა უნდა, პასუხობენ: „არ არის ადგილი“.

– ყველა უარს მეუბნება?

– ყველა.

– მაშინ, ამის და ამის ადგილი მინდა დავიკავო.

ის, ვისაც ხელი დაადეს, ბარაკის შუაში გადის და იწყება დანებით ორთაბრძოლა. გამარჯვებული ადგილს იკავებს. თამაშის წამყვანი მოგებული თანხის ხუთ პროცენტს იღებს. თამაში სხვა პატარ-პატარა „ჩალიჩებს“ წარმოშობს: ვიღაც მიწაზე გასაშლელ სუფთა საფარს ამზადებს; მეორე პატარა სკამებს აკეთებს და იმ მოთამაშეებზე ყიდის, ვისაც ფეხმორთხმით ჯდომა არ შეუძლია; მესამეს მოაქვს ფრანგული, ინგლისური და ამერიკული სიგარეტებით, სიგარებითა და თუთუნით სავსე ყუთი და მოთამაშეებთან ახლოს დებს. მოწევის მსურველი იღებს მოსაწევს და ნამუსიანად დებს შიგ საფასურს; ზოგი რძის ყუთებიდან ნავთის ლამპებს ამზადებს და ზრუნავს, რათა არ იბოლონ, რადგანაც პატრუქის ნაჭრა მალ-მალე სჭირდებათ; მათთვის, ვინც არ ეწევა, მუდმივად არის სპეციალური „ჩალიჩით“ დამზადებული კანფეტები და ნამცხვრები; ყველა ბარაკს ჰყავს თავისი მეყავე, რომელიც არაბულ ყაიდაზე, ტილოთი დაფარული საყავიდან, მთელი ღამის განმავლობაში ამარაგებს მოთამაშეებს.

ბოლოს მოდის სხვადასხვა თვითნაკეთი ნივთებით „ჩალიჩის“ ხელოვნება: ზოგიერთი კატორღელი ამუშავებს მეთევზეების მიერ დაჭერილი კუს ბაკანს. მას ცამეტი ფირფიტა აქვს, რომელთაგან თითოეული ორ კილოგრამამდე შეიძლება იწონიდეს. მისგან ამზადებენ სამაჯურებს, საყურეებს, მძივებს, სავარცხლებსა და ჯაგრისის ტარებს. მინახავს ბაკნისაგან დამზადებული რუხი ფერის ზანდუკი – ნამდვილად მშვენიერი რამ. მეორენი ქოქოსის კაკალს, ხარისა და კამეჩის რქებს ამუშავებენ და ბზისა და სხვა ხეებისაგან გველის ფორმის ნივთებს ამზადებენ. უმეტესად, სამუშაო შესრულებულია მაღალი სიზუსტით – მხოლოდ გამოჩარხვით, ყოველგვარი ლურსმნის გარეშე. ყველაზე დახელოვნებულები მუშაობენ ბრინჯა-

ოზე, რომ არაფერი ვთქვათ მხატვრებზე. ზოგჯერ რამდენიმე ნიჭი ერთი ნივთის შესაქმნელად ერთიანდება. მაგალითად, მეთევზე იჭერს ზვიგენს და მისი თავისაგან აკეთებს. დაბჩენილ ხახას, თავისი გაპრიალებული კბილებით; ხის ოსტატი ჩარხავს ღუზას, რომელსაც შუაში დატანებულ სიბრტყეზე ახატავენ სხვადასხვა პეიზაჟს და ამაგრებენ ზვიგენის გაღებულ ხახაში. ყველაზე გავრცელებული ნახატი შემდეგია: ლურჯ ზღვაზე, ჩამავალი მზის ფონზე, მოჩანს რუაიალის პლატო და სენ-ჟოზეფის ფარვატერი. ნავში, ნიჩბები აწეული უჭირავს. ექვს, წელზევით შიშველ კატორღელს უკან სამი ავტომატიანი ზედამხედველი დგას. ქიმთან ორი კაცი ეწევა კუბოს, რომლიდანაც ფქვილის ტომრებში გახვეული კატორღელის სხეული წყალში ვარდება. მოშორებით საკბილოს ელიან პირდაღებული ზვიგენები. სურათს მარჯვნივ წარწერა აქვს: „დაკრძალვა რუაიალზე“ – და თარიღი.

ყველა ნაკეთობა ზედამხედველების სახლებში საღდება. ლამაზი ნივთები წინასწარ იყიდება, ან შეკვეთით მზადდება. სხვებს კუნძულებზე შემოსულ გემებზე ყიდიან. ეს მენავეების სამფლობელოა. ზოგიერთი იმასაც კი „ჩალიჩობს“, რომ ცუდად გამოჩორკნილ ტოლჩას, კოვზს, ან, სულაც კარდალას, აწერს: „ეს ტოლჩა ეკუთვნოდა დრეიფუსს, კუნძული დიაბლი“ – და თარიღი. მეზღვაურებთან ეს „ჩალიჩი“ თითქმის ყოველთვის ჭრის. ეს საქმიანობა ზედამხედველების ინტერესებშიც შედის, რადგანაც მას კუნძულებზე ბევრი ფული შემოაქვს. ასე ხალხი კუნძულებს ეგუება და ადვილი სამართავი ხდება.

მამათმავლობას თითქმის ოფიციალური ხასიათი აქვს. თვით კომენდანტმაც კი იცის, რომ ესა და ეს ამისა და ამის „ტურფაა“ და, როცა ერთ-ერთ მათგანს სხვა კუნძულზე აგზავნიან, ცდილობენ, მაშინვე თუ არა, რაც შეიძლება მალე მეორეც მიაყოლონ.

ამ ხალხიდან ასიდან სამოციც არ ფიქრობს გაქცევაზე, თვით სამუდამო კატორღამისჯილიც კი. მათი ერთადერთი სურვილი ის არის, რომ დეზინტერნირებას მიაღწიონ და დიდ მიწაზე მოხვდნენ. ამას მხოლოდ დროებით გადმოსახლებულთათვის აქვს მნიშვნელობა. სამუდამოდ ინტერნირებულებს მხოლოდ ერთი შესაძლებლობა აქვთ – მკვლელობა ჩაიდინონ და სენ-ლორანში ტრიბუნალზე მოხვდნენ. მაგრამ, რაკი იქ წასვლამდე განზრახ მკვლელობა უნდა აღიარო, დიდი საფრთხეა, რომ ხუთწლიანი დილეგი აიკიდო ისე, რომ ვერ გამოიყენო ის ხანმოკლე – სამი ან ცოტა მეტი თვე გასაქცევად.

ზოგი დიდ მიწაზე გადასვლას მოგონილი ავადმყოფობებით ცდილობს. თუ მოახერხეს და ტუბერკულოზიანად გცნეს, გაგზავნიან სენ-ლორანიდან ოთხმოც კილომეტრში სპეციალურად მოწყობილ „ახალ ბანაკში“. ასევეა კეთროვნებისა და ქრონიკული გასტრიტიანებისთვის. ამის მიღწევა ძნელი არ არის, მაგრამ თან დიდი საშიშროება სდევს: ნამდვილ ავადმყოფებთან ორ წლამდე ცხოვრების შემდეგ, ადვილი შესაძლებელია, ცრუ კეთროვნისა და ცრუ ტუბერკულოზიანიდან, ნამდვილი კეთროვანი და ნამდვილი ტუბერკულიოზიანი გახდე, ამას ერთი ნაბიჯი გაშორებს.

მოკლედ, მე უკვე ბარაკში ვარ, ას ოც კაცთან ერთად. საჭიროა, სწრაფად შეეგუო ამ თემის ცხოვრებას, სადაც შენი ადგილი დაუყოვნებლივ მიგიჩინეს. დასაწყისიდანვე ყველამ უნდა იცოდეს, რომ თავს ისე ვერ დაგესხმება, თუ თვითონაც საშიშროებაში არ ჩავარდა. „ძაღლებთანაც“ უნდა ჩამოაყალიბო შენი ქცევის მანერა: არ უნდა იკადრო ზოგიერთი თანამდებობა; უარი უნდა თქვა ამა თუ იმ ბრიგადასთან

ერთად გასვლაზე; არასოდეს აღიარო გასაღებების მცველების ავტორიტეტი; არასდროს არავის დაემორჩილო – თვით ზედამხედველთან ინციდენტის ფასადაც კი. თუ მთელ ღამეს ითამაშე, ამოკითხვაზეც კი არ უნდა გამოხვიდე – ბარაკის მამასახლისი იტყვის: „ავადაა, წევს“. ზოგჯერ სხვა ორ ბარაკში ზედამხედველები „ავადმყოფის“ სანახავად შედიან და აიძულებენ მათ, ამოკითხვას დაესწრონ. ავტორიტეტების ბარაკში არასდროს ასეთი რამ არ ხდება. აქედან კი იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ყველა – მაღლიდან დაბლამდე – კატორღის სიმშვიდეზე ფიქრობს.

ჩემი მეგობარი გრანდე, რომელმაც თავის საძმოში მიმიღო, ერთი ოცდათხუთმეტი წლის მარსელელია – მაღალი, ლურსმანივით წვრილი, მაგრამ იშვიათი ღონის პატრონი. ჩვენ საფრანგეთიდან ვიცნობთ ერთმანეთს, ვმეგობრობდით და პარიზში, მარსელსა და ტულონში ვხვდებოდით. იგი სეიფების უბადლო „სპეციალისტია“. კეთილი ბუნება აქვს, მაგრამ ამავე დროს, ჩემი აზრით, ძალიან საშიშია.

დღეს ამ უზარმაზარ ბარაკში თითქმის მარტო ვარ. მორიგე ცემენტის იატაკს გვის და ტილოთი წმენდს. ერთი კატორღელი ზის და, მარცხენა თვალზე ლუპამიმაგრებული, საათს ჩაჰკირკიტებს. მისი ჰამაკის თავზე, ფიცრის თაროზე, კიდევ ოცდაათიოდე საათი კიდია. მას ოცდაათი წლის კაცის ნაკვთები აქვს, მაგრამ თმა მთლად გასთეთრებია. ვუხლოვდები და ვუყურებ, როგორ მუშაობს. მერე ეცდილობ, საუბარი გავუბა. თავსაც კი არ სწევს და ხმას არ იღებს. ცოტა არ იყოს, გაბრაზებული გამოვდივარ ეზოში და პირსაბანთან ვჯდები. ტიტი ლა ბელოტი მთლად ახალი კარტებით ვარჯიშობს. მისი თითები გაუგონარი მოხერხებულობით ურევენ ქაღალდს. გაუჩერებლად მეუბნება:

– აბა, ძმაკაც, როგორ მოეწყვე რუაიალზე?

– არა უშავს, მაგრამ დღეს რაღაც მოვიწყინე. მუშაობას დავიწყებ – ასე ბანაკიდან გასვლის საშუალება მაინც მექნება. ბარაკში ერთ ტიპს მინდოდა, გამოვლაპარაკებოდი, საათებს რომ აკეთებს და პასუხის ღირსადაც არ ჩამთვალა.

– რას იზამ, ასეა, ამ სავოიელს ყველა ფეხებზე ჰკიდია. მისთვის მხოლოდ საათები არსებობს. ისეთი რამ გადახდა, რომ საკვირველი არ არის, თუ ცოტა სხვა ჭკუაზე იქნება, და ბელოტი საოცარ ისტორიას მიყვება:

„წარმოდგინე, ამ ახალგაზრდას (შეიძლება ასე ვუწოდოთ, რადგან ოცდაათი წლის არის), გასულ წელს გაუპატიურების მცდელობისათვის სიკვდილი ჰქონდა მისჯილი. იგი „ოჯახის ბიჭი“ იყო და ერთ-ერთი ბრეტონელი უფროსი ზედამხედველის ცოლთან დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა. როცა ქმარი მორიგე იყო, ის და დიასახლისი სიამოვნებას ეძლეოდნენ. მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვეს: ქალი თეთრეულს აღარ აკარებდა – თვითონ რეცხავდა და აუთოებდა. რქებდადგმულ ქმარს ეს უცნაურად მოეჩვენა, რადგან ცოლს ზარმაცად თვლიდა. გადაწყვიტა, ფაქტზე გამოეჭირა და ორივე მოეკლა. ერთ დღესაც, საგუშაგოს ჩვეულებრივზე ადრე ტოვებს, რომელიღაც ზედამხედველს ლორის ჩუქებას ჰპირდება და თან მიჰყავს. ფრთხილად აღებს სახლის კარს, მაგრამ მისი თუთიყუში, როგორც ყოველთვის, ყვირის: „ოჯახის უფროსი მოვიდა!“ ამის გაგონებაზე ქალი არ იბნევა და ყვირის: „მიშველეთ, მაუპატიურებენ!“ სანამ ქმარი ფანჯრიდან გადამხტარ კატორღელს ესვრის, ლოყების ჩამოკაწვრას და პენუარის შემოხევასაც ასწრებს. მესაათეს ტყვია მხარში ხვდება და ეცემა. „რქიანი“ ალბათ მოკლავდა, ამხანაგს იარაღი რომ არ ნაერთმია. მეორე ზედამხედველი, კორსიკელი, მაშინვე მიხვდა, რაც ხდე-

ბოდა, მაგრამ გამოძიებაზე არაფერი თქვა და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ძალადობის ფაქტს შეესწრო. მესაათეს სიკვდილი მიუსაჯეს. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო, რაც დაიწყო!

„რუაიალის დისციპლინარულ ნაწილში დაშლილი და გულმოდგინედ შეფუთული გილიოტინა ინახება. ეზოში მისთვის ხუთი ქვის ფილა აგია, რომელზეც აღმართავენ ხოლმე. ყოველ კვირა დღეს, ჯალათი, ორ დამხმარე კატორღელთან ერთად აწყობს გილიოტინას და ბანანის ერთ ან ორ მორს ჭრის – ამგვარად ამოწმებენ, მუშაობს, თუ არა.

– მოკლედ, სავოიელი სიკვდილმისჯილთა საკანში სამ არაბთან და ერთ სიცილიელთან ერთად ზის. ხუთივე შეწყალებას ელოდება.

– ერთ დღეს, გილიოტინის აღმართვის შემდეგ, მისი საკნის კარს წიხლის კვრით აღებენ, ხელ-ფეხს უთოკავენ, საყელოს აჭრიან, ბინდ-ბუნდში ეზოში გამოჰყავთ, აჩოქებენ და უკვე ფიცრებში თავის გაყოფას უპირებენ, როცა „ხმელი ქოქოსი“ მოდის.

– კომენდანტი ვალდებულია, სასჯელის აღსრულებას დაესწროს. ახლაც დიდი საზღვაო ფარნით მოდის და გილიოტინას ანათებს. მაშინვე ხვდება, რომ ჯალათები შემცდარან: ამ დღეს მესაათის დასჯა არ უნდა მომხდარიყო.

– შეჩერდით, შეჩერდით! – ყვირის ბარო და მღელვარებისაგან ხმა უწყდება. ფანარს აგდებს, ჯალათებს აქეთ-იქით ყრის და სავოიელს ათავისუფლებს. ისეა გაგიჟებული, ბრძანების გაცემას ძლივს ახერხებს:

– სანიტარო, წაიყვანეთ ეს კაცი თავის დილეგში, დარჩით მასთან და მოუარეთ, რომი დაალევინეთ. თქვენ კი, კრეტინებო, წადით და სასწრაფოდ რენკასო გამოიყვანეთ, დღეს მისი განაჩენი უნდა აღსრულდეს!

– მეორე დღეს სავოიელს თმები ისე ჰქონდა გათეთრებული, როგორც დღეს ნახე. მისმა ადვოკატმა, ერთმა კალველმა „ძაღლმა“, იუსტიციის მინისტრს ახალი თხოვნა გაუგზავნა და თან ეს შემთხვევაც შეატყობინა. მესაათე შეიწყალეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. მას შემდეგ „ძაღლების“ გაფუჭებულ საათებს აკეთებს. ეს მისი ერთადერთი ვნებაა. დიდხანს უკიდია თაროზე და გულმოდგინედ აკონტროლებს. ხვდები, ალბათ, რომ საღ გონებაზე არ უნდა იყოს. ასე არ არის?“

– უეჭველად ასეა, ტიტი. ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ აღყარაფრის სურვილი აღარ აქვს. გულწრფელად მეცოდება.

დღითიდღე ვეჩვევი ამ ახალ ცხოვრებას. ჯერ მუშაობა არ დამიწყია. ველოდები განავლის გამტანის ადგილს, რომელიც საშუალებას მომცემს, სამი მეოთხედი საათის მუშაობის შემდეგ კუნძულზე თავისუფლად ვიარო და ვითევზაო.

ამ დილით, სიის ამოკითხვისას, ჟან კასტელის ქოქოსის ხეების დასარგველად იძახებენ. იგი გაკვირვებული გამოდის და კითხულობს:

– რა ხდება? მე რა, სამუშაოდ მაგზავნიან?

– დიახ, სწორედ თქვენ, – ეუბნება „ძაღლი“, – აბა, აიღე ეს წერაქვი!

კასტელი ცივად უყურებს:

– ოვერნელო, შენი ჯიშის უნდა ვიყო, რომ ამ უცნაური ხელსაწყოს ხმარება ვიცოდე. მე კორსიკელი ვარ, მარსელიდან. კორსიკაში სამუშაო იარაღებს შორს მოისვრიან ხოლმე, ხოლო მარსელში ისიც კი არ იციან, რომ ისინი არსებობენ. შენი წერაქვი შენთვის შეინახე და მე თავი დამანებე!

როგორც მერე გავიგე, ზედამხედველი ახალი ყოფილა და ჯერ კიდევ ვერ აეღო ალღო აქაურობისთვის. იგი აპირებს, წერაქვი დაარტყას კასტელის. ას ოცი კაცი მაშინვე ერთხმად ღრიალებს:

– დამპალო, ხელი არ დააკარო, თორემ გაგათავებთ!

– დაიშალეთ! – ყვირის გრანდე. „ძაღლების“ შემტევ პოზიციას არად ვაგდებთ და ბარაკში შევდივართ.

B და C ბარაკები სამუშაოდ მიდიან. ათიოდე „ძაღლი“ ბრუნდება და ხდება იშვიათი რამ: ბარაკის რკინის გისოსებს გვიკეტავენ! ერთ საათში ორმოცდაათამდე შეიარაღებული ზედამხედველი ალყას გვარტყამს. ყველა აქ არის, კომენდანტ ბაროს გარდა. იგი ექვს საათზე დიაბლზე გადასულა საინსპექციოდ. კომენდანტის მოადგილე ბრძანებას იძლევა:

– დაჩელი, თუ შეიძლება, სათითაოდ ამოიკითხეთ!

– გრანდე!

– ვარ!

– გამოდით!

იგი გადის და ორმოცი „ძაღლის“ შუაში ხვდება. დაჩელი ეუბნება:

– წადით თქვენს სამუშაოზე.

– არ შემიძლია.

– უარს ამბობთ?

– არა, უარზე არა ვარ, ავად გახლავარ.

– როდიდან? პირველი ამოკითხვისას ასეთ რამ არ გითქვამთ.

– დილით არ ვიყავი, ახლა გავხდი.

პირველი სამოცი გამოძახებული სხაპასხუპით პასუხობს იმავეს. მხოლოდ ერთი აცხადებს, რომ ავად არ არის, მაგრამ სამუშაოდ არ გავა. ამგვარად მას, ალბათ, სახედრო ტრიბუნალზე მოხვედრა უნდა. ეკითხებიან:

– მუშაობაზე უარს ამბობთ?

– დიახ, სამჯერ ვამბობ უარს.

– რატომ სამჯერ?

– იმიტომ, რომ თქვენ დანახვაზე გული მერევა. კატეგორიულ უარს ვამბობ, თქვენისთანა არამზადებისათვის ვიმუშაო.

სიტუაცია უკიდურესად იძაბება. ახალგაზრდა ზედამხედველები მხოლოდ ნიშანს ელოდებიან, რომ აქამდე მიწისკენ დაშვებული მუშკეტები აამოქმედონ.

– ყველა გამოძახებული გაშიშვლდეს და საკნებისაკენ!

ქვაფენილზე დაყრილი ტანსაცმლის ხმით ადვილი გამოსაცნობია, ვის უდევს ჯიბეში დანა. ამ დროს ექიმი მოდის.

– სდექ! აი, ექიმი. ექიმო, თუ შეიძლება, გასინჯეთ ეს ხალხი. ვისაც არაფერი სჭირს, დილეგში წავა, დანარჩენები ბარაკში დაბრუნდებიან.

– სამოცი კაცი იჩემებს ავადმყოფობას?

– ჰო, ექიმო, აი, ამის გარდა, რომელიც მუშაობაზე უარს აცხადებს.

– აბა, ვინ არის პირველი? – კითხულობს ის, – რა გჭირთ, გრანდე?

– დარაჯების ბოლმა, ექიმო. ჩვენ ყველას გრძელვადიანი სასჯელები გვაქვს დადებული, უმრავლესობას – სამუდამო პატიმრობა. კუნძულებიდან გაქცევის არავითარი იმედი არ არსებობს და ამ ყოფას მხოლოდ არსებული რეგლამენტის

მოქნილობის შემთხვევაში თუ გადავიტანთ. სამწუხაროდ, ამ დილას ერთმა ზედამხედველმა თავს უფლება მისცა, ყველას თანდასწრებით წერაქვი მოეღერებინა ერთ-ერთი ჩვენი პატისაცემი მეგობრისათვის. თავდაცვის მიზნით არ იყო, რადგან ეს კაცი არავის დამუქრებია – მხოლოდ წერაქვით მუშაობაზე განაცხადა უარი. აი, ეს არის ჩვენი საერთო ეპიდემიის მიზეზი. ახლა თვითონ განსაჯეთ.

ექიმი მთელი ერთი წუთის განმავლობაში თავჩაღუნული ფიქრობს, მერე ამბობს:

– სანიტარო, მოდით აქ. საკვებით გამოწვეული საერთო მოწამვლის გამო, ყველას, ვინც თავს ავადმყოფად აცხადებს, მიაღებინეთ ოც-ოცი გრამი ნატრიუმის სულფატი. რაც შეეხება ამას, გთხოვთ ჰოსპიტალში წაიყვანოთ, რათა გამოვიკვლიოთ, სამუშაოზე უარის გაცხადებისას სრულ გონებაზე იყო, თუ არა, – მერე ზურგს გვაქცევს და მიდის.

– ყველანი შიგნით! – ყვირის მეორე კომენდანტი, – აკრიფეთ თქვენი ტანსაცმელი და დანებიც არ დაგავიწყდეთ!

ამ დღეს ყველა ბარაკში დარჩა. გარეთ გასვლა პურის დამტარებელმაც კი ვერ შეძლო. შუადღისთვის, სანიტარ-ზედამხედველს სადილის მაგივრად, ორი კატორღელ-სანიტრის თანხლებით, ნატრიუმის სულფატით სავსე ხის დიდი სათლი მოაქვს. მხოლოდ სამი კაცი გახდა იძულებული, დაელია. მეოთხემ შესანიშნავად გაითამაშა ეპილეფსიის შეტევა და ხსნარი იატაკზე „დაღვარა“. ასე დამთავრდა ეს ამბავი. მხოლოდ მამასახლისს გაუჩნდა საქმე იატაკის მოსაწმენდად.

მთელი ნაშუადღევი ჩვენთან საჭმელად მოსულ ჟან კასტელისთან საუბარში გავატარე. მას საძმო ერთ ტულონელთან აქვს – ლუი გრავონთან, ქურქების ქურდობაზე ჩავარდნილთან. როცა ვუგდებ გაქცევაზე სიტყვას, თვალები უბრწყინდება და მეუბნება:

– გასულ წელს ცოტა დამაკლდა და გავიქცეოდი – ბოლო მომენტში ჩამეშალა. აქამდეც ვფიქრობდი, რომ შენ აქ დამრჩენი არა ხარ. მხოლოდ ერთია – კუნძულებიდან „ათესვაზე“ ფიქრი იგივეა, რაც ჩინურის სწავლა. იმასაც ვამჩნევ, რომ ჯერ კიდევ ვერ აუღე ალღო ამ კატორღელების ცხოვრებას. ამათგან ოთხმოცი პროცენტი თავს ბედნიერად გრძნობს. რაც არ უნდა მოხდეს, არავინ არავის ჩაუშვებს, ვინმემ, რაც არ უნდა ჩაიდინოს, თუნდაც მკვლელობა იყოს – ყველა მის დასაცავად იკვრება. ამ ხალხს მხოლოდ ჩაშლილი გაქცევისა ეშინია, რადგან სიმშვიდე ირღვევა: იწყება გაუთავებელი ჩხრეკვები, იკრძალება ბანქო, ჭადრაკი, დომინო, წიგნები, ხელოსნობა – ყველაფერი. შაქარზე, ზეთზე, ბიფშტექსზე, კარაქზე ხომ – ლაპარაკიც ზედმეტია. კუნძულებიდან იღბლიანი გაქცევა ყოველთვის დიდ მიწაზე წყდება – კურუს მიდამოებში; მაგრამ, თუკი აქედან ვიღაცამ გაქცევა მოახერხა, ზედამხედველები ისჯებიან და ისინიც კატორღელებზე იყრიან ჯავრს.

ყურადღებით ვუსმენ. გაქცევაზე ამ კუთხით არასოდეს მიფიქრია.

– აქედან დასკვნა – განაგრძობს კასტელი, სანამ გაქცევაზე ვინმეს დაელაპარაკები, ასჯერ გაზომე. თუ ვინმეს ძალიან არ ენდობი, დიდხანს იფიქრე.“

ჟან კასტელის, პროფესიონალ მძარცველს, იშვიათი ნებისყოფა და მახვილი გონება გააჩნია. სძულს ძალადობა. მეტსახელად „ანტიკურს“ უწოდებენ. არასდროს მარსელის საპონს არ ხმარობს და თუ „პალმოლივით“ ვიბან, მეუბნება: „რა პედერასტების სუნი აგდის, ეტყობა, ქალების საპნით დაიბანე.“ საუბედუროდ, უკვე ორმოცდათორმეტი წლისაა, მაგრამ რკინისებური ენერგია აქვს.

– შენ, პაპიონ, შვილად მეკუთვნი და გიმეორებ, რომ კუნძულებზე ცხოვრება შენი საქმე არ არის. კარგად ჭამ, რათა მუდმივად ფორმაში იყო, მაგრამ არასოდეს დათანხმდები, რომ ცხოვრება ამ კუნძულებზე მოიწყო. გილოცავ. ამდენ კატორღელში ნახეევარი დუჟინი თუ იქნება, ვინც ყველაფერს გაიღებს, რათა დიდ მიწაზე გადავიდეს და იქიდან სცადოს ბედი. კუნძულებიდან გაქცევა აზრადაც არავის მოუვა, – მეუბნება ბებერი კასტელი და მირჩევს, შეძლებისდაგვარად ინგლისური ვისწავლო და, როცა კი შემთხვევა მომეცემა, ერთ კატორღელ ესპანელს ველაპარაკო. მიშოვა ესპანური ენის ოცდაოთხგაკვეთილიანი სახელმძღვანელო და ფრანგულ-ინგლისური ლექსიკონი. იგი კარგად იცნობს ერთ მარსელელს – გარდეს, რომელსაც გაქცევის მომზადებაში რაღაც გაეგება. იგი ჯერ პორტუგალიური კატორღიდან, მერე დიდი მიწიდან გაქცეულა. მას, კასტელის, გრავონის და ტულონელს კუნძულებიდან გაქცევაზე განსხვავებული აზრები აქვთ. ერთადერთი, რაშიც ერთმანეთს ეთანხმებიან, ის არის, რომ თამაში მხოლოდ მოგების შემთხვევაშია საინტერესო, მაგრამ ძალიან სახიფათო რამ არის, რადგან ყოველ წუთს შეიძლება, ჩხუბში ჩაება. ამ დღიდან გადაწყვეტილებას ვიღებ გაქცევაზე არავის დაველაპარაკო. ძნელია, მაგრამ ასე ჯობია.

გუშინ საღამოს შემთხვევა მქონდა, ბარაკისათვის ჩემი ხასიათი გამეცნო: ერთი ძვალმსხვილი ნიმელი შუა გასასვლელში, წელზევით შიშველი დანით ხელში დგას და პატარა ტანის ტულუზელს, მეტსახელად „სარდინის", ეუბნება:

– ან ოცდახუთ ფრანკს გადამიხდი, ან პოკერს აღარ ითამაშებ.

სარდინი პასუხობს:

– არასდროს თამაშისათვის არავის გადაუხდია და რაღა მე უნდა გადავიხადო? რატომ იმათ არ ეუბნები, ვინც თამაშს მარსელურად უძღვება?

– შენი საქმე არ არის. ან იხდი, ან არ თამაშობ. თუ არა და, უნდა ვიჩხუბოთ.

– არა, არ ვიჩხუბებ.

– ჩაისვარე?

– დიახ. იმიტომ, რომ არ მინდა! შენნაირ ბაქიას, ვინც არასდროს გაქცეულა, თავი მოვაკვლევინო. ჩემი საქმე გაქცევაა და არა ის, რომ ვინმე მოვკლა ან შევაკვდე.

ყველანი ველოდებით, რა მოხდება. გრანდე მეუბნება:

– ეს პატარა მართლაც ყოჩაღი ბიჭია, ნამდვილი გაქცევის კაცია. სამწუხაროა, რომ არავინ არაფერს ამბობს.

გრანდეს ჰამაკზე ვზივარ. დანას ვხსნი და ბარძაყის ქვეშ ვიდებ.

– აბა, დედალო, ფულს იხდი, თუ თამაშს თავს ანებებ? მიპასუხე! – და სარდინისაკენ ნაბიჯს დგამს. ამ დროს მე ვყვირი:

– მოკეტე, მუტონ. გაანებე ამ ბიჭს თავი!

– გაგიჟდი, პაპიონ? – მეუბნება გრანდე.

ისევ გაუნძრეველად ვზივარ და დანის ტარს ხელს ვუჭერ:

– არა, არ გავგიჟებულვარ და ყველამ მოისმინეთ, რასაც გეტყვით: მუტონ, სანამ შენთან ვიჩხუბებდე, თუ ამას მოისურვებ, ნება მომეცი, გითხრა შენ და ყველას ამ ბარაკში, სადაც ყველა ქურდული გაგების ხალხი შევყრილვართ, რომ აქ მოსვლის დღიდანვე სირცხვილი მწვავს, რადგან ვხედები, რომ ყველაზე მშვენიერ, ყველაზე დასაფასებელ რამეს – გაქცევას – არავინ პატივს არ სცემს. სამწუხა-

როდ, ეს ასეა. ადამიანს, რომელმაც დაამტკიცა, რომ გაქცევა მისთვის ყველაფერია, რომელსაც მუცელში საკმარისი აქვს გადანახული და გაქცევისათვის ყველაფერს გაწირავს, – ყველასაგან დაფასებული უნდა იყოს. თქვენს კანონებს მთავარი აკლია: არა მარტო პატივი უნდა სცეს, არამედ დაეხმაროს კიდეც ასეთ კაცს. მეტყვის ვინმე საწინააღმდეგოს? (სიჩუმე). არავის არ ვავალდებულებ, გაიქცეს და მესმის, რომ თქვენი უმრავლესობა აქ ცხოვრების მოწყობით კმაყოფილდება, მაგრამ, თუ იმდენი გამბედაობა არ გყოფნით, რომ ახალი ცხოვრება დაიწყოთ, პატივი მაინც ეცით იმ ხალხს, ვინც ამისკენ მიილტვის. ახლა კი, მუტონ, თუ არ გადაგიფიქრებია, დავიწყოთ! – და დანიანი ეხტები ჰამაკიდან. მუტონი დანას აგდებს და მეუბნება:

– მართალი ხარ, პაპიონ, ამიტომაც დანით არ გეჩხუბები, მაგრამ ლაჩრად რომ არ ჩამთვალონ, მუშტებით ვიჩხუბოთ.

დანას გრანდეს ვუტოვებ და დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში ძაღლებივით ვჩხუბობთ. ბოლოს, ერთი კარგი თავურით ვთიშავ; მერე საპირფარეშოში ერთმანეთს სახეებიდან სისხლს ვბანთ. მუტონი მეუბნება:

– ამ კუნძულებზე კაცი ადამიანობას კარგავს. აი, თხუთმეტი წელია, აქ ვარ და ათასი ფრანკიც კი არ დამიხარჯავს, რომ დიდ მიწაზე გადასვლა მეცადა. სირცხვილია.

ადგილზე ვბრუნდები. გრანდე და გალგანი ტვინს მიხვრეტენ:

– გაგიჟდი? ხალხის ასე გამოწვევა შეიძლება? რაღაც სასწაულად არ გამოხტა ვიღაცა შენთან დანით საჩხუბრად!

– არა, მეგობრებო, ყველა ერთი წრისა ვართ და როცა ვინმე მართალია, მის სიმართლეს აღიარებენ.

– კარგი, შენ იცი, – ამბობს გალგანი, – მაგრამ ჯობია, ცეცხლთან თამაშით მეტისმეტად არ გაერთო.

მთელი საღამოს განმავლობაში სხვადასხვა ტიპები მოდიოდნენ ჩემთან სალაპარაკოდ. ჯერ თითქოს შემთხვევით მიახლოვდებოდნენ, მერე, წასვლისას, სხვათა შორის ამბობდნენ: „პაპი, ვეთანხმები, რაც შენ თქვი.“ ამ შემთხვევამ ბარაკში ჩემი ადგილი მაპოვნინა და საბოლოოდ მაღიარეს თავისი წრის კაცად, რაც ასე ადვილად არ ხდება. ვამჩნევ, რომ, როცა თამაშს მე ვხელმძღვანელობ, ნაკლებად კამათობენ და უსიტყვოდ მემორჩილებიან.

როგორც ვთქვი, ნამყვანი მოგებული თანხიდან ხუთ პროცენტს იტოვებს. იგი, ზურგით კედელზე მიყრდნობილი, სკამზე ზის და ყოველთვის მზად არის, მუხლებზე გადაფარებული ტილოს ქვეშ გახსნილი დანით თავი დაიცვას შესაძლო აგრესიისაგან. ირგვლივ ორმოცი-ორმოცდაათი მოთამაშე იყრის თავს საფრანგეთის ყველა კუთ: იდან და უცხოეთიდან, თვით არაბების ჩათვლით. თამაში ადვილია, არის ბანკირი და კარტის დამრიგებელი. ყოველთვის, როცა კი ბანკირი აგებს, კარტი მეზობელზე გადადის. თამაშის ნამყვანმა უნდა ყოველი ფსონი დაიმახსოვროს და თვალყური ადევნოს ფულის მოძრაობას. ეს ადვილი არ არის. ამას გარდა, ნამყვანმა უნდა დაიცვას სუსტები პრესტიჟიანების გამუდმებული შეტევებისაგან. მისი გადაწყვეტილება კანონია დანარჩენებისთვის.

წუხელ ერთი იტალიელი მოკლეს, სახელად კარლინო. იგი ერთ ბიჭთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც მას ქალობას უწევდა. ორივე მებაღე იყო. ეტყობა, იცოდა,

რომ მისი მოკვლა უნდოდათ, რადგან რიგრიგობით იძინებდნენ და ჰამაკის ქვეშ ცარიელი თუნუქის ყუთები ეწყოთ, რათა უხმაუროდ ვერავინ მიახლოებოდა. მკვლელობა მაინც მოხდა – დანა ჰამაკის ქვეშიდან გაუყარეს. მის ყვირილს ყუთების ხმაური მოჰყვა.

გრანდე ამ დროს მარსელულ პარტიას ხელმძღვანელობს და გარს ოცდაათ მოთამაშეზე მეტი არტყია. მე შორიახლოს ვიღაცას ველაპარაკები. ყვირილსა და ყუთების ხმაურზე თამაში ჩერდება. ყველა კითხულობს, რა მოხდაო. კარლინოს „ტურფას“ არაფერი დაუნახავს. მამასახლისი კითხულობს, ზედამხედველს ახლავე დაუძახოს თუ არა. ეუბნებიან, რომ ამის გაკეთება დილის ამოკითხვაზეც შეიძლება, რადგან მკვდარს მაინც ველარაფერს უშველი. გრანდე აცხადებს: – არავის, მათ შორის არც შენ, პატარავ, არაფერი გაუგია. ვითომ დილით ნახე, რომ მკვდარია.

სულ ეს არის! თითქოს არაფერი მომხდარიყოს – თამაში გრძელდება.

მოუთმენლად ველი, დილით რა მოხდება, როცა დარაჯები მკვდარს „აღმოაჩენენ“. პირველი ზარი ექვსის ნახევარზეა; მეორე – ექვსზე და ყავას გვირიგებენ; შვიდის ნახევარზე – მესამე და ამოკითხვაზე უნდა გახვიდე. ჩვეულებრივად ასე ხდება, მაგრამ დღეს ეს წესი ირღვევა: მეორე ზარზე მამასახლისი ზედამხედველს ეუბნება:

– შეფ, ერთი კაცი მოკლეს.

– ვინ?

– კარლინო.

– კარგი.

ცოტა ხნის შემდეგ ათიოდე „ძაღლის“ თანხლებით მოდის:

– სად არის მკვდარი?

– აქ.

– მესაკაცეებო, წაიღეთ! – გვამი ორ კაცს მიაქვს. თენდება. მესამე ზარზე უფროსი ზედამხედველი, სისხლიანი დანით ხელში, ბრძანებებს იძლევა:

– ყველანი გარეთ გამოდით და ამოსაკითხად მოეწყვეთ! დღეს არავითარი ავადმყოფები არ გავიგო!

ყველანი გავდივართ. კომენდანტები და უფროსი ზედამხედველებიც აქ არიან. როცა ამოკითხვაზე კარლინოს გვარს იძახიან, მამასახლისი პასუხობს:

– წუხელ მოკვდა და მორგში წაასვენეს.

– კარგი.

ამოკითხვის დამთავრების შემდეგ ბანაკის უფროსი დანას მაღლა სწევს და კითხულობს:

– იცნობს ვინმე ამ იარაღს?

– ხმას არავინ იღებს.

– ვინმემ დაინახა მკვლელი? – კვლავ სრული სიჩუმე.

– მაშ, როგორც ყოველთვის, არავინ არაფერი იცის! ხელები წინ გამოწიეთ და მაჩვენეთ, მერე ყველა სამუშაოდ წავიდეს! როგორც ყოველთვის, ჩემო კომენდანტო, არაფერი ხელმოსაჭიდი არ არის, რომ მკვლელის კვალს მივაგნო.

– ცნობილი ამბავია, – ამბობს კომენდანტი, – შეინახეთ დანა, ბარათი მიამაგრეთ და წააწერეთ, რომ იგი კარლინოს მოსაკლავად გამოიყენეს.

სულ ეს არის. ბარაკში დასაძინებლად შევდივარ, რადგან მთელ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს. სანამ ჩამეძინება, თავს ვეუბნები, რომ კატორღელის ცხოვრება ჩირადაც არ ღირს. მაშინაც კი, როცა ასე ლაჩრულად გკლავენ, თავს არავინ შეიწუხებს, მკვლელი მოძებნოს. ადმინისტრაციისთვის კატორღელს ჩალის ფასი აქვს.

***

გადავწყვიტე და განავლის გამტანის სამუშაოზე ორშაბათიდან გავედი. მე და კიდევ ერთი კატორღელი ხუთის ნახევარზე ვდგებით და ჩვენი ბარაკის კასრები გამოგვაქვს. ინსტრუქცია მოითხოვს, ისინი ზღვაში ჩავცალოთ, მაგრამ ჩვენ სხვანაირად ვიქცევით: ერთ ხარებს გამრეკს ფულს ვუხდით და მას პლატოზე უზარმაზარი კასრით ზღვის წყალი ამოაქვს. აქ ერთ არხის მაგვარ ღარში კასრებს სწრაფად ვცლით და უკან წყალს ვაყოლებთ, თან ცოცხით ვუმარჯვებთ. ამას ოცი წუთი სჭირდება. ხარების გამრეკს, ერთ მოხდენილ მარტინიკელს, ოც ფრანკს ვუხდით. პირველი დღეა და ორ ხარიხაზე გადებული კასრის თრევამ მკლავები დამაწყვიტა, მაგრამ არა უშავს, შევეჩვევი.

ის, ვისთანაც წყვილში ვმუშაობ, ცუდი კაცი არ უნდა იყოს, მაგრამ გალგანიმ მითხრა, ფრთხილად ვიყო, რადგან დიდად საშიში პიროვნება ყოფილა. როგორც ვიგებ, კუნძულზე უკვე შვიდი მკვლელობა აქვს ჩადენილი. მისი „ჩალიჩი“ განავლის გაყიდვაა – მებაღეების მხრიდან ამაზე დიდი მოთხოვნილება ყოფილა. ისინი სპეციალურ ორმოს თხრიან, შიგ ხმელ ფოთლებსა და ბალახს ყრიან და ჩემი მეწყვილე მარტინიკელის დახმარებით, სხვისი თვალისაგან დაფარულად, შიგ ერთ ან ორ კასრს ცლის. ამას, რა თქმა უნდა, მარტო ვერ გააკეთებს და მეც იძულებული ვარ, დავეხმარო. ვიცი, ეს დანაშაულია, რადგან ასე მოყვანილი ბოსტნეულით არა მარტო ზედამხედველები, არამედ კატორღელებიც შეიძლება დაავადდნენ. ვფიქრობ, ერთ დღეს, როცა უკეთესად გავიცნობ, ამ საქმის შესაწყვეტად ფული შევთავაზო. ვიცი, რომ იგი სხვაგანაც „ჩალიჩობს“ – ხარის რქებს ამუშავებს. რაც შეეხება თევზაობას, მეუბნება, რომ ამის არაფერი გაეგება.

მოკლედ, მე უკვე განავლის გამტანი ვარ. ყოველდღე, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, შხაპს ვიღებ, შორტებს ვიცვამ და სათევზაოდ მივდივარ კუნძულის რომელ მხარესაც მომესურვება, ოღონდ შუადღეს აუცილებლად ბანაკში უნდა ვიყო; შაპარის წყალობით სათევზაო მოწყობილობა არ მაკლია. როცა თევზაობის შემდეგ უკან ამოვდივარ, იშვიათია, რომ რომელიმე ზედამხედველის ცოლმა არ დამიძახოს. ჩემი სახელი ყველამ იცის და მავთულზე ასხმული თევზების დანახვაზე მეუბნებიან:

– პაპიონ, ორი კილოგრამი თევზი მომყიდე!

– ავად ხართ?

– არა.

– შვილი გყავთ ავად?

– არა.

– მაშინ არ მოგყიდით.

საკმაოდ ბევრ თევზს ვიჭერ და ნაწილს ბარაკის მეგობრებს ვუნაწილებ, ნაწილს – პურზე, ბოსტნეულსა და ხილზე ვცვლი. ჩვენს საძმოში თევზი გამოუცველია.

ერთ დღეს თორმეტიოდე ლანგუსტითა და შვიდი თუ რვა კილოგრამი თევზიყლაპიათი ხელდამშვენებულს კომენდანტ ბაროს სახლის წინ გაცლა მიწევს. ერთი

ჩასუქებული ქალი მეუბნება:

– კარგად გითევზავიათ, პაპაიონ, ასეთ ცუდ ზღვაში თქვენ მეტი ვერაფერს იჭერს. თხუთმეტი დღე იქნება, თევზი არ მიჭამია. სამწუხაროა, რომ არ ყიდით. ქმარმა მითხრა, რომ ზედამხედველების ცოლებს არ სწყალობთ.

– მართალია, მადამ, მაგრამ თქვენ, შეიძლება, გამონაკლისი იყოთ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ თქვენ მსუქანი ხართ და ხორცი უნდა გწყენდეთ.

– მართალია, მე მხოლოდ თევზი ან თევზის ნახარში უნდა ვჭამო. ამის შესაძლებლობა კი არ მაქვს.

– აი, მადამ აიღეთ, – და ორ კილომდე თევზსა და ლანგუსტებს ვაძლევ.

ამ დღიდან, ყოველთვის, როცა კი იღბლიანად ვითევზავებ, იმდენს ვუტოვებ, რამდენიც მისი კვების რეჟიმის დაცვას სჭირდება. იცის, რომ კუნძულზე ყველაფერი იყიდება, მაგრამ მხოლოდ მადლობას მეუბნება, რადგან გრძნობს, რომ თუ ფულს შემომთავაზებს, ცუდად გავიგებ; სამაგიეროდ, ხშირად მეპატიჟება შიგნით და თვითონვე მიმასპინძლდება პასტისით, ან თეთრი ღვინით. როცა კორსიკიდან ფიგატელებს იღებს, მეც მიწილადებს ხოლმე. მადამ ბაროს ჩემს წარსულზე არასოდეს არაფერი უკითხავს. მხოლოდ ერთხელ, ერთი წინადადება დასცდა: „რაც მართალია, მართალია, კუნძულებიდან გაქცევა შეუძლებელია, თუმცა, ჯობია, კაცი აქ დარჩეს, ამ ჯანმრთელ კლიმატში, ვიდრე დიდ მიწაზე დალპეს."

კუნძულების სახელების წარმოშობის შესახებ პირველად მისგან გავიგე: ერთხელ, თურმე, კაიენაში სიყვითლის ეპიდემიის დროს, რომელიღაც ეკლესიის ბერები და მონაზვნები აქ შეფარებულან და გადარჩენილან. ამიტომ შეარქვეს მათ „ხსნის კუნძულები."

***

თევზაობის უფლების წყალობით, კუნძულის ყველა კუთხის დათვალიერების საშუალება მაქვს. ჯერ მხოლოდ სამი თვეა, რაც განავლის გამტანი ვარ და კუნძულს ყველაზე უკეთესად ვიცნობ. დავდივარ ბაღებში, თითქოს თევზის ბოსტნეულსა და ხილზე გაცვლა მინდოდეს, სინამდვილეში კი შესაფერის ადგილს ვეძებ. ზედამხედველების სასაფლაოსთან არის ერთი ბაღი, სადაც ჩემი საძმოს წევრი, მატიე კარბონიერი, მარტო მუშაობს. ვფიქრობ, მოველაპარაკო – იქნებ ტივი მის ბაღში შევკრათ და დავმალოთ. კომენდანტი ბარო ორ თვეში მიდის და ხელები მეხსნება.

საქმე აწყობილი მაქვს: განავლის გამტანი კი მქვია, მაგრამ, სინამდვილეში ამას მარტინიკელი აკეთებს – რა თქმა უნდა, არა უსასყიდლოდ. ვცდილობ, ორ ტიპს, სიძე-ცოლის ძმას – ნარიკსა და კენიეს დავუახლოვდე და დავუმეგობრდე. მათაც სამუდამო აქვთ მისჯილი და „საბაგშეო ეტლის" მოყვრებს უძახიან. ამბობენ, ერთი საგადასახადოს ინსპექტორი მოკლეს და მერე ცემენტის ბლოკად აქციესო. ვიღაც მონმეებს დაუნახავთ, როგორ გადაჰქონდათ ის ბლოკი საბაგშეო ეტლით და როგორ გადააგდეს მარნასა თუ სენაში. გამოძიებამ დაადგინა, რომ მას შემდეგ, რაც ინკასატორი მათთან გადასახადის ასაკრებად მივიდა, თვალით აღარავის უნახავს. სიძე-ცოლისძმა ამას აქაც კი არ აღიარებენ და ირწმუნებიან, უდანაშაულონი ვართო. გვამი ვერ იპოვეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ნახეს ხელსახოცში გახვეული თავი. „ექსპერტებმა" ასეთი ხელსახოცები მათ სახლში აღმოაჩინეს, თუმცა ადვოკატებიც და თვითონაც ამტკიცებდნენ, რომ ათასობით მეტრი ამგვარი ქსოვილი ამ ფორმით

იყო გაყიდული და ყოველ მეორე ოჯახში შეხვდებოდით. ბოლოს, სიძე-ცოლისძმამ სამუდამო, ხოლო ერთ-ერთის ცოლმა ანუ მეორის დამ – ოცი წელი აიკიდეს.

როგორც იქნა, მოვახერხე მათთან დაახლოება. როგორც მშენებლები, სახელოსნოში თავისუფლად შედიან და გამოდიან. იქნებ შეძლონ და ტივის შესაკერელად აუცილებელი მასალა ნაწილ-ნაწილ გამომიტანონ?! როგორმე უნდა დავარწმუნო, დამეხმარონ.

გუშინ, როცა დაახლოებით ოცკილოიან თევზს მოვათრევდი, ექიმი შემხვდა. პლატოსაკენ ერთად ავდივართ და შუა გზაში ერთ პატარა კლდესთან ვისვენებთ. მეუბნება, რომ ამ თევზის თავისაგან გემრიელი წვნიანის გაკეთებაა შესაძლებელი. თავს ხორცის დიდ ნაჭერთან ერთად ვთავაზობ. განცვიფრებულია და მეუბნება:

– თქვენ გულღვარძლიანი არ ყოფილხართ, პაპიონ.

– ექიმო, ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ თქვენი ვალი მაქვს, რადგან არაფერი დაიშურეთ ჩემი მეგობრის, კლუზიოს გადასარჩენად.

ცოტა ხანს სხვა რამეებზე ვსაუბრობთ, მერე მეკითხება:

– ჩემი აზრით, გაქცევა გინდა. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ კატორღელი არა ხარ.

– მართალი ხართ, ექიმო, მე კატორღას არ ვეკუთვნი, აქ მხოლოდ სტუმრად ვარ.

იცინის. მაშინ შეტევაზე გადავდივარ:

– ექიმო, როგორ გგონიათ, არ შეიძლება ადამიანი ამქვეყნად მეორედ მოვიდეს?

– შეიძლება.

– თქვენ როგორ მიგაჩნიათ, მაქვს იმის შანსი, რომ კვლავ საზოგადოებას დავუბრუნდე ისე, რომ სასიშიროება არ შევუქმნა და სამაგალითო მოქალაქე ვიყო?

– გულახდილად გეუბნები, რომ ამისი მჯერა.

– მაშ, რატომ არ მეხმარებით?

– მე რა შემიძლია?

– დამაბრუნეთ დიდ მიწაზე ტუბერკულოზის დიაგნოზით.

ამ სიტყვების გაგონებაზე იგი მიდასტურებს იმას, რაც აქამდე ყურმოკვრით ვიცოდი:

– ამის გაკეთება არ შემიძლია და გირჩევ, არასოდეს იფიქრო ამაზე, რადგან საშიში შედეგები მოსდევს. ადმინისტრაცია ავადმყოფობის გამო დეზინტერნირებას ისე არ გაგიფორმებს, თუ მანამდე ერთ წელიწადს მაინც სპეციალურ პავილიონში არ გამყოფა.

– რატომ?

– სირცხვილი კია ამის თქმა, მაგრამ, ამგვარად, კაცს, თუ ის სიმულიანტია, ეცოდინება, რომ ნამდვილ ავადმყოფებთან ყოფნით, შეიძლება, მართლა რაიმე სენით დაავადდეს. ასე რომ, ვერაფრით დაგეხმარები.

ამ დღიდან მე და ექიმს ახლო ურთიერთობა გვქონდა მანამდე, სანამ ერთხელ კინაღამ ჩემი მეგობარი კარბონიერი მოაკვლევინა: მე და მატიემ მოვილაპარაკეთ და იგი ზედამხედველების სასადილოში მზარეულად მოეწყო იმ მიზნით, რომ იქიდან როგორმე ზეთის ან ძმრის კასრები მოგვეპარა, ერთმანეთზე გადაგვება და ზღვაში გავსულიყავით. ამას, რა თქმა უნდა, ბაროს წასვლის შემდეგ ვაპირებდით. ვიცოდით, ეს ადვილი არ იქნებოდა, რადგან, ერთი ღამის განმავლობაში, ისიც

ქარიშხლის დროს უნდა მოგვეპარა კასრები, მიგვეტანა სანაპირომდე, ერთმანეთზე გადაგვება და აღელვებულ ზღვაში ჩაგვეშვა.

მოკლედ, კარბონიერი მზარეულად მოეწყო. ერთ მშვენიერ დღეს, სასადილოს გამგე უტოვებს სამ კურდღელს და უბრძანებს, ხვალისთვის – კვირისთვის მოამზადოს. მატიე ერთ კურდღელს თავის ძმას უგზავნის ნავსადგურში, ორს – ჩვენს საძმოს; მერე იჭერს სამ მსუქან კატას და მათგან თითების ჩასაკვნეტ ყაურმას აკეთებს.

მისდა საუბედუროდ, სადილზე ექიმიც მოუპატიჟებიათ, რომელიც გემოს გასინჯვისთანავე ამბობს:

– ბატონო ფილიდორი, მშვენიერი მენიუ შეგირჩევიათ, ძალიან გემრიელად არის მომზადებული ეს კატა.

– დამცინით, ექიმო? ჩვენ სამ ნაპატიევებ კურდღელს მივირთმევთ.

– არა, კატაა, – ჯიუტად იმეორებს ექიმი, – აბა, დახედეთ – ამას, რასაც ახლა მივირთმევთ, ბრტყელი ნეკნები აქვს, კურდღლისა კი მრგვალია. შეცდომა გამორიცხულია.

– ღმერთო დამიფარე, – ყვირის კორსიკელი, – მაშ მუცელში კატის ხორცი მაქვს?

სირბილით გადის სამზარეულოში, მატიეს პირში რევოლვერს სჩრის და ეუბნება:

– მეგონა, ჩემსავით ბონაპარტისტი იყავი და თურმე ვცდებოდი. ცოცხალი ვერ გადამირჩები, რადგან კატა შემაჭამე!

კარბონიერი, ისე, რომ ვერ ხვდება, როგორ გაიყიდა, გაგიჟებული კაცის თვალების დანახვაზე ეუბნება:

– თუ თქვენ კატას უძახით იმ ცხოველს, რომელიც დამიტოვეთ, ჩემი ბრალი არ არის.

– მე შენ კურდღლები დაგიტოვე.

– ჰოდა, მეც სწორედ კურდღელი მოგიმზადეთ. ნახეთ, ტყავები და თავები ისევ აქ ყრია.

ზედამხედველი იბნევა:

– ესე იგი, ექიმმა არ იცის, რას როშავს?

– ამას ექიმი აცხადებს? – სუნთქვას იბრუნებს კარბონიერი – დაგცინით. უთხარით, რომ ეს უკბილო ხუმრობაა.

დაწყნარებული და დარწმუნებული ფილიდორი სტუმრებთან ბრუნდება და ექიმს ეუბნება:

– ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ, რამდენიც გენებოთ, ექიმბაშო. ეყტყობა, ღვინო თავში აგივარდათ. არ მაინტერესებს, თქვენი ნეკნები ბრტყელი იქნება, თუ მრგვალი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ახლახანს კურდღლის ხორცი ვჭამე. ეს-ესაა მათი თავები და სამოსი მოვინახულე.

მატიე ბეწვზე გადარჩა, თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ არჩია, მზარეულობა მიეტოვებინა.

***

ახლოვდება დღე, როცა მოქმედების შესაძლებლობა მომეცემა. რამდენიმე კვირაში ბარო აქედან წავა. გუშინ მისი ცოლის სანახავად მივედი, რომელიც, სხვათა შორის, შესამჩნევად გახდა თევზის სუპისა და ბოსტნეულის რეჟიმის წყალობით.

ამ კეთილ ქალს ოთახში შევყავარ და ერთ ბოთლ ქინაქინას მჩუქნის. გახსნილი სკივრები და ჩემოდნები მიანიშნებს, რომ გასამგზავრებლად ემზადებიან.

– პაპიონ, არ ვიცი როგორ გადაგიხადოთ მადლობა იმ ყურადღებისათვის, რაც ბოლო თვეების განმავლობაში ჩემ მიმართ გამოიჩინეთ. ვიცი, რომ ზოგჯერ, უიღბლო თევზაობის დროს, რასაც დაიჭერდით, სულ მე მაძლევდით. თქვენი წყალობით ახლა თავს უკეთესად ვგრძნობ, თითქმის თოთხმეტი კილო დავიკელი. როგორ შემიძლია, მადლობა გადაგიხადოთ?

– თუ ძალიან ძნელი არ იქნება, მიშოვეთ ზუსტი, მაგრამ პატარა კომპასი.

– ახლა ჩემთვის ამის გაკეთება ძნელი არ არის და არც დიდ რამეს მთხოვთ, სამ კვირაში კი, ალბათ შეუძლებელი იქნება.

ეს კეთილშობილი ქალი, დიდად შეწუხებული იმით, რომ ადგილზე ვერ მიშოვა, გამგზავრებამდე რვა დღით ადრე გემში ჯდება და კაიენაში მიდის, საიდანაც ოთხ დღეში დიდებული ანტიმაგნიტური კომპასით ბრუნდება.

კომენდანტის ოჯახმა ამ დილით დატოვა კუნძულები. გუშინ ბარომ თანამდებობა იმავე ჩინის ახალ კომენდანტს, წარმოშობით ტუნისელს, ვინმე პრუიეს გადააბარა. ახალმა კომენდანტმა დეგას მთავარი აღმრიცხველის პოსტი დაუმტკიცა, რაც კარგ ამბად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ამას ჩემი მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. დანიშვნასთან დაკავშირებით ეზოში შეკრებილი კატორღელების წინაშე გამოსვლისას ახალმა კომენდანტმა ჭკვიანი და ენერგიული კაცის შთაბეჭდილება დატოვა. მან თქვა:

– დღეიდან ვიწყებ „ხსნის კუნძულების“ ხელმძღვანელობას. როგორც ვხვდები, ჩემი წინამორბედის მუშაობას დადებითი შედეგები ჰქონდა. ამიტომაც, თუ თქვენ არ მაიძულებთ, არაფრის შეცვლას არ ვაპირებ, მათ შორის არც თქვენი ცხოვრების წესისას.

თქვენთვის გასაგები სიხარულით შევხვდი კომენდანტ ბაროსა და მისი მეუღლის გამგზავრებას, თუმცა ლოდინის ხუთი თვე გასაოცარი სისწრაფით გავიდა. ეს მოჩვენებითი თავისუფლება, რითაც კუნძულის თითქმის ყველა კატორღელი სარგებლობს – თამაშები, თევზაობა, ახალ-ახალი ნაცნობობა თუ ხშირი დაპირისპირებები – მოწყენის საშუალებას არ გვაძლევენ. მიუხედავად ამისა, არასოდეს მიმიცია თავისთვის უფლება, მთლიანად შევრწყმოდი ამ გარემოს. ყოველთვის, სანამ ახალ ნაცნობობას გავაბამდე, თავს მხოლოდ ერთ კითხვას ვუსვამ: „იქნება ეს კაცი გაქცევის თანამონაწილე? ანდა, თუ თვითონ არ სურს, დაეხმარება სხვას მის მომზადებაში?“

მხოლოდ ერთი აზრით ვცოცხლობ: მარტო იქნება ეს თუ ვინმესთან ერთად – გავიქცე. მხოლოდ ჟან კასტელის რჩევა მაკავებს მეტისმეტად აქტიური მოქმედებისაგან. მოვკვდები და ჩემს ჩანაფიქრს მაინც განვახორციელებ.

მეშვიდე რვეული

ხსნის კუნძულები

ტივი საფლავში

როგორც ვთქვი, ამ ხუთი თვის განმავლობაში კუნძული კარგად შევისწავლე და დავასკვენი, რომ ტივის მოსამზადებლად ყველაზე შესაფერისი ადგილი სასაფლაოს მიმდებარე ბაღია, სადაც ადრე ჩემი მეგობარი კარბონიერი მუშაობდა. ამიტომაც ვთხოვ, თავის ადგილს დაუბრუნდეს, მაგრამ ამჯერად – თანაშემწის გარეშე. მეთანხმება და დეგას დახმარებით აბრუნებენ.

ამ დილით, როცა დიდი თევზიყლაპიების ასხმულათი ებრუნდები, ახალი კომენდანტის სახლთან ამოვლისას, მესმის, როგორ ეუბნება „ოჯახის ბიჭი“ ჩემთვის უცნობ ახალგაზრდა ქალს:

– აი, მადამ, ეს ის კაცია, ვისაც მადამ ბაროსათვის ყოველდღე თევზი მოპქონდა. ქალი, ეტყობა, ალჟირელია, მიმზიდველი გარეგნობა და მზემოკიდებული კანი აქვს. იგი ეკითხება:

– მაშ, ეგ არის პაპიონი? – მერე მე მეუბნება:

– მადამ ბარო თქვენი დაჭერილი გემრიელი ლანგუსტებით გამიმასპინძლდა. ჭიქა ღვინოსა და თხის ყველზე დამეწვიეთ, სულ ახლახანს საფრანგეთიდან გამომიგზავნეს.

– არა, გმადლობთ, მადამ.

– რატომ? სანამ მადამ ბარო იყო, ხომ შემოდიოდით? ჩემთან რატომ არ გინდათ?

– იმიტომ, რომ მისი ქმარი შემოსვლის ნებას მაძლევდა.

– პაპიონ, ჩემი ქმარი განკარგულებებს ბანაკში იძლევა. სახლში უფროსი მე ვარ. ნუ გეშინიათ, შემოდით.

ისეთი შეგრძნება მიჩნდება, რომ ეს თავნება, შავგვრემანი ქალი ან რამეში გამომადგება, ან საშიში უნდა იყოს. მივყვები სასადილო ოთახამდე, სადაც მიმასპინძლდება თეფში ლორითა და ყველით. მოურიდებლად მიჯდება წინ და მისხამს ღვინოს, ყავას და, ბოლოს – გემრიელ იამაიკურ რომს.

– პაპიონ, – მეუბნება ის, – მადამ ბარომ, მიუხედავად გამგზავრებისა და ჩვენი ჩამოსვლის ალიაქოთისა, დრო იპოვა, თქვენ შესახებ მოეყოლა. იქიდან ვიცი, რომ კუნძულზე ერთად-ერთი ქალი იყო, ვისთანაც თქვენ თევზი მიგქონდათ. იმედი მაქვს, მეც იგივე უპირატესობა მექნება.

– მადამ ბარო ავადმყოფობდა, თქვენ კი, როგორც ეხედავ, ჯანმრთელობას არ უნდა უჩიოდეთ.

– ტყუილები არ მიყვარს, პაპიონ, მართლაც არაფერს ვუჩივი, მაგრამ ზღვისპირა ქალაქიდან, ორანიდან ვარ და თევზს ვალმერთებ. სანყენია და უხერხულობაში მაგდებს ის, რომ, როგორც ვიცი, თქვენ თევზს არ ყიდით.

მოკლედ, ყაბულსა ვარ, რომ თევზს მივუტან და ახლაც სამ კილომდე ლანგუსტებსა და თევზიყლაპიებს ვთავაზობ. უკვე სიგარეტს ვეწევი, როცა კომენდანტი მოდის. ჩემს დანახვაზე ცოლს მიმართავს:

– მე ხომ გითხარი, ჟულიეტ, რომ „ოჯახის ბიჭის“ გარდა ამ სახლში არც ერთი კატორღელი არ უნდა შემოვიდეს.

ადგომას და წამოსვლას ვაპირებ, მაგრამ ქალი მაჩერებს:

– ამ კაცს ჩემთან რეკომენდაცია მადამ ბარომ გაუწია. მის გარდა აქ არავინ შემოვა, თანაც, როცა დამჭირდება, თევზს მომიტანს ხოლმე.

– კარგი, ასე იყოს, – ამბობს კომენდანტი, – რა გქვიათ?

პასუხის გასაცემად ისევ ადგომას ვაპირებ, მაგრამ ჟულიეტი მხარზე ხელს მადებს და მაიძულებს დავჯდე:

– აქ, ჩემს სახლში, კომენდანტი კომენდანტი აღარ არის – ჩემი ქმარია, ბატონი პრუიე.

– გმადლობთ, მადამ. მესიე პრუიე, მე პაპიონი მქვია.

– აა! მსმენია თქვენ შესახებ. ვიცი, რომ სამი წლის წინ სენ-ლორან-დიუ-მარონის ჰოსპიტლიდან გაიქეცით. ერთ-ერთი ზედამხედველი, რომელიც მაშინ გათიშეთ, სხვა არავინაა, თუ არა ჩემი ცოლისა და თქვენი პროტექტორის ახლო ნათესავი.

ამაზე ჟულიეტი იცინის და მეკითხება:

– ესე იგი, თქვენ ხართ, ვინც გასტონი გააგორა? ნუ წუხხართ, ამით ჩვენი ურთიერთობა არ შეიცვლება.

კომენდანტი ფეხზე მდგარი მელაპარაკება:

– დაუჯერებელი ამბავია, პაპიონ, რომ ყოველ წელს ამდენი მკვლელობა ხდება კუნძულებზე – ბევრად მეტი, ვიდრე დიდ მიწაზე. რას შეიძლება მივაწეროთ?

– აქ, ჩემო კომენდანტო, ხალხი ბევრ რამეს, მათ შორის გაქცევის შესაძლებლობასაც, მოკლებულია და ამიტომაც ბოროტდებიან. წლების განმავლობაში თანაცხოვრება, ერთმანეთის მიმართ ან დიდ მეგობრობას, ან უკიდურეს სიძულვილს თესავს. ამას გარდა, მკვლელობების გახსნის დაბალი მაჩვენებლის გამო, დამნაშავე თითქმის დარწმუნებულია დაუსჯელობაში.

– ის, რასაც თქვენ ამბობთ, ლოგიკურია. რა სამუშაოს ასრულებთ ისეთს, რომ თევზაობის უფლება გაქვთ და როდიდან?

– განავლის გამტანად ვმუშაობ. დილის ექვს საათზე უკვე თავისუფალი ვარ და სათევზაოდ მივდივარ.

– მთელი დღით? – კითხულობს ჟულიეტა.

– არა, ვალდებული ვარ, შუადღეს ბანაკში დავბრუნდე. მერე, სამიდან თერთმეტ საათამდე ისევ გამოვდივარ. ბანაკში დაბრუნება, მიმოქცევის გამო, ზოგჯერ თევზაობას მიფუჭებს.

– ხომ გაუკეთებ გამონაკლის ნებართვას, ბანაკში დაბრუნების გარეშე ითევზაოს, ჩემო სულიკო? – ეუბნება ჟულიეტი, – ასე ხელი არ შეეშლება.

– კარგი, – პასუხობს ქმარი.

სახლიდან გამოვდივარ. თავს ეულოცავ, რომ ამგვარად მოვიქეცი. ის სამი საათი ჩემთვის ძვირფასია, რადგანაც სიესტის დროს თითქმის ყველა ზედამხედველს სძინავს და მეთვალყურეობა მიშვებულია.

ჟულიეტი იმდენად დაგეპატრონა მე და ჩემს თევზაობას, რომ ხშირად „ოჯახის ბიჭს“ აგზავნის და ამოწმებს, ვთევზაობ თუ არა. ხანდახან აბარებს, მთელი ნადავლი გაუგზავნო, რადგან სტუმრები ჰყავს და თევზის კერძის გაკეთებას აპირებს. ხშირად ამა თუ იმ სახეობის თევზის დაჭერას მიკვეთავს. ამგვარად, ჩემი მეგობრე-

ბის მენიუ რომ არ შეიკვეცოს, შრომა მემატება, მაგრამ, სამაგიეროდ, დამცეელი მყავს. ყურადღებას სხვა მხრივაც არ მაკლებს:

– პაპიონ, მოქცევა პირველ საათზე იყნყება?

– დიახ, მადამ.

– მაშინ ჩვენთან ისადილეთ, რომ ბანაკში წასვლა არ დაგჭირდეთ.

ყოველთვის, სამზარეულოში კი არა, სასადილო ოთახში მაჭმევს, წინ მიჯდება და საკუთარი ხელით მისხამს ღვინოს – მადამ ბაროსავით მორიდებული არ არის. ხანდახან ეშმაკურად გადამიკრავს ხოლმე სიტყვას წარსულზე. თემას შეძლებისდაგვარად ვიცილებ. უფრო მეტად ჩემი ახალგაზრდობა და მონმარტრზე გატარებული წლები აინტერესებს. ამ დროს კომენდანტს თაეის ოთახში სძინავს.

ერთ დღეს სათევზაოდ დილაადრიან მივდივარ და ბლომად ლანგუსტებს ვიჭერ. ათი საათისათვის უკვე მის სახლში ვარ. ჟულიეტი პენუარით სარკესთან ზის და ვიღაც ახალგაზრდა ქალი კულულებს უხვევს. ვესალმები და დუჟინამდე ლანგუსტს ვთავაზობ.

– არა, – მეუბნება, – ყველას ავიღებ. რამდენი ცალია?

– სამოცი.

– მშვენიერია. რამდენი გეყოფათ შენ და შენს მეგობრებს?

– რვა.

– მაშინ, დაიტოვე რვა და დანარჩენი „ოჯახის ბიჭს" მიეცი.

არ ვიცი, რა ვუპასუხო. აქამდე შენობით არ მოუმართავს, მით უმეტეს აქ ვიღაც ჩემთვის უცნობი ქალიცაა, რომელიც ამ ამბავს უეჭველად გარეთ გაიტანს. უკიდურეს უხერხულობაში ჩავარდნილი წამოსვლას ვაპირებ, როცა მეუბნება:

– დაწყნარდი და დაჯექი. ალბათ გცხელა, პასტისი დალიე.

ამ ქალის მბრძანებლური ტონი მაბნევს და ვემორჩილები. ნელ-ნელა ვწრუპავ პასტისს, თან სიგარეტს ვაბოლებ და უცნობ ქალს ვუყურებ, რომელიც ვარცხნის და დროდადრო გვერდულ მზერას მესვრის. კომენდანტის ცოლი ამას ხელის სარკეში იჭერს და ეკითხება:

– ხომ მოხდენილი ფავორიტი მყავს, სიმონა?

ხითხითებენ. არ ვიცი, რომელ სოროში ჩავძვრე და გულუბრყვილოდ ვამბობ:

– საბედნიეროდ, თქვენი ფავორიტი საშიში ვინმე არ არის და მისი ახლანდელი მდგომარეობა საშუალებას არ აძლევს, ვინმე გატაცების საგნად გაიხადოს.

– არ მითხრა, რომ შენი გატაცების საგანი არა ვარ. შენნაირი ლომი ჯერ არავის მოურჯულებია, მაგრამ მე ამას შევძლებ. ხომ ღირს ამად, სიმონა?

– არ ვიცი, ღირს, თუ არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: თქვენ, პაპიონ, ამ ქალის გარდა ყველასათვის ველური ხართ, იმ ზომამდე, რომ, როგორც უფროსი ზედამხედველის ცოლმა მიამბო, გასულ კვირას, თურმე, თხუთმეტ კილომდე თევზი მოგქონდათ და ერთი ცალიც არ მიეცით. ეს მაშინ, როცა იმ დღეს საყასბოში ხორცი არ იყო.

– აჰ! და მე ბოლო ვარ, ვისაც ამას ეუბნები, სიმონა?

– იცი, რას ყვებოდა მადამ კარგერე? – განაგრძობს სიმონა, – ერთხელ ლანგუსტებითა და დიდი მურენათი დატვირთულს ამოუვლია. „სულ თუ არა, ნახევარი მურენა მაინც მომყიდეთ, – შეხვეწნია ქალი – ჩვენ, ბრეტონელებმა, მისი შესანიშნავად მომზადება ვიცით.

„– მარტო ბრეტონელები არ აფასებენ მის ღირსებას, მადამ, სხვებმაც, მათ შორის არდეშელებმაც, რომანების დროიდან იციან, რომ მისგან უგემრიელესი კერძი მზადდება, – უთქვამს – და ისე ჩაუვლია, რომ არაფერი მიუყიდია.

სიცილისაგან იფხრიწებიან.

საღამოს ბანაკში გაცოფებული ბრუნდები და ყველაფერს საძმოში ვყვები.

– სახუმარო საქმე არ არის, – ამბობს კარბონიერი, – მაგ ქალმა, შეიძლება, საფრთხეში ჩაგაგდოს. ეცადე, იშვიათად და მხოლოდ მაშინ ესტუმრო, როცა ქმარი სახლში იქნება.

ყველა და, მათ შორის მეც, ვეთანხმებით.

ერთ ვალანსელ დურგალს მივაგენი. ვიღაც ეგერის მკვლელობისთვის ზის. ვალანსი თითქმის ჩემი მხარეა. სე დურგალი თავაწყვეტილი მოთამაშეა, თითქმის ყოველთვის აგებს და გამუდმებით ვალებშია. დღისით სხვადასხვა ნივთს ამზადებს, ყიდის და მთელ თანხას ღამით, თამაშში კარგავს. იძულებულია, მევალეს წაგებულის საფასურად რაიმე ნივთი დაუმზადოს. ისინიც ამას ბოროტად იყენებენ და მაგალითად, თუ ვარდის ხისგან დამზადებული ზანდუკი სამასი ფრანკი ღირს, ას ორმოცდაათში უქვითავენ. უნდა დაველაპარაკო.

ერთ დღეს ვეუბნები:

– შენთან სალაპარაკო მაქვს, მოგვიანებით განიშნებ და საპირფარეშოში გამოდი.

მართლაც, ღამით ერთმანეთს ვხვდებით. ჩვენ გარდა იქ არავინაა.

– ბურსე, იცი, ხომ, ერთი მხარიდან რომ ვართ?

– არა, რანაირად?

– შენ ვალანსელი არა ხარ?

– კი.

– მე არდეშიდან ვარ.

– ამით რა გინდა, თქვა?

– ის, რომ არ მინდა, გჩაგრავდნენ და შენს ნაწვალებ ნივთებში საფასურის ნახევარს გაძლევდნენ. ჯერ მე მომიტანე ხოლმე, ნამდვილ ღირებულებას გადაგიხდი.

– მადლობა.

ამ დღიდან, როცა კი საჭიროა, მის საქმეებში ვერევი და მევალეებთან მის გაუთავებელ კონფლიქტებს ვაგვარებ. ყველაფერი კარგად მიდის იმ დღემდე, სანამ ერთი კატორღელის – ვიციოლის ვალი არ დაედება. ეს კორსიკული ტევრის ბანდიტი ჩემი მეგობარია. ბურსე მოდის და მატყობინებს, რომ ვიციოლი მოკვლით ემუქრება, თუ წაგებულ შვიდას ფრანკს არ გადაუხდის. როგორც ყვება, მისთვის ერთ პატარა სეკრეტერს აკეთებს, მაგრამ არ შეუძლია, უთხრას, როდის იქნება მზად, რადგან მალულად მუშაობს. ამას გარდა, მასალაც არ ჰყოფნის. მთხოვს, ჩავერიო. ვპასუხობ, რომ ვნახავ, რისი გაკეთება შემიძლია. მერე, ვიციოლისთან შეთანხმებით, ერთ პატარა კომედიას ვდგამ: ვიციოლი უნდა მიაწვეს და მოკვლით დაემუქროს, მე კი მხსნელად მოვევლინები. ამის შემდეგ ბურსე საბოლოოდ მენდობა. რაც კატორღაში ჩამოვიდა, პირველად ახლა მიეცა მშვიდი ძილის საშუალება. მხოლოდ ამ კომედიის შემდეგ, ერთ საღამოს ვუხსნი გულს:

– ორი ათას ფრანკს მოგცემ, თუ ნაწილ-ნაწილ დამიმზადებ ტივს, რომელიც ორ

კაცს დაიტევს.

– მომისმინე, პაპიონ, ამას არავისთვის არ გავაკეთებდი, მაგრამ შენთვის მზად ვარ, თუნდაც ჩავვარდე და ორი წელი დილეგი ავიკიდო. მხოლოდ ერთი რამ მინდა, იცოდე: სახელოსნოდან ხის დიდი ნაჭრების გამოტანა არ შემიძლია.

– ამისთვის ხალხი მყავს.

– ვინ არიან?

– „საბვშვო ეტლის“ ბიჭები – ნარიკი და კენიე. როგორ მოახერხებ?

– ჯერ ნახაზი უნდა გაკეთდეს, მერე დეტალებს დავამზადებ თავისი მოსარგებებით. აქ, კუნძულზე, წყალზე მსუბუქი ხის შოვნა გამიჭირდება.

– პასუხს როდის მეტყვი?

– სამ დღეში.

– წამოხვალ ჩემთან ერთად?

– არა.

– რატომ?

– დახრჩობისა და ზვიგენების მეშინია.

– მართლა დამეხმარები, მპირდები?

– შვილებს გეფიცები. მხოლოდ იცოდე, დიდი დრო დამჭირდება.

– კარგად მომისმინე: ახლავე გაგიმზადებ გასამართლებელ საბუთს. საკუთარი ხელით დაგიხაზავ ტივის პროექტს და მივაწერ: „ბურსე, თუ არ გინდა, „გაგასაღო“, დაამზადე ამ ნახაზზე გამოსახული ტივი.“ შემდგომში, თითოეული დეტალის დამზადებაზეც წერილობით განკარგულებას მიიღებ. როცა რომელიმე დეტალს მორჩები, დადებ იქ, სადაც მიგანიშნებ. აიღებენ. არასოდეს ჩაეძირო, ვინ და როდის აიღო (ამან აშკარად შვება მოჰგვარა); საქმის გასკდომის შემთხვევაში, მხოლოდ ექვს თვეს თუ აიკიდებ.

– შენ რომ გამოგიჭირონ?

– განვაცხადებ, რომ ბარათების ავტორი მე ვარ. ალბათ გესმის, რომ ისინი უნდა შეინახო.

– კი.

– ხომ არ გეშინია?

– არა, მხდალი არასდროს ვყოფილვარ და, თანაც, ძალიან მინდა, დაგეხმარო.

გარიგების შესახებ კრინტს არავისთან არ ვიღებ – ჯერ ბურსეს პასუხს ველოდები. მოკლედ, გრძელი და გაუთავებელი კვირის შემდეგ, ბიბლიოთეკაში ვახერხებ მასთან შეხვედრას. კვირა დილაა. მარტო ვართ. ეზოში, პირსაბანთან, გახურებული თამაშია. ორმოცამდე მოთამაშეს ამდენივე ცნობისმოყვარე ახვევია.

მისი ნათქვამი გულში მაშინვე სინათლეს მიღვრის:

– ყველაზე ძნელი – მსუბუქი და გამომშრალი ხის საკმარისი რაოდენობით შოვნაა. ხის კარკანს გაგიკეთებ, რომელსაც ქოქოსის ხმელი კაკლებით გამოვტენით. მათი ნაჭუჭი წყალს არ ატარებს და არც იძირება. სანამ ტივს დავამთავრებ, ბლომად კაკლის მოგროვებას მოასწრებ. ხვალიდან პირველი დეტალის გაკეთებას დავიწყებ და, ალბათ, სამ დღეში მოვრჩები. მისი გატანა ხუთშაბათს იქნება შესაძლებელი. მომდევნო ნაწილის დამზადებას ყოველთვის მაშინ დავიწყებ, როცა პირველი უკვე გარეული იქნება სახელოსნოდან აი პროექტიც – გადახაზე და ბარათიც დაურთე. იმ ბიჭებს ელაპარაკე?

– არა, ჯერ არა, შენს პასუხს ველოდებოდი.

– ჩემი პასუხი დადებითია.

– მადლობა, ბურსე, არ ვიცი, სხვანაირად როგორ გადაგიხადო, აიღე ეს ხუთასი ფრანკი.

თვალს მისწორებს და მეუბნება:

– არ მინდა, შენთვის დაიტოვე, დიდი მიწიდან გაქცევისას გამოგადგება. დღეიდან, სანამ არ გაიქცევი, აღარ ვითამაშებ. პატარ-პატარა ნაკეთობებით სიგარეტისა და ბიფშტექსის ფულს ყოველთვის ვიშოვი.

– უარს რატომ მეუბნები?

– იმიტომ, რომ, უსაფრთხოების ასეთი ზომების მიღების შემდეგაც კი, ამას ათას ფრანკადაც არ გავაკეთებდი. მიმაჩნია, რომ მხოლოდ უფასოდ უნდა დაგეხმარო – ისევე, როგორც შენ მომექეცი. ერთადერთი კაცი ხარ, ვინც გაჭირვებაში ხელი გამომიწოდა. მართალია, მეშინია, მაგრამ თავს ბედნიერად ვთვლი, რომ თავისუფლების დაბრუნებაში გეხმარები.

გეგმას ვხაზავ და თან მრცხვენია, რომ ამ გულუბრყვილო და კეთილშობილმა კაცმა დღემდე არ იცის, რა კომედია გავუთამაშეთ. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ გაქცევა ამად ღირს – ზოგჯერ იძულებული ხდები, საჩოთირო სიტუაციებიც გამოიყენო.

ღამით ნარიკს, მეტსახელად ბონ ბუილს ველაპარაკე. თავის მოყვარეს თვითონ ეტყვის. არც კი ყოყმანობს:

– ჩვენი იმედი გქონდეს, მხოლოდ ნუ აგვაჩქარებ, რადგან დეტალების გამოტანას მხოლოდ სხვა სამშენებლო მასალასთან ერთად თუ შევძლებთ. პირობას გაძლევ, ხელსაყრელ შემთხვევას არ გავუშვებთ.

დამრჩა კარბონიერი. მინდა, მასთან ერთად გავიქცე. თანახმაა.

– მატიე, ტივის დასამზადებლად კაცი ვიშოვე, დეტალების გამომტანებსაც შევუთანხმდი. ჯერი შენზეა, სადმე, ბაღში მათ დასამალად ადგილი უნდა შეარჩიო.

– არა, ბოსტანში ეს სახიფათო იქნება. ზოგჯერ ღამით, „ძაღლები" მოსაპარავად შედიან და, შეიძლება, შემთხვევით ორმოს წააწყდნენ. ჯობია, კლდეს ქვა გამოვაცალო და სამალავი გავაკეთო. მარტო ქვის ამოღება დამჭირდება ხოლმე.

– ნაწილები პირდაპირ ბაღში მოიტანონ?

– არა, ეს ძალიან საშიშია. „საბავშვო ეტლის" ბიჭების ჩემს ბაღში გამოჩენას ვერაფრით გაამართლებ. აჯობებს, ბაღთან ახლოს, სხვადასხვა ადგილას დატოვონ ხოლმე.

– გასაგებია.

ესეც მოგვარებულია. ქოქოსის კაკლებიღა დამრჩა. ალბათ შევძლებ მათ მოგროვებას ისე, რომ არავის თვალში არ შეეჩხიროს.

უკვე ვგრძნობ, რომ სიცოცხლე მიბრუნდება. გალგანისა და გრანდეს უნდა დაველაპარაკო. თუ გაქცევა ჩამეშლება, მათ თანამონაწილეებად ჩათვლიან და გაჩუმების უფლება არ მაქვს. ბუნებრივი გამოსავალი ის იქნება, რომ მათ ჩამოვშორდე და მარტო ვიცხოვრო. ამის გაგონებაზე ბრაზდებიან და კატეგორიულად მეწინააღმდეგებიან:

– რაც შეიძლება, ჩქარა გაიქეცი, ჩვენ ჩვენს თავს თვითონ მივხედავთ, უარესიც გვინახავს.

უკვე ორ თვეზე მეტია, რაც მზადება დაიწყო. შვიდი დეტალი მიეიღე, მათ შორის ორი – დიდი. მატიეს სამალავი ვნახე, ვერაფერს შეატყობ. როცა ქვას ადგილზე აბრუნებს, ხავსებს აყრის. ცოტა პატარა კია, მაგრამ ჯერჯერობით საკმარისია. გაქცევისათვის მზადება სულიერად მამხნევებს. უფრო მეტს ვჭამ და თევზაობის წყალობით ძალ-ღონესაც არ ეუჩივი. ამას გარდა, ყოველ დღე, კლდეებში შემალული, ორ-ორ საათს ფეხებს ვავარჯიშებ, რადგანაც ხელები ანკესმა ისედაც გამიმაგრა. ფეხებისათვის ასეთი ხერხი მოვიგონე: ზღვაში ჩვეულებრივზე ღრმად შევდივარ და ტალღების ბარძაყებზე მორტყმისას ვცდილობ წონასწორობა შევინარჩუნო. შედეგი შესანიშნავია!

ჟულიეტი ჩემ მიმართ ისევ ყურადღებიანია, მაგრამ შეამჩნია, რომ მასთან მხოლოდ მაშინ შევდივარ, როცა ქმარია სახლში. ეს პირდაპირ მითხრა და მეტი თავისუფლება რომ მეგრძნო, გამომიტყდა – იმ ქალის თანდასწრებით, რომელიც მას პარიკმახერობას უწევს, მაშინ იხუმრა. ვამჩნევ, რომ ის ქალი გამუდმებით მითვალთვალებს და როცა მიმავალს მხედავს, შემთხვევას არ უშვებს, მკითხოს, როგორია ჩემი ჯანმრთელობა და რა გუნებაზე ვარ. მოკლედ, ყველაფერი კარგად მიდის. ბურსე დეტალს დეტალზე ამზადებს. ორთვენახევარია, რაც საქმე დაიძრა.

ჩვენი სამალავი უკვე სავსეა. ტივის ორი გრძელი ნაწილიღა მაკლია: ერთი – ორმეტრიანი, ერთიც – მეტრნახევრიანი. ისინი აქ ვერ შეეტევა.

ერთხელ სასაფლაოსკენ ვიყურები და ახალ სამარეს ვამჩნევ. ზედ დამჭკნარი თაიგულები აყრია. აქ ერთი კვირის წინ გარდაცვლილი ერთ-ერთი ზედამხედველის ცოლი მარხია. სასაფლაოს დარაჯი ერთი ბებერი, ნახევრად ბრმა კატორღელია, მეტსახელად „პაპა“. იგი მთელ დღეს სასაფლაოს მოპირდაპირე მხარეს, ქოქოსის ჩრდილში ატარებს. იქიდან სამარე არა ჩანს და ვერ შეამჩნევს, თუ ვინმე მიუახლოვდება. უყოყმანოდ ვიღებ გადაწყვეტილებას, ტივი იქ ავაწყო და ქოქოსის კაკლებით გამოვტენო. დაახლოებით ოცდაათი, – ოცდათხუთმეტი ცალი დამჭირდება – ბევრად ნაკლები, ვიდრე ვუვარაუდობდით. კაკლები უკვე შევაგროვე და კუნძულის სხვადასხვა ადგილებში მაქვს დამალული. მარტო ჟულიეტის ეზოში დუჟინი იქნება. „ოჯახის ბიჭს“ ჰგონია, რომ ზეთის გამოხდას ვაპირებ. გარდაცვლილის ქმარი უკვე დიდ მიწაზე გადასულა და ვფიქრობ, სამარე კუბოს სახურავამდე ამოვთხარო.

კარბონიერი ყარაულად კედელზე ზის და თავზე თეთრი ცხვირსახოცი აფარია. თუ საიდანმე საფრთხე გამოჩნდება, ნითელ ცხვირსახოცს დაიფარებს.

დიდ რისკზე მივდივარ. ნაშუადღევს და მთელ ღამეს ვუნდები. კუბომდე მიწის ამოღება საჭირო არ ხდება, მხოლოდ სამარეს ვაგანიერებ. დრო უსასრულოდ იწელება და წითელი ცხვირსახოციც რამდენჯერმე ჩნდება. მოკლედ, დილით ვამთავრებ. ჩემი ორმო უკვე ქოქოსის გადაწნული ფოთლებით არის დაფარული და მიწა აყრია. თითქმის ვერაფერს შეამჩნევ. ნერვები დაწყვეტაზე მაქვს.

მზადების მესამე თვე იწურება. ტივის დანომრილი ნაწილები უკვე საბრალო ქალის საფლავში აწყვია. აქვე ჩავალაგეთ აფრის მოწყობილობა: ფქვილის სამი ცარიელი ტომარა და თოკი; აგრეთვე ასანთებითა და გასაკრავებით სავსე ბოთლი და თორმეტიოდე ყუთი პასტერიზებული რძე. მეტი არაფერი.

ბურსეს დღითიდღე ემატება აღგზნებულობა, თითქოს ჩემ მაგივრად ის უნდა გაიქცეს. ნარიკი ნანობს – თავიდანვე რომ დაგთანხმებოდი, სამკაციან ტივს გავა-

კეთებდიო.

ახლა წვიმების სეზონია და ყოველდღე თავსხმაა. ასეთ ამინდში სასაფლაოზე სიარული საშიში არ არის. ტივს მხოლოდ ორი ხე აკლია. ქოქოსის კაკლებიც ბოსტნამდე მივაახლოვე. საძმო არასოდეს მეკითხება რა დონეზე ვარ. მხოლოდ, დროდადრო თუ მეტყვიან: „კარგადაა საქმე? – „კი, ყველაფერი კარგად მიდის. – რაღაც, ძალიან გაგიგრძელდა, – „სხვნაირად შეუძლებელია, დიდი რისკია.“ როცა ჟულიეტის ეზოდან კაკლები გამომქონდა, ქალმა დამინახა და კინაღამ გული გამიხეთქა:

– ერთი მითხარი, პაპიონ, თუ ქოქოსის ზეთს ხდი, აქ, რა, ცუდი ადგილია? თანაც, დიდ ქვაბს მოგცემდი.

– მირჩევნია, ბანაკში გამოვხადო.

– უცნაურია. მე მგონია ეს ბანაკში ძნელი გასაკეთებელი უნდა იყოს. – ცოტა ხანს ფიქრობს, მერე ამატებს: „ერთი რამ მინდა გითხრა: არა მგონია ზეთს ხდიდე. მე მაციებს, ის კი განაგრძობს: რატომ უნდა წვალობდე ქოქოსის ზეთის დასამზადებლად, როცა ზეთისხილის ზეთს, რამდენსაც მომთხოვ, იმდენს მოგცემ?

სუნთქვა მეკვრება და ოფლის მსხვილი წვეთები მაყრის. ველოდები, როდის ახსენებს სიტყვა „გაქცევას.“

– მადამ, ეს საიდუმლოა. ამ კაკლებით თქვენთვის ძალიან ლამაზი რამ მინდა გავაკეთო. ნუ მომიშლით იმ სიამოვნებას, რასაც მოულოდნელი საჩუქრის მოძღვნა მომაყენებს.

ვგონებ, დაიჯერა.

– პაპიონ, ჩემთვის ნუ შეწუხდებით, განსაკუთრებით გთხოვთ, ფულს ნუ დახარჯავთ იმისთვის, რომ გამორჩეული რამ მომართვათ. დიდი მადლობა, მაგრამ ამას ნუ გააკეთებთ, გთხოვთ.

– კარგი, ვნახოთ. – უფ! მაშინვე ვთხოვ, პასტისი დამალევინოს, რაც არასდროს გამიკეთებია. საბედნიეროდ, ღმერთი ჩემკენაა – დაბნეულობას ვერ მამჩნევს.

ყოველ დღე თავსხმაა, განსაკუთრებით – ნაშუადღევსა და ღამით. მეშინია, წყალმა ქოქოსის წნულებს მიწა არ გადააცალოს. მატიე გამუდმებით მის დამატებაშია. საფლავშიც წყალი უნდა იყოს. მატიეს დახმარებით წნულებს ვაცლი: წყალი კუბოს თითქმის მთლიანად ფარავს. კრიტიკული მომენტია. ამ საფლავის გვერდით დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ბავშვების აკლდამაა. ერთ დღეს ფილას ვაცლით, შიგ შევდივარ და საფლავის მხარეს, ცემენტის კედელს ძალაყინით ვხვრეტ. წყალი ჭავლებად შემოდის და როცა მუხლებამდე მწვდება, გამოვდივარ. ფილას თავის ადგილას ვაბრუნებთ და ნაპრალებს ვლესავთ. შედეგად, „ჩვენს“ საფლავში წყალი სანახევროდ მცირდება.

კარბონიერი მეუბნება:

– დღე ისე არ გავა, რომ რაიმე ახალი საზრუნავი არ გამოჩნდეს ამ გაქცევის მოსამზადებლად.

– ცოტაც, მატიე, ცოტაც, თითქმის ბოლოში ვართ.

– იმედი ვიქონიოთ, რომ „თითქმის“.

მართლაც, ნაკვერჩხლებზე ვსხედვართ.

დილით ნავსადგურში ჩავდივარ და შაპარს ვთხოვ, ორ კილომდე თევზი მიყიდოს და ნაშუადღევს დამახვედროს. იქიდან კარბონიერის ბაღისაკენ მივდივარ და მი-

ახლოებისას ზედამხედველების სამ თეთრ ქუდს ვამჩნევ. რა უნდათ? ბაღს ხომ არ ჩხრეკენ? აქამდე არ შემიმჩნევია, რომ აქ მოსულიყვნენ. საათზე მეტხანს მოშორებით ველოდები, მაგრამ არ მიდიან. ველარ ვითმენ და ვუახლოვდები. „ძაღლები“ მიყურებენ და როცა ოციოდე მეტრში ვარ, კარბონიერი თავზე თეთრ ცხვირსახოცს იფარებს. ამის დანახვაზე, სანამ მათთან მივიდოდე, გონს მოვდივარ.

– გამარჯობა, ბატონო ზედამხედველებო, გამარჯობა მატიე. გამატან დაპირებულ პაპაიას?

– სამწუხაროდ ვერა, პაპიონ, ამ დილას, ლობიოსათვის ჭიგოს მოსატანად რომ წავედი, ვიღაცას მოუპარავს. ხუთ დღეში დამწიფდება. ბატონო ზედამხედველებო, მართლა არ ნაულებთ ცოლებს ცოტაოდენ ბოსტნეულს?

– კარგი ბაღი გაქვს, კარბონიერი, გილოცავ, – ამბობს ერთ-ერთი მათგანი. მატიე „იყოლიებს“, მიიღონ ძღვნად პომიდორი, სალათა, ბოლოკი და მიდიან.

სასაფლაოზე გავლით მივდივარ. საფლავი სანახევროდ წვიმას წაულეკავს. ქოქოსის ფოთლის წნულები ათ მეტრში ყრია. მხოლოდ ღმერთის წყალობაა, რომ არავის შეუმჩნევია. ყოველ ღამეს ისეთი ქარ-წვიმაა, რომ ყველაფერს გვის. იგი ზღვაში გასვლისათვის არის საოცნებო და არა საფლავისათვის.

ხის ყველაზე დიდმა – ორმეტრიანმა ნაჭერმა დანიშნულების ადგილს მიაღწია. მოვარგე კიდეც. ბურსე ბანაკში სირბილით ამოვიდა, რათა გაეგო, ტივის ეს ყველაზე საჭირო და გასაკეთებლად რთული დეტალი ადგილამდე მივიდა, თუ არა. ბედნიერია, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. თურმე, ცოტა არ იყოს, ეშინოდა, რომ ჩემამდე მოაღწევდა. ვეკითხები:

– რამე ეჭვი ხომ არა გაქვს? ხომ არ გგონია, რომ ვინმე რამეს ხვდება? ვინმესთან ხომ არ წამოგცდა?

– არა, რას ამბობ.

– და, მაინც, ვამჩნევ, რაღაც გაწუხებს. თქვი!

– ერთი ცნობისმოყვარე მზერისაგან რაღაც უსიამოვნო გრძნობა დამრჩა. არის ერთი, ვინმე ბებე სელიე, რომელმაც დაინახა, როგორ აიღო ნარიკმა დეტალი დაზგის ქვეშიდან და კირის კასრში ჩადო. სახელოსნოს კარებამდე თვალით გააცილა. ბიჭები რომელიღაც შენობის შესაკეთებლად მიდიოდნენ. აი, რატომ მაქვს შეწუხებული სახე.

გრანდეს ვეკითხები:

– რაკი ბებე სელიე ჩვენს ბარაკშია, „ჩამშვები“ არ უნდა იყოს, არა?

– ეს კაცი სამოქალაქო არასოდეს ყოფილა: აფრიკის ბატალიონი, საჯარიმო ასეული; გამოვლილი აქვს მაროკოსა და ალჟირის ყველა სამხედრო ციხე. ჭირვეული, საშიში ხასიათი და ახალგაზრდებისადმი პედერასტული მიდრეკილებები აქვს; ამასთან, თავდავიწყებული მოთამაშეა. აქედან დასკვნა: დიდი ვერაფერი შვილია. მხოლოდ კატორღაა მისი სიცოცხლე. თუ რამეში ეჭვი გეპარება, დაასწარი და სანამ „ჩაგიშვებდეს“, ამაღამვე მოკალი.

– არაფერი მიმტკიცებს, რომ „ჩამშვებია“.

– მართალია, – ამბობს გალგანი, – მაგრამ იმასაც არაფერი ამტკიცებს, რომ კარგი ბიჭია. იცოდე, ამ ჯიშის კატორღელებს გაქცევები არ უყვართ, რადგანაც მათი მყუდრო ცხოვრება ირღვევა. სხვა რამეებზე არასოდეს ჩაგიშვებენ, მაგრამ გაქცევისათვის – ვინ იცის...

რჩევას მატიე კარბონიერისაც ვეკითხები. უყოყმანოდ აპირებს ამაღამვე საკუთარი ხელით მოკლას. უშედეგოდ ვცდილობ, გადავათქმევინო. არ მინდა, ვინმე მოეკლა ან მოეაკვლევინო იმის გამო, რომ ვიღაცას რაღაც მოეჩვენა. ბურსე რომ სცდებოდეს? შიშს დიდი თვალები აქვს.

ნარიკს ვეკითხები:

– ბონ ბუი, მაშინ ბებე სელიეს რამე შეამჩნიე?

– არა, კასრი მხარზე შევიდგი, რათა არაბს შიგ არ ჩაეხედა. ჩვენ შეთანხმებულად ვმოქმედებდით. მე, კასრმოკიდებული, კართან უნდა დავრჭობილიყავი და კენიეს დავლოდებოდი. ამგვარად არაბი იფიქრებდა არ ეჩქარებაო და ყურადღებას მოადუნებდა. მოგვიანებით, კენიემ მითხრა, რომ ბებე სელიე დაჟინებით გვიყურებდაო.

– რა აზრის ხარ ამაზე?

– ვფიქრობ, რაკი ეს დეტალი აღმოჩენის შემთხვევაში უტყუარი სამხილი იქნებოდა, ჩემი მოყვარე ძალიან ანერვიულდა და დაიჯერა ის, რაც ეგონა, რომ დაინახა.

– მეც ასე მგონია. ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. ბოლო ნაწილის გამოტანის წინ ჯერ შეამოწმე სელიეს ადგილსამყოფელი, ისევე უფრთხილდი, როგორც „ძაღლებს."

მთელი ღამე ჯოჯოხეთურ თამაშში გავატარე. შვიდი ათასი ფრანკი მოვიგე. რაც უფრო აბნეულად ვთამაშობდი, მით უფრო მიმართლებდა. ხუთის ნახევარზე სამუშაოდ გამოვდივარ, რომელიც მარტინიკელმა ჩემს მაგივრად უნდა შეასრულოს. აღარ წვიმს. ჯერ კიდევ უკუნეთ ღამეში სასაფლაოზე მივდივარ. მიწას ფეხებით ვასწორებ, რადგან ნიჩაბი ვერ ვიპოვე. შვიდ საათზე, როცა სათევზაოდ ჩავდივარ, უკვე მზე ანათებს. მივდივარ რუაიალის სამხრეთ წერტილისაკენ, სადაც ტივის წყალში ჩაშვება მაქვს განზრახული. ზღვა შფოთავს. ეგრძნობ, ძნელი იქნება ნაპირს ისე მოსწყდე, რომ ტალღამ კლდეზე არ მიგანარცხოს. რამდენიმე საათში ხუთ კილოგრამამდე თევზიყლაპიას ვიჭერ. ძალიან დამღალა წუხანდელმა თამაშმა და ჩრდილში დასავენებლად ვჯდები. ვფიქრობ, რომ სამთვიანი დაძაბულობა მალე დამთავრდება, ხოლო რაც შეეხება სელიეს, მისი მოკვლის უფლება არ მაქვს.

მატიეს სანახავად მივდივარ. მისი ბაღის კედლიდან სასაფლაო კარგად მოსჩანს. იქიდან ჟულიეტის სახლისკენ ვაგრძელებ გზას და დაჭერილი თევზის ნახევარს ვაძლევ. იგი მეუბნება:

– პაპიონ, შენზე ცუდი სიზმარი ვნახე – სისხლში მოსერილი იყავი და მიჯაჭვული. რამე სისულელე არ ჩაიდინო. ძალიან მეწყინება, თუ რამე დაგემართება. ისე გამაოგნა იმ სიზმარმა, რომ პირი არ დამიბანია და არც თმები დამივარცხნია. ჭოგრიტით გეძებდი, მაგრამ ვერ გიპოვნე, სად დაიჭირე ეს თევზი?

– კუნძულის მეორე მხარეს ვიყავი, ვერ დამინახავდით.

– რატომ მიდიხარ ასე შორს, იქ, სადაც შენი ჭოგრიტით დანახვა არ შემიძლია? ტალღამ რომ გაგიტაცოს, ზვიგენებისაგან თავის დაღწევაში ვერავინ დაგეხმარება.

– ოჰ! ნუ აჭარბებთ.

– შენ ასე ფიქრობ? გიკრძალავ კუნძულის უკანა მხარეს თევზაობას და თუ არ დამემორჩილები, ამის უფლებას გავაუქმებინებ.

– ნუ ბავშვობთ, მადამ. კარგი, თქვენი ხათრით, ამის შემდეგ თქვენს ბიჭს ვეტყვი ხოლმე, სადაც ვიქნები.

– კარგი. რატომ გაქვს დაღლილი სახე?

– ჰო, დავიღალე, მადამ, ბანაკში დასაწოლად მივდივარ.

– კარგი, წადი, მაგრამ ოთხ საათზე ყავაზე გელოდები. მოხვალ?

– კი, მადამ, ნახვამდის.

თითქოს რეალური პრობლემები არა მქონდეს – ჟულიეტის სიზმარიღა მაკლდა! ბურსე ამბობს, რომ გრძნობს – აშკარად უთვალთვალებენ. უკვე თხუთმეტი დღეა, რაც უკანასკნელ, მეტრნახევრიან დეტალს ველოდები. ნარიკი და კენიე ამბობენ, ყველაფერი რიგზეაო, მაგრამ ის მაინც უარზეა უკანასკნელი ფიცარი მოგვაწოდოს. ეს ტივის მთავარი ნაწილია, ყველა დანარჩენი ხე მის ბუდეებში უნდა ჩაჯდეს. ნარიკი და კენიე ახლა სამლოცველოს შეკეთებაზე მუშაობენ, მასალის გადასაზიდად ურემს იყენებენ და მშვენიერი შესაძლებლობა გვეძლევა დეტალის გასატანად.

ბურსეს ვანვებით და ისიც უგულოდ იწყებს მუშაობას. აცხადებს, რომ, როცა იქ არ არის, დეტალს ვიღაცა იღებს და მერე თავის ადგილზე აბრუნებს. ერთი ბოლოს გამოჩარხვაღაა საჭირო. ვარიგებთ. დამთავრების შემდეგ დაზგის ქვეშ ამოდოს და თმის ბეწვით დანიშნოს. ექვს საათზე ამთავრებს, თმას ამაგრებს და სახელოსნოდან უკანასკნელი გადის. იქ მხოლოდ ზედამხედველია. შუა დღიდან ბანაკში ვარ და კატორღელების დაბრუნებას ველოდები. ყველა მოდის, ბურსეს გარდა. ერთი გერმანელი მიახლოვდება და კარგად დაკეცილ და დანებებულ ბარათს მაძლევს. ერწმუნდები, რომ არ გაუხსნიათ. ვკითხულობ: „თმა ადგილზე აღარ არის, ესე იგი, ვიღაც შეეხო. „ძაღლს" ვთხოვე, სიესტის დროს დავერჩენილიყავი. ნება მომცა და დავამთავრე. ნარიკისა და კენიეს ხელსაწყოებთან დავდებ. რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაიტანონ, იქნებ მოთვალთვალეს დავასწროთ."

ნარიკი და კენიე თანახმა არიან. ისინი სახელოსნოში შესვლისას პირველ რიგებში იქნებიან. ამ დროს ორი კაცი ჩხუბს დაიწყებს. ამას კარბონიერის მხარის ორი კორსიკელი, მასინი და სანტინი კისრულობენ, ისე, რომ არ კითხულობენ რისთვის. ჩხუბისა და ყვირილის დროს ყველა, მათ შორის სელიეც უკან მოიხედავს, რათა გაერკვეს, რა ხდება. ამ ხნის განმავლობაში კენიემ უნდა მოასწროს გამოსვლა, თითქოს რაც ხდება არ აინტერესებს და სამუშაოდ ეჩქარებოდეს. ამ გეგმას ყველა ვიწონებთ. თუ ეს გამოვა, ერთი ორი თვე არაფერს გავაკეთებ, რადგანაც უეჭველია, რომ ვიღაცამ, ან ვიღაცეებმა იციან რასაც ვჩალიჩობთ. შემდგომში ბიჭები გაარკვევენ, ვინ არის ეს ხალხი.

და აი, ორ საათსა და ოცდაათ წუთზე კატორღელები წასასვლელად ეწყობიან. ამოკითხვას ოცდაათი წუთი სჭირდება. მიდიან. ბებე სელიე ოცრიგიანი კოლონის დაახლოებით შუაშია ნარიკი და კენიე – პირველ რიგში, მასინი და სანტინი – მეთორმეტეში. ყველაფერი ზუსტად ისე ხდება, როგორც დაიგეგმა და ოთხ საათზე დეტალი უკვე სხვა მასალებთან ერთად, სამლოცველოშია. იქიდან გატანა ჯერ ვერ შეძლეს, მაგრამ საიმედოდ არის დამალული.

ჟულიეტთან მივდივარ. სახლში არ მხვდება. ადმინისტრაციის შენობის მოედანზე გამოვდივარ. ჩრდილში მასინი და ჟან სანტინი დგანან და დილეგში გაგზავნას ელოდებიან. იცოდნენ, რომ ეს ელოდათ. გვერდზე ჩავლისას ვეკითხები: რამდენი?

– რვა დღე, – მპასუხობს სანტინი.

ერთი კორსიკელი ძაღლი ამბობს:

– სასეიროა, როცა ორი, ერთი მხარის კაცი ჩხუბობს!

ბანაკში ვბრუნდები. ექვს საათზე ბურსე გახარებული მოდის:

– მეგონა, კიბო მქონდა, მაგრამ ექიმისაგან გავიგე, რომ შემცდარა და სრულიად ჯანმრთელი ვარ."

კარბონიერი ჩემს სხვა მეგობრებთან ერთად ზეიმობს და ოპერაციის წარმატებით დამთავრებას მილოცავს. ნარიკი და კენიეც კმაყოფილები არიან. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. მოთამაშეები მოდიან და საღამოს პარტიაზე მეპატიჟებიან, მაგრამ თავის ტკივილს ვიმიზეზებ და ვიძინებ. ყველაზე ძნელი ეტაპი გავლილია და ახლა მკვდარივით მეძინება.

ამ დილით დეტალი ფარულად იქნა გადატანილი კედლის სამალავში. სასაფლაოს დარაჯი ჩვენი სამალავის მხარეს ხშირად გვის ხეივანს და საშიშროების თავიდან ასაცილებლად ყოველ დილით, გამთენიისას, სამარეზე მიწის მოსასწორებლად ხის ნიჩბით მივდივარ. მერე მას კუთხეში ვმალავ და განავლის გამტანის მოვალეობის შესასრულებლად გავრბივარ.

ზუსტად ოთხი თვე გავიდა, რაც გაქცევა მზადდება და ცხრა დღე – ტივის ბოლო დეტალის მიღებიდან. ნვიმა დღისით აღარ მოდის და ხანდახან ღამითაც წყდება. მთელი ჩემი არსებით აფორიაქებული ველოდები H დროს. ჯერ სამალავიდან დეტალი უნდა გამოვიღო და ტივს კარგად მოვარგო. ამის გაკეთება მხოლოდ დღისითაა შესაძლებელი. მერე გაქცევის ჯერიც დადგება! ეს მაშინვე არ მოხდება, რადგან ჯერ ტივი უნდა ამოვიღო, კაკლებით გავტენო და საკვებიც მოვიმარაგო.

გუშინ ჟან კასტელის ყველაფერი მოვუყევი. უხარია, რომ, როგორც იქნა, ბოლოში გავედი.

– ახლა მთვარე პირველ მეოთხედშია, – ამბობს ის.

– ვიცი. ესე იგი, შუაღამისას ხელს ვერ შეგვიშლის. მიქცევა ათ საათზე იწყება. ტივის წყალში ჩასაშვებად ყველაზე მოსახერხებელი დრო დილის პირველი, ან ორი საათი იქნებოდა.

მე და კარბონიერი ვაპირებთ მოვლენები დავაჩქაროთ: ხვალ დილით, ცხრა საათზე, დეტალს მოვარგებთ, ხოლო ღამით გავიქცევით.

მეორე დღეს, დილით, მოლაპარაკებისამებრ, კარბონიერის ბაღის გავლით, სასაფლაოს კედელზე ნიჩბით ხელში ვხტები. სანამ მე მიწას ვაცლი, მატიე დეტალით მოდის. ტივი დასველებულა, მაგრამ კარგ მდგომარეობაშია. მაღლა ამოგვაქვს, რადგან შიგ მუშაობა სივიწროვის გამო უხერხულია. ფიცრის კარგად მოსარგებად იძულებული ვართ, ქვა დავარტყათ. იმ დროს, როცა უკვე ვამთავრებთ და ტივს ძველ ადგილას ვაბრუნებთ, თავზე ერთი მუშკეტმოღერებული ზედამხედველი გვადგება:

– არ გაინძრეთ, თორემ გაგათავებთ! – ტივს თავს ვანებებთ და ხელებს მაღლა ვწევთ. ამ „ძაღლს" ვიცნობ – იგი სახელოსნოს ზედამხედველების უფროსია.

– სისულელე არ ჩაიდინოთ და წინააღმდეგობის გაწევა არ გაბედოთ! გამოჭერილები ხართ და ბედს დამორჩილდით – ამგვარად ტყავს მაინც გადაარჩენთ, რაც ბეწვზე ჰკიდია, რადგან სურვილი მკლავს, ადგილზე ჩაგცხრილოთ. მიდით, ხელები არ ჩამოუშვათ, ისე წადით კომენდატურისაკენ!

სასაფლაოს კართან ერთი გასაღებების მცველი არაბი გეხვდება. „ძაღლი" ეუბნება: – მოჰამედ, გმადლობ კარგი სამსახურისათვის, ხვალ დილით სახლში გამო-

მიარე, მოგცემ, რასაც დაგპირდი.

– მადლობა, – პასუხობს „ბუღა“, – აუცილებლად მოვალ, მაგრამ, შეფ, ბებე სელიემაც უნდა რაღაც გადამიხადოს, არა?

– ეს შენი საქმეა.

– ბებე სელიემ „ჩაგვიშვა“, შეფ?

– მე თქვენთვის ეს არ მითქვამს.

– ეს ერთი და იგივეა. კარგია, როცა იცი.

– მოჰამედ, გაჩხრიკე ეს ხალხი.

არაბი მე და მატიეს ქამრებიდან დანებს გვაძრობს. ვეუბნები:

– მოჰამედ, რა ეშმაკი ხარ, როგორ მიგვიხვდი?

– ყოველ დღე ქოქოსის პალმის წვეროზე მოვექცეოდი ხოლმე, რათა დამენახა ტივი სად დამალეთ.

– ვინ დაგავალა?

– ჯერ ბებე სელიემ, მერე ზედამხედველმა ბრუემ.

– წადით, – ამბობს „ძაღლი“, – გეყოფათ ლაყაფი! ეხლა შეგიძლიათ, ხელები ჩამოუშვათ და ცოტა მოუჭქაროთ.

კომენდატურამდე გასავლელი ოთხასი მეტრი ყველაზე გრძლად მეჩვენება. სასოწარკვეთილი ვარ. ამდენი იბრძოლო და ცვედანიენით ჩავარდე! ღმერთო, რა სასტიკი ხარ ჩემ მიმართ! სანამ კომენდატურამდე მიეაღწევდეთ, კიდევ რამდენიმე „ძაღლი“ გვიერთდება.

წინ გაქცეულ არაბს კომენდანტი უკვე გაუფრთხილებია და ახლა ადმინისტრაციის შენობის კარის წინ გველოდება. აქვეა დეგა და ხუთი უფროსი ზედამხედველი.

– რა ხდება, ბატონო ბრუე? – ეკითხება კომენდანტი.

– ის ხდება, რომ ამ ორ კაცს დანაშაულზე წავასწარით: ტივს მალავდნენ, რომელიც, ჩემი აზრით, უკვე დამთავრებულია.

– რას იტყვით, პაპიონ?

– არაფერს. გამოძიებაზე ვილაპარაკებ.

– დილეგში წაიყვანეთ!

დილეგში მაგდებენ, მისი დაგმანული ფანჯარა კომენდატურის შესასვლელის მხარეს გადის. შიგ სიბნელეა, სამაგიეროდ ქუჩიდან ხალხის ლაპარაკის ხმა აღწევს.

მოვლენები სწრაფად ვითარდება: სამ საათში გამოვყავართ და ბორკილებს გადებენ.

ოთახში ერთგვარი ტრიბუნალი შეკრებილა: კომენდანტი, მეორე კომენდანტი, დაცვის უფროსი. ერთი „ძაღლი“ სასამართლოს მდივნის ფუნქციას ასრულებს. დეგა, ფანქრით ხელში, ჩვენებების ჩასაწერად მზად არის.

– შარიერ და კარბონიერი, მოისმინეთ პატაკი, რომელიც ბატონმა ბრუემ თქვენ წინააღმდეგ შეადგინა:

„მე, ბრუე ოგუსტი, უფროსი ზედამხედველი, „ხსნის კუნძულების“ სახელოსნოს უფროსი, ორ კატორღელს – შარიერსა და კარბონიერის – ბრალს ვდებ სახელმწიფო ქონების ქურდობასა და განიავებაში; მათ თანამონაწილეობაში ბრალს ვდებ დურგალ ბურსეს, ვფიქრობ, რომ შეიძლება, თანამზრახველობაში პასუხისმგებლობა დავაკისროთ ნარიკსა და კენიეს. ვამატებ, რომ შარიერსა და კარბონი-

ერის წავასწარი მადამ პროვეს საფლავის დანაშაულებრივი შებღალვის დროს, რომელიც მათ ტივის სამალავად გამოიყენეს."

– რა გაქვთ სათქმელი? – გვეკითხება კომენდანტი.

– ჯერ ერთი, კაბონიერი აქ არაფერ შუაშია. ტივი მხოლოდ ერთი კატორღელისთვის არის გათვალისწინებული – ჩემთვის. მე ის მხოლოდ ვაიძულე, დამხმარებოდა საფლავიდან საფარის მოსახსნელად, რასაც მარტო ვერ შევძლებდი. მოკლედ, კარბონიერი არ შეიძლება იყოს დამნაშავე სახელმწიფოს კუთვნილი ქონების ქურდობასა და გაფლანგვაში. არც გაქცევის თანამონაწილეა, რადგან ასეთი რამ არ მომხდარა. ბურსე ერთი საბრალო კაცია, რომელიც სიკვდილის მუქარის ქვეშ ვაიძულე დამხმარებოდა. რაც შეეხება ნარიკსა და კენიეს, მე მათ თითქმის არ ვიცნობ. ვაცხადებ, რომ ისინი უბრალონი არიან.

– ჩემი ინფორმატორები სხვას ამბობენ.

– ეს ბებე სელიე, თქვენი ინფორმატორი, ამ შემთხვევას „შეიძლება" ვინმე უდანაშაულოზე შურის საძიებლად იყენებდეს. რა უნდა მოეკითხოს ასეთ არამზადას?

– მოკლედ, – ამბობს კომენდანტი, თქვენ ოფიციალურად გედებათ ბრალი ქურდობასა და სახელმწიფოს კუთვნილი ქონების განიავებაში, აგრეთვე საფლავის შებღალვასა და გაქცევის მცდელობაში. მოაწერეთ ხელი აქტს, თუ შეიძლება.

– არ მოვაწერ, სანამ არ დაამატებთ ჩემს განცხადებას კარბონიერის, ბურსეს, ნარიკისა და კენიეს მიმართ.

– მიღებულია. შეადგინეთ დოკუმენტი.

ხელს ვაწერ. ვერ გადმოგცემთ, რაც გამოიწვია ჩემში ამ მარცხმა. სიგიჟემდე მისული დილეგში გაუნძრევლად ვაგდივარ და სიგარეტს სიგარეტზე ვეწევი. კიდევ კარგი, დეგამ საკმაო თამბაქო შემომიგზავნა. ეზოში სასეირნოდ ყოველდღე გამოვყავარ.

ამ დილით კომენდანტი სალაპარაკოდ მეახლა. უცნაურია: მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გაქცევის შემთხვევაში იგი ყველაზე მეტად დაისჯებოდა, გაბრაზება სულაც არ ეტყობა. ღიმილით მიზიარებს, რომ ჩემ შესახებ მეუღლე ელაპარაკა. ჟულიეტის აზრით, ჩემნაირი კაცისათვის გაქცევაზე ფიქრი ბუნებრივი მოვლენაა. გამომძიებლის სიცბიერით ცდილობს, კარბონიერის თანამონაწილეობა დაეუდასტურო. მეც თითქოს დავარწმუნე, რომ მატიე პატარა დახმარებაზე უარის თქმას ვერ გამიბედავდა. ბურსეს ტივის პროექტი და ჩემი მუქარის წერილებიც მათთვის წარუდგენია. მის მიმართ არავითარი ეჭვი არ ასებობს. ვეკითხები – მისი აზრით, რამდენი შეიძლება, მომისაჯონ სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის. მპასუხობს, რომ თვრამეტ თვეს არ ასცდება.

მოკლედ, ვცდილობ, ნელ-ნელა ამოვცოცდე იმ უფრსკულიდან, რომელშიც მოულოდნელად აღმოვჩნდი. შატალი მატყობინებს, რომ ბებე სელიეს დეზინტერნირებას უფორმებენ და მანამდე, ღვიძლის აბსცესის დიაგნოზით, ჰოსპიტლის ცალკე პალატაში ჰყავთ გარიდებული. აშკარაა, რომ ეს ადმინისტრაციის მიერ არის ჩაწყობილი, რათა შურისძიებისაგან დაიცვან.

არც მე და არც ჩემს დილეგს არასოდეს არ ჩხრეკენ. ამით ვსარგებლობ, რომ დანა შემოვატანინო. ნარიკსა და კენიეს სიტყვას ვუგზავნი, მოითხოვონ ჩემი დაპირისპირება სახელოსნოს ზედამხედველთან, ბებე სელიესთან, დურგალთან და მხო-

ლოდ ამის შემდეგ მიიღოს კომენდანტმა სამართლიანი გადაწყვეტილება – წინასწარი პატიმრობა იქნება ეს, გათავისუფლება, თუ სხვა რამ დისციპლინარული სასჯელი.

დღევანდელ გასეირნებაზე ნარიკი მეუბნება, რომ კომენდანტი თანახმაა ხვალ, ათ საათზე დაპირისპირება მოაწყოს. მთელი ღამის განმავლობაში ვცდილობ, გავიმართლო ის, რასაც ვაპირებ – ბებე სელიეს მოკვლას. არა, ნაღდი უსამართლობა იქნებოდა, ეს კაცი სხვისი ჩაშვების ფასად დიდ მიწაზე გადაეყენებინათ და იქიდან ათესილიყო. კი, მაგრამ, შეიძლება, განზრახ მკვლელობად ჩაგითვალონ და სიკვდილით დასჯაც მოგისაჯონ. ფეხებზე მკიდია! ოთხი თვე იმედით ცხოვრობდე, გამჟღავნების შიში არ გშორდებოდეს და თითქმის ბოლოში გასული, ვიღაც ტ...ის გამო ჩავარდე?! – არა, სელიე უნდა მოკვდეს!

ერთადერთი საშუალება, რაც სიკვდილით დასჯას ამაცილებს, არის ის, რომ ვაიძულო, დანა პირველმა გააძროს. თუ მივახვედრებ, რომ დანა გახსნილი მიჭირავს, ამას გააკეთებს. ეს დაპირისპირების ბოლოს უნდა მოხდეს – მანამდე სარისკოა, რადგანაც, შეიძლება, რომელიმე ზედამხედველმა რევოლვერი დამახალოს. „ძაღლების" ქრონიკული დაუდევრობის იმედი მაქვს.

მთელი ღამის განმავლობაში ვებრძვი ამ აზრს. ვერ ვამარცხებ. ცხოვრებაში მიუტევებელი შეცდომებიც არსებობს. ვიცი, ვინმეს გასამართლების უფლება არ მაქვს, მაგრამ ეს – სხვაგან; აქ კი სხვა სოციალური კატეგორიებია. ასეთი ბილწი პიროვნება აუცილებლად უნდა დაისაჯოს. მე მისთვის არაფერი ცუდი არ გამიკეთებია – არც კი მიცნობდა და, მიუხედავად ამისა, ცოცხლად დამარხვა მომისაჯა, რათა თვითონ თავისუფლება მოეპოვებინა. მან ამით არ უნდა ისარგებლოს! ეს შეურაცხყოფა იქნებოდა! დე, ის ჩემზე უფრო დაისაჯოს! სიკვდილი რომ მომისაჯონ? სისულელე არ იქნება, ეს ამგვარი პიროვნების გამო მოხდეს?! ბოლოს თავს ვპირდები, თუ დანას არ ამოიღებს, არ მოვკლავ.

ღამით თვალი არ მომიხუჭავს და მთელი კოლოფი სიგარეტი მოვწიე. როცა დილის ყავა მოაქვთ, მხოლოდ ორი ღერიღა მრჩება. იმდენად დაძაბული ვარ, რომ, აკრძალვის მიუხედავად, ყავის დამრიგებელს ვეუბნები:

– არ შეგიძლია, შეფის თანხმობით, რამდენიმე ცალი სიგარეტი ან თამბაქო მომცე? ბატონო ანტარტაგლია, მეტი აღარ შემიძლია.

– მიეცი, თუ გაქვს. მე არ ვეწევი. გულწრფელად გითანაგრძნობ, პაპიონ. როგორც კორსიკელს, ვაჟკაცები მიყვარს და ვერ ვიტან პედერასტებს.

ათს რომ თხუთმეტი წუთი აკლია, უკვე ეზოში ვარ და გამოძახებას ველოდები. ნარიკი, კენიე, ბურსე და კარბონიერიც აქ არიან. დარაჯად ანტარტაგლია გვყავს. იგი კარბონიერის კორსიკულად ელაპარაკება.. ვხედები, ეუბნება, რომ შეიძლება სამწლიანი დილეგი აიკიდოო. ამ დროს ეზოში ქოქოსის პალმისა და სახელოსნოს არაბები ბებე სელიესთან ერთად შემოდიან. სელიე ჩემს დანახვაზე კრთება და უკან იხევს, მაგრამ ზედამხედველი ეუბნება:

– მიდით და მარჯვნივ, მოშორებით დადექით. ანტარტაგლია, არ მიუშვათ ესენი ერთმანეთთან!

ორი ნაბიჯი გვაშორებს. ანტარტაგლია ამბობს:

– ორ ჯგუფს შორის ლაპარაკი არ გავიგო!

კარბონიერი ახალმოსულთა დარაჯთან, ასევე კორსიკელთან საუბრობს. სანამ

„ძაღლი" ფეხსაცმლის თასმებს იკრავს, მატიეს ნიშანს ვაძლევ, რათა ცოტა წინ წაიწიოს. მაშინვე ხვდება – ბებე სელიესაკენ ბრუნდება და იფურთხება. ზედამხედველი წელში სწორდება. კარბონიერი გაუჩერებლად ელაპარაკება და ისე იპყრობს მის ყურადღებას, რომ ვერ ხედავს, ადგილს როგორ ვიცვლი. მხოლოდ სელიეს შეუძლია, შეამჩნიოს, რომ ხელში იარაღი მიჭირავს. ელვის სისწრაფით ჯიბიდან გახსნილ დანას ღებულობ, მირტყამს და მარჯვენა ხელის კუნთს მიჭრის. მე ცაცია ვარ და დანას ერთი მოქნევით მუცელში ტარამდე ვუყრი. მხეცივით ღრიალებს და ეცემა. ანტარტაგლია რევოლვერს მიმიზნებს და მეუბნება:

– უკან, უკან დაიხიე, ბიჭიკო! დაცემულს არ დაარტყა, თორემ იძულებული ვიქნები, გესროლო, ამის გაკეთება კი არ მინდა.

კარბონიერი სელიესთან მიდის და თავზე ფეხით ეხება. ორიოდე სიტყვას კორსიკულად ამბობს და ვხვდები, რომ მკვდარია. ანტარტაგლია კვლავ მე მომმართავს:

– მომეცი დანა, პატარავ. – ვაძლევ და რევოლვერის ბუდეში იდებს. მერე რკინის კართან მიდის, აკაკუნებს და ერთ-ერთ ზედამხედველს ეუბნება:

– საკაცე გამოგზავნე, მკვდარია წასაღები!

– რომელია მკვდარი?

– ბებე სელიე.

– აჰ! ვიფიქრე პაპიონი იყო.

დილეგებში გვაბრუნებენ. დაპირისპირება არ შედგა. დერეფანში შესვლამდე კარბონიერი მეუბნება:

– ჩემო საბრალო პაპი, ამჯერად ნამდვილად იქა ხარ.

– ასეა. სამაგიეროდ მე ცოცხალი ვარ, ის კი ჩაძაღლდა.

ზედამხედველი მარტო ბრუნდება, ფრთხილად აღებს კარს და ჯერ კიდევ აღელვებული მეუბნება: – კარზე დააბრახუნე და თქვი, რომ დაჭრილი ხარ. პირველი ის დაგესხა, მე ეს დავინახე, – და ნელა კეტავს.

ეს კოსიკელი „ძაღლები" ან ძალიან ცუდები არიან, ან – ძალიან კარგები. კარზე ვაკაკუნებ და ვყვირი:

– დაჭრილი ვარ, ჰოსპიტალში წაყვანა და შეხვევა მჭირდება!

დარაჯი დისციპლინარული ნაწილის უფროსი ზედამხედველის თანხლებით ბრუნდება:

– რა გჭირს? რა ხმაური ატეხე?

– დაჭრილი ვარ, შეფ.

– აჰ! დაჭრილი ხარ? მეგონა ვერ მოგარტყა, როცა მოგიქნია.

– მარჯვენა ხელის კუნთი მაქვს გადასერილი.

– გააღეთ.

კარი იღება. გავდივარ. კუნთი მართლაც სერიოზულად მაქვს დაზიანებული.

– ბორკილები დაადეთ და ჰოსპიტალში წაიყვანეთ. არავითარი მიზეზით იქ არ დატოვოთ. დაელოდეთ და აქ მოაბრუნეთ!

გასვლისას ათზე მეტი „ძაღლი" კომენდანტთან ერთად დგას. – მკვლელო – მეუბნება სახელოსნოს ზედამხედველი:

სანამ ვუპასუხებდე, კომენდანტი მიმართავს:

– ვაჩუმდით, ზედამხედველო ბრუე, პაპიონს თავს დაესხნენ.

– ამაში ეჭვი მეპარება, – პასუხობს ბრუე.

– მე ეს საკუთარი თვალით ვნახე, – ამბობს ანტარტაგლია, – და დაიმახსოვრეთ, ბატონო ბრუე, რომ კორსიკელი არასდროს ცრუობს.

ჰოსპიტალში შატალი ექიმს უხმობს. იგი ყოველგვარი გამაყუჩებლის გარეშე, ხმის ამოუღებლად, რვა ნაკერს მადებს. ტკივილს არ ვიმჩნევ. მეუბნება:

– ანესთეზიას ვერ ჩაგიტარებდი, რადგან ნემსები აღარ მაქვს... – მერე ამატებს: – არ არის კარგი ის, რაც შენ ჩაიდინე.

– ოჰ! ამას ნუ იტყვით! დიდხანს მაინც ვეღარ იცოცხლებდა, ღვიძლის აბსცესი სჭირდა.

ასეთ პასუხს არ ელოდა და მონუსხულივით მომჩერებია.

გამოძიება მიმდინარეობს. ბურსეს პასუხისმგებლობა მთლიანად ეხსნება. იჯერებენ, რომ მე ვაშინებდი. ამას ჩემი განცხადებებიც უწყობს ხელს. ნარიკსა და კენიესაც ამართლებენ – სამხილის უქონლობის გამო. ვრჩებით მე და კარბონიერი. ვახერხებთ, მას სახელმწიფო ქონების ქურდობისა და განიავების ბრალდება ავაცილოთ. გაქცევის მცდელობაში თანამონაწილეობისათვის ექვს თვეზე მეტს არ მიიღებს. ჩემი საქმე კი უკიდურესად რთულადაა: მიუხედავად მოწმეებისა, გამოძიება არ იჯერებს, რომ აუცილებელი მოგერიება იყო. დეგა ჩემს მასალებს გაეცნო და მეუბნება, რომ, როგორც არ უნდა გაისარჯონ, გამომძიებლები სიკვდილს მაინც ვერ მომისჯიან, რადგანაც დამჭრეს. ჩემი ბრალდება მხოლოდ ორი არაბის ჩვენებაზე ეყრდნობა, რომლებიც აცხადებენ, დანა ჯერ მაგან ამოიღოო.

გამოძიება მთავრდება. სამხედრო ტრიბუნალისთვის სენ-ლორანში უნდა წამიყვანონ. დილეგში მოწევის გარდა არაფერს ვაკეთებ. სეირნობის ერთი საათი დამიმატეს. სახელოსნოს ზედამხედველისა და გამომძიებლის გარდა ჩემს მიმართ მტრობა არავის გამოუხატავს. თამბაქოს შემოგზავნას ხელს არავინ უშლის.

პარასკევს წამიყვანენ. დღეს ხუთშაბათია. გუშინ, დილით, ათ საათზე, ეზოში ვარ, როცა კომენდანტი მიძახებს და მეუბნება:

– წამოდი ჩემთან!

ესკორტის გარეშე მივყვები მისი სახლისაკენ მიმავალი გზით, თან მელაპარაკება:

– წასვლამდე ჩემს ცოლს შენი ნახვა უნდა. არ მინდოდა მეწყენინებინა, ამიტომ არ გამოგაყოლე შეიარაღებული ზედამხედველი. იმედი მაქვს, კარგად მოიქცევი.

– რა თქმა უნდა, ჩემო კომენდანტო.

შევდივართ მის სახლში:

– ჟულიეტ, როგორც დაპირდი, შენი პროტეჟე მოგიყვანე. ერთი საათი დრო გაქვს, შუდღემდე უნდა დავაბრუნო, და თავაზიანად გადის.

ჟულიეტი მიახლოვდება, მხარზე ხელს მადებს და პირდაპირ თვალებში მიყურებს. შავი თვალები ცრემლებით აქვს სავსე, რომელთაც, საბედნიეროდ, იკავებს:

– გაგიჟდი, ჩემო მეგობარო? ჩემთვის რომ გაგემხილა, წასვლას აპირებდი, იქნებ რამეში დაგხმარებოდი. ქმარს ვთხოვე, რამე ელონა, მაგრამ, საუბედუროდ, ეს მასზე არ არის დამოკიდებული. იმიტომ მოვაყვანინე შენი თავი, რომ, ჯერ ერთი, ნახვა მინდოდა, მეორეც, მსურს, თევზის საფასური გადაგიხადო, რითაც ამდენი ხნის განმავლობაში ასე დიდსულოვნად მამარაგებდი. მიხარია, რომ უფრო უკეთესად გამოიყურები, ვიდრე მეგონა. ვწუხვარ, რომ ვერაფრით გეხმარები.

– მომისმინეთ, მადამ, ფული არ მჭირდება. გამიგეთ, რომ ამ თანხის აღება ჩვენს მეგობრობას გააუფერულებს. ნუ დაიჟინებთ, გთხოვთ.

– კარგი, რაკი ასეა... პასტისს დალევ?

ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში ამ მშვენიერი ქალის ტკბილ სიტყვებს ვისმენ. მისი აზრით, განზრახ მკვლელობის ბრალდებას მომიხსნიან და მხოლოდ თვრამეტი თვიდან ორ წლამდე მივიღებ.

წამოსვლისას დიდხანს მართმევს ხელს და ქვითინით მეუბნება:

– ნახვამდის, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

კომენდანტი დილეგისკენ მაცილებს. გზაში ვეუბნები:

– კომენდანტო, თქვენ ამქვეყნად ყველაზე კეთილშობილი ცოლი გყავთ.

– ვიცი, პაპიონ, იგი აქ საცხოვრებლად არ არის დაბადებული, მაგრამ, რა ვქნა? კიდევ კარგი, ოთხ წელიწადში პენსია მიწევს.

– შემთხვევით ვსარგებლობ კომენდანტო და მინდა მადლობა გითხრათ მფარველობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ, თუ გავიქცეოდი, ყველაზე მეტად თქვენ დაზარალდებოდით.

– ჰო, დიდ თავსატეხს გამიჩენდი. მიუხედავად ამისა, გინდა, ერთი რამ გითხრა? შენ იმსახურებდი, რომ ეს გამოგესელოდა. – უკვე მისულები ვართ, როცა ამატებს: – მშვიდობით, პაპიონ, ღმერთი გფარავდეს, შენ ამის საჭიროება გექნება.

– მშვიდობით, კომენდანტო.

ჰო, დამჭირდება ღმერთის დახმარება, რადგან სამხედრო ტრიბუნალი, ჟანდარმერიის ვიღაც ოთხგალონიანი კომენდანტის თავმჯდომარეობით, ჩემ მიმართ ულმობლობას იჩენს. სახელმწიფო ქონების ქურდობისა და განიავებისათვის, საფლავის შებღალვისა და გაქცევის მცდელობისათვის – სამ წელს, ხოლო სელიეს მკვლელობისთვის – ხუთ წელს მისჯის, გადაფარვის გარეშე. ჯამი: რვა წელი დილეგი. რომ არ დავჭრილიყავი, სიკვდილს მომისჯიდა. ჩემ მიმართ ასეთი მკაცრი ტრიბუნალი, საპირისპიროდ, ლმობიერად მოექცა ორი კაცის მკვლელ პოლონელს, სახელად დანდოსკის და მხოლოდ ხუთი წელი მიუსაჯა, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად განზრახ მკვლელობას ჰქონდა ადგილი.

დანდოსკი საფუნთუშეში მუშაობდა. მას მხოლოდ საფუარის მომზადება ევალებოდა. შრომა დილის სამიდან ოთხ საათამდე უწევდა და, რაკი ზღვა იქვე იყო, დანარჩენ დროს თევზაობაში ატარებდა. ბუნებით მშვიდი, ფრანგულად ცუდად ლაპარაკობდა და ამიტომაც სხვებთან ურთიერთობას ერიდებოდა. მის კატორღულ ცხოვრებას ერთი ფუმფულა, შავი, მწვანეთვალება კატა ალამაზებდა, რომელიც დღისით და ღამით არ შორდებოდა: მასთან ერთად იძინებდა, დაჰყვებოდა სამუშაოზე და სათევზაოდ. როცა ძალიან ცხელოდა და ჩრდილს ვერ იპოვიდა, კატა მარტო ბრუნდებოდა საფუნთუშეში და მეგობრის ჰამაკში წვებოდა. როცა შუადღის ზარი ჩამოკრავდა, პოლონელის შესახვედრად გარბოდა და დიდხანს ეთამაშებოდა მისთვის დაჭერილ ლიფსიტას. მოკლედ, დიდ სიყვარულობანაში ცხოვრობდნენ.

მეპურეები საფუნთუშის გვერდით ოთახში ერთად ცხოვრობდნენ. ერთ დღეს, ორი მათგანი – კორაცი და ანჯელო – დანდოსკის კურდღლის ყაურმაზე პატიჟებენ. კორაცი ამ კერძს კვირაში ერთხელ მაინც ამზადებდა და ამიტომ დანდოცკის ეჭვი არაფერში ეპარება, უფრო მეტიც: თავის მხრივ, ბოთლ ღვინოს ჩამოდის.

საღამოს კატა არ ჩანს. პოლონელი მას მთელი კვირის განმავლობაში უშედეგოდ ეძებს; დარდისაგან არც ჭამს და არც სვამს, რადგან ამქვეყნად ერთადერთი საყვარელი არსება ასე უცნაურად გაუჩინარდა. მისი მწუხარების შეყტყობის შემდეგ ერთ-ერთი ზედამხედველის ცოლი კნუტს სთავაზობს, მაგრამ იგი, აღშფოთებული, უარზეა: როგორ შეიძლება უყვარდეს სხვა კატა, ეს ხომ გაუჩინარებული ცხოველის შეურაცხოფა იქნება!

ერთ საღამოს კორაციმ მიბეგვა ერთ-ერთი შეგირდი, რომელიც ღამე ბარაკში მიდიოდა ხოლმე დასაწოლად. გაბრაზებული ბიჭი მაშინვე დანდოსკისთან გარბის და ეუბნება:

– იცი, რომ იმ დღეს კორაციმ და ანჯელომ შენი კატის ყაურმაზე დაგპატიჟეს?

– საბუთი! – უყვირის პოლონელი და საყელოში უჭერს.

– დავინახე, ნავსაყუდელთან, მანგოს ხის უკან, როგორ ჩამარხა კორაციმ კატის ტყავი.

გაგიჟებული პოლონელი გარბის და მართლაც, მინიშნებულ ადგილას თავისი კატის ნახევრად დამპალ თავსა და ტყავს პოულობს. თხრის მათ, რეცხავს ზღვის წყალში, აშრობს, მერე სუფთა თეთრეულში ახვევს და მშრალ ადგილას მარხავს, რათა ჭიანჭველებმა არ შეჭამონ.

ღამით, ნავთის ლამპის შუქზე, საფუნთუშის ოთახში, კორაცი და ანჯელო გეერდიგეერდ სხედან და ორ სხვა კატორღელთან ერთად ბელოტს თამაშობენ. დანდოსკი ორმოციოდე წლის, საშუალო ტანის, ჯმუხი, მხრებგანიერი და ღონიერი კაცია. წინასწარ მომზადებული რკინის ხის კეტით უკანიდან ეპარება და ორივეს ბროწეულებივით უხეთქავს თავებს. მერე, გაცოფებული, ძირს დანთხეულ ტვინს იღებს და კედელზე უსვამს. ირგვლივ ყველაფერი სისხლში არეული ტვინით არის მოთხვრილი.

როგორც მოგახსენეთ, ჟანდარმერიის კომენდანტმა მე ვერ გამიგო, სამაგიეროდ, ორი კაცის განზრახ მკვლელობისათვის მას მხოლოდ ხუთი წელი „შიართვა".

ისევ საპყრობილეში

იმ პოლონელზე გადაჯაჭვული ვბრუნდები კუნძულებზე. სენ-ლორანის დილეგი წესიერად ვერცკი გავიცანით: მივედით ორშაბათს, გაგვასამართლეს ხუთშაბათს და პარასკევს დილით უკან გამოგვაბრუნეს. კუნძულზე თექვსმეტი კაცი გადმოვდივართ, რომელთაგან თორმეტს დილეგი აქვს მისჯილი. ზღვა ძალიან ღელავდა და გემს ტალღები ხშირად ევლებოდა გემს თავზე. ისე ვიყავი სასოწარკვეთილი, რომ რამდენჯერმე ვინატრე, ჩავძირულიყავით. ხმას არავის ვცემდი. ცივი, სველი ბრიზი სახეზე მიტყლაშუნებდა და ყურადღება არც კი მიმიქცევია, როცა ქარმა ქუდი მომტაცა – მხოლოდ თვალი გავაყოლე. მერე ზღვის ჰაერმა ცოტა აზრზე მომიყვანა:

„ბებე სელიე ზვიგენებმა შეთქვლიფეს, შენ კი ოცდაათი წლისა ხარ და მხოლოდ რვა წელი გაქვს მოსახდელი." თუმცა, ნუთუ შესაძლებელია, „კაციჭამიას" კედლებში რვა წელი გაძლო? იმის მიხედვით, რაც მე ვნახე, ოთხი ან ხუთი წელი უკიდურესი ზღვარი უნდა იყოს. სელიე რომ არ მომეკლა, სამ წელზე მეტს არ მომცემდნენ, შეიძლება, ორამდეც დასულიყვნენ. ამ მკვლელობამ ყველაფერი გადაფარა, გაქცევის მცდელობაც კი. არ უნდა „გამესაღებინა" ის დამპალი. ახლა იმის დრო

არ არის, თავის მართლებას მოვყვე, მხოლოდ ერთ რამეზე უნდა ვიფიქრო – ვიცოცხლო და გავიქცე. როგორ დავუშვი ასეთი შეცდომა? ცოტა რომ მოეცადა და ჩემკენ არ გამოქანებულიყო, არ მოვკლავდი.

იმ ზედამხედველებიდან, რომლებიც ახლა გვაცილებენ, ერთს დილეგიდან ვიცნობ. არ ვიცი რა ჰქვია. სურვილს ვერ ვიკავებ და ვეუბნები:

– უფროსო, შეიძლება შეგეკითხოთ? გაკვირვებული მიახლოვდება:

– რა გინდათ?

– თუ იცნობთ ვინმეს, ვისაც დილეგში რვა წელი გაუძლია?"

ცოტა ხანს ფიქრობს და მერე მეუბნება:

– არა. სამაგიეროდ, ვიცნობდი რამდენიმე კატორღელს, ვინც ხუთი წელი გაატარა იქ და ერთ-ერთი მათგანი მეექვსე წელს სრულიად ჯანმრთელიც კი გამოვიდა. იქ ემსახურობდი, როცა გაათავისუფლეს.

– მადლობა.

– არაფრის. შენ რვა წელი უნდა იჯდე, არა?

– დიახ, უფროსო.

– თუ გამოსვლა გინდა, დასჯის საბაბი არ მისცე, – და მიდის.

ეს ფრაზა ჩემთვის მნიშვნელოვანია. ასეა, ცოცხალი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვალ, თუ არასოდეს დავისჯები. დილეგში ეს საკვების ნაწილობრივ შეზღუდვით ხდება და, თუნდაც მერე ნორმალურ რეჟიმში დაგაბრუნონ, საბოლოოდ ველარასოდეს მომჯობინდები. ხშირ დასჯას ბოლომდე ვერ გაუძლებ – ჩაძაღლდები. დასკვნა: არ უნდა დავთანხმდე ქოქოსის კაკლის ან სიგარეტების შემოგზავნას. ბარათებზეც უარი უნდა ვთქვა.

არაფერი, აბსოლუტურად არაფერი არ უნდა მაკავშირებდეს გარე სამყაროსთან. ერთი აზრი მომდის: ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეიძლება სასჯელის საშიშროების გარეშე, არის ის, რომ ვიღაცამ საჭმლის გამანაწილებელი მოისყიდოს, რომ ხორცის კარგი ნაჭრები და ბოსტნეულიანი წვნიანი მეტი დამისხას ხოლმე. ეს ძნელი არ უნდა ჩანდეს. გადაწყვეტილების მიგნება სიმხნევეს მმატებს: ასე ჯანმრთელობას შევინარჩუნებ, ხოლო, რომ არ გავგიჟდე, ოცნებისთვის ბედნიერებით აღსავსე სიუჟეტებს ავირჩევ ხოლმე.

ნაშუადღევის სამ საათზე უკვე კუნძულებზე ვართ. გადასვლისთანავე ჟულიეტის ღია ყვითელ კაბას ვამჩნევ. გვერდით ქმარი უდგას. სანამ დაგვამწკრივებდნენ, კომენდანტი ჩქარი ნაბიჯით მოდის ჩემთან და მეკითხება:

– რამდენი?

– რვა წელი.

ცოლთან ბრუნდება და ელაპარაკება. აღელვებული ქალი, შეიძლება ღონემიხდილიც, ქვაზე ჯდება. ქმარი მკლავში კიდებს, იგი დგება ხელს, თავისი დიდი თვალებით დამწუხრებულ მზერას მესერის და ორივე უკანმოუხედავად მიდის.

– პაპიონ, – მეკითხება დეგა, – რამდენი?

– რვა ნელი დილეგი.

თავჩაღუნული ხმას არ იღებს. გალგანი მიახლოვდება. სანამ რამეს მეტყოდეს, ვეუბნები:

– არაფერი გამომიგზავნო და არც მომწერო. არ მინდა, სასჯელები ავიკიდო.

– მესმის.

სწრაფად, დაბალ ხმაზე ვამატებ:

ისე მოაწყვე, რომ შუადღესა და საღამოს, რაც შეიძლება კარგად მაჭამონ. თუ ამას მოაგვარებ, შესაძლებელია, ერთ დღეს კლავ ვნახოთ ერთმანეთი. მშვიდობით.

ჩემი ნებით ვჯდები სენ-ჟოზეფისაკენ მიმავალ პირველ ნავში. ყველა ისე მიყურებს, თითქოს კუბოში ვიწვე და სამარეში მიშვებდნენ. ხმას არავინ იღებს. გზაში შაპარს იმავეს ეუმეორებ, რაც გალგანის ეუთხარი. ამბობს, რომ ეს ძნელი მოსაგვარებელი არ უნდა იყოს და მთავარია, გაემაგრდე. მერე მეკითხება: – მატიე კარბონიერი?

– ბოდიში, დამავიწყდა: მოსამართლემ საბოლოო გადაწყვეტილებამდე დამატებითი გამოძიება მოითხოვა. ეს კარგია თუ ცუდი?

– ვფიქრობ, კარგია.

სატუსაღოსაკენ მიმავალი კოლონის პირველ რიგში მივდივარ. ისე ვჩქარობ ჩემს საკანში მოხვედრას, რომ „ძაღლი" მეუბნება:

– ცოტა ნელა, პაპიონ! ისე გარბიხარ, თითქოს იქ დაბრუნება გეჩქარებოდეს, საიდანაც ახლახანს გამოხვედი.

მივედით.

– გაშიშვლდით! წარმოგიდგენთ სატუსაღოს კომენდანტს.

– ვწუხვარ, რომ დაბრუნდი, პაპიონ, – მეუბნება ის, – A შენობის 127-ე საკანში იქნები. ყველას ეს ჯობს, რადგან ეზოში გამოსასვლელთან ახლოს იქნები და სინათლე და ჰაერი გექნება. რვა წელი ცოტა არ არის, მაგრამ, ვინ იცის, შეიძლება კარგი ქცევით ერთი ან ორი წელი ჩამოიკლო. ვისურვებ – ასე მოხდეს, რადგან გაბედულ კაცად მიმაჩნიხარ."

მართლაც, ჩემი საკანი დიდი გისოსებიანი კარის წინ არის და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე საღამოს ექვსი საათია, სინათლე საკმარისად აღწევს. არც ჩემი პირველი საკანივითაა აყროლებული; ეს ცოტა მამხნევებს. „ჩემო საბრალო პაპიონ, ამ ოთხ კედელს უნდა უყურო რვა წლის განმავლობაში. საათების თვლაზე უარი თქვი – რა აზრი აქვს? ჯობია, ექვს-ექვსი თვე იანგარიშო – თექვსმეტ თვლაზე უკვე თავისუფალი იქნები. ავადმყოფობის შემთხვევაში ექიმს შესაძლებლობა ექნება, შენი სიფათი დაინახოს და თუ ჩაძაღლება გიწერია, სინათლეში მაინც მოკვდები. სიბნელეში სიკვდილი სასიამოვნო არ უნდა იყოს. სასაყვედურო არაფერი გაქვს – არც გაქცევის სურვილი და არც სელიეს მოკვლა. წარმოიდგინე, როგორ დაიტანჯებოდი, თუ შენი აქ ყოფნის პერიოდში გაიქცეოდა. დროს მივენდოთ. ვინ იცის, იქნებ ამნისტია გამოაცხადონ, ომი დაიწყოს, მიწისძვრა მოხდეს, ან ამ კუნძულს ტაიფუნმა გადაუაროს და ეს ციხესიმაგრე მიანგრ-მოანგრიოს. რატომაც არა? იქნებ გამოჩნდეს ვინმე პატიოსანი ადამიანი, რომელიც საფრანგეთში მოხვედრისას შეძლებს ხალხი იმ ზომამდე ააღელვოს, რომ კატორღის ხელმძღვანელობა აიძულოს შეწყვიტოს ადამიანების ამგვარად დასჯა?! შეიძლება ვინმე ექიმმა, რომელსაც ყელში ამოუვა ის, რასაც აქ ხედავს, მოუყვეს ამის შესახებ ჟურნალისტს, ან მღვდელს...რა ვიცი? რაც უნდა იყოს, სელიე დიდი ხანია, ზვიგენებმა მოინელეს, მე კი აქ ვარ, ღირსება არ დამიკარგავს და აკლდამიდან ცოცხლად ამოსვლას ვაპირებ."

სიარულს ვიწყებ: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი – ნახევარბრუნი. ადვილად

ვიბრუნებ მანძილისა და ნაბიჯების სიგრძის ჩვევას. სანამ გავარკვევდე, კარგი კვება მექნება თუ არა, მხოლოდ ორ-ორ საათს ვივლი. პირველ დღეებში ენერგია უსარგებლოდ არ უნდა გაფლანგო.

ჰო, სავალალოა, რომ ბოლო წერტილამდე მივედით და მერე ჩავვარდით. თანაც, ეს გაქცევის პირველი ნაწილი იყო – კიდევ ას ორმოცდაათი კილომეტრი გვქონდა გადასალახავი იმ უბადრუკი ტივით. მერე დიდი მიწიდან ახალი გაქცევა უნდა მოგვეწყო. თუ ზღვაში გასვლას შევძლებდით, ფქვილის ტომრებისაგან გაკეთებული აფრა საათში ათი კილომეტრით მიგვაწვებოდა და თხუთმეტ საათში დიდ მიწას მივადგებოდით. ისიც მაშინ, თუ იწვიმებდა, რადგანაც აფრის აღმართვას სხვა შემთხვევაში ვერ გავბედავდით. ეგონებ, როცა დილეგში ჩამაგდეს, წვიმა დაიწყო.

ვცდილობ, ჩვენს მოქმედებებში შეცდომები აღმოვაჩინო. ვპოულობ მხოლოდ ორს. პირველი: დურგალმა მეტისმეტი მოინდომა, როცა ტივის ქოქოსის კაკლებით გამოტენა გადაწყვიტა. ამგვარად, ერთის მაგივრად, ორი ტივი გამოვიდა და, შედეგად, მისი მალულად დამზადებისთვის დიდი დრო დაიხარჯა; მეორე და უფრო მძიმე, სელიე პირველი სერიოზული ეჭვების გაჩენისთანავე, იმავე ღამეს უნდა მომეკლა. ეს რომ გამეკეთებინა, ვინ იცის, ახლა სად ვიქნებოდი – დიდ მიწაზე! ან, გნებავთ, ტივის ჩაშვების დროს რომ გამოვეჭირე, სამ წელზე მეტს არ მივიღებდი. ყველაფერს კარგად რომ ჩაეცლო, ნეტავ ახლა სად ვიქნებოდი – კუნძულებზე, თუ დიდ მიწაზე? მიდი და გაიგე! შეიძლებოდა, ახლა ტრინიდადში ბოვენთან მესაუბრა, ან კურასაოზე ეპისკოპოს ირენე დე ბრიუენის მფარველობის ქვეშ ვყოფილიყავი. იქიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში გავაგრძელებდი გზას, როცა დავრწმუნდებოდით, რომ რომელიმე ერი ჩვენს მისაღებად მზად იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემთვის ძნელი არ იქნებოდა მარტო, პატარა ნავით გავსულიყავი გვახიროსკენ – ჩემი ტომისაკენ.

გვიან ჩამთვლიმა. უშფოთველად მეძინა. პირველი ღამე არც თუ ისე ძნელი გამოდგა. როცა სასოწარკვეთა შემიპყრობს, სამჯერ უნდა გავიმეორო ეს სიტყვები: „სანამ ცოცხალი ხარ, იმედი არსებობს."

ერთი კვირა გავიდა. გუშინ ჩემს საკვებში უკვე ცვლილებები შევამჩნიე: სადილზე ვიღებ ხორცის მოზრდილ ნაჭერს და საღამოს – მთელ კარდალა ოსპის შეჭამანდს, თითქმის წვენის გარეშე. თავს ბავშვივით ვუჩიჩინებ: „ოსპში რკინაა და ძალიან მარგებელია."

თუ ასე გაგრძელდა, დღეში ათ, თორმეტ საათს ვივლი და მერე, დაღლილი, ოცნებების მორევში გადავეშვები. თუმცა ახლა უფრო რეალობაში ვრჩები და ვიხსენებ კატორღულ ცხოვრებაში შეხვედრილ თუ თავს გადახდენილ ისტორიებს. თითოეულ პატიმარს თავისი ანმყო და წარსული აქვს. კუნძულებზე თუ გავაღწევ, უნდა გადავამოწმო – სამლოცველოს ერთ-ერთი ასეთი ისტორია, – ზარზე მოგახსენებთ:

როგორც ადრე ვთქვი, კატორღელებს ზღვაში, სენ-ჟოზეფსა და რუაიალს შორის, ზვიგენებით სავსე ადგილას „მარხავენ": მკვდარს ფქვილის ტომრებში ახვევენ, ფეხებზე მსხვილი თოკით ქვას აბამენ და ერთი და იმავე ყუთით ზღვაში გააქვთ. იმ ადგილამდე მისვლისას, ექვსი მენავე, პატივისცემის ნიშნად, ნიჩბებს ვერტიკალურად იჭერს, ორი კი „კუბოს" უხსნის ბოლოს, აყირავებს და ცხედარი

ზღვაში ეშვება. გვამი ჩაძირვას ვერ ასწრებს, რადგანაც ზვიგენები მაშინვე აგლეჯენ ქვიან თოკა და ფქვილის ტომრებს. როგორც მიამბე, იმის დანახვა, თუ როგორ ფლეთავენ ისინი საბრალოს, საზარელია. ხდება ხოლმე, რომ წყლის ზედაპირზე მიაქანებენ და ერთმანეთს პირიდან სტაცებენ. ეს ზუსტად ასე ხდება, მაგრამ, ერთი რამის გადამოწმება ვერ შევძელი: პატიმრები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ზვიგენებს სამლოცველოს ზარის ხმა იზიდავსო. საერთოდ, თურმე, ზემოდან რომ გადაიხედავ, იმ ადგილას ზვიგენის ჭაჭანება არ არის, მაგრამ, როგორც კი ვინმე მოკვდება და საღამოს ექვს საათზე ზარს ჩამოჰკრავენ, ისინი მაშინვე ზუსტად იმ ადგილას გროვდებიან და ზუსტად დაკრძალვის დროს. იმედი ვიქონიოთ, რომ მე მათი საკბილო არ გავხდები. გაქცევისას კიდევ ჰო, მაგრამ აედმყოფობით სიკვდილის შემდეგ – ღმერთმა დამიფაროს!

ჩემი მეგობრების წყალობით კარგად ვჭამ და ჯანსაც არ ვუჩივი. დილის შვიდი საათიდან საღამოს ექვს საათამდე გაუჩერებლად დავდივარ. ამიტომაც, საღამოს, ბოსტნეული იქნება, ლობიო, ოსპი თუ ცხიმში მოხარშული ბრინჯის სალაფავით საცვი კარდალა – ბოლომდე იცლება. გაორებას სიარულის დროსაც ვახერხებ. გუშინ, მაგალითად, მთელი დღე არდეშის ერთ პატარა ქალაქ ფავრას მდელოებზე გავატარე. დედა რომ გარდამეცვალა, იქ ხშირად რამდენიმე კვირით მაგზავნიდნენ დეიდასთან, რომელიც სკოლის მასწავლებელი იყო. მოკლედ, გუშინ წაბლის ტყეში ვიხეტიალე – სოკოებს ვაგროვებდი. მერე ერთ ჩემს პატარა მეგობარ მწყემსთან ვერთობოდი, რომელიც თავის ძაღლს ბრძანებებს აძლევდა და ისიც ხან გაბნეულ ცხვარს აბრუნებდა, ხან მეტად ცნობისმოყვარე თხას სჯიდა. მინიდან ამოხეთქილ მინერალურ წყალს რომ ვეწაფებოდი, გარკვევით ვგრძნობდი მის ბუშტულებს, ცხვირში რომ მიღიტინებდნენ – და ეს თხუთმეტი წლის წინ იყო! წარმოდგენის ამ დონემდე მიღწევა მხოლოდ აქ შეიძლება, საკანში, აბსოლუტურ სიჩუმეში.

დეიდა ოსტენის ყვითელ კაბასაც კი ვხედავ; მესმის ნიაგის ჩურჩული წაბლის ხეებში, როგორ ვარდება ნაყოფი და ეცემა ფოთლებზე; მახსოვს, მაშინ, უეცრად, ერთი ზორბა ტახი გამოხტა და ისე შემაშინა, რომ თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი, შეგროვილი სოკო სულ დამეფანტა.

დიახ, მთელ დღეს ფავრაში ვიყავი დეიდასა და პატარა მწყემს ჟულიენთან ერთად.

საზოგადოებისათვის მე „კაციჭამიას" ერთ-ერთ დილეგში ვარ. რა იციან, მთელი დღე რომ მოვპარე და ფავრაში, მდელოებზე გავატარე და პეშვით მინერალური წყალიც კი დავლიე!

აი, პირველი ექვსი თვე მიილია. პირობა შევასრულე, ექვს-ექვს თვეს ვითვლი. დამრჩა კიდევ თხუთმეტჯერ ექვსი. ამ ექვს თვეში ადმინისტრაციასთან არავითარი გართულება არ მქონია. საკვები ნორმალური და ჯანმრთელობას არ ეუჩივი. ირგვლივ ბევრი თვითმკვლელობა მოხდა და ბევრიც გაგიჟდა. კიდევ კარგი, ისინი მალე გაჰყავთ. იმაზე საშინელი არაფერია, როცა საათობით და, ზოგჯერ – დღეების განმავლობაში, მოთქმა და კვნესა გესმის. ერთი კარგი რამ მოვიფიქრე, მაგრამ ეგონებ, ყურებს არ უნდა რგებდეს: მათში საპნის ნატეხებს ვიტენი, რათა ეს ხმები არ გავიგონო. საუბედუროდ, მერე ყურები დიდხანს მტკივა.

პირველად, რაც კატორღაში ვარ, არ შემრცხვა დავმდაბლებულიყავი და „ძაღლისთვის" მეთხოვა, ცვილი მოეტანა ყურებში გასაკეთებლად. ეს შეჭამანდის

დამრიგებელი ზედამხედველი თითქმის ჩემი მხარის კაცია – მონტელიმარიდანაა. რუაიალზე გავიცანი. მეორე დღესვე მომართვა. დაუჯერებელი ბედნიერებაა, როცა იმ საბრალოების გოდებას აღარ იგებ.

დიდი მრავალფეხებით კარგად ვერთობი. ექვს თვეში მხოლოდ ერთხელ მიკბინა. მიჩვეული ვარ, გაღვიძებისას ჩემს შიშველ სხეულზე მოსეირნეებს რომ ვხედავ. თუ უხერხულად დაიჭერ, აუცილებლად გიკბენს. ჯობია დაელოდო, რომ თვითონვე ჩავიდეს და მერე გაჭყლიტო. ცემენტის სკამზე ყოველთვის მიდევს პურის ორი-სამი ნატეხი და ისინიც მის სუნზე მიდიან. მაშინ ვხოცავ.

ერთი აკვიატებული აზრი თავიდან ვერ მოვიშორე: რატომ არ მოვკალი ბებე სელიე იმავე დღეს, როცა ეჭვები გაჩნდა მისი დამღუპველი როლის შესახებ? მაშინ, გაუთავებლად ვეკამათებოდი საკუთარ თავს: გვაქვს ვინმეს მოკვლის უფლება? ახლა კი ვასკვნი: მიზანი ამართლებს საშუალებას. ჩემი მიზანი გაქცევა იყო. მომეცა შესაძლებლობა ტივი შემეკრა და საიმედო ადგილას დამემალა. წასვლა დღეების საქმე იყო. როცა გავიგე, რომ სელიესაგან საფრთხე მელოდა, უყოყმანოდ უნდა „გამესაღებინა". ეჭვი რომ არ გამართლებულიყო?! ხომ უდანაშაულოს მოკლავდი! თუმცა, რა სინდისზე აგდებ საკუთარ თავს შენ, სამუდამო კატორღელო, უფრო მეტიც – რვა წლით დილეგში ჩაყუდებულო! ხომ არ გგონია, საზოგადოებისაგან სიბინძურესაგით მოშორებულო, იმ ჟიურის თორმეტ წევრს ერთხელ მაინც წამოუვლის სინდისის ქენჯნა შენი ასე უმოწყალოდ დასჯისათვის?! ანდა პროკურორი, რომლისთვისაც ჯერ ვერ გადაგიწყვეტია, ენას როგორ ამოგლეჯ, თუნდაც ერთხელ შეეკითხება თავს, ზედმეტი ხომ არ მომივიდაო?! თვით შენს ადვოკატებსაც კი უეჭველად დაავიწყდებოდი. მხოლოდ იშვიათად, 1932 წლის სასამართლოს სხდომების გახსენებაზე, მაღალფარდოვანი სიტყვებით შეიძლება მიმართონ ერთმანეთს: „იცით რა, კოლეგებო, იმ დღეს მე კარგ ფორმაში არ ვიყავი, ხოლო მთავარი ბრალმდებლის, პრადელის სახელი ქუხდა. საბრალო პაპიონის საქმე ოსტატურად შეატრიალა ბრალდების სასარგებლოდ. მართლაც ღირსეული მეტოქეა!" – ეს სიტყვები ისე ცხადად მესმის, თითქოს მაღალი საზოგადოების რომელიმე შეხვედრას ვესწრებოდე, ან მართლმსაჯულების სასახლის დერეფანში მეტრ რეიმონ უბერტის გვერდით ვიდგე. ერთადერთი, ჩემი გუმანით, მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარე ბოვენს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული აზრი; მხოლოდ ის შეიძლება, იყოს წინაალმდეგი კაცის ჟიურის წევრთა მიერ გასამართლებისა. შერჩეული ფრაზებით ალბათ იტყვის, რომ ეს მოქალაქეები არ შეიძლება იყვნენ მზად ასეთი დიდი პასუხისმგებლობისათვის, რადგან ისინი გაუცნობიერებლად, ადვილად ექცევიან ბრალდებისა თუ დაცვის გავლენის ქვეშ – იმის მიხედვით, თუ როგორ ატმოსფეროს – ნეგეტიურს, თუ პოზიტიურს – ქმნის ესა თუ ის მხარე.

თავმჯდომარის გარდა, არის კიდევ ჩემი ნათესაობა. ისინი, რა თქმა უნდა, დამედურებიან, რომ ასეთი მწუხარება მივაყენე. დარწმუნებული ვარ, ერთადერთი მამაჩემი, ჩემი საბრალო მამა არ იწუწუნებს იმ ჯვრის გამო, რომელიც შვილმა მოჰკიდა ზურგზე. და ეს მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მასწავლებელი, პატივს უნდა სცემდეს კანონებს და სხვასაც ასწავლიდეს. მჯერა, მისი გული სხეულის სილრმეში ყვირის: „არამზადებო! თქვენ ბავშვი მომიკალით! უარესი! – თქვენ მას ოცდახუთი წლის ასაკში ნელ ცეცხლზე სიკვდილი მიუსაჯეთ!" – რომ იცოდეს, ახლა სად არის მისი ბიჭი და რა დღეში ჰყავთ, უეჭველად ანარქისტედ გადაიქცეოდა.

„კაციჭამიამ“ თავისი სახელი ყველაზე მეტად წუხელ გაამართლა: დარაჯები ჩემს საკანთან ახლოს იცვლებიან, მათი საუბრის ფრაგმენტები ჩემამდე აღწევს და ვიგებ, რომ დილით სამი მკვდარი ნახეს – ორმა თავი ჩამოიხრჩო, ხოლო ერთმა პირში და ცხვირის ნესტოებში ჩვრები შეიტენა და გაიგუდა.

კიდევ ექვსი თვე მოვიტოვე უკან. ლურსმანი მაქვს, რომელსაც ექვს თვეში ერთხელ ვხმარობ. ვაჯამებ: ჯანმრთელობასა და სულიერ მდგომარეობას ისევ არ ვუჩივი. როგორც კი სასოწარკვეთა მომივლის, მაშინვე გაქცევის დეტალებს ვიხსენებ და ისიც მშორდება. ამ დროს ძალიან მეხმარება სელიეს სიკვდილის ფაქტი, რადგან თავს გამარჯვებულად ვგრძნობ: მე ცოცხალი ვარ და უნდა ვიცოცხლო, რათა ერთ დღეს ყველაფერი თავიდან დავიწყო. ის, ვინც გაქცევაში ხელი შემიშალა, მკვდარია და ვერასოდეს გახდება ოდესმე ჩემსავით თავისუფალი. როცა გავალ, ოცდათვრამეტი წლის ვიქნები, ეს კი არცთუ ისე ბევრია.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, – ნახევარბრუნი; ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, – მეორე ნახევარბრუნი. ეს ბოლო დღეებია, ფეხები გამიშავდა და ღრძილებიდანაც სისხლი მდის. ნეტავ, ავად ხომ არ ვხდები? ფეხის გულზე ხელს რომ დავიჭერ, ანაბეჭდი მრჩება, თითქოს წყლით მქონდეს სავსე. ერთი კვირაა, ექვს საათზე მეტს ველარ დავდივარ და ძალიან ვიღლები. ველარც კბილებს ვიხეხავ საპნით გაჟღენთილი პირსახოცით – სისხლის დენა მეწყება. ერთი ზედა კბილიც კი ჩამომვარდა.

* * *

მომდევნო ექვსი თვე ნამდვილი რევოლუციური გადატრიალებით მთავრდება: გუშინ ყველას თავები გამოგვაყოფინეს, ვიღაც ექიმი დადიოდა და ტუჩებს გვინევდა. ამდენი ხნის განმავლობაში პირველად აღებენ საკნის კარს და მეუბნებიან:

– გამოდით, კედელთან დადექით და დაელოდეთ!

ამ მხრიდან მე პირველი ვარ. დაახლოებით სამოცდაათი კაცი გამოდის.

– მარცხნისაა-კენ!

რიგში ბოლოში ვხვდები. ეზოში გავდივართ.

რვა საათია. ერთი ახალგაზრდა, კაკისპერანგიანი ექიმი ხის მაგიდას უზის. იქვეა ორი კატორღელ-სანიტარი და ერთი სანიტარ-ზედამხედველი. ამათგან არც ერთს არ ვიცნობ. კომენდანტი, უფროსი ზედამხედველი და ათი შეიარაღებული დარაჯი გვითვალთვალებენ.

– ყველა გაშიშვლდით – ყვირის უფროსი ზედამხედველი – ტანსაცმელი იღლიაში ამოიდეთ! პირველო, შენი სახელი?

– X...

– გააღე პირი, გაჩაჩხე ფეხები. ამოაძრეთ ეს სამი კბილი. ჯერ იოდიზებული სპირტი, მერე – ლურჯი წამალი. პირშუშხას ნაყენი დღეში ორჯერ, ჭამის წინ.

მე ბოლო ვარ:

– შენი სახელი?

– შარიერი.

– დახეთ! შენ ერთადერთი ხარ, ვინც ნორმალურად გამოიყურება. ახალი ჩამჯდარი ხარ?

– არა.

– რამდენი ხანია?

– დღეს თვრამეტი თვე შესრულდა.

– სხვებივით რატომ არა ხარ გამხდარი?

– არ ვიცი.

– კარგი, მე გეტყვი: იმიტომ, რომ სხვებზე მეტს ცეცხლავ, თუ, რა თქმა უნდა, სხვებზე ნაკლებად არ ეწევი მასტურბაციას. პირი! ფეხები! ორი ლიმონი დღეში: ერთი – დილით, მეორე – საღამოს. ლიმონი გამოწურე და წვენი ღრძილებზე წაისვი – სურავანდი გჭირს.

ღრძილებს იოდიზებული სპირტით მისუფთავებენ, მერე ლურჯი წამლით მითხუპნიან და ერთ ლიმონს მაძლევენ. ნახევარბრუნი. ისევ რიგის ბოლოში ვხედები და საკნებში ვბრუნდებით.

ის, რაც დღეს მოხდა – გამოყვანა ეზოში, მზის გულზე და ექიმის მიერ ჩვენი გასინჯვა – ნამდვილი რევოლუციაა, აქამდე ეს არ მომხდარა. რაშია საქმე? ნუთუ რომელიმე ექიმმა უარი თქვა, არსებული რეგლამენტის თანამონაწილე ყოფილიყო? ეს დასტაქარი მოგვიანებით ჩემი მეგობარი გახდება. მას ჟერმენ გიბერი ჰქვია. იგი ინდოჩინეთში დაილუპება. ამის შესახებ მისმა ცოლმა მრავალი წლის შემდეგ ვენესუელაში, მარაკაიბოში მომწერა.

ყოველ ათ დღეში მზეზე გამოვყავართ. რეცეპტი უცვლელია: იოდიზებული სპირტი, ლურჯი წამალი, ორი ცალი ლიმონი. ჩემი მდგომარეობა არ უარესდება, მაგრამ არც უკეთესობისკენ მიდის. პირშუშხას ნაყენ ორჯერ მოვითხოვე და ექიმისაგან ორჯერვე უარი მივიღე. ეს მაშფოთებს, რადგან ისევ ძველებურად ვარ – დღეში ექვს საათზე მეტს ვეღარ დავდივარ, ხოლო ფეხის გულები გაშაეებული და დასიებული მაქვს.

ერთ დღეს, პატარა ხის ჩრდილს შეფარებული, რიგს ველოდები. ეს უნაყოფო ლიმონის ხეა. ენყვეტ ერთ ფოთოლს და ვღეჭავ, მერე, უნებლიეთ, ტოტს ვატეხ და ხელში ვატრიალებ. როცა ჩემი რიგი მოდის, უკან ვირჭობ და ექიმს ვეუბნები:

– ექიმო, არ ვიცი, ეს თქვენი ლიმონის ბრალია თუ არა, მაგრამ ნახეთ, უკან რა ამომივიდა! – ებრუნდები და ვუჩვენებ გარჭობილ ფოთლებიან ტოტს.

ჯერ ზედამხედველებს უტყდებათ სიცილი, მერე – მათ უფროსს, რომელიც მეუბნება:

– თქვენ, პაპაიონ, ექიმის უპატივცემულობისთვის დაისჯებით.

– არა, – ამბობს ექიმი, – არ დასჯით, რადგან არ ვიჩივლებ. ლიმონი აღარ გინდა? ამის თქმა გსურდა?

– დიახ, ექიმო, ლიმონი არაფერს არ მშველის და გულს მირევს. იქნებ პირშუშხას ნაყენი გეცადათ.

– ეს ნაყენი იმიტომ არ მოგეცი, რომ ძალიან ცოტა მაქვს და მძიმე ავადმყოფებისთვის ვინახავ. რა ვუყოთ, დღეში ერთ კოვზს მოგცემთ, მაგრამ ლიმონიც უნდა მიიღოთ.

– ექიმო, ინდიელები ასეთ შემთხვევებში ზღვის წყალმცენარეებს ღეჭავდნენ. ისეთი მცენარეები რუაიალზეც მინიხავს და სენ-ჟოზეფზეც.

– ეს კარგი აზრია. ყოველდღიურად წყალმცენარეებსაც დაგირიგებთ. ისინი მართლაც შემხვდა ზღვის პირას. ინდიელები მათ ნედლად ღეჭავენ თუ ხარშავენ?

– ნედლად.

– კარგი, მადლობა. ჩემო კომენდანტო, თქვენი იმედი მაქვს, რომ ეს კაცი არ დაისჯება.

– კარგით, კაპიტანო.

მართლაც სასწაულია, ყოველ რვა დღეში ერთხელ, ორი საათით გამოხვიდე და რიგის მოლოდინში მზის გულზე იდგე, ჟანგბადი ისუნთქო, ნახო ხალხი და ორიოდე სიტყვა გადაუჩურჩულო – ამას ვინ წარმოიდგენდა?! ყველას ცელილება ეტყობა: თითქოს ცოცხლად დამარხულები სამარიდან ამოვიდნენ.

დილის რვა საათზე ყველა საკნის კარი იღება. პატიმრები საკუთარი საკნების კარებში დგებიან. ვიღაც ყვირის:

– ტუსაღებო, გუბერნატორის ინსპექცია!

დერეფანში, კოლონიალურ ფორმაში ჩაცმული ხუთი ოფიცრის თანხლებით, რომლებიც ექიმები უნდა იყვნენ, ვიღაც ზორბა, ჭაღარა კაცი მოდის. ის თითოეული საკნის წინ ჩერდება. ალბათ, მოახსენებენ, რა დანაშაულისთვის ზის ესა თუ ის ტუსაღი სანამ ჩემამდე მოვიდოდეს, ერთ დავარდნილ კაცს აყენებენ. კაციჭამია გრავილია. ერთ-ერთი სამხედრო ამბობს:

– ეს უკვე ცოცხალი გვამია.

გუბერნატორი პასუხობს:

– ყველა სავალალო მდგომარეობაშია.

კომისია ჩემამდე აღწევს. კომენდანტი ეუბნება:

– ამას ყველაზე მძიმე სასჯელი აქვს.

– რა გქვიათ? – მეკითხება გუბერნატორი.

– შარიერი.

– სასჯელი?

– რვა წელი: სახელმწიფო ქონების დატაცებისთვის – სამი და მკვლელობისათვის – ხუთი წელი, გადაფარვის გარეშე.

– რამდენი ხანია, რაც ზიხარ?

– თვრამეტი თვე.

– როგორ იქცევა?

– კარგად, – პასუხობს კომენდანტი.

– ჯანმრთელობა როგორი აქვს?

– არა უშავს – ამბობს ექიმი.

– გაქვთ რამე სათქმელი?

– სათქმელი ისა მაქვს, რომ ასეთი არაადამიანური სასჯელი ფრანგ ხალხს არ ეკადრება.

– კონკრეტულად?

– სრული სიჩუმე, არავითარი გასეირნებები. მხოლოდ რამდენიმე დღის წინ მოგვხედეს.

– კარგად მოიქეცით და თუ გუბერნატორად დავრჩები, შეიძლება, შეწყალება მიიღოთ.

– გმადლობთ.

ამ წუთიდან ყოველდღიურად გავყავართ და ზღვაში, ზვიგენებისაგან ლოდებით დაცულ ადგილას ბანაობის უფლებას გვაძლევენ. დილის ცხრა საათზე, ას-ას კაციან ჯგუფებად, მთლად შიშველები ვეშვებით საბანაოდ. ამ დროს ზედამხედველების ცოლები სახლებიდან არ გამოდიან, რათა შიშველი კატორღელები არ დაინახონ. მორალურად და ფიზიკურად ავადმყოფი ტუსაღების ფარა ერთი თვის განმა-

ვლობაში მთლიანად შეიცვალა და გამოცოცხლდა.

ერთ დღეს, ბანაობიდან დაბრუნებისას, უკანა რიგში მოვდივარ, როცა ორი გასროლის ხმა ქალის სასოწარკვეთილი კივილი და მესმის:

– გვიშველეთ, ჩემი პატარა იხრჩობა!

ყვირილი ნავსაყუდელიდან მოდის. იქამდე მხოლოდ ერთი მოცემენტებული გზა მიდის. სხვა ხმებიც ისმის:

– ზვიგენები!

კვლავ რევოლვერის ორი გასროლა. ყველა იქით ებრუნდებით. დაუფიქრებლად ვკრავ ხელს დარაჯს და ნავსაყუდელისაკენ გავრბივარ. მისვლისას ორ მომკივან ქალს, სამ ზედამხედველსა და არაბებს ვხედავ.

– გადახტით წყალში! – უყვირის ქალი, – სანამ შორს ნაულია!

– ცურვა არ ვიცი, თორემ გადავხტებოდი!

ლაჩრების ბანდა!

– ზვიგენები! – ამბობს ერთი ზედამხედველი და კვლავ იმ მიმართულებით ისვრის.

ერთი პატარა გოგონა, თეთრ-ლურჯი კაბით, ზღვაზე ტივტივებს. სუსტ დინებას ნელ-ნელა ზუსტად კატორღელების სასაფლაოს მორევისკენ მიაქვს. „ძაღლები" გაუთავებლად ესვრიან. ეტყობა რომელიღაც ზვიგენს მოარტყეს, რადგან ამ მტაცებლებს პატარასთან ახლოს ჩოჩქოლი აქვთ ატეხილი.

– აღარ ისროლოთ! – ვყვირი და წყალში ვხტები.

დინების დახმარებით სწრაფად ვუახლოვდები ბავშვს, რომელსაც ჩაძირვისაგან კაბა იკავებს. ზვიგენების დასაფრთხობად გამეტებით ვქნევ ფეხებს. მისგან ჯერ კიდევ ოცდაათიოდე მეტრი მაშორებს მისგან, როცა რუაიალიდან გამოსული ნავი მასწრებს და ბაგშვი აპყავს. გაცოფებისაგან ცრემლები მომდის. ზვიგენებზე აღარც ვფიქრობ, როცა მეც ნავზე მექაჩებიან. არაფრისათვის ჩავიგდე თავი საფრთხეში!

მაშინ ასე ვფიქრობდი, მაგრამ ამ შემთხვევის წყალობით, ერთი თვის შემდეგ, ექიმმა ჟილბერ გიბერმა მიაღწია და სამედიცინო მოტივებით საპყრობილიდან გამომიყვანა.

მერვე რვეული

რუაიალზე დაბრუნება

კამეჩები

მაშ ასე: სასწაული მაბრუნებს რუაიალზე. ის რვანლიანი სასჯელით დავტოვე და თერამეტი თვის შემდეგ ისევ აქ ვარ. ჩემი მეგობრები კვლავ აქ დამხვდნენ: დეგა ისევ მოანგარიშეა, გალგანი – ფოსტალიონი; აქ არის კარბონიერი, რომელიც იმ საქმეში გაამართლეს; ასევე აქ არიან გრანდე, დურგალი ბურსე და საბავშვო ეტლის ბიჭები: ნარიკი და კენიე; შატალი – სამედიცინო პუნქტში სანიტრის თანაშემწედ; კორსიკელი ტეერის ყაჩაღებიც ისევ აქ გახლავან: ესარი, ვიციოლი, სეზარი, რაზოსი, ფოსკო, მოკუე და შაპარი. მოკლედ, 27- 35 წლების გაზეთების პრლიციური ქრონიკის ყველა ცენტრალური ფიგურა აქ შეყრილა.

გასულ კვირას, მარსინო – დიუფრენის მკვლელი – ფიზიოლოგიური კრიზისით გარდაიცვალა. ამ დღეს ზვიგენებს გამორჩეული კერძი – ძვირფასი ქვების პარიზში ყველაზე სახელოვანი ექსპერტი მიართვეს.

ბარა, მეტსახელად კომენდანტი, რუაიალის ჰოსპიტლის ლაბორატორიის გამგე და აფთიაქარია. იგი ტაქსის მძღოლისა და თავისი გულის სნორი ბიჭის მკვლელობისთვის ზის.

– ჩვენ ამ კუნძულზე ტუბერკულოზთან პირველი ღამის უფლებით ვცხოვრობთ, – აცხადებს ერთი ხუმარა ექიმი.

მოკლედ, ჩემი მისვლა რუაიალზე ქვემეხის გასროლას უდრის. შაბათ დღეს შევდივარ ავტორიტეტების ბარაკში. ყველა აქ არის. უხარიათ ჩემი გამოჩენა და ზეიმს მიწყობენ. თვითოეული, გამონაკლისის გარეშე, მეგობრობას მიდასტურებს. თვით მესაათეც კი მესალმება.

– აბა, მეგობრებო, ხომ ძველებურად ხართ?

– კი, პაპი. კეთილი იყოს შენი დაბრუნება.

– იმ დღიდან, რაც წახვედი, შენი ადგილი შენახულია, – ამბობს გრანდე.

– მადლობა ყველას. რა არის ახალი?

– ერთი ამბავი უნდა გახაროთ.

– რა ამბავი?

– წუხელ ის „ბუღა" „გაასაღეს", ვინც ქოქოსის კენწეროდან გითვალთვალებდა და ჩაგიშვა. ვინმე შენი მეგობართაგანი ჩაიდენდა ამას. ეტყობა, არ უნდოდა, ცოცხალი დაეხვედრებინა და ეს საქმე შენი გასაკეთებელი გამხდარიყო.

– ძალიან მინდა, ვიცოდე, ვინ არის, რომ მადლობა გადავუხადო.

– შეიძლება, ერთ დღეს გაიგო. არაბი გუშინ, ამოკითხვისას გულში დანაგაყრილი იპოვეს. არავის არაფერი დაუნახავს და არ გაუგია.

– ასე ჯობია. თამაში როგორ მიდის?

– არა უშავს. შენი ადგილი ყოველთვის მოიძებნება.

– კარგი, გავაგრძელოთ ჩვენი სამუდამო კატორღული ცხოვრება. ვინ იცის, როდის ექნება ამას ბოლო.

– პაპი, გული გაგვისკდა როცა გავიგეთ, რომ რვა წელი დილეგი მოგცეს.

კუნძულებზე ერთი კაციც არ მეგულება, ვინც დახმარებაზე უარს გეტყოდა, თვით სიცოცხლის ფასადაც კი.

– კომენდანტი გეძახით, – მეუბნება ერთი არაბი.

მიეყვები. გასვლისას რამდენიმე „ძაღლი" თავაზიან სიტყვებს იმეტებს ჩემთვის. მივდივართ კომენდანტ პრუიესთან.

– როგორ ხარ, პაპიონ?

– არა მიშავს, კომენდანტო.

– მიხარია, რომ შეგიწყალეს და გიქებ იმ სიმამაცეს, რაც ჩემი კოლეგის პატარა ქალიშვილის გადასარჩენად გამოიჩინე.

– მადლობა.

– სანამ კვლავ განაელის გამტანად დაგნიშნავდეთ თევზაობის უფლებით, ჯერ-ჯერობით მეხრედ უნდა იმუშაო.

– თუ ამის მოგვარება თქვენთვის ძნელი არ იქნება, თანახმა ვარ.

– ეს ჩემი საქმეა. სახელოსნოს ზედამხედველი აქ აღარ არის და მეც სამ კვირაში საფრანგეთში მივემგზავრები. ხვალიდანვე შეუდექი საქმეს.

– არ ვიცი, რითი გადაგიხადოთ მადლობა, კომენდანტო.

– იმით, რომ ერთ თვეში გაქცევას არ შეეცდები – მპასუხობს სიცილით.

ბარაკში იგივე სახეებია, იგივე ცხოვრების წესი. ცალკე კლასი მოთამაშეები, ვინც მხოლოდ აზარტისთვის ცოცხლობს. ვისაც „საყვარელი" ჰყავს, მასთან ერთად ჭამს, სვამს და იძინებს – ეს ნამდვილი ოჯახებია, სადაც ხშირია ეჭვიანობის ნამდვილი სცენები; სადაც „ქალი" და „კაცი" ერთმანეთს განუწყვეტლივ უთვალთვალებს და თუ რომელიმე მათგანი გულში ღალატს გაივლებს, მკვლელობები გარდაუვალია.

„მშვენიერი ჩარლის" (ბარას) გამო, ერთმა ზანგმა, სახელად სიმპლონმა, კვირა დღეს ერთი ტიპი „გაასაღა", სახელად სიდესო. სიმპლონი ჩარლის გამო უკვე მესამეს კლავს. ორი საათიც არ გასულა, რაც ბანაკში შემოვედი და უკვე ორმა ტიპმა მომაკითხა:

– პაპიონ, მინდა გავიგო, მატურეტი შენი საყვარელია?

– რატომ მეკითხები?

– ისე, მაინტერესებს.

– კარგად მომისმინე: მატურეტი ჩემთან ერთად ორი ათას ხუთას კილომეტრზე გამოიქცა და თავი ვაჟკაცურად ეჭირა. მხოლოდ ამის თქმა შემიძლია.

– უბრალოდ, მინდა ვიცოდე, თქვენ შორის რამე ხომ არ არის.

– არა, მატურეტს სექსის მხრივ არ ვიცნობ. ვაფასებ, როგორც მეგობარს. დანარჩენი არ მეხება, თუ, რა თქმა უნდა, ცუდს არ გაუკეთებენ.

– ერთ დღეს ჩემი „ქალი" რომ გახდეს?

– თუ თანახმა იქნება, მე არ ჩავერევი, მაგრამ თუ ამისთვის დაემუქრები, იცოდე, საქმე ჩემთან გექნება.

აქტიურ და პასიურ პედერასტებს შორის განსხვავება არ არის. ორივე სახეობა ისეა ჩაფლული თავის გრძნობებში, რომ სხვა არაფერი ახსოვთ.

ეტაპირების დროინდელი „ოქროს ქისის" ბიჭიც გამოჩნდა. მოსაკითხად მოვიდა და გაკვირვებული ვეკითხები:

– შენ ისევ აქ ხარ?

– როგორ არ ვეცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. დედაჩემმა თორმეტი

ათასი ფრანკი გამომიგზავნა. აქედან „ძაღლმა“ ექვსი ათასი დაიტოვა. დეზინტერნირება ოთხი ათასი დამიჯდა. კაიენაში რენტგენის გადასაღებად მოხვედრა მოვახერხე, მაგრამ იქ არაფერი გამომივიდა. მერე ერთ მეგობარს მოველაპარაკე, ვითომ დავჭერი და სამხედრო ტრიბუნალზე წაგვიყვანეს, მაგრამ იქ მინაზე ფეხი ნესიერადაც არ დაგვიდგამს – თხუთმეტ დღეში ექვსი თვე მომისაჯეს და დამაბრუნეს. შენ არც კი გაგიგია, რომ იქ, დილეგში, მეც ვიყავი. პაპი, მეტი აღარ შემიძლია, თავი უნდა მოვიკლა.

– თავის მოკვლას გაქცევის დროს ჩაძაღლება სჯობია, თავისუფალი მაინც მოკვდები.

– მართალი ხარ. ყველაფრისთვის მზად ვარ. თუ რამეს წამოიწყებ, გამაგებინე.

– კარგი.

აი, მე უკვე რუაიალის მეხრე ვარ. კამეჩი, რომელსაც „ბრუტუსი“ პქვია, ორ ტონამდე იწონის. იგი ნამდვილი მკვლელია – უკვე ორი კამეჩი პყავს მოკლული.

– უკანასკნელი შანსი მივეცით, მეუბნება მისი მომვლელი ანგოსტი, – კიდევ ერთი მკვლელობა და – ყასაბი არ ასცდება.

„ბრუტუსი“ ამ დილას გავიცანი. მანამდე მასთან ზანგი მუშაობდა, რომელიც ჩემთან ერთ კვირას დარჩება, რათა შემაჩვიოს. კამეჩი მაშინვე დამიმეგობრდა, რადგან პირველი შეხვედრისთანავე ცხვირზე მივაშარდე და სიამოვნებით გაილოკა მარილიანი სითხე. ამას გარდა, რამდენიმე უმწიფარი მანგოც მოვწყვიტე პოსპიტლის ბაღში და იმითაც ვასიამოვნე. ჩემი და „ბრუტუსის“ საქმეა პლატოზე ზღვის წყლის ამოტანა და განავლის არხებში გაშვება ჩასაწმენდად. ის უსაქმური მეფეების დროინდელ ურემშია შებმული, რაზეც სამტონიანი კასრი დევს. მუშაობას ექვს საათზე ვიწყებთ და ცხრაზე უკვე თავისუფლები ვართ.

ოთხი დღის შემდეგ მარტინიკელი მიცხადებს, რომ უკვე მარტოს შემიძლია საქმის გაძღოლა. მხოლოდ ერთი გაჭირვება მაქვს: დილის ხუთი საათიდან კამეჩი ჭაობებსა და გუბურებში უნდა ვეძებო, რადგან ზარმაცია და მემალება. მგრძნობიარე ცხვირში გაყრილ რგოლზე მუდმივად ნახევარმეტრიანი ჯაჭვი პკიდია. როცა რომელიმე ტბორში მივაგნებ, უკან-უკან იხევს, ყვინთავს და ჩემგან შორს ამოდის. ხანდახან საათზე მეტი მჭირდება, რომ ამ აყროლებულ, წურბელებითა და დუმფარებით სავსე ჭაობში დავიჭირო. დავდევ და ვაგინებ. გინებას არად დაგიდევთ, მხოლოდ ჯაჭვისადმია მგრძნობიარე. როცა გუბურიდან გამომყავს, წყეული უკვე ჩემი მეგობარი ხდება. ურემზე მუდმივად მტკნარი წყლით სავსე ორი ჭურჭელი მაქვს. დაჭერის შემდეგ ჯერ მე ვიღებ შხაპს, მერე მას ვბან. ქოქოსის ქერქით ეუსუფთავებ ტანსა და მგრძნობიარე ნაწილებს. სიამოვნებისაგან არ იცის, რა ქნას და თავისი ნებით მიდის ხელნასთან. მარტინიკელისაგან განსხვავებით, არასოდეს ეჩხვლეტ ეკლიანი ტოტით და ამაშიც მემადლიერება – ციცაბო აღმართზე უფრო ჩქარა მიქოშინობს.

„ბრუტუსზე“ ერთი ზაქი – მარგარეტია შეყვარებული. გამუდმებით გვერდით დაჰყვება. არ ვაგდებ და არ ვუშლი, როცა ერთმანეთს ენებით ეფერებიან. კამეჩი მადლიერებას იმით გამოხატავს, რომ დაუჯერებელი სისწრაფით მიათრევს სამ ტონა წყალს, თითქოს ალერსში დაკარგული დრო უნდა აანაზღაუროსო.

გუშინ, ამოკითხვისას, პატარა სკანდალის მონმე ვხდებით: როგორც ეტყობა, ის მარტინიკელი, ყოველდღე, პატარა კედელზე შემდგარი, მარგარეტს „პეპლავდა“. რომელიღაც „ძაღლს“ გამოუჭერია და ოცდაათი დღე დილეგი გამოუწერიათ...

ოფიციალური მოტივი: „ცხოველთან სქესობრივი ურთიერთობა“. მოკლედ, გუშინ, ამოკითხვისას, მარგარეტი ბანაკში შემოიყვანეს და სამოცი კაცის წინ ჩაატარეს. ზანგის მიახლოებისას ზაქი გაჩერდა და უკანალი მიუშვირა. სიცილისაგან კინაღამ გავიგუდეთ, ხოლო ნიგერი ნაცრისფერი გახდა.

დღეში სამი გზა უნდა გავაკეთო. დაბლა კასრს ორი კაცი ავსებს. ეს ცოტა გრძელი ამბავია, მაგრამ ცხრა საათზე უკვე თავისუფალი ვარ და სათევზაოდ მივდივარ.

გუბურებიდან „ბრუტუსის“ გამოსატყუებლად მარგარეტს შევეკარი: წყლის პირას ყურებს ვფხან, ისიც სასიყვარულო ბგერებს გამოსცემს და მიჯნური კამეჩი თავისი ფეხით მორბის. ახლა უფრო გულმოდგინედ ვასუფთავებ აყროლებული ტალახისაგან. მარგარეტსაც უფრო მეტად მოსწონს და მუდმივად აღგზნებულია.

შუა აღმართში ერთი დიდი ქვა მაქვს ამოჩემებული. აქ ურემს ვამაგრებ, რათა არ დაგორდეს და „ბრუტუსს“ დასვენების საშუალებას ვაძლევ. მაგრამ ამ დილას, მეორე კამეჩი, „დანტონი“, მასზე ტანით არანაკლები, თურმე ქოქოსის პალმების ამონაყრის უკან გველოდება. იმ ადგილზე მისვლისთანავე „დანტონი“ გამოდის და „ბრუტუსს“ უტევს. ბრუტუსი გვერდზე იხევს, დანტონი თავს ვერ იკავებს და მთელი ძალით კასრს ეჯახება, ისე, რომ ერთი რქა შიგ ეჭედება. ნვალობს, მაგრამ ვერ აძრობს. ამასობაში „ბრუტუსს“ უღლიდან ვათავისუფლებ. ის მაშინვე გადის პატარა მინდორზე, სიჩქარეს იკრებს და დანტონზე მოდის. შიშისა თუ სასოწარკვეთისაგან მომხდური კასრისგან თავის გათავისუფლებას ახერხებს, თუმცა რქის ნაწილს ტოვებს და გვერდზე ხტება. „ბრუტუსი“ თავს ვერ იკავებს, მთელი ძალით ეჯახება ურემს და აბრუნებს.

ყველაზე საინტერესო ახლა იწყება: „ბრუტუსი“ და „დანტონი“ ერთმანეთს შუბლებით ეხახუნებიან, თან ქშინავენ, თითქოს ლაპარაკობენო. მერე ზაქს მიჰყვებიან, რომელიც ნელ-ნელა ადის ფერდობზე. დროდადრო ისევ ჩერდებიან და რქებს ხლართავენ. მაშინ მარგარეტი უკან იყურება, ნაზად კვნესის და გზას აგრძელებს.

ორი გიგანტი ერთიმეორის მიყოლებით ადის პლატოზე. აქ, შუქურის წინ, ბარაკებსა და ორ ჰოსპიტალს შორის, დაახლოებით სამასი მეტრი სიგრძის მოედანია. მარგარეტი მის ცენტრში ჩერდება. ბრუტუსი და დანტონი მისგან მარჯვნივ და მარცხნივ იყრებიან. ვხვდები: დუელზე მოილაპარაკეს. ზაქის ზმუილზე ეს ორტონიანი კოლოსები ისეთი სიჩქარით მორბიან და ეჯახებიან ერთმანეთს, რომ მიწა იძვრის. დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში, ორივე, მუხლებში ჩაკეცილი, ნოკაუტში ვარდება. „ბრუტუსი“ უფრო ადრე მოდის გონს და ჭენებით იკავებს პირვანდელ პოზიციას. დუელი ორ საათს გრძელდება. ზედამხედველებს „ბრუტუსის“ მოკვლა უნდათ, მაგრამ მე არ ვანებებ. მორიგი შეჯახებისას „დანტონის“ რქის შერჩენილი ნაწილიც ტყდება და გარბის. ბრუტუსი უკან გამოენთო. დევნა მეორე დღემდე არ შემწყდარა. ყველგან, სადაც კი გაირბინეს – ბაღებზე, სასაფლაოზე, თუ სამრეცხაოსთან – მთელი არაფერი დატოვეს. მხოლოდ დილის შვიდი საათისთვის მოახერხა „ბრუტუსმა“, „დანტონი“ საყასბოს კედელთან მიემწყვდია, რქები მუცელში გაეყარა და, რათა საქმე ბოლომდე რომ მიეყვანა, თავის გარშემო რამდენჯერმე დატრიალდა. „ბრუტუსი“ ისე დაიქანცა, რომ ამ პოზაში დარჩა და რქების გამოთავისუფლებაში რომ არ დავხმარებოდი, ვერ ადგებოდა.

გამარჯვებული ამ ადგილს შორდება და სატრფოსთან ერთად ზღვის ნაპირს მიუყვება. მათ საქორწინო ღამეს არ დავსწრებივარ, მაგრამ მეხრის თანამდებობა

კი დავკარგე – ყველაფერი მე მბრალდება.

„ბრუტუსის" გადასარჩენად კომენდანტს ჩარევას ვთხოვ.

– არა, პაპიონ, ეს კამეჩი უნდა დაიკლას, უკვე მესამეს კლავს, თანაც ნარჩევებს.

– ის კაცი, ვისაც მათი მოვლა ავალია, მინის მუშაა და საქონლისა არაფერი გაეგება. ნება მომეცით, მოგიყვეთ, როგორ მოხდა და რატომ მიმაჩნია, რომ „ბრუტუსი" თავს იცავდა.

კომენდანტს ელიმება:

– გისმენ.

ვუყვები, როგორ დაესხა „დანტონი" უღელში შებმულ „ბრუტუსს". კომენდანტი მეთანხმება, რომ მოგერიებას ჰქონდა ადგილი. ამ დროს აგრონომ-ზედამხედველი მოდის.

– გამარჯობა, კომენდანტო! პაპიონ, რა ხანია, გეძებთ. ამ დილას თითქოს სამუშაოდ გამოხვედით და არაფერი გაგიკეთებიათ.

– უფრო იმიტომ გამოვედი, ბატონო ანგოსტი, რომ კამეჩების ბრძოლის შეჩერება მინდოდა. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე.

– შეიძლება, ასეც იყო. უკვე გითხარით, რომ კამეჩებს აღარ გაეკარებით. რაც შეეხება „ბრუტუსს", კვირა დილას დაკლავენ და ბანაკის სასადილოს ჩააბარებენ.

– თქვენ ამას არ იზამთ.

– რა, თქვენ დამიშლით?

– არა, კომენდანტი. თუ ეს საკმარისი არ იქნება, მაშინ ექიმ ჟერმენ გიბერს მივმართავ და ვთხოვ, „ბრუტუსი" გადაარჩინოს.

– რატომ ჰყოფთ ცხვირს სხვის საქმეში?

– იმიტომ, რომ ამ კამეჩის გამრეკი მე ვარ და ის ჩემი მეგობარია.

– მეგობარი? თქვენ, რა, დამცინით?

– მომისმინეთ, ბატონო ანგოსტი, ნებას მომცემთ, აგიხსნათ?

– გისმენთ.

– ბატონო ანგოსტი, არ გჯერათ, რომ ცხოველები ერთმანეთს ელაპარაკებიან?

– შეიძლება...

– მაშინ, ისიც უნდა დაიჯეროთ, რომ „ბრუტუსმა" და „დანტონმა" ერთმანეთი დუელში გამოიწვიეს, – და ყველაფერს თავიდან ვყვები.

– Kristacho! – ყვირის კორსიკელი – რა უცნაური ვინმე ხართ, პაპიონ. კარგი, განაგრძეთ „ბრუტუსთან" მუშაობა. ოღონდ, დაიმახსოვრეთ, რომ, როგორც კი თავისას გაიმეორებს, დანა არ ასცდება. უსაქმოდ არ დავინახო, ამუშავეთ!

ორი დღის შემდეგ შეკეთებულ ურემში შებმული „ბრუტუსი" მუშაობას განაგრძობს. ახლა უკვე „კანონიერი ცოლი" – მარგარეტი გვერდიდან არ შორდება. როცა იმ ადგილას ვაღწევთ, სადაც „დანტონი" იყო ჩასაფრებული, ვეუბნები:

– „დანტონი" სად არის, „ბრუტუს"? – ამის გაგონებაზე, ზარმაცი კამეჩი სიჩქარეს უმატებს და გამარჯვებულის იერით, ერთი ამოსუნთქვით ადის პლატოზე.

ბუნტი სენ-ჟოზეფზე

მორჩენებითი თავისუფლება, კუნძულებზე ცხოვრებას უკიდურესად სახიფათოს ხდის. გული მიკვდება, როცა ამ ხალხს ვუყურებ. თითქმის ყველა იმაზე ფიქრობს, რომ სიმშვიდე არავინ დაურღვიოს. ერთნი სასჯელის დამთავრებას ელოდებიან,

სხვები უზნეობაში ცურავენ.

ამ საღამოს განმარტოებით ვარ და პამაკში ვწევარ. ბარაკის სილრმეში ისეთი გახურებული თამაში მიდის, რომ კარბონიერი და გრანდე იძულებული არიან, გაერთიანდნენ და ისე უხელმძღვანელონ. მე მათ ყურადღებას არ ვაქცევ და თავს ძალას ვატან, წარსულის მოგონებებში გადავეშვარდე. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ ვახერხებ სურათებს ნისლის ფარდა ჩამოეხსნა – მხოლოდ პროკურორი წარმომიდგება მთელი სიცხადით. ღმერთო ჩემო! როცა ბოვენის ოჯახში ვიყავი, როგორ მეგონა, რომ გაჯობე! ისეთი რა ჯადო გამიკეთე, არამზადავ, რომ ექვსი ცდითაც კი ვერ მოვახერხე გაქცევა? როცა პირველად, გავიქეცი კატორღიდან და შეგატყობინეს, ძილი ხომ არ დაგიფრთხა? როგორ მაინტერესებს, გავიგო, შეგეშინდა თუ მხოლოდ გაცოფდი, როცა გაიგე, რომ შენი მსხვერპლი, ვინც მხოლოდ ორმოცდასამი დღის წინ გაუყენე კატორღის გზას, გაქცეულა! დიახ, გალია გავანგრიე და გავიქეცი! რა ბედისწერამ დამაბრუნა თერთმეტი თვის შემდეგ? ალბათ, ღმერთმა დამსაჯა, რაკი ბუნებაში ცხოვრებას გავექეცი! გავექეცი ჩემს ორ სიყვარულს – ლალისა და ზორაიმას! მივატოვე ტომი, რომლის შვილებიც უფანდარმოდ, ურთიერთგაგებით ცხოვრობდნენ! არა, მხოლოდ ერთ რამეზე უნდა ვიფიქრო: გაქცევა, ან სიკვდილი!

როცა გაიგებდი, რომ შემიპყრეს, გამარჯვებულის ღიმილით იტყოდი: „საქმე კარგადაა, რაკი ისევ იმ გზაზე დააბრუნეს, რომელსაც მე გავუყენე." ვერ მოგართვეს! არასოდეს ჩემი სული ამ გზაზე არ დამდგარა – მხოლოდ ხორცი წამართვი და ისიც გეყოფა, რომ ყოველ დილით – ამოკითხვისას – ადგილზე ვარ. გგონია, რაკი ექვსი წელია, აქ ვყურყუტებ, უკვე ლპობას დავიწყებდი და მალე ზვიგენების ლუკმა გახდები? ცდები. ჩემი ფიზიკური აქ ყოფნა არაფერს ნიშნავს. ამ ხალხთან, თვით ახლო მეგობრებთანაც კი, არაფერი მაერთიანებს. მე გაქცევის მუდმივი კანდიდატი ვარ.

ფიქრებს ორი კატორღელი მაწყვეტინებს:

– გძინავს, პაპიონ?

– არა.

– სალაპარაკო გვაქვს.

– გისმენთ. თუ ხმადაბლა ვილაპარაკებთ, ვერავინ გაიგებს.

– მოკლედ, აჯანყებას ვამზადებთ.

– როგორი გეგმა გაქვთ?

– მე მეიარაღედ ვმუშაობ. საცავში ოცდასამი ავტომატი, ოთხმოცზე მეტი თოფი და მუშკეტია. ჩვენი მეგობარი ოტენი და კიდევ ოთხი კაცი, რომლებიც თანახმა არიან, საწყობს დავეცემით და იარაღს გავიტაცებთ. მერე კუნძულზე ყველა არაბს, ზედამხედველსა და მათ ცოლებს ამოვხოცავთ. შვილებსაც მივაყოლებთ, რადგან მათი თესლები არიან. დაწყებას...

– შეჩერდი, ნუღარ გააგრძელებ; უარს ვამბობ. ნდობისათვის გმადლობ, მაგრამ ვერ გამოგყვებით.

– გვეგონა, მეთაურობას იკისრებდი. ხუთი თვეა, ამ საქმეს ვამზადებთ და ვფიქრობთ, ვერაფერი ჩაშლის. ყველაფერი ანონილ-დანონილია. გვადროვე, დაწვრილებით გაგაცნოთ. უკვე ორმოცდაათ კაცზე მეტი დაგვთანხმდა.

– ნურავის სახელს ნუ მეტყვი, ბელადობაზეც უარს ვამბობ და მონაწილეობაზეც.

– რატომ? მას შემდეგ, რაც ამდენი რამ გითხარით, უნდა აგვიხსნა.

– ჯერ ერთი, არ მითხოვია, რამე მოგეყოლათ: მეორეც, მე ყოველთვის მხოლოდ იმას ვაკეთებ, რაც მინდა და არა იმას, რაც უნდათ. ამას გარდა, თავზეხელაღებული მკვლელი არა ვარ. მხოლოდ იმის მოკვლა, შემიძლია, ვინც დიდ ბოროტებას გამიკეთებს და არა უდანაშაულო ქალებისა და ბავშვებისა. თქვენ ყველაზე მთავარს ვერ ხვდებით – ბუნტი რომ გამოგივიდეთ კიდეც, მაინც დამარცხდებით და ვერავინ გაიქცევა.

– რატომ?

– ეთქვათ, ასი კაცი აგყვათ. აქ მხოლოდ ორი ნავია, რომლებიც ორმოც კაცზე მეტს ვერ დაიტევს. რას უშვრებით დანარჩენ სამოცს?

– ჩვენ იმ ორმოცში მოვხვდებით.

– ასე გგონია? დანარჩენები რა, უტვინოები იქნებიან? იარაღი ხომ ყველას ექნება! ნავში მოსახვედრად ერთმანეთს დაუწყებთ დახოცვას. ეგ კიდევ არაფერი – იმ ნავებს არც ერთი ქვეყანა არ მიიღებს. უკან დატოვებული ამდენი გვამის შემდეგ, ყველგან დაგაკავებენ და საფრანგეთს გადმოგცემენ. მე კოლუმბიიდან დამაბრუნეს და ვიცი, რასაც ვამბობ.

– მაშ, უარზე ხარ?

– კი.

– ბოლო სიტყვაა?

– ბოლო და მტკიცე გადაწყვეტილებაა.

– ისღა დაგვრჩენია, წავიდეთ.

– ერთი წუთით: ჩემი თხოვნა იქნება, ამაზე არც ერთ ჩემს მეგობარს არ დაელაპარაკოთ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ წინასწარ ვიცი, უარს იტყვიან. ასე რომ, შეწუხებად არ ღირს.

– ძალიან კარგი.

– დარწმუნებული ხართ, რომ არ შეიძლება ამ საქმის შეჩერება?

– გულახდილად რომ ვთქვათ, პაპიონ, ველარავინ შეაჩერებს.

– ჩემთვის გაუგებარია, ამას რატომ აკეთებთ. მთელი სერიოზულობით გეუბნებით, რომ გამარჯვების შემთხვევაშიც კი ვერ მიაღწევთ თავისუფლებას.

– ჩვენ უფრო შურისძიება გვინდა. რაკი დაგვაჯერე, რომ გაქცევას ვერ შევძლებთ, რას იზამ, ტევრში შევალთ და ვიყაჩაღებთ.

– სიტყვას გაძლევთ, რომ ამის შესახებ ჩემს საუკეთესო მეგობრებსაც კი არაფერს ვეტყვი.

– ამაში ეჭვიც არ გვეპარება.

– კიდევ ერთი რამ: სანამ მოქმედებას დაიწყებდეთ, რვა დღით ადრე გამაფრთხილეთ, რომ სენ-ჟოზეფზე გადავიდე.

– დროულად გაგაფრთხილებენ.

– ვერაფრით ვერ შეგაცელევინებთ გადაწყვეტილებას? იქნებ ერთად მოვიფიქროთ რამე? მაგალითად, მოვიპაროთ ოთხი მუშკეტი, ღამით ნავების საყარაულო პოსტს დავესხათ, ვიმოქმედოთ ისე, რომ არავინ მოვკლათ, ნავი გავიტაცოთ და წავიდეთ?

– არა. მეტისმეტად ვიტანჯეთ. ჩვენთვის მთავარი შურისძიებაა, თუნდაც თავები დავტოვოთ.

– ბავშვები და ქალები?

– ჩვენთვის ყველა ერთი და იგივეა – ერთი თესლი და ერთი სისხლი. ყველა უნდა ჩაძაღლდეს!

– ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

– წარმატებას არ გვისურვებ?

– არა. გიმეორებთ: უარი თქვით, სისულელე არ ჩაიდინოთ.

– არ აღიარებ, რომ შურისძიების უფლება გვაქვს?

– კი, მაგრამ არა უდანაშაულოებზე.

– ღამე მშვიდობისა.

– ღამე მშვიდობისა. არაფერზე გვილაპარაკია, არა, პაპი?

– რა თქმა უნდა, ბიჭებო.

ოტენი და არნო მიდიან. ესღა მაკლდა! ამ ორი დეგენერატის გარდა, თურმე კიდევ ორმოცდაათი, თუ სამოცი ყოფილა და H დროს ასზე მეტი გახდება! ჩემს საძმოში ამაზე ხმა არავის ამოუღია, ესე იგი მხოლოდ „ვირთხებს" დალაპარაკებიან. შეუძლებელია, ამაში ვინმე „კანონიერი" ქურდი იყოს გარეული. ყველაზე ცუდი ის არის, რომ „ვირთხები" – ყველა ნამდვილი მკვლელია, ავტორიტარებს კი მხოლოდ თუ შემოაკედებათ ვინმე.

კვირის განმავლობაში ფრთხილად ვაგროვებ ცნობებს არნოსა და ოტენზე. როგორც ვიგებ, არნოს უსამართლო განაჩენი გამოუტანეს. რაც მან ჩაიდინა, ათ წელზე მეტს არ ითვალისწინებდა, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა ჟიური ასე ულმობლად იმიტომ მოექცა, რომ მისი ძმა წინა წელს პოლიციელის მკვლელობის გამო სიკვდილით დაუსჯიათ. სასამართლოზე პროკურორს ძმაზე უფრო მეტი ულაპარაკია, ვიდრე მასზე, რათა შესაფერისი ატმოსფერო შეექმნა. ამას გარდა, წინასწარი პატიმრობის დროსაც სასტიკად უწამებიათ – ისევ ძმის გამო.

ოტენი თავისუფალი არასდროს ყოფილა – ცხრა წლიდან ციხე-ციხე უვლია. ცხრამეტი წლისას, როცა გამასწორებელი სახლიდან საზღვაო ჯარში გაუნაწილებიათ, წასვლის წინა დღეს ვიღაც ტიპი მოუკლავს. მთლად დალაგებული არ უნდა იყოს, რადგან გეგმაში ჰქონია, ვენესუელაში ჩასულიყო, ოქროს საბადოებში მოწყობილიყო, მერე საკუთარი ფეხი აეფეთქებინა და დიდი დაზღვევა აეღო. მოგვიანებით, სენ-მარტენ-დე-რეში ყოფნისას, რაღაც ნემსი გაუკეთებია და ახლა ის ფეხი გამხმარი აქვს.

კვანძი იხსნება: ამ დილას, ამოკითხვისას, არნოს, ოტენსა და მატიე კარბონიერის ძმას – ჟანს იძახებენ, რომელიც საფუნთუშეში მუშაობს, სანაპიროზე, ნავებთან ახლოს. სამივეს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, სენ-ჟოზეფზე აგზავნიან. მინდა გავერკვე, მაგრამ არაფერი ინფორმაცია არ მოდის. არნო ოთხი წელია იარაღის საწყობში მუშაობს, ხოლო ჟან კარბონიერი უკვე ხუთი წელია, მეპურეა. არ შეიძლება, ამას „კუდი" არ ჰქონდეს – ვილაცამ ჩაუშვა, მაგრამ რანაირად და რა დონეზე? ვეკითხები მატიე კარბონიერის, გრანდესა და გალგანის. არავინ არაფერი იცის. აშკარაა, ოტენი და არნო ავტორიტარებს არ დალაპარაკებიან.

– მაშ ჩემთან რატომ მოვიდნენ?

– რადგან ყველამ იცის, რომ გასაქცევად არაფერზე უკან არ დაიხევ.

– ისიც უნდა სცოდნოდათ, რომ ამ ფასად არ მოვინდომებდი.

– მათ ამის გარჩევა არ შეუძლიათ.

– შენი ძმა?

– მიდი და გაიგე, როგორ გაერია ამ საქმეში.

– შეიძლება, ჩათრეულიც არ იყოს, მაგრამ ვიღაცას მისი გაფუჭება სდომებოდა.

მოვლენები სწრაფად ვითარდება: წუხელ, ტუალეტის შესასვლელში ჟირასოლო მოკლეს. ყოფილი მეხრე მარტინიკელის პერანგზე სისხლი აღმოაჩინეს და თხუთმეტი დღის ნეაჩქარევი გამოძიების შემდეგ სიკვდილი მიუსაჯეს. მის წინააღმდეგ ერთმა ზანგმაც მისცა ჩვენება, რომელიც მაშინვე იზოლაციაში მოაქციეს.

ერთი მოხუცი კატორღელი, სახელად გარველი, იგივე სავოიელი, პირსაბანთან სალაპარაკოდ მიხმობს:

– პაპი, არ ვიცი, რა ვქნა. ჟირასოლო მე მოვკალი. ძალიან მინდა, მარტინიკელს რამე ვუშველო, მაგრამ მეშინია, თავი გილიოტინაზე არ მომკვეთონ. ამიტომ ვარ ყურად. იქნებ რამე მოვიფიქროთ, რომ აღიარების ფასად სამი-ხუთი წელი მომისაჯონ.

– ახლა რა სასჯელი გაქვს?

– ოცი წელი.

– რამდენი მოიხადე?

– თორმეტი.

– ჯობია, სამუდამოზე იჩალიჩო. ამგვარად საპყრობილეში არ წახვალ.

– როგორ მოვიქცე?

– მაცალე, მოვიფიქრო. ამაღამ გეტყვი.

ღამდება. გარველს ვეუბნები:

– შეუძლებელია, ვინმეს სთხოვო „ჩაგიშვას" და მერე აღიარო.

– რატომ?

– ასეთ შემთხვევაში სიკვდილით დასჯა არ აგცდება. ერთად-ერთი, სამუდამო გადაგარჩენს. მკვლელობა, სინდისის ქეჯნის მოტივით, თვითონვე უნდა აღიარო. დამცველად ვინმე კორსიკელი ზედამხედველი აირჩიე. ჯერ რომელიმეს მოველაპარაკები და მერე სახელს გეტყვი. უნდა ვიჩქაროთ, თორემ იმ ბიჭს თავს მოჭრიან. ორ-სამ დღეში მოვაგვარებთ.

ზედამხედველ კოლონას ველაპარაკე. იგი იდეას მაწვდის: პირადად უნდა წავიყვანო გარველი კომენდანტთან აღიარებაზე და განვაცხადო, რომ დაცვა მთხოვა. მე, ჩემი მხრივ გარანტია მივეცი, რომ ასეთი კეთილშობილი ნაბიჯის შემდეგ, გამორიცხული იყო სიკვდილი მიესაჯათ და რომ მხოლოდ სამუდამო პატიმრობა ელოდა.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მარტინიკელი მაშინვე გაათავისუფლეს. ცრუ მოწმეს ერთი წელი დილეგი აჰკიდეს, გარველს – სამუდამო კატორღა.

ეს ორი თვის წინ მოხდა. მხოლოდ ახლა, როცა ყველაფერი უკანაა, გარველი მიყვება: ჟირასოლო ჯერ თანახმა ყოფილა, ბუნტის მზადების დეტალები მოუსმენია, მერე არნო, ოტენი და ჟან კარბონიერი ჩაუშვია. საბედნიეროდ, სხვა შეთქმულების სახელები არ სცოდნია.

„ძაღლებმა" ვერ დაიჯერეს, რომ ასეთი დიდი რამ მზადდებოდა და მხოლოდ თავის დაზღვევის გამო გააგზავნეს ისინი სენ-ჟოზეფზე.

– გარველ, რა განაცხადე, რისთვის მოკალი?

– მოვიმიზეზე, რომ „ქისა" მომპარა, რომელსაც ღამით ბალიშის ქვეშ ვმალავდი. მის გარდა ეს არავინ იცოდა. ერთ ღამეს, როცა საჭიროებისთვის გავედი, მობრუ-

ნებისას „ქისა“ აღარ დამხვდა. ჟირასოლოს გარდა ვერავინ აიღებდა-მეთქი. დამიჯერეს. არც კი უხსენებიათ, რომ იგი ბუნტის ჩამშვები იყო.

– პაპიონ, პაპიონ! – ისმის ეზოდან, – გიძახებენ!

– მოვდივარ!

– მოაგროვეთ თქვენი ბარგი-ბარხანა, სენ-ჟოზეფზე მიდიხართ.

– თქვენი დედაც...

ახალახანს საფრანგეთს ომი დაატყდა. მან ახალი წესრიგი მოიტანა: გაქცევაზე პასუხისმგებელი პირები უსიტყვოდ იქნებიან გადაყენებულნი. გაქცევისას, ან მისი მცდელობისათვის, დაკავებული კატორღელი სიკვდილით დაისჯება, რადგან ჩაითვლება, რომ იგი ქვეყნის მოღალატე გამათავისუფლებელ არმიაში შესასვლელად გარბოდა. ყველაფერს აპატიებენ, გარდა გაქცევისა. კომენდანტი პრუე ორი თვის წინ წასულა. ახალს არ ვიცნობ. რას იზამ. მეგობრებს ვემშვიდობები და რვა საათზე სენ-ჟოზეფზე მიმავალ ნავში ვჯდები.

პატარა ლიზეტის მამაც ერთი კვირის წინ ოჯახთან ერთად კაიენაში გადასულა. ახალი კომენდანტი ჰავრიდანაა, დუტენი ქვია. მისვლისას, რუაიალიდან გამოყოლილი ქაღალდებით, პირდაპირ მასთან ეხვდები:

– ეს თქვენ ხართ პაპიონი?

– დიახ, კომენდანტო.

– უცნაური პიროვნება ყოფილხართ, – მეუბნება და თან ჩემს საქმეს ფურცლავს.

– რატომ ვარ უცნაური?

– იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, ყველა გაგებით, საშიშ დამნაშავედ ხართ მიჩნეული. წითელი მელნით ისიც კი წერია: „მუდმივად ემზადება გაქცევისათვის,“ და, მეორე მხრივ, ვხედავ ჩანაწერს: „არ შეეპუა ზვიგენებს და ერთ-ერთი კომენდანტის ბავშვის გადარჩენას შეეცადა“. მე ორი პატარა გოგონა მყავს, პაპიონ გინდათ, განახოთ?

კაბინეტში ახალგაზრდა, თეთრებში ჩაცმული არაბისა და ლამაზი, შავგვრემანი ქალის თანხლებით სამი და ხუთი წლის ქერა გოგონები შემოდიან.

– აი, ძვირფასო, კაცი, ვინც შენი ნათლული ლიზეტის გადარჩენა სცადა.

– ოჰ! ნება მომეცით, ხელი ჩამოგართვათ, – ამბობს ქალი.

კატორღელისათვის ხელის ჩამორთმევა უდიდესი პატივია. არავინ არასდროს არ გვართმევს ხელს. განცვიფრებული ვარ ამ ქალის უშუალობით.

– დიახ, ლიზეტი ჩემი ნათლულია. ჩვენსა და გრანდეს ოჯახებს ძალიან ახლო ურთიერთობა გვაქვს. რის გაკეთებას აპირებ მისთვის, ძვირფასო?

– ჯერ ბანაკში გავაგზავნი; მერე კი მითხარი, რა სამუშაოზე გავამწესო.

– გმადლობთ, კომენდანტო. გმადლობთ, მადამ. შეგიძლიათ, მითხრათ, რატომ გადმომიყვანეს სენ-ჟოზეფზე? ეს თითქმის დასჯაა.

– ვფიქრობ, არავითარი მოტივი არ არსებობს. უბრალოდ, რუაიალის ახალ კომენდანტს ეშინია, არ გაიქცე.

– არც შემცდარა.

– გაქცევაზე პასუხისმგებლობისათვის სასჯელები გაიზარდა. ომამდე, შეიძლება, მხოლოდ ერთი გალონი დაგეკარგა. ახლა ეს ავტომატურად ხდება, სხვა შედეგებზე რომ არ ვილაპარაკოთ. ამიტომაც გაგგზავნა იქ, სადაც მისი პასუხისმგებლობა არ

ვრცელდება.

– რამდენ ხანს დარჩებით აქ, კომენდანტო?

– თვრამეტ თვეს.

– ამდენი მოცდა არ შემიძლია. ვეცდები, უკან, რუაიალზე დავბრუნდე, რათა თქვენ არ გავნოთ.

– გმადლობთ, – ამბობს ქალი. მართლაც კეთილშობილი ადამიანი ყოფილხართ. თუ რამე დაგჭირდებათ, მოურიდებლად მობრძანდით. გაეცი განკარგულება, სულიკო, რომ, როცა კი მოისურვებს, მაშინ მოიყვანონ.

– კარგი, ძვირფასო. მოჰამედ, წაიყვანე პაპიონი ბანაკში. თვითონ აირჩიე, რომელ ბარაკში გინდა ცხოვრება.

– ოჰ! ეს ადვილია – ავტორიტარების ბანაკში.

– იოლი საქმეა, – იცინის კომენდანტი, რაღაც ქაღალდს ანერს ხელს და მოჰამედს აძლევს.

გამოვდივარ ამ სახლიდან, რომელიც ადრე ლიზეტს ეკუთვნოდა და ამჟამად ახალი კომენდანტის საცხოვრებელი და სამუშაო კაბინეტია.

ზედამხედველების ერთ-ერთი განაწესის უფროსი ბებერი, თავისი სიმკაცრით ცნობილი კორსიკელია, სახელად ფილისარი. მას ნამდვილ მკვლელად იცნობენ.

– დახეთ! პაპიონი ჩამოსულა! ალბათ იცი, რომ მე ან ძალიან კარგი ვარ, ან ძალიან ცუდი. აქედან გაქცევა არ ეცადო, თორემ, თუ დაგიჭირე, კურდღელივით გაგაგორებ. ორ წელიწადში პენსიას ველოდები, ამიტომ ასეთ დარტყმას ვერ ავიტან.

– გეცოდინება, რომ მე ყველა კორსიკელის მეგობარი ვარ. ვერ გეტყვი, გაქცევას არ ვაპირებ-მეთქი, მაგრამ, თუ გადავწყვეტ, ვეცდები, ეს შენი მორიგეობის დროს არ მოხდეს.

– ასე ჯობია, პაპიონ, ამგვარად მტრობა არ გვექნება. გესმის ალბათ, რომ ახალგაზრდა აღარ ვარ და, თუ ვინმე გაიქცევა, დიდი უსიამოვნება მომელის. წადი შენს ბარაკში.

ბარაკი ისეთივეა, როგორც რუაიალზე – ას – ას ოც კაცზე. აქ არიან პიერო ლე ფუ, ოტენი, არნო და ჟან კარბონიერი. ლოგიკურად, მე ჟანთან უნდა მეცხოვრა, რაკი ჩემი მეგობრის ძმაა, მაგრამ იგი ჩვენი დონის არ არის და არც მისი ოტენთან და არნოსთან მეგობრობა მაწყობს. ასე რომ, ბორდოელ კარიესთან, მეტსახელად პიერო ლე ფუსთან ვეწყობი.

სენ-ჟოზეფის კუნძული რუაიალთან შედარებით ველურია. ის ორი ერთმანეთზე დადგმული პლატოსაგან შესდგება. პირველზე ჩვენი ბანაკია, მაღლა – სენ-ჟოზეფის საპყრობილე. სხვათა შორის, ტუსაღები ყოველდღიურ ორ-ორსაათიან ბანაობას განაგრძობენ. იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალშიც ასე იქნება.

ყოველ შუადღეს კომენდანტის ოჯახის არაბს ჩემთვის ერთმანეთში ჩადგმული სამი კარდალა მოაქვს – ლიზეტის ნათლია ზუსტად იმავე საჭმელებს მიგზავნის, რაც ოჯახისთვის მოამზადა.

კვირას მადლობის სათქმელად მივედი. მთელი ნაშუადღევი მასთან ლაპარაკსა და ბავშვებთან თამაშში გავატარე. მათი ქერა თმების მოფერებისას თავს ვეუბნები, რომ ხანდახან ძნელია, გაიგო, სად არის შენი მოვალეობა. ამ ოჯახს უდიდესი საშიშროება ელის, თუ იმ ორ ბაქიას აზრები არ შეუცვლია. ჟირასოლოს

დასმენა „ძაღლებმა“ ბოლომდე არ დაიჯერეს, ერთმანეთს არ დააშორეს და მხოლოდ სენ-ჟოზეფზე გადაყვანით დაკმაყოფილდნენ. თუ ვიტყვი, რომ აუცილებელია მათი დაშორება, დავადასტურებ პირველი დაბეზღების სიმართლეს და სიმძიმეს. რა ვიცი, როგორი იქნება ზედამხედველების რეაქცია. ჯობია, მოვკეტო.

არნო და ოტენი თითქმის არ მელაპარაკებიან. ასე ჯობია. არც ჟან კარბონიერი მელაპარაკება – გაბრაზებულია, რომ მასთან არ ვისურვე ცხოვრება. საძმოში ოთხნი ვართ: მე, პიერო ლე ფუ, მარკეტი და კორსიკელი მარსოსი სეტადან. მარკეტს რომში მევიოლინეთა კონკურსში მეორე პრიზი აქვს აღებული და მთელ დღეს ნაღვლიან მელოდიას უკრავს.

არავისთვის არაფერი მითქვამს და ვგრძნებ, ამათ რუაიალზე ჩაშლილი აჯანყების შესახებ არაფერი იციან. ნეტავ, არ გადაუფიქრებიათ? სამივე ძნელ სამუშაოზეა გამწესებული. მათი ბრიგადა ზღვაში, უზარმაზარი ლოდებით ზვიგენებისაგან დაცულ აუზს აკეთებს, რომლებსაც ხარებივით, უღელდადგმულები, ჯაჭვებით მოათრევენ. ასეთ სიცხეში ეს აუტანელი სამუშაოა.

სანაპიროდან თოფების, მუშკეტებისა და რევოლვერების ხმა მოდის. ვხვდები, გიჟებმა მოქმედება დაიწყეს. ვინ იმარჯვებს? ბარაკიდან ფეხს არ ვიცვლი. ყველა კატორღელი ამბობს, რომ ჯანყი დაიწყო.

– ჯანყი? რა ჯანყი?. – მინდა გაიგონ, რომ არაფერი ვიცი.

ჟან კარბონიერი, რომელიც ამ დღეს სამუშაოდ არ გასულა, მკვდარივით გაფითრებული მიახლოვდება და დაბალ ხმაზე მეუბნება:

– ჯანყია, პაპი.

– რა ჯანყი? მე არაფერი ვიცი, – ვპასუხობ ცივად:

მუშკეტების სროლის ხმა არ წყდება. პიერო ლე ფუ სირბილით შემოდის:

– ბუნტია, მაგრამ, მე მგონი, ჩაფლავდნენ. აი, უჭკუოთა ბანდა! პაპიონ, დანა გახსენი. სანამ ჩაგვაძაღლებენ, ის მაინც მოვახერხოთ, რომ, რაც შეიძლება მეტი მოვკლათ.

– ჰო, – ამბობს კარბონიერი, – მოვკლათ, რაც შეიძლება მეტი!

ჩისილია სამართებელს აძრობს. ხელში ყველას გახსნილი დანა უჭირავს. ეეუბნები:

– ნუ სულელობთ. რამდენი ვართ?

– ცხრა.

– შვიდმა დანა გადააგდოს. პირველი, ვინც „ძაღლს“ დაემუქრება, ჩემი ხელით მოკვდება. არ მინდა, აქ, ბარაკში, კურდღელივით გამაგორონ. შენ ხარ ამ საქმეში?

– არა.

– შენ?

– არც მე.

– შენ?

– არაფერი ვიცოდი.

– კარგი. ჩვენ აქ ყველა ავტორიტარები ვართ, არავინ არაფერი ვიცოდით ამ „ვირთხების“ ბუნტზე. გასაგებია?

– კი.

– იცოდეთ, ის, ვინც ალაპარაკდება, მაშინვე თანამონაწილედ ჩათვლიან, ან იფიქრებენ იცოდა, რაც ხდებოდაო და მოკლავენ. ასე რომ, ლაყაფით ვერაფერს

მოიგებს. ჩაყარეთ დანები ტუალეტში, სადაცაა მოვლენ.

– კატორღელებმა რომ გაიმარჯვონ.?

– თუ გაიმარჯვებენ, გაიქცნენ. ამ ფასად გაქცევას არ ვაპირებ. თქვენ?

– არც ჩვენ, – ერთხმად ამბობს რვავე, ჟან კარბონიერის ჩათვლით.

კრინტი არ დამიძრავს იმაზე, რასაც ვხედებოდი: რაკი თოფის ხმები აღარ ისმის, ესე იგი, კატორღელები დამარცხდნენ.

„ძაღლები" თოფებით, კონდახებითა და წიხლებით მოერეკებიან ლოდების მზიდავ ბრიგადას და გვერდით ბარაკში ტენიან ყველაფერს: გიტარებს, მანდოლინებს, ჭადრაკისა და დომინოს დაფებს, ლამპებს, პატარა სკამებს; ყველაფერს, რაც ნებადართული არ არის, ამტვრევენ და გარეთ ყრიან. ხუთივე ბარაკში იმავეს სჩადიან. დრო და დრო კონდახებსაც ხმარობენ. ვიღაც შიშველ კაცს დილეგისკენ მიარბენინებენ, თან სცემენ. უკვე მეშვიდე ბარაკში გადავიდნენ. თუ ვინმე გავიდა, ჩვენგან სამუშაოდ, უკან აღარ შემოსულა. ადგილიდან არ ვიძვრით. ხმას არ ვიღებთ. პირი მიშრება. ვფიქრობ: „ოლონდაც, ვინმე ტ...მა არ ისარგებლოს და არ მომკლას. ამისათვის ამ ვითარებაში არავინ დასჯის."

– აი, ისინიც, – ამბობს შიშისაგან მკვდარი კარბონიერი.

ოცზე მეტი იარაღშემართული ზედამხედველი ბარაკში იჭრება.

– როგორ! – ყვირის ფილისარი – ჯერ კიდევ არ გაშიშვლებულხართ? რას ელოდებით, მძორებო? ყველას დაგხვრეტთ! გაშიშვლდით ახლავე! არ გვინდა, გვამების გახდაში დრო დავკარგოთ!

– ბატონო ფილისარი...

– ხმა ჩაიკმინდე, პაპიონ! პატიებას ნურავინ ელოდებით! უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეთ! ამ ბარაკში ავტორიტარები შეყრილხართ. უეჭველად, ყველას ეცოდინებოდა, რაც უნდა მომხდარიყო!

სისხლიანი, ნამდვილი გველის თვალები გადმოცვენაზე აქვს.

ყველაფერს სასწორზე ვაგდებ:

– მიკვირს, რომ თქვენნაირი ბონაპარტისტი ასე განურჩევლად აპირებს უდანაშაულო ხალხის დახოცვას. სროლა გინდათ?! რას იზამ, ხმას არ ამოვიღებთ, გვესროლეთ, ოლონდ, რაც შეიძლება ჩქარა! შევცდი თქვენში, ბებერო ფილისარი! მით უარესი თქვენთვის! თქვენი დანახვაც არ მინდა. შებრუნდით, ბიჭებო, თორემ თავდასხმას დაგვაბრალებენ!

ყველა, როგორც ერთი, ზურგს ვაქცევთ. „ძაღლები" ჩემს ქცევაზე შტერდებიან. მით უფრო, რომ (ეს მერე გავიგე) ფილისარიმ აქამდე უკვე ორი უბედური მოკლა.

– კიდევ რა გაქვთ სათქმელი, პაპიონ?

ზურგშექცეული ვპასუხობ:

– მე ამ ბუნტის არ მჯერა. რა საჭიროა აჯანყება? ზედამხედველები დახოცო და გაიქცე?! საით? გაქცევა არ მესწავლება. იცით, რომ შორიდან დამაბრუნეს. რომელი ქვეყანა მისცემს თავშესაფარს გაქცეულ მკვლელებს? რა ერქმევა ასეთ ქვეყანას? გონს მოდით, არ შეიძლება ამ ბარაკის რომელიმე ბინადარი აჯანყებაში იყოს გარეული.

– შეიძლება შენ არა, მაგრამ კარბონიერი? დარწმუნებული ვარ, მონანილეა, რადგან ამ დილას არნოსა და ოტენს გაუკვირდათ, რომ თავი მოიავადმყოფა და სამუშაოდ არ გამოვიდა.

– წმინდა წყლის მოჩვენებითობაა, გარწმუნებთ, – ვტრიალდები, – თქვენ ამას ახლავე გაიგებთ: კარბონიერი ჩემი მეგობარია, ჩემი გაქცევის მთელი დეტალები იცის და ილუზიებს არ ჰყვებოდა; მიხვდებოდა, როგორი დასასრულიც ექნებოდა.

კომენდანტი მოდის, მაგრამ შიგნით არ შემოდის. ფილისარი გადის. იძახებენ კარბონიერის.

– ვარ!

– წაიყვანეთ დილეგში, არ სცემოთ. ზედამხედველო ესა და ეს, გააცილეთ. ყველა გავიდეს უფროსი ზედამხედველების გარდა. დანარჩენებმა კუნძულზე გაფანტული ხალხი მოძებნეთ. არავინ არ მოკლათ. ყველა ბანაკში დააბრუნეთ!

კომენდანტი და მისი მოადგილე შემოდიან, რომელთაც ფილისარი ოთხ „ძაღლთან" ერთად მოჰყვება.

– პაპიონ, ძალიან მძიმე დანაშაული მოხდა, – ამბობს კომენდანტი, – მე, როგორც კომენდანტს, დიდი პასუხისმგებლობა მეკისრება. სანამ რაიმე ზომებს მივიღებდე, რამდენიმე ცნობა მინდა თქვენგან. ვიცი, რომ ამ საბედისწერო მომენტში ცალკე შეხვედრაზე უარს მეტყოდით. ამიტომაც მოვედი. ზედამხედველი დიუკლო მოკლეს; ჩემი სახლიდან იარაღის გატაცება უნდოდათ. ესე იგი, ეს ბუნტი იყო. მხოლოდ რამდენიმე წუთი მაქვს დრო. გენდობი და შენი აზრის მოსმენა მინდა.

– თუ ბუნტი იყო, ჩვენ რატომ არაფერი ვიცოდით? რატომ არ გვითხრეს? რამდენი კაცი იყო გარეული ამაში? ამ სამ კითხვაზე მიპასუხეთ, კომენდანტო. პასუხი თვითონაც ვიცი, მაგრამ მანამდე, მინდა მითხრათ, დიუკლოს მოკვლისა და იარაღის დაუფლების შემდეგ რამდენი კაცი მოქმედებდა?

– სამი.

– ვინ არიან?

– არნო, ოტენი და მარსო.

– გასაგებია. გსურთ ეს თუ არა, ბუნტი არ ყოფილა.

– ცრუობ, პაპიონ, – ამბობს ფილისარი, – ეს ბუნტი ჯერ კიდევ რუაიალზე უნდა მომხდარიყო. ამის შესახებ ჟირასოლომ შეგვატყობინა, მაგრამ არ დაგუჯერეთ. დღეს გაირკვა, რაც მან თქვა, სიმართლე იყო. ასე რომ, გვატყუებ პაპიონ.

– თუ თქვენ მართალი ხართ, მაშინ „ჩამშვებები" ჩვენ გამოვდივართ: მეც, პიერო ლე ფუც, კარბონიერიც, გალგანიც, რუაიალის ყველა კორსიკელი ბანდიტიც და სხვა ავტორიტარებიც. არ მჯერა. აჯანყება რომ ყოფილიყო, ბელადები ჩვენ ვიქნებოდით და არა სხვები.

– რას როშავ? თქვენგან ყველა სუფთაა? შეუძლებელია!

– რომელმა ჩვენგანმა იმოქმედა იმ სამის გარდა? თუნდაც განზრახვა თუ შეგიმჩნევიათ, რომ ნავსადგურის საყარაულო პოსტზე აპირებდნენ თავდასხმას, სადაც მხოლოდ ოთხი შეიარაღებული ზედამხედველია ერთი უფროსით, ბატონო ფილისარი? რამდენი კანჯოა აქ? ერთადერთი. ერთი კანჯო – ექვსას კაცზე?! უტვინოები ხომ არ გგონივართ? თანაც, ვინმე მოკლა და ისე გაიქცე – ეს ხომ უცილობელ დაჭერასა და დაბრუნებას ნიშნავს! კომენდანტო, ჯერ არ ვიცი, თქვენი რამდენი კაცი მოკვდა, ან თქვენ რამდენი მოკალით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისინი უდანაშაულო იქნებოდნენ. მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ჩვენთვის იმ მცირეოდენი შეღავათების დაკარგვა, რითაც ახლა ვსარგებლობთ. მესმის, თქვენ გამწარებული ხართ, მაგრამ არ დაივიწყოთ, რომ იმ დღეს, როცა კატორღელებს ამ

შეღავათების მინიმუმსაც კი არ დაუტოვებთ, აი, მაშინ მოხდება ნამდვილი ბუნტი, რადგან დასაკარგი არავის არაფერი ექნება და კოლექტიურ აჯანყებას ავირჩევთ. ერთად წავალთ ამქვეყნიდან თქვენც და ჩვენც. ბატონო დუტენ, მე გულახდილად გელაპარაკეთ. ვფიქრობ, თქვენ ამას მარტო იმიტომ იმსახურებდით, რომ მობრძანდით და შეგვეკითხეთ, სანამ რამეს გადაწყვეტდეთ. ახლა კი თავი დაგეანებეთ.

– ვინც მონაწილეა? – კითხულობს ფილისარი.

– ეგ თქვენი საქმეა – გაარკვიეთ. ჩვენ ვერაფერში დაგეხმარებით. „ვირთხების" სისულელეები ჩვენ არ გვეხება.

– ბატონო ფილისარი, როცა ამ ბარაკში ყველა დაბრუნდება, კარი ჩარაზეთ. მცველად ორი ზედამხედველი დააყენეთ. არავითარი ძალადობა არ გავიგო. ნურავის ნურაფერს დაუმტვრევთ. წავედით. – და სხვა „ძაღლებთან" ერთად მიდის.

უჰ! ამოვისუნთქეთ. კარის დაკეტვისას ფილისარი მიგდებს:

– შენი ბედი, რომ ბონაპარტისტი ვარ!

ერთ საათზე ნაკლებში თითქმის ყველა შემოყარეს. აკლია ჩვიდმეტი კაცი: „ძაღლები" ხვდებიან, რომ ისინი სიჩქარეში სხვა ბარაკში ჩაუკეტავთ. მხოლოდ მაშინ, როცა იმათაც აბრუნებენ, ვიგებთ, რაც მოხდა, რადგან ესენი იმ ბრიგადაში იყვნენ. ერთი სტეფანელი ქურდი დაბალ ხმაზე მიყვება:

– წარმოიდგინე, პაპი, ერთ ტონამდე წონის ქვას მივათრევდით. კომენდანტის სახლიდან დაახლოებით ორმოცდაათ მეტრში, ქოქოსის ხეების ჩრდილში, ერთი ჭაა, სადაც ვისვენებთ ხოლმე. ახლაც ვჩერდებით. სათლით ცივ წყალს ვიღებთ და ვსვამთ. ზოგი თავზე დასადებ ცხვირსახოცს ასველებს. რაკი აქ ათიოდე წუთით გვაჩერებენ, ზედამხედველი ჭის პირას ჯდება, ცხვირსახოცს იღებს და თავზე ოფლს იწმენდს. ამ დროს არნო უკნიდან ეპარება. „ძაღლის" გაფრთხილებას არავინ ფიქრობს, რადგან არნოს წერაქვი დაშვებული უჭირავს. ნამიც არ სჭირდება – ზუსტად კეფაში ურტყამს და ზედამხედველი ორად გაპობილი თაყით ვარდება. სანამ დაეცემოდეს, ოტენი მუშკეტს, ხოლო მარსო რევოლვერს აცლის. მარსო, იარაღით ხელში ბრიგადისკენ ტრიალდება და ამბობს: „ეს ბუნტია. ვინც ჩვენთანაა, გამოგვყვეს." არც ერთი არაბი არ განძრეულა და ხმა არ ამოუღია. კატორღელებსაც არ გამოუხატავთ გაყოლის სურვილი. არნო გვიყურებს და გვეუბნება: „ლაჩრებო, მე გიჩვენებთ, რას ნიშნავს ნამდვილი კაცი." – იგი ოტენს ხელიდან მუშკეტს სტაცებს და ორივე კომენდანტის სახლისაკენ გარბის. მარსო ჩვენგან ცოტა მოშორებით რჩება და იარაღით ხელში ბრძანებას იძლევა: „არ გაინძრეთ და ხმა არ ამოიღოთ! თქვენ, ბუღებო, დაწექით მიწაზე!" იქიდან, სადაც მე ვიდექი, მოვლენების განვითარებას კარგად ვხედავდი: არნო უკვე კომენდანტის სახლის კიბეზე ადის, როცა კარი იღება და შინამოსამსახურე არაბი გამოდის. ერთი ბავშვი ხელში უჭირავს, მეორე ხელჩაკიდებული მოჰყავს. მოულოდნელობისაგან გაკვირვებულები ჯერ ერთმანეთს უყურებენ, მერე არაბი, ბავშვით ხელში, არნოს ნიხლს ურტყამს. არნოს არაბის მოკვლა უნდა, მაგრამ ის ბავშვს იფარებს. ხმას არც ერთი არ იღებს. მუშკეტს ოთხჯერ თუ ხუთჯერ უმიზნებს, მაგრამ ლულის წინ ყოველთვის ბავშვი ხვდება. ოტენი ქვემოდან ებღაუჭება არაბს შარვლის ტოტში და ისიც, სანამ წაიქცეოდეს, ბავშვს მუშკეტისკენ აგდებს. არნო, ბავშვი და არაბი, ერთმანეთში გადახლართულები, დაბლა ვარდებიან. მხოლოდ ამ დროს გაისმის პირველი ხმა: ჯერ ბავშვისა და არაბის კივილი, მერე არნოსა და ოტენის გინება. არაბი ასწრებს და თოფს იღებს, მაგრამ მარცხენა ხელით და, თანაც ლულით. არნო

მარჯვენა მკლავს უგრეხს. არაბი მუშკეტს ორი მეტრის იქით ისვრის.

იმ დროს, როცა ორივე მის ასაღებად გარბის, სხვა ბრიგადის ზედამხედველის გასროლის ხმა ისმის. კომენდანტი ფანჯარასთან ჩნდება და სროლას იწყებს, თუმცა ფრთხილობს, არაბს არ მოარტყას და მხოლოდ მუშკეტის მხარეს ისვრის. არნო და ოტენი ზღვის ნაპირ-ნაპირ ბანაკისაკენ გარბიან. უკან თოფის სროლით მისდევენ. ოტენი, გაშეშებული ფეხის გამო უფრო ნელა გარბის და სანამ ზღვამდე მიაღწევდეს, ეცემა. არნო წყალში შედის იქ, სადაც მუდმივად ზვიგენების ხროვაა. ყოველი მხრიდან ესვრიან, რადგან ზედამხედველებს ძალები ემატებათ. იგი დიდი ქვის უკან იმალება.

– დაგვნებდი! – უყვირიან ძაღლები.

– არასოდეს! – პასუხობს არნო, – მირჩევნია, ზვიგენებმა შემჭამონ, თქვენს ბინძურ სიფათებს მაინც აღარ დავინახავ!

შედის ზღვაში და პირდაპირ ზვიგენებისკენ მიდის. ერთი წამით ჩერდება – ალბათ ტყვია მოხვდა. „ძაღლები" მაინც ესვრიან. წინსვლას განაგრძობს – ჯერ ისევ ფეხზე დგას. ჯერ ტანიც არ ჰქონდა წყლით დაფარული, რომ ზვიგენებმა შეუტიეს. გარკვევით დავინახე, როგორ დაარტყა მუშტი ერთ-ერთ მათგანს, რომელიც წყლიდან სანახევროდ ამოსული ეცა. მალე ზვიგენები ყველა მხრიდან ეხვიან და წეწაენ. ხუთ წუთში ყველაფერი მთავრდება.

ზედამხედველებმა იმ ადგილს არანაკლებ ასჯერ ესროლეს. ზღვამ ერთი მკვდარი ზვიგენი გამორიყა. მარსომ იფიქრა, რევოლვერს ჭაში ჩავაგდებ და გადავრჩებიო, მაგრამ არაბებმა ჯოხის, მუშტებისა და წიხლების ცემით წინ გაიგდეს და განაცხადეს, რომ თანამონაწილე იყო. „ძაღლებმა" ჯერ რევოლვერით მოკლეს, მერე ერთ-ერთმა მათგანმა მუშკეტი ლულით აიღო და კონდახით თავი გაუჭეჭყა.

ოტენს ოცდაათამდე დარაჯმა დააცალა იარაღი. თითოეულს ექვსი ტყვია მაინც ექნებოდა და ამგვარად ას ორმოცდაათამე მოხვდა. ფილისარიმ ორი კაცი იმიტომ მოკლა, რომ არაბებმა განაცხადეს, ჯერ გაყოლა უნდოდათ, მერე „ჩაისვარესო". სრული სიცრუეა, რადგან არც ერთი არ განძრეულა.

ორი დღეა, ჩაკეტილები ვართ. სამუშაოდ არავინ გადის. კართან ყოველ ორ საათში ყარაული იცვლება. აკრძალულია ერთი შენობიდან მეორეში გადალაპარაკება, აგრეთვე ფანჯარასთან მისვლა. მხოლოდ შორიდან, გისოსებიან კარს იქით ვხედავთ ეზოს. რუაიალიდან დამხმარე ძალა ჩამოდის. არავინ ჩანს თვით დარაჯების ჩათვლით. დროდადრო ვხედავთ, როგორ მიჰყავთ შიშველი კაცი, ძალადობის გარეშე, დილეგისაკენ. გვერდითი ფანჯრებიდან ზედამხედველები ხშირად შიგნით იყურებიან. მუშკეტები მუდმივად სასროლად აქვთ მზად. ხუთკაციანი პოკერის თამაშს ვაპირებთ. მარსელური არ გამოვა, მეტისმეტი ხმაური იცის. მარკეტი ვიოლინოზე ბეთჰოვენის სონატას უკრავდა და აიძულეს, შეეწყვიტა:

– გააჩერე მუსიკა, არ იცი, რომ გლოვაში ვართ?

არა მარტო ამ ბარაკში, მთელ კოლონიაში უცნაური დაძაბულობა მეფობს. არავითარი ყავა, არავითარი წვნიანი. დილით პურის ნატეხი, სადილად და ვახშმად ხორცის კონსერვი – ოთხ კაცზე ერთი ქილა. რაკი ჩვენი ბარაკი არ დაურბევიათ, თითქმი ყველაფერი გვაქვს. ერთი ბებერი მარსელელი – ნისტონი – ყავის ასადუღებლად ტუალეტში ანთებს ცეცხლს და, ბოლის დანახვაზე, ზედამხედველი გარედან უბრძანებს, ჩააქროს. ნისტონს გამბედაობა ჰყოფნის უპასუხოს: „შემოდი და თვითონ ჩააქრე!" „ძაღლი" მაშინვე ფანჯრიდან სროლას იწყებს.

ცეცხლი და ყავა აქეთ-იქეთ იფანტება. ერთი ტყვია ნისტორს ფეხში ხვდება. დაძაბულობისგან ყველა ფიქრობს, ჩვენი დახოცვა დაინყესო და იატაკზე წვება. ჯერ ისევ ფილისარის მორიგეობაა – ოთხი დარაჯის თანხლებით გაგიუებული მორბის. ის, ვინც ისროლა – ოვერნელი – უხსნის, რაც მოხდა. ფილისარი კორსიკულად აგინებს. ოვერნელს არ ესმის და ვერაფერს პასუხობს.

ჩვენს ჰამაკებს ეუბრუნდებით. ნისტორს ფეხიდან სისხლი სდის:

– არ თქვათ, რომ დაჭრილი ვარ, გამიყვანენ და გამათავებენ.

ფილისარი გისოსებთან მოდის. მარკეტი კორსიკულად ელაპარაკება.

– შეგიძლიათ, ყავა მოიდულოთ, ეს აღარ განმეორდება, – ამბობს ფილისარი და მიდის.

კიდევ კარგი, ნისტორს ტყვია ძვალში არ გაეჭედა – რბილში გაუარა და გარეთ გამოვიდა. თასმას უჭერენ, სისხლის დენას უსერებენ და ძმრიანი ჩერით უხვევენ.

ღამის რვა საათზე მეძახიან:

– პაპიონ, გამოდით!

ამ ზედამხედველს არ ვიცნობ, ბრეტონელი უნდა იყოს.

– რატომ უნდა გამოვიდე ასეთ დროს? გარეთ არაფერი მესაქმება.

– კომენდანტი გიბარებთ.

– უთხარით, აქ მოვიდეს. არ გამოვალ.

– უარს ამბობთ?

– დიახ, უარს ვამბობ.

მეგობრები გარს მერტყმიან. მარკეტი დაკეტილ კართან მიდის და ეუბნება:

– არ გამოვუშვებთ პაპიონს, სანამ კომენდანტი თვითონ არ მოვა,

– იმან გამოგვგზავნა.

– უთხარით, თვითონ მოვიდეს.

ერთი საათის შემდეგ კართან ორი ახალგაზრდა დარაჯი მოდის. თან კომენდანტის ოჯახის არაბი მოუყვანიათ, – ის, ვინც აჯანყებულებს წინ აღუდგა და მისი ცოლ-შვილი გადაარჩინა.

– პაპიონ, მე ვარ, მოჰამედი. კომენდანტმა გამომგზავნა. თვითონ არ შეუძლია მოსვლა.

მარკეტი მეუბნება:

– პაპი, მაგას მუშკეტი უჭირავს.

მეგობრების წრიდან გამოვდივარ და კარს ვუახლოვდები. მოჰამედს მართლაც მუშკეტი უჭირავს. რას არ ნახავ! – შეიარაღებული კატორღელი!

– წამოდი, – მეუბნება არაბი, – თუ აუცილებელი იქნება, შენი დაცვა მაქვს დავალებული.

არ მჯერა, მაგრამ მაინც გავდივარ. მოჰამედი გვერდით მიდგება, დარაჯები – უკან. მივდივართ კომენდატურაში. სახლები და სანაპირო კარბიდის ლამპებით სანახევროდ არის განათებული. გზად მოჰამედი ერთ კოლოფ „გოლუაზს“ მაძლევს. ორი ლამპით კარგად განათებულ ოთახში, ჩვენი კომენდანტების გარდა არიან რუაიალის პირველი, მეორე და, აგრეთვე, საპყრობილის კომენდანტები. სანამ შევიდოდე, ვამჩნევ, რომ იმ ბრიგადის ორი არაბიც დაცვის ქვეშ ელოდებიან.

– აი, პაპიონი, – ამბობს არაბი.

– საღამო მშვიდობისა, პაპიონ, – ამბობს სენ-ჟოზეფის კომენდანტი.

– საღამო მშვიდობისა.

– დაჯექი აქ, აი, ამ სკამზე.

მათ წინ ვჯდები. სამზარეულო ოთახში გამავალი კარი ღიაა, საიდანაც ლიზეტის ნათლია მეგობრულ ნიშანს მაძლევს.

– პაპიონ, – მეუბნება რუაიალის კომენდანტი, – კოლეგა დუტენი თქვენ გახასიათებთ, როგორც კაცს, ვისაც შეიძლება, ვენდოთ. ეს ნდობა მისი ცოლის ნათლულის გადარჩენის მცდელობით მოიპოვეთ. მე მხოლოდ ოფიციალური ჩანაწერებით გიცნობთ, საიდანაც ჩანს, რომ უკიდურესად საშიში პიროვნება ხართ. მინდა, ეს ჩანაწერები დავივიწყო და ბატონ დუტენს დავუჯერო. აი რა: აუცილებლად ჩამოვა კომისია და ყველა კატეგორიის კატორღელს გამოპკითხავს. უეჭველია, რომ თქვენ და ზოგიერთ სხვას დიდი გავლენა გაქვთ პატიმრებზე და დაიჯერებენ, იმოქმედონ ისე, როგორც დაარიგებთ. გვაინტერესებს თქვენი აზრი ბუნტის შესახებ და, აგრეთვე ის, თუ რის განცხადებას აპირებს თქვენი ბარაკი. თქვენ ეს უკვე გააზრებული გექნებათ.

– მე არაფერი მაქვს სათქმელი და ვერც ვერავისზე მოვახდენ გავლენას. თუ კომისია მართლა მოდის, ამგვარ ვითარებაში თქვენ ყველას გადაგაყენებენ.

– რატომ გგონია, პაპიონ? ბუნტს მე და ჩემმა სენ-ჟოზეფელმა კოლეგებმა შევუშალეთ ხელი.

– შეიძლება, თქვენ გადარჩეთ, მაგრამ არა რუაიალის შეფები.

– აგვიხსენით! – და რუაიალის ორივე კომენდანტი ჯერ ფეხზე დგება, მერე ისევ ჯდება.

– თუ თქვენ ბუნტზე ოფიციალურად დაიწყებთ ლაპარაკს, ჩათვალეთ, რომ გადაყენებული ხართ. თუ ჩემს პირობებს დათანხმდებით, ყველანი გადარჩებით, ფილისარის გარდა.

– რა პირობებზე ლაპარაკობთ?

– პირველ რიგში, ხვალ, დილიდანვე, კატორღელების ცხოვრება თავის ჩვეულ რიტმში უნდა დაბრუნდეს. თუ ერთმანეთთან ურთიერთობა არ გვექნება, ვერაფერს მოვილაპარაკებთ და საერთო აზრს ვერ გამოვიმუშავებთ კომისიისათვის განსაცხადებლად. ასე არ არის?

– ჰო, – ამბობს დუტენი, – მაგრამ გადასარჩენი რა გვჭირს?

– თქვენ, ვინც რუაიალიდან მოხვედით, პასუხისმგებლობა ყველა კუნძულზე გეკისრებათ, ხომ?

– დიახ.

– სამწუხაროდ, თქვენ ჟირასოლოსაგან შეტყორბინება გქონდათ, რომ ბუნტი მზადდებოდა. ბელადებიც კი დაასახელა – ოტენი და არნო.

– კარბონიერიც, – ამატებს „ძაღლი".

– არა, ეს ტყუილია. ჟირასოლოს მარსელიდანვე ჰქონდა გულში კარბონიერის მტრობა და ამ საქმეს იმიტომ მიუმატა. თქვენ არ დაუჯერეთ. რატომ? იმიტომ, რომ ისინი ყველას დახოცვას აპირებდნენ – ქალების, ბავშვების, არაბებისა და ზედამხედველების – ეს კი დაუჯერებლად მოგეჩვენათ. ამას გარდა, გეგონათ, რომ რაკი კუნძულზე მხოლოდ ორი კანჯო იყო, ვერავინ ჩათვლიდა შესაძლებლად აქედან გაქცევას.

– საიდან იცი ეს ყველაფერი?

– ეს ჩემი საქმეა! მაგრამ, გეუბნებით, რაც უფრო მეტს ილაპარაკებთ ბუნტზე,

მით უფრო ადვილად დაგიმტკიცებენ თქვენს დანაშაულს. მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება რუაიალს, რომელმაც ეს ხალხი სან-ჟოზეფზე გამოგზავნა, მაგრამ ერთმანეთს არ დააშორა, რისი გაკეთებაც თავისთავად აუცილებელი იყო. ერთი დიაბლზე უნდა გაგეგზავნათ, მეორე – აქ. თუ კომისია ამას გაიგებს, სანქციები არ აგცდებათ, თუმცა, ვალიარებ, ასეთი გიჟური ისტორიის დაჯერება ძალიან ძნელი იქნებოდა. გიმეორებთ, ბუნტზე ლაპარაკი თქვენს ჩაძირვას უდრის. ასე, რომ, ჯობია, დათანხმდეთ შემდეგ პირობებს: პირველი – როგორც უკვე გითხარით, ცხოვრება ნორმალურ რიტმს უნდა დაუბრუნდეს; მეორე – თანამონაწილეობაში ყველა ეჭვმიტანილი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს და არვითარ დაკითხვაზე ბუნტის შესახებ არ უნდა გაიყვანონ, რადგან ბუნტი არ ყოფილა. მესამე – ფილისარი ამ წუთიდანვე რუაიალზე უნდა გაიგზავნოს, ჯერ ერთი, თავისი პირადი უსაფრთხოებისთვის, რადგან, თუ არ იყო აჯანყება, როგორ გავამართლოთ სამი კაცის მკვლელობა? და ამას გარდა, ეს ზედამხედველი ბილწი მკვლელია – რაც მან ჩაიდინა, თავზარდამცემია – ყველას დახოცვა უნდოდა, მათ შორის ჩვენი ბარაკის ხალხისაც. თუ თქვენ ამ პირობებს მიიღებთ, ვფიქრობ, არ გამიჭირდება, ისე მოვაწყო, რომ ყველამ განაცხადოს – არნო, ოტენი და მარსო მარტო მოქმედებდნენო; რომ მათ თვითმკვლელობა გადაწყვიტეს და მანამდე რაც შეიძლება მეტის დახოცვას აპირებდნენ. თუ გნებავთ, სამზარეულოში გავალ, სანამ პასუხს მოიფიქრებდეთ.

სამზარეულოში გავდივარ და კარს ვხურავ. მადამ დუტენი ხელს მართმევს და ყავითა და კონიაკით მიმასპინძლდება. არაბი მოჰამედი მეკითხება:

– ჩემს სასარგებლოდ არაფერი თქვი?

– ეს კომენდანტის საქმეა, რაკი იარაღი განდო, ეტყობა შენს შეწყალებას აპირებს.

ლიზეტის ნათლია დაბალ ხმაზე მეუბნება:

– ასე მოუხდებათ ამ რუაიალელებს!

– ეშმაკმა დალახვროს! არად დაგიდევდნენ, თუ ბუნტი სენ-ჟოზეფზე მოხდებოდა, სადაც ყველას ყველაფერი ეცოდინებოდა, თქვენი ქმრის გარდა.

– პაპიონ, მე ყველაფერი მოვისმინე და მივხვდი, რომ ჩვენთვის კარგის გაკეთება გინდოდა.

– ეს ასეა, მადამ.

კარს აღებენ:

– პაპიონ, შემოდი!

– დაბრძანდი, პაპიონ, – მეუბნება რუაიალის კომენდანტი, – ავწონ-დავწონეთ და ერთხმად დავასკვენით, რომ თქვენ უეჭველად მართალი ხართ. ბუნტი არ ყოფილა. იმ სამ კაცს თავის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, ოღონდ, მანამდე, რაც შეიძლება მეტის გაყოლებას აპირებდა თან. ასე რომ, ხვალიდან ცხოვრება ძველ კალაპოტში ჩადგება. ბატონი ფილისარი ამაღამვე ნავა. ის, რაც მან ჩაიდინა, მხოლოდ ჩვენ გვეხება და აქ თქვენი თანამშრომლობა არ გეჭირდება. იმედი გვაქვს, რომ სიტყვას არ გატეხთ.

– მენდეთ. ნახვამდის.

– მოჰამედ და თქვენ, ზედამხედველებო, დააბრუნეთ პაპიონი თავის ბარაკში. მოიყვანეთ ფილისარი, იგი ჩვენთან ერთად რუაიალზე წამოვა.

გზაში მოჰამედს გათავისუფლებას ეუსურვებ. მადლობას მიხდის.

– აბა, რა უნდოდათ? – მეკითხებიან ჩემს ბარაკში.

სრულ სიჩუმეში სიტყვასიტყვით ვყვები, რაც მოხდა.

– თუ ვინმე არ მეთანხმება იმაში, რაც „ძაღლებთან" მოვილაპარაკე, თქვას.

ყველა თანახმაა.

– ფიქრობ მართლა დაიჯერეს, რომ ამ საქმეში არავინ იყო გარეული?

– არა, მაგრამ ასე გვაწყობს ორივე მხარეს.

ამ დილით, შვიდ საათზე, დისციპლინარული ნაწილის დილეგები, სადაც ას ოც კაცზე მეტი იყო ჩაგდებული, გამოაცარიელეს. სამუშაოდ არავინ გასულა, მაგრამ ყველა ბარაკი გაიღო და ეზო კატორღელებითაა სავსე, რომლებიც თავის ნებაზე ლაპარაკობენ, ეწევიან ან ჩრდილში სხედან. ნისტონი ჰოსპიტალში ნავიდა. კარბონიერი მეუბნება, რომ, თურმე, ას ოცი დილეგიდან, ორმოცზე მაინც ყოფილა მიმაგრებული მუყაო წარწერით: „აჯანყებაში მონაწილეობაში ეჭვმიტანილი."

ახლა, როცა ყველა შეკრებილი ვართ, ვიგებთ სინამდვილეში რაც მოხდა: ფილისარის მხოლოდ ერთი კაცი მოუკლავს, დანარჩენები ორ ახალგაზრდა ზედამხედველს შემოკვდომიან. კატორღელებისაგან მიმწყვდეულებს, ჰგონებიათ, გვხოცავენო და დაუსწრიათ. ასე ჩაკვდა დასაწყისშივე ეს ბუნტი, რომლის საბოლოო ვერსია ორივე მხარემ აღიარა: ადმინისტრაციამაც და კატორღელებმაც.

როგორც ამბობენ, ხუთივეს დაკრძალვა ამგვარად მომხდარა: რაკი კუნძულზე მხოლოდ ერთი კუბოა, ისინი ნავის ფსკერზე დაუწვენიათ და ზღვაში სათითაოდ გადაუყრიათ. ფეხებზე ქვაშებმული ზედამხედველი ბოლოს ჩაუგდიათ, ალბათ იფიქრეს ასე ზვიგენებს ავაცილებთო, მაგრამ ვერც ერთს ფსკერისაკენ წასვლა ვერ მოუსწრია და თეთრ სუდარებს, სანამ ზვიგენები შთანთქავდნენ, ზღვის ზედაპირზე ბალეტი უცეკვიათ. „ძაღლები" და მენავეები ამგვარი საშინელების დანახვაზე გამოქცეულან.

კომისია ჩამოვიდა. ის სენ-ჟოზეფზე დაახლოებით ხუთ დღეს დარჩა, რუაიალზე – ორ დღეს. მე გამორჩეულად არ დავუკითხივარ. კომენდანტ დუტენისაგან გავიგე, რომ ყველაფერს კარგად ჩაუვლია. ფილისარი საპენსიო შვებულებაში გაუშვიათ, ასე რომ, აღარ დაბრუნდება. კომენდანტ დუტენს ერთი გალონი მოუმატეს.

უკმაყოფილოებს რა გამოლევს და, გუშინ ერთი ბორდოელი მეკითხება:

– ჩვენ რა მოვიგეთ, „ძაღლებს" რომ საქმე ჩავუწყვეთ?

ვუყურებ ამ ტიპს და ვეუბნები:

– ორმოცდაათი თუ სამოცი კატორღელი შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ხუთწლიან დილეგს რომ აღარ მოიხდის, ფიქრობ, ეს არაფერია?

ქარიშხალი, საბედნიეროდ, ჩაცხრა. ერთგვარმა უსიტყვო შეთანხმებულობამ ზედამხედველებსა და კატორღელებს შორის მთლად დააბნია ის ყბადაღებული კომისია, რომელიც, ჩემი აზრით, მხოლოდ იმას ნატრობდა, რომ ყველაფერი კარგად დამთავრებულიყო.

პირადად მე არც არაფერი მომიგია და არც არაფერი წამიგია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ჩემი ამხანაგები მემადლიერებიან, რაკი მკაცრი სასჯელი არ დაადეს. ქვების მთრეველი ბრიგადაც კი გააუქმეს და ახლა მხოლოდ კამეჩებს ამუშავებენ – კატორღელების საქმე მხოლოდ ქვების გასწორებაა. კარბონიერი საფუნთუშეში დააბრუნეს. მე რუაიალზე დაბრუნებას ვცდილობ, რადგანაც აქ სახელოსნო არ არის, და ტივის გაკეთებას ვერ მოვახერხებ.

პეტენის ხელისუფლებაში მოსვლამ ზედამხედველებსა და კატორღელებს შორის ურთიერთობა გაამწვავა. ადმინისტრაცია ისე აშკარად უჭერს მხარს „პეტენიზმს“, რომ იმ დღეს ერთი ნორმანდიელი მეუბნებოდა:

– გინდათ, ერთი რამ გითხრათ, პაპიონ? მე რესპუბლიკელი არასდროს ვყოფილვარ.

კუნძულებზე რადიო არ არის და ახალ ამბებს ვერ ვიგებთ. იმასაც კი ამბობენ, რომ სანოვაგით გერმანული წყალქვეშა ნავები გვამარაგებენ მარტინიკიდან და გვადელუპიდანო. ვერაფერს გაიგებ, მუდმივად ერთიმეორის გამომრიცხავი ინფორმაციაა.

– მაგის დედა ვატირე, აი, ახლა უნდა მოვაწყოთ ბუნტი და კუნძულები დე გოლის საფრანგეთს გადავცეთ!

– გგონია, დიდ შარლოს კატორღა სჭირდება? რისთვის?

– რისთვის და ორი ან სამი ათასი კაცი რომ შეაგროვოს.

– კეთროვნები, ყეყეჩები, ტუბერკულოზიანები, ფაღარათიანი, დიზენტერიით დაავადებული ტუსაღები?! რას ამბობ, ბრიყვი კი არ არის, კატორღელებს ჩაეხუტოს!

– ორი ათასი კაციც არ მოინახება ჯანმრთელი?

– ჯანზე ყოფნა იმას არ ნიშნავს, რომ ავტომატისთვის გამოდგები. ომი მარტო იარაღით იერიშზე გადასვლა არ მეგონოს. შეტევა წამებით გრძელდება, ომი კი – წლობით. კარგი ჯარისკაცი მაშინ ხარ, როცა პატრიოტიზმის გრძნობა გაქვს. აქ ერთ ტიპსაც ვერ ვხედავ, ვინც საფრანგეთისათვის თავს გაწირავდა.

– მას შემდეგ, რაც გაგვიკეთა, არც გაწირავენ.

– ასე რომ, ხედავ? მე მართალი ვარ. საბედნიეროდ, შარლოს ომის საწარმოებლად სხვა ხალხი ჰყავს. და მაინც, საშინელებაა, წარმოიდგინო, რომ ეს საზიზღარი გერმანელები ჩვენთან არიან; რომ არსებობენ მათთან შეკრული ფრანგები! აქ ყველა „ძაღლი“, გამონაკლისის გარეშე, აცხადებს, რომ პეტენის მხარეს არის.

გრაფი დე ბერაკი ამბობს:

– ეს ჩვენთვის თავის გამოსყიდვის საშუალება იქნებოდა.

აქ ერთი ფენომენი ხდება: ადრე ამაზე კრინტს არავინ ძრავდა, ახლა კი ყველას – „ვირთხასაც“ და ავტორიტარსაც – სახეზე იმედის სხივი უბრწყინავს.

– მოვაწყოთ დე გოლის მხარეზე გადასასვლელი ბუნტი, პაპიონ?

– ძალიან ვწუხვარ, მაგრამ არავის თვალში გამოსასყიდი არაფერი მჭირს. საფრანგეთის სამართალი და მისი სტატია – „რეაბილიტაცია“ – ერთ ადგილას გამომისივია. ჩემს თავს მე თვითონ მოვნათლავ „რეაბილიტირებულად“, როცა გავიქცევი და საზოგადოების ნორმალური წევრი გავხდები. ვერავინ დამიმტკიცებს საწინააღმდეგოს. დიდ შარლოს გადასცემთ თუ არა კუნძულებს, არ მაინტერესებს და დარწმუნებული ვარ, რომ არც ის იკლავს ამისთვის თავს. თუ რამეს წამოიწყებთ, მაღლა იფიქრებენ, რომ გაქცევა გწადიათ და არა საფრანგეთის სასარგებლოდ მოქმედება. ანდა, იცით კი, ვინ არის მართალი – დე გოლი, თუ პეტენი? მე, მაგალითად, ამის არაფერი გამეგება. მხოლოდ ის მაწუხებს, რომ ეს ჩემი ქვეყანაა, სადაც ჩემი ახლობლები ცხოვრობენ.

– ისე, დიდი ყეყეჩი ვინმე თუ შეიწუხებს თავს იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც ჩვენდამი არავითარი სიბრალული არ გამოუჩენია.

– და მაინც, ამგვარად მსჯელობა ნორმალურად მიმაჩნია, რადგან ეს „ძაღლები“, სასამართლო აპარატი და ჟანდარმები – საფრანგეთი არ გახლავთ – ეს სულ სხვა, გამრუდებული აზროვნების მქონე ადამიანებისაგან შექმნილი კლასია. რამდენი ვინმე იქნება მზად, გერმანელების ლაქიები გახდნენ! სანაძლეოს ჩამოვალ, რომ საფრანგეთის პოლიცია ახლა თანამემამულეებს აკავებს და გერმანულ ხელისუფლებას აბარებს. ვთქვი და ვიმეორებ, რომ არავითარ ბუნტში, თუ გაქცევას არ ეხება, არ მივიღებ მონაწილეობას და კიდევ – გაქცევას გააჩნია.

პეტენისტებისა და დე გოლის მომხრეებს შორის დიდი კამათები იმართება. დანამდვილებით არავინ არაფერი იცის, რადგან, როგორც ვთქვი, აქ რადიო უფროსსაც კი არ აქვს. ახალ ამბებს გამვლელი გემებისაგან თუ შეიტყობთ, რომელთაც დროდადრო ჩვენთვის ცოტა ფქვილი, ბოსტნეული და ბრინჯი მოაქვთ. ასე შორიდან დანახული ომის გარჩევა ძალიან ძნელია.

როგორც ჩანს, სენ-ლორან-დიუ-მარონიში გამათავისუფლებელი არმიის რეკრუტორი ჩამოსულა. აქ მხოლოდ ის ვიცით, რომ მთელი საფრანგეთი გერმანელებს უპყრიათ.

გასართობს რა გამოლევს: რუაიალზე ერთი მღვდელი ჩამოვიდა და მესაზე, ქადაგებისას თქვა, თუ კუნძულებს შემოუტევენ, იარაღს დაგირიგებთ, რათა ზედამხედველებს საფრანგეთის მიწის დაცვაში დაეხმაროთო.

ყოჩაღ, მღვდელო! რა უბადრუკი წარმოდგენა გქონია ჩვენზე! პატიმრებს საკუთარი საპყრობილის დაცვა სთხოვო!... – რას არ გაიგონებ კატორღაში!

ყოველი გემის გამოჩენა ჩვენთვის დაცვის გაძლიერებას უდრის. ჩამოდიან ახალი ინსპექტორები, ზოგიერთი – მკვეთრი ალზასური აქცენტით. პური ცოტაა – ორას გრამს გვაძლევენ. ხორციც გვაკლია.

მოკლედ, ერთადერთი, რამაც მოიმატა, გაქცევის მცდელობისათვის სასჯელია – სიკვდილის განაჩენი და დაუყოვნებელი აღსრულება, იმიტომ, რომ ბრალდებას დაემატა: „განზრახვა ჰქონდა, საფრანგეთის მტრების მხარეს გადასულიყო“.

ოთხი თვეა, რუაიალზე ვარ. ძალიან დავუმეგობრდი ექიმ ჟერმენ გიბერს. მისმა ცოლმა მთხოვა, ბოსტანი გამეშენებინა, რათა გაჭირვების ჟამს ბოსტნეულით შეეშველებოდი. ბაღში სალათი, ბოლოკი, მწვანე ლობიო, პომიდორი და ბადრიჯანი გავუხარე. აღფრთოვანებულია და ნამდვილი მეგობარივით მექცევა.

ეს ექიმი არც ერთ ზედამხედველს ხელს არ ართმევს, ზოგიერთი კატორღელის მიმართ კი ამას არ თაკილობს.

მოგვიანებით, თავისუფლებაში, ჟილბერ გიბერთან ექიმ როზენბერგის მეშვეობით განვაახლე კონტაქტები. მან ცოლთან ერთად მარსელში გადაღებული სურათი გამომიგზავნა. მაროკოდან ბრუნდებოდა და გათავისუფლება მომილოცა. იგი ინდოჩინეთში დაიღუპა დაჭრილის გადარჩენის მცდელობისას. იშვიათი პიროვნება იყო და ცოლიც შესაფერისი ჰყავდა. 1967 წელს, როცა საფრანგეთში ჩავედი, სურვილი მქონდა, მის სანახავად წაესულიყავი, მაგრამ მერე გადავიფიქრე, რადგან მანამდე შეწყვიტა ჩემთან მიმონერა. ეს მაშინ მოხდა, როცა ჩემთვის დადებითი ატესტაციის შედგენა ვთხოვე, რაც გამიკეთა კიდეც. მას შემდეგ აღარ მოუწერია. არ ვიცი, რა არის ამ სიჩუმის მიზეზი. ორივეს მიმართ გულში უდიდეს მადლიერებას ვინახავ იმ კეთილგანწყობისათვის, რასაც რუაიალზე იჩენდნენ ჩემდამი.

მეცხრე რვეული

სენ-ჟოზეფი

კარბონიერის სიკვდილი

გუშინ ჩემს მეგობარ კარბონიერის გულში დანა გაუყარეს. ეს მკვლელობა უეჭველად სხვა მკვლელობების ჯაჭვს გამოინვევს. მთლად შიშველი, სახეზე საპონნა-სმული, პირსაბანთან იდგა და მაშინ დაარტყეს. ასეთ დროს კაცს ხელმისაწვდომზე გაშლილი დანა უდევს. მან ეს არ გააკეთა და სიცოცხლის ფასადაც დაუჯდა. იგი ერთმა სომეხმა მოკლა, ვისაც მთელი ცხოვრება სუტენიორობაში ჰქონდა გატარე-ბული.

კომენდანტის ნებართვით, ერთი კაცი დავიხმარე და ჩემი მეგობრის ნეშტი მე თვითონ ჩავაცილე ნავსაყუდელამდე. მძიმეა და ფერდობზე ჩასვლისას სამჯერ ვისვენებთ. ფეხებზე მსხვილ ქვას მავთულით ვაბამ, რათა ზვიგენებმა მისი შეჭმა ვერ მოასწრონ.

ნავსაყუდელთან საღამოს ექვს საათზე მივდივართ. ზარი რეკავს. მზე ჰორიზო-ნტზე ეშვება. ნავში ვსხდებით. სახურავახდილ ყუთში მატიეს სამუდამოდ სძინავს. მისთვის ყველაფერი დამთავრდა.

– მიდი, მოუშვი, – „ამბობს ძაღლი.“ უეცრად ყელში ბურთი მეჩრება: ათობით ზვიგენის ფრთა ერთი მეტრის სიგანის წრეში ბრუნავს. ისინი პაემანზე დანიშნულ დროს მოსულან!

ღმერთმა ქნას, ჩემი მეგობარი ისე მალე ჩაიძიროს, რომ დაჭერა ვერ მოასწრონ. გამოთხოვების ნიშნად ნიჩბები მაღლა აღვმართეთ. ყუთს ვარხევთ. ფქვილის ტო-მრებში გახვეული მატიეს გვამს ქვა ექაჩება და სწრაფად ეხება ყწყალს.

ღმერთო, რა საშინელებაა! როგორც კი წყალში ჩაეშვა და ვიფიქრე ჩაიძირა მეთქი, მაგრამ, ათეული ზვიგენის მიერ აწეული, ისევ ზედაპირზე ამოტივტივდა. ისინი ტომრის ნაჭრებს იქვე, ნავის გვერდით ახევენ. აუწერელი რამ ხდება: რამდე-ნიმე წამით მატიეს ტანი წყალზე ამოწეული ჩნდება და პირდაპირ ნავისაკენ მო-დის. მარჯვენა მკლავი უკვე აღარ აქვს. მერე სამუდამოდ ქრება. ზვიგენები ნავის ქვეშ უჩინარდებიან. ზოგიერთი გაეხახუნა კიდეც. ერთმა კაცმა წონასწორობა და-კარგა და კინაღამ ზღვაში გადავარდა.

ყველას, „ძაღლების“ ჩათვლით, ამის ხილვაზე თავზარი დაგვეცა. პირველად ახლა გამიჩნდა სიკვდილის სურვილი. ძლივს შევიკავე თავი ზვიგენებში გადავა-რდნისა და ამ ჯოჯოხეთში გაუჩინარებისაგან.

გულდამძიმებული, მარტო, საკაცით მხარზე, ნელ-ნელა ამოვდივარ ბანაკისკენ. იმ ადგილას, სადაც ბრუტუსს დანტონი დაესხა თავს, ვჩერდები და ვჯდები. ჩამო-ბნელდა, თუმცა ჯერ მხოლოდ საღამოს შვიდი საათია. მარტო დასაელეთით არის ცა ოდნავ განათებული. გულზე მწუხარება მაწვება.

„მეგობრის დაკრძალვა გინდოდა, გენახა? აჰა, ხომ იხილე კმაყოფილი ხარ? დაიცხრე ავადმყოფური ცნობისმოყვარეობა? ისღა დაგრჩენია, ის ტიპი „გაასაღო“, ვინც მეგობარი მოგიკლა. როდის? ამაღამ? რატომ ამაღამ? ჯერ ადრეა, ძალიან იფრთხილებს. საძმოში ათნი არიან. არ უნდა დამასწრონ. რამდენი კაცის იმედი

უნდა მქონდეს? ოთხი, პლიუს მე: ხუთი. კარგია. ის უნდა ჩაძაღლდეს და, თუ შეეძლება, დიაბლზე გადავალ. იქ ტივის შეკვრას არ ვეცდები – ვერც მოვახერხებ. ქოქოსის კაკლით სავსე ორი ტომარა და – თავს ზღვას მივცემ. დიდ მიწამდე, პირდაპირი ხაზით, ორმოცი კილომეტრი თუ იქნება. ტალღების, ქარისა და მიქცევის გათვალისწინებით, ას ოც კილომეტრამდე უნდა ვიანგარიშო. იქამდე მიღწევა მხოლოდ გამძლეობის საკითხია. მე ღონიერი ვარ. არ უნდა გამიჭირდეს, ორ დღეს ტომრებზე გადამჯდარმა ვიცურო ზღვაში".

საკაცეს ვიღებ და ბანაკში ავდივარ. ბარაკის კართან მისვლისას უცნაური რამ ხდება – მჩხრეკენ. აქამდე ამას არ აკეთებდნენ. ზედამხედველი პირადად მაცლის დანას.

– გინდათ, ვინმემ მომკლას? რატომ მართმევთ იარაღს? ამით სამარეში მგზავნით. თუ „გამასაღებენ", თქვენი ბრალი იქნება! – არავინ, არც ზედამხედველი და არც არაბი, პასუხს არ მაძლევს. ბარაკში შევდივარ.

– არაფერი ჩანს, რატომ გინთიათ ერთი ლამპა ორის ნაცვლად?

– პაპი, აქეთ მოდი, – გრანდე სახელოში მეწევა. ბარაკი მიჩუმებულია. იგრძნობა, რომ რაღაც მძიმე მოხდა, ან მოხდება.

– დანა აღარ მაქვს, გამჩხრიკეს და ამომაცალეს.

– ამაღამ არც დაგჭირდება.

– რატომ?

– სომეხი და მისი მეგობარი ტუალეტში არიან.

– იქ რას აკეთებენ?

– განისვენებენ.

– ვინ გააცივა?

– მე.

– დრო არ დაგიკარგავს. სხვები?

– მათი ბანდიდან ოთხიღა რჩება. პაოლომ სიტყვა მომცა, რომ შენ მოსვლამდე არაფერს მოიმოქმედებდა, აინტერესებთ, ყაბულსა ხარ თუ არა, რომ ეს საქმე აქ შეწყდეს?

– დანა მომეცი.

– ჩემი აიღე. მე ამ კუთხეში ვიქნები. წადი, ელაპარაკე.

იმ ჯგუფისკენ მივდივარ. სიბნელეს თვალი უკვე შევაჩვიე. მალე ვამჩნევ ოთხივეს – ჰამაკის წინ, ერთმანეთზე მიკრულები დგანან.

– პაოლო, ჩემთან ლაპარაკი გდომებია.

– დიახ.

– მარტოს თუ შენს მეგობრებთან ერთად? რა გინდა?

ჩვენ შორის მეტრნახევარ მანძილს ვიტოვებ. გახსნილი დანა მარცხენა სახელოში მაქვს შემალული.

– მინდოდა მეთქვა, რომ შურისძიება შედგა. შენ დაკარგე საუკეთესო მეგობარი, ჩვენ ორი დავკარგეთ. ჩემი აზრით, აქ უნდა გავჩერდეთ.

– პაულო, გავიგე, რასაც მეუბნები. ახლა მხოლოდ ის შემიძლია, შეგთავაზო, თუ თანახმა იქნები, რომ ორივე საძმო შევთანხმდეთ, რვა დღის განმავლობაში არაფერი მოვიმოქმედოთ. ამის შემდეგ. ვნახავთ, როგორ მოვიქცეთ. თანახმა ხართ?

– თანახმა ვართ.

ვცილდები.

– აბა, რას ამბობს?

– ისინი ფიქრობენ, რომ სომხისა და სან-სუსის მოკლით შური საკმაოდ ვიძიეთ.

– არა, – ამბობს გალგანი. გრანდე ჩუმადაა. ჟან კასტელი და ლუი გრავონი სამშვიდობო პაქტზე თანახმა არიან.

– შენ რას იტყვი, პაპი?

– ჯერ ერთი, ვინ მოკლა მატიე? სომეხმა. კარგი. მე და იმათ ერთმანეთს სიტყვა მივეცით, რომ რვა დღის განმავლობაში არაფერს მოვიმოქმედებთ.

– არ გინდა, მატიეს გამო ჯავრი იყარო? – მეკითხება გალგანი.

– ბიჭო, მატიეს ორი მიჰყვა. ესე იგი, შური უკვე ვიძიეთ. სხვები რატომ უნდა დავხოცო?

– ჯერ უნდა გავიგოთ, იცოდნენ, რომ მოკვლას უპირებდა?

– ძილი ნებისა ყველას. მაპატიეთ, თუ შევძლებ, მინდა ჩავთვლიმო.

ახლა მარტო ყოფნა მჭირდება. ვიღაც ხელის ფათურით დანას მაცლის და მეჩურჩულება:

– თუ მოახერხებ, დაიძინე, პაპი. მშვიდად იყავი. ჩვენ რიგრიგობით ვიფხიზლებთ.

ჩემი მეგობარი ლაჩრულად, რაიმე სერიოზული მოტივის გარეშე მოკლეს. ის სომეხი ნაწყენი იყო მასზე, რადგანაც მატიემ ერთხელ, თამაშისას, ოცდაათი თუ ორმოცი კაცის თვალწინ, გრანდეს მხარდაჭერით, ას ორმოცდაათი ფრანკის გადახდა აიძულა. კარბონიერი ქურდულ სამყაროში მამაც და სამართლიან კაცად იყო ცნობილი. ამ ამბავმა ჩემზე დიდად იმოქმედა. სანუგეშო ისღა მაქვს, რომ მკელელებმა მხოლოდ რამდენიმე საათით მეტი იცოცხლეს.

როგორც გავიგე, გრანდე ვეფხვივით, რაპირისტისთვის შესაშური სისწრაფით მივარდნია და ორივესათვის კისრები გაუხვრეტია. თავის აწევაც კი ვერ მოუსწრიათ. ის ადგილი, სადაც ახლა მათი გვამები ყრია, სისხლით უნდა იყოს მოსვრილი. სულელური აზრი მომდის: ვიკითხო, ვინ გაათრია ისინი საპირფარეშოში, მაგრამ თავს ვიკავებ – ლაპარაკის გუნებაზე არ ვარ. თვალწინ მიდგას, როგორ გლეჯენ ჩამავალი მზის ათინათებში ზვიგენები ჩემს მეგობარს... და ეს მკლავმოგლეჯილი ტანი, როგორც ფეხზე მდგომი, ნავისაკენ რომ მოდის!...სიმართლე ყოფილა – ამ ადგილისაკენ ზვიგენებს ზარი უხმობს. მათი პირქუში ანარეკლები, ტრიალ-ტრიალით, წყალქვეშა ნავებივით, ყველა მხრიდან მოცურავდნენ. საშინელებაა, ორმოცი წლის ასაკში ვიღაც არარაობის დანით მოკვდე. საბრალო მატიე! ჩემი მეგობრისათვის ყველაფერი დამთავრდა: ბიწიერების ბილიკმა თავისი საქმე გააკეთა...

არა, მეტის ატანა აღარ შემიძლია! დაე, მეც ზვიგენებმა შემჭამონ, ოღონდ ისე არა – ფქვილის ტომრებში გახვეული და ფეხებზე ქვა- მობმული. არა, თავისუფლებისაკენ უნდა მივილტვოდე, ყოველგვარი ზარისა და მოწმის – კატორღელი იქნება ეს თუ ზედამხედველი – გარეშე. თუ შეჭმა მიწერია – შემჭამონ, ოღონდ მანამდე ჩემი სხეული უკანასკნელ ასომდე იბრძოლებს დიდ მიწამდე გასაღწევად. მორჩა, არავითარი მომზადება! დიაბლზე გადავალ: ქოქოსის კაკლით სავსე ორი ტომარა და მისი ჯანი! ღვთის შეწევნით, გავაღწევ! მთავარია, გავუძლო! რამდენი საათი მომიწევს წყალში ყოფნა? ორმოცდარვა? სამოცი? ნეტავ, ასე დიდიხანს ტომრებზე გადამჯდარს ფეხები ხომ არ გამიშეშდება? დიაბლზე თუ მოვხვდი, თავს გამო-

ვცდი. მთავარია, იქ გადავიდე, მერე ვნახოთ.

– გძინავს, პაპი?

– არა.

– ყავას დალევ?

– კი, – ჰამაკზე ვჯდები. გრანდე ყავასა და ანთებულ „გოლუაზს“ მიწვდის.

– რომელი საათია?

– ღამის პირველი საათია. თორმეტიდან ვმორიგეობ. შეგატყვე, არ გეძინა.

– ჰო, მატიეს სიკვდილმა თავზარი დამცა, ხოლო რაც მის დასაფლავებაზე ვნახე – საშინელება იყო.

– წარმომიდგენია, რა იქნებოდა, პაპი. არ უნდა წასულიყავი.

– მეგონა, ზარის ისტორია გაბერილი იყო. ამას გარდა, რას მოვიფიქრებდი, რომ, დიდი ქვის მიუხედავად, ზვიგენები მაინც მოასწრებდნენ მის დაჭერას. საბრალო მატიე, ამ სცენას ვერაფერი დამავიწყებს. როგორ მოახერხე, მკვლელებს ასე ჩქარა გასწორებოდი?

– კუნძულის მეორე მხარეს საყასბოს რკინის კარს ვაკეთებდი, როცა მკვლელობის ამბავი გავიგე. შუადღე იყო. ბანაკში ამოსვლამდე სახელოსნოში შევიარე, ვითომ კლიტის გაწყობა მინდოდა. ვიპოვე ერთი მეტრი სიგრძის მილი, ორივე მხარეს ალესილი ბებუთები მოვარგე და მერე მოვხსენი. ბანაკში, ამ მილით ხელში ხუთ საათზე ავედი. „ძაღლმა“ მკითხა, რა არისო ვუპასუხე, რომ ჰამაკის ფიცარი გამიტყდა და დროებით ამ მილს გამოვიყენებდი. ჯერ არ დაბნელებულიყო, მაგრამ მოვახერხე, მილი საბანში დამემალა. შეღამებისას, სიის ამოკითხვის წინ ავიღე. მეგობრების მიერ უცხო თვალისაგან დაფარულმა, დანები ისევ ჩუმად მოვარგე. სომეხი და სან-სუსი თავიანთ ჰამაკებთან იდგნენ, პაულო – ცოტა უკან. ჟან კასტელსა და ლუი გრავონს იცნობ – გამბედაობა არ აკლიათ, მაგრამ ასაკის გამო სწრაფად ვერ იმოქმედებდნენ. „არ მინდოდა, ამ საქმეში გარეულიყავი და შენ მოსვლამდე გავაკეთე გასაკეთებელი. შენ რომ დაგეხოცა, მაქსიმუმს აიკიდებდი. ჟანმა ერთი ლამპა ჩააქრო, და თითქმის დაბნელდა. ჯიბეში დეგას მოცემული დიდი ფარანი მედო. ჟანი წინ წავიდა, ფარანი პირდაპირ თვალებში მიანათა და, სანამ სინათლისაგან დაბრმავებული სომეხი თვალებზე ხელს აიფარებდა, მოვასწარი და ყელში ბებუთით მივწვდი. ასევე დაბრმავებული სან-სუსი დანას სიცარიელეში იქნევდა. ისეთი ძალით გავურჭე, რომ მახვილი კისრის მეორე მხარეს გავიდა. პაულო ძირს დავარდა და ჰამაკის ქვეშ შეგორდა. ჟანმა ფარანი ჩააქრო. პაოლოს არ გამოვდევნებივარ – ამან გადაარჩინა.

– საპირფარეშოში ვინ გაათრია?

– არ ვიცი. ალბათ, თავისიანებმა, „ქისები“ რომ ამოეცალათ.

– ახლა იქ, ალბათ, სისხლის გუბეა.

– რა თქმა უნდა, ყელგამოჭრილებს რა სისხლი შერჩებოდათ! ფანრის გამოყენება აზრად მაშინ მომივიდა, როცა მახვილს ვამზადებდი. სახელოსნოში ერთი ზედამხედველი თავის ფანარს დეტალებს უცვლიდა და მაშინვე დეგას ვთხოვე, ჩემთვისაც ეშოვა. ჩხრეკას უეჭველად, ჩაატარებენ და ამიტომ ფანარიცა და მკვლელობის იარაღიც ერთ არაბს გავატანინე დეგასათვის გადასაცემად. ამ მხრივ არაფერი სამხილი არ არის. სინდისის ქეჯნა სულაც არ მაწუხებს. მატიეს თვალებში საპონი ჰქონდა, როცა მოკლეს. მე ისინი მაშინ დავხოცე, როცა თვალები სინათლის

შუქით ჰქონდათ სავსე. ახლა ბარი-ბარში ვართ. რას იტყვი, პაპი?

– კარგად მოქცეულხარ და არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადო არა მარტო ჩვენის საერთო მეგობრის გამო შურისძიებისათვის, არამედ იმიტომაც, რომ ამ საქმეს ჩამომაშორე.

– ამაზე ნუ ვილაპარაკებთ მე ჩემი ვალი მოვიხადე: შენ იმდენი ტანჯვა გამოიარე და ისე გინდა, თავისუფალი იყო, რომ მე ეს აუცილებლად უნდა გამეკეთებინა.

– მადლობა, გრანდე. ჰო, ისე არასდროს მდომებია გაქცევა, როგორც ახლა. ამიტომ, გთხოვ, დამეხმარე, რომ ეს საქმე აქ მოკვდეს. გულახდილად გეტყვი, არა მგონია, სომეხი საძმოს მოლაპარაკებოდეს. პაოლო ასეთ ლაჩრულ მკვლელობაზე არ წავიდოდა, იცის, რა მოჰყვებოდა.

– მეც ასე მგონია. მხოლოდ გალგანის არ სჯერა და ამბობს, რომ ყველა დამნაშავეაო.

– დაველოდოთ ექვს საათს. ვნახოთ, რა მოხდება. სამუშაოდ არ გავალ: თავს მოვიავადმყოფებ, რომ ვნახო, რა იქნება.

დილის ხუთი საათია. ჩვენთან მამასახლისი მოდის:

– ბიჭებო, რა ვქნათ, დაცვას დავუძახო? ეს-ესაა ტუალეტში ორი გვამი ვიპოვე, – ამ სამოცდაათი წლის კატორღელს უნდა, დაგვაჯეროს, რომ არაფერი გაუგია. და ეს მაშინ, როცა საღამოს შვიდი საათის შემდეგ – მათი დახოცვის დროიდან – ბარაკის გასასვლელი სისხლით უნდა იყოს მოსერილი, რადგან ხალხი სიარულისას აქეთ-იქით გაიტანდა. გრანდეც შესაბამისად პასუხობს: „რას ამბობ, საპირფარეშოში ორი გვამია?! დიდი ხანია?

– რას გაიგებ, – ამბობს ბებერი, – მე ექვს საათზე დავიძინე. მხოლოდ ახლა, როცა მოსაფსმელად გავედი, წებოვან სითხეში ფეხი გამიცურდა და სანთებელას შუქზე აღმოვაჩინე, რომ სისხლი იყო. მერე ის ორი ტიპიც ვიპოვე.

– დაუძახე, ყველაფერი გაირკვევა.

– ზედამხედველო! ზედამხედველო!

– რა გაღრიალებს, ბებერო ჯუჯლუნავ, ხანძარი გაჩნდა?

– არა, შეფ, ტუალეტში ორი გვამია!

– მერე, ჩემგან რა გინდა? გავაცოცხლებ, თუ რა? ჯერ ექვსის თხუთმეტი წუთია, ექვს საათზე ვნახოთ. მანამდე იქ არავინ შეუშვა.

– აბა, როგორ შევძლებ, ადგომისთანავე ყველა იქ მიეშურება დიდ თუ პატარა საქმეებზე.

– მართალი ხარ. დამელოდე, დაცვის უფროსს ვუპატაკებ.

უფროსი ზედამხედველი და ორი სხვა „ძაღლი" მოდიან. გვგონია, შიგნით შემოვლენ, მაგრამ არა, კარის გისოსებთან ჩერდებიან:

– შენ ამბობ, რომ ტუალეტში ორი მკვდარია?

– დიახ, უფროსო.

– როდიდან?

– არ ვიცი, ახლახანს მოსაშარდად გავედი და ვნახე.

– ვინ არიან?

– არ ვიცი.

– მაშინ, მე გეტყვი, ბებერო დაგრეხილო: ერთი სომეხი იქნება. მიდი, ნახე!

– მართლაც, ერთი სომეხია, მეორე – სან-სუსი.

– კარგი, სიის ამოკითხვას დაელოდეთ, – და მიდიან.

ექვსი საათი ხდება. პირველი ზარი ირეკება. კარს აღებენ. ყავის ორ დამრიგებელს უკან პურის გამნაწილებლები მოსდევენ.

შვიდის ნახევარი – მეორე ზარი. თენდება. ბარაკის შუა გასასვლელი ნაფეხურებით არის დაფარული.

უკვე დღეა. ორივე კომენდანტი მოდის. მათ რვა ზედამხედველი და ექიმი მოჰყვებიან.

– ყველანი გაშიშვლდით და თქვენ-თქვენი ჰამაკების წინ დადექით! საყასბოშიც არ იქნება ამდენი სისხლი.

მეორე კომენდანტი ტუალეტში პირველი შედის და ზეწარივით გაფითრებული ბრუნდება.

– ყელები აქეთ გამოღადრული. არავის არაფერი უნახავს და გაუგია. ასეა? სრული სიჩუმე.

– შენ, ბებერო, ამ ბარაკის მამასახლისი ხარ, არა? სხეულები უკვე გაშეშებულია. ექიმო, დაახლოებით რა დრო იქნება გასული, რაც დაიხოცნენ?

– ცხრა-ათი საათი.

– და შენ მხოლოდ ხუთ საათზე აღმოაჩინე? არაფერი გინახავს და არაფერი გაგიგია?

– არა. ყურში ცუდად მესმის და თითქმის ბრმა ვარ. ამას გარდა, უკვე სამოცდაათი წლის გავხდი. აქედან ორმოცი კატორღაში გავატარე. ალბათ, გასაგებია, რომ ბევრი მძინავს. ექვს საათზე დავწექი და ბედად, ხუთ საათზე გამაღვიძა ტუალეტში გასვლის სურვილმა. ჩვეულებრივ, მე მხოლოდ ზარის ხმაზე ვდგები ხოლმე.

– მართლაც ბედია, – ირონიულად ამბობს კომენდანტი, – ჩვენც გაგვიმართლა. ასე რომ არა, დილამდე მშვიდად არ გვეძინებოდა. წაიღეთ ეს ორი გვამი საოპერაციოში. ექიმო, ჩემი სურვილია, რომ გაკვეთოთ. თქვენ სათითაოდ გადით ეზოში! – ექიმისა და კომენდანტის წინ გავლისას სხეულის ნაწილებს „გვიჩითავენ“. არავის ნაკაწრიც კი არა აქვს. მხოლოდ ზოგიერთს წითელი ეტყობა წანწკლები და აცხადებენ, რომ სისხლში ფეხი გაუცურდათ. მე, გრანდესა და გალგანის სხვებზე გულმოდგინედ გვსინჯავენ.

– პაპიონ, რომელია თქვენი ადგილი? – ჩხრეკენ ჩემს ხარა-ხურას, – დანა სად გაქვს?

– დანა საღამოს შვიდ საათზე ზედამხედველმა კართან ამართვა.

– მართალია, უდასტურებს ძაღლი. ისიც კი მითხრა, ჩემი სიკვდილი გინდათო.

– გრანდე, ეს თქვენი დანაა?

– დიახ, რაკი ჩემს ადგილზეა, ესე იგი ჩემია.

დანას უკირკიტებენ. ახალი მონეტასავით სუფთაა.

ექიმი ტუალეტიდან გამოდის და ამბობს:

– ეს ხალხი ორლესულით მაშინ დახოცეს, როცა ფეხზე იდგნენ. ვერაფერს გაიგებ. არც ერთი კატორღელი ასე, კურდღელივით, თავდაცვის გარეშე, ყელს არ გამოგაღადრინებს. ვინმე დაჭრილი უნდა იყოს.

– თქვენ თვითონ ნახეთ, ექიმო, რომ არც ერთს ნაკაწრიც კი არა აქვს.

– ეს ორი საშიში პიროვნება იყო?

– ძალიან, ექიმო. სომეხი უეჭველად კარბონიერის მკვლელი უნდა იყოს – გუშინ, დილის შვიდ საათზე პირსაბანში რომ მოკლეს.

– კლასიკური საქმეა, – ამბობს კომენდანტი. ყოველი შემთხვევისათვის, გრანდეს დანა შეინახეთ. ახლა ყველა, ავადმყოფების გარდა, სამუშაოზე წადით. პაპიონ, თქვენ ავადმყოფად ჩაეწერეთ?

– დიახ, კომენდანტო.

– შურის საძიებლად დრო არ დაგიკარგავთ. იცით, რომ სულელი არა ვარ. საუბედუროდ, საბუთი არ მაქვს და ვიცი, ვერც ვიპოვი. უკანასკნელად გეკითხებით: არავის არაფერი აქვს გასაცხადებელი? თუ რომელიმე თქვენგანი დაგვეხმარება ამ ორმაგი მკვლელობის გახსნაში, სიტყვას გაძლევთ, რომ დიდ მინაზე გავაგზავნით.

აბსოლუტური სიჩუმე.

სომხის საძმოს ყველა წევრმა თავი მოიავადმყოფა. ამის დანახვაზე გრანდე, გალგანი, ჟან კასტელი და ლუი გრავონიც ასევე იქცევიან; ბარაკში ერჩებით ჩვენ – ხუთნი და ოთხი – იმათი. ამას გარდა: მესაათე, მამასახლისი, რომელიც გაუჩერებლად ბუზღუნებს, რაკი სამუშაო გაუჩნდა და კიდევ ორი თუ სამი კატორღელი, მათ შორის ერთი ალზასელი, „დიდ სილვენად“ წოდებული.

ეს კაცი ახლოს არავისთან არის, არც მტერი ჰყავს. ყველა პატივს სცემს. კატორღაში საფოსტო ვაგონზე თავდასხმამ გამოგზავნა: პარიზი-ბრიუსელის მატარებელში მარტომ მოიშორა ორი დარაჯი და ფულის ტომრები გადმოყარა, რომლებიც თანამზრახველებმა აკრიფეს.

სილვენი ხედავს, რომ ორივე საძმო თავ-თავის კუთხეში ჩურჩულებს. არ იცის, რომ დროებითი ზავი გვაქვს და ამბობს:

– იმედი მაქვს, მუშკეტერებივით არ დამწკრივდებით და ისე არ იჩხუბებთ.

– დღეს არა, – ამბობს გალგანი, – ეს მერე იქნება.

– რატომ – მერე? გადადებული საქმე არ ვარგა, – პასუხობს პაოლო, – მაგრამ მე ერთმანეთის დასახოც მიზეზს ვერ ვხედავ. რას იტყვი, პაპიონ?

– ერთი კითხვა მაქვს: იცოდით, რასაც სომეხი აპირებდა?

– კაცურად გეუბნები, პაპი, არაფერი ვიცოდით. უფრო მეტიც – სომეხი რომ ცოცხალი დარჩენილიყო, კარბონიერის მკვლელობის შემდეგ არ ვიცი, როგორ მოვიქცეოდი.

– თუ ასეა, აქ რატომ არ უნდა შევაჩეროთ ეს ისტორია?

– ჩვენ თანახმა ვართ. ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი და აღარასოდეს ვილაპარაკოთ ამ თემაზე.

– მოსულა!

– მე მოწმე ვარ, – ამბობს სილვენი, – მიხარია, რომ ასე დამთავრდა.

– ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ.

საღამოს ექვს საათზე, ზარის ხმაზე, ისევ მატიეს დაკრძალვის სცენა მიდგება თვალწინ. სომეხსა და სან-სუსისაც კი არ ვუსურვებდი იმ ყოფაში ჩავარდნას. გალგანი ხმას არ იღებს. სიცარიელეს მიშტერებია და ფეხებს ჰამაკის იქეთ-აქით აქნევს. იცის, რაც კარბონიერის დაკრძალვისას მოხდა. გრანდე ჯერ არ შემოსულა. ზარის ხმა ათი წუთის წინ შეწყდა. გალგანი ისევ ფეხების ქნევით ამბობს:

– იმედი მაქვს, რომ მატიეს შემჭმელ ზვიგენს იმ დამპალი სომხის ხორცის არც

ერთი ლუკმა არ შეხვდება. დიდი უსამართლობა იქნებოდა, მტრები ერთ მუცელში აღმოჩენილიყვნენ.

კარბონიერის დაკარგვამ ჩემ ირგვლივ სიცარიელე შექმნა. უნდა წავიდე აქედან და რაც შეიძლება სწრაფად ვიმოქმედო.

გიჟების გაქცევა

– ომის გამო გაქცევის მცდელობაზე დიდი სასჯელებია. არ ღირს, ახლა ეცადო და ჩაგეშალოს, არა, სალვიდია?

ეტაპირების დროს გაცნობილი „ოქროს ქისის“ იტალიელი და მე საბნების ქვეშიდან ვსაუბრობთ. ეს-ესაა ახალი განკარგულებების ჩამონათვალი წავიკითხეთ.

– სიკვდილით დასჯის ვერავითარი მუქარა ვერ მაიძულებს, გაქცევაზე უარი ვთქვა. შენ?

– მე, პაპიონ, აღარ შემიძლია. უნდა გავიქცე. მოხდეს, რაც მოსახდენია. შეშლილების თავშესაფარში სანიტრად გადაყვანა ჩავაწყვე. ვიცი, რომ იქ, საკუჭნაოში, ორი ორასოცდახუთ ლიტრიანი კასრია. ერთი: – ზეთით არის სავსე, მეორე – ძმრით. ტივად შევკრავ. თუ საიმედოდ გადავაბამ, დიდი შესაძლებლობაა, რომ კონტინენტამდე გავაღწიო. გიჟების შენობას გარედან არ სდარაჯობენ, მხოლოდ შიგნით ჰყავთ ერთი ყარაული, ერთი სანიტარი და დამხმარე კატორღელი. სულ ეს არის. რატომ არ უნდა წამოხვიდე ჩემთან ერთად?

– როგორც სანიტარი?

– ეს შეუძლებელია, პაპიონ. კარგად იცი, რომ თავშესაფარში შენ სამუშაოს არასოდეს მოგცემენ. ის, რომ იგი ბანაკიდან მოშორებულია და ზედამხედველობა შესუსტებული, იქ გადასვლის ყოველგვარ შანსს გიკარგავს. როგორც გიჟი, ისე უნდა წამოხვიდე.

– ძალიან ძნელი იქნება, სალვიდია. როცა რომელიმე ექიმი „დარტყმულად“ განათლავს, ამით ხელ-ფეხს გიხსნის, რადგან შენ უკვე შეურაცხადად ითვლები და ქცევაზე პასუხს არ აგებ. რაც უნდა გააკეთო – გაიქცე ან მოკლა, ვინც გინდა – შენზე არავითარი სამართალი არ გავრცელდება. მაქსიმუმი: შიშველს, ან მოსათვინიერებელი პერანგში შეკრულს, დაბამბულ ოთახში ჩაგამწყვდევენ, მაგრამ შემდგომში ამ რეჟიმსაც შეგიმსუბუქებენ. ხვდები, რა პასუხისმგებლობას იღებს ექიმი, როცა ასეთ დიაგნოზს გისვამს?

– პაპიონ, გენდობი და ძალიან მინდა, შენთან ერთად გავიქცე. შეუძლებელი მოახერხე და შემოდი თავშესაფარში, როგორც გიჟი. რაკი სანიტარი ვიქნები, შევძლებ, დაგეხმარო და განუგეშო ძნელ წუთებში. ეხვდები, რა ტანჯვა იქნება, როცა ჯანმრთელი ადამიანი ასეთ საშინელ ავადმყოფებში მოხვდება.

– შენ წადი, რომეო. მინდა, ეს საკითხი ღრმად შევისწავლო. განსაკუთრებით საჭიროა ვიცოდე, როგორია სიგიჟის პირველი სიმპტომები, რათა ექიმის დარწმუნება შევძლო. ისე, ცუდი აზრი არ უნდა იყოს...

შეურაცხადობაზე კატორღის ბიბლიოთეკაში არავითარი წიგნი არ არის. ცნობებს კატორღელებში ვაგროვებ. ნელ-ნელა საკმაოდ მკაფიო აზრი მექმნება:

1. ყველა გიჟს თავში საშინელი ტკივილები აქვს.
2. ხშირად უჩივიან ყურებში გუგუნს.
3. ძლიერი ნერვიულობის გამო ერთ მდგომარეობაში ვერ ჩერდებიან. ხშირად

აღვიძებთ ნერიული შეტევა და ტანი გაწყვეტამდე ეჭიმებათ.

ესე იგი, საჭიროა ვინმემ ეს სიმპტომები შეგამჩნიოს. ჩემი სიგიჟე ისეთ ფაზაში უნდა იყოს, რომ მხოლოდ თავშესაფარში გაგზავნით დაკმაყოფილდნენ. თუ გადაჭარბებული გამოვა, მოსათვინიერებლი პერანგები, ცემა, საკვების შეზღუდვა, ნემსები, ცივი ან ძალიან ცხელი შხაპები და ასე შემდეგ არ ამცდება. თუ კომედიას კარგად ვითამაშებ, ექიმის გაცურებას შევძლებ.

ერთი რამ არის ჩემ სასარგებლოდ: რატომ, რისთვის მოვიგონებ ავადმყოფობას? ექიმი რაიმე ლოგიკურ ახსნას ვერ იპოვის და დაიჯერებს. ახლა სხვა არაფრის გაკეთება არ შემიძლია. დიაბლზე გადაყვანაზე უარი მითხრეს. მატიეს სიკედილის შემდეგ ბანაკში ცხოვრება ჩემთვის აუტანელია. დიაბლზე რომც მოვხვედრილიყავი, შევძლებდი რამის გაკეთებას? გადანყვეტილია: ორშაბათს ექიმს გავესინჯები. არა, თავს მოვიავადმყოფებ. ჯობია, სხვამ მიანიშნოს და ეს სხვაც დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გავაფრინე. ბარაკში ორი-სამი უცნაური ქცევა და – მამასახლისი ზედამხედველს მოახსენებს; ის კი ექიმთან გამამწესებს.

აი, უკვე სამი დღეა, არ მძინავს, პირს აღარ ვიბან და არც ვიპარსავ. ყოველ ღამეს რამდენჯერმე ვაკეთებ მასტურბაციას. ცოტას ვჭამ. გუშინ, საღამოს, მეზობელს ვკითხე, ჩემი თაროდან ფოტოსურათი რატომ აიღე მეთქი. ღმერთი დაიფიცა, რომ ჩემი ნივთებისათვის ხელი არ უხლია. შეფიქრიანებულმა ადგილი შეიცვალა. ერთხელ, სანამ წვნიანს გაანაწილებდნენ, მივედი და ყველას თვალწინ ჩავაფსი. ამან ჯერ სიცივე ჩამოაგდო, მაგრამ ჩემმა სიფათმა ყველაზე მოახდინა შთაბეჭდილება და არავის ხმა არ ამოუღია. მხოლოდ გრანდე შემეკითხა:

– ეს რატომ ქენი, პაპიონ?

– იმიტომ, რომ მარილი აკლია, – და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, კარდალის მოსატანად მიებრუნდი, გაეუწოდე მამასახლისს და დაველოდე, როდის დამისხამდა. მთელი ბარაკი განცვიფრებული მიყურებდა, წვნიანს როგორ ვჭამდი.

ეს შემთხვევა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამ დილას ექიმის კაბინეტში, ჩემი თხოვნის გარეშე აღმოვჩენილიყავი.

– ხომ კარგად ბრძანდები, ექიმო? ჰო, თუ არა?

ექიმი გაოცებული მიყურებს. თვალს გულუბრყვილოდ ვუსწორებ.

– ჰო, კარგად ვარ. შენ? შენ ავად ხარ?

– არა.

– აბა, რატომ მოხვედი?

– ისე, მითხრეს, რომ ავად იყავი. მიხარია, რომ შემცდარან. ნახვამდის.

– ცოტა ხანს მოიცადე, პაპიონ, აქ დაჯექი, ჩემ წინ. შემომხედე.„

ექიმი თვალებს წვრილი ფარნის შუქზე მისინჯავს.

– ვერ დაინახე ხომ, ექიმო? ასეთი სუსტი სინათლით ვერ დაინახავდი, მაგრამ, მგონია, მიხვდი მაინც, რომ აქ არიან, არა?

– ვინ?

– ნუ გგონიათ, მომატყუებ, ექიმო. ვერ მოასწარით დანახვა, თუ ყეყეჩი გგონივარ? იქნებ, არ გინდათ, მითხრათ?

თვალები დაღლილობისგან მიბრწყინავს. გარეგნობა ჩემ სასარგებლოდ თამაშობს. „ძაღლები“ მონუსხულებივით უყურებენ ამ სცენას. მიზეზს არ ვაძლევ, ჩაერიონ. ანკესზე წამოგებული ექიმი დგება და მხარზე ხელს მადებს. მე ისევ

ვზივარ.

– ჰო, არ მინდოდა მეთქვა, პაპიონ, მაგრამ მოვასწარი იმათი დანახვა.

– კოლონიური გულგრილობით ცრუობ, ექიმო. არაფერიც არ დაგინახავს! მეგონა, იმ სამ შავ წერტილს ეძებდი, კითხვისას ან სიცარიელეში ყურებისას რომ მიჩნდება. როგორც კი სარკეში ჩავიხედავ, მაშინვე უჩინარდებიან.

– აქედანვე წაიყვანეთ ჰოსპიტალში, ბანაკში ნუღარ შეიყვანთ, – ეუბნება ექიმი ზედამხედველებს. – პაპიონ, ამბობ, რომ ავად არა ხარ? შეიძლება, ეს მართალიცაა, მაგრამ ვფიქრობ, დაღლილი უნდა იყო და ამიტომ, რამდენიმე დღით ჰოსპიტალში უნდა დაისვენო. ხომ გინდა?

– ჩემთვის სულერთია. ჰოსპიტალში თუ ბანაკში – მაინც კუნძულებზე ვიქნები.

პირველი ნაბიჯები გადადგმულია. ნახევარ საათში უკვე ჰოსპიტლის კარგად განათებულ ოთახში, ქათქათა ქვეშაგებში ვწევარ. კარზე წარწერაა: „ავადმყოფი გამოკვლევაზეა." საშიშ თამაშს ვეწევი. მალულად სარკეში ისე კარგად დავიყენე გიჟივით პირის პრუწვისა და კბილებს შორის ტუჩების ჩაჭერის მანერა, რომ ხანდახან უნებურად ვაკეთებ. ამით დიდხანს გართობა კარგს არ დაგმართებს, პაპი – არაფერი დაგიტოვოს! და მაინც, თუ მინდა, მიზანს მივაღწიო, უნდა ბოლომდე მივყვე ამ როლს. თავშესაფარში შეურაცხადად უნდა შევიდე და ძმაკაცთან ერთად გავიქცე! ამ ჯადოსნურ სიტყვას უკვე ზღვაში გადავყავარ: იტალიელ სანიტართან ერთად ორ კასრზე გადამჯდარს, დინება დიდი მინისაკენ მიბიძგებს.

ექიმი ყოველდღე მსინჯავს და ხანგრძლივად მაკვირდება. ყოველთვის თავაზიანად ველაპარაკებით ერთმანეთს. ჯერ საბოლოოდ ვერ დარწმუნებულა. ახლა პირველი სიმპტომი – კეფაში დარტყმის შეგრძნება უნდა ვაჩვენო.

– როგორ ხარ პაპიონ? კარგად გეძინა?

– დიახ, ექიმო. დიდი მადლობა Match-ი რომ მათხოვეთ. უკეთესად დავიძინებდი, თუ სხვა საკანში გადამიყვანდით, რადგან, ეტყობა, ამ საკნის უკან ბაღია და ტუმბოთი რწყავენ. მისი ხმა მთელ ღამეს კეფაში მირტყამს. უკვე ველარ ვიტან და იქნებ მიშველოთ.

ექიმი სანიტრისაკენ ბრუნდება და სწრაფად ეჩურჩულება:

– რა საქაჩავია?

ძალლი თავით ანიშნებს, რომ ასეთი რამ არ არის.

– ზედამხედველო, შეუცვალეთ საკანი. სად გინდა გადასვლა?

– რაც შეიძლება შორს ამ საშინელი ტუმბოსაგან, დერეფნის ბოლოში. მადლობა, ექიმო.

კარი იხურება და საკანში მარტო ვრჩები. თითქმის შეუმჩნეველი ხმაური მიმახვედრებს, რომ ნახვრეტიდან მითვალთვალებენ. უეჭველად, ექიმი იქნება – რომ წასულიყო, ფეხის ხმას გავიგონებდი. ამიტომაც, მუშტს იმ კედლისაკენ ვიშვერ, რომელიც ტუმბოსაგან უნდა მყოფდეს და ხმამაღლა ვამბობ: „შეჩერდი, შე საზიზღარო. რას რწყავ ამდენს?" მერე საწოლზე ვეარდები და თავს ბალიშებში ვრგავ. მესმის, როგორ შორდება ნაბიჯების ხმა: მართლაც ექიმი ყოფილა!

ნაშუადღევს საკანს მიცვლიან. ეტყობა, დილით სერიოზული შთაბეჭდილება მოვახდინე, რადგანაც ახალ ორი კაცი მიმაცილებს პალატამდე. ხმას არ იღებენ და მეც ჩუმად მივყვები. ორი დღის შემდეგ მეორე სიმპტომის ჯერია: ხმაური ყურებში.

– როგორ ხარ, პაპიონ? წაიკითხე ბოლომდე, მე რომ ჟურნალი გამოგიგზავნე?

– არა, ვერ წავიკითხე. მთელი დღე და ღამის ნაწილი ერთი კოლოს თუ ბუზის მოკვლას მოვანდომე, რომელმაც ჩემს ყურში ბუდე გაიკეთა. რა არ შევიტენე შიგ, მაგრამ არაფერი გამომდის. თანაც ფრთებით მილიტინებს და გაუთავებლად ზუზუნებს. ნერვები მეშლება. იქნებ დახრჩობა ვცადო? რას იტყვი, ექიმო?

ტუჩები გაუთავებლად მეპრანჭება და ვხედავ, რომ ექიმი ამას ამჩნევს. ჩემს ხელს იღებს და პირდაპირ თვალებში მიყურებს. ეტყობა, შენუხებულია.

– ჰო, პაპიონ, ახლავე დავახრჩობთ. შატალ, ყურები გამოუხეხე.

ასეთი სცენები, სხვადასხვა ვარიაციებით, ყოველ დილას მეორდება, თუმცა, ეტყობა, ექიმს ჩემი თავშესაფარში გაგზავნა ჯერ ვერ გადაუწყვეტია:

შატალი ნემსის გაკეთების დროს მარიგებს: – ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. ექიმი თითქმის დაჯერებულია, მაგრამ შეიძლება, დაკვირვების დრო გაიწელოს. მოაჩვენე, რომ საშიში სიმპტომებიც გაქვს და გადანყვეტილების მიღებას დააჩქარებს.

– გამარჯობა, როგორ ხარ, პაპიონ? – ექიმი შატალისა და სხვა სანიტრების თანხლებით შემოდის. მე აგრესიულ გამომეტყველებას ვიღებ:

– მოკეტე, ექიმბაშო! აღარ გაგიგია! მაინტერესებს, რომელი თქვენგანის დახმარებით მანამებს ის ტიპი?

– ვინ განამებს? როდის? როგორ?

– ჯერ მითხარი, ექიმო, იცნობ ექიმ დ'არსონვალის შრომებს?

– კი...მე მგონი...

– ხომ იცი, რომ მან გრძელტალღიანი ვიბრატორი გამოიგონა თორმეტგოჯა ნაწლავის კიბოთი დაავადებული ავადმყოფებისათვის, რათა მათ გარშემო იონიზებული სივრცე წარმოექმნა? ვიღაც ჩემს მტერს კაიენის ჰოსპიტალში, ასეთი ვიბრატორი უყენია და ყოველთვის, როცა კი დაძინებას დავაპირებ, ელექტრობას მიგზავნის. ღილაკზე თითის დაჭერისთანავე, დენი მუცელში და დუნდულებში მირტყამს, მჭიმავს და საწოლზე ათ სანტიმეტრზე მახტუნავებს. როგორ გინდა დაიძინო? მეტი აღარ შემიძლია, ექიმო! გააფრთხილეთ ყველა, რომ პირველს, ვისაც მის თანამონაწილეობაში გამოვიჭერ, ადგილზე გავაცივებ. იარაღი არა მაქვს, მაგრამ ყელის გამოსაღადრავად ძალა მეყოფა, ვინც არ უნდა იყოს. გამგებმა გაიგოს, ახლა კი თავი დამანებე! ყელში ამომივიდა შენი ფარისეველური „როგორ ხარ, პაპიონ?“

შედეგი არ აყოვნებს: შატალი მეუბნება, რომ ექიმმა „ძაღლები“ გააფრთხილა, ყურადღებით ყოფილიყვნენ, ჩემი კარის გასაღებად ორნი ან სამნი მოსულიყვნენ და თავაზიანად მომქცეოდნენ. ამბობს, რომ დევნის მანია გჭირს და აპირებს, რაც შეიძლება მალე გაგაგზავნოს საგიჟეთში შატალს შეუთავაზებია, ერთი ზედამხედველის თანხლებით თვითონ წამიყვანოს თავშესაფარში. ასე ძალისმიერი პერანგი ამცდება.

– პაპი, კარგად ჭამე?

– დიახ, შატალ, გემრიელი იყო.

– გინდა მე და ბატონ უეანუსს გამოგვყვე?

– სად?

– თავშესაფარში წამლები წავიღოთ, გასეირნება გამოგივა.

– ნავიდეთ. – და სამივე გამოვდივართ ჰოსპიტალიდან. თითქმის მისული ვართ, როცა შატალი მეუბნება:

– არ მოგწყინდა ბანაკში ცხოვრება, პაპიონ?

– კი, კი, ყელში ამომივიდა. მით უფრო მას შემდეგ, რაც ჩემი მეგობარი კარბონიერი იქ აღარ არის.

– მოდი, რამდენიმე დღით აქ დარჩი, თავშესაფარში, იქნებ იმ ტიპმა აქ ვეღარ მოგაგნოს და დენი აღარ გამოგიგზავნოს?

– კარგი აზრია, მაგრამ მიმიღებენ? მე ხომ ტვინი არ მტკივა.

– მე ჩაგიწყობ, – ამბობს „ძაღლი“, რომელსაც ეტყობა უხარია, რომ შატალის ხაფანგში „გავები“.

მოკლედ, ახლა საგიჟეთში ვარ, ასიოდე გიჟის გვერდით. დარტყმულებს შორის ცხოვრება ადვილი არ არის. სანამ სანიტრები საკნებს გვისუფთავებენ, ჩვენ ოცდაათორმოცკაციან ჯგუფებად ეზოში, ჰაერზე ვართ. მთლად შიშვლები დავდივართ. საბედნიეროდ, თბილა. მე წინდები დამიტოვეს.

ახლახანს სანიტარმა ანთებული სიგარეტი მომცა. მზის გულზე ვზივარ და ვფიქრობ, რომ უკვე ხუთი დღეა, აქ ვარ და სალვიდია ჯერ არ გამოჩენილა.

მიახლოვდება ერთი გიჟი, სახელად ფუშე. მისი ისტორია ვიცი: დედამისმა სახლი გაყიდა და ერთი ზედამხედველის ხელით თხუთმეტი ათასი ფრანკი გამოუგზავნა, რომ გაქცეულიყო. იმ ფულიდან ძაღლს ხუთი ათასი უნდა დაეტოვებინა, მაგრამ სულ მიითვისა და მერე კაიენაში გადაბარგდა. ფუშემ ფულის გამოგზავნის ამბავი სხვა წყაროებიდან გაიგო და მიხვდა, რომ დედამისი ტყუილუბრალოდ ჩავარდა სიღატაკეში. იმავე დღეს თავს დაესხა, მაგრამ ზედამხედველებს ვერავის ვერაფერი ავნო, რადგან დროზე დააკავეს. ეს სამი თუ ოთხი თვის წინ იყო. მას შემდეგ ამ საგიჟეთშია.

– ვინ ხარ?! – მეკითხება ვუყურებ ამ ოცდაათიოდე წლის საბრალო კაცს, ჩემს წინ რომ დარჭობილა და მეკითხება, ვინა ხარო.

– შენნაირი კაცი, არც მეტი, არც ნაკლები.

– სულელური პასუხია. ვხედავ, რომ კაცი ხარ, რადგან ასო და კვერცხები გაკიდია. ქალი რომ ყოფილიყავი, ნახვრეტი გექნებოდა. მე გეკითხები, ვინა ხარ – ესე იგი, რა გქვია?

– პაპიონი.

– პაპიონი? შენ რა, პეპელა ხარ, საცოდავო? პეპელას ფრთები აქვს, შენ რა უყავი?

– დავკარგე.

– უნდა იპოვო, მაშინ გაქცევას შესძლებ. „ძაღლებს“ ფრთები არა აქვთ, ვერ დაგეწევიან. მომეცი შენი სიგარეტი.

– მიცემას ვერ ვასწრებ, თითებიდან მგლეჯს, მერე ჩემ წინ ჯდება და სიამოვნებით აბოლებს.

სასადილოში საერთო მაგიდასთან ვჭამთ. ერთხელაც ვერ მოვახერხე ჩემი ოსპის შეჭამანდის ბოლომდე დამთავრება. ერთმა – მაიმუნივით ბანჯგვლიანმა გიგანტმა ამომიჩემა და გამუდმებით გვერდით მიჯდება. წვნიანი ყოველთვის ქაფქაფაა და გაცივებას ველოდები. ხის კოვზით ვიღებ და ვუბერავ. მხოლოდ რამდენიმე კოვზის შეჭმას ვახერხებ. იოანე – მას ჰგონია, რომ იოანეა – ჯერ თავის ჯამს იცლის

ხახაში, მერე ჩემსას იტაცებს და ხუთ ყლუპად სანსლავს. ცარიელ ჯამს ხმაურით მიხეთქებს წინ და სისხლიანი თვალებით მიყურებს, თითქოს მეუბნება: „დაინახე, როგორ შევჭამე? აი, ასე უნდა ოსპის ჭამა!“ იოანე ყელში ამომივიდა და ვფიქრობ, რა მოვუხერხო. ერთ დღესაც, იგი გვერდით მიზის და წინასწარ ტკბება ორი ჯამი ოსპის მოლოდინში. წყლით სავსე გრაფინს ვიჩოჩებ და როცა ჩემი ჯამი ხახისკენ მიაქვს, თავზე ვამტვრევ. საშინელი კივილით დაბლა ეცემა. გიჟები მაშინვე იწყებენ ერთმანეთისთვის თეფშების სროლას და ჩხუბს სანიტრები საკნისკენ მიმათრევენ. ვლრიალებ, რომ იოანემ პორტფელი მომპარა, რომელშიც პირადობის მოწმობა მედო. ამჯერად მართლა იქ ვარ! ექიმი გადაწყვეტილებას იღებს, შეურაცხადად ჩამნეროს. „ძაღლები“ უდასტურებენ, რომ მე, მართალია, უწყინარი გიჟი ვარ, მაგრამ, ხანდახან საშიში გამოვლინებები მაქვს. იოანეს, როგორც ჩანს, თავი რვა სანტიმეტრზე მაინც გავუხლიჩე. ახლა დიდი ნაკერი ადევს. საბედნიეროდ, სხვადასხვა დროს ვსეირნობთ.

სალვიდიას ველაპარაკე. მას უკვე საკუჭნაოს გასაღების ასლი აქვს. ახლა კასრების გადასაბმელი მავთულის ძებნაშია. ვეუბნები, რომ შესაძლოა, მავთული ზღვაში რყევისაგან გაწყდეს, ამიტომ თოკები სჯობია. შეეცდება, ორივე იშოვოს. კიდევ სამი გასაღების გაკეთებაა საჭირო: ჩემი საკნის, დერეფნისა და გარეთა კარისა. ყარაულობა ინტენსიური არ არის: თითო დარაჯი ოთხ-ოთხ საათს დგას – ცხრიდან ღამის პირველამდე და მერე – დილის ხუთამდე. შემოვლები არ ხდება. სანიტრების იმედზე არიან. მოთმინების საქმეა – ერთი თვე თუ იქნება გასაძლები.

ეზოში გამოსვლისას დაცვის უფროსმა აყროლებული სიგარა მომცა, მაგრამ მე უგემრიელესად მეჩვენება. ვუყურებ ამ შიშველი ადამიანების ფარას: ზოგი მღერის, ზოგიც ტირის; სხვები საკუთარ თავს ელაპარაკებიან. ეზოში გამოსვლამდე შხაპის მიღება სავალდებულოა და ჯერ არ შემშრალან. მათ საბრალო სხეულებს თვითგვემის, თოკებისა თუ მოსათვინიერებლად პერანგის ზონრების კვალი ეტყობათ. აი, ბინიერების ბილიკის დასასრულის ჭეშმარიტი სურათი! ამათგან რამდენი იქცა საკუთარი მოქმედებებისადმი პასუხისმგებლად საფრანგეთის ფსიქიატრების მიერ!

თუნდაც, ეს ტიპი – ტიტინი – რომელიც ჩემთან ერთად ჩამოვიდა 1933 წელს. მან მარსელში ერთი ტიპი მოკლა, მერე მსხვერპლი ფიაკრში ჩადო, ჰოსპიტალში მიიყვანა და განაცხადა: „მიიღეთ და უმკურნალეთ. მე მგონი, ავადაა.“ მაშინვე დააკავეს და მოსამართლეებს იმდენი უნამუსობა ეყოთ, რომ შეურაცხადად არ ჩათვალეს. ამის ჩამდენი ხომ უკვე მაშინვე იყო გადარეული! ტიტინი ახლა ჩემ გვერდით ზის. ქრონიკული დიზენტერია აქვს და ნამდვილი მოძრავი გვამია. უაზრო, რკინისფერი თვალებით მიყურებს და მეუბნება:

– მუცელში პატარა მაიმუნები მყავს, მეგობარო; ზოგი ბოროტია, ზოგი – კეთილი. როცა ბოროტები კუჭში მკბენენ, სისხლი მომდის. კეთილებს ბუმბულივით რბილი ხელები აქვთ და იმათგან მიცავენ. როცა იმარჯვებენ და მეფერებიან, სისხლი აღარ მომდის.

– მარსელი გახსოვს, ტიტინ?

– დალახვროს ეშმაკმა, როგორ არ მახსოვს!

– ვინმეს სახელები გახსენდება? მაგალითად, ლანჟუ? ლე ლუკრი? ლე კრავო? კლემანი?

– არა, ეს სახელები არაფერს მეუბნება. მხოლოდ ერთი ფიაკრი მახსოვს, რომე-

ლმაც ჩემს სნეულ მეგობართან ერთად ჰოსპიტალში წამიყვანა და მერე მითხრა, რომ მისი ავადმყოფობის მიზეზი მე ვიყავი. სულ ეს არის.

– მეგობრები?

– არ მახსოვს.

საბრალო ტიტინი! ნამწვს ვუტოვებ და ფეხზე ვდგები. უდიდესი სიბრალული მიპყრობს ამ ადამიანის მიმართ, რომელიც აქ უნდა ჩაძაღლდეს. გიჟების გვერდით ცხოვრება ძალიან საშიშია, მაგრამ, რას იზამ, მხოლოდ ასე შეიძლება, დასჯის შიშის გარეშე, გაქცევა მოამზადო.

სალვიდია თითქმის მზადაა. ორი გასაღები უკვე აქვს, ჩემი საკნისღა აკლია. კარგი თოკიც უშოვია და, ამას გარდა, ჰამაკის ტილოდანაც გრეხს თოკს. ამ მხრივ საქმე კარგად მიდის.

ველარ ვითმენ. ძნელია ამ კომედიის თამაში, მოქმედება მწყურია. ამ განყოფილებიდან რომ არ გადამიყვანონ, დროდადრო „კრიზისი" მივლის.

ერთხელ ისე კარგად „მომიარა", რომ სანიტრებმა ცხელი წყლის აბაზანაში ჩამსვეს, თან ნემსიც გამიკეთეს. აუზი იმგვარად არის ტილოთი დაფარული, რომ მხოლოდ თავი გიჩანს და ამოსვლა შეუძლებელია. ორი საათი იქნება გასული, რაც ამ აბაზანაში ვზივარ, როცა იოანე შემოდის. ამ მხეცის დანახვაზე ლამის გული გამისკდეს. მგონია, ყელს გამომღადრავს. თავის დაცვა მაინც შემეძლოს!

მიახლოვდება და თან გადმოკარკლული თვალებით მაკვირდება. ეტყობა, ვერ იხსენებს, სად უნახავს ეს კაცი. ყვირილი მინდა, მაგრამ მეშინია, უფრო არ გავაშმაგო. თვალებს ვხუჭავ და ველოდები, თავს როდის მომაგლეჯს. ასეთ წუთებს უცებ ვერ დაივიწყებ! ბოლოს და ბოლოს მცილდება, ოთახში ბოდიალობს და ონკანთან ჩერდება. კეტავს ცივ წყალს და მდუღარეს უშვებს. მართლა შეშლილივით ვლრიალებ – ვგრძნობ, როგორ ვიხარშები. იოანე გადის. ოთახი ორთქლით ივსება და გაგუდვას აღარაფერი მიკლია. ვცდილობ, მაგრამ თავს ვერ ვითავისუფლებ. ბოლოს, როგორც იქნა, საშველად მოდიან – ზედამხედველებს ფანჯრიდან გამოსული ორთქლი დაუნახავთ. თითქმის მოხარშული ვარ და ყველაფერი საშინლად მტკივა. განსაკუთრებით უკანალი და საზარდული მაქვს დამწვარი – კანი მძვრება. ზეთს მისვამენ და სამედიცინო პუნქტში მანვენენ. სერიოზული დამწვრობები მაქვს და ექიმს იძახებენ. პირველ ოცდაოთხ საათს მორფინის რამდენიმე ნემსის დახმარებით ვუძლებ ტკივილს. როცა ექიმი მეკითხება, რა მოხდაო, ვპასუხობ, რომ აბაზანაში ვულკანმა ამოხეთქა-მეთქი. ვერავინ ხვდება, რა მოხდა. სანიტარი იმას ადანაშაულებს, ვინც აბაზანა მოამზადა და წყალი ცუდად გაანელა.

ეს-ესაა, სალვიდიამ მალამო წამისვა და გავიდა. იგი მზად არის და მეუბნება, რომ აქ ყოფნა უკეთესია, რადგან, თუ გაქცევა ჩაგვეშლება, თავშესაფრის ამ ნაწილში ადვილად შემოვაღწევთ – ვერავინ დაგვინახავს. საჩქაროდაა გასაკეთებელი. სამედიცინო პუნქტის გასაღები. ახლა საპნის ნატეხით ანაბეჭდი წაიღო. ხვალ გასაღები მზად ექნება, როგორც კი ვეტყვი, რომ განკურნებული ვარ, მაშინვე მოქმედებას დავიწყებთ.

გაქცევა ამაღამ, პირველიდან ხუთ საათამდე გვაქვს დანიშნული. სალვიდია დღეს არ მორიგეობს. დროის მოგების მიზნით, ძმრის კასრს თორმეტი საათისთვის დაცლის. მეორეს ზეთიანად გავაგორებთ და ზღვაში ჩავცლით, რათა ტალღები დავაშყნაროთ. მომზადებული მაქვს მუხლებზე გადაჭრილი ფქვილით სავსე შა-

რვალი, შალის ჯვალო და ქამარში გაყრილი დანა; აგრეთვე წყალგაუმტარი აბგა, რომელსაც კისერზე ჩამოვიკიდებ. შიგ სიგარეტი და სანთებელა მიწყვია. სალვიდიამ, თავის მხრივ, წყალგაუმტარი ჩანთა ზეთითა და შაქრით გაჯერებული მანიოკის ფქვილით გაავსო – სამ კილომდე იქნება. შუაღამე გადავიდა. საწოლზე დამჯდარი ძმაკაცს ველოდები. გული ძალუმად მიცემს. ცოტაც და – გაქცევა დაიწყება. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ღმერთის წყალობით, გავაღწიო ამ სიდამპლიდან!

კარი იღება. ძლივს მესმის: „პაპი, წავედით! მივყვები. კარს სწრაფად კეტავს და გასაღებს დერეფნის ერთ კუთხეში მალავს. „ჩქარა, ჩქარა!" მივდივართ საკუჭნაომდე. ღიაა. ცარიელი კასრის გამოტანა ადვილია. ის თოკს იხვევს ტანზე, მე – მავთულს. ვიღებ ფქვილის პარკს და კასრს ზღვისკენ მივაგორებ. სალვიდია, ზეთის კასრით უკან მომყვება. საბედნიეროდ, ღონიერია და არ უჭირს ამ ციცაბოზე ჩასვლა.

– ფრთხილად, ფრთხილად, ერიდე, არ აგიყოლოს! – მე უკან-უკან ვეშვები, თან მზად ვარ, თუ კასრი გამოექცევა, ჩემი დავუხვედრო. დაბლა ჩავდივართ. აქედან ზღვამდე კლდოვანი მანძილია გადასალახავი.

– დაცალე, სავსეს იმ კლდეებზე ვერ გადავიტანთ! – მიყვირის სალვიდია.

ძლიერი ქარი ქრის. გაცოფებული ტალღები კლდეებზე იმსხვრევა.

– მორჩა, დაიცალა. საცობი კარგად გაუკეთე! დაიცა, ზემოდან ეს რკინები მოარგე, წვეროები ღრმადად ჩაარჭვე! ასეთ ღრიანცელში ვერავინ გაიგებს!

კასრები კარგად არის გადაბმული. ორის ერთად აწევა ძნელია.

–მიაწექი, ღმერთო ჩემო! ცოტა ასწიე! უფრთხილდი ამ ტალღას! – ტალღებმა უკვე აგვიტაცეს და კლდეებზე მიგვაგდეს – ყურადღებით იყავი არ დავამტვრიოთ! თაესაც გაუფრთხილდი!

– დამშვიდდი, სალვიდია; ან წინ გადი, ზღვისკენ, ან მობრუნდი. როცა დავიყვირებ, ერთი გაკვრით შენკენ გაქაჩე. მეც მაშინ მოვაწვები და კლდეებს უსათუოდ მოვცილდებით. ეცადე, თავი შეიმაგრო, თუნდაც წყლით იყო დაფარული!

ამ ქარისა და ზღვის ხმაურის მიუხედავად მგონი, გავაგონე. როცა ერთი ტალღა მთლიანად გვფარავს, ტივს მთელი ძალით ვაწვებით. სალვიდია წინ არის, მე უკანა მხრიდან ვფოფხდები. ამ დროს ერთი დიდი ტალღა გვიტაცებს და უახლოესი კლდეებისკენ ბუმბულივით გვისვრის. დარტყმა ისეთი ძლიერია, რომ კასრები ნაწილებად იშლება. უკან დახეული ტალღა ოც მეტრამდე მიტაცებს. ნაპირისკენ მომავალ მეორე ტალღას ცურვით მოვყვები და კლდეზე ჩამოკიდებას ვასწრებ. მთლად დაჟეჟილი, ასიოდე მეტრით ქვემოთ ნაპირზე გამოვდივარ. არად ვაგდებ, რომ შეიძლება, ვინმემ გაიგონოს და ვყვირი:

– სალვიდია! რომეო! სად ხარ?

– არავინ მპასუხობს. არაქათგამოცლილი მინაზე ვწვები და ყველაფერს ვიხდი, წინდების გარდა. ღმერთო ჩემო, სად არის ჩემი მეგობარი? – და ისევ უშედეგოდ ვეძახი სალვიდიას. მხოლოდ ქარი და ოკეანე მპასუხობენ. არ ვიცი, რამდენი ხანი ვრჩები აქ ფიზიკურად და მორალურად განადგურებული. გაცოფებული ვიგლეჯ და განზე ვისვრი კისერზე ჩამოკიდებულ ტოპრაკს, რომელშიც თამბაქო და სანთებელა მქონდა.

ფეხზე ვდგები. ქარი სახეში მცემს. დამანგრეველი ზვირთები ერთმანეთს მი-

ჰყვებიან. ცისკენ მუშტებს ვიშვერ და ღმერთს ვაგინებ: „საზიზღარო! ღორო! უსახურო! პედერასტო! არა გრცხვენია? ასე რამ გაგაცოფა ჩემზე? ამის შემდეგ კეთილი ღმერთი გქვია? მხოლოდ არარაობა ხარ! შენს სახელს არასოდეს აღარ ვახსენებ – ამას არ იმსახურებ!"

ქარი დგება და დროებითი სიმშვიდე რეალობაში მაბრუნებს – როგორმე უნდა შევაღწიო საგიჟეთის სამედიცინო ნაწილში. ფერდობზე მივბობღავ. შეუმჩნეველად მივიპარები დერეფნამდე, ვპოულობ გასაღებს, შევდივარ ჩემს პალატაში და გასაღებს ფანჯრიდან შორს ვისვრი – კედლის მეორე მხარეს ვარდება. საწოლში ვწვები. ერთადერთი, შეიძლება სველმა წინდებმა გამყიდოს. ვდგები და ტუალეტში ვწურავ. მთლად გათოშილს ზეწარი ნელ-ნელა მათბობს. ნეტა რომეო მართლა დაიხრჩო? იქნებ ტალღამ ჩემზე შორს წაიღო და კუნძულის ბოლოში გამოვიდა? ადრე ხომ არ წამოვედი? ცოტაც უნდა მომეცადა. თავს ვსაყვედურობ, რომ ვიჩქარე, როცა ამხანაგი დაკარგულად ჩავთვალე.

ღამის პატარა კარადის უჯრაში ძილის მოსაგვრელი ორი აბია. უწყლოდ ვყლაპავ.

ვილაც მანჯღრევს და მაღვიძებს. ეს სანიტარ-ზედამხედველია. ოთახი მზით არის სავსე. პალატაში, ღია ფანჯრიდან, ორი ავადმყოფი იჭყიტება.

– პაპიონ, რა მკვდარივით გძინავს! დილის ათი საათია. ყავა არ დაგილევია? გაცივებულა. აიღე, დალიე."

ისევ გაბრუებული ვარ, მაგრამ ვხვდები, რომ ჩემზე არაფერი იციან.

– რატომ გამაღვიძეთ?

– დამწვრობა უკვე მოგირჩა. საწოლი გვჭირდება და შენს ოთახში უნდა დაგაბრუნოთ.

– კარგი, შეფ.

გამოვდივარ და ეზოში ვრჩები. წინდებს მზეზე ვიშრობ.

მესამე დღეა, რაც გაქცევა ჩაიშალა. სალვიდია აღარ გამოჩენილა, ესე იგი დაიხრჩო. საბრალო, კლდეებზე დაიმტვრეოდა. მე ალბათ იმიტომ გადავრჩი, რომ უკან ვიყავი. თავშესაფრიდან როგორმე უნდა გავაღწიო. ახლა უკვე გამიჭირდება ექიმი დავაჯერო, რომ განვიკურნე და ჩემი ბარაკში დაბრუნება შესაძლებელია:

– ბატონო რუვიო (იგი უფროსი სანიტარია), ღამით მცივა. პირობას გაძლევთ, ტანსაცმელში არ ჩავისვრი. შარვალი და პერანგი მომეცით.

„ძაღლი" გაშტერებული მიყურებს:

– პაპიონ, მითხარი, რა გემართება?

– ძალიან მიკვირს, შეფ, აქ რომ ვარ. ეს ხომ თავშესაფარია! ესე იგი, გიჟებში ვარ? შემთხვევით, ხომ არ გავაფრინე? ნუ დამიმალავთ, გთხოვთ.

– ჩემო საბრალო პაპიონ, შენ ავად იყავი. ახლა ვხედავ, რომ გამოკეთდი. მუშაობა გინდა?

– დიახ.

– რა საქმეს გააკეთებ?

– ნებისმიერს.

და აი, მე უკვე მაცვია და საკნების დასუფთავებაში ვეხმარები. ჩემს კარს მხოლოდ ცხრა საათზე, ყარაულის პოსტზე დადგომისას რაზავენ.

გუშინ ერთი ოვერნელი, კატორღელ-სანიტარი მეუბნება:

– ნულარ გაიგრძელებ ამ ყოფას, მოეშვი.

– ამით რისი თქმა გინდა?

– როგორ თუ რისი! გგონია, გამაცურე? შვიდი წელია, დებილების სანიტარი ვარ და, მოხვედი თუ არა, მაშინვე ვიაზრე, როგორი გიჟიც იყავი.

– ვთქვათ, ასეა, მერე რა?

– ვწუხვარ, რომ შენ და სალვიდიას გაქცევა ჩაგეშალათ. მას ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. გულწრფელად მეცოდება, რადგან კარგი მეგობარი იყო. მართლა თუ რამე დაგჭირდება, მთხოვე, შენი დახმარება ყოველთვის მესიამოვნება. – ისეთი ალალი თვალები აქვს, რომ მის გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარება. მასზე კარგი არაფერი გამიგია, მაგრამ არც ცუდად მოუხსენიებიათ, ესე იგი, კარგი კაცია.

საბრალო სალვიდია! ალბათ რა ამბავი ატყდა, როცა ვეღარ იპოვეს! მერე, ზღვაში მიმოფანტული კასრის ნაწილების ნახვის შემდეგ, ალბათ დარწმუნდნენ, რომ ზვიგენებმა შეჭამეს. ექიმმა დიდი ამბავი ატეხა, როცა გაიგო, რომ ზეთი დაიღვარა. აცხადებს, აღარ გვექნებაო.

– რას მირჩევ, როგორ მოვიქცე? – ვეკითხები ოვერნელ სანიტარს.

– იმ განაწესში ჩაგრთავ ხოლმე, რომელიც ყოველ დღე საკვების მოსატანად გადის. ეს შენთვის გასეირნებაც იქნება. ნორმალურად მოქცევა დაიწყე. ათი შემთხვევიდან რვაში თავი დალაგებულად მოაჩვენე – სწრაფად განკურნება საეჭვო იქნება.

– მადლობა. რა გქვია?

– დიუპონი.

– მადლობა, შენს კეთილ რჩევებს არ დავივიწყებ.

გაქცევის ჩაფლავებიდან თითქმის ერთი თვე გავიდა. ჩემი მეგობრის სხეული ექვსი დღის შემდეგ გამოირიყა. გაუგებარია, რატომ არ შეჭამეს ზვიგენებმა. დიუპონი მატყობინებს, რომ თევზებს შიგნეული და ფეხის ნაწილი მოუჭამიათ. თხემი ჰქონია გატეხილი, უკვე გახრწნილი ყოფილა და ამიტომ არ გაუკვეთავთ. ვთხოვ, გალგანისათვის წერილის გადაცემაში დამეხმაროს. მერე ის მოახერხებს გაგზავნას. სალვიდიას დედას ვწერ:

„მადამ, თქვენი შვილი ციხისა და დარაჯებისაგან შორს, ზღვაში, ხუნდების გარეშე, თავისუფლებისაკენ სწრაფვაში დაიღუპა. ერთმანეთს დავპირდით, თუ რომელიმე ჩვენგანს რამე დაემართებოდა, მეორეს მისი ოჯახისათვის მიეწერა. ვიხდი ამ სამწუხარო ვალს და დედაშვილურად გემთხვევით ხელზე.

თქვენი პატარას მეგობარი, პაპიონი.“

მოვალეობის მოხდის შემდეგ, გადაწყვეტილებას ვიღებ, ამ კოშმარზე აღარ ვიფიქრო. რა ვუყოთ, ასეთია ცხოვრება. ის დამრჩენია, თავშესაფრიდან გავაღწიო, როგორმე დიაბლზე მოვხვდე და ახალი გაქცევა ვცადო.

ზედამხედველმა თავისი ბაღის მოვლა დამავალა. ორი თვეა, რაც „კარგად“ ვარ და ისე მოსწონთ ჩემი ნამუშევარი, რომ გაშვება არ უნდათ. ოვერნელი მეუბნება, რომ ბოლო გასინჯვისას ექიმს შენი გაწერა უნდოდა, მაგრამ „ძაღლებმა“ შეიცხადეს, მაგასავით ჩვენს ბაღს ვერავინ მოუვლისო.

ავდექი და ამ დილით მთელი ხენდრო დავგლიჯე. თითოეული მცენარის ადგილას პატარა ჯვარი დავასვი. უნდა გენახათ, რა სკანდალი ატყდა! ის ზონზროხა ზედამხედველი სიბრაზისაგან კინაღამ გასკდა. სიტყვებს ვერ პოულობდა, პირიდან

მხოლოდ ღმუილი ამოსდიოდა და იგუდებოდა. მერე ურიკაზე ჩამოჯდა და ცხარე ცრემლით იტირა. ცოტა კი გადავამლაშე, მაგრამ რა მექნა!

ექიმს ეს ტრაგედიად არ ჩაუთვლია. დაიჟინა, იმიტომ მოუვიდა, რომ ბაღში მარტო მუშაობდა და ახლა, ნორმალური ცხოვრებასთან შესაგუებლად, ბანაკში დაბრუნება ესაჭიროებაო.

– მითხარი, პაპიონ, რატომ ჩაარჭვე ხენდროების მაგივრად ჯვრები?

– ვერ გეტყვით, ექიმო, რატომ მოვიქეცი ასე, ძალიან ვწუხვარ და მინდა, ზედამხედველს ბოდიში მოვუხადო. ისე უყვარდა ხენდროები, რომ არ ვიცი, რა ვქნა. მაღალ ღმერთს ვთხოვ, კიდევ გამოუგზავნოს.

უკვე ბანაკში ვარ. საძმო ისევ აქ არის. კარბონიერის ადგილი ცარიელია. ჰამაკს მის გვერდით ვკიდებ, თითქოს მატიე ცოცხალი იყოს.

ექიმმა ჩემს ჯვალოზე წარწერა ამოაკერინა: „განსაკუთრებული მოპყრობა." მე მის განკარგულებაში ვარ – სხვა ვერავინ მიბრძანებს. დამავალა, ყოველ დღე, დილის რვა საათიდან საღამოს ათამდე, ჰოსპიტლის წინ ფოთლები მეგროვებინა. ხშირად ექიმთან და მის ცოლთან ერთად მათი სახლის წინ ვზივარ, ყავას მივირთმევ და სიგარეტს ვაბოლებ. ჩემს თავგადასავალს მაყოლებენ: – მერე, მერე, პაპიონ, რა მოხდა მას შემდეგ, რაც მარგალიტის მაძიებელი ინდიელები დატოვე?..

– ყოველდღე გამოგვიარეთ, პაპიონ, ძალიან მინდა, თქვენი ფათერაკები ბოლომდე მოვისმინო.

დარწმუნებულნი არიან, ასეთი საუბრები მალე გამაწონასწორებს. გავრიკე და ექიმს ვთხოვ, დიაბლზე გამაგზავნოს.

ჩამიწყო: ხვალ უნდა წავიდე. მათ იციან, რატომ მივდივარ, ვერ დავუმალე: „ექიმო, კატორლის ატანა აღარ შემიძლია. როგორმე გამაგზავნეთ დიაბლზე, რათა ან გავიქცე იქიდან, ან – ჩავძაღლდე.

– მესმის შენი, პაპიონ. მეც ზიზღს მგვრის რეპრესირების ეს სისტემა და მისი დამპალი ადმინისტრაცია. ამიტომ, მშვიდობით და ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

მეათე რვეული

დიაბლი

დრეიფუსის სკამი

დიაბლი ხსნის კუნძულებიდან ყველაზე პატარაა. ის სხვებზე ჩრდილოეთით მდებარეობს და ამიტომ ტალღები პირდაპირ ურტყამენ. პლატოზე საყარაულო პოსტი და ერთადერთი ბარაკია ათიოდე კაცისთვის. აქ მხოლოდ დასჯილი კატორღელები და პოლიტპატიმრები იგზავნებიან.

პოლიტპატიმრები ცალ-ცალკე, პატარა სახლებში ცხოვრობენ. ორშაბათობით მათ მთელი კვირისათვის სამყოფ საკვებს უგზავნიან ყოველდღიურ ნაჭერ პურთან ერთად. ისინი ოცდაათამდე იქნებიან. სანიტრად ექიმი ლეჟერი ჰყავთ, რომელმაც ლიონში თუ მის გარეუბანში მთელი ოჯახი მოწამლა. ისინი სხვა პატიმრებს არ ეკარებიან. ზოგჯერ მათზე კაიენაში საჩივარს აგზავნიან და კატორღელიც დიაბლიდან სხვაგან გადაჰყავთ.

დიაბლს რუაიალთან საბაგირო ხაზიც აკავშირებს, რადგან, ზოგჯერ, ცუდ ამინდში, კანჯო მიახლოებას ვერ ახერხებს.

ბანაკის დაცვის უფროსს (დაცვაში სამი კაცია) სანტორი ჰქვია. იგი ერთი ახმახი, ჭუჭყიანი და მუდმივად გაუპარსავი ტიპია.

– პაპიონ, იმედი ვიქონიოთ, რომ კარგად მოიქცევით. თუ არ მაიძულებთ, არაფერს გერჩით. ადით ბანაკში, მერე გნახავთ.

ბარაკში ექვს კატორღელს ვხვდები: ორი ჩინელია, ორი ზანგი, ერთი ბორდოელი და ერთიც – ლილელი. ჩინელებიდან ერთ-ერთი კარგად მიცნობს – ჩემთან ერთად, სენ-ლორანში, წინასწარი დაკავების საკანში იჯდა მკვლელობისათვის. იგი ერთერთი იმათგანია, ვინც ინდოჩინეთში პაოლო კონდორის ბუნტს გადაურჩა. პირატი იყო და, როცა სამპანებს ესხმოდა თავს, ზოგჯერ მთელ ეკიპაჟს ხოცავდა. უკიდურესად საშიში კაცის სახელი აქვს, მაგრამ თავისი ცხოვრების მანერით ერთგვარ სიმპატიას იწვევს.

– როგორ ხარ, პაპიონ?

– შენ, ჩანგ?

– არა უშავს. აქ კარგად ვართ. შენ, ჭამა ჩემთან. შენ, ძილი აქ, ჩემ გვერდით. მე დღეში ორჯერ საჭმლის მომზადება. შენ დაჭერა თევზი. აქ ბევრი თევზი.

სანტორი მოდის:

– აა! უკვე მოეწყვეთ? ხვალ დილით ჩანგთან ერთად წახვალ და ღორებს დააპურებ: ეგ ქოქოსის კაკლებს მოზიდავს, თქვენ ნაჯახით დახეთქავთ. რბილი ნაწილები ცალკე უნდა ამოიღოთ და გოჭებს დაუყაროთ – ჯერ კბილები არა აქვთ. ნაშუადღევის ოთხ საათზე იმავეს გაიმეორებთ. ვინც თევზაობს, ვალდებულია, ჩემს მზარეულს თითო კილოგრამი თევზი ან ლანგუსტი მიუტანოს. ასე ყველა კმაყოფილი იქნებოდა. გაწყობთ?

– დიახ, ბატონო სანტორი.

– ვიცი, შენ „მორბენალი“ ხარ, მაგრამ, რაკი აქ ეს შეუძლებელია, არ მეშინია. ღამით დაკეტილში კი ხართ, თუმცა ვიცი, რომ ზოგიერთი მაინც გამოდის. პოლი-

ტიკურებს მოერიდეთ. ყველას სატევარი აქვს. თუ მათ სახლებს მიუახლოვდებით, იფიქრებენ, ქათმის ან კვერცხების მოსაპარავად ეახელით და, თუ არ მოგკლეს, დაგჭრიან მაინც.

მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც ორასამდე ღორს ვაჭამეთ, ჩანგის თანხლებით მთელი კუნძული შემოვირბინე. ერთგან ერთი გათეთრებული, გრძელთმიანი მოხუცი შემვხვდა. ეს ახალკალოდენიელი ჟურნალისტია, რომელიც 1914 წელს საფრანგეთის წინააღმდეგ და გერმანელების სასარგებლოდ წერდა. შევხვდი, აგრეთვე, ერთ არამზადას, რომელმაც ედიტ კაველი – ინგლისელი თუ ბელგიელი ექთანი მოაკვლევინა. კაველს ბევრი ინგლისელი აჩიატორი გადაურჩენია. ეს მსუქანი, გულის ამრევი პიროვნება ჯოხით მეტრნახევრიან მურენას კლავდა.

სანიტარიც ერთ-ერთ, მხოლოდ პოლიტიკურებისთვის განკუთვნილ სახლში ცხოვრობს.

ექიმი ლეჟერი ჭუჭყიანი და ძვალმსხვილი ჯუჯაა. მხოლოდ სახე აქვს სუფთა. ხელები ცუდად შეხორცებული ნაკაწრებით აქვს დაფარული, ალბათ კლდეებზე ცოცვისაგან.

– თუ რამე დაგჭირდა, მოდი და მოგცემ. ავადმყოფობის გამო არ შემაწუხო. სტუმრიანობა არ მიყვარს, მით უფრო, როცა ლაპარაკს გამიბამენ. კვერცხებს და, ზოგჯერ ქათამს ან ვარიას ვყიდი. თუ მალულად ბურვაკს დაკლავ, უკანა ბარკალი მომიტანე და სამაგიეროდ ვარიას და ექვს კვერცხს მოგცემ. რაკი აქ ხარ, გაიყოლე ეს ფლაკონი, შიგ ქინაქინის ას ოცი აბია. ვიცი, აქ იმიტომ გადმოხვედი, რომ „ათესვა" გინდა. თუ სასწაული მოხდა და მოახერხე, ტევრში გამოგადგება.

დილას და საღამოს კლდის თევზიყლაპიების ასტრონომიულ რაოდენობას ვიჭერ. ოთხ კილოგრამამდე „ძაღლებს" ვუგზავნი სამზარეულოში. სანტორი კმაყოფილია: ამდენი და თანაც სხვადასხვა ჯიშის თევზი მისთვის არავის მიურთმევია. ხანდახან, მიქცევისას, სამას ლანგუსტამდე ამომყავს.

გუშინ ექიმი ჟილბერ გუბერი დიაბლზე ჩამოვიდა. ზღვა მშვიდი იყო და თან მისი მეუღლე და რუაიალის კომენდანტი ჩამოჰყვნენ. ეს პირველი ქალია, ვინც დიაბლზე დაადგა ფეხი. კომენდანტის თქმით, აქამდე არც ერთი სამოქალაქო პირი კუნძულზე არ ყოფილა. მე და ქალმა საათზე მეტი ვისეირნეთ და ვისაუბრეთ. მიეედით იმ სკამამდე, რომელზეც დრეიფუსს ჯდომა და გაშლილი ზღვის იქით, საფრანგეთისკენ ყურება უყვარდა – იმ ქვეყნისკენ, რომელმაც იგი უარყო. ქალი ქვას ხელს უსვამს და მეუბნება:

ამ გაპრიალებულ ქვას რომ შეეძლოს, ალბათ გაგვიმხელდა, თუ რას ფიქრობდა მაშინ დრეიფუსი. პაპიონ, რაკი გაქცევა გადაგიწყვეტიათ, ალბათ ერთმანეთს ვეღარ ვნახავთ. ღმერთს შევევედრები, რომ გამარჯვებაში შეგეწიოთ. წასვლის წინ, გთხოვთ, ამ სკამთან მოხვიდეთ და ხელით შეეხოთ, რათა დამემშვიდობოთ.

კომენდანტმა ნება მომცა, როცა მომესურვებოდა, საბაგირო გზით ექიმისათვის თევზი გამეგზავნა. სანტორიც თანახმაა.

– მშვიდობით, ექიმო, მშვიდობით, მადამ! ქალბატონ გიბერის თვალები თითქოს მეუბნებიან: „იცოდეთ, არ დაგივიწყებთ. თქვენც გაგვიხსენეთ ხოლმე."

დრეიფუსის სკამი კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, ყველაზე მაღალ ადგილზეა და ზღვას ორმოც მეტრზე მეტი სიმაღლიდან გადაჰყურებს.

დღეს სათევზაოდ არ წავსულვარ. ერთ ადგილას ქვებისაგან პატარა შემოლო-

ბილი გავაკეთე და შიგ ას კილოზე მეტი თეზი დამიცურავს. იქვე, ჯაჭვებით დაბმულ კასრში კი ხუთასზე მეტი ლანგუსტი მყავს. ესე იგი, თევზაობა აუცილებელი არ არის: ყველას გვეყოფა – ექიმს, სანტორის, ჩინელებსაც და მეც.

ახლა 1941 წელია. თერთმეტი ნელი გავიდა, რაც კატორღაში ვარ. ოცდათხუთმეტის გავხდი. ჩემი ცხოვრების საუკეთესო ნლები ან საკანში გავატარე, ან – დილეგში. მხოლოდ შვიდ თვეს ვიყავი თავისუფალი ჩემს ტომთან. შვილები, რომლებიც ორ ინდიელ ცოლთან უნდა მყავდეს, უკვე რვა ნლისანი იქნებიან. რა საშინელებაა! რა მალე გავიდა დრო! აქ გატარებული ყოველი წუთი და საათი მკაფიოდ არის აღბეჭდილი ჩემი ტანჯვის გზაზე.

ოცდათხუთმეტი ნელი! სადღაა მონმარტრი, პლას ბლანში, პიგალი, პეტი უარდენის ბაღი, კლიშის ბულვარი? სად არის ნენეტის მადონას სახე – ნამდვილი კამეა, რომელიც სასამართლოზე დიდი, შავი, სასონარკვეთილი თვალებით მჭამდა და ყვიროდა, კატორღაში ჩამოგაკითხავო? სად არის ის თორმეტი მძორი? ძაღლები? გენერალური პროკურორი? რა დღეში არიან მამაჩემი და ჩემი დების ოჯახები გერმანელების უღელქვეშ?

რამდენჯერ გავიქეცი? მართლა, მოდი, ვნახოთ, რამდენი იყო:

პირველი: ჰოსპიტლიდან, „ძაღლები" რომ გავაგორე.

მეორე კოლუმბიაში იყო – რიო-აჩადან. მაშინ ჭეშმარიტ ბედნიერებაში ჩავვარდი. რატომ მივატოვე ჩემი ტომი? ინდიელ ქალებთან გატარებული სასიყვარულო სცენები ისე აშკარად მეზმანება, თითქოს ახლა შევიგრძნობდე და ტანში ჟრუანტელი მივლის.

მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე – კოლუმბიაში. რა უბედობა დამყვებოდა! როგორ ჩაიშალა მესის საქმე! სირცხვილნაჭამი დინამიტი! კლუზიოს გამოდებული შარვალი! ძილის ნამალი; რომელმაც გვიან იმოქმედა!

მეშვიდე – რუაიალზე, როცა იმ ტ...მა ბებე სელიემ ჩამიშვა. ის რომ არა, უეჭველად გავიქცეოდი და კარბონიერისთან ერთად ახლა თავისუფალი ვიქნებოდი.

მერვე და უკანასკნელი – თავშესაფრიდან. დიდი შეცდომა დავუშვი, როცა ზღვაში გასასვლელი ადგილი იტალიელს შევარჩევინე. ორასი მეტრით დაბლა, საყასბოსთან, უფრო მოსახერხებელი იქნებოდა გაქცევა.

ეს სკამი, რომელზეც უდანაშაულოდ დასჯილმა დრეიფუსმა ძალა პოვა, რათა ეცოცხლა, რამეში უნდა შემეწიოს – გაქცევაში უნდა დამეხმაროს.

დიახ, ეს სწორკუთხა, პრიალა ქვა, კლდიდან უფრსკულს რომ გადაჰყურებს, იმედის წყაროდ უნდა მექცეს. დრეიფუსს ერთი წამითაც არ უგრძვნია თავი დამარცხებულად და ბოლომდე იბრძოლა რეაბილიტაციისათვის. მართალია, მას ისეთი დამცველი ჰყავდა, როგორც ზოლა იყო, თავის ცნობილი გამოთქმით – „მე ბრალს ვდებ", მაგრამ, თავადაც რომ არ ყოფილიყო უსამართლობასთან ხანგრძლივ ბრძოლაში გამოწრთობილი, ამ სკამიდან უფრსკულში გადაეშვებოდა. მან გაუძლო. მე მასზე ნაკლები არ ვარ და საჭიროა გადავაკეთო დეზიზი: „გავიმარჯვო ან მოვკვდე." აქედან სიტყვა „მოვკვდე" უნდა ამოვაგდო. მხოლოდ გამარჯვებასა და თავისუფლებაზე ვიფიქრებ!

ქვის სკამზე საათობით ვზივარ. ამ დროს ჩემი გონება წარსულსა და მომავალს ვარდისფრად მისახავს. ტალღების პლატინისფერ ქოჩრებზე არეკლილი მზე თვალებს მტკენს. ტალღების ყურებით მათი ყველა კაპრიზი შევისწავლე. ისინი დაუღალავად

უტევენ კუნძულის წინ გადადგმული ნაწილის კლდეებს, ჩხრეკენ და ჯიჯგნიან, თითქოს ეუბნებიან: „დაიკარგე, აღიგავე, გაქრი აქედან, ვერ ხედავ, რომ ხელს უშლი დიდი მიწისაკენ ჩემს ლტოლვას?! ამიტომაც გაცლი ყოველ დღე პატარ-პატარა ნაწილებს! ქარიშხლის დროს ზღვა არა მარტო ანგრევს და მიაქვს, რასაც მოასწრებს, არამედ განუწყვეტლივ ცდილობს, წყალი ნაღმივით ყველა კუნჭულში დაუტოვოს ამ გიგანტურ კლდეებს, რომლებიც, თითქოს ეუბნებიან: „აქ გასასვლელი არ არის.“

ერთხელაც, ერთ მნიშვნელოვან რამეს ვამჩნევ: ზუსტად დრეიფუსის სკამის დაბლა, ორი კლდეა, ცხენის ნალივით განლაგებული. მთელი ძალით მოვარდნილი ზვირთი შიგ ტყდება და მერე ვიწრო გასასვლელით უკან იხევს – ესე იგი, არ იფანტება. თუ იმ დროს, როცა ტალღა უკან იხევს, ქოქოსის კაკლებით სავსე ტომარასთან ერთად ჩავხტები, ტალღამ ზღვაში უნდა გამიყვანოს. საღორეში ტომარა მეგულება, კუნძულზე კი ქოქოსის კაკალი თავზესაყრელია.

ჯერ ცდა უნდა ჩავატარო. სავსე მთვარეზე მოქცევა უფრო მაღალია, ესე იგი, ტალღებს მეტი ძალა აქვს. სავსე მთვარეს დაველოდები. ქოქოსებით სავსე ერთი ტომარა უკვე გამოქვაბულში მაქვს დამალული. იქ ისე ვერ მოხვდები, თუ წყალში არ ჩაყვინთე – ეს ლანგუსტებზე ნადირობისას აღმოვაჩინე. მეორე ტომარაში, რომელიც პირველს მივაბი, ორმოცი კილოგრამიანი ქვა ჩავდე. რაკი ორი ტომრით ვაპირებ წასვლას და სამოცდაორ კილოგრამს ვიწონი, პროპორციები დაცული იქნება.

სანამ ცდას ჩავატარებდე, სული მიმდის. კაციშვილი ვერ იაზრებს, რომ კუნძულის ამ მხარეს ვინმე გაქცევას შეეცდება. მიუხედავად ამისა, ეს ერთადერთი ადგილია, საიდანაც გაშლილ ზღვაში გასვლა შეიძლება. სწორედ აქედან უნდა გავიქცე!

ტომრები მძიმეა და მარტო ვერ ავათრევ ამ მუდმივად სველ, სიპ კლდეზე. ჩანგს ვთხოვე და დასახმარებლად მოდის, თან თევზაობის ხელსაწყოები მოაქვს, – თუ ვინმე გამოგვიჭერს, ვუთხრათ, რომ ზვიგენებს მახეს ვუგებთ.

– მიდი, ჩანგ, ცოტაც და – მივედით.

სავსე მთვარე ისე ანათებს, რომ დღე გეგონება. ტალღების ღრიალი მაყრუებს. ჩანგი მეკითხება:

– მზად ხარ, პაპიონ? აი, იმაზე, იმაზე!

დაახლოებით ხუთი მეტრი სიმაღლის ტალღა ყალყზე შემდგარი მოემართება და დაბლა ისეთი ძალით ეხეთქება, რომ წყალი ჩვენამდე აღწევს და გვასველებს. ეს ხელს არ გვიშლის, ტომარა ზუსტად იმ დროს გადავაგდოთ, როცა უკან დახევას აპირებს. ჩალის ღეროსავით ატაცებული ტომარა ზღვაში გადის.

– გამოგვივიდა, ჩანგ!

– დაელოდე, უკან არ დაბრუნდეს!

ხუთი წუთიც არ გასულა და გაოგნებული ვუყურებ, როგორ ტრიალებს ჩემი ტომრები ერთი დიდი ტალღის ქოჩორზე, მერე მთელი ძალით ასკდება კლდეს და ქოქოსის კაკლებს აქეთ-იქეთ ფანტავს. საბედნიეროდ, ტალღა უკან გვაგდებს, თუმცა თავით-ფეხებამდე გვასველებს. დაკანრულები და არაქათგამოცლილები, საჩქაროდ ვტოვებთ ამ დანყევლილ ადგილს.

– არა კარგი, პაპიონ, ეს აზრი, გაქცევა დიაბლიდან. რუაიალი ჯობია.

– ჰო, მაგრამ, რუაიალიდან გაქცევას მაქსიმუმ ორ საათში აღმოაჩენენ და ამაზე ნაკლებში დამეწევიან, რადგან ტომარა მხოლოდ ტალღების ბიძგით იმოძრავებს. ჯერ ერთი, აქ ნავი არ არის. მეორეც – სანამ რამეს გაიგებენ, მთელი ღამე ნინ

მექნება და კიდევ, შეიძლება ჩათვალონ, რომ თევზაობისას დავიხრჩვე. დიაბლზე ტელეფონი არ არის. თუ ცუდ ამინდში წავალ, კანჯო ვერ წამოვა. ასე რომ, მხოლოდ აქედან უნდა გავიქცე. მაგრამ როგორ?

შუადღეა. ტროპიკული მზე, ლამის ტვინს რომ გიხარშავს; მზე, რომელიც ყოველგვარ მცენარეს, რომელმაც დაბადება თუ შეძლო და ღონე კი ვერ მოიკრიბა – ახმობს; მზე, რომელიც რამდენიმე საათში აორთქლებს წყლის გუბეებს და მხოლოდ მარილის პატარა შრესღა ტოვებს; მზე, რომელიც ჰაერს აცეკვებს, დიახ, ჰაერი სწორედ რომ ცეკვავს ჩემ თვალწინ – ეს მზე ზღვაზე თავისი ათინათებით თვალებს მწვავს, მაგრამ მე არ ვეპუები, ვზივარ დრეიფუსის სკამზე და წყალს ვაკვირდები და უეცრად ვხედები, რა რეგვენი ვყოფილვარ: ტალღა, რომელმაც ჩემი ტომრები გამორია, მხოლოდ ექვსჯერ მეორდება. მზის ჩასვლამდე ვაკვირდები და ვხვდები, რომ არც რიტმი იცვლება და არც ფორმა: ჯერ ექვსი მოდის, მერე როგორც სარი, მოჰყვება ეს მთავარი ტალღა, რომელიც ნაპირიდან დაახლოებით სამას მეტრში იქმნება. მოახლოების კვალობაზე იზრდება, მაგრამ, სხვებისგან განსხვავებით, ქეჩოზე ქაფი არა აქვს. ხმაც განსაკუთრებული მოსდევს – ქუხილი გეგონება. როცა ორ კლდეზე იმსხვრევა და უკან, გასასვლელისკენ მიექანება, წყლის დიდი მასის გამო ყოვნდება, იქ ტრიალებს, თანდათან მიდის, და დიდ ლოდებს ისეთი ხმაურით მიაგორებს, რომ იფიქრებ, ათეულობით ქვით დატვირთული ურიკა დაცალესო. ტომარაში ქოქოსის კაკლებს ვყრი, დაახლოებით ოცკილოიან ქვას ვამატებ და, როგორც კი ტალღა იმტვრევა და უკან წასვლას აპირებს, შიგ ვაგდებ.

ქაფის გამო ვერ ვახერხებ თვალი მივადევნო. მხოლოდ რამდენიმე წამით ვამჩნევ, როცა ვიწრო გასასვლელში მიექანება. ტომარა აღარ მობრუნებულა. დანარჩენ ექვს ტალღას იმდენი ძალა არა აქვთ, რომ ტომარა გამორიყონ, ხოლო, როცა მეშვიდე იქმნება, იგი იმ ადგილს უკვე გაცილებულია.

გახარებული და დაიმედებული მივაბიჯებ ბანაკისკენ: მივაგენი! მაგრამ, მაინც უნდა ჩავატარო რამდენიმე სერიოზული ცდა. ჩანგს ვუყვები ჩემი აღმოჩენის შესახებ. ჩინელი მეგობარი ყურადღებით მისმენს.

– კარგია, პაპიონ. ვფიქრობ, მიაგენი. მე შენ დახმარება ნამდვილ ცდაში. ლოდინი რვა მეტრი მოქცევას. მალე ბუნიობა.

მთვარის ბუნიობის დადგომისთანავე, როცა მოქცევის სიმაღლე რვა მეტრამდე აღწევს, ჩანგის დახმარებით ორ ტომარას იმ ტალღას ვატან.

– როგორ შენ უძახდი იმ პატარა გოგონას, სენ-ჟოზეფზე გადარჩენა?

– ლიზეტი.

– ჩვენ დარქმევა ტალღას, რომელიც ერთ დღეს შენი წაღება – „ლიზეტი". თანახმა ხარ?

– თანახმა ვარ.

„ლიზეტი" ისეთი ხმაურით მოდის, გეგონება, სადგურში სწრაფი მატარებელი შემოდისო. ის, დაახლოებით ორას ორმოცდაათ მეტრში ჩამოყალიბდა და, ყალყზე შემდგარი, ყოველ წამს იზრდება. ეს გასაოცარი საყურებელია. ისეთი ძალით იმტვრევა კლდეზე, რომ ორივეს კლდიდან გვგვის და ტომრები დაბლა თვითონ ცვივა. კიდევ კარგი, დროზე მივხვდით, რაც გველოდა და უკან გადავცვივდით, თორემ ვერ გადავურჩებოდით. ახლა არაფრის შიში არა გვაქვს, რადგან სამივე ძაღლი კუნძულის მეორე ბოლოში გენერალურ ინვენტარიზაციას ატარებს. კარგად ჩანს, რომ ტომრები

წყალმა ძალიან შორს წაილო – ტალღის დაბადების ადგილს გააცილა. შემდგომმა ექვსმა ტალღამ მათი უკან მობრუნება ვერ შეძლო. „ლიზეტი“ კვლავ იბადება და მოდის. ტომრები არ ჩანან – ესე იგი, მისი გავლენის სფეროდან გაიდნენ.

სწრაფად ავდივართ დრეიფუსის სკამთან და ვაკვირდებით. სიხარულს ვერ ემალავთ, როცა სამჯერ თუ ოთხჯერ ვამჩნევთ მათ შორს, იქეთ მიმავალი ტალღების ნვეროებზე. ცდის შედეგი დადებითია. „ლიზეტის“ მხრებით წავალ ახალი ფათერაკების საძებნელად!

– აი, ნახე, ნახე, აქედან გეუბნებოდი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი და – „ლიზეტი“ მოდის.

იმ გადმოსახედიდან, სადაც დრეიფუსის სკამი დგას, ზღვა ყოველთვის ბობოქარი მოჩანს, მაგრამ დღეს მეტისმეტად ცუდ გუნებაზეა. „ლიზეტი“ – მახასიათებელი ხმაურით მოდის. ახლა უფრო დიდი და უხვწყლიანი მეჩვენება, ვიდრე ადრე და უფრო გამაყრუებელი ხმაურით ასკდება კლდეებს.

– შენ ამბობ, რომ აქედან უნდა გადავხტე? არა, ძმაკაც, მე ვერ წამოვალ. გაქცევა მინდა და არა თვითმკვლელობა, – „ლიზეტის“ გაცნობამ სილვენი გადარია. სამი დღეა, რაც აქ გადმოვიდა და, ბუნებრივია, ერთად გაქცევა შევთავაზე. ორ ტიეს შევკრავთ, დიდ მინაზე ამხანაგი მეყოლება და ახალ გაქცევასაც ერთად მოვამზადებთ. ტევრში მარტო ყოფნა ხუმრობა არ არის.

– წინასწარ ნუ ჩაისვრი. ვიცოდი, პირველი შთაბეჭდილება ასეთი იქნებოდა. და მაინც, ეს არის ერთადერთი ტალღა, რომელსაც შეუძლია, ისე შორს ნაგიღოს, რომ სხვებმა უკან ველარ მოგაბრუნონ.

– დამშვიდდი, შეხედე, ჩვენ გამოვცადეთ, – ამბობს ჩანგი, – ნაღდია, არასოდეს შენ, რაკი წახვედი, შეძლო დაბრუნდე დიაბლზე, არც შეეხო რუაიალს.

სილვენის დასარწმუნებლად ერთი კვირა დამჭირდა. ათლეტური გარეგნობის ტიპია.

– კარგი, მჯერა, რომ საკმარისად შორს გაგვიყვანს. მერე, როგორ ფიქრობ, რამდენი ხნის შემდეგ მიგვაგდებენ ტალღები კონტინენტზე?

– გულახდილად რომ გითხრა, სილვენ, არ ვიცი. რამდენად გვერდულად წაგვიღებს, იმაზეა დამოკიდებული. რაკი თითქმის ტალღების პირზე ვიქნებით, ქარი ვერ დაგვეხმარება. ცუდ ამინდში, ტალღებს მეტი ძალა ექნებათ და უფრო ძლიერად გვიბიძგებენ ტევრისკენ. მოკლედ, დაახლოებით შვიდი-ათი მიქცევის შემდეგ უნდა გაგვრიყოს. ორმოცდარვა, სამოც საათში.

– როგორ ითვლი?

– კუნძულებიდან ნაპირამდე, პირდაპირ, ორმოც კილომეტრზე მეტი არ იქნება. ცერად წაღებით, მაქსიმუმ ას ოციდან ას ოცდაათ კილომეტრამდე გვქონდეს გასაცური. რაც უფრო ახლოს ვიქნებით ნაპირთან, მით უფრო პირდაპირ წაგვიღებს. როგორ გგონია, საათში ხუთ კილომეტრს ვერ გაივლის?

ყურადღებით მისმენს, რასაც ვუხსნი. ეს გოლიათი ჭკვიანი უნდა იყოს.

– მჯერა, რომ ზუსტად ასე მოხდება.

– დარწმუნდი? მომყვები?

– ბოლომდე არა. წარმოვიდგინოთ, რომ დიდ მინაზე აღმოვჩნდით, ტევრში. რას ვაკეთებთ?

– მივალთ კურუს შემოგარენში. იქ მეთევზეების, ბალატასა და ოქროს მაძიებე-

ლთა ერთი სოფელია. ვიფრთხილებთ, რადგან იქვე კატორღის სატყეო ბანაკიცაა. ალბათ ვიპოვით ბილიკს, რომ კაიენასკენ წავიდეთ და ჩინელების სოფელს – ინინის მივადგეთ. ვინმე კატორღელი ან შავკანიანი უნდა ვაიძულოთ, იქამდე მიგვიძღვეს. თუ ისეთი სამოქალაქო პირი შეგვხვდება, რომელიც არ მოგვატყუებს, ხუთას ფრანკს მივცემთ და გავუშვებთ. კატორღელს კი ჩვენთან ერთად გაქცევას ვაიძულებთ.

– რას გავაკეთებთ ინინიში, ინდოჩინელებისათვის განკუთვნილ ბანაკში?

– იქ ჩანგის ძმაა.

– ჰო, იქ ჩემი ძმაა. იგი გაქცევა თქვენთან ერთად. ის იშოვნოს სანდო ნავი და საკვები. როცა შეხვდებით კუიკ-კუიკს, თქვენ ყველაფერი გასაქცევად. არასოდეს არც ერთი ჩინელი ჩამშვები არ არის. რომელი ჩინელიც არ უნდა იპოვოს ტევრში, თქვენ ელაპარაკოს და ის გააფრთხილოს კუიკ-კუიკი.

– რატომ ჰქვია შენს ძმას კუიკ-კუიკი? – ეკითხება სილვენი.

– არ ვიცი, ფრანგებმა დაარქვეს კუიკ-კუიკი, – ამბობს ჩანგი და ამატებს: – ფრთხილად. როცა თქვენ თითქმის მისულები დიდი მიწა, ჭაობს შეხვდებით. არასოდეს სიარული ჭაობზე არ არის კარგი, ჩაგინოვოთ. დაელოდოთ, რომ მეორე მიქცევამ მიგაგდოთ იმდენად, რომ ჩაეჭიდოთ ლიანებს და ფესვებს. ეს თუ არა, დაღუპული ხართ.

– აჰ! კი, სილვენ. არასოდეს არ უნდა გაიარო ჭაობზე. თვით ნაპირთან ძალიან ახლოსაც კი. უნდა დაელოდო, სანამ ტოტებს, ან ლიანებს მოეჭიდები.

– კარგი, პაპიონ, გადავწყვიტე.

– ორ ერთნაირ ტივზე ვიქნებით და რაკი ერთი წონისა ვართ, არა მგონია, ტალღებმა ძალიან დაგვაშორონ. მაგრამ, ვინ იცის... იმ შემთხვევაში, თუ დავიკარგებით, როგორ ვიპოვოთ ერთმანეთი? აქედან კურუ არ სჩანს. სამაგიეროდ, რუაიალიდან შეამჩნევდი, რომ, კურუს მიმართულებით, როცა მზე ურტყამს, თეთრი კლდეები მოჩანს – ასე, ოც კილომეტრზე.

– ჰო.

– მთელ სანაპიროზე სხვა კლდეებს ვერ ნახავ. მარჯვნივ და მარცხნივ უსასრულო ჭაობებია. ეს კლდეები ჩიტების სკლინტისაგან არის გადათეთრებული. ისინი ათასობით არიან. კაციშვილი არ ჭაჭანებს იქ და მშვენიერი ადგილია ტევრში შესვლის წინ ძალების მოსაკრებად. კვერცხებითა და ჩვენი ქოქოსის კაკლებით გამოვიკვებებით. პირველი მისული მეორეს დაელოდება.

– რამდენ დღეს?

– ხუთი. შეუძლებელია, რომ ხუთ დღეში მეორემ ვერ მიაღწიოს იქამდე.

ორი ტივი მზადაა. სიმაგრისთვის ტომრები გავაორმაგეთ. მე და სილვენი ათი დღის განმავლობაში ვვარჯიშობთ ტომრებზე ჯდომაში. ვხვდებით, რომ, ყოველთვის, როცა ტომარა გადაბრუნებას იწყებს, ზედ უნდა გავწვეთ. ძილს უნდა ეუფრთხილდეთ – შეიძლება, ტომრიდან ჩამოვვარდეთ და მერე ვეღარ დავიჭიროთ. ჩანგი წყალგაუმტარ აბგას მიმზადებს სიგარეტებითა და სანთებელათი. კისერზე ჩამოვიკიდებ. თვითოეული ათ-ათ ქოქოსის ათქვეფილ გულს ვამზადებთ შიმშილისა და წყურვილის მოსაკლავად. სანტორის ღვინის პატარა ტიკი ჰქონია, რომელსაც არასდროს ხმარობს. ჩანგი მასთან ხშირად დადის და შეეცდება, აწაპნოს.

გაქცევა კვირას, ათი საათისათვის არის დანიშნული. სავსე მთვარეა, მოქცევა რვა მეტრი სიმაღლისა იქნება და „ლიზეტსაც“ არ გაუჭირდება. ჩვენი წაყვანა. იმ

დღეს ჩანგში ღორების საჭმელად მარტო წავა. მთელ შაბათსა და კვირას ვიძინებ. საღამოს ათი საათისთვის მოქცევა უკვე ორი საათის დაწყებული იქნება.

არა მგონია, ჩემი ტომრები ერთმანეთს დასცილდეს. ისინი ერთდროულად ქერელის თოკით, თითბრის მავთულითა და აფრის თოკებით გადავაბი. თითო ტომარა ერთმანეთშია ჩადებული და ქოქოსის კაკლები ვერ გამოცვივდება. ბარძაყები ტალღებისაგან გაკაჟებული მაქვს – ამ მხრივ მზად ვარ.

კუნძულის ერთ დამშრალ ჭაში სამ მეტრამდე სიგრძის ჯაჭვი ვიპოვე და თოკებზე გადავხლართე ტომრებს შუა. ტომრებზე მისაბმელად ჩანგალი მაქვს გამზადებული: დაძინების შემთხვევაში, ტივს არ დავკარგავ – თუ ტომრები გადატრიალდება, წყალი გამაღვიძებს

– აბა, პაპი, სამი დღეღა დაგვრჩა.

დრეიფუსის სკამზე ვზივარ და „ლიზეტს" ვუყურებ.

– ჰო, სილვენ. მჯერა, რომ გავაღწევთ. შენ?

– უსათუოდ, პაპიონ. სამშაბათს ღამით ან ოთხშაბათის დილით ტევრში ვიქნებით.

ჩანგი ჩვენთვის ქოქოსის გულს ხეხავს. ორი დანის გარდა, ორი მოპარული ხანჯალიც მიგვაქვს.

ინინის ბანაკი კურუს აღმოსავლეთითაა. ზურგის მზით თუ ვივლით, აუცილებლად მივაგნებთ.

– ორშაბათს სანტორი გაგიჟდეს, – ამბობს ჩანგი, – მე მხოლოდ ვილაპარაკო, რომ შენ და პაპიონი გაუჩინარება, როცა ორშაბათის სიესტას დაამთავრებს.

– არა ჯობია, სირბილით მიხვიდე და უთხრა, რომ თევზაობისას ტალღამ წაგვიღო?

– არა, გართულებები – არა. მე თქმა: „შეფ, პაპიონი და სილვენი დღეს სამუშაოდ არ მოსულა. მე მარტომ ვაჭამე ღორებს", – არც მეტი, არც ნაკლები.

გაქცევა დიაბლიდან

კვირაა. საღამოს შვიდი საათი. ახლახანს გავიღვიძე. თავს ძალა დავატანე, შაბათის დილიდან მძინებოდა. მთვარე მხოლოდ ცხრა საათზე ამოდის. ესე იგი, ახლა გარეთ უკუნი ღამეა. ვარსკვლავებს ნაკლებად ვარჩევთ. ჩვენს თავზე მხოლოდ წვიმით გაბერილი ღრუბლები გარბიან. ბარაკის გასასვლელისაკენ მივდივართ. აქამდეც არა ერთხელ გავსულვართ ასე გვიან და ამიტომ ყურადღებას არავინ გვაქცევს.

ერთი პატარა ბიჭი შეყვარებულთან – ჩაპუტკუნებულ არაბთან ერთად შემოდის. ალბათ კუნძულის რომელიღაც კუთხეში სიამოვნებდნენ. ვუყურებ, როგორ სწევენ შემოსასვლელ ფარდას და ვფიქრობ, რომ როგორც ბუღის, ისე მისი „ტურფასთვის", ბედნიერების მწვერვალი თავის სატრფოსთან დღეში ორჯერ ან სამჯერ სქესობრივი კავშირია. ეროტიკული მოთხოვნილების დაკმაყოფილება კატორღას მისთვის სამოთხედ აქცევს. „ტურფა" ოცდასამი-ოცდახუთი წლის უნდა იყოს. მის სხეულს ჭაბუკობა გავლილი აქვს. ტყუილად ერიდება მზეს, რომ კანის სითეთრე შეინარჩუნოს – იგი ადამიანის სახეს კარგავს. და მაინც, აქ, კატორღაში, იმდენი საყვარელი ჰყავს, რომ თავისუფლებაში ვერც კი იოცნებებდა. ბუღა მასზე ფულსაც აკეთებს – კაცის თავზე ოცდახუთ ფრანკს იღებს – ზუსტად ისე, როგორც

ეს მონმარტრზე, როშ შუარის ბულვარზე ხდება. სიამოვნებასთან ერთად „ტურფა" ფულსაც შოულობს და თავის „კაცთან" ერთად ბედნიერად ცხოვრობს. მას შემდეგ, რაც მან და მისმა კლიენტებმა კუნძულზე ფეხი დაადგეს, მათ ტვინს მხოლოდ ერთი იდეალი აქვს: სექსი! პროკურორი შეცდა, როცა ეგონა, რომ მათ ბიწიერების ბილიკზე აყენებდა. ამათ სწორედ სიდამპლეში პოვეს ბედნიერება. პატარა ცვედანი ფარდას ეფარება და ჩანგი, სილვენი და მე გარეთ ერჩებით.

– წავედით!

სწრაფად მივემართებით კუნძულის ჩრდილოეთისკენ. ტივები ქვაბულიდან გამოგვაქვს. სამივე სველი ვართ. აქოჩრებულ გაშლილ ზღვაზე ქარი ღმუის. სილვენი და ჩანგი ტომრების ატანაში მეხმარებიან. ბოლო წუთს ტომრის ჯაჭვს მარცხენა ხელზე ვიბამ, რადგანაც მეშინია, თავიდანვე არ გამექცეს. სილვენი ჩანგის დახმარებით ადის მოპირდაპირე კლდეზე. მთვარე უკვე ამაღლებულია და ირგვლივ ყველაფერი კარგად ჩანს.

პირსახოცს თავზე ვიხვევ. ექვს ტალღას უნდა დაველოდო. ეს თითქმის ოცდაათი წუთია.

ჩანგი ჩემთან ბრუნდება და მეხვევა. მე კლდეზე უნდა დავწვე და ფეხები დამიჭიროს, რომ „ლიზეტის" მოსვლას გავუძლო.

– მხოლოდ ერთი დარჩა – ყვირის სილვენი – მეორე ჩვენია! – იგი თავისი ტივის წინ დგას, რათა სხეულით დაფაროს, როცა ზვირთი გადაუვლის. მეც იმავე პოზაში ვარ. ჩანგი ისე ნერვიულობს, რომ მისი ფრჩხილები ფეხებში მესობიან.

აი „ლიზეტიც". იგი ჩვენ წასაყვანად მოდის, გამაყრუებელი ხმაურით იმსხვრევა კლდეებზე და უკან იხევს.

მე წამის რალაც ნაწილით მეგობარზე ადრე ვხტები და ლიზეტი თავბრუდამხვევი სისწრაფით გვიწოვს ორივეს, გაშლილი ზღვისკენ. ხუთი წუთიც არ გასულა და ნაპირიდან უკვე სამას მეტრში ვართ. სილვენი თავის ტივზე ჯერ არ ასულა. მე მეორე წუთზევე ზედ ვიყავი. დრეიფუსის სკამზე ამძვრალი ჩანგი თეთრი ჩვრის ნაჭრით გვემშვიდობება. აი, უკვე ხუთი წუთი იქნება, რაც იმ ადგილს გავცილდით, სადაც დიაბლისკენ მიმავალი ტალღები ყალიბდება. ჩვენ გრძელ, უქაფო ტალღებს რყევის გარეშე მივყავართ და ტივის გადაბრუნების საშიშროება არ გვემუქრება. ეს ტალღები, რომლებიც ზემოთ-ქვემოთ გვარწევენ, უეჭველად გაშლილი ზღვისკენ გვიბიძგებენ. როცა ერთ-ერთი ასეთი ტალღის თავზე კიდევ ერთხელ ვექცევი, თავს ვაბრუნებ და ვხედავ, რომ ჩანგი ისევ იქნევს თავის ჩვარს. სილვენი ჩემგან ორმოცდაათიოდე მეტრშია, რამდენჯერმე სწევს ხელს და გამარჯვების ნიშნად მიქნევს.

ღამით არ გაგეჭირვებია და ზღვის მიზიდვაც გარკვევით ვიგრძენით. მიქცევამ გაშლილ ზღვაში გაგვიყვანა და ახლა მისი ტალღები დიდი მიწისაკენ გვიბიძგებენ.

ჰორიზონტზე მზე ჩნდება – ესე იგი, უკვე ექვსი საათია. წყალში ძალიან დაბლა ვართ, დიდ მინას ვერ ვხედავთ, მაგრამ ვხვდები. რომ კუნძულებს საკმაოდ დავშორდით. ისინი გაურკვეველ მასად მოჩანს შორს, ვერც კი გაარჩევ, რამდენია. ვფიქრობ, სულ მცირე, ოცდაათი კილომეტრი გავცურეთ. ტრიუმფის შეგრძნება ღიმილს მგვრის.

ტივზე რომ დავჯდე? – ამგვარდ ზურგში მეტ ქარს მივიღებ და ჩქარა გავცურავ.

აჰა, დავჯექი! ჯაჭვს ვენევი და წელზე ვიხვევ. კარგად გაპოხილი ჩანგლით

ადვილად ვიკრავ. ხელებს გასაშრობად მაღლა ვწევ. სიგარეტი უნდა მოვწიო. მოკიდებას ვახერხებ. ბოლს ღრმად ვისუნთქავ და ნელ-ნელა ვუშვებ. აღარ მეშინია. ვერ აგიწერთ, როგორი ტკივილები მქონდა მუცელში წამოსვლის წინ და ზღვაში ყოფნის პირველ წუთებში. არა, აღარ მეშინია. იმ ზომამდე დაემშვიდდი, რომ სიგარეტის მონევის შემდეგ, რამდენიმე მუჭა ქოქოსის კაკალს გეახლებით. სილვენი ჩემგან საკმაოდ შორს არის. ხანდახან, როცა ტალღის ქოჩორზე ერთსა და იმავე დროს ვექცევით, შეგვიძლია, ერთმანეთს თვალი მოვკრათ. მზე სატანურად მირტყამს კეფაში და ტვინს მიდულებს. პირსახოცს ვასველებ და თავზე ვიხვევ. შალის ჯვალო გავიხადე – ქარის მიუხედავად, სიცხისაგან ვიხრჩობი.

ღმერთო ჩემო! ტივი გადატრიალდა და კინაღამ დავიხრჩვე! ორი მოზრდილი ყლუპი ზღვის წყალიც ჩავყლაპე! ვწვალობ, მაგრამ მის გადატრიალებას და ზედ ასვლას ვერ ვახერხებ. ჯაჭვი მიშლის. მინდა მოვიხსნა, მაგრამ დაკრუნჩხული თითები არ მემორჩილება.

უფ! როგორც იქნა! მეგონა, ვერასოდეს გავითავისუფლებ-მეთქი თავს. ტივის გადაბრუნებას აღარც კი ვცდილობ – არაქათგამოცლილი ზედ ვწვები. რა მნიშვნელობა აქვს, რომელ მხარეზე დავაჯდები? აღარასოდეს აღარ მივებმები!

მზე ხელ-ფეხს დაუნდობლად მინვავს. სახეზე ცეცხლი მიკიდია. დასველება უარესია, რადგან წყალი უცებ ორთქლდება და უფრო მეტად მეწვის.

ქარმა ძალა დაკარგა და, მართალია, ტალღები აღარ გვაწუხებენ, მაგრამ ახლა უფრო ნელა მივცურავთ. ქარი და მღელვარე ზღვა ჯობია.

მარჯვენა ფეხში ისეთი კრუნჩხვები მივლის, რომ ყვირილს ვერ ვიკავებ. მტკივნეულ ადგილებზე ჯვრებს ვიხაზავ, რადგანაც მახსენდება, ბებიაჩემი მეუბნებოდა, ეს გიშველისო. ამჯერად კეთილი ბაბოს წამალმა არ გაჭრა. მზე დასავლეთისაკენ შესამჩნევად გადაიხარა. დაახლოებით ნაშუადღევის ოთხი საათი იქნება. მეოთხე მოქცევაა, რაც წამოვედით. მეჩვენება, რომ ეს უფრო მეტად მიბიძგებს ნაპირისაკენ.

ახლა მე და სილვენი ერთმანეთს კარგად ვხედავთ. პერანგი გაუხდია და წელზე ვით შიშველია. რაღაცას მანიშნებს. ჩემზე სამასი მეტრით წინ იქნება და ეტყობა, ხელებს უსვამს, რადგანაც გვერდით ქაფი მოყვება. მგონია, ტივის შენელებას ცდილობს, რომ გავუსწორდე. ტომარაზე უწვები და მეც ვუსვამ ხელებს: ის თუ სიჩქარეს აფერხებს, მე მოვუმატებ და დავეწევი.

ამხანაგის შერჩევაში ასი პროცენტით გამიმართლა.

დაღლილობას ვგრძნობ და ხელების მოსმას თავს ვანებებ – ძალა უნდა შემოვინახო. უნდა ვჭამო და ტივის გადმობრუნება ვცადო. საჭმლის ჩანთა და სასმელი წყლის ბოთლი ქვეშ მოყვა. მწყურია და მშია. ტუჩები უკვე დამისკდა და მეწვის. უკეთესი იქნება, ტომრებს დავეკიდო და ფეხებით ავკრა – იქნებ, როცა ტალღის თავზე ვიქნები, გადავაბრუნო. ამას მეხუთე ცდაზე ვახერხებ. არაქათი აღარ მაქვს.

მზე ჰორიზონტზეა. ცოტაც და – ჩავა. ესე იგი, საღამოს ექვსი საათია. იმედი ვიქონიოთ, რომ ღამით ზღვა ძალიან არ იღელვებს, რადგან ღრმა ტალღები ძალას მაცლიან.

ორი მუჭა ქოქოსის გულის შეჭმის შემდეგ ვსვამ და ხელებს ვიშრობ. სიგარეტს ვაბოლებ. სანამ დაბნელდებოდეს, მე და სილვენი ერთმანეთს პირსახოცების ქნევით ვემშვიდობებით. ის ჩემგან ისევ შორს არის. როგორც შემიძლია, ჯვალოს

ვნურავ და ვიცვამ. იგი, თვით სველიც კი, წუთში მათბობს. როგორც კი მზე გაუჩინარდა, მაშინვე სიცივე ვიგრძენი.

ქარი გრილდება. მხოლოდ დასავლეთით მოსჩანან მზისაგან გაწითლებული ღრუბლები. აღმოსავლეთი, საიდანაც ქარი უბერავს, მოწმენდილია – წვიმა არ იქნება.

მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, წონასწორობა არ დავკარგო და წყალში არ ჩავვარდე. თავს ვეკითხები, ისევ ჯაჭვზე ხომ არ მივება, ოღონდ ცოტა გრძლად. მაშინ მოკლედ მქონდა გამობმული და იმიტომ ვიწვალე. ვაგრძელებ და წელზე ვიხვევ. მეშინია, არ დამეძინოს, წყალში არ ჩავვარდე და ტომრები არ დავკარგო.

დიახ, ქარის გაძლიერებასთან ერთად ტალღებიც მაღლდება.

ღამეა. ცა მილიონობით ვარსკვლავით არის მოჭედილი. სხვებზე მეტად „სამხრეთის ჯვარი“ ბრწყინავს. ჩემთვის ეს ღამე გა; ამწყვეტია, რადგანაც, თუ ბედს უნდა, რომ ქარმა მთელი ღამე ამავე ძალით იქროლოს, ხვალ ჩვენი ოდისეა დამთავრდება!

რაც უფრო ღამდება, ქარი უფრო ძლიერად უბერავს. ნაბლისფერი მთვარე ნელა ამოდის ზღვიდან და როცა მთელი თავის სხეულით თავზე მადგება, გარკვევით ვარჩევ მის შავ ლაქებს, ადამიანის სახეს რომ ამსგავსებს მას.

ახლა საღამოს ათ საათზე მეტი იქნება. ღამე უფრო და უფრო ნათდება. ტალღები პლატინისფერს იღებენ და მათი ციმციმი თვალებს მჭრის. მზისა და მარილიანი წყლის შემდეგ ესღა მაკლდა! სამ სიგირეტს ზედიზედ ვეწევი, რათა ნებისყოფა არ დავკარგო და არ ჩამეძინოს. ერთ მდგომარეობაში ჯდომის გამო საშინელი კრუნჩხვები მეწყება. რა თქმა უნდა, ქვეშიდან სველი ვარ. მკერდი თითქმის მშრალი მაქვს, რადგან ჯვალომ გამიშრო. ტალღები მხოლოდ ქვეშიდან მასველებენ. თვალები უფრო და უფრო მეწვება. ვხუჭავ. დროდადრო მეთვლიმება. არ უნდა დამეძინოს! – ადვილი სათქმელია! ვეღარ ვუძლებ. ხანდახან სანთებელას ვიღებ და მკლავს ან კისერს ვიწვავ.

საშინელი ნაღველი მიპყრობს, როცა ვფიქრობ, რომ, შეიძლება, ჩამეძინოს. წყალში რომ ჩავვარდე, სიცივე გამაღვიძებს? კარგი ვქენი, რომ ისევ ჯაჭვით დავები. ამ ორი ტომრის დაკარგვა სიცოცხლის დაკარგვას უდრის! მაშინ ნახე, თუ დაგეძინება: წყალში ჩავარდები და არ გაგეღვიძება!

ერთი გზააბნეული ტალღა მარჯვენა მხრიდან მეჯახება, გვერდით მაბრუნებს და ჩემს ტივს ორი სხვა ტალღის ქვეშ აგდებს. მთლად სველი ვარ.

მეორე ღამე ილევა. რომელი საათი იქნება? მთვარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დილის ორი, ან სამი საათი უნდა იყოს. ხუთი მოქცევა – ოცდაათი საათია, რაც წყალში ვართ. დასველება იმაში მაინც მეხმარება, რომ ძილს მიფრთხობს. მაკანკალებს და თვალები აღარ მეხუჭება. ფეხები გამიხევდა. უნდა მოვიკეცო. ამას ხელების დახმარებით ვახერხებ. წვივები გაყინული მაქვს, იქნებ ასე გავითბო?

დიდხანს ვრჩები ასე, არაბის პოზაში. ვცდილობ, სილვენი დავინახო. მთვარე კარგად ანათებს, მაგრამ გადაიხარა და თვალებში მირტყამს. არა, ვერაფერს ვხედავ. მას არაფერი წამოუღია ტომრებზე მისაბმელად, ვინ იცის, ისევ ზედ არის? სასონარკვეთილი, ირგვლივ უშედეგოდ ვეძებ. მერე ქარში ხელებს ვიშრობ და თითებით ვუსტვენ. ვუსმენ. არავინ მპასუხობს. იცის კი სილვენმა თითებით სტვენა? არ ვიცი. უნდა მეკითხა, სანამ წამოვიდოდით. ორი სასტვენის გაკეთებას რა უნდოდა! ეყვირი, მაგრამ არავინ მპასუხობს. მაშინ, თავს ვეღარ ვიკავებ და ფეხზე ვდგები. ჯაჭვით წონასწორობას ვიკავებ. არაფერი წინ, არაფერი აქეთ-იქეთ. იქნებ უკანაა? ტალღაზე

მორიგი ასვლის დროს მარცხნივ მუქ ხაზს ვამჩნევ – ეს, უეჭველად, ტევრია! „დღისით ტევრს დაინახავ, პაპი! ოჰ! ღმერთმა ქნას, რომ შენი მეგობარიც გამოჩნდეს!"

წვივებს ვიზელ და ფეხებს ისევ ვშლი. ხელები მინდა გავიშრო და ერთი სიგარეტი მოვწიო. ორს ვეწევი. რომელი საათი იქნება? მთვარე ძალიან დაბლაა. აღარ მახსოვს, გუშინ, მზის ამოსვლამდე, რამდენი ხნით ადრე ჩავიდა. თვალებს ვხუჭავ – ვცდილობ, გავიხსენო. ერთბაშად, ნათლად ვხედავ, როგორ ამოდის აღმოსავლეთით მზე და იმავდროულად, როგორ ეშვება ჰორიზონტზე მთვარე – მისი ნახევარიღა სჩანს. ასე, რომ დაახლოებით ხუთი საათი უნდა იყოს. სამხრეთის ჯვარი დიდი ხნის წინ გაუჩინარდა, ახლა პოლარული ვარსკვლავია ცის დედოფალი.

ქარი ძლიერდება. ტალღები უფრო მაღალი და ქაფიანი ხდება. უკვე ოცდაათი საათია, რაც ზღვაში ვარ. უნდა ვაღიარო, რომ ახლა ყველაფერი უფრო კარგად მიდის, ვიდრე ცუდად და რომ ყველაზე მძიმე დღე წინ მელის.

გუშინ მზემ საკმაოდ მხარშა. დღეს უარესი იქნება. ტუჩები დახეთქილი მაქვს და, მიუხედავად იმისა, რომ ისევ ღამის სიგრილეა, მაინც მეწვებიან. თვალებიც. არც ხელფეხზე მადგას კარგი დღე. მარილიანმა წყალმა და ტომრებზე ხახუნმა საზარდული მთლად გამომიწვა. როგორმე ჯვალო უნდა გავიხადო.

რაც უნდა იყოს, ძმაკაც, გარბიხარ და დამწვრობის გარდა ბევრი რამ კიდევ გადასატანი გაქვს. რა, დიდ მიწაზე მოხვედრა ამად არ ღირს? შენ წარმოიდგინე, ერთი ზვიგენიც არ შეგხვედრია! რა, ყველა არდადეგებზეა? ვერ უარყოფ, რომ ილბალი გაქვს. თუ ქარი და ტალღები ისევე იმუშავებენ შენთვის, როგორც წუხელ, ნაღდია, ნაშუადღევს მიწას მიაღწევ.

ტროპიკების ურჩხული ჩემს უკან ამოდის – ეტყობა, გადაწყვეტილი აქვს დღეს ყველაფერი გადაბუგოს, რადგანაც თავისთვის ცეცხლს არ იტოვებს – სულ გარეთ უშვებს. ჯერ მეფერება და ნელა მათბობს, თითქოს, სანამ გამომფიტავდეს, უნდა მაჩვენოს რა არის სიცოცხლე. გაყინულ ვენებში სისხლი კვლავ მოძრაობას იწყებს და ბარძაყები სიცოცხლის დაბრუნებას გრძნობენ.

გარკვევით ვხედავ ტევრს, მისი ხეების წვეროებს. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ის შორს არ უნდა იყოს. მზის ამოსვლას ველოდები, რათა ფეხზე დავდგე და სილვენი მოვძებნო.

ერთ საათზე ნაკლებში მზე უკვე მაღლაა. აუ! რა სიცხე იქნება! მარცხენა თვალი სანახევროდ მეწებება. პეშვით წყალს ვიღებ და ვიზელ. მჩხვლეტს. ჯვალოს ვიხდი: სანამ მზე მეტისმეტად დააცხუნებს, შიშველი ვიქნები.

ერთი, სხვებზე უფრო ძლიერი ტალღა ძალიან, მაღლა მწევს. სანამ უკან დავეშვებოდე, ნახევარი წამით ვამჩნევ ჩემს ძმაკაცს. იგი თავის ტივზე წელზემოთ შიშველი ზის. არ დავუნახივარ. ორასიოდე მეტრით ჩემზე წინ არის, მარცხნივ. ჯვალოს ვიღებ, ერთ კიდეს კბილებით ვიჭერ, ხელებით ვშლი და აფრის მაგვარს ვაკეთებ. იქნებ ასე დავეწიო? დაახლოებით ნახევარ საათში ვიღლები და კბილებიც მეტკინა. ვგრძნობ, საკმაოდ დავუახლოვდი.

ვაშა! ეს-ესაა, დიდი სილვენი დავინახე. წინ არის – ას მეტრში. რას აკეთებს? ეტყობა ვერ მხედავს. მარჯვენა ხელი თვალებთან მიუტანია და ზღვას ზვერავს. მე მეძებს. ეი, ბიჭო, უკან მოიხედე!

ფეხზე ვდგები და ვუსტვენ. როცა ისევ ტალღაზე ავდივარ, ვხედავ, რომ ტომრებზე ჯდგას და ჯვალოს აქნევს. ოცჯერ მაინც მივესალმეთ ერთმანეთს, სანამ ისევ

დავსხდებოდით. იგი ხელს ტევრისკენ იშვერს. იქამდე ათი კილომეტრი იქნება. წონასწორობას ვკარგავ და ვჯდები. მისი დანახვა ისე გამიხარდა, რომ ეტირი. ცრემლებში, რომლებიც დაჩირქებულ თვალებს მისუფთავებენ, ათასფერ კრისტალებს ვხედავ და ბავშვივით ვფიქრობ – ეკლესიის ვიტრაჟებია მეთქი... ღმერთი შენსკენაა, პაპი, იგი აქ არის – ამ ქარში, ზღვის უსასრულობაში, ტევრში – შენ მას ყველგან ეხები, მიუხედავად იმისა, რომ არ გიძებნია; იგი შენთან იყო მაშინაც, როცა დილეგში ცოცხლად იყავი დამარხული და ჰაერი და სინათლე გენატრებოდა; იგი შენთან არის დღესაც, ამ მზეში, რომელიც ყველაფრის დანვას აპირებს; ის შენ ირგვლივ და, თვით, შენშია – იმდენად ახლოს, რომ მისი ჩურჩული გესმის:

„შენ ახლა იტანჯები და მომავალში უფრო მეტად დაიტანჯები, მაგრამ, ამჯერად, გადაწყვეტილი მაქვს აღარ მიგატოვო. გპირდები, გაიმარჯვებ და თავისუფალი იქნები.“

მე არავითარი რელიგიური განათლება არ მიმიღია, მისი ანაბანა არ გამეგება და ამ მხრივ იმდენად უვიცი ვარ, რომ არც კი ვუწყი, ვინ იყო იესო ქრისტე; მისი დედა მართლა ქალწული მარიამი იყო და მამა დურგალი, თუ აქლემების გამრეკი. ამგვარი დასაძრახი უვიცობა არ მიშლის, დავინახო ღმერთი ქარში, ზღვაში, მზეში, ტევრში, ვარსკვლავებში და თვით თევზებშიც კი – ასე უხვად რომ ჩაუსახლებია წყალში ადამიანების გამოსაკვებად. როცა ეძებ, მას ყველგან აღმოაჩენ.

მზე სწრაფად ამოდის. დაახლოებით დილის ათი საათია. წელზევით გაშრი. პირსახოცს ვასველებ და თავზე ჩალმასავით ვიხვევ. მხრები, ზურგი და მკლავები საშინლად მეწვება. თვით ფეხებიც კი, მიუხედავად იმისა, რომ სანახევროდ წყალში მაქვს, კიბორჩხალებივით გამწითლებია.

რაც უფრო ეუახლოვდებით, დიდი მინა უფრო მეტად გვიზიდავს და ახლა ტალღებიც მისკენ თითქმის პერპენდიკულარულად მიემართებიან. ტევრს უკვე კარგად ვარჩევ და ვფიქრობ, რომ ამ დილასვე, ალბათ ოთხ, ან ხუთ საათში მივადგები. პირველი გაქცევის გამოცდილებიდან ვიცი, რომ როცა რაიმე საგანს კარგად არჩევ, მისგან სულ მცირე, ხუთ კილომეტრში ხარ. ტალღის ქოჩორზე მოქცევისას, უკვე ერთ წაქცეულ გიგანტურ ხესაც კი ვარჩევ, რომელსაც ფოთლები წყალში ჩაუშვია.

აგერ, ფრინველები და დელფინები! ნეტავ დელფინებმა ჩვენს ტივთან გართობა არ მოისურვონ! გამიგია, რომ ისინი ზღვაში მოტივტივე საგნებს, თუ ადამიანებს ცხვირის კვრით ნაპირისაკენ უბიძგებენ, რა თქმა უნდა, კეთილი განზრახვით. არა, გადავრჩი! სამი, თუ ოთხი მოცურდა, შემათვალიერა და წავიდა, ისე, რომ არ შემხებიან.

შუადღეა. მზე ზუსტად თავზე მადგას და ჩემი ცოცხლად შებრაწვა განუზრახავს. თვალები ისევ ჩირქით მევსება, ხოლო ტუჩებსა და ცხვირზე ტყავი აღარ მაქვს. ახლა ტალღები დამოკლდნენ და გამაყრუებელი ხმაურით მირბიან ნაპირისაკენ.

სილვენს უკვე მუდმივად ვხედავ. დროდადრო ჩემსკენ ტრიალდება და ხელს მაღლა სწევს. ისევ წელზევით შიშველია და თავზე პირსახოცი ადევს.

ტალღები მომრგვალდნენ. ხმაურით ეხეთქებიან შემხვედრ დაბრკოლებას და წყლის ნაწილი ტევრში მიექანება.

ნაპირს კილომეტრზე ნაკლები გვაშორებს. ვარჩევ, როგორ დადიან ჭაობზე და კენკავენ რაღაცას ლამაზქოჩრიანი ფრინველები. ათასობით იქნება. ქაფიანი ტალღით

დამფრთხალნი ორიოდე მეტრზე ფრინდებიან და ისევ თავის საქმეს უბრუნდებიან. ირგვლივ მხოლოდ ქაფი და ატალახებული წყალია. ტევრთან უკვე ისე ახლოს ვართ, რომ ვარჩევთ ხეების ტანზე წყლის მაქსიმალური დონისაგან დასმულ დაღს.

ტალღების ხმაური ველარ ახშობს ფრინველების კრიახს. ორი-სამი ბიძგიც და... უჰ! ჭაობზე ვარ! წყალი აღარ მყოფნის წინ წასასვლელად. მზის მიხედვით, ნაშუადღევის ორი საათია და სულ – ორმოცი, რაც წამოვედი. ეს გუშინსწინ, საღამოს ათ საათზე, მოქცევიდან ორი საათის შემდეგ მოხდა. უკვე მეშვიდე მიქცევაა და არ მიკვირს, რომ გაევედით. ახლა მოქცევა სამი საათისთვის დაიწყება. ღამით უკვე ტევრში ვიქნები. ჯაჭვი არ უნდა დავკარგო – გამომადგება, რათა ტალღებმა უკან არ გამათრიონ. სულ მცირე, ორი ან სამი საათი უნდა ველოდო.

სილვენი ჩემგან მარჯვნივ, ასიოდე მეტრით წინ არის. მიყურებს და რაღაცას მანიშნებს. თითქოს დაძახება უნდა და ვერ ახერხებს. ფრინველების გარდა, სხვა არაფერი ხმაურობს. მე ტევრიდან ხუთას მეტრში ვარ, სილვენი, ასე, ას ორმოცდაათში. მაგრამ, რას აკეთებს ეს სულელი? ტივი მიუტოვებია და ფეხზე დგას. გაგიჟდა?! ერთი ფეხის გადადგმა და ჩაეფლობა – ტივთან ველარ მიბრუნდება! მინდა, დავუსტვინო, მაგრამ ვერ ვახერხებ. ჭაობიდან გაზის ბუშტულები ამოდის, ესე იგი, ირგვლივ მხოლოდ სითხეა – ერთი თუ ჩაგიწოვა, ველარაფერი გიშველის.

სილვენი ჩემკენ ტრიალდება, მიყურებს და რაღაცას მანიშნებს. ვერ ვხვდები. ხელებს ვიქნევ, მინდა გავაგებინო, რომ არ გაინძრეს, თუ ტევრამდე გაღწევა უნდა. ვერ ვარკვევ, რა მანძილით დაშორდა ტომრებს, ჯერ მგონია, რომ ახლოსაა და მოასწრებს ხელის ტაცებას, მაგრამ მერე ვხვდები, საკმაოდ დასცილებია, უკვე ჭაობში ეფლობა და ვერ ამოდის. მისი ყვირილი ჩემამდე აღწევს. მაშინვე ტომრებზე ვწვები, ხელებს ჭაობში მთელი ძალით ვუსვამ და მასთან მიახლოებას ვცდილობ. ოციოდე მეტრით გახოხებას ვახერხებ. თავს ვწევ და ვხედავ, რომ ჩემი ძმაკაცი უკვე მუცლამდეა ჩაფლული. ტივს ათ მეტრზე მაინც დაშორებია. შიში ხმას მიბრუნებს და ვყვირი: „სილვენ, სილვენ! აღარ გაინძრე, დაწექი! თუ შეგიძლია, ფეხები გაითავისუფლე!“ ქარმა ჩემი სიტყვები მიუტანა და თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს. ისევ ვწვები და ზეადამიანური ძალით ვაგრძელებ ცოცვას. ერთ საათზე მეტია, რაც ასე ვწვალობ და ორმოცდაათიოდე მეტრიღა მექნება დარჩენილი. ვჩერდები. ვცდილობ თვალებიდან ტალახები მოვიცილო და დავინახო რას აკეთებს. როგორც იქნა! მარილისაგან ამომწვარი თვალებით ვხედავ, რომ აღარ წევს, ჭაობიდან მხოლოდ ზედატანი უჩანს.

ტალღის პირველი გორგალი მოდის და თავზე მივლის, თუმცა ჯერ იმდენი ძალა არა აქვს, რომ წინ წამაგდოს. სილვენსაც გადაუარა. ისევ იმ მდგომარეობაშია. „რაც უფრო მეტი ზვირთი მოვა, ჭაობი მით უფრო გათხელდება. რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა მივასწრო!“

როგორც ცხოველი, რომელსაც ბუნაგი დაურბიეს და ახლა ცდილობს, რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეს, შვილი სიკვდილს გამოგლიჯოს, ისე ვუსვამ, ვურევ ხელებს ამ შლამში. სილვენი უსიტყვოდ მიყურებს – მისი თვალები მჭამენ. მეც მივშტერებივარ და ისე ვუსვამ. თითქმის მისული ვარ, მაგრამ მომდევნო ზვირთებმა ჭაობი მთლად გააწყალეს და სიჩქარეს ვკარგავ. ერთი დიდი ტალღა ცოტა მაღლა მაგდებს და ვამჩნევ, რომ სილვენი უკვე იღლიებამდეა ჩაფლული. მხოლოდ ორმოცი მეტრი იქნება დარჩენილი. მის მზერაში ვიჭერ, რომ უკვე მიმხვდარა, ამ

ადგილიდან – აღთქმული მიწიდან სამას მეტრში – ამოსვლა აღარ უწერია.

ისევ ვწვები და გაშმაგებული, გაწყალებულ შლამში ხელებს ვუსვამ, თან თვალს არ ვაშორებ. ვხედები: მეუბნება, რომ ყველაფერი უშედეგოა, ტყუილად ვწვალობ. არ ვჩერდები, წინ მივიწევ. მომდევნო დიდი ტალღა თავზე მევლება და ხუთიოდე მეტრით წინ მიბიძგებს. კინაღამ ტომრებს ამაგლიჯა. როცა ზვირთი მშორდება, სილვენისაკენ ვიყურები. გაუჩინარებულა! მის ადგილას შლამი უკვე გასწორებულა, ჩემი საბრალო მეგობრის ხელიც კი აღარ ჩანს, რომ გამომემშვიდობოს. ჩემი პირველი რეაქცია საზიზღარია – თავის გადარჩენის ცხოველური ინსტიქტი პირველი ჩამძახის: „მარტო დარჩი! ტევრშიც მარტო იქნები! რა გეშველება!" მომდევნო ზვირთი წესრიგისაკენ მომიწოდებს. იგი ისე მეძგერა ზურგში, რომ სუნთქვა მიჭირს. კიდევ რამდენიმე მეტრით გამათრია და იქვე ახლოს, ტევრის ხეებში ჩაკვდა. ამის დანახვაზე სილვენს დავტირი: „რა ცოტა გვაკლდა! ტევრამდე სამასი მეტრიც აღარ არის. მითხარი, რატომ ჩაიდინე ეს სისულელე? როგორ იფიქრე, რომ მიწის ის მშრალი ნაგლეჯი ნაპირამდე მიგაღწევინებდა? მზის ბრალია? ათინათის? თუ რისი? ველარ გაუძელი ამ ჯოჯოხეთს? ვერ დავიჯერებ, რომ შენნაირ კაცს კიდევ რამდენიმე საათი ვერ გაეძლო!"

ზვირთები ერთმანეთს ქუხილით მისდევენ. მათ შორის ინტერვალი მცირდება და უფრო წყალუხვნი ხდებიან და ყოველ მოსვლაზე შლამში რამდენიმე მეტრით მიმაცურებენ. ხუთი საათისათვის უკვე ტალღებად იქცნენ, მიწას მომწყვიტეს და ახლა უხმაუროდ ტევრისაკენ მიმაქანებენ. სილვენის ტომარა უკვე ტევრში შევიდა.

ტევრიდან ოც მეტრში ვარ. როცა ტალღა უკან იხევს, შლამზე ვრჩები და არ ვინძრევი – ველოდები, როდის მექნება საშუალება, ტოტებს ჩავეჭიდო. ერთ საათზე მეტი გავიდა, სანამ წყალი ტევრში შემიტანდა. ჯაჭვისაგან თავს ვითავისუფლებ, მაგრამ არ ვაგდებ – ვინ იცის, როგორ გამომადგება.

ტევრში

ვჩქარობ: სანამ მზე ჩავა, ტევრში უნდა შევიდე. ჯერ კიდევ შლამში ვარ და სანახევროდ ცურვით მივიწევ. წყალი ტყეში ძალიან ღრმად შედის. დაღამებამდე მშრალზე გასვლას ვერ ვასწრებ. სიმყრალე და გაზის სუნი თვალებს მწვავს. ტომრები წინ მაქვს წაგდებული და, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ფეხქვეშ საყრდენი მაქვს, არ ვიძვრი.

პირველ ღამეს წაქცეულ ხეზე ვატარებ. ჩემ ქვეშ უამრავი ცხოველი დაბორიალობს. მთელი სხეული მენვის. ტომრების მაღლა ათრევისა და კარგად დამაგრების შემდეგ ჯვალოს ვიცვამ. ამ ტომრებში ჩემი გადარჩენაა, რადგანაც ქოქოსის კაკლები უნდა დავამტვრიო და ვჭამო. მარჯვენა მაჯაზე მიბმული ჩემი პატარა ხანჯლით ხის განშტოებაში ვწვები და ვიძინებ ისე, რომ რამეზე ფიქრის თავიც აღარა მაქვს. თუმცა, როგორ არა, ორჯერ თუ სამჯერ ვჩურჩულებ: „საბრალო სილვენი!"

ფრინველების ჟრიამული მაღვიძებს. მზე ჰორიზონტალურად შემოდის ტევრში და საკმაოდ ღრმად აღწევს. დილის შვიდი ან რვა საათი უნდა იყოს. ირგვლივ წყალია, ესე იგი მოქცევაა. შესაძლოა მეორე მოქცევის დასასრული იყოს.

უკვე სამოცი საათია, რაც დიაბლიდან წამოვედი. ვერ ვარკვევ, ზღვიდან რა მანძილზე ვარ. დაველოდები წყლის წასვლას, მერე სანაპიროზე გავალ გასაშრო-

ბად და მზეზე გასათბობად. სასმელი წყალი გამითავდა. მრჩება მხოლოდ სამი მუჭა ქოქოსის გახეხილი გული. მას სიამოვნებით ვჭამ და ჭრილობებზე ვისვამ. ზეთის შემცველობის გამო ცოტა წვას მიამებს. მერე ორ სიგარეტს ვენევი და სილვენზე ეგოიზმის გარეშე ვფიქრობ. მარტო ხომ არ უნდა გამოვქცეულიყავი? თავიდან ასე არ ვაპირებდი?! ამგვარად, არაფერი შეცვლილა. მხოლოდ განუზომელი სევდა მიკუმშავს გულს და თვალებს მიხუჭავს, თითქოს ამით ველარ დავინახავ სილვენის გაუჩინარების სცენას.

ტომარას კარგად ვამაგრებ და კაკლების სათითაოდ გამოღებას ვიწყებ. ფეხებს შუა ხეზე ვურტყამ და ვტეხავ. წვერით უნდა დაარტყა, რომ ნაჭუჭი გაიხსნას. ხანჯლით უკეთესი იქნება. ერთ კაკალს მთლიანად ვჭამ და მის დაშაქრულ წვენს ვაყოლებ. ზღვა სწრაფად იხევს და ახლა შემიძლია, სანაპირომდე გავიდე.

ამ დილით მზეც და ზღვაც შეუდარებლად მშვენიერი მეჩვენება. დიდხანს ვყიყურები იმ ადგილისაკენ, სადაც, ჩემი ვარაუდით სილვენი გაუჩინარდა. ტანს ორმოში დარჩენილი წყლით ვიბან და მზეზე ვშრები. ტანსაცმელიც გამიშრა. ვაბოლებ, მერე, მას შემდეგ, რაც უკანასკნელად გავიხედე ჩემი მეგობრის საფლავისაკენ, ტევრში შევდივარ. სიარული არ მიჭირს. ჩანთა მხარზე მკიდია. ორ საათზე ნაკლებში მშრალზე გავდივარ. წყალი აქამდე არასდროს აღწევს – ხეებს ამის ნიშანი არ ეტყობა. აქ დავბანაკდები და ერთი დღეღამე გამოვიძინებ. ქოქოსის კაკლებს დავამტვრევ და საჭმელად გავამზადებ. ცეცხლის ანთებაც შემიძლია, მაგრამ ვფიქრობ, ეს წინდაუხედაობა იქნება.

დღის დანარჩენი ნაწილი და ღამე თავგადასავლების გარეშე ილევა. მზის ამოსვლისას ფრინველები მაღვიძებენ. ვამთავრებ ქოქოსის კაკლების მტვრევას და მხარზე აბგაგადაკიდებული აღმოსავლეთისაკენ ვეშურები.

ნაშუადღევის სამი საათისათვის ბილიკს ვპოულობ. ეტყობა, მასზე balata-ს მაძიებლები ან ოქროს საბადოების მომმარაგებლები დადიან ხშირად, რადგანაც ბალახის ნატამალიც არ ეტყობა. დროდადრო ადამიანის, დაუჭედავი ვირის, თუ ჯორის ნაკვალევი მხვდება. დაღამებამდე მივდივარ. ქოქოსის კაკლის გული შიმშილსაც მიკლავს და წყურვილსაც. ზოგჯერ ნაღეჭს სახეზე ვისვამ. თვალები ისევ მეწებება და ჩირქით მაქვს სავსე. როგორც კი საშუალება მექნება, მტკნარი წყლით დავიბან. ჩანთაში, ქოქოსის კაკლებთან ერთად, გადარჩენილი მარსელური საპონი, საპარსი „ჟილეტის“ თორმეტი პირი და ასაქაფებელი მიდევს. სატევარი ხელში მიჭირავს, მაგრამ არ მჭირდება. გზას არაფერი მიღობავს. ბილიკის აქეთ-იქით ახალმოჭრილ ტოტებს ვამჩნევ – ეტყობა აქ მილეთი ხალხი ირევა. ფრთხილად უნდა ვიყო.

ეს ტევრი განსხვავებულია იმისაგან, რაც პირველი გაქცევისას სენ-ლორან-დიუმარონიში შევიცანი; ესეც ისეთივე ხშირია, მაგრამ ორსართულიანი. პირველი მცენარეულობა ხუთ თუ ექვს მეტრ სიმაღლეს აღწევს, ხოლო უფრო მაღლა, ოც მეტრზე ზემოთ, ტევრის თაღი იკვრება. ბილიკის მარჯვენა მხარეს დღეა, მარცხენა მხარეს – სიბნელე.

სწრაფად მივაბიჯებ. ზოგჯერ, ადამიანისა თუ მეხისაგან გამომწვარ ახოში გავლისას მზის სხივებს ვამჩნევ. მათი დახრილობა მიმანიშნებს, რომ მალე დაღამდება. მზეს ზურგს ვაქცევ და აღმოსავლეთისაკენ ვაგრძელებ გზას. ამ მხარეს მეგულება შავკანიანების სოფელი კურუ და ამავე სახელწოდების გამასწორებელი

ბანაკი.

ერთბაშად ბნელდება. ღამით სიარულს უნდა მოვერიდო. შევალ ტევრში და დასაძინებელ ადგილს მოვძებნი.

ბილიკიდან ოცდაათ მეტრში, ერთი ბანანის მსგავსი ხის ქვეშ ფოთლებს ვიფენ და ვიძინებ. იმედი მაქვს, არ იწვიმებს. ორ სიგარეტს ვეწევი.

დღეს ძალიან არ დავღლილვარ, არ მშია, მაგრამ მწყურია და პირი მიშრება.

გაქცევის მეორე ნაწილი დაიწყო: მესამე ღამეა, დიდ მიწაზე ვიმყოფები და ჯერ არაფერი შემმთხვევია. აჰ! სილვენიც რომ ჩემ გვერდით ყოფილიყო! რას იზამ, აქ არ არის. მარტოს არასოდეს გაგჭირვებია და არც ახლა უნდა გაგიჭირდეს, რადგანაც შენ კაპიტანი ხარ, და არა ჯარისკაცი. მართალია, მეგობრის დაკარგვამ დიდი ტკივილი მოგაყენა, მაგრამ ამით შენი ძლიერება არ დაკარგულა. სენ-ჟოზეფები და დიაბლები უკვე შორს არიან – შენ ისინი ექვსი დღის წინ დატოვე. კურუში ცნობა უკვე მივიდოდა. იქ ჟანდარმერიის პოსტიც უნდა იყოს. ნეტავ თუ იციან, რომ იქით მივდივარ? გზა მაინც ვიცოდე. ჩემთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ბანაკი სოფელსა და მდინარეს შუა მდებარეობს.

ჯერ კიდევ რუაიალზე დავგეგმე, რომ პირველივე შემხვედრს შევაყენებდი და თავს ინინის ბანაკამდე გავაცილებ, სადაც ჩანგის ძმა, კუიკ-კუიკი მეგულებოდა. გეგმა რატომ უნდა შევცვალო? დიაბლზე თუ დარწმუნდნენ, რომ დავიხრჩე, არავითარი განგაში არ იქნებოდა. თუ გაქცევად ჩათვალეს? მაშინ, კურუში გამოჩენა სახიფათო უნდა იყოს. რაკი ეს სატყეო ბანაკია, არაბებით და ადამიანებზე მონადირეებით უნდა იყოს სავსე. ფრთხილად იყავი, პაპი, არ გამოგიჭირონ! სანამ დაგინახავდნენ, შენ უნდა შეამჩნიო. დასკვნა: ბილიკზე კი არ უნდა ვიარო, არამედ ტევრში, გზის გასწვრივ. დღეს სულელური შეცდომა დავუშვი, ამ ბილიკზე მხოლოდ ხმლით ხელში რომ მივაბიჯებდი. შეგნებულად არა, მაგრამ მაინც სიგიჟე ჩავიდინე. მოკლედ, ხვალიდან ტევრში ვიყლი.

დილაუთენია ტევრთან ერთად ვიღვიძებ. ვყლაპავ ერთ მუჭა ქოქოსს და – წინ, ბილიკის გასწვრივ მივდივარ. მართალია, ლიანები ხელს არ მიშლის და არც ხშირი ბუჩქნარია, მაგრამ, მაინც მიჭირს სვლა. მგონია, კარგი ვქენი, რომ ბილიკზე აღარ მივდივარ, რადგან სტვენის ხმა მესმის. ჩემ წინ გზა ორმოცდაათ მეტრზე ჩანს. ჯერ ვერ ვხედავ, ვინ უსტვენს. ააა! აი, ვინ ყოფილა! ვიღაც ტამბუქტუელივით შავი მოდის. ზურგზე ბარგი ჰკიდია, მარჯვენა ხელში თოფი უჭირავს. ფეხშიშველია, ხაკის პერანგსა და შორტებში. ტვირთის სიმძიმისაგან მოხრილი, თვალებს მიწას ვერ აშორებს.

ერთი მსხვილი ხის უკან ვიმალები და როცა მისწორდება, მოულოდნელად თავს ვესხმი და თოფს ვაგდებინებ.

– ნუ მომკლავ, ღვთის გულისათვის, დამინდე! – გაშეშებული დგას, რადგან დანის წვერი კისერზე მაქვს მიბჯენილი. ვიხრები და მის ძველებურ, ფილთა თოფს ვიღებ, რომელიც პირამდე უნდა იყოს გატენილი. ჩახმახს ვაყენებ და ორ მეტრზე გავდივარ:

– დადე ბარგი, გაქცევა არ სცადო, თორემ გაგაგორებ!

დამფრთხალი შავკანიანი მემორჩილება და მეკითხება:

– თქვენ გამოქცეული ხართ?

– ასეა.

– ჩემგან რა გნებავთ? რაც მაქვს, აიღეთ, მაგრამ, გემუდარებით, არ მომკლათ. სახლში ხუთი შვილი მელოდება.

– ჩუმად! რა გქვია?

– ჟანი.

– სად მიდიხარ?

– ჩემს ორ ძმასთან, საკვები და მედიკამენტები მიმაქვს. ისინი ტევრში ხეებს ჭრიან.

– საიდან მოდიხარ?

– კურუდან.

– იქაური ხარ?

– იქ დავიბადე.

– ინინის იცნობ?

– ჰო, ხანდახან გამასწორებელი ბანაკის ჩინელებთან ვვაჭრობ.

– ამას ხედავ?

– რა არის?

– ეს ხუთასფრანკიანი ბანკნოტია. აირჩიე: ან იმას გააკეთებ, რასაც გეტყვი და ხუთას ფრანკს მიიღებ თოფთან ერთად, ან, თუ უარზე დადგები, ან, შეეცდები მომატყუო – მოგკლავ.

– რა უნდა გავაკეთო? თანახმა ვარ, უსასყიდლოდაც კი.

– ინინის ბანაკთან ახლოს უნდა მიმიყვანო. მას შემდეგ, რაც ერთ ჩინელს დავუკავშირდები, გაგიშვებ. გასაგებია?

– თანახმა ვარ.

– არ მომატყუო, თორემ, გიმეორებ, მოგკლავ.

– არა, გეფიცებით, დაგეხმარებით.

ქილა მაწონს, ერთ კილომდე პურსა და შებოლილ ლორს მაძლევს.

– შენი ბარგი ტევრში დამალე, მოგვიანებით აიღებ. აი, ხანჯლით ხეზე ნიშანს ვადებ.

ვილუკმები. მთლად უხმარ, გრძელტოტებიან შარვალს მთავაზობს. ვიცვამ. თოფი ისევ ხელში მიჭირავს.

– გასწი, ჟან. ფრთხილად იყავი, არავინ შეგვამჩნიოს. თუ გამოგვიჭერენ, შენი შეცდომა იქნება და მით უარესი შენთვის.

ისე მოხერხებულად იშორებს ტოტებსა და ლიანებს, რომ მიყოლა მიჭირს. ეს კაცუნა ჯუნგლებში ხვლიკივით მიძვრება.

– კურუში გაფრთხილებული ვართ, რომ კუნძულებიდან ორი კატორღელი გაიქცა. ამიტომაც, მინდა თქვენთან გულახდილი ვიყო. ყველაზე დიდ ხიფათს კურუს კატორღელთა ბანაკის ახლოს გაელისას უნდა ველოდოთ.

– შენ კარგი და გულახდილი კაცის იერი გაქვს, ჟან. იმედია, არ ვცდები. რას მირჩევ, როგორ ჯობია ინინიში მოხვედრა? არ დაივიწყო, რომ ჩემი უსაფრთხოება – შენი სიცოცხლეა, რადგან თუ „ძაღლები" ან ადამიანებზე მონადირეები შემამჩნევენ, იძულებული გავხდები, მოგკლა.

როგორ მოგმართოთ?

– პაპიონი.

– კარგი, ბატონო პაპიონ, ტევრ-ტევრ უნდა მივყვეთ და კურუს ცოტა გვერდით

ავუაროთ. გპირდებით, რომ ინინიში მოგახვედრებთ.

– მჯერა შენი. წადი იმ გზით, რომელიც საიმედოდ მიგაჩნია.

ტევრის სიღრმეში სიარული უფრო გვიჭირს, თან ახლა ვგრძნობ, რომ ჟანი ისე დაძაბული აღარ არის. აღარც ოფლი მოსდის და აღარც იმანჭება. დამშვიდებულია.

– მეჩვენება, ჟან, რომ ახლა ნაკლებად გეშინია.

– დიახ, ბატონო პაპიონ, ბილიკის ახლოს სიარული თქვენთვის ძალიან სახიფათო იყო და, ესე იგი – ჩემთვისაც.

წინ სწრაფად მივიწევთ. ეს შავტუხა ძალიან ჭკვიანია, სამ თუ ოთხ მეტრზე წინ არასოდეს მისწრებს,

– შეჩერდი. პაპიროსი უნდა გავახვიო.

– აი, აიღეთ, ერთი კოლოფი „გოლუაზი."

– მადლობა, ჟან, კეთილი ვინმე ხარ.

– მართალია, ძალიან კეთილი ვარ. იცით, რაშიაა საქმე? მე კათოლიკე ვარ და ვიტანჯები, როცა ვხედავ, როგორ ეპყრობიან კატორღელებს თეთრი ზედამხედველები.

– ბევრი კატორღელი გინახავს? სად?

– კურუს სატყეო ბანაკში. კაცს სიბრალული გიპყრობს, როცა უყურებ, თუ როგორ ინელებს მათ ხეების ჭრა, ციება და დიზენტერია. კუნძულებზე რა გიჭირთ. თქვენნაიარად კარგ ჯანზე მყოფ პატიმარს პირველად ვხედავთ.

– ჰო, კუნძულებზე უკეთესია.

ხის მსხვილ ტოტზე ვსხედვართ. ერთ ქილა შედედებულ რძეს ვთავაზობ. ქოქოსის ღეჭვა ურჩევნია.

– შენი ცოლი ახალგაზრდაა?

– ჰო, ოცდათორმეტი წლისაა. მე ორმოცისა ვარ. ჩვენ ხუთი ბავშვი გვყავს – სამი გოგო და ორი ბიჭი.

– თავის რჩენა არ გიჭირს?

– წითელი ხის ჭრით იოლას გავდივართ. ამას გარდა, ჩემი ცოლი ზედამხედველების თეთრეულს რეცხავს და აუთოებს. ესეც გვეხმარება. ღარიბები კი ვართ, მაგრამ შიმშილით არ ვიხოცებით. ბავშვები სკოლაში დადიან და ფეხსაცმელიც ყოველთვის აქვთ.

საბრალო ბიჭი! ბედნიერია, რომ მის შვილებს ფეხსაცმელები არ აკლიათ! ჩემი ტანისაა, შავ სახეზე ვერავითარ მანკს ვერ ამოიკითხავ – პირიქით, თვალები აშკარად მეტყველებენ, რომ იგი კარგი ოჯახის მამა, მეუღლე და ქრისტიანია.

– თქვენ, თქვენ, პაპიონ?

– მე, ჟან, ცხოვრებაში დაბრუნებას ვცდილობ. ათი წელზე მეტია, რაც ცოცხლად ვარ დამარხული და განუწყვეტლივ გავრბივარ, რათა ერთ დღეს, შენსავით თავისუფალი გავხდე, მყავდეს ცოლი და შვილები. შენ თვითონვე თქვი, რომ ეს კატორღა დამპალია და კაცი, რომელიც თავს პატივს სცემს, ამ სიბინძურეს უნდა გაექცეს.

– ძალიან მინდა, ამაში დაგეხმარო. წავედით. – ჟანს ორიენტაციის შესანიშნავი გრძნობა აქვს, არასოდეს ყოყმანობს და დაბნელებიდან ორი საათის შემდეგ უკვე ჩინელების ბანაკის სიახლოვეს ვართ. შორიდან კაკუნის ხმა მოდის. სინათლე არა ჩანს. ჟანი მიხსნის, რომ ბანაკთან მისვლამდე, ორი თუ სამი ავანპოსტი უნდა

ავიცილოთ. ღამეს აქ გავათევთ.

დაღლილობისაგან მკვდარი ვარ და მეშინია, არ დამეძინოს. რომ შევცდე? ვაი თუ თამაშობს? ძილში თოფი რომ ამართვას? ორმაგი მოგება ექნება: თავისუფლებასთან ერთად ჯილდოსაც მიიღებს.

ჰო, ძალიან ჭკვიანია ეს კაცი! ხმისამოუღებლად წევება და იძინებს. ჯაჭვი ისევ მაქვს. ხომ არ დავაბა? მერე ვფიქრობ, რომ გახსნა არ გაუჭირდება და მძინარეს ბოლოს მომილებს. ჯობია, ვეცადო, არ დავიძინო. ერთი სავსე კოლოფი „გოლუაზი" მაქვს. არაფრით არ უნდა დავიძინო! როგორ. უნდა ვენდო კაცს, რომელიც მართალია პატიოსნად მეჩვენება, მაგრამ მე ბანდიტად მთელის!?

უკუნეთია. იგი ჩემგან ორ მეტრში წევს და მხოლოდ მისი შიშველი ფეხების გულების სითეთრეს ვარჩევ. ტევრი სიბნელეშია ჩაფლული. მაიმუნი გაუჩერებლად, ჩახლეჩილი ხმით ყვირის. ამ ხმას კილომეტრზე გაიგონებთ. ჩემთვის ამას მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მისი ყვირილი შეშფოთებას არ გამოხატავს, ესე იგი ირგვლივ არავითარი საშიშროება არ ჩანს. ასე რომ არ იყოს, ჯოგს გააფრთხილებდა.

რომ არ დამეძინოს, დროდადრო სიგარეტით კანს ვიწვავ. ამას გარდა, ათასობით კოლო ისე მწოვს სისხლს, რომ ძილთან ბრძოლა არ მიჭირს. ნერწყვში არეულ თამბაქოს თუ წავისვამ, მწერები აღარ მომეკარებიან, მაგრამ ასე დამეძინება. ნეტავ, მალარიის გადამტანები მაინც არ იყვნენ!

აი, აშმორებული ჭაობიდან ამოვედი. როცა იქ ჩავვარდი, ოცდახუთი წლის ვიყავი. ეს 1931-ში იყო. ახლა 1941- ია. ათი წელი გავიდა. 1932-ში იყო, რომ უსულო პროკურორმა ახალგაზრდა კაცს არაადამიანური განაჩენი გამომიტანა. შეუბრალებლად, გასახრწნელად ჩამაგდო იმ ორმოში, რომელსაც პენიტენციური სისტემა ჰქვია. როგორც იქნა, გაქცევის პირველი ნაწილი უკან მოვიტოვე – ჭის პირზე ამოვცოცდი, ახლა მთელი ჩემი ენერგია და გონება მეორე ნაწილისაკენ უნდა მივმართო და გავიმარჯვო.

ღამე ნელა, მაგრამ გადის და არ ჩამძინებია. თოფიც კი არ გამვარდნია ხელიდან. ჩემი თავის კმაყოფილი ვარ – ძილის გამო თავისუფლება საფრთხეში არ ჩამიგდია – სული უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე სხეული და თავს სწორედ ამას ვულოცავ, როცა მოახლოებულ გათენებას ჩიტების პირველი ჟრიამული მაცნობს.

ნამომჯდარი ზანგი იზმორება და ფეხებს იზელს.

– დილა მშვიდობისა, არ გიძინიათ?

– არა.

– სისულელე ჩაგიდენიათ, გარწმუნებთ, რომ ჩემი არ უნდა. გეშინოდეთ. რაკი გადავწყვიტე, დაგეხმარებით.

– მადლობა, ჟან. დღე ტევრში მალე შემოაღწევს?

– კიდევ ერთი საათია საჭირო. მხეცები დიდი ხნით ადრე ხვდებიან გათენების მოახლოებას. მათხოვეთ თქვენი დანა, პაპიონ.

უყოყმანოდ ვუწვდი. იგი ორ, თუ სამ ნაბიჯზე გადის და რომელილაც მსხვილი მცენარის ტოტს ჭრის. მეორეს მე მაძლევს. „შიგ წყალია, დალიეთ და სახეზეც შეისხით..."

ამ უცნაური ჭურჭლიდან ვსვამ და პირს ვიბან. გათენდა. ჟანი დანას მიბრუნებს. სიგარეტს ვუკიდებ და ჟანიც აბოლებს. წავედით. ინინის შემოგარენს შუადღეს ვაღწევთ. მანამდე რამოდენიმე ჭანჭრობი გადავლახეთ. გზაში არავინ შეგვხვედრია.

ბანაკში მისასვლელ გზას ვიწრო რკინიგზა მიუყვება. – ამ რკინიგზაზე ჩინელები ურიკებს დაათრევენ. მათი ხმაური შორიდანვე ისმის.

მართლაც, ერთი ურიკა საშინელი ხმაურით მოდის. ზედ, სკამზე, ორი „ძაღლი" ზის. უკან ორი ჩინელი მოყვება და ძელებით ამუხრუჭებს. ნაპერწკლები სცვივა. ჟანი მიხსნის, რომ ძელებს რკინის დაბოლოება აქვთ და დასამუხრუჭებლად და მისაწოლად იყენებენ.

გზაზე ხალხმრავლობაა. ზოგ ჩინელს ლიანები მოუკიდია, ზოგს – ქოქოსის ფოთლების კონები. თითქმის ყველა ბანაკისაკენ მიემართება. ჟანი მეუბნება, რომ ეს ხალხი სხვადასხვა მიზნით დადის: სანადიროდ, ავეჯისათვის ლიანის მოსაჭრელად, ბოსტნეულის მზისგან დასაცავი ქოქოსის ფოთლების შესაგროვებლად, პეპლებზე და გველებზე სანადიროდ და ა.შ. ზოგიერთ ჩინელს, რამოდენიმე საათით ტევრში წასვლის უფლება, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ეძლევა. საღამოს ხუთ საათამდე ბანაკში უნდა დაბრუნდნენ.

– აიღე, ჟან, აი, შენი ხუთასი ფრანკი და თოფიც. მე დანა და მაჩეტეც მეყოფა. მადლობა დახმარებისათვის. ღმერთმა უკეთესად გადაგიხადოს, ვიდრე მე – უბედურმა კაცმა, ვინც ცხოვრებაში დაბრუნებას ცდილობს. იმედი მაქვს, როცა ამ ამბავს შენს შვილებს მოუყვები, დაამატებ: „ის კატორღელი კარგ ადამიანად მომეჩვენა. არ ვნანობ, რომ დავეხმარე."

– ბატონო პაპიონ, უკვე გვიანაა და წასვლად არ ღირს. თოფი ჯერჯერობით გქონდეთ. ხვალ დილამდე თქვენთან ვიქნები. თუ გნებავთ, მე თვითონ გავაჩერებ ვინმე ჩინელს, ვისაც თქვენ აირჩევთ, რათა კუიკ-კუიკს თქვენს შესახებ შეატყობინოს. ჩემი ნაკლებად შეეშინდებათ, ვიდრე თქვენი – თეთრკანიანისა. ნება მომეცი, გზაზე გავიდე. „ძაღლიც" რომ გამოჩნდეს, ჩემი დანახვა არ გაუკვირდება. ვეტყვი, რომ კაიენის ფირმა „სემფორიენისათვის" ვარდის ხის საძებნელად ვიყავი. მენდე.

– მაშინ, თოფი აიღე, თორემ უიარაღო კაცის ტევრში დანახვა უცნაურად მოეჩვენება.

– მართალია.

ჟანი უკვე გზაზეა დარჭობილი. როცა, ჩემი აზრით, სანდო ჩინელი გამოჩნდება, ხმადაბლა უნდა დავუსტვინო.

– გამარჯობა! – ეუბნება ჟანს ერთი ჩინელი, რომელსაც მხარზე ხის მორი გაუდევს. ეს უეჭველად გემრიელი კომბოსტო-პალმაა. ეუსტვენ, რადგანაც მოსული პირველი ესალმება და ეს მომწონს.

– გამარჯობა, ჩინელო. შეჩერდი, მე შენ ლაპარაკი.

– რა გინდოდეს, მურიანო? – და ჩინელი ჩერდება.

დაახლოებით ხუთ წუთს ლაპარაკობენ. არ მესმის. ორ ჩინელს ძელზე ფეხებით ჩამოკიდებული ფურ-ირემი მოკქვს. თავს მიწაზე მიათრევს. ზანგს არ ესალმებიან, მხოლოდ თანამემამულეს უგდებენ რამოდენიმე სიტყვას.

ჟანს მოსული ტევრში შემოჰყავს. იგი მიახლოვდება და ხელს მიწვდის:

– შენ frou-frou (გაქცეული)?

– დიახ.

– საიდან?

– დიაბლიდან.

– კარგი, – იცინის და თავისი ვიწრო თვალებით მაკვირდება, – კარგია. როგორ

გერქვას შენ?

– პაპიონი.

– მე არ გიცნობდე.

– მე კუიკ-კუიკის ძმის, ჩანგის მეგობარი ვარ.

– აჰ! კარგია, – და ისევ ხელს მიწვდის, – შენ რა ნდომა?

– შეატყობინო კუიკ-კუიკს, რომ მე აქ ლოდინი ის.

– არა შესაძლებელი.

– რატომ?

– კუიკ-კუიკ მოპარვა სამოცი იხვი ბანაკის შეფს. შეფი უნდა მოკლას კუიკ-კუიკი, კუიკ-კუიკი frou-frou.

– დიდი ხანია?

– ორი თვეა.

– ზღვით წავიდა?

– არ ვიცი. მე წასვლა ბანაკში და ლაპარაკი ერთ ჩინელს, რომელიც კუიკ-კუიკის ახლო მეგობარი. მან გადაწყვეტილება. შენ არ განძრევა აქედან. მე მობრუნება ამ ღამეს.

– რომელ საათზე?

– არ ვიცი, მაგრამ მე მობრუნება. შენ არ აანთოს ცეცხლი. მე დავუსტვინო „მადელენი“. შენ, როცა გაგონება, გამოხვიდე გზაზე. გასაგები?

– გასაგებია, – და მიდის.

– რას ფიქრობ ამაზე ჟან?

– დასაკარგავი არაფერი გვაქვს. თუ არ მოვა, უკან, კურუში წაგიყვანთ, ნავსა და საკვებს გიშოვით და ზღვაში გახვალთ.

– ჟან, ძალიან შორს ვაპირებ წასვლას, მარტოს არ გამომივა. მადლობა. თუ სხვა გზა არ მექნება, იქნებ, მივიღო კიდეც ეს წინადადება.

ჩინელის დატოვებულ პალმა-კომბოსტოს ვჭამთ. თხილის მკვეთრი გემო აქვს. ჟანი იფხიზლებს – უკვე ვენდობი. კოლოები ისევ მეხვევიან და სახეზე დაღეჭილ თამბაქოს ვისვამ.

ჟანი მაღვიძებს:

– პაპიონ, „ლა მადელენს“ უსტვენენ.

– რომელი საათია?

– გვიან არ არის – შეიძლება, ცხრა.

გზაზე გამოვდივარ. მელანივით ღამეა. სტვენა ახლოვდება. ვპასუხობ. ვგრძნობ, ახლოს მოვიდა, მაგრამ ვერ ვარჩევ. სტვენა სტვენით ვპოულობთ ერთმანეთს. სამნი არიან. ხელს მართმევენ. მალე მთვარეც ამოვა.

– გზის პირას დავსხდეთ, წმინდა ფრანგულით ამბობს ერთ-ერთი მათგანი, ჩრდილში ვერ დაგვინახავენ.

ჟანი გვიახლოვდება. ერთი ჩინელი, რომელიც ყველაზე განათლებულად მეჩვენება, მეუბნება:

– ჯერ ჭამე, მერე ვილაპარაკებთ.

მე და ჟანი ბოსტნეულის ცხელ წვნიანს ვჭამთ. გვათბობს. დანარჩენ საჭმელს შემდგომისათვის ვიტოვებთ. ვაყოლებთ ჩაის, რომელსაც მენთოლის გემო დაჰკრავს. გემრიელია.

– შენ ჩანგის მეგობარი ხარ?

– დიახ. მან მირჩია კუიკ-კუიკი მომეძებნა, რათა ერთად გაექცეულიყავით. ერთხელ უკვე ძალიან შორს გავიქეცი – კოლუმბიამდე. კარგი მეზღვაური ვარ და ჩანგს უნდოდა, რომ მისი ძმაც წამეყვანა.

– ძალიან კარგი. ჩანგს რა სვირინგები აქვს?

– მკერდზე – დრაკონი და მარცხენა ხელზე – სამი ნერტილი. მისი თქმით, ეს სამი ნერტილი იმაზე მიანიშნებს, რომ პაოლო კონდორის აჯანყების შეფი იყო. ამ ბუნტის მეორე შეფს, მის საუკეთესო მეგობარს, ვან ჰუ ჰქვია. ცალი ხელი არა აქვს.

– ეს მე ვარ, – ამბობს „განათლებული“, – შენ მართლა ჩანგის მეგობარი ხარ, ესე იგი – ჩვენიც. კარგად მომისმინე: კუიკ-კუიკი ზღვაში ჯერ კიდევ არ გასულა, რადგან ნავის მართვა არ იცის. ახლა იგი, აქედან ათიოდე კილომეტრში, ტევრში იმალება. ხის ნახშირს ამზადებს, მეგობრები ყიდიან და ფულს აძლევენ. როცა საკმარის თანხას მოაგროვებს, ნავს იყიდის, ვინმეს შეიამხანაგებს და გაიქცევა. ეხლა, საიმედო ადგილას, ჭაობით გარშემორტყმულ პატარა კუნძულზე იმალება. ბევრს უცდია იქამდე მიღწევა, მაგრამ გზის უცოდინრობის გამო დაღუპულა. გათენებისას მოვალ და კუიკ-კუიკთან წაგიყვან. წამოდი ჩემთან.

გზის პირს მივყვებით, რადგანაც მთვარე ანათებს და ორმოცდაათ მეტრშიც კი შეიძლება შეგამჩნიონ. ერთ ხესთან მივყავარ და მეუბნება:

– ამ ხის ქვეშ დაიძინე, ხვალ დილით აქ მოგძებნი.

ერთმანეთს ხელს ვართმევთ და განათებული გზით მიდიან. თუ ვინმეს შეხვდებიან, მოიმიზეზებენ, რომ მახეების დასაგებად ვიყავითო. ჟანი მეუბნება:

– პაპიონ, შენ აქ არ დაძინება. შენ დაძინება ტევრში. მე აქ. როცა მოვა, დაგიძახებ.

– კარგი. – ტევრში შევდივარ. რამდენიმე სიგარეტის მოწევის შემდეგ, გემრიელი წვნიანით საესე კუჭით ვიძინებ.

ვან ჰუ გათენებამდე მოდის. სანამ განათდება, დროს მოსაგებად გზაზე ვივლით. ორმოც წუთზე მეტი სწრაფად მივდივართ. როცა ერთბაშად თენდება, შორს, რკინის გზაზე მოხრაგუნე ურიკის ხმა ისმის. ვიმალებით.

– მშვიდობით, ჟან, მადლობა, ღმერთმა დაგლოცოთ შენ და შენი ოჯახი.

ხუთასი ფრანკის აღებას ვაძალებ. მეუბნება, რომ, თუ კუიკ-კუიკთან ერთად არაფერი გამომივა, გამოვიდე იმ ბილიკზე, სადაც შევხვდი. მიხსნის, როგორ მივაგნო. აქ კვირაში ორჯერ გაივლის ხოლმე. ხელს ვართმევ ამ კეთილშობის გვიანელ ზანგს და ის გზაზე გადის.

– წინ, – ამბობს ვან ჰუ და ტევრში ეფლობა. გზას უყოყმანოდ იგნებს. სიარული არ გვიჭირს, რადგან ტევრი არც თუ ისე გაუვალია. შემხვედრ ტოტებს, თუ ლიანებს მაჩეტეთი სხეპავს და აქეთ-იქეთ ყრის.

სამ საათზე ნაკლებში უკვე აყვავებული დუმფარებითა და სხვა მწვანე მცენარეულობით დაფარულ ჭაობის ნაპირს მივუყვებით.

– ყურადღებით იყავი, ფეხი არ დაგიცურდეს, თორემ ვერ გადარჩები, მაფრთხილებს ვან ჰუ, როცა ხედავს, როგორ წავიბორძიკე.

– მიდი, მოგყვები. ვიფრთხილებ.

ჩვენს წინ, დაახლოებით ორმოცდაათ მეტრში, კუნძულია, საიდანაც ბოლი ადის.

ალბათ მენახშირეები არიან. ჭაობის ზედაპირზე კაიმანის თვალებს ვამჩნევ. ნეტავ აქ რითი იკვებება?

ერთ ადგილას ვან ჰუ ჩერდება და მაღალ ხმაზე ჩინურ სიმღერას იწყებს. კუნძულის მხრიდან ნაპირზე ერთი პატარა ტიპი გამოდის, მხოლოდ შორტები აცვია. ერთმანეთს გაცხარებით ელაპარაკებიან. მოთმინების ფიალა უკვე სავსე მაქვს, როცა, როგორც იქნა ჩერდებიან.

– აქეთ წამოდი, – მეუბნება ვან ჰუ.

საპირისპირო მიმართულებით მივყვებით.

– ყველაფერი რიგზეა. ეს კუკი-კუიკის მეგობარი იყო. თვითონ სანადიროდ წასულა. მალე დაბრუნდება. აქ უნდა დაველოდოთ.

ვსხდებით. ერთი საათიც არ გასულა, რომ კუიკ-კუიკი მოდის. ერთი პატარა, გაყვითლებული და ჩამომხმარი ტიპია. სამაგიეროდ, ჭკვიანი შავი თვალები უბრწყინავენ.

– შენა ხარ ჩემი ძმა ჩანგის მეგობარი?

– დიახ.

– ძალიან კარგი. შეგიძლია, წახვიდე, ვან ჰუ.

– მადლობა, – ამბობს ვან ჰუ.

– დაიჭი, წაიღე ეს კაკაბი.

– არა, მადლობა, – ხელს მართმევს და მიდის.

კუიკ-კუიკის წინ ერთი ღორი მირბის და ჩინელი მის ნაკვალევს მიჰყვება.

– ძალიან იფრთხილე, პაპიონ, ერთი მცდარი ნაბიჯი და – ჩაფლული ხარ. ერთმანეთს ვერ დავეხმარებით, რადგანაც ორივეს ჩაგვითრევს. კუნძულამდე გასასვლელი ბილიკი მუდმივად ერთ ადგილას არ გადის, რადგანაც ჭაობი მოძრაობს, მაგრამ ღორი გასასვლელს ყოველთვის პოულობს. მხოლოდ ერთხელ მომინია ორ დღეს ლოდინი.

ღორი შლამს სუნავს და წინ მიიწევს. ჩინელი თავის ენაზე რაღაცას ელაპარაკება. გაოცებული ვარ – ეს ცხოველი პატრონს ძაღლივით ემორჩილება. კუიკ-კუიკი დინჯად მიჰყვება, მე შეშინებული, თვალებს აქეთ-იქეთ ვაცეცებ. ღორი ისე გადადის მეორე ნაპირზე, რომ ფეხები არც ერთხელ რამოდენიმე სანტიმეტრზე მეტად არ ჩაფვლვია. ჩემი ახალი მეგობარიც დახელოვნებული ჩანს და მეუბნება:

– ფეხი ჩემს ნაფეხურში ჩადგი. უნდა იჩქარო, რადგანაც ღორის კვალი მალე იშლება.

შეფერხების გარეშე გადავდივართ. ფეხი მხოლოდ ერთხელ ჩამეფლო კოჭებამდე და ისიც მაშინ, როცა თითქმის გასულები ვიყავით. ღორმა საკმაოდ შორიდან მოუარა და ზედმეტი ორასი მეტრის გავლა მოგვიწია. ოფლი წურწურით ჩამომდის. შიში კი არა, შიშის ზარი გადავიტანე! როცა გადასვლა დავიწყეთ, თავში გამიელვა, ბედმა სილეენივით დაღუპვა ხომ არ გამომინერა მეთქი. ერთი წამით წარმომიდგა მისი ჭაობიდან წამომდგარი ტორსი, ოღონდ, ახლა, ჩემი სახის ნაკვთები ჰქონდა. ჭაობში ამ გავლას რა დამავიწყებს!

– მომეცი ხელი, – და ამ პატარა. გაძვალტყავებული ტიპის დახმარებით მშრალზე ავდივარ.

– მაშ, ეს არის, ძმაკაც, ის ადგილი, სადაც ადამიანებზე მონადირეები ვერ მოგვწვდებიან?

– კი, ამ მხრივ მშვიდად იყავი.

კუნძულის სიღრმეში შევდივართ. ყელში კარბიდის გაზის სუნი მაწვება. ვახველებ. ეს ორი სანახშირიდან ამომავალი ბოლია. აქ კოლოც ვერ გაიჭაჭანებს. მყუდრო ადგილას ბოლში გახვეული, ფოთლებისა და ტოტებისაგან ნაგები ქოხი დგას. კართან იმ ინდოჩინელს ვხედავ, რომელსაც კუიკ-კუიკამდე ველაპარაკეთ.

– ეს კაცი ჩემი ძმის მეგობარია. ფრანგულად ილაპარაკე, – ნახევარკაცი ჩინელი თავით ფეხებამდე მათვალიერებს, მერე, ეტყობა კმაყოფილი ამ ინსპექციით, უკბილო პირით მილიმის და ხელს მინვდის:

– შემოდი, დაჯექი.

ქოხში სისუფთავეა. ცეცხლზე, დიდ ქვაბში, რაღაც იხარშება. მხოლოდ ერთი, ფოთლებისაგან გაკეთებული, ერთ მეტრზე აწეული საწოლი მოსჩანს.

– მომეხმარე, დასაწოლი გავუმზადოთ.

– კარგი, კუიკ-კუიკ.

ჩემი საწოლის გაკეთებას ნახევარი საათიც არ სჭირდება. ჩინელები მაგიდას აწყობენ და გემრიელი წვნიანის შემდეგ ხახვით შეზავებულ ბრინჯიან ხორცს ვჭამთ. სწორედ ეს ტიპი ყიდის კუიკ-კუიკის მიერ დამზადებულ ნახშირს. ის კუნძულზე არ ცხოვრობს და საღამოს ორნი ვრჩებით.

– მართალია. ბანაკის უფროსს რაც იხვები ჰყავდა, ყველა მოვპარე და იმიტომ ვიმალები.

– ქოხის კართან პირისპირ ვსხედვართ. ჩვენს სახეებს დრო და დრო ცეცხლის ალი ანათებს. საუბარში ვფრთხილობთ – ვცდილობთ, კარგად გავიცნოთ ერთმანეთი. კუიკისათვის მზეს სიყვითლე სპილენძისფრად უქცევია. ვიწრო თვალები ლაპარაკისას პირდაპირ გიყურებენ. ნედლი თამბაქოსაგან საკუთარი ხელით დახვეულ სიგარას ეწევა. მე პაპიროსებს ბრინჯის ქაღალდში ვახვევ, რაც ცალხელა ჩინელმა მომიტანა.

– იძულებული ვყავი, სამი თვის წინ გამოვქცეულიყავი, რადგან იხვების პატრონს ჩემი მოკვლა უნდოდა. უფრო სამწუხარო ის არის, რომ თამაშში არა მარტო იხვების, არამედ ნახშირში აღებული ფულიც წავაგე.

– სად თამაშობთ ხოლმე?

– ტევრში. ყოველ ღამით იქ ჩინელები და „კასკადიდან“ მოსული გაათავისუფლებულები თამაშობენ.

– ზღვით გაქცევა გაქვს გადაწყვეტილი?

– მხოლოდ ეს მინდა და როცა ნახშირს ვყიდდი, სულ იმაზე ვფიქრობდი ნავი შემეძინა, მომეძებნა ისეთი კაცი, ვინც მის მართვას შეძლებდა და ჩემთან ერთად წამოსვლას მოისურვებდა. ახლა, რაკი შენ ნაოსნობისა გესმის, შეგვიძლია, სამ კვირას ნახშირი ვყიდოთ და ნავი შევიძინოთ.

– ფული მაქვს, კუიკ-კუიკ. საჭირო არ არის ნახშირის გაყიდვას დაველოდოთ.

– მაშინ, მოსულა. ათას ხუთას ფრანკად კარგი ნავი იყიდება. ერთი ხის მჭრელი ზანგი ყიდის.

– ნახე? კარგია?

– კი.

– მეც მინდა, ვნახო.

– ხვალ წავალ შოკოლატის სანახავად, როგორც მას ვეძახით. მომიყევი, როგორ

გამოიქეცი, პაპიონ. დიაბლიდან გაქცევა შეუძლებელი მეგონა. ჩემი ძმა რატომ არ წამოგყვა?

ვუყვები გაქცევის მზადებას, „ლიზეტის“ შესახებ, სილვენის დალუპვას.

– ახლა ვხვდები, ჩანგი რატომ არ გამოგყვა. მართლა სახიფათო ყოფილა. ბედმა გაგიღიმა, რომ აქამდე მოაღწიე. მიხარია, რომ ასე მოხდა.

ლაპარაკში სამ საათზე მეტი გადის. ადრე ვიძინებთ, რადგან გათენებისას შოკოლატის სანახავად უნდა წავიდეს. სანამ დავწვებოდეთ, ცეცხლზე ხის დიდ ნაჭერს აგდებს, რომ დილამდე არ ჩაქრეს. ბოლი ყელს მიწვავს და მაცემინებს, სამაგიეროდ კოლო არ არის.

კარგად ჩათბუნებული თვალებს ვხუჭავ. ისე ვარ აღგზნებული, რომ ვერ ვიძინებ. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. თუ ნავი მომეწონა, ერთ კვირაში ზღვაში გავალ. კუიკ-კუიკ პატარა კია, მაგრამ ღონიერი უნდა იყოს და გამძლეობაც არ უნდააკლდეს. რატომღაც მგონია, რომ მეგობრებისადმი თავდადებული და მტრებისადმი სასტიკი უნდა იყოს. აზიელის სახეზე რაიმეს ამოკითხვა ძალიან ძნელია. ყოველ შეთხვევაში, ასეა თუ ისე, თვალები მის სასარგებლოდ მეტყველებს.

ვიძინებ და საკუთარ თავს გასხივოსნებულ ზღვაზე, თავისუფლებისაკენ მქროლავ ნავში ვხედავ.

– ყავა გინდა თუ ჩაი?

– შენ რას სვამ?

– ჩაის.

– მეც ჩაი დამისხი.

გათენება ახლოვდება. ქვაბში, ცეცხლზე, რომელიც გუშინდლიდან ანთია, წყალი დუღს. მამალი ყივის. სხვა არც ერთი ფრინველი არ ეხმაურება – ალბათ, ბოლი ერეკება აქედან. შავი ბურვაკი საწოლზე წევს. ეტყობა, ზარმაცია, რადგან ძილს განაგრძნობს. ნაკვერჩხლებზე ბრინჯის ფქვილის ორცხობილები აწყვია. ჩემი მასპინძელი ჩაის მისხამს, მერე ბრინჯის კვერს ორად ტეხავს, მარგარინს უსვამს და ნახევარს მიწვდის. მადიანად ვსაუზმობთ.

– მივდივარ, ცოტაზე გამაცილე. ყვირილსა და სტვენას თუ გაიგონებ, არ უპასუხო. არაფრის შიში არ გქონდეს, ვერავინ შემოვა, მაგრამ, თუ ჭაობის ნაპირზე თავს გაყოფ, შეიძლება თოფით მოგკლან.

ღორი პატრონის შეძახილზე დგება, ჭამს, სვამს და გარეთ გადის. მივყვებით. ჭაობში გუშინდელი ადგილიდან შორს შედის. ათიოდე მეტრის გავლის შემდეგ უკან ბრუნდება. გასასვლელი არ მოსწონს. მესამე ცდაზე მიდის და კუიკ-კუიკიც მიჰყვება.

ჩინელი საღამომდე არ დაბრუნებულა. მარტომ ვჭამე წვნიანი, რომელიც წასვლამდე ცეცხლზე შემოდგა. საქათმეში რვა კვერცხი ვიპოვე და სამი მარგარინში შევწვი. ქარმა მიმართულება შეიცვალა და ახლა სხვა მხარეს მიაქვს ბოლი. ნაშუადღევის წვიმას შეფარებული, საწოლზე ვნებივრობ – ახლა აღარ მაწუხებს.

დილით კუნძულს შემოვუარე. თითქმის ცენტრში გაკაფული ხეები მიმანიშნებენ, რომ კუიკი სანახშირე მასალას აქ ამზადებს. იქვე თეთრი თიხის გროვაა, რითაც იგი, ალბათ, შეშსას ფარავს, რათა უცეცხლოდ დაიწვას. ირგვლივ ქათმები იკენკებიან. ერთი უზარმაზარი ვირთხა ფეხებქვეშ გამირბის. აქედან რამდენიმე ნაბიჯზე

ორი მეტრი სიგრძის მკვდარ გველს ვპოულობ – ნამდვილად ახლახანს მოკლა ვირთხამ.

კუნძულზე მარტოდ გატარებული ეს დღე აღმოჩენებით მდიდარი გამოდგა. მაგალითად, შემხვდა ჭიანჭველაჭამიის ოჯახი – დედა და სამი პატარა. დუჟინამდე პატარა მაიმუნი ხიდან ხეზე ხტოდა და ჩემ დანახვაზე გულის გამგმირავად კიოდა.

კუიკ-კუიკი საღამოს ბრუნდება.

– შოკოლატი ვერ ვნახე, ვერც ნაცი. ეტყობა, სანოეაგისთვის გადავიდა „კასკადში" – იქ პატარა სახლი აქვს. კარგად ჭამე?

– კი.

– კიდევ გინდა?

– არა.

– ორი კოლოფი ჯარისკაცური სიგარეტი მოგიტანე, სხვა არ იყო.

– მადლობა. რა განსხვავებაა. როცა შოკოლატი სოფელში მიდის, რამდენ ხანს რჩება?

– ორი ან სამი დღე. ხვალ ისევ მივაკითხავ, რადგან არ ვიცი, როდის წავიდა.

მეორე დილას კოკისპირულად წვიმს. ეს ხელს არ უშლის კუიკ-კუიკს და მთლად შიშველი მიდის. ტანსაცმელს იღლიაში, გასანთლულ ტილოში ახვევს. არ ვაცილებ. „რა საჭიროა, დასველდე," – მეუბნება.

გადაიღო. მზის მიხედვით ათიდან თორმეტ საათამდე იქნება. ერთ-ერთი სანახშირე ორმო ნიაღვარს ჩაუნგრევია. ვუახლოვდები, რომ ვნახო, რამდენად სერიოზულია ზარალი. წვიმას ცეცხლი ბოლომდე ვერ ჩაუქრია – უფორმო გროვიდან ისევ ბოლი ამოდის. უეცრად თვალებს ვიფშვნეტ, რათა დავრწმუნდე, რომ ის, რაც დავინახე, რეალობაა: ჩემ წინ ისეთ რამეს ვხედავ, რასაც არაფრით მოველოდი. სანახშირის პირას ხუთი ცალი ფეხსაცმელი პერპენდიკულარულად დგას. ვხვდები: მათი გაგრძელება წვივები და ბარძაყებია. ამრიგად, სანახშირეში სამი კაცი იწვის. ალბათ ხვდებით, რომ ზურგზე ყინული დამივლიდა. ცოტაზე ვექექავ და მეექვსე, სანახევროდ დამწვარ ფეხსაცმელს ვპოულობ.

კუიკ-კუიკს მარიფათს ვერ დაუწუნებ – ადამიანებს ხოცავს და ნვაცს! აღელვებული, მზის გულზე გამოვდივარ, რომ გავთბე. ამ პაპანაქებაში მართლა მცივა და ტროპიკული მზე მჭირდება! ამის ნაკითხვის შემდეგ ზოგი შემედავება, ოფლი უნდა მოგსვლოდაო. არ ვიცი, ვის როგორ, მაგრამ მე კინაღამ გავიყინე. ოფლმა მხოლოდ საათზე მეტი ხნის შემდეგ დამასხა, რადგან გამახსენდა, რომ ფული მაქვს და სასწაულად გადავურჩი სანახშირეს. იქნებ, მესამე საძირკვლისათვის მინახავს?

ჩანგის მონაყოლი მახსენდება იმის შესახებ, რომ მისი ძმა პირატობისა და ჯონკებზე თავდასხმებისთვის გაასამართლეს. ნავების გაძარცვასთან ერთად, მთელ ოჯახებს ულეტდნენ და, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ მოტივებს იმიზეზებდნენ. ესე იგი, ეს ტიპები სერიულ მკვლელობებში გაწაფულები არიან. მე კი აქ თითქმის ტყვე ვარ. ეს სად მოვხვდი!

მოდი, ვიფიქროთ: თუ კუიკ-კუიკს დავასწრებ და მოვკლავ, ის ღორი მე არ დამემორჩილება, ფრანგულად ვერ გავაგებინებ და კუნძულიდან ვერ გავაღწევ. ერთადერთი გამოსავალია – ვაიძულო, აქედან გამიყვანოს და მყარ მიწაზე მოვკლა. თუ ჭაობში ჩავაგდებ, როდისმე ამოტივტივდება. „ძაღლები" ფეხებზე მკიდია, მაგრამ მისი მეგობრები კვალში ადამიანებზე მონადირეებად ჩამიდგებიან.

კარგად მესმის, ეს რასაც ნიშნავს!

კუიკ-კუიკს ერთი ცალლულიანი თოფი აქვს, რომელსაც ხელიდან არ უშვებს თვით საჭმლის მომზადებისა და ტუალეტში გასვლისასაც კი. დანა მუდმივად გახსნილი უნდა მქონდეს და ფხიზლად მეძინოს. ჰმ! მაგარი ამხანაგი ავირჩიე გასაქცევად!

მთელი დღეა, საჭმელს პირს ვერ ვაკარებ. გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მაქვს მიღებული, როცა სიმღერა მესმის – ეს კუიკ-კუიკი ბრუნდება. ხის უკან დამალული ველოდები. თავზე ფუთა ადევს. მხოლოდ მაშინ ვჩნდები, როცა ნაპირთან ახლოსაა. ფქვილის ტომარაში გახვეულ ფუთას ღიმილით მინვდის, ჩემ გვერდით ხტება და ქოხისაკენ სწრაფი ნაბიჯით მიდის. მივყვები.

– კარგი ამბავი უნდა გაცნობო, პაპაიონ. შოკოლატი დაბრუნებულა. ნავი არ გაუყიდია. ამბობს, რომ ნახევარი ტონა ტვირთი არც კი შეეტყობაო. შენ აფრისა და ფოკის გასაკეთებელი ფქვილის ტომრები გიჭირავს. ხვალ კიდევ მოვიტანთ. უნდა წამომყვე და ნავი ნახო.

ამას კუიკ-კუიკი შემოუბრუნებლად მეუბნება. მწკრივში მივდივართ – წინ ღორი, მერე კუიკი და ბოლოს – მე, თავში აზრები სწრაფად მისდევს ერთმანეთს: რაღაც, არ ეტყობა, რომ სანახშირეში ჩაგდებას მიპირებდეს – ნავის სანახავად მივყავარ და ტომრების საყიდლადაც დახარჯულა.

– დახეთ! სანახშირე ჩანგრეულა. ალბათ, წვიმისაგან. ისეთი თავსხმა იყო, რომ არც მიკვირს.

დასათვალიერებლად არც კი ჩერდება და პირდაპირ ქოხში შედის. უკვე აღარ ვიცი, რა ვთქვა. თავი მოვაჩვენო, რომ არაფერი მინახავს? ცოტა უცნაური იქნებოდა – სანახშირე ოცდახუთ მეტრშია და როგორ არ ვნახავდი!

– ცეცხლი ჩაგიქრა?

– ჰო, ყურადღება არ მიმიქცევია.

– არც გიჭამია?

– არა, არ მშიოდა.

– აქ ხარ?

– არა.

– აბა, წვნიანი რატომ არ ჭამე?

– კუიკ-კუ, დაჯექი, სალაპარაკო მაქვს.

– მაპატიცა, ცეცხლს ავანთებ.

– არა, მინდა, ახლავე გალაპარაკო, სანამ ჯერ კიდევ დღეა.

– რა ხდება?

– რა და, ჩანგრეულ სანახშირეში სამი კაცი ვნახე. მინდა, ამიხსნა.

– აჰ! ამიტომაც მომეჩვენე უცნაურად, – მეუბნება და პირდაპირ თვალებში მიყურებს, – არ მიკვირს, ამ აღმოჩენის შემდეგ სიმშვიდეს რომ დაკარგავდი. უფრო ის მიკვირს და, ბედიც მქონია, რომ ზურგში ხანჯალი არ მივიღე. მომისმინე, პაპაიონ, ეს სამი ტიპი ადამიანებზე მონადირეები იყვნენ. ერთი კვირის, უფრო სწორად – ათი დღის წინ, შოკოლატს ბევრი ნახშირი მივყიდე. აქ რომ ჩინელი იყო, კუნძულიდან ტომრების გატანაში მომეხმარა. ეს ძალიან ძნელია: ორას მეტრზე მეტი სიგრძის თოკით ტომრები შლამზე უნდა გააცურო. მოკლედ, შოკოლატის პიროგამდე კარგა კვალი [illegible]ეთ. სწორედ მაშინ დაიწყო აქ ხეტიალი პირველმა ადამიანზე მონადი-

რემ. მხეცების ყვირილზე მივხვდი, რომ ტევრში ვილაც იყო. ვერ გაიგო, როგორ შევამჩნიე. შორიდან მოვუარე, უკანიდან მივეპარე და ვერც კი მიხვდა, ვინ მოკლა. როგორც იცი, ჭაობი გვამებს აბრუნებს და ამიტომ სანახშირეში ჩავაგდე.

– სხვები?

– შენ მოსვლამდე სამი დღით ადრე, ძალიან ბნელი და წყნარი ღამე იყო, რაც ტევრში საკმაოდ იშვიათია. ეს ორი, დაღამებიდან ჭაობს იქით მელოდებოდა. ერთერთ მათგანს ბოლისაგან ხველა აუტყდა. ამან მიმახვედრა მათი არსებობა. თავი ფათერაკში ჩავიგდე და გათენებამდე ჭაობზე გადავედი. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, პირველს ყელი ისე გამოვჭერი, ხმის ამოღება ვერ მოასწრო. მეორე, სანადირო თოფით რომ იყო შეიარაღებული, შეცდა და გამოჩნდა. ისე იყო მიშტერებული კუნძულზე, რომ ვერ დამინახა. თოფით გავაგორე. მაშინვე არ მოკედა და გულში დანის გაყრით გავათავე. აი, პაპიონ, ვინ არის ის სამი ტიპი, სანახშირეში რომ აღმოაჩინე. ორი – არაბი იყო და ერთი – ფრანგი. ზურგით მათი გადმოთრევა ადვილი არ ყოფილა. ორი გზის გაკეთება მომიხდა.

– მართალია, რასაც მიყვები?

– კი, პაპიონ, გეფიცები.

– ჭაობში რატომ არ ჩაყარე?

– ხომ გითხარი, ჭაობი გვამებს აბრუნებს-მეთქი. ხანდახან შიგ დიდი ირემი ვარდება და ერთი კვირის შემდეგ ზედაპირზე ამოაქვს. სანამ სვავები დაძიძგნიან, საშინლად ყარს. დიდხანს უნდებიან და მათი ჩხაკილი ცნობისმოყვარეებს იზიდავს. პაპიონ, გეფიცები, ჩემგან ნურაფრის გეშინია. აპა, რომ დარწმუნდე, თუ გინდა, ჩემი თოფი აიღე.

დიდი სურვილი მაქვს, იარაღი გამოვართვა, მაგრამ თავს ვერევი და რაც შეიძლება მშვიდად ვამბობ:

– არა, კუიკ-კუიკ, აქ იმიტომ დავრჩი, რომ თავს მეგობართან უშიშრად ვგრძნობ. ხვალ ბოლომდე უნდა დავწვათ ისინი, თორემ ვინ იცის, ჩვენი წასვლის შემდეგ აქ რა მოხდება. არ მინდა, სამი მკვლელობისთვის გამასამართლონ, თუნდაც დაუსწრებლად.

– ჰო, ხვალ დავწვავ. მაგრამ დამშვიდდი, ვერასოდეს ვერც ერთი პიროვნება ამ კუნძულზე ფეხს ვერ დაადგამს.

– კაუჩუკის ტივით ვერ გადმოვლენ?

– ამაზე არ მიფიქრია.

– შეიძლება, აქამდე ვინმემ ჟანდარმები მოიყვანოს და ისინი აუცილებლად ტივით გადმოვლენ, დამიჯერე. ამიტომ, რაც შეიძლება მალე უნდა წავიდეთ.

– თანახმა ვარ. ხვალ გავახუროთ სანახშირე, რომელიც, სხვათა შორის, არ ჩამქრალა. მხოლოდ ორი საჰაერო ხვრელილაა გასაკეთებელი.

– ღამე მშვიდობისა, კუიკ-კუიკ.

– ღამე მშვიდობისა, პაპიონ. გიმეორებ, მშვიდად დაიძინე, შეგიძლია, მენდო.

ნიკაპამდე აწეული საბანი სასიამოვნოდ მათბობს. სიგარეტს ეუკიდებ. ათი წუთიც არ გასულა და კუიკ-კუიკი უკვე ხვრინავს. მის გვერდით ღორი ღრმად ქშინავს. ცეცხლს ალი აღარ აქვს, მაგრამ ნაკვერჩხალი ქოხს სიმყუდროვისა და სიმშვიდის იერს აძლევს. დაძინებისას ერთი აზრი მიტრიალებს: ხვალ, ან გავიღვიძებ და მაშინ ყველაფერი კარგად იქნება ჩემსა და კუიკ-კუიკს შორის; ან, ჩინელი

უფრო დიდი მსახიობი აღმოჩნდება, ვიდრე საშა გიტრია და მაშინ მზეს ველარ ვიხილავ. იმდენი რამ ვიცი მასზე, რომ ცოცხალს არ დამტოვებს.

სერიული მკვლელობების სპეციალისტი ყავის ჭიქით ხელში მაღვიძებს და თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ღიმილით მესალმება. გათენებულა.

– ადე, ყავა დალიე. აიღე ერთი ორცხობილა. მარგარინი უკვე წავუსვი.

დანაყრების შემდეგ გარეთ გავდივარ და ხელ-პირს კასრის წყლით ვიბან.

– დამეხმარე, პაპიონ, თუ შეიძლება.

– ახლავე, – ეუბნები ისე, რომ არ ვეკითხები, რაში. სანახევროდ დამწვარ გვამებს ფეხებით ვეწევით. ხმას არ ვიღებ, როცა ვმჩნევ, რომ სამივეს მუცელი გახსნილი აქვს: ჩემს სიმპათიურ ჩინელს მათ ნაწლავებში „ქისები" უძებნია. მართლა ადამიანებზე მონადირენი არიან? იქნებ ფრინველებზე, ან პეპლებზე ნადირობდნენ? იმისთვის დახოცა, რომ გაექურდა, თუ თავი დაიცვა? მოკლედ, მეყოფა ამაზე ფიქრი! გვამებს კვლავ სანახშირეში ვტენით, შეშებს ვაყრით და თიხით ვფარავთ. საჰაერო ხვრელები ღიაა და ნახშირის ქარხანა ახლა ორი მიმართულებით მუშაობს: ხის ნახშირს ამზადებს და სამ არაკაცს ნაცრად აქცევს.

– წავედით, პაპიონ.

ღორი გასასვლელს მალე პოულობს. ერთიმეორის მიყოლებით გადავდივართ ჭაობზე. ნაღველი მანვება. სილვენის დახრჩობამ ჩემზე ისეთი ძლიერ იმოქმედა, რომ დახველებასაც ვერ ვბედავ. ცივი ოფლით დაფარული, ფეხს კუიკ-კუიკის ნაფეხურში ვადგამ და მივყვები. ის თუ გავა, მეც უნდა გავიდე.

ორ საათზე მეტი ხნის სიარულის შემდეგ მივდივართ იმ ადგილას, სადაც შოკოლატი ხეებს ჭრის. ტევრში არავინ შეგვხვედრია და დამალვაც არ დაგვჭირვებია.

– გამარჯობა, ბიჭო!

– გამარჯობა, კუიკ-კუიკ.

– კარგად მიდის საქმე?

– კი, კარგად.

– აჩვენე ნავი ჩემს მეგობარს.

ნავი ძალიან მაგარია – ერთგვარი სატვირთო კანჭოა, მძიმე, მაგრამ მყარი. დანას ყველგან ვარჭობ – არც ერთ ადგილას წვერი სანტიმეტრზე მეტზე არ შედის. ძირიც ახალია. პირველი ხარისხის ხით არის გაკეთებული.

– რამდენად ყიდით?

– ორი ათას ხუთას ფრანკად.

– ორი ათასს მოგცემთ.

ვაჭრობა დამთავრებულია.

– ამ ნავს კილი არ აქვს. ხუთას ფრანკს დაგიმატებთ. კილი, საჭე და ანძა გაუკეთეთ. საჭე მძიმე ხისა უნდა იყოს, ანძა – სამმეტრიანი, მსუბუქი და მოქნილი ლატანით. როდის იქნება მზად?

– რვა დღეში.

– აი, ორ ათასიან და ერთ ხუთასიან ბანკნოტს ორად გავჭრი, მეორე ნახევარს ნავის მიღებისას მოგცემ. დაიტოვე ეს სამი ნახევარი.

– კარგი.

– მჭირდება პერგამენტი, ერთი კასრი სასმელი წყალი, სიგარეტები, ასანთები, ოთხი კაცისათვის ერთი თვის საკმარი საკვები: ფქვილი, ზეთი, ყავა და შაქარი.

ამას ცალკე გადაგიხდი. ყველაფერს მდინარე კურუზე ჩამაბარებთ.

– კუიკ, შესართავამდე ვერ გამოგყვებით.

– მე ეს არ მითქვამს. მე გთხოვთ ეს ნავი მდინარეზე ჩამაბაროთ და არა უბეში.

– აი, ფქვილის ტომრები, თოკი, ნემსი და აფრის ძაფი.

მე და კუიკ-კუიკი ჩვენს სამალავში დაღამებამდე ვბრუნდებით. ღორი დაიღალა და კუიკ-კუიკი მას ზურგით მოათრევს.

დღეს ისევ მარტო ვარ. აფრის კერვაში გართულს უეცრად ყვირილის ხმა მესმის. ჭაობისკენ ტევრ-ტევრ გავდივარ და ვიყურები. იქითა მხარეს კუიკ-კუიკი „განათლებულ" ჩინელს ხელების ქნევით ეკამათება. მეჩვენება, რომ მას კუნძულზე გადმოსვლა უნდა და კუიკ- კუიკი არ უშვებს. ხელში სატევარები უჭირავთ. „განათლებული" უფრო ცხარობს. ოღონდაც კუიკ-კუიკი არ მოკლას! ვენახევები და ვუსტვენ. ჩემკენ ბრუნდებიან.

– რა ხდება, კუიკ-კუიკ?

– შენთან ლაპარაკი მინდა, პაპიონ, კუიკ-კუიკი კი გადმოსვლის ნებას არ მაძლევს.

კიდევ ათ წუთს კამათობენ ჩინურად, შემდეგ კი ღორს წინ იგდებენ და ორივე კუნძულზე გადმოდის. ჩაის ფიალებით ხელში ქოხში ვსხედვართ და ველოდები, როდის ამოიღებენ ხმას. ბოლოს, კუიკ-კუიკი მეუბნება:

– ამას ჩვენთან ერთად წამოსვლა უნდა. მე ვეუბნები, რომ ამ საქმის მოთავე შენ ხარ, ფული შენია და მე არაფერ შუაში ვარ. არ მიჯერებს.

– პაპიონ, კუიკ-კუიკი ვალდებულია, წამომიყვანოს.

– რატომ?

– ხელი ამან მომჭრა, როცა თამაშის დროს ჩხუბი მოგვივიდა. დამაფიცა, რომ არ მოვკლავდი, მხოლოდ ერთი პირობით: მთელი სიცოცხლის განმავლობაში უნდა მაჭამოს. ყოველ შემთხვევაში, იმდენ ხანს, რამდენსაც მოვისურვებ. ამიტომ, არ გამოვუშვებ: ან დარჩება, ან თან წამომიყვანს.

– რას არ გაიგებ! მომისმინე, მე თანახმა ვარ. ნავი დიდია და საიმედო, მეტსაც წაიყვანს. კუიკ-კუიკი თუ თანახმაა, წამოდი.

– მადლობა, – ამბობს ცალხელა.

– რას იტყვი, კუიკ-კუიკ?

– თანახმა ვარ, თუ შენ ასე ფიქრობ.

– ერთი მნიშვნელოვანი რამ: შეგიძლია, ისე გამოხვიდე ბანაკიდან, რომ ძებნა არ დაგიწყონ და მდინარესთან დაღამებამდე მოხვიდე?

– ამ მხრივ არავითარი გართულება არ იქნება. შემიძლია, ნაშუადღევის სამ საათზე გამოვიდე და ორ საათზე ნაკლებში მდინარესთან ვიქნები.

– კუიკ-კუიკ, სიბნელეში მიაგნებ იმ ადგილს, სადაც ეს შენი მეგობარი უნდა ავიყვანოთ? ხომ იცი, დრო არ უნდა დავკარგოთ.

– კი, არ გამიჭირდება.

– ერთ კვირაში მოდი და გამგზავრების დროს გეტყვით.

გახარებული ჩინელი ხელს მართმევს და მიდის. სანამ იქითა ნაპირზე დაშორდებოდნენ, ჩინელები ერთმანეთს ხელს ართმევენ. როცა კუიკ-კუიკი ქოხში ბრუნდება, თავს ვერ ვიკავებ:

– რა სულელური კონტრაქტი დაგიდევს მტერთან! როგორ შეიძლება, ასეთ

პირობებზე დათანხმდე? მკლავი რატომ მოაჭერი?

– თამაშის დროს ვიჩხუბეთ.

– სჯობდა, მოგეკლა.

– ამას ვერ ვიზამდი, რადგან კარგი მეგობარია. როცა ამ საქმისათვის სამხედრო ტრიბუნალზე გაგვიყვანეს, მტკიცედ განაცხადა, რომ თავს დამესხა და მე თავდაცვის დროს მოვაჭერი ხელი. ამის შემდეგ უარს ვერ ვეტყოდი. ვერ გიბედავდი მის შესახებ მეთქვა, რადაგან გაქცევის ხარჯებს შენ ეწევი.

– ყველაფერი რიგზეა, ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. შენ იცი, როგორ მოიქცევი მაშინ, როცა, თუ ღმერთი ინებებს, თავისუფალი იქნები.

– სიტყვას არ გავტეხ.

– რის გაკეთებას აპირებ, თუ ერთ დღეს მართლა თავისუფალი გახდები?

– რესტორანს გავხსნი. მე ჩინებული მზარეული ვარ, ცალხელა კი Chow mein-ის – ერთგვარი ჩინური სპაგეტის სპეციალისტია.

ამ შემთხვევამ კარგ გუნებაზე დამაყენა. ეს ისტორია ისე საჭაცილოდ მეჩვენება, რომ თავს ვერ ვიკავებ და კუიკ-კუიკს დავცინი.

შოკოლატმა სიტყვა არ გატეხა: ხუთი დღის შემდეგ ყველაფერი მზად არის. ნავის სანახავად კოკისპირულ წვიმაში მივდივართ. წუხს ვერ უპოვი: კარგად მორგებული ანძა, საჭე და კილი პირველი ხარისხის მასალისაგან არის გაკეთებული. ნავი წყლის კასრითა და საკვებით, მდინარის ერთ-ერთ მოსახვევში დაგველოდება. ცალხელას გაფრთხილებაღა გვრჩება. ამას შოკოლატი კისრულობს. ნაპირთან მიახლოება აღარ დაგვჭირდება – პირდაპირ ჩვენთან მოიყვანს. ეს კიდევ ერთ საშიშროებას აგვაცილებს.

მდინარე კურუს შესართავი ორი ფარით არის აღნიშნული. თუ წვიმა იქნება, მდინარის შუაგულს დავიჭერთ და შეუმჩნევლად გავალთ. რა თქმა უნდა, აფრას არ გავშლით. შოკოლატმა შავი საღებავი და ფუნჯი მოგვიტანა. აფრაზე დიდ ასო K-ს და N 21-ს დავაწერთ. N21 ერთი სათევზაო ნავია, რომელიც ზოგჯერ ღამითაც გადის სარეწავად. თუ ზღვაში გასვლისას აფრის გაშლა დაგვჭირდება და შეგვამჩნევენ, ის ნავი ეგონებათ.

ხვალ, საღამოს ცხრამეტ საათზე, დაბნელებიდან ერთი საათის შემდეგ გავდივართ. კუიკ-კუიკი აცხადებს, რომ გზას ადვილად გაიგნებს და პირდაპირ ნავთან მიმიყვანს. კუნძულიდან ხუთ საათზე გავალთ, რათა წინ ერთი საათის განმავლობაში დღის სინათლე გვქონდეს.

ქოხში კარგ გუნებაზე ვბრუნდებით. კუიკ-კუიკი მხრებზე შესმული ღორით წინ მიდის და უკანმოუხედავად მელაპარაკება:

– ბოლოს და ბოლოს, მეღირსა – მალე კატორღას დავტოვებ. თავს შენი და ჩემი ძმის, ჩანგის წყალობით ვშველი. შეიძლება, ერთ დღეს, როცა ფრანგები ინდოჩინეთიდან წაელენ, ჩემს ქვეყანაში დაბრუნება შევძლო.

მოკლედ, მენდობა. რაკი ნახა, რომ ნავი მომეწონა, მთლად გადაირია და სკვინჩასავით დახტის. იმედი მაქვს, გვიანის მიწაზე, ამ კუნძულზე, უკანასკნელ ღამეს ვათევთ.

მთავარია, მდინარიდან ზღვაში გავიდე – მერე თავისუფალი ვარ! ერთადერთი საფრთხე მარტო ზღვიდან მელის – კატასტროფა არ განვიცადოთ – ომის დაწყების დღიდან არცერთი ქვეყანა გაქცეულებს არ აბრუნებს. ომი ამაში მაინც გვადგება.

თუ ჩავფლავდებით, რა თქმა უნდა, სიკვდილს მოგვისჯიან. ჯერ დაგვიჭირონ და მერე ვილაპარაკოთ!

სილვენზე ვფიქრობ. ის გაუფრთხილებლობა რომ არ გამოეჩინა, ახლა აქ, ჩემ გვერდით იქნებოდა. სანამ ჩამობნელდებოდეს, ერთი ტელეგრამის ტექსტს ვადგენ: „ბატონო მთავარო პროკურორო პრადელ! ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, დავტოვე ის ბინიერების ბილიკი, რომელსაც თქვენ გამიყენეთ. ათი ნელი დამჭირდა, მაგრამ გავიმარჯვე!“

მზე საკმაოდაა ამოსული, როცა კუიკ-კუიკი მაღვიძებს. ჩაისა და ორცხობილას მირთმევის შემდეგ ორ ლერწმის გალიას ვამჩნევ.

– ის გალიები რად გინდა?

– ქათმებს წამოვიყვან, გზაში დავკლავთ ხოლმე.

– გაგიჟდი? ქათმები არ დამანახვო!

– უნდა წამოვიყვანო.

– ავად ხომ არა ხარ? მოქცევის გამო მხოლოდ დილით რომ შევძლოთ ზღვაში გასვლა, მამლები ხომ ყივილს დაიწყებენ? ხვდები, რა გველის?

– არა, ქათმებს არ მივატოვებ.

– მოხარშე და ცხიმში დააკონსერვე. პირველსავე დღეებში შევჭამთ.

კუიკ-კუიკი მიჯერებს და ქათმების დასაჭერად მიდის. პირველი ოთხის დაჭერის შემდეგ, მათი კრიახისაგან დამფრთხალი ფრინველები ტევრში იფანტებიან და მხოლოდ ერთსღა უმატებს.

ჯორებივით დატვირთულები, ჭაობზე ღორის გაძღოლით გადავდივართ. ისე მეხვეწა, რომ ღორის წაყვანაზე უარი ვერ ვუთხარი.

– სიტყვას მაძლევ, რომ არ იჭყიველებს?

– გეფიცები. როცა ვეტყვი, მაშინ გაჩუმდება. ერთხელ ვეფხვი გვეპარებოდა და ხმა არ ამოუღია – მხოლოდ ბალანი ედგა ყალყზე.

დათქმულ ადგილას დაღამებისას მივდივართ. შოკოლატი და ცალხელა უკვე აქ არიან. ელექტროფანრის შუქზე კიდევ ერთხელ ვამოწმებ. ყველაფერი რიგზეა. კუიკ-კუიკი ჩემი ბრძანების მიხედვით რამდენიმე მანევრს აკეთებს. მალე ითვისებს და მიგებს, რასაც ვითხოვ. შოკოლატი წესიერად მოგვექცა და დაპირებულს ვუხდი. იმდენად გულუბრყვილოა, რომ ბანკნოტები და დასაწებებელი ქაღალდი თან მოუტანია. მთხოვს, დავუწებო. ერთი წუთითაც არ უფიქრია, რომ ფულის წართმევა შემეძლო. ადამიანებს, ვისაც სხვაზე ცუდი წარმოდგენა არ აქვთ, თვითონაც კეთილნი და წესიერები არიან. შოკოლატს კატორღელები ყოველთვის ებრალებოდა და ასე ახერხებს მათ შველას – ჯოჯოხეთიდან გაქცევაში ეხმარება.

– მშვიდობით, შოკოლატ. ღმერთმა დაგლოცოთ შენ და შენი ოჯახი!

– დიდი მადლობა!

მეთერთმეტე რვეული

მშვიდობით, კატორღავ!

ჩინელების გაქცევა

ნავში ბოლო ვჯდები, შოკოლატი გვიბიძგებს და დინებისკენ გავდივართ. ნიჩბების ნაცვლად ორი დიდი კეტი გვაქვს. წინ კუიკია, უკან – მე ორ საათზე ნაკლებხანში მდინარის შუაგულში ვართ. საათზე მეტია, რ.ც წვიმს. ფქვილის ტომრებს ვიფარებთ – წყალს არ ატარებს.

მდინარე სწრაფია და მორევებით სავსე. მიქცევის დახმარებით, სამი საათის შემდეგ ორ შუქურას შორის მივცურავეთ. ვიცი, ზღვა უკვე ახლოსაა, რადგანაც შუქურები შესართავის უკიდურეს წერტილში მდებარეობს. გაშლილი აფრითა და ფოკით კურუდან დაუბრკოლებლად გავდივართ. ქარი გვერდიდან ისე გვირტყამს, რომ იძულებული ვხდები აფრით ვიარო. გასროლილი ისარივით შევდივართ ზღვაში, მის პირველ ტალღებს უხეშად ვკვეთთ და ნაპირს სწრაფად ვშორდებით. ჩვენ წინ, ორმოც კილომეტრში, გზას რუაიალის შუქურა გვინათებს.

ცამეტი დღის წინ ამ შუქურის უკან, დიაბლზე ვიყავი. ღამით ზღვაში ასე გასელა და დიდი მიწისაგან მოწყვეტა ჩემს კომპანიონებში არავითარ ემოციებს არ იწვევს-ისინი ასე ადვილად არ ამზეურებენ თავიანთ გრძნობებს!

მხოლოდ მაშინ, როცა უკვე საკმაოდ შეეედით ზღვაში, კუიკ- კუიკი ჩვეულებრივი ხმით გვამცნობს:

– კარგად გაეედით!

ცალხელა ამატებს:

– ჰო, ზღვაში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოეხვდით!

– მწყურია, კუიკ-კუიკ, ცოტა ტაფია დამისხი.

ჩემ შემდეგ ისინიც დიდი ყლუპებით სვამენ.

კომპასი არ მაქვს, მაგრამ პირველი გაქცევის დროს ნავის მართვა მზის, მთვარის, ვარსკვლავებისა და ქარის მიხედვით ვისწავლე. უყოყმანოდ ვუმიზნებ ანძას პოლარულ ვარსკვლავს და გაშლილი ზღვისკენ მივქრივარ. ნავი კარგად მემორჩილება. ძლიერი ქარის დახმარებით, გათენებისას უკვე საკმაოდ შორს ვარ. სახიფათო რომ არ იყოს, კუნძულებს მივადგებოდი და მათი ცქერით „დავტკბებოდი."

ექვსი დღის განმავლობაში მოუსვენარი, მაგრამ უნვიმო და უქარიშხლო ამინდი დგას. ქარმა მალე ძალიან შორს, დასავლეთისკენ გაგვიტაცა. კუიკ-კუიკი და ჰუ შესანიშნავი თანამგზავრები აღმოჩნდნენ: არასდროს წუწუნებენ არც ცუდ ამინდზე, არც სიცხეზე და არც ღამის სიცივეზე. საჭეს არც ერთი არ ეკარება და საშუალება არა მაქვს, რამდენიმე საათით მაინც ჩავთვლიმო. დღეში სამ-ოთხჯერ ამზადებენ საჭმელს. ქათმებმა მათ ხელში გაიარა. გუშინ კუიკს ხუმრობით ვეუბნები:

– ღორის ჯერი როდის მოვა?

უნდა გენახათ, როგორ შეწუხდა:

– ეს ცხოველი ჩემი მეგობარია და სანამ მას შესაჭმელად დაკლავდნენ, ჯერ მე უნდა მომკლან.

ჩემი მეგობრები ყველაფერში სიტყვის უთქმელად მემორჩილებიან. არ ეწევიან, რათა იმდენი ვაბოლო, რამდენიც მინდა; ცხელი ჩაიც მუდმივად მზად არის.

შვიდი დღეა, რაც ზღვაში ვართ. მეტი აღარ შემიძლია. მზე ისე აცხუნებს, რომ ჩემი ჩინუკელებიც კი კიბორჩხალებს დაემსგავსნენ. უნდა დავიძინო. აფრას სანახევროდ ვუშვებ და საჭეს უმოძრაოდ ვამაგრებ. ნავი ქარის ნებაზე მიდის. მკვდარივით მძინავს ოთხ საათს. უხეში შერყევა გულგახეთქილს მაღვიძებს. როცა სახეზე წყალს ვისხამ, გაკვირვებას ვერ ვმალავ – სანამ მეძინა, კუიკს გაეუპარსიყვარ, მე კი არაფერი გამიგია – ზეთიც კი ნაუსვამს!

გუშინდელი საღამოს აქეთ დასავლეთი – მეოთხედი სამხრეთის კურსი მიჭირავს, რადგან მგონია, რომ მეტისმეტად ჩრდილოეთით გავედი. ამ მძიმე ნავს, იმის გარდა, რომ თავი ზღვაში კარგად უჭირავს, ერთი უპირატესობაც აქვს: დერივაციას ძნელად ემორჩილება. შეხეთ, დირიჟაბლი! ჩემს სიცოცხლეში პირველად ეხედავ! არ ეტყობა, რომ ჩვენკენ მოდიოდეს. იმდენად შორს არის, რომ ზომებს ვერ ვარჩევთ. მის ალუმინის კორპუსზე არეკლილი სხივები თვალს გვჭრის. გეზს იცვლის, თითქოს ჩვენკენ მოდის. მართლაც, სწრაფად იზრდება და ოც წუთში უკვე ჩვენს თავზე კიდია. კუიკი და ცალხელა ისეთი გაკვირვებული არიან ამ „სიგარის“ დანახვაზე, რომ გაუთავებლად კაკანებენ ჩინურად.

– რა „გაახურეთ“, ფრანგულად ილაპარაკეთ! მეც გამაგებინეთ, რას ამბობთ!

– ინგლისური სოსისი! – ამბობს კუიკი.

– არა, მთლად ასე არ არის, დირიჟაბლია.

უზარმაზარი მანქანა ჩვენს თავზე ტრიალებს. დროშებით გამოდიან და რაღაც სიგნალებს იძლევიან. ჩვენ არაფერი გვესმის და ვერ ვპასუხობთ. დირიჟაბლი ჯიუტობს და უფრო დაბლა ეშვება. უკვე ადამიანებსაც ვარჩევთ. მერე ტრიალდება და, ალბათ, ხმელეთისკენ მიდის. ერთ საათზე ნაკლებხანში ჩვენს თავზე თეთმფრინავი ჩნდება.

ზღვა მოულოდნელად ფუჭდება და ქარიც ძლიერდება. ჰორიზონტი ყველა მხარეს განათებულია – ესე იგი ნვიმის საფრთხე არ არის.

– ხედავ? – ამბობს ცალხელა.

– საით?

– იქით, სადაც მიწა უნდა იყოს. ის შავი წერტილი, ეტყობა, გემია.

– რა იცი?

– ასე მგონია. იმასაც გეტყვი, რომ ეს კატერია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ბოლს არ უშვებს.

მართლაც, ერთი საათის შემდეგ ჩვენკენ მომავალ სამხედრო გემს ვამჩნევეთ. ეტყობა, დიდი სიჩქარით მოდის, რადგან სწრაფად იზრდება. მეშინია მეტისმეტად არ მოგვიახლოვდეს და ამ აღელვებულ ზღვაში არ ჩაგვძიროს.

როცა ჩვენ ირგვლივ დიდ წრეს აკეთებს და მთელი სიგრძით ჩნდება, ეკითხულობთ, რომ ეს საესკადრო ნაღმოსანი „ტარპონია“. კიჩოზე ინგლისური დროშა ფრიალებს. ჩვენკენ უკან-უკან მოდის და სიჩქარეში გვითანაბრდება. თეთრებში ჩაცმული ეკიპაჟი გემბანზეა გამოფენილი. ხმის გამაძლიერებლით ერთი ოფიცერი პასერელიდან გვიყვირის:

– Stop You stop!

– ჩამოუშვი აფრები, კუიკ!

ამას ორ წუთზე ნაკლებში ვაკეთებთ. თითქმის ვჩერდებით, მხოლოდ ტალღებს მივყავართ გვერდულად. ასე დიდხანს ვერ ვიქნები, რადგან უმართავი ნავი საშიშია. ორივე ხელს მეგაფონად ვიყენებ და ვყვირი:

– ლაპარაკობთ ფრანგულად, კაპიტანო?

გამაძლიერებელს მეორე ოფიცერი ართმევს:

– დიახ, კაპიტანო, ფრანგული მესმის!

– რა გნებავთ ჩვენგან?

– თქვენი ნავის მაღლა ამოტანა.

– არა, ეს ძალიან სახიფათოა, არ მინდა, დამიზიანოთ.

– ჩვენ სამხედრო სათვალთვალო გემი ვართ, უნდა დაგემორჩილდეთ.

– ეს ჩვენ არ გვეხება, ჩვენ არ ვომობთ.

– თქვენ ტორპედოიანი გემიდან გადარჩენილები არა ხართ?

– არა, ფრანგული კატორღიდან გამოვიქეცით.

– რა კატორღა? რას ნიშნავს კატორღა?

– ციხე, გამასწორებელი, ინგლისურად – Convict hard labour. ,

– აჰ, დიახ, დიახ, მესმის. კაიენა?

– ჰო, კაიენა.

– სად მიდიხართ?

– Britich Honduras.

– შეუძლებელია. იცურეთ სამხრეთი – მეოთხედი დასავლეთი და ჯორჯთაუნში შედით. დამორჩილდით, ეს ბრძანებაა!

– O. K. – კუიკს ვეუბნები, აფრები აღმართოს და გემის მიერ ნაჩვენები კურსით მივცურავთ. უკნიდან მოტორის ხმა გვესმის. გემიდან პატარა კატერი ჩამოუშვიათ, რომელიც მალე გვეწევა. კიჩოზე ერთი თოკგადაგდებული მეზღვაური დგას. გვისწორდება. მეზღვაური ერთი ნახტომით ჩვენს ნავში ხტება და კატერი უკან, გემისკენ მიდის.

– Good afternoon (შუადღე მშვიდობისა), – ამბობს მეზღვაური. ჩემსკენ მოდის და გვერდით მიჯდება, მერე საჭეს კიდებს ხელს და ნავის კურსს უფრო ჩრდილოეთისკენ მიმართავს. საჭის მართვას ვანდობ და ვაკვირდები, როგორ ირჯება. ეჭვი არ არის, გამოცდილია. ადგილს არ ვტოვებ – რა იცი, რა მოხდება!

– სიგარეტი?!

იღებს სამ კოლოფ ინგლისურ სიგარეტს და გვირიგებს.

– თავს დავდებ, – ამბობს კუიკი, რომ სიგარეტები ზუსტად წამოსვლის წინ მისცეს, რადგან ჯიბეში სამი კოლოფით არავინ სეირნობს.

კუიკის სიტყვებზე მეცინება, მერე ყურადღება ისევ ინგლისელ მეზღვაურზე გადამაქვს, რომელმაც ჩემზე უკეთ იცის ნავის მართვა. დრო საფიქრელად რამდენიც გინდა, იმდენი მაქვს. ამჯერად გაქცევა ბოლომდე გამომივიდა. თავისუფალი კაცი ვარ, თავისუფალი! ყელში სითბო მაწვება. ისიც კი მეჩვენება, რომ თვალები ცრემლით ამევსო. ეს რეალობაა – თავისუფალი ვარ, რადგან, რაც ომი დაიწყო, არც ერთი ქვეყანა გაქცეულებს არ აბრუნებს.

სანამ ომი დამთავრდება, დრო მექნება, პატივსაცემი კაცი გავხდე და გავარკვიო, რომელი ქვეყანა მიმიღებს საცხოვრებლად. ომის გამო, მე არჩევნის გაკე-

თება არ შემიძლია. არა უშავს, სადაც უნდა იყოს, შეეცდები, უმოკლეს დროში მოვიპოვო ხალხისა და ავტორიტარების ნდობა, ჩემი ვუსაყვედურო, უფრო მეტიც – სამაგალითო ცხოვრების წესით.

უშიშროების შეგრძნებამ ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვა სხვა გრძნობებზე და მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობ: „თერთმეტი წლის თავზე, გაიმარჯვე, პაპიონ! გმადლობ, ღმერთო! შეიძლება, ამის გაკეთება უფრო ადრე შეგეძლო, მაგრამ, რას გაუგებ შენს ზრახვებს! არ გსაყვედურობ, რადგან შენი წყალობით მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, ჯანმრთელი და თავისუფალი!"

ამ ფიქრებში ვარ, როცა მეზღვაური ხელს იშვერს და მეუბნება:

– მიწა!

თექვსმეტ საათზე, მას შემდეგ, რაც ჩამქრალ შუქურას ჩავუარეთ, უზარმაზარ მდინარეში – Demerara River- ში შევდივართ. ის კატერი ისევ მოდის. მეზღვაური საჭეს აბრუნებს და ქიმთან დგება. შემდეგ მსხვილ თოკს ჰაერში იჭერს და წინა სკამზე აბამს. ჩვენს აფრებს უშვებს და კატერს გამობმულები, ამ ყვითელ მდინარეს ოციოდე კილომეტრით აღმა მიყვებით. კრეისერი ორას მეტრში მოგვაცილებს. ერთ-ერთი მოსახვევის შემდეგ დიდი ქალაქი ჩნდება:

– ჯორჯთაუნი, – ამბობს ინგლისელი მეზღვაური.

მართლაც, ინგლისური გვიანის დედაქალაქში შევდივართ. ირგვლივ უამრავი სატვირთო გემი, კატერი და კრეისერია. ნაპირზე ქვემეხები დაუდგამთ. როგორც საზღვაო შენაერთებზე, ისე მიწაზე – მთელი არსენალია.

უკვე ორი წელია, რაც ომი დაიწყო და აქამდე არ შემიგრძვნია. ჯორჯთაუნი, ინგლისური გვიანის დედაქალაქი – მნიშვნელოვანი პორტი Demerara River-ზე – საომარ მდგომარეობაშია. სამხედრო მისადგომამდე მივცურეთ. ამავდროულად კრეისერიც მოდის და ღუზას უშვებს. კუიკი თავის ღორით, ჰუ – პატარა ბოხჩით და მე – ხელცარიელი, – ბაქანზე ავდივართ. აქ სამოქალაქო პირს ვერ ნახავთ, მხოლოდ მეზღვაურები და სამხედროები არიან. ერთი ოფიცერი გვიახლოვდება. ეს ის არის, ვინც წეღან ფრანგულად მელაპარაკა. ხელს თავაზიანად მიწვდის და მეკითხება:

– ჯანმრთელად ხართ?

– დიახ, კაპიტანო.

– ძალიან კარგი. მიუხედავად ამისა, სამედიცინო შემოწმება მაინც უნდა გაიაროთ. რამდენიმე ნემსია გასაკეთებელი. ეს თქვენს ორ მეგობარსაც ეხება.

მეთორმეტე რვეული

ჯორჯთაუნი

ნაშუადღევს, რამდენიმე აცრის შემდეგ, ქალაქის პოლიციის განყოფილებაში მივყავართ. მის დიდ შენობაში უამრავი პოლიციელი განუწყვეტლივ შედის და გამოდის. პოლიციის სუპერინტენდანტი, ამ მნიშვნელოვანი პორტის სიმშვიდის პირველი პასუხისმგებელი პირი, თავის კაბინეტში გვიღებს. გარს კაკის სუფთა შორტებში გამოწყობილი, თეთრწინდებიანი ინგლისელი ოფიცრები ახვევია. პოლკოვნიკი მის წინ დაჯდომას გვანიშნებს და სუფთა ფრანგულით გვეკითხება:

– საიდან მოდიოდით, როცა ზღვაში შეგამჩნიეს?

– საფრანგეთის გვიანის კატორღიდან.

– თუ შეიძლება, ზუსტად დამისახელეთ ის ადგილები, საიდანაც გამოიქეცით.

– მე კუნძულ დიაბლიდან, სხვები – ნახევრად პოლიტიკურ ბანაკ ინინიდან. ეს კურუს მახლობლადაა, საფრანგეთის გვიანაში.

– რა სასჯელი გქონდათ?

– სამუდამო.

– რისთვის?

– მკვლელობისათვის.

– ჩინელებს?

– მათაც მკვლელობისათვის.

– სასჯელი?

– სამუდამო.

– რა პროფესიის ხართ?

– ელექტრიკოსი.

– ისინი?

– მზარეულები.

– თქვენ დე გოლისკენ ხართ, თუ პეტენისკენ?

– ამისი არაფერი გაგვეგება. ჩვენ პატიმრები ვართ, რომლებიც თავისუფლებასა და პატიოსან ცხოვრებაში დაბრუნებას ვცდილობთ.

– საკანს გამოგიყოფენ, რომელიც დღე და ღამე ღია იქნება. მაშინ გაგათავისუფლებთ, როცა თქვენს ნათქვამს გადავამოწმებთ. თუ სიმართლე თქვით, ნურაფრის გეშინიათ. გაგვიგეთ, რომ ომია და ვალდებულები ვართ, უფრო მეტი სიფრთხილის ზომები მივიღოთ, ვიდრე სხვა დროს.

მოკლედ, რვა დღის შემდეგ გვათავისუფლებენ. ეს დრო შესაფერისი ტანისამოსის საშოვნელად გამოვიყენეთ. ამგვარად, ერთ დღეს, დილის ცხრა საათზე, კარგად ჩაცმულები, ჯიბეში ფოტოსურათიანი პირადობის მოწმობებით, ქუჩაში ვართ.

ქალაქში რომელშიც 250 000 კაცი ცხოვრობს მხოლოდ ინგლისურ ყაიდაზე აშენებული ხის სახლებია, ბეტონის ქვედა სართულით. ქუჩები და პროსპექტები ყველა რასის ხალხით არის სავსე: თეთრებით, ზანგებით, ინდუსებით, ინგლისელი და ამერიკელი მეზღვაურებით. ამ არეულ ბრბოში მთვრალებივით დავდივართ. ეტყობა, სახეზე ბედნიერება გვაწერია, რადგან ბევრი გვიყურებს და თავაზიანად გვიღიმის.

– სად მივდივართ? – კითხულობს კუიკი.

– ერთმა პოლიციელმა ორი ფრანგის მისამართი მომცა Dtmtrara Rivers-ში.

როგორც გვიხსნიან, ამ კვარტალში მხოლოდ ინდუსები ცხოვრობენ. მივდივარ თეთრებში გამოპრანჭულ ერთ პოლიციელთან. ვუჩვენებ მისამართს. სანამ გვიპასუხებდეს, პირადობის მოწმობებს გვთხოვს. ამაყად ვუნვდით.

– ძალიან კარგი, გმადლობთ, – ამბობს ის, მაშინ არ იზარებს და ერთ ტრამვაიში გვსხამს. მანამდე კონდუქტორს რაღაცას ელაპარაკება. ქალაქის ცენტრიდან გავდივართ და ოცი წუთის შემდეგ კონდუქტორი გვანიშნებს, ჩავიდეთ – ეტყობა, აქ არის. გამვლელებს ვეკითხებით:

– Frenchmen?

ერთი ჭაბუკი გვანიშნებს, წავყვეთ. მიეყავართ პატარა სახლთან. მიახლოებისთანავე, შიგნიდან სამი კაცი გამოდის და გვესალმება:

– როგორ ხარ, პაპი?

– შეუძლებელია! – ამბობს მათ შორის უფრო მოხუცი, გათეთრებული თმებით, – შემოდი, აქ ჩემს სახლში ხარ. ის ჩინელებიც შენთან არიან?

– კი.

– შემოდით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

ამ ბებერ კატორღელს გიტუ ოგიუსტი ჰქვია, მეტსახელად გიტუ. მკვიდრი მარსელელია. ცხრა წლის წინ, 1933-ში, მარტინიერით ჩემთან ერთად ჩამოვიდა. მეუბნება, რომ ერთი ჩაშლილი გაქცევის შემდეგ, როგორც იქნა, ძირითადი სასჯელისაგან გათავისუფლდა და მერე, სამი წლის წინ გამოიქცა. მეორე და მესამე – არლელი პეტი ლუი და ტულონელი ჟულო არიან. ისინიც, გათავისუფლების შემდეგ, იძულებულნი იყვნენ, გვიანაში იმდენივე ხანს დარჩენილიყვნენ, რამდენიც მოიხადეს (ამას დუბლაჟი ჰქვია), მაგრამ, გამოქცეულან.

სახლში ოთხი ოთახია: ორი საძინებელი, ერთი სამზარეულო-სალონი და სახელოსნო. ისინი balata-საგან ფეხსაცმელს ამზადებენ. ეს ერთგვარი ბუნებრივი კაუჩუკია, რომელსაც ტევრში აგროვებენ. თუ ცხელი წყლით დაამუშავებ, ფორმას ადვილად იღებს. ერთდერთი ნაკლი ის აქვს, რომ მზეზე დიდხანს დატოვებისას დნება, რადგან ვულკანიზებული არ არის. ამას შრეებს შორის ტილოს ნაჭრების ჩადებით ანაზღაურებენ.

ეს ხალხი იმ კეთილი გულით გვიღებს, როგორიც ყველა ტანჯვაგამოვლილ კაცს გააჩნია. ერთი პრობლემა გვაქვს – კუიკის ღორი. კუიკი თავდებობს, რომ სახლს არ მოსვრის, რადგან მიჩვეულია, საჭიროებისთვის გარეთ გავიდეს.

– კარგი, ვნახოთ, ჯერჯერობით დატოვე, – ამბობს გიტუ.

სამი ჯარისკაცური ლეიბისაგან იატაკზე დასაწოლს ვაწყობთ. ყველანი კარის წინ ვსხედვართ, ვაბოლებთ და გიტუს ცხრა წლის თავგადასავალს ეუყვები. სამივე ყურდაცქვეტილი მისმენს და ჩემს ფათერაკებს ისევე განიცდიან, როგორც მე, რადგან ყველაფერს საკუთარი გამოცდილებიდან იცნობენ. ორი მათგანი სილვენს იცნობდა და გულწრფელად წუხან. ჩვენ წინ სხვადასხვა რასის ხალხი მიდი-მოდის. დროდადრო ვიღაც შემოდის და ფეხსაცმელს ან ცოცხს ყიდულობს – ესენი თავის სარჩენად ცოცხებსაც ამზადებენ. მათგან ვიგებ, რომ ჯორჯთაუნში ორმოცდაათამდე გამოქცეული ცხოვრობს. ისინი ღამღამობით, ქალაქის ცენტრში, ერთ ბარში იკრიბებიან, სადაც ერთად სვამენ რომს ან ლუდს. თავს ყველა მუშა-

ობით ირჩენს და კარგად იქცევიან.

სანამ სიცხეში შეფარებულები ვსაუბრობთ, კუიკი ვიღაც გამვლელ ჩინელს ეხმაურება, მერე სიტყვის დაუტოვებლად მიჰყვება. ეტყობა, შორს არ მიდიან, რადგან ღორი უკან მისდევს. ორი საათის შემდეგ, კუიკი ვირშებმული პატარა საზიდრით ბრუნდება. მედიდურად შემოჰყავს ეზოში, თან ვირს ჩინურად ელაპარაკება. ცხოველს ისეთი იერი აქვს, თითქოს ესმის, რასაც ეუბნებიან. ურიკაში რკინის სამი დაშლილი საწოლია, სამი ლეიბი, ბალიშები და სამი ჩემოდანი. ის, რომელსაც მე მაძლევს, პერანგებითა და საცვლებით არის სავსე. ამას დაუმატეთ ორი წყვილი ფეხსაცელი, ყელსახვევები და ასე შემდეგ.

– სად იშოვე ესენი, კუიკ?

– ჩემმა თანამემამულეებმა მომცეს. ხვალისთვის დაგვპატიჟეს, წამოხვალ?

– რა თქმა უნდა.

გვგონია, კუიკი საზიდარსა და სახედარს უკან წაიყვანდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად – ვირს ხსნის და ეზოში აბამს.

– ესენიც მაჩუქეს, მითხრეს, რომ თავს ამით ადვილად ირჩენთო. ხვალ დილით ერთი თანამემამულე გამომივლის და ამხსნის, როგორ.

– ჩინელები დროს არ კარგავთ!

გიტუ თანახმაა, ვირი და ურიკა ჯერჯერობით ეზოში დატოვოს. თავისუფლების პირველი დღის კვალობაზე ყველაფერი კარგად მიდის. სამუშაო მაგიდაზე გაშლილ სუფრას ვუსხდებით და ჟულოს მიერ მომზადებულ ბოსტნეულის გემრიელ სუპსა და სპაგეტის ვჭამთ.

– ჭურჭელს რიგრიგობით დავრეცხავთ და სახლსაც დავასუფთავებთ, – ამბობს გიტუ.

ეს ტკბილი ვახშამი პატარა თემის შექმნის პირველი სიმბოლოა. იმის შეგრძნება, რომ თავისუფლების პირველი ნაბიჯების გადადგმაში გვეხმარებიან, დიდად გვამხნევებს. კუიკი, ცალხელა და მე თავს ბედნიერად ვგრძნობთ: გვაქვს ჭერი, საწოლი; გვყავს დიდსულოვანი მეგობრები, რომლებიც იმდენად კეთილშობილები არიან, რომ, სიღარიბის მიუხედავად, დახმარების ხელს გვიწვდიან. სხვა რაღა უნდა ისურვო!

– რას აპირებ ამ საღამოს, პაპიონ? – მეკითხება გიტუ, – გინდა, ცენტრში ჩავიდეთ, იმ ბარში, სადაც გამოქცეულები იკრიბებიან?

– ამაღამ მირჩევნია, სახლში დავრჩე. თუ გინდა, შენ წადი, ჩემზე ნუ შეწუხდები.

– ჰო, წავალ, კაცი მყავს სანახავი.

– მე კუიკთან და ცალხელასთან დავრჩები.

პეტი-ლუი და გიტუ იცვამენ, იპრანჭებიან და მიდიან. მხოლოდ ჟულო რჩება რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელის დასამთავრებლად. მე და ჩემი ამხანაგები ახლომდებარე ქუჩებში გავდივართ, რათა კვარტალი გავიცნოთ. აქ ყველაფერი ინდუსურია. ცოტა შავები, იშვიათად – თეთრები, რამდენიმე ჩინური რესტორანი.

ამ კვარტალს Penitens Rivers ჰქვია და ინდუსების უბანია. თეთრწვერა მოხუცები და ძალიან ლამაზი ქალიშვილები გვხვდებიან. ყველა გრძელ კაბას ატარებს. ბევრი ფეხშიშველი დადის. ღარიბი კვარტალი კია, მაგრამ თითოეულს სუფთად აცვია. ქუჩები ცუდად არის განათებული. ბარები ხალხითაა სავსე. ირგვლივ მხოლოდ ინდური მუსიკა ისმის.

ერთი სიგარასავით შავი, თეთრებში ჩაცმული კაცი მაჩერებს:

– თქვენ ფრანგი ხართ, მესიე?

– დიახ.

– მსიამოვნებს თანამემამულესთან შეხვედრა. გთხოვთ, ერთ ჭიქაზე დამენვიოთ.

– სიამოვნებით, მაგრამ ორ მეგობართან ერთად ვარ.

– არა უშავს. ისინი ფრანგულად ლაპარაკობენ?

– დიახ.

აი, ჩვენ უკვე ტროტუარზე გამოდგმულ მაგიდას ვუსხედვართ. ეს მარტინიკელი ფრანგულს ჩვენზე დახვეწილად ლაპარაკობს. გვაფრთხილებს, ინგლისელ შავებს არ ვენდოთ. ისინი, გამონაკლისის გარეშე, მატყუარები არიან: „ჩვენ, ფრანგებს არ გვგვანან – ჩვენ სიტყვის შენახვა ვიცით, იმათ კი – არა."

გულში მეცინება ამ ტამბუქტუელის სიტყვებზე: „ჩვენ, ფრანგები", და, მაინც, გაოგნებული ვარ – ეს მესიე უფრო ფრანგია, ვიდრე მე, რადგან თავის ეროვნებაზე უფრო სითბოთი და რწმენით ლაპარაკობს. მას შეუძლია, საფრანგეთისთვის თავი გაანიროს, მე კი – არა. ამრიგად, ის უფრო ფრანგია, ვიდრე მე.

– მსიამოვნებს, თანამემამულეს შევხვდე და ჩემს ენაზე ვილაპარაკო, რადგან ინგლისური თითქმის არ ვიცი.

– მე კი პირიქით, სუფთად ვლაპარაკობ. თუ გამოგადგებით, თქვენს განკარგულებაში ვარ. დიდი ხანია, რაც ჯორჯთაუნში ხართ?

– ხუთი დღე იქნება.

– საიდან მოდიხართ?

– საფრანგეთის გვიანიდან.

– შეუძლებელია! გამოქცეული ხართ თუ ზედამხედველი, ვისაც დე გოლისკენ გადასვლა უნდა?

– არა, გამოქცეული ვარ.

– ესენი?

– აგრეთვე.

– მესიე ანრი, თქვენი წარსული არ მაინტერესებს, მაგრამ ახლა ის დროა, როცა საფრანგეთს დახმარება სჭირდება და ამით თავის გამოსყიდვის საშუალება გეძლევათ. მე დე გოლის მხარეს ვარ და ინგლისისკენ მიმავალ გემს ველოდები. მობრძანდით ხვალ Martiner Clab-ში, აი მისამართი. ბედნიერი ვიქნები, თუ შემოგვიერთდებით.

– რა გქვიათ?

– ჰომერი.

– ბატონო ჰომერ, გადაწყვეტილებას ასე უცებ ვერ მივიღებ. ხუმრობა ხომ არ არის! ჯერ ჩემს ახლობლებზე ცნობები უნდა შევაგროვო. სხვა რამაც არის გასაანალიზებელი. გულახდილად გეტყვით, ჰომერ, საფრანგეთმა დიდი ტანჯვა მომაყენა, არაადამიანურად მომექცა.

მარტინიკელი ყველანაირი სიტყვებით ცდილობს, დამარწმუნოს. აღელვებული ვუსმენ სიკვდილის პირას მყოფი საფრანგეთის სასარგებლო არგუმენტებს. სახლში ძალიან გვიან ვბრუნდებით. ვწევარ და იმ დიდი ფრანგის ნათქვამზე ვფიქრობ. მის წინადადებაზე სერიოზულად უნდა ვიფიქრო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პოლიციელები, მაგისტრები, გამასწორებლის ადმინისტრაცია – საფრანგეთი არ

არის. ვგრძნობ, რომ გულში ჩემი ქვეყნის სიყვარული არ გამნელებია; ხოლო იმის გაფიქრება, რომ ფრიცები მთელ საფრანგეთში არიან! – ღმერთო, როგორ უნდა იტანჯებოდნენ ჩემიანები და რა სირცხვილშია ჩავარდნილი საფრანგეთი!

როცა ვიღვიძებ, აღარც ვირია, აღარც საზიდარი, აღარც ღორი და აღარც ჩინელები.

– აბა, როგორ გეძინა? – მეკითხებიან გიტუ და მისი მეგობრები.

– კარგად, გმადლობთ.

– რძიანი ყავა გინდა თუ ჩაი? აი ყავა და კარაქწასმული პურები.

– მადლობა. – ვჭამ და ვუყურებ, როგორ მუშაობენ. ჟულო ბალატას ცხელ წყალში რბილ გუნდად აქცევს, პეტი-ლუი ზომაზე ჭრის და გიტუ ფეხსაცმელს ამთავრებს.

– ბევრს ანარმოებთ?

– არა. იმდენს ვმუშაობთ, რომ დღეში ოცი დოლარი გავაკეთოთ: ხუთს საცხოვრებელსა და საკვებში ვიხდით. ხუთ-ხუთი – ჯიბის ფულად და ჩაცმა-დახურვისათვის გვრჩება.

– საღდება?

– არა. ზოგჯერ იძულებული ვხდებით, რომელიმე ჩვენგანი ფეხსაცმელებისა და ცოცხების გასაყიდად ჯორჯთაუნის ქუჩებში გავიდეს. ძნელია მზის გულზე ამის გაკეთება, მაგრამ, რას იზამ!

– თუ გინდათ, ამას მე გავაკეთებ. პარაზიტობა არ მჩვევია. მეც მინდა მივიღო მონაწილეობა სარჩოს შოვნაში.

– კარგი, პაპი.

მთელ დღეს ჯორჯთაუნის ინდუსურ კვარტალში დავდივარ. კინოს დიდი აფიშის დანახვაზე დაუოკებელი სურვილი მიპყრობს, ცხოვრებაში პირველად, ხმოვანი და ფერადი ფილმი ვნახო. ამ საღამოს გიტუს შევეხვეწები, წამიყვანოს. Penitena Rivers-ის ყველა ქუჩა მოვიარე. ამ ხალხის ორი თვისება მომწონს: სისუფთავე და თავაზიანობა. ჯორჯთაუნში გატარებული ამ დღის შთაბეჭდილება უფრო ძლიერია, ვიდრე ეს ერთი წლის წინ, ტრინიდადში იყო.

ტრინიდადში არ მშორდებოდა შეგრძნება, რომ ორ, მაქსიმუმ სამ კვირაში ზღვაში უნდა გავსულიყავი. როგორი იქნებოდა ის ქვეყანა, რომელიც მიმიღებდა? გამოჩნდებოდა ერი, ვინც თავშესაფარს მომცემდა? როგორი მომავალი მექნებოდა? აქ კი სულ სხვაა – მე საბოლოოდ თავისუფალი ვარ და, თუ მოვინდომებ, ინგლისშიც კი წავალ და საფრანგეთის თავისუფალ ძალებში ჩავეწერები. როგორ მოვიქცე? დე გოლთან რომ წავიდე, ხომ არ იტყვიან – იმიტომ ჩამოვიდა, არ იცოდა, სად შეტენილიყოო? ის ხალხი ისე ხომ არ მომექცევა, როგორც კატორღელს, რომელმაც სხვა გასაქცევი ვერ ნახა და ამიტომ აღმოჩნდა მათ გვერდით? ამბობენ, რომ საფრანგეთი ორად არის გაყოფილი – პეტენის და დე გოლის საფრანგეთებად. თუ ერთ დღეს საფრანგეთის თავისუფალ ძალებში მოვხდები, მოგვიანებით ხომ არ მომიწევს ფრანგებს ვესროლო?

ძნელია აქ ასეთი მძიმე გადაწყვეტილების მიღება. გიტუ, ჟულო და პეტი-ლუი გიჟები სულაც არ არიან, რომ დღეში ხუთი დოლარისათვის მუშაობენ. ჯერ თავისუფლებაში ცხოვრება უნდა ვისწავლო. 1931 წლიდან (ახლა 1942 წელია) პატიმარი ვარ. ვერ შევძლებ, ყველა უცნობი პრობლემა გადავჭრა. თითი არასდროს გამი-

ნძრევია. ცოტა ელექტრომექანიკოსობა ვიცი – ამ დარგის ყველაზე უცოდინარიც კი მაჯობებს. თავს მხოლოდ ერთი რამ უნდა აღეუთქვა: ვიცხოვრო სუფთად, სულ მცირე – ჩემი მორალის მიხედვით მაინც.

სახლში თექვსმეტ საათზე ებრუნდები.

– აბა, პაპი, როგორია თავისუფლების პირველი პაერი? კარგად ისეირენე?

– ჰო, გიტუ, გარეუბნის ყველა ქუჩაზე რამდენჯერმე გავიარე.

– შენი ჩინელები ნახე?

– არა.

– ეზოში არიან. მარიფათი არ აკლიათ. უკვე ორმოცი დოლარი უშოვიათ. ოცს მთავაზობდნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, უარი ეუთხარი. ნადი, ნახე.

კუიკი ღორისთვის კომბოსტოს ჭრის.

– როგორა ხარ, პაპიონ?

– კარგად. თქვენ?

– ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ, ორმოცი დოლარი გავაკეთეთ.

– როგორ?

– დილის სამ საათზე იმ ჩემი თანამემამულის თანხლებით სოფელში წავედით. მან ორასი დოლარი ნამოიღო. ვიყიდეთ პომიდორი, სალათები, ბადრიჯანი – მოკლედ, ყოველგვარი ახალი ბოსტნეული. დავამატეთ რამდენიმე ქათამი, კვერცხები და თხის რძე. მერე წავედით ბაზარში, რომელიც პორტის ახლოსაა და ყველაფერი აქაურ ხალხსა და ამერიკელ მეზღვაურებს მივყიდეთ. მეზღვაურები ფასით ისე კმაყოფილნი დარჩნენ, რომ ხვალ ბაზარში არ შევალთ: მათ მითხრეს, პორტის შესასვლელში დაველოდო, და ყველაფერს შეიძენენ. აი ფული, აიღე, შეფი შენ ხარ და შენთან უნდა ინახებოდეს.

– კარგად იცი, კუიკ, რომ ფული მაქვს და მეტი არ მჭირდება.

– აიღე, თორემ აღარ ვიმუშავებთ.

– მომისმინე, ეს ფრანგები დღეში დაახლოებით ხუთი დოლარით ცხოვრობენ. ჩვენც სულზე ხუთ-ხუთი დავდოთ. დანარჩენი იმ ორასი დოლარის გასასტუმრებლად გადაეინახოთ.

– გასაგებია.

– ხვალ მეც გამოგყვებით.

– არა, ძილს ნუ დაიფრთხობ. თუ გინდა, დილის შვიდ საათზე პორტის დიდი კარის წინ დაგვხვდი.

– ეგრე იყოს.

ყველა გახარებული ვართ: ჩვენ – იმის შეგრძნებით, რომ თავის რჩენა შეგვიძლია და ტვირთად არავის დავაწვებით; გიტუ და მისი მეგობრები კი იმით, რომ ასე მოკლე დროში ამგვარი მარიფათი გამოვიჩინეთ.

– ამ მოვლენას აღნიშვნა უნდა. ორ ლიტრ პასტისს მოვამზადებ.

ჟულო მიდის და მალე შაქრის ლერწმის სპირტითა და სანოვაგით ბრუნდება. ერთი საათის შემდეგ პასტისს ისევე ვსვამთ, როგორც მარსელში. ალკოჰოლის წყალობით მალე ხმამაღლა ვლაპარაკობთ და ბედნიერად ვიცინით. ინდუსი მეზობლები ხვდებიან, რომ ფრანგები ქეიფობენ და და მოურიდებლად გვიერთდება. სამი მამაკაცი და ორი ძალიან ლამაზი ქალიშვილი. მათ წიწაკამოყრილი ქათმისა და ღორის ხორცის შამფურზე ასხმული მწვადები მოაქვთ. ყველას თეთრები აცვია

და ფეხშიშველები არიან. ქალებს მარცხენა კოჭთან ვერცხლისფერი სარტყელები უკეთიათ. გიტუ მეუბნება:

– ფრთხილად იყავი, ესენი ქალწულები არიან. გამჭვირვალე ქსოვილის ქვეშ ღია მკერდმა არ შეგაცდინოს და ზედმეტი სიტყვა არ უთხრა. მე ამისთვის ბებერი ვარ, ჟულომ და პეტი-ლუიმ კი, ერთხელ, ახალი ჩამოსულები რომ ვიყავით, სცადეს, მაგრამ ჩაფლავდენენ. იმის შემდეგ გოგონები დიდხანს აღარ გამოჩენილან.

ამ ორ ინდუს ქალიშვილს შუბლის შუაში დახატული წერტილები უცნაურ იერს აძლევს. თავზიანად გველაპარაკებიან და ჩემი კოჭლი ინგლისურით ვიგებ, რომ ჯორჯთაუნში კეთილ მობრძანებას გვისურვებენ.

ამ ღამით მე და გიტუ ქალაქის ცენტრში ვაედით. იტყვი, სხვა ცივილიზაციააო. აქაურობა ხალხით არის გაჭედილი: თეთრები, შავები, ინდუსები, ჩინელები, სამხედრო ფორმიანი ჯარისკაცები და მეზღვაურები. თუმცა, ზოგიერთ მეზღვაურს სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია. ბარების, რესტორნების, კაბარეებისა და სამიკიტნოების რეკლამები ქუჩებს დღესავით ანათებს.

ხმოვანი და ფერადი ფილმის სიცოცხლეში პირველად ნახვის შემდეგ, ჯერ კიდევ გაბრუებული, გიტუს იმ ბარში მივყვები. უზარმაზარ დარბაზში ოცზე მეტ ფრანგს ერთი კუთხე უკავია. სვამენ Cubas Libres-ს (სპირტისა და „კოკა-კოლას“ ნაზავი).

ყველა კატორღიდან გამოქცეულია: ერთნი „დუბლაჟიდან“ გამოიქცნენ, სხვები კი გათავისუფლდნენ, მაგრამ გაუჭირდათ გვიანაში თავის რჩენა, შიმშილით იხოცებოდნენ; ამას გარდა, არც გვიანელები და არც მათი ოფიციოზი კარგი თვალით არ უყურებდა და ამიტომ აქ წამოსვლა არჩიეს. მიყვებიან, რომ არც აქ ულხინთ.

– მე „ჯონ ფერნანდესთან“, ტეერში, დღეში ორნახევარ დოლარად ხეებს ვჭრი. თვეში ერთხელ ჯორჯთაუნში რვა დღით დროის გასატარებლად ჩამოვდივარ. აღარ ვიცი, რა ვქნა.

– შენ?

– მე ტეერში პეპლებს ვაგროვებ. როცა სხვადასხვა ჯიშის საკმაო რაოდენობის პეპლას მოვაგროვებ, შუშისსახურავიან ყუთში ვაწყობ და ვყიდი.

ზოგი პორტში მტვირთავად მუშაობს. უსაქმოდ არავინ არის, მაგრამ ზუსტად იმდენს შოულობენ, რომ შიმშილით არ დაიხოცონ. – სამაგიეროდ თავისუფლები ვართ. ამისთვის ყველაფერს აიტან!

ამ საღამოს ჩვენთან ერთი ძველი გადასახლებული, ფოსარი მოდის. იგი ყველას სასმლით უმასპინძლდება. თურმე ბოქსიტებით დატვირთულ ერთ კანადურ გემზე მოხვედრილა, რომელიც ჩაუძირავთ. როგორც survibor-ს (გადარჩენილს), დაზღვევა მისცეს რადგან მაშინ თითქმის მთელი ეკიპაჟი დაღუპულა. ბედად, სამაშველო კანჭოს მოუსწრია. იგი გვიამბობს, რომ გერმანული წყალქვეშა ნავი ამოტივტივდა გვერდით და იქიდან კაცმა საუბარი გაგვიბაო. უკითხავს, ბოქსიტებით დატვირთული რამდენი გემი აპირებს ზღვაში გასვლასო. უპასუხიათ, რომ არ იცოდნენ. იმ კაცს უთქვამს: „გუშინ ჯორჯთაუნის ამა და ამ კინოში ვიყავი. აი, შესასვლელი ბილეთის ნახევი, – მერე ქურთუკი გაუხსნია და დაუმატებია: „ეს კოსტიუმი ჯორჯთაუნში ვიყიდე.“ ზოგს არ სჯერა და ამბობს, რომ ეს ამბავი ბლეფია, მაგრამ ფოსარი არ თმობს და ამტკიცებს, თითქოს გერმანელმა ისიც კი უთხრა, რომელი გემი მოვიდოდა მათ გადასარჩენად. მართლაც ის გემი მოსულა.

თითოეული თავის ამბავს ყვება. მე გიტუს გვერდით, ერთ მოხუც პარიზელთან

ვზივარ. პეტი-ლუი, ლომბარდის ქუჩიდან – ასე გამეცნო მოხუცი.

– ძმაო პაპიონ, მოფიქრებული მქონდა, როგორ მეცხოვრა აქ უშრომლად: როცა რომელიმე ამათი გაზეთის რუბრიკაში „მოკვდა მეფისა თუ დედოფლისათვის" – რა ვიცი, როგორ ჰქვია-ვინმე ფრანგის სახელი გამოჩნდებოდა, მივდიოდი და საფლავის ქვის ფოტოს ვაკეთებინებდი, რომელზეც ვანერინებდი გემის სახელს, ადგილს, სადაც ჩაძირეს და დაღუპული ფრანგის გვარს. მერე ინგლისელების მდიდრულ ვილებში დავდიოდი და ვაცხადებდი, რომ მათი დახმარება იყო საჭირო, რათა ინგლისისთვის დაღუპული ფრანგისათვის სვეტი აეგოთ. ამ ბოლო კვირამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ ერთი მკვდრად მიჩნეული მაიმუნი ბრეტონელი საღსალამათი არ გამოჩნდა. იმანაც ზუსტად იმ ხალხს სთხოვა დახმარება, ვისაც მისი საფლავისათვის ხუთ-ხუთი დოლარი გამოვართვი. მთელი ამბავი ატეხა და ყვიროდა, რომ მე არავისთვის მარმარილოს სვეტი არ დამიდგამს. ახლა თავის რჩენის სხვა საშუალება უნდა მოვძებნო, რადგან, ასაკში ვარ და მუშაობა აღარ შემიძლია.

Cubas Libres-ის დახმარებით, თითოეული უნებურად ხმამაღლა გამოთქვამს თავის აზრს.

– მე ბალატასაგან თოჯინებსა და ველოსიპედის სახელურებს ვაკეთებ, – ამბობს მეორე. საუბედუროდ, გოგონებს თოჯინები ხშირად ბაღში, მზეზე რჩებათ, რის გამოც სათამაშო დნება და ფორმას კარგავს. უნდა ნახო, რა დღეს დამანევენ ხოლმე. ერთი თვეა, რაც ქალაქის ნახევარში დღისით ველარ გამივლია. ველოსიპედებზეც იგივე ხდება: თუ მზეზე დატოვებენ, სახელურები უდნება და ხელები ზედ ეწებებათ.

– მე, – ამბობს სხვა, – ბალატისაგან მათრახებს ვაკეთებ ზანგი ქალის თავის დაბოლოებით. მეზღვაურებს ვეუბნები, რომ ელ-კებირის ზღვებიდან გადარჩენილი ვარ და ვალდებული არიან, შეიძინონ, რადგან მათი ბრალი არ არის, თუ ცოცხალი ვარ. ათიდან – რვა „ჭამს" და ყიდულობს.

ეს ისტორიები მართობს, მაგრამ, ამავე დროს, მახსენებს, რომ ძნელია მოიპოვო პური შენი არსობისა.

ერთი ტიპი ბარის რადიოს იღებს: დე გოლის მოწოდებას გადმოსცემენ. ყველა სულგანაბული უსმენს ამ ფრანგულ ხმას, რომელიც ლონდონიდან კოლონიებისა და ზღვის იქითა ფრანგებს მამაცობისა და ერთგულებისაკენ მოუხმობს. ხმას არავინ იღებს. ერთერთი კატორღელი, ალბათ Cubas Libres-ის გამო, დგება და მოგვმართავს:

– ეი, ბიჭებო! ერთი მოსმენით ვისწავლე ინგლისური, მესმის ყველაფერი, რასაც ეს „ჩერჩილი" ამბობს.

ვხარხარებთ. თავს არავინ იწუხებს, აუხსნას.

დიახ, თავის სარჩენად პირველი ცდები უნდა გავაკეთო. როგორც ვხედავ, ეს ადვილი არ იქნება. 1930-დან 1942-მდე მთლიანად დავკარგე საკუთარი თავის მართვის შეგრძნება. როცა კაცი პატიმარია, არ სჭირდება ჭამაზე, ბინაზე და ჩაცმაზე ფიქრი – მას მართავენ და თავის ნებაზე ატრიალებენ. აჩვევენ, თვითონ არაფერი გააკეთოს – მხოლოდ ბრძანებებს უნდა დაემორჩილოს – განსჯის გარეშე. როცა ასეთი კაცი უეცრად დიდ ქალაქში მოხვდება, აღმოაჩენს, რომ სიარული თავიდან უნდა ისწავლოს, ისე გადაკვეთოს ქუჩა, რომ ტრანსპორტს თავი

არ გააჭყლეტინოს; ბუნებრივად მიიჩნიოს, რომ მისი შეკვეთით მოართმევენ დასაღევსა და საჭმელს – ერთი სიტყვით, ამ კაცმა ცხოვრება ნულიდან უნდა დაიწყოს. ხანდახან უცნაური რეაქციები მაქვს: მაგალითად, ვზივარ ამ გათავისუფლებულ კატორღელებში და ყურდაცქვეტილი ვუსმენ მათ ისტორიებს. როცა ტუალეტში გასვლა მინდება, უნებურად, ამ ინგლისურ ბარში, თვალით ზედამხედველს ვეძებ, რათა ნებართვა ვთხოვო. ეს სულ რაღაც წამის მეოთხედს გრძელდება და როცა აზრზე მოვდივარ, ვხვდები, რა სულელური რამ გავიფიქრე: პაპიონ, ყველაფერი დამთავრდა, საპირფარეშოში გასასვლელად ნებართვა აღარ გჭირდება.

კინოშიც ასე მოხდა: ფარნიანი ქალი ჩვენთვის დასაჯდომ ადგილს ეძებდა, როცა თავში აზრმა გამიელვა მეთქვა: „გთხოვთ, ჩემთვის ნუ შეწუხდებით, ქალბატონო, მე მხოლოდ ერთი საბრალო პატიმარი ვარ და ამდენ ყურადღებას არ ვიმსახურებ.“ კინოდან ბარისკენ რომ მივდიოდით, რამდენჯერმე უკან მოვიხედე. გიტუმ იაზრა, რაც მემართება და დამიყვავა:

– რა წარა-მარა უკან იყურები? ამოწმებ, „ძაღლი“ აგეკიდა, თუ არა? აქ ბადრაგს რა უნდა, ჩემო საბრალო პაპი? შენ ისინი კატორღაში დატოვე.

კატორღელები ენაკვიმატობენ ხოლმე, რომ აუცილებელია „კატორღელის ქერქისაგან გაიფცქვნა.“ ტანსაცმელი მხოლოდ სიმბოლოა. უფრო მეტია საჭირო – სულიდან და ტვინიდან უნდა ამოიძირკვო შეურაცხყოფის შანთით ამომწვარი დამღა.

ბარში ინგლისური – შავი პოლიციელების პატრული შემოდის. პირადობის მოწმობებს თხოულობენ. მათი შეფი ჩვენს კომპანიაში მათი უფროსი თვითოეულ სახეს ყურადღებით აკვირდება. ერთ სიფათს ვერ ცნობს – ჩემსას.

– გთხოვთ, თქვენი პირადობის მოწმობა მაჩვენოთ, მესიე.

ვუწვდი. მათვალიერებს, მერე მიბრუნებს და მეუბნება:

– მაპატიეთ, აქამდე არ მინახავხართ. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯორჯთაუნში.

როცა პატრული გადის, პოლ სავოიელი ამბობს:

– ეს როსბიფები გადასარევი ხალხია. უცხოელებიდან მხოლოდ ჩვენ გვენდობიან – ყოფილ კატორღელებს. როგორც კი ინგლისელ მოხელეებს დაუმტკიცებ, რომ კატორღიდან ხარ გამოქცეული, მაშინვე თავს განებებენ.

მართალია, სახლში გვიან ვბრუნდებით, მაგრამ დილის შვიდ საათზე უკვე ნავსადგურის მთავარ შესასვლელში ვარ. ნახევარ საათში კუიკი და ცალხელა ალიონზე მოკრეფილი ბოსტნეულით სავსე საზიდარით ჩნდებიან. კვერცხები და რამდენიმე ქათამიც მოუყოლებიათ. ვეკითხები, სად არის ის კაცი, მათ დახმარება რომ აღუთქვა.

– უკვე გუშინ გვასწავლა, რაც უნდა გაგვეკეთებინა, საკმარისია, ახლა აღარავინ გვჭირდება.

– შორს იყავით?

– ჰო, ორსაათნახევარზე მეტია სავალი. დილის სამ საათზე წავედით და ახლა ვბრუნდებით.

კუიკი ისე იქცევა, თითქოს ოცი წელია, აქ იმყოფება. საიდანღაც მოაქვს ჩაი, ორცხობილა და, კლიენტების მოლოდინში, ტროტუარზე ჩამომსხდრები ვსაუზმობთ.

– გჯერა, რომ გუშინდელი ამერიკელები მოვლენ?

– იმედი მაქვს, მაგრამ, თუ ისინი არ გამოჩნდებიან, სხვებს მივყიდით.

– ფასს როგორ ადებ?

– არ ვეუბნები: „ეს ამდენი ღირს;" მხოლოდ ვეკითხები: „რამდენს მთავაზობ?"

– ინგლისური რომ არ იცი?

– მართალია, მაგრამ, სამაგიეროდ, თითებითა და ხელებით ახსნა მეხერხება, ძნელი არ არის.

– რაკი ეს ენა გეხერხება,.ამიერიდან შენ ივაჭრებ.

– ჯერ მინდა, გიყურო.

დიდხანს არ გვალოდინებენ. მოდის დიდი ჯიპი, command car. მძღოლის გარდა შიგ უმცროსი ოფიცერი და ორი მეზღვაური სხედან. ოფიცერი საზიდარზე ადის და ყველაფერს ათვალიერებს. თითოეულ კონას გულდასმით სინჯავს. მერე კითხულობს:

– რამდენი მოგცეთ ყველაფერში? – და ვაჭრობა იწყება.

ამერიკელი ცხვირში დუდღუნებს. ვერაფერს ვიგებ. კუიკი ჩინურნარევი ფრანგულით ბუყბუყებს. ვხვდები, რომ ესენი ერთმანეთს ვერ გააგებინებენ, ამიტომ კუიკი განზე გამყავს:

– სულ რამდენი დახარჯე?

ჯიბეებს იქექავს და ჩვიდმეტ დოლარს პოულობს.

– ას ოთხმოცდასამი დოლარი.

– რამდენს გთავაზობს?

– მე მგონი, ორას ათს, მუქთია.

ოფიცრისაკენ მივდივარ. მეკითხება, ელაპარაკობ, თუ არა ინგლისურად.

– ცოტა-ცოტას. ნელა ილაპარაკეთ.

– O.K.

– რამდენს იძლევით? არა, შეუძლებელია! ორას ათი დოლარი ცოტაა, ორას ორმოცი მოგვეცით.

უარზეა. გვაჩვენებს, რომ მიდის, მერე ბრუნდება, ვითომ ისევ მიდის და ჯიპში ჯდება, მაგრამ, ვგრძნობ, რომ ეს კომედიაა. მართლაც, უკან ჩამოდის. ამ დროს, საიდანღაც, ჩემი ორი მშვენიერი ინდუსი მეზობელი ქალიშვილი ჩნდება. სახეები სანახევროდ დაფარული აქვთ. ეტყობათ, შორიდან გვითვალთვალებდნენ, რადგან ისე იქცევიან, თითქოს არ გვიცნობდნენ. ერთ-ერთი მათგანი საზიდარზე ადის, საქონელს ათვალიერებს და გვეკითხება:

– რამდენად მოგვცემთ ყველაფერს?

– ორას ორმოც დოლარად, – ვპასუხობ მე.

– ვყიდულობთ.

ამის შემხედვარე ამერიკელი სასწრაფოდ აძრობს ორას ორმოც დოლარს, კუიკს ხელებში სჩრის და ინდუსებს ინგლისურად ეუბნება, რომ ყველაფერი უკვე გაყიდულია. ქალიშვილები არ მიდიან – უყურებენ, როგორ ტვირთავენ მეზღვაურები command car-ს. ბოლო წუთს ერთი მეზღვაური ღორსაც ეპოტინება, რადგან პგონია, ისიც იყიდება. კუიკი, რა თქმა უნდა, უარზეა. იწყება გაწევ-გამოწევა. ვერ ვახერხებთ, დავუმტკიცოთ, რომ ღორი არ იყიდება.

ვცდილობ, ეს ინდუს გოგონებსაც ავუხსნა, მაგრამ ისინიც ვერაფერს იგებენ. ამერიკელი მეზღვაური ღორს არ ანებებს, კუიკი ფულს ვერ ელევა. შეიძლება, ეს ჩხუბში გადაიზარდოს. ცალხელას უკვე საზიდრისთვის ფიცარი აუძვრია. ამ დროს

ამერიკული პოლიციის ჯიპი ჩნდება. ოფიცერი უსტვენს და Military Police ჩვენსკენ მოდის. კუიკ-კუიკს ეურჩევ, ფული დაუბრუნოს. არაფრის გაგონება არ უნდა. არც მეზღვაურები უშვებენ ბურვაკს ხელიდან. კუიკი მათი ჯიპის წინ დგას და წასვლის საშუალებას არ აძლევს. ცნობისმოყვარეები გროვდებიან. პოლიცია ამერიკელებს ამშვიდებს. ჩვენს ბლუკუნს ვერც ისინი იგებენ. დარწმუნებული არიან, რომ მეზღვაურების გაცურება გვინდოდა.

უკვე აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, როცა Mariner club-ის ტელეფონის ნომერი მახსენდება. პოლიციის ოფიცერს ვაძლევ და ვეუბნები: „თარჯიმანი." მივყავარ ერთ ტელეფონთან. ვრეკავ და, ბედად, ჩემი გოლისტი მეგობარი მპასუხობს. ვთხოვ, პოლიციელს აუხსნას, რომ ღორი არ იყიდება; რომ კუიკს იგი ძალლივით ჰყავს მოთვინიერებული და რომ დაგვავიწყდა ეს მეზღვაურებისათვის გვეთქვა. მერე ყურმილს პოლიციელს ვუწვდი. სამ წუთში იგი ყველაფერს ხვდება. თავისი ხელით იყვანს ღრუტუნას და კუიკს უბრუნებს. ისიც, გახარებული, საზიდარზე სვამს. ინციდენტი ამოწურულია და ყველა ბავშვივით იცინის. ხალხი იშლება.

საღამოს მადლობას ვუხდი ინდუს გოგონებს. სიცილით იხოცებიან.

***

სამი თვეა, რაც ჯორჯთაუნში ვართ. დღეს ჩვენს მეგობრებს სტუმართმოყვარეობისათვის მადლობა გადავუხადეთ და მეზობელი ინდუსების სახლის ერთი ნახევარი დავიკავეთ. ჩვენს სახლს, როგორც კუიკი ამბობს, აქვს ორი ფართო და ნათელი ოთახი: სასადილო და პატარა სამზარეულო, ხის ნახშირის ღუმელით. დიდი ეზოს ერთ გადახურულ კუთხეში საჯინიბოა. ვირი და საზიდარი იქ დაბინავდებიან. მე ახლახანს შეძენილ ფართე საწოლში მარტო დავიძინებ. გვერდით ოთახში ჩემს ჩინელებს თავ-თავიანთი საწოლები აქვთ. გვაქვს აგრეთვე მაგიდა, ექვსი სკამი და ორი ტაბურეტი. სამზარეულოში კერძის მომზადებისათვის ყველა აუცილებელი ნივთია. სასადილო ოთახის ფანჯარა ქუჩაზე გადის და მის წინ ლერწმის სავარძელი ირწევა – ინდუსი გოგონების საჩუქარი. შიგნით, სასადილო მაგიდაზე, შუშის ქილაში, რამოდენიმე ახლად მოკრეფილი ყვავილია, კუიკის მოტანილი.

ეს ბინა ჩვენი სამი თვის ერთობლივი გარჯის შედეგია და იმის შეგრძნება, რომ „შინ" ვარ, საკუთარი თავისა და მომავლის რწმენით მავსებს.

ხვალ კვირაა. ბაზრობა არ არის. მთელ დღე თავისუფლები ვართ. გიტუსა და მისი მეგობრების სადილად დაპატიჟებას ვაპირებთ. ვიწვევთ აგრეთვე ინდუს ქალიშვილებს და მათ ძმებს. საპატიო სტუმარი ის ჩინელი იქნება, რომელიც კუიკსა და ცალხელას საქმის დაწყებაში დაეხმარა და საზიდართან ერთად სახედარიც უფეშქაშა. თეფშზე, კონვერტში ორასი დოლარი და ჩინურად დაწერილი მადლიერების სიტყვები დახვდება.

ღრუტუნას თუ არ ჩავთვლით, რომელსაც აღმერთებს, კუიკი ჩემდამი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს: ჩვენ სამიდან ყველაზე უკეთესად მე მაცივია, რადგან იგი ხშირად ჩემთვის შერჩეული პერანგით, შარვლითა და ყელსახვევით ბრუნდება სახლში. ამას თავისი ხარჯით აკეთებს. თვითონ არ ეწევა და იშვიათად სვამს. მისი ერთადერთი ვნება – თამაშია. მხოლოდ იმაზე ოცნებობს, იმდენი ფული მოაგროვოს, რომ ჩინელების კლუბში სათამაშოდ წავიდეს. პროდუქტები ადვილად გვეყიდება. საკმაო ინგლისური ვისწავლე და კლიენტს ადვილად ვურიგდები. ყოველდღე ოცდახუთიდან ოცდათხუთმეტ დოლარამდე ვიგებთ. ეს ცოტაა, მაგრამ კმაყო-

ფილები ვართ, რომ ასე მალე ვიშოვეთ თავის რჩენის წყარო. იშვიათად დაეყენები საქონლის ჩამოსატანად – მათზე უკეთესად ვეაჭრობ და ამიტომ აქ ველოდები ხოლმე. თითქმის ყველა ამერიკელი და ბრიტანელი მეზღვაური მიცნობს და ფასში ადვილად ვრიგდებით. ხშირად ერთი იტალო-ამერიკელი, ცბიერი მარტიკანელი მოდის და იტალიურად მესაუბრება. უხარია, თავის ენაზე რომ ელაპარაკებიან და, გასართობად, ვეევაჭრები კიდეც. ბოლოს მაინც იმ ფასს მაძლევს, რასაც ვუსახელებ.

ცხრის ნახევარზე უკვე სახლში ვართ. მსუბუქი საუზმის შემდეგ კუიკი და ცალხელა იძინებენ. მე გიტუსთან მივდივარ სტუმრად, ან ჩემი მეგობარი ქალიშვილები მოდიან და დღეში ორ დოლარად სახლს გვილაგებენ.

ჩემი ინდუსი ოჯახი

ამ ქალაქში გადაადგილების ყველაზე გავრცელებული საშუალება ველოსიპედია. ჩემთვისაც ვიყიდე. როცა მინდა, სადაც მოვისურვებ, წავალ. ქალაქი სწორ ადგილზეა გაშენებული და დიდი ძალდატანება არ მჭირდება საგორაოდ. ველოსიპედს წინ და უკან საბარგულები აქვს. ამრიგად, როგორც ბევრ აქაურს, ადვილად შემიძლია, ორი ადამიანი ვატარო.

სულ ცოტა, კვირაში ორჯერ მაინც, ინდუს ქალიშვილებს ვასეირნებ. სიხარულისაგან გიჟდებიან და ეხვდები, რომ ერთ-ერთ მათგანს – უფრო ახალგაზრდას – ვუყვარდები.

გუშინ მამისი გვეწვია, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ შორს არ ცხოვრობს, აქამდე არასდროს მინახავს. ამ ახოვან მოხუცს თოვლივით თეთრი, გრძელი წვერი შვენის. ჭკვიან შუბლზე კეთილშობილება აწერია. მხოლოდ ინიდუსების ენა იცის. პატარა პრინცესა, როგორც მის ქალიშვილს ვეძახი, გვითარგმნის. თავისთან მეპატიჟება. ველოსიპედით თუ წავალ, შორს არ არის, ვპირდები, რომ მალე ვეწვევი.

მას შემდეგ, რაც რამდენიმე ორცხობილა მივირთვით და ჩაი დავაყოლეთ, გვემშვიდობება. წასვლამდე ვამჩნევ, რომ სახლის ყველა კუნჭულს აკვირდება. პატარა პრინცესას სახე ბედნიერებისაგან უბრწყინავს, რაკი ხედავს, რომ მამა კმაყოფილი მიდის.

მე ოცდათექვსმეტი წლის ვარ, ჯანმრთელი და თავს ჯერ კიდევ ახალგაზრდად ვგრძნობ. მით უფრო, რომ მეგობრები მეუბნებიან, ოცდაათი წლის კაცის იერი გაქვსო. მეუხერხულება, რადგან უმცროსი და მხოლოდ ცხრამეტი წლისაა. ინდური რასის მთელი სიმშვენიერე – მშვიდი და ფატალიზმით სავსე ხასიათი – მის არსებაშია თავმოყრილი. ამ ლამაზ ქალს რომ ვყვარებოდი და მყვარებოდა, ჩემთვის ციური საჩუქარი იქნებოდა.

როცა გოგონები სასეირნოდ მიმყავს, იგი მუდმივად წინა საბარგულზე ჯდება. ყოველთვის წელგამართული ზის და როცა პედლებს ვაწევები და წინ ვიხრები, ჩვენი სახეები ერთმანეთს უახლოვდება. ცოტა უკან თუ გადმოიხრება, გამჭვირვალე კაბაში მის ძუძუებს ვხედავ. მან ეს მშვენივრად იცის, ასეთ დროს შავ თვალებში სურვილის ცეცხლი ენთება და ტუჩები, რომელშიც მშვენიერი კბილები მოუჩანს, კოცნის სურვილით ეხსნება ხანდახან ზოგიერთი სიტყვის წარმოთქმისას, ისე გამოაჩენს ვარდისფერ ენას, რომ კათოლიკური ეკლესიის რომელსაც გნებავთ წმინდანს, ვნების შეკავებას დაავიწყებს.

დღეს საღამოს კინოში ორნი უნდა წავიდეთ. დას თურმე შაკიკი აქვს. ვხვდები, ჩვენი მარტო დატოვება უნდა. თეთრი მუსლინის კაბით მეგებება, რომელიც კოჭებამდე სწვდება. როცა ნაბიჯს ადგამს, ფეხზე სამი ვერცხლისფერი სამაჯური მოუჩანს. მარჯვენა ნესტოში ძალიან პატარა ოქროს რგოლი გაუყრია და ჩადრი მხრებზე ეცემა. ზუსტად შუბლის შუაში სამ ძაფზე ასხმული ათასფერი ქვა ჰკიდია, რომლებიც შერხევისას, ლურჯ წერტილს აჩენენ. მშვენიერი ფანტაზიაა!

ორი ოჯახი – ჩვენი და ინდუსების – გვიყურებს, როგორი ბედნიერი სახეებით ვშორდებით. დარწმუნებული არიან, რომ იქიდან დანიშნულები დავბრუნდებით.

ცენტრისკენ მივგორავთ. ერთი გრძელი ქუჩის ცუდად განათებულ ადგილას, თვითონ მეხება მთრთოლავი კოცნით. ამ ინიციატივას იმდენად არ ველი, რომ ლამის ველოსიპედიდან ვვარდები.

კინოდარბაზის სიღრმეში ხელიხელჩაკიდებულები ვსხედვართ და თითებით ველაპარაკებით ერთმანეთს. სიყვარულის პირველი დღე უტყვია. ფილმი თითქმის არ გვინახავს. მისი თლილი თითები უკეთესად მეჩურჩულებიან სიყვარულზე, უფრო კარგად გამოხატევენ ჩემად გახდომის სურვილს, ვიდრე ამას სიტყვები გააკეთებდნენ. თავს ჩემს მხარზე ხრის და მის უმანკო სახეს ვკოცნი.

ეს მორცხვი სიყვარული მალე მგზნებარე ენებაში იზრდება. სანამ ჩემი გახდებოდა, ავუხსენი, რომ მისი შერთვა არ შემეძლო, რადგან საფრანგეთში ცოლი დავტოვე. ამან მხოლოდ ერთი დღე აყოყმანა. შემდეგ ღამეს ჩემთან რჩება. მეუბნება, რომ მისი ძმებისა და ზოგიერთი მეზობლის სურვილია, საცხოვრებლად მამამისთან გადავიდეთ. ვთანხმდები. მამა ერთ შორეულ ნათესავ ინდუს ქალთან ერთად ცხოვრობს, რომელიც ოჯახს უძღვება. ჩვენი სახლიდან შორს არ არის – დაახლოებით ხუთასი მეტრი იქნება. ჩემი მეგობრები ყოველდღე მოდიან და საღამოობით მთელ საათს ჩვენთან ატარებენ. ხშირად ერთად ვვახშმობთ.

პორტში ისევ განვაგრძობთ ბოსტნეულით ვაჭრობას. დილის შვიდის ნახევარზე გავდივარ. თითქმის ყოველთვის, ჩემი ინდუსი ჩაით ჩავსე თერმოსით, ქილა მურაბითა და გახუხული პურებით საესე ჩანთით მომყვება. ჩაის დასალევად კუიკს და ცალხელას ველოდებით. ინდუსი თავად გვემსახურება. დილის ეს პირველი საუზმე მან თითქმის რიტუალად აქცია. ჩანთაში ყველაფერი აქვს: პატარა, არშიებით შემკული სუფრა, რომელსაც დიდი ამბით შლის ტროტუარზე მისი დაგვის შემდეგ, და ოთხი ფაიფურის ფინჯანი თავისი ლამბაქებით. ქვაფენილზე ჩამომსხდრები, მთელი სერიოზულობით ვსაუზმობთ. მეუხერხულება ასე შუა ქუჩაში ჭამა, მაგრამ ქალი და კუიკი ამას ბუნებრივად მიიჩნევენ და გამვლელებს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. არ ვეკამათები. ისე სიამოვნებს ჩვენი მომსახურება და ისე გულმოდგინედ უსვამს მარმელადს პურის ნაჭრებზე, რომც არ მინდოდეს, უარს ვერ ვეუბნები.

გასულ შაბათს ერთ ჩემთვის საიდუმლო მოვლენას ფარდა აეხადა: აი, უკვე ორი თვეა, რაც ერთად ვართ და ძალიან ხშირად ქალი ოქროს სამკაულების ნაწილებს მაძლევს: ხან ოქროს ბეჭდის ნატეხს, ხან საყურის საკიდს, ჯაჭვის ნაგლეჯს, მედალიონის, ან მონეტის ნახევარს და მეუბნება გავყიდო; მაგრამ მე ამის საჭიროებას არ განვიცდი და პატარა ყუთში ვაგროვებ; უკვე დაახლოებით ოთხასი გრამი მექნება. როცა ვეკითხები, საიდან მოაქვს, იცინის, მკოცნის და არ მპასუხობს.

მოკლედ, შაბათს, დილის ათი საათისთვის, ჩემი ინდუსი ქალი მთხოვს, მამამისი

ველოსიპედით სადღაც ნავიყვანო:

– გზას მამა გიჩვენებს, მე სახლში დავრჩები, დასაუთოებელი მაქვს. ინტერესი მიპყრობს, თანაც, მგონია, შორს არის წასაყვანი და სიამოვნებით ეთანხმდები.

უსიტყვოდ, რადგანაც მხოლოდ ინდუსურად ლაპარაკობს, ხელით მიჩვენებს, საით წავიდე. მართლაც შორი გზა გველონია – უკვე ერთი საათია, პედალს ვანუებ. ზღვის პირას, ერთ მდიდრულ კვარტალში შევდივართ. ირგვლივ მობიბინე ველებია. „სიმამრის" ნიშანზე ვჩერდები. უბიდან მრგვალ, თეთრ ქვას იღებს და პირველივე სახლის კიბესთან იჩოქებს. ქვას საფეხურზე აგორავებს და მღერის. რამდენიმე წუთის შემდეგ ვიღაც ინდუსი ქალი გამოდის, უახლოვდება და რაღაც საგანს აძლევს.

მოხუცი ოთხ საათამდე სახლიდან სახლამდე დადის და იმავე სცენების მოწმე ვხდები. ვერაფერს ვიგებ. ერთგან თეთრებში ჩაცმული კაცი გამოდის, მოხუცს ფეხზე აყენებს და ხელგამოდებული ვილაში შეყავს, სადაც თხუთმეტ ნუთზე მეტხანს რჩებიან და მერე ერთად გამოდიან. გამოთხოვებისას უცნობი შუბლზე, უფრო – თეთრ თმებზე ემთხვევა და სახლისკენ მოვდივართ. რაც შეიძლება, სწრაფად ვატრიალებ პედლებს, რადგან ხუთის ნახევარზე მეტია. საბედნიეროდ, დაღამებამდე სახლში ვართ. ჩემი ლამაზი ინდუსი, ინდარა, ჯერ მამამისს ასვენებს, მერე კისერზე მეკიდება და კოცნა-კოცნით შხაპისკენ მიმათრევს. დაბანილსა და გაპარსულს სუფთა თეთრეული მელოდება და ვახშმად ვსხდებით. როგორც სჩვევია, თვითონ მემსახურება. სურვილი მკლავს, შევეკითხო, მაგრამ თავს ისე მაჩვენებს, თითქოს ძალიან დაკავებული იყოს. ვატყობ, ამ ფაციფუცით შეკითხვებს არიდებს თავს. ცნობისმოყვარეობა მღრღნის, მაგრამ ვიცი, რომ ინდუსს ან ჩინელს რამის თქმა არასოდეს არ უნდა დააძალო. თვითონ იციან, როდის რა თქვან და როცა მისგან რაიმე დაფარულის ახსნას ელოდებიან, შესაფერის დროს მოხსნიან გუდას თავს. ინდარაც ასე იქცევა.

მხოლოდ მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც სანოლში ხანგრძლივად ვისიამოვნეთ ერთმანეთით და დაქანცულმა იღლიაში გახურებული ლოყა ჩამიდო.:

– იცი, ძვირასო, როცა მამაჩემი ოქროს საშოვნელად მიდის, ცუდს არაფერს სჩადის. პირიქით: სულებს იმ სახლის დასაცავად მოუხმობს, რომლის კიბეზეც ქვას აგორებს. გასამრჯელოდ ოქროს ნატეხებს უძღვნიან. ეს ძალიან ძველი ჩვეულება ჩვენი სამშობლოდან, კუნძულ იავადან მოდის.

ამას ჩემი პრინცესა მიმღერის, მაგრამ ერთ დღეს, ერთ-ერთი მისი დაქალი ბაზარში მხვდება. მარტო ვარ – არც ჩინელები და არც ინდარა ჯერ არ მოსულან. მოკლედ, ლამაზი იაველი ქალიშვილი სულ სხვა რამეს მეუბნება:

– რატომ მუშაობ, როცა ჯადოქრის ქალიშვილთან ცხოვრობ? არა რცხვენია ინდარას, სისხამზე რომ გაყენებს, მაშინაც კი, როცა წვიმს? მამისი იმდენ ოქროს შოულობს, რომ შეგიძლია, ფეხი-ფეხზე გადადებულმა იცხოვრო.

– ვერ ამიხსნი, მამისი რას აკეთებს? ვერაფერი გავიგე.

– ის იაველი ჯადოქარია. თუ მოისურვებს, ჯადოს გაგიკეთებს და სიკვდილს მოგიყვანს. ამას მაგიური ქვით შვრება და თავის გამოხსნა მხოლოდ ოქროს გადახდით არის შესაძლებელი. მაშინ ის ქვას სიცოცხლისაკენ გააგორებს და სიკვდილს განდევნის.

– ინდარამ სხვა რამ მითხრა.

შეეამოწმებ, ამ ორი ქალიდან ვინ არის მართალი.

რამდენიმე დღის შემდეგ თავი მდინარის ნაპირამდე მიმაყვანინა. ინდუსი მეთევზეების ქცევამ ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახადა: ისინი მოდიოდნენ, თევზს უტოვებდნენ და სწრაფად სცილდებოდნენ. აღარ ვირჯები ვინმეს რამე ვკითხო.

ჩემი „სიმამრის" ჯადოქრობა ხელს არაფერში მიშლის. მხოლოდ თავის ენაზე ლაპარაკობს. მე ვფიქრობ, ჰგონია, რომ მისი მესმის, სინამდვილეში ერთ სიტყვასაც ვერ ვიგებ. ამას დადებითი მხარეც აქვს: ყოველთვის ყველაფერში ვეთანხმები; რაც უნდა იყოს, სამუშაო მიშოვა – ახალგაზრდა ინდუს ქალებს, ცამეტიდან თხუთმეტ წლამდე, შუბლზე წერტილებს ვუსვამ. ზოგჯერ მკერდსაც მიშიშვლებენ და ძუძუებს ათასფრად ვუფერადებ. ზოგიერთი ბედავს და ძუძუს თავებზე იადონისფერ წრეებს მაკეთებინებს. ეს ძალიან მტკივნეულია, მაგრამ მთხოვენ და მეც უარს არ ვეუბნები.

მოხუცმა სახლის წინ აბრა აღმართა ინდური წარწერით, რომელიც, როგორც ჩანს, იტყობინება: „სვირინგების ოსტატი – ზომიერი ფასი და გარანტირებული ხელობა." ამ საქმეს ორი სიამოვნება მოაქვს: იაველი ქალების მშვენიერი ძუძუებით ვტკბები და კარგ ფულსაც ვაკეთებ.

კუიკმა პორტთან ახლოს ერთი გასაყიდი რესტორანი ნახა. მთავაზობს, შეეიძინოთ. ფასი ზომიერია – რვა ათასი დოლარი. ჯადოქრის ოქროს თუ გავყიდით და ჩვენს დანაზოგს დავუმატებთ, გვეყოფა. სანახავად მივდივარ. იგი ერთ პატარა ქუჩაზე მდებარეობს, სადაც მუდმივი ხალხმრავლობაა. საკმაოდ დიდ, თეთრი და შავი ფილებით მოფენილ დარბაზში, ორ მწკრივში რვა-რვა მაგიდა დგას. შუაში, სხვა, უფრო დიდ მაგიდაზე – საუზმისა და ხილის გამოფენა შეიძლება. ფართო, კარგად განათებულ სამზარეულოში ორი დიდი ქურა და უზარმაზარი ტაფა გვექნება.

რესტორანი და პეპლები

ჩანაფიქრი ავისრულეთ. ინდარამ მთელი ჩვენი ოქრო გაყიდა. მამამისს, სხვათა შორის, გაუკვირდა, რომ აქამდე შემოგვრჩა:

– იმიტომ მოგეცით, რომ გამოგეყენებინათ. თქვენია და როგორც გინდათ, ისე მოიხმარეთ, მე ნუ მეკითხებით.

ცუდი კაცი არ ჩანს. ქალსაც ვერაფერს დაუწუნებ, შესანიშნავი დიასახლისი, ცოლი და მეგობარია. არასდროს არ მეკამათება – ყველაფერში მეთანხმება. მხოლოდ მაშინ ანერვიულდება ხოლმე, როცა მისი თანამემამულე გოგონების ძუძუებს ვასვირინგებ.

მოკლედ, მე უკვე ჯორჯთაუნის პორტის ცხვირწინ, Water Street-ზე რესტორან Victory-ის მესაკუთრე ვარ. კუიკი მზარეული იქნება – ეს მისი ხელობაა და მოსწონს კიდეც. ცალხელა კი chow Mein-ს გაყიდის (ერთგვარი ჩინური სპაგეტი).

ამ, ერთ დროს გაკოტრებულმა რესტორანმა მალე გაითქვა სახელი. ინდარას კლიენტების მომსახურებაში ერთი ლამაზი ინდუსი ქალიშვილი ეხმარება, სახელად დეია.

მომსვლელი ბევრია – მოდიან, რათა ჩინური სამზარეულო იგემონ. ყოფილმა კატორღელებმაც ჩვენთან გადმოინაცვლეს. ვისაც ფული აქვს, იხდის, ვისაც არა – ისე ვაჭმევთ.

– მშიერი კაცის დაპურებას ბედნიერება მოაქვს, – ამბობს კუიკი.

ინდარასა და დეიას სიმშვენიერე ხანდახან უხერხულობაში გვაგდებს. გამჭვირვალე სამოსში შიშველი ნაკვთები მოუჩანთ, ამის გარდა, კაბები თეძოს თავამდე აქვთ ჩაჭრილი და სიარულისას ბარძაყები უჩანთ. ამერიკელი, ინგლისელი, შვედი, კანადელი და ნორვეგიელი მეზღვაურები დღეში რამდენჯერმე შემოდიან და იბუყნებიან, რათა ამ სპექტაკლით ისიამოვნონ. მე მეპატრონე და ყველაფრის „boss-ი" ვარ. სალაროს აპარატი არა გვაქვს – შემოსულ ფულს პირდაპირ ჯიბეში ვიდებ და, როცა საჭიროა, ხურდას ვუბრუნებ.

რესტორანი საღამოს რვა საათზე იღება და დილის ხუთ-ექვს საათამდე მუშაობს. ალბათ არ არის საჭირო, გითხრათ, რომ დილის სამი საათისათვის უბნის ყველა მეძავი, სარფიანი ღამის შემდეგ, თავის პატრონთან ან ვინმე კლიენტთან ერთად შემოდის, რათა სანელებლებში მომზადებული დედალი ან სალათი მირთვას. კლიენტები სვამენ ლუდს, უმეტესად – ინგლისურს, ვისკის, აქაურ შაქრის ლერწმის ძალიან გემრიელ რომს სოდით ან კოკა-კოლით. რაკი რესტორანი გამოქცეული ფრანგების შეხვედრის ადგილი გახდა, მე მათი საფარი, მრჩეველი, მოსამართლე და მესაიდუმლე ვარ. უნდა ითქვას, რომ ეს სტატუსი ხანდახან სიძნელეებსაც მიქმნის.

პეპლების ერთი კოლექციონერი მიხსნის, როგორ იჭერს მათ ტევრში: მუყაოსაგან გამოჭრილ პეპელას მისთვის სასურველი ეგზემპლიარის ფრთებს აკრავს და გრძელი ჯოხის ბოლოზე ამაგრებს. ტევრში მზიან ადგილას დგება, ჯოხს მარჯვენა ხელში იჭერს და ხელოვნურ პეპელას ცოცხალივით ათამაშებს. იცის, რომელი სახეობა როდის იჩეკება. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ორმოცდარვა საათს ცოცხლობს. როგორც კი გამოიჩეკებიან, მაშინვე მზიანი ადგილისკენ მიიჩქარიან, რომ რაც შეიძლება, მალე განაყოფიერდნენ, ან გაანაყოფიერონ. სატყუარას დანახვაზე ძალიან შორიდანაც კი მოფრინავენ. თუ მუყაოზე მამრის ფრთებია დაკრული, მამალი მწერი საჩხუბრად მოდის. მონადირეს მარცხენა ხელში პატარა ბადე უჭირავს და მას სწრაფად იჭერს. ბადეს ჯიბე აქვს, საიდანაც პეპელა ველარ გაექცევა და სხვების დასაჭერად მისი ამოღება აუცილებელი არ არის. თუ დედლის ფრთებია დაკრული, მამრი მასთან სასიყვარულოდ მოფრინავს და შედეგი იგივეა.

ყველაზე ლამაზები ღამის პეპლები არიან, მაგრამ რაკი ისინი მუდმივად რაღაცას ეხლებიან, ძნელია ისეთის პოვნა, რომელსაც დაუზიანებელი ფრთები ექნება. მათ დასაჭერად იგი მაღალ ხეზე ადის, თეთრ ქსოვილს ეკრანივით ჭიმავს და უკანიდან კარბიდის ლამპას უნთებს. როცა ღამის დიდი – თხუთმეტიდან ოც სანტიმეტრამდე – პეპლები მოფრინავენ და სხდებიან, სწრაფად იჭერს, თან ფრთხილობს, ამ დროს არ იფართხალონ და ფრთები არ დაიზიანონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ფასი ძალიან დაბალია.

მცირე ვიტრინაში მუდმივად პეპლების, ბუზების, პატარა გველებისა და ვამპირების კოლექცია მაქვს გამოფენილი. მყიდველი უფრო მეტია, ვიდრე საქონელი და ამიტომ ფასები მაღალია. ვიღაც ამერიკელი ერთ პეპელას მიჩვენებს, რომელსაც უკანა ფეხები ბაცი ვარდისფერი, ხოლო წინა – ღია ლურჯი აქვს. ხუთას დოლარს მთავაზობს, თუ ამ ჯიშის ეგზემპლიარს ვუშოვნი, რომელიც თურმე ჰერმაფროდიტი ყოფილა.

პეპლებზე მონადირეს ვეკითხები, დაიჭერს, თუ ვერა. ის მპასუხობს, რომ ერთხელ ერთი ცალი ხუთას დოლარად გაყიდა, მაგრამ მერე ვიღაც სერიოზული კოლექცი-

ონერისაგან შეიტყო, რომ ეს ჯიში ორი ათას დოლარზე მეტი ღირებულა.

– შენი გაცურება სწადია, პაპიონ, უტვინო ჰგონიხარ. ათას ხუთასი რომ მოგცეს, მაინც მოგებაში რჩება.

– მართალი ხარ, გაიძვერაა. რომ „ვათოხლოთ"?

– როგორ?

– დედალ პეპელაზე მამალის ფრთები რომ მივაწებოთ, ან პირიქით? მე მგონია, არ გაგვიჭირდება, ისე ვქნათ, რომ არ შეეტყოს.

მრავალი უშედეგო ცდის შემდეგ ვახერხებთ ბალატის რძით მამალი პეპლის ორი ფრთის მიწებებას დედლის მშვენიერ ეგზემპლიარზე. პეპელას ოცდოლარიანი კოლექციის გვერდით, შუშის ქვეშ ვდებთ, თითქოს არ შეგვიმჩნევია მისი განსაკუთრებულობა. შედეგი არ აყოვნებს: როგორც კი ამერიკელი პეპელას ამჩნევს, უნამუსოდ იღებს ოც დოლარს და ყიდვას აპირებს. ვეუბნები, ერთ კაცს დავპირდი და ვერ გაგატან-მეთქი.

ორი დღის განმავლობაში ამერიკელმა ყუთი ხელში სულ მცირე ათჯერ მაინც აიღო. ბოლოს, ველარ ითმენს და მეძახის:

– ვიხდი შუა პეპელაში ოც დოლარს და დანარჩენს გიტოვებ.

– რა, ეს პეპელა ჩვეულებრივი არ არის? – ჯერ ვითომ გულმოდგინედ ვაკვირდები, მერე ვყვირი:

– დაუჯერებელია, ეს ხომ ჰერმაფროდიტია!

– რას ამბობთ! ჰო, მართალია. აქამდე ბოლომდე არ ვიყავი დარწმუნებული. შუშის ქვეშ კარგად ვერ ვხედავ. შეიძლება? – პეპელას ყველა მხრიდან სინჯავს და მეკითხება:

– რამდენად მომცემთ?

– ერთხელ ხომ მითხარით, რომ ამგვარი იშვიათობა ხუთასი დოლარი ღირსო?

– ეს რამდენიმე პეპლებზე მონადირესაც გავანდე. არ მინდა, ამის დამჭერის უცოდინრობით ვისარგებლო.

– ამრიგად, ხუთასი დოლარი ან არაფერი.

– ვყიდულობ, შემინახეთ. აიღეთ, აი, ბედ სამოცი დოლარი. მეტი არა მაქვს. ქვითარი გამომინერეთ. დანარჩენს ხვალ მოგიტანთ. რაც მთავარია, ამ ყუთიდან ამოიღეთ.

– ძალიან კარგი, სხვაგან შევინახავ, აი, თქვენი ქვითარი.

ლინკოლნის ჩამომავალი რესტორნის კართათ ზუსტად გახსნის დროს დაერჭო. პეპელას ამჯერად პატარა ლუპით სინჯავს. ლამის გული მიღონდება, როცა ქვეშიდან უყურებს. კმაყოფილია. ფულს მითვლის, პეპლას თან მოტანილ ყუთში ათავსებს, ახალ ქვითარს მართმევს და მიდის.

ორი თვის შემდეგ, „ძაღლებით" გარშემორტყმულს, კომისარიატში მიმამსევრებენ. პოლიციის სუპერინტენდანტი ფრანგულად მიხსნის, რომ ამერიკელის ბრალდების გამო, თაღლითობისთვის მაკავებენ.

– პეპელასათვის ფრთები დაგიკვრიათ და ხუთას დოლარად მიგისაღებიათ, – მეუბნება კომისარი.

ორი საათის შემდეგ კუიკი და ინდარა ადვოკატთან ერთად მოდიან. ადვოკატი ფრანგულად ძალიან კარგად ლაპარაკობს. ვუხსნი, რომ მწერებისა არაფერი გამეგება – არც მონადირე ვარ და არც კოლექციონერი, მხოლოდ სხვის საქონელს

ვყიდი. უარს ვერ ვეუბნები, რადგანაც ისინი ჩემი კლიენტები არიან, მე მათ არაფერს ვუკეთავ და, სხვათა შორის თუ ის პეპელა მართლა იშვიათობა ეგონა, ქურდი თავად გამოდის, რადგან მაშინ მისი ფასი დაახლოებით ორი ათასი დოლარი იქნებოდა.

ორი დღის შემდეგ ტრიბუნალი მასამართლებს. ადვოკატი თარჯიმნობასაც მიწევს. ჩემს პირველ ჩვენებას ვაწვები. ამას გარდა, ადვოკატს პეპლების კატალოგი მოუტანია, რომელშიც ამ სახეობის პეპელას ფასი, ათას ხუთას დოლარზე მეტია. ამერიკელმა ტრიბუნალის ხარჯების გადახდა გაირტყა. ამას გარდა, მას ჩემი ადვოკატის ჰონორარსაც გადაახდევინებენ – ორი ათას დოლარზე მეტს.

ჩვენს გამარჯვებას კატორღელებისა და ინდუსების ნრეში საფირმო პასტისით ავღნიშნავთ. სასამართლოზე ინდირას მთელი ოჯახი იყო მოსული და ამაყობენ იმით, რომ ოჯახში სუპერმენი ჰყავთ. ბრიყვები არ არიან და ეჭვობენ, რომ ფრთები მართლაც მე დავანებე.

***

მოსახდენი მოხდა: იძულებული ვართ, რესტორანი დავკეტოთ. ინდარა და დეია მეტისმეტად მიმზიდველები არიან და სისხლმოჭარბებულ მეზღვაურებს მათი სანახევრო სიშიშველე უფრო მეტად აღელვებთ, ვიდრე მთლად დედიშობილებად ხილვა. რაკი ქალებმა შეატყვეს, რომ, რაც უფრო დიდხანს აბალახებდნენ" მშვენიერ მკერდებში, მით უფრო მეტ ფულს ჩუქნიდნენ კლიენტები, ქალებმა მაგიდასთან გადახრისას შეყოვნება დაიწყეს – ვითომ დაანგარიშება უჭირდათ ან ხურდას ვერ პოულობდნენ. მერე, როცა მეზღვაურის გადმოცვენილ თვალებს დაინახავდნენ, წელში იმართებოდნენ და ტუქსავდნენ: „მე არაფერს მჩუქნი?" – „აჰ, როგორ არა!" – და სახეანთებული იდიოტები ანითლებული სიფათების დამალვას ლამობდნენ.

ერთ დღეს ვიღაც გაოფლილი, მწითური კლიენტი შიშველი ბარძაყით არ კმაყოფილდება, ჩემს იაველს ხელს ქვედა საცვალში უყოფს და მარწუხივით უჭერს. ინდარას ხელში წყლით სავსე გრაფინი უჭირავს და თავზე ამსხვრევს. მწითური ვარდნაში ქალს საცვალს ახევს. ნამოყენებას ვეშურები, მის მეგობრებს კი ჰგონიათ, უნდა გავარტყა და თვალში მუშტი მხვდება. შეიძლება, ამ მოკრივე მეზღვაურს მართლაც მეგობრის დაცვა უნდოდა, ან, ჩემი ცოლის მაგიერი მომიზღო – მიდი და გაიგე! ასეა თუ ისე, თვალში კარგი მუშტი მივიღე. მან ნაადრევად ჩათვალა, რომ მომერია: მოკრივის პოზაში წინ მებუქნავება და ყვირის: „Boxe, boxe, men!" – მაგრამ ფეხის კვერცხებში ამორტყმას პაპიონების ოჯახის საფირმო „თავური" მოსდევს და „მოკრივე" იატაკზე იშხლართება.

მონასტერი ირევა. ცალხელა სამზარეულოდან სპაგეტის მოსარევი ჯოხით გამორბის დასახმარებლად და აქეთ-იქეთ ურტყამს. კუიკს გრძელი ორთითი უჭირავს და მოჩხუბრებს განურჩეველად ჩხვლეტს. ერთი პარიზელი ქურდყოფილი, ლაპის ქუჩიდან, სკამს კეტივით ხმარობს. ინდარა, რაკი ქვედა საცვალი აღარ შერჩა, ჩხუბს შორდება. შედეგი: ხუთ ამერიკელს თავი სერიოზულად აქვს გატეხილი, დანარჩენები კუიკის ნაჩხვლეტებს უჩივიან. იქაურობა სისხლით არის მორწყული. ერთი ბრაზავილელივით შავი პოლიციელი კარში დგება, რომ არავინ გავიდეს. კიდევ კარგი, რადგან Military Police-ის „ჯიპი" მოდის. თეთრი გეტრებითა და გამზადებული ხელკეტებით შურის საძიებლად შემოსვლას ეძალებიან, რაკი ხედავენ, რომ მეზღვაურებს სისხლი სდით. შავი პოლიციელი ხელკეტით კარს ღობავს

და ეუბნებათ: „Majesty Police“ (მისი უდიდებულესობის პოლიცია).

მხოლოდ ბრიტანელი პოლიციელების მოსელის შემდეგ გამოვყავართ და საპატიმრო ფურგონში გვსხამენ. მივყავართ კომისარიატში. ჩვენგან მხოლოდ მე ვარ დაზარალებული და ამიტომ არაფრით არ უნდათ, დაიჯერონ, რომ კანონიერი მოგერიების ფარგლებში ვმოქმედებდით.

რვა დღის შემდეგ, ტრიბუნალზე, თავმჯდომარე ჩვენს ვერსიას იზიარებს და გვათავისუფლებს, გარდა კუიკისა, რომელსაც სხეულების დაზიანებისათვის სამ თვეს აძლევენ – სასამართლოს ვერ ავუხსნიდით, საიდან გაჩნდა უამრავი საცერივით დაჩხვლეტილი გავა.

შემდგომში, თხუთმეტ დღეზე ნაკლებში, ექვსი აყალმაყალი ხდება და ვხვდებით, რომ საქმე უნდა შევაჩეროთ. მეზღვაურები ჩხუბის ისტორიას დამთავრებულად არ თვლიან. ყოველდღე ახალ-ახალი სახეები ჩნდება და როგორ გავიგოთ, მეგობრები შემოდიან თუ მტრები!

მოკლედ, რესტორანი გავყიდეთ. ის ფასიც კი ვერ დავიბრუნეთ, რაც გადავიხადეთ. სიმართლე უნდა ითქვას, იმ სახელის გამო, როგორიც ბოლო დროს ჰქონდა, მყიდველების რიგი არ დამდგარა.

– ახლა რა ექნათ, ცალხელავ?

– სანამ კუიკი გამოვა, დავისვენოთ. საზიდარი და ვირიც აღარ გვყავს – კლიენტებთან ერთად გავყიდეთ. უმჯობესი იქნება, არაფერი არ გავაკეთოთ. ჯერ დავისვენოთ, მერე ვნახოთ.

კუიკი გამოვიდა. გვიყვება, რომ კარგად ექცეოდნენ:

– ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ ორ სიკვდილმისჯილთან ახლოს ვიჯექი. ამ ინგლისელებს ერთი სულელური ჩვევა ჰქონიათ: სიკვდილმისჯილს ორმოცდახუთი დღით ადრე ატყობინებენ, რომ დედოფალმა უარი უთხრა შენყალებაზე და ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე ჩამოკიდებენ. ყოველ დილით, ერთ-ერთი მეორეს გადასძახებდა: „ერთი დღით ნაკლები დარჩა, ჯონი, მხოლოდ ამდენი და ამდენი დღე!“ და მთელი მეორე დილა გაუჩერებლად იგინებოდა.“ – სხვა რამ კუიკს არ აწუხებდა და პატიმრებსაც კარგად მიუღიათ.

ბამბუკის ქოხი

ბოქსიტების მაღაროდან პასკალ ფოსკო ჩამოვიდა. იგი ერთერთი იმათგანია, ვინც მარსელში ფოსტაზე შეიარაღებული თავდასხმა სცადა. მის თანამონაწილეს თავი გილიოტინაზე მოჰკვეთეს. პასკალი ჩვენ ყველას გვჯობნის. კარგი მექანიკოსია, დღეში ოთხ დოლარს აკეთებს და ყოველთვის ახერხებს ერთი ან ორი კატორღელი გამოკვებოს.

ეს ალუმინისმიწიანი მაღარო ძალიან შორს არის, ტეერში. მის გვერდით პატარა სოფელი სადაც მუშები და ინჟინრები ცხოვრობენ. ამ მადნით გაჩენილა გამუდმებით იტვირთებიან. იდეა მომდის პორტში გემები: რატომ არ უნდა გავხსნათ კაბარე ამ ტეერში ჩაკარგულ სოროში? ღამით ხალხი ნამდვილად მოწყენილი იქნება.

– მართალი ხარ, მეუბნება ფოსკო, – იქ არავითარი გართობა არ არის, არავითარი,

და აი, ორ დღის განმავლობაში ერთი „ტაშტით“ ცურვის შემდეგ, ინდარა, კუიკი, ცალხელა და მე უკვე მაღაროსთან ვართ, რომელსაც „მაკენზი“ ქვია. ბანაკი,

სადაც უფროსობა – ინჟინრები და სხვა სპეციალისტები ცხოვრობენ, სუფთაა. ყველა სახლს მწერებისაგან დასაცავად რკინის სახურავი აქვს. რაც შეეხება სოფელს, ამაზე დიდი საზიზღრობა არ მინახავს. ვერც ერთ აგურის, ქვის ან ცემენტის სახლს ვერ ნახავთ – მხოლოდ ბამბუკისა და ალიზისაგან აშენებული, ველური პალმის ფოთლებით გადაფარული ქოხებია. ოთხი საშინელი ბარ-რესტორანი კლიენტებით არის გაჭედილი. მეზღვაურები ერთმანეთს ხოცავენ თბილი ლუდის დასალევად – არსად მაცივარი არა აქვთ.

პასკალი მართალი იყო – ამ სოროში საქმის წამოწყება შეიძლება. მართალია, სარისკოა, მაგრამ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე გამოქცეული ვარ და სხვებივით ცხოვრება არ შემიძლია. ჩემი საქმე მარტო ის ხომ არ არის, რომ მხოლოდ თავის სარჩენი თანხა გამოვიშუშაო!

როცა წვიმს, სოფლის ქუჩებში ყელამდე ლაფია. მოშორებით, ამაღლებულ ადგილს ვირჩევთ. დარწმუნებული ვარ, წყალი ჩემს მომავალ ნაგებობაში წვიმის დროსაც კი არ შემოვარდება.

ათ დღეში, მაღაროს შავკანიანი დურგლების დახმარებით, ოთხკუთხედ შენობას ვაგებთ. მას ოცი მეტრი სიგრძე და რვა მეტრი სიგანე აქვს. ოცდაათი ოთხადგილიანი მაგიდა ას ოც კაცს დაიტევს. ვაწყობთ ესტრადას მსახიობების გამოსასვლელად და მთელი დარბაზის სიგრძეზე – თორმეტ მაღალტაბურეტიან ბარს. გვერდით რვაოთახიან სხვა შენობას ვდგამთ, რომელშიც თავისუფლად იცხოვრებს თექვსმეტი კაცი.

ჯარჯთაუნში სკამების, მაგიდებისა და სხვა ნივთების საყიდლად რომ ჩამოვედი, ოთხ მშვენიერ ზანგ ქალიშვილს მოველაპარაკე მიმტანებად. დეიაც ჩვენთან ნამოვა. ერთი კრეოლი ნაქირავებ პიანინოზე დაუკრავს. წარმოდგენის სცენარის მოფიქრებალა რჩება. დიდი ხნის ლაპარაკისა და ათასგვარი დაპირების შემდეგ ვახერხებ ორი იაველი, ერთი პორტუგალიელი, ერთი ჩინელი და ორი შავკანიანი მეძავის დარწმუნებას, პროსტიტუცია მიატოვონ და სტრიპტიზიორები გახდნენ. ესტრადისათვის ნითელ ფარდას ვყიდულობ.

ვიღაც ჩინელი მეთევზის ბონგოთი ჩემს ხალხთან ერთად ვბრუნდები. ლიქიორების ერთმა ფირმამ, განვადებით მომცა. ყველა სახის სასმელი; მენდობა და დარწმუნებულია, რომ ყოველ ოცდაათ დღეში ერთხელ გადავიხდი. რამდენიც დამჭირდება, იმდენს მომცემენ. როცა პიანისტი ინსტრუმენტის ტანჯვით დაიღლება, მას ერთი მოხუცი ფოტოგრაფი და გაცვეთილი გრამფირფიტები შეცვლიან. ჩემი მომავალი „მსახიობების" გარდერობში ყველა მოდის კაბა, ქვედატანი, შავი და ფერადი წინდები და ჯერ კიდევ გამოსადეგი ბიუსტჰალტერები იქნება. ყველაფერი ეს ერთი ინდუსისაგან ვიყიდე, რომელსაც, თავის მხრივ, რომელიღაც მოხეტიალე თეატრისაგან შეუძენია.

კუიკი ხის ნაკეთობებსა და მოსასვენებლად საჭირო ნივთებს ყიდულობს, აგრეთვე ჭიქებს და ყველაფერს, რაც ბარს სჭირდება. მე ლიქიორების გარდა სამსახიობო საკითხებითაც ვარ დაკავებული. ამის ჰაიჰარად მოგვარებას ერთი კვირა დასჭირდა და, როგორ იქნა, ჩემი ხალხით გემს მივყვები.

ორ დღეში სოროში ვართ. უნდა გენახათ, შუაგულ ტეერში, ჩაკარგულ სამყაროში, ამ ათმა ქალიშვილმა რა ფურორი მოახდინა! ბარგით დატვირთულები ავდივართ Cabare bamboue-ში – ასე დავარქვით ჩვენს ღამის სკივრს. რეპეტიციებს

ვიწყებთ. ადვილი არ არის, რომ ჩემს მსახიობებს გაშიშვლება ვასწავლო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ინგლისურად ძალიან ცუდად ვლაპარაკობ და ვერ ვაგებინებ; მეორეც – მთელი თავისი სიცოცხლე სწრაფად შიშველდებოდნენ, რათა კლიენტი რაც შეიძლება ჩქარა გაესტუმრებინათ. ახლა კი პირიქით უნდა გააკეთონ: რაც უფრო ნელა გაიხდიან, მით უფრო სექსუალური გამოჩნდებიან. თვითოეულს გახდის თავისი ტაქტიკა უნდა ჰქონდეს და ჩაცმულობას ეხამებოდეს.

ვარდისფერ კორსაჟში, კრინოლინის კაბასა და თეთრ, გძელ ქვედაბოლოში გამოწყობილი „მარკიზა" შირმის უკან ნელ-ნელა იხდის. დიდი სარკე მაყურებელს საშუალებას აძლევს, დაინახოს, როგორ შიშველდება მისი სხეულის თითოეული ნაკვთი.

ამას მოსდევს „ჩქარი": ერთი მშვენიერი, შერეულსისხლიანი გოგო, სცენაზე სამწყობრო მარშის ხმაზე გამოდის; ფეხსაცმელს იხდის და ფეხითვე ისვრის. შარვალი გვერდიდან იხსნება და ერთბაშად ვარდება. კორსაჟი ორ ნაწილად იყოფა და მშვენიერ, ჩამუქებულ თავიან მძიმე ძუძუებს აჩენს, – ამას ქვია „ჩქარი."

ეს სცენა მაყურებელს გააგიჟებს, რადგან სიშიშვლე, თიქოს გაბრაზებული, რომ აქამდე დატყვევებული იყო, ერთბაშად თავისუფლდება. მერე, დოინჯშემოყრილი ქალი პუბლიკას აკვირდება. ცოტა ხნის შემდეგ, ქუდს იხდის და რომელიმე მაგიდაზე ისვრის, უსირცხვილოდ იხდის ნიფხავს და იხსნის – არა, კი არ იხსნის, იგლეჯს კორსაჟს. როგორც კი მისი თმებით დაფარული სქესი ჩნდება, რომელიმე ქალი გამოდის და დიდი მარაოთი ფარავს.

მაღაროს მთელი შტაბიც აქ არის. ღამე ცეკვებით მთავრდება და უკვე ალიონია, როცა ბოლო კლიენტები მიდიან. ნამდვილი წარმატებაა – უკთესს ვერც ვისურვებდით! ხარჯები დიდი გვაქვს, მაგრამ ფასები მაღალია და იფარება. მჯერა, ამ მიკარგული ტევრის კაბარეს საჭიროზე მეტი კლიენტი ეყოლება.

ჩემი ორი შავი მიმტანი მომსახურებას ძლივას აუდის. მოკლე კაბებით, ღია მკერდითა და ნითელი ჩალმებით კლიენტებს აგიჟებენ. ინდარა და დეია დარბაზს ყურადღებას არ აკლებენ. ბარში ცალხელა და კუიკი შეკვეთებს იღებენ. მე ყველგან ვარ: ერთგან, თუ ვინმეს რამე შეეშალა, ვუსწორებ; მეორეგან – დაბნეულს ვეხმარები.

დაკეტვის შემდეგ ყველა ერთად ვნადიმობთ და შემდეგ, კმაყოფილები, დასანოლად მივდივართ.

– აბა, პაპიონ, ადგომას არ აპირებ?

– რომელი საათია?

– თვრამეტი, შენი პრინცესა გვეხმარება. ორი საათიდან ფეხზეა. მორიგი ღამისთვის მზად ვართ.

ინდარა ცხელი წყლით სავსე ჭურჭლით მოდის. გაპარსული, დაბანილი და გამხნევებული, წელზე ხელს ვხვევ და ქოხში შევდივართ. სადაც ახალი კითხვებით მხვდებიან.

– როგორ იყო, boss?

– კარგად გავიხადე? თქვენი აზრით, სად შემეშალა?

– ჩემი ღილინი სიმღერას ჰგავდა? კიდევ კარგი, უბრალო საზოგადოებაა.

ეს ახალი „დასი" ნამდვილად გამაგიჟებს! მსახიობებად გარდაქმნილი მეძავები სამუშაოს მთელი სერიოზულობით უდგებიან და თითქოს ბედნიერებიც კი არიან,

რომ პირველი ხელობა მიატოვეს. საქმე ისე მიდის, რომ უკეთესი არ შეიძლება. ერთი რამ მაწუხებს: ამდენი მარტოხელა მამაკაცისთვის ქალები არ მყოფნის. ყველა კლიენტს უნდა, მთელი ღამით თუ არა, რაც შეიძლება დიდხანს ეჯდეს ქალიშვილი მაგიდასთან, განსაკუთრებით მსახიობებს თხოულობენ. ხანდახან ერთმანეთის შურთ, და როცა რომელიმე მაგიდასთან ორი ქალი ერთდროულად ზის, პროტესტების ხმებიც ისმის.

მიმტან გოგონებზეც დიდი მოთხოვნილებაა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მართლაც კოხტები არიან, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ ამ ტევრში ქალები იშვიათობაა. ზოგჯერ დეია ბარიდან კლიენტებთან გამოდის და ისინიც მისი მშვენიერებით ტკბებიან.

შურისა და პროტესტების აღსაკვეთად ლატარიას ვანესებ. ყოველი გამოსვლის შემდეგ ქალიშვილები მიდიან და დიდ დოლაბს ატრიალებენ. მასზე დარბაზის ოცდაათი მაგიდისა და ბარის ორი სკამის ნომერი აწერია – 1-დან 32-მდე. ქალიშვილი მოგებულ მაგიდასთან უნდა დაჯდეს. ამ ლატარიის ფასი ერთი ბოთლი ვისკის ან შამპანურის ფასს უტოლდება.

მეგონა, ამ იდეას ორი უპირატესობა ექნებოდა: ჯერ ერთი, კლიენტებს დაანყნარებდა და, მეორეც – შემოსავალს გაზრდიდა. მოგების განაღდების ცერემონიალი შემდეგნაირია: ქალიშვილი დოლაბს შიშველი, მარაოთი დაფარული ატრიალებს. ნომრის გამოსვლის შემდეგ დიდ, ვერცხლისფერ ტაბლაზე ადის და ორ ღონიერ მამაკაცს, ატატებული მიჰყავს მოგებულ მაგიდასთან. ბოლომდე გახდილი კი იგი შამპანურის ბოთლს ხსნის, ჭიქას უჭახუნებს, ბოდიშს იხდის და ჩასაცმელად გადის. ცოტა ხნის შემდეგ ბრუნდება და მთელ საათს ატარებს ბედნიერის მაგიდასთან.

ექვსი თვის განმავლობაში ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ წვიმების სეზონის დამთავრების შემდეგ ახალი კლიენტურა გამოჩნდა. ესენი ოქროსა და ალმასების მაძიებლები არიან. მათი სამუშაო ადვილი არ არის. ხშირად ერთმანეთს ძარცვავენ, ხან ხოცავენ კიდეც და ამიტომ ყველა შეიარაღებული დაიარება. როგორც კი პატარა ალმასს იპოვიან ან ქისაში ოქროს დაიგულებენ, ცთუნებას ვერ უძლებენ და დასახარჯავად მორბიან. ჩემი გოგონები ყოველ გახსნილ ბოთლზე პრემიებს იღებენ და ხშირად, როცა კლიენტი საკოცნელად იწევს, ახერხებენ, შეუმჩნევლად გადააქციონ ყინულის სათლში შამპანური ან ვისკი, რომ ბოთლი მალე დაიცალოს და ახალი შეკვეთა მიიღონ. ზოგიერთი, სიმთვრალის მიუხედავად, ხვდება ამას და უნდა ნახოთ მათი რეაქცია! მალე იძულებული ვხდები, მაგიდები და სკამები იატაკზე დავამაგრო.

ამ ახალ ხალხთან მოხდა ის, რაც გარდაუვალი იყო: იმ ქალიშვილს „დარიჩინის ყვავილს“ ეძახდნენ, რადგან კანი ამ მცენარის ფერი ჰქონდა. ეს ახლად ჩამოყვანილი გოგო, რომელიც ჯორჯთაუნის წუმპიდან ამოვიყვანე, კლიენტურას თავისი გახდის მანერით აგიჟებდა.

მისი გამოსვლის დროს ესტრადაზე თეთრ სავარძელს დგამდნენ. მას, გაშიშვლების ხელოვნება გარყვნილების უმაღლეს წერტილამდე აჰყავდა და, ამას გარდა, როცა დედიშობილა რჩებოდა, სავარძელზე იჭიმებოდა და საკუთარ თავს ეფერებოდა. მის თლილ თითებს სხეულის არც ერთი ნაკვთი არ გამოეპარებოდა. უკვე წარმოდგენილი გექნებათ, რა ხდებოდა ამ ალკოჰოლით გაჟღენთილ დარბაზში.

რაკი ხედავს, რომ პუბლიკა მასზე გიჟდება, „დარიჩინის ყვავილი" მოითხოვს, რომ მისი ბილეთები ორი ბოთლი შამპანურის ფასად გაიყიდოს. ერთი ძვალმსხვილი, შავი, გაბურძგნილწვერიანი ოქროს მაძიებელი რამდენჯერმე ცდილობს მის მოგებას. ერთხელაც, როცა ქალიშვილის გამოსვლის დრო ახლოვდება, დგება და დარბაზის ოცდაათივე ბილეთს ყიდულობს. იგი დარწმუნებულია, რომ მშვენიერ შიშველ ქალს ბარძაყებს შორის ჩადებულ ორ ბოთლ შამპანურთან ერთად მოართმევენ. ტირაჟს ელოდება. დილის ოთხი საათია, „დარიჩინის ყვავილს" საკუთარი დოზა ალკოჰოლი უკვე მიღებული აქვს და თავის სცენას უფრო გაბედულად და სექსუალურად ატარებს. დოლაბს ატრიალებენ. წვერიანი აღგზნებისაგან ყმუის. მაგრამ, კატასტროფა: ბარის ნომერი იგებს! წვერიანი ნაგებას მხოლოდ მაშინ იტვინებს, როცა „დარიჩინს" ბართან სვამენ. ამის დანახვაზე ეს არაკაცი მთლად გიჟდება, ორი ნახტომით ბართან ჩნდება და ქალს სამ ტყვიას ახლის.

„დარიჩინის ყვავილმა" ჩემს ხელში დალია სული. მანამდე ეს ცხოველი ამერიკელ პოლიციელთა black-jack-ის დარტყმით გავაგორე, რასაც არ ვიშორებდი ხოლმე. ჩარევა იმიტომ დამაგვიანდა, რომ ერთ-ერთ მიმტანს შევეჯახე. შედეგი: პოლიციამ ბამბუკის ქოხი დახურა და, რა გვექნა – ჯორჯთაუნში დავბრუნდით.

აი, ჩვენ ისევ სახლში ვართ. ინდარა, როგორც ყველა ინდუსი, ფატალისტია, იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ სხვა რამეს მოვისაზრეთ. ჩინელებიც ასევე ფიქრობენ. ჩვენს შეხმატკბილებულ გუნდში არაფერი იცვლება. არავინ არ მსაყვედურობს, რომ ბრიყვული აზრი მომივიდა – ლატარიაში გამეთამაშებინა გოგონები და ყველაფერი ჩავაფლავე. ჩვენი დანაზოგით ვალები გავისტუმრეთ და ცოტაოდენი ფული „დარიჩინის ყვავილის" დედასაც მივეცით. სანერვიულო არაფერი გვაქვს. ყოველ საღამოს ყოფილ კატორღელებთან ერთად ბარში ვიკრიბებით და მშვენიერ საღამოებს ვატარებთ, მაგრამ ჯორჯთაუნს ომის გაჭირვება აწევს და მღლის. ამას გარდა, ჩემი პრინცესა, რომელიც აქამდე არასდროს ყოფილა ეჭვიანი და სრული თავისუფლებით ვსარგებლობდი, ახლა ერთ ნაბიჯზეც არ მშორდება. სადაც უნდა ვიყო, საათობით გვერდით მიზის.

ჯორჯთაუნში რაიმე საქმის წამოწყების შესაძლებლობა თითქმის აღარ არის. ამიტომაც, ერთ მშვენიერ დღეს დაუოკებელი სურვილი მიპყრობს – ინგლისური გვიანიდან რომელიმე სხვა ქვეყანაში გავემგზავრო. არაფრის არ უნდა მეშინოდეს – ომია და არც ერთი ქვეყანა არ დაგვაბრუნებს. ყოველ შემთხვევაში, ასე ვვარაუდობ.

გაქცევა ჯორჯთაუნიდან

გიტუ თანახმაა. მისი აზრით, უნდა არსებობდეს სხვა ქვეყნებიც, სადაც უფრო ადვილი იქნება ცხოვრება, ვიდრე ინგლისურ გვიანაში. გაქცევის მომზადებას ვიწყებთ. ინგლისური გვიანიდან გასვლა მძიმე დანაშაულია. საომარი მდგომარეობაა და არც ერთ ჩვენგანს პასპორტი არა აქვს.

საბი თევა შაპარი ჩამოვიდა. დეზინტერნირება „ჩაუწყვია" და კაიენიდან გამოქცეულა. ახლა დღეში დოლარნახევრად ერთ ჩინურ საშაქარლამოში ყინულს ამზადებს. არც ის არის ჯორჯთაუნში გამჩერებელი. ჩვენთან ერთად წამოსვლა ძველ კატორღელებს – დიჟონელ დეპლანკსა და ერთ ბორდოელსაც უნდათ. კუიკი და ცალხელა დარჩენას არჩევენ – თავს აქაც კარგად გრძნობენ.

რაკი დემერარას გასასვლელი სამხედროების მეთვალყურეობის ქვეშაა, ჯო-

რჯთაუნის პორტზე მიწერილი სათევზაო ნავის ანალოგით უნდა გავაღწიოთ. არა ვარ მართალი, როცა ინდარას მგზნებარე სიყვარულს ხელს ვკრავ და უმადურობას ვიჩენ, მაგრამ საკუთარ თავს ვერ გადავახტები: იგი ისე მეწებება, რომ უკვე ნერვებს მიშლის. უბრალო არსებები (ასე იყო გვახირას ინდიელი ქალების შემთხვევაშიც) იმ ადამიანს, ვინც უყვართ, მთელი სულით ეხსნებიან, მისგანაც სამაგიეროს თხოულობენ და თუ არ მიიღებენ, მათთვის უდიდესი ტკივილია. ახლა სწორედ ეს მაღიზიანებს, თანაც უფრო მეტად, ვიდრე ინდიელების შგემთხვევაში იყო და ვცდილობ, ინდარამ ჩემს მკლავებში რაც შეიძლება მეტი სიამოვნება მიიღოს.

გუშინ გრძნობების მიმიკით გამოსახვის მშვენიერ სპექტაკლს დავესწარი. ინგლისის გვიანაში ერთგვარი, თანამედროვე სახის მონათმფლობელობა არსებობს: იაველები აქ – ბამბის, შაქრის ლერწმისა, თუ კაკაოს პლანტაციებში, ხუთიდან ათ წლამდე კონტრაქტით ჩამოდიან. ცოლ-ქმარი ვალდებულია, ყოველდღე სამუშაოდ გავიდეს, თუ შეუძლოდ არ არის. ავადმყოფობის მოგონებას საჯელი მოსდევს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, დამატებით ერთ თვეს ამუშავებენ, თუ, რა თქმა უნდა, სხვა მცირე დანაშაულობები არა აქვთ ჩადენილი. მათი უმეტესობა აზარტული მოთამაშეა, ვალებში ეფლობიან და მათ გასასტუმრებლად იძულებულნი ხდებიან, პრემიის მიღების მიზნით, კონტრაქტი ერთი ან რამდენიმე წლით გააგრძელონ. პრაქტიკულად ისინი მონობიდან ვერ ამოდიან. ზოგიერთი იმასაც კი კისრულობს, რომ ცოლს აგებს, მაგრამ შვილი მათთვის წმიდათა წმიდაა – ყველაფერს აკეთებენ, რათა ისინი free (თავისუფალი) იყვნენ; ყველაფერს იტანენ, რათა მათმა შვილმა პლანტატორთან კონტრაქტს ხელი არ მოაწეროს.

მოკლედ, დღეს ერთ-ერთი ასეთი ინდუსის ქალიშვილის ქორწილია. თითოეული გრძელ სამოსშია გამოწყობილი: ქალები – თეთრ კაბებსა და თეთრ ეუალებში; მამაკაცები – კოჭებამდე ტუნიკებში. ირგვლივ ყველაფერი ციტრუსების ყვავილებით არის მორთული. რამდენიმე რელიგიური რიტუალის შემდეგ, როცა პატარძლის წაყვანის დრო მოდის, ასეთი სცენა იმართება: სახლის კარის წინ ორ რიგად მწკრივდებიან, მეორე მხარეს ქალები ერთ მხარეს – კაცები. მეორე მხარეს. ზღურბლზე, ღია კარის წინ, ქალის მშობლები სხედან; დანიშნულები ყველას ეთხოვებიან და რიგებს შორის მიდიან. უეცრად პატარძალი სიძის მკლავებს უსხლტება და მშობლებისაკენ გარბის. დედა ერთ ხელს თვალებზე იფარებს, მეორით ანიშნებს, ქმარს დაუბრუნდეს, რომელიც ამ დროს უსიტყვოდ უკან იხმობს და ისეთი იერი აქვს, თითქოს დაბნეულია...

პატარძალი უსიტყვო მოძრაობებით უხსნის, თუ როგორ გამოვიდა დედის მუცლიდან, როგორ წოვდა მის ძუძუს და არ ესმის, რატომ უნდა მიატოვოს კაცის გამო ის, ვინც უყვარს; მოგყვები, მაგრამ, ცოტა მაცალე, მინდა, ერთხანს კიდევ დავტკბე მშობლების ცქერით, რომლებიც, სანამ შენ გაგიცნობდი, ჩემი ერთადერთი სიხარული იყვნენო.

აქ უკვე სიძე, ისევ მიმიკებით, თხოულობს, რომ ქალიშვილი მისი მეუღლე და მისი შვილების დედა გახდეს. მთელი ეს სცენა გოგონებისა და ბიჭების კაფიობის ქვეშ მიდის. ბოლოს, პატარძალი გარბის და სიძეს მკლავებში უვარდება, რომელიც მას ყვავილებით მორთული ეტლისკენ მიარბენინებს.

* * *

გაქცევას გულმოდგინედ ვამზადებთ: ვიშოვეთ ფართო და გრძელი ნავი, მაღალი ხარისხის მასალისაგან დამზადებული აფრით, ფოკითა და საჭით. ვფრთხილობთ, პოლიციის თვალხედვის არეში არ მოვხვდეთ.

ნავს ჩვენი კვარტლის ბოლოში, Penitens Rivers-ში ვმალავთ – პატარა მდინარეში, რომელიც დემერარას ერთვის – ის ისევეა შეღებილი და დანომრილი, როგორც ჯორჯთაუნზე მიწერილი, ჩინელების სათევზაო ნავი. მხოლოდ ეკიპაჟია სხვა. ეჭვი რომ არ შეეპაროთ, დავიჩოქებთ, რადგან ჩინელები პატარა ტანისა არიან.

ზღვაში ხიფათის გარეშე გავდივართ. უნდა მიხაროდეს, რომ ვერავინ შეგვამჩნია და გავაღწიეთ, მაგრამ ეს ასე არ არის: წამოვედი, როგორც ქურდი, უმადურობა გამოვიჩინე ჩემი პრინცესასა და მისი რასის მიმართ, ვინც ამდენი მადლი გაიღო ჩემთვის. თავის გასამართლებელ მიზეზებს არ ვეძებ. მაგიდაზე, გამოსაჩენ ადგილას ექვსასი დოლარი დავტოვე, თუმცა იმას, რაც მათგან მივიღე, ფასი არა აქვს.

ჩრდილო-ჩრდილოეთით ორმოცდარვა საათს უნდა ვიცუროთ, რომ ბრიტანეთის ჰონდურასში მოვხვდეთ. ორ დღეზე მეტი გაშლილ ზღვაში უნდა დავყოთ.

ჩვენ ხუთნი ვართ: გიტუ, ჩაპარი, ბორდოელი ბარიერი, დეპლანკი – ერთი დიჟონელი ტიპი და მე, პაპიონი – კაპიტანი.

ოცდაათი საათიც არ გასულა ზღვაში გასვლიდან, რომ საშინელ ქარიშხალში მოვხვდით, რასაც ტაიფუნები და ციკლონები მოჰყვა. ელვა, ქუხილი და წვიმა ერთმანეთში ირეოდა და უწესრიგო ტალღებზე ქარი ნაფოტივით მიგვაქანებდა. ასეთი რამ არასოდეს მინახავს: ზღვაზე დიდი ძაბრები ტრიალებდა და მუდმივად მიმართულებას იცვლიდა. ასე რომ გაგრძელებულიყო, რვა დღეში კატორღაში მიგვაბრუნებდა.

სხვათა შორის, შემდგომში, ტრინიდადზე, ბატონ აგოსტინისაგან – საფრანგეთის კონსულისაგან – გავიგე, რომ ამ ტაიფუნს დიდი ამბავი დაუტრიალებია: მარტო მის პლანტაციაში ექვსი ათასზე მეტი ქოქოსის პალმა მოგლიჯა, სახლებს ჰაერში იტაცებდა და შორს, მიწაზე ან ზღვაში ჰყრიდაო.

ყველაფერი დავკარგეთ: აღარც საკვები დაგვრჩა, აღარც წყალი. ანძა ორი მეტრის სიმაღლეზე გადატყდა. საჭეც. აფრა საერთოდ აღარ გვაქვს. ჩაპარმა სასწაულად გადაარჩინა პატარა ნიჩაბი და ამით ვცდილობ ნავის მართვას. ყველაფერი გავიხადეთ და გადარჩენილი მავთულით რაღაც აფრის მაგვარი შევკერეთ. თითქმის მივცურავთ.

პასატების დახმარებით პირდაპირ სამხრეთისაკენ მივემართებით. მინდა, რაც შეიძლება მალე მივადგეთ რომელიმე ქვეყანას, თუნდაც ინგლისური გვიანა იყოს. სასჯელი, რაც იქ გველოდება, ამ ყოფასთან შედარებით შაქარი იქნება. ჩემს ყველა თანამგზავრს ციკლონის თუ, როგორ ვთქვა, კატაკლიზმის დროს, თავი ღირსეულად ეჭირა.

მხოლოდ ექვსი, აქედან ორი შტილიანი დღის შემდეგ ვამჩნევთ მიწას. ამ ანძის ნაგლეჯით ვერც ჩვენს ნებაზე მივცურავთ და არც ეს პატარა ნიჩაბია საკმარისი ნავის სამართავად. ყველა შიშველი ვართ და მზისაგან დამწვრებს არაფრის თავი აღარ გვაქვს. თითქმის მთელ ტანზე ტყავი აგვძვრა. წყურვილი გვკლავს, დეპლანკი და ჩაპარი იქამდე მივიდნენ, რომ მარილიან წყალს სვამენ და ამისგან უფრო

იტანჯებიან. წყურვილისა და შიმშილის მიუხედავად, არავინ წუწუნებს. არც ერთი ჩვენთაგანი მეორეს რჩევას არ აძლევს. ვისაც მარილიანი წყლის დალევა უნდა ან ზღვის წყლით სველდება და აცხადებს, ასე ვგრილდებიო, ისედაც იცის, რომ ვერც წყურვილს მოიკლავს და ვერც იარებს დაიამებს. ყველაფერი პირიქით მოხდება.

მარტო მე ვხედავ ცალი თვალიდან, დანარჩენებს ორივე თვალი დაუჩირქდათ. მიუხედავად საშინელი ტკივილისა, უნდა დავიბანო, რომ რაიმე დავინახო. თაკარა მზე ჩვენს დამწვარ სხეულებს ისე უტევს, რომ ვეღარ ვუძლებთ. დეპლანკი უკვე სანახევროდ გიჟია – წყალში გადავარდნაზე ლაპარაკობს.

აი, უკვე ერთ საათამდე იქნება, რაც მეჩვენება, რომ ჰორიზონტზე მიწას ვხედავ. რაკი დარწმუნებული არ ვარ, სხვებს არაფერს ვეუბნები და ნავს იქით მივმართავ. ჩვენს თავზე ფრინველები იწყებენ ტრიალს – ესე იგი, არ შევმცდარვარ. მათ ჭყივილს გონზე მოჰყავს ბიჭები, რომლებიც ახლა ნავის ფსკერზე ყრიან და მზისაგან ხელებით იფარავენ სახეს.

გიტუს, სანამ სიტყვის თქმას მოახერხებდეს, სახე ემანჭება:

– პაპი, მიწას ხედავ?

– კი.

– როგორ ფიქრობ, რამდენ ხანში მივალთ?

– ხუთ ან შვიდ საათში. მომისმინეთ, მეგობრებო, მეტი აღარ შემიძლია. გარდა იმისა, რომ მეც თქვენსავით დამწვარი ვარ, საჯდომი სკამზე ხახუნისა და ზღვის წყლისაგან გადამეღლიტა. აღარც ხელები მემორჩილება. თუ რომელიმეს არ ძალუძს საჭესთან შემცვალოს, აფრა ჩამოვხსნათ და ნავზე გადავჭიმოთ, რომ დაღამებამდე მზისაგან დავიცვათ თავი. ნავს მიქცევა თავის ნებაზე წაიღებს.

– ჰო, ჰო, პაპი, ასე მოვიქცეთ და ერთის გარდა ყველამ დაიძინოს.

ამ გადაწყვეტილებას ცამეტი საათისთვის ვიღებთ. ცხოველური კმაყოფილების გრძნობით ვიჭიმები ნავის ფსკერზე. ამხანაგები საუკეთესო ადგილს მითმობენ, სადაც ქარი უკეთესად უბერავს. ვინც უნდა იფხიზლოს, ისიც ჩრდილში იჯდება, მაგრამ მალე ყველა ვითიშებით.

უეცრად სირენის ყმუილი გვაღვიძებს. საფარიდან თავს ვყოფ – ღამეა. რომელი საათი იქნება? როგორც კი ჩემს ადგილზე, საჭესთან ვჯდები, გრილი ბრიზი ჩემი საწყალი, გამომწვარი სხეულის მოფერებას იწყებს და ერთბაშად სიცივე მიპყრობს. მაგრამ, რა შედარებაა მწვადად ყოფნასთან!

„აფრას" ვმართავთ. თვალებს ზღვის წყლით ვიწმენდ – საბედნიეროდ, მხოლოდ ერთი მეწვის და მიჩირქდება. გარკვევით ვხედავ, რომ მარჯვენივაც მიწაა და მარცხნივაც. სად ვართ? სირენის კივილი მეორდება. ხმა მარჯვენა მხრიდან მოდის. რა ჯანდაბა უნდათ?

– როგორ გგონია, სად ვართ, პაპი? – მეკითხება ჩაპარი.

– გულახდილად რომ გითხრა, არ ვიცი. თუ ყურეა, შეიძლება, ორენოკოს შესართავთან ვიყოთ, ესეიგი მარცხნივ ინგლისური გვიანაა; თუ მარჯვნივ კუნძულია, მაშინ ეს ტრინიდადი იქნება, ხოლო თუ მარცხნივ ვენესუელაა, მაშინ პარიას უბეში ვყოფილვართ.

თუ ეს ასეა, ვფიქრობ, რომელი მხარე ავირჩიო. ჩვენი ბედი სასწორზეა. შემიძლია, რომელიმე ნაპირისიკენ ნავიდე, მაგრამ მე მაინც პირდაპირ მივცურავ. ტრინიდადშიც ისეთივე rosbifs-ები არიან, როგორც ინგლისურ გვიანაში – იგივე მთავრობა.

– დარწმუნებული ვარ, ცუდად არ მოგვექცევიან, – ამბობს გიტუ.

– კი, მაგრამ, ვინ იცის, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ. ჩვენ ხომ საომარ მდგომარეობაში მყოფი ტერიტორია საიდუმლოდ, ნებართვის გარეშე დავტოვეთ.

– ვენესუელა?!

– არ ვიცი, იქ ახლა როგორ ხდება, – ამბობს დეპლანკი – პრეზიდენტ გომესის დროს კი კატორღელებს უკიდურესად მძიმე პირობებში, გზებზე ამუშავებდნენ და მერე საფრანგეთს უბრუნებდნენ.

– ჰო, მაგრამ, ახლა სხვა დროა – ომია.

– როგორც ჯორჯთაუნში გავიგე, ესენი ომში არ არიან ჩაბმული – ნეიტრალები არიან.

– ნაღდია?

– უეჭველია.

– მაშინ, იქ მისვლა ჩვენთვის საშიშია.

სინათლეებს ორივე მხარეს ვამჩნევთ. ამჯერად სირენა ზედიზედ სამჯერ კივის. მარჯვნიდან ანთებული ფარები მოემართება. მთვარის შუქზე ისინი ჩვენგან შორს მოჩანან, მაგრამ გეზი აქეთ აქვთ. წინ წყლიდან ორი უზარმაზარი შავი კლდის წვერი ამოდის. სირენის მიზეზიც ეს უნდა იყოს: გვაფრთხილებენ, არ დავეჯახოთ.

– შეხედე, რამდენი მცურავი ბუიაა მთელი ჯაჭვია გაბმული. რატომ არ უნდა დაველოდოთ გათენებას ერთ-ერთ მათგანზე მიბმული? დაუშვი აფრა, ჩაპარ!

იგი მაშინვე უშვებს შარვლებისა და პერანგების ნაგლეჯებს, რასაც აფრას ვეძახით. ნავს ჩემი ნიჩბით ვამუხრუჭებ, ერთ ბუის ვადგები და ქიმზე შემორჩენილი თოკის ნაგლეჯით ვებმებით. არა უშუალოდ მასზე, რადგან არაფერი გამოსადები არა აქვს, არამედ ორი ბუის შემაერთებელ ბაგირზე. მარჯვენა მხარის სირენები გაბმულად ღმუიან – ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ. მერე ნავის ძირში ვწვებით, აფრას ნიკაპამდე ვიფარებთ და ჩათბუნებულები ვიძინებთ. ხვრინვას ერთ-ერთი პირველი მე ვიწყებ.

როცა ვიღვიძებ, თავზე მოწმენდილი ცა მადგას. მზე ეს-ესაა ამოინვერა თავისსაწოლიდან. მოელვარე ზღვის მოლურჯო მომწვანო ფერი ამტკიცებს, რომ აქ ფსკერი მარჯნისაა.

– რას ვაპირებთ? არ წავიდეთ მინისკენ? შიმშილისა და წყურვილისაგან ვკვდები, – ამ შვიდი დღის მარხულობის განმავლობაში ეს პირველი წუწუნია.

– შეცდომა არ უნდა დავუშვათ, – ამბობს შაპარი.

ჩემი ადგილიდან, პირდაპირ, კლდეების უკან, გარკვევით ვხედავ დიდ მიწას. ესე იგი, იქეთ ტრინიდადია, მარცხნივ კი ვენესუელა იქნება. ეჭვგარეშეა – ჩვენ პარიას უბეში ვართ და წყალი იმიტომ არ არის გაყვითლებული ორენოკოს დინებისაგან, რომ აქ, ორ ქვეყანას შორის, დინება გადის, რომელიც შემდგომ გაშლილი ზღვისაკენ მიემართება.

– რას ვაპირებთ? ასეთ წუთებში მე პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ. კენჭი უყარეთ. მარჯვნივ ინგლისური კუნძული ტრინიდადია, მარცხნივ – ვენესუელა. საით გირჩევნიათ წასვლა? ამ ნავისა და ჩვენი ფიზიკური მდგომარეობის შემყურე, მიწაზე ჩქარა უნდა გადავბარგდეთ. ჩვენ შორის ორი გათავისუფლებულია: გიტუ და ბარიერი. ჩვენ სამი – შაპარი, დეპლანკი და მე – შეიძლება, საფრთხეში აღმოვჩნდეთ, ამიტომ გადაწყვეტილებაც ჩვენ უნდა მივიღოთ. რას იტყვით?

– ყველაზე გონივრული იქნება, ტრინიდადს მივადგეთ, ვენესუელას არ ვიცნობთ.

– არავითარი გადაწყვეტილების მიღება არ გჭირდებათ, ამაზე ის კატერი „იზრუნებს", – ამბობს დეპლანკი.

მართლაც, ჩვენკენ კატერი მოქრის. მალე ის ორმოცდაათ მეტრში ჩერდება. ერთი კაცი ხმის გამაძლიერებელს იღებს. მათი დროშა ინგლისურს არა ჰგავს – ვარსკვლავებით არის მოჭედილი, ძალიან ლამაზია. ასეთი ბაირაღი არასოდეს მინახავს – ვენესუელის უნდა იყოს. მოგვიანებით იგი „ჩემი დროშა" იქნება – ჩემი ახალი სამშობლოსი. სიმბოლო – ქსოვილის ნაჭერი, რომელშიც მისი ხალხის – ჩემი ხალხის – კეთილშობილება და სიკეთეა თავმოყრილი.

– Quien son Vosotros (ვინ ხართ)?

– ფრანგები.

– Estan locos (გიჟები ხართ)?

– რატომ?

– Porque son amarados a minas (იმიტომ, რომ მინებზე ხართ მიბმული)!

– ამიტომ არ გვიახლოვდებით?

– ჰო. სწრაფად მოშორდით!

– კარგი.

სამ ნამში შაპარი თოკს ხსნის. თურმე, არც მეტი, არც ნაკლები, მოტიეტიევ მინებზე ვყოფილვართ მიბმულები! სასწაულია, რომ არ ავფეთქდით! ამას კატერის კაპიტანი მიხსნის. უკან გამობმული მივყავართ. ეკიპაჟი ცხელ ყავას, დაშაქრულ რძესა და სიგარეტებს გვაწვდის.

– წადით ვენესუელაში, გარწმუნებთ, კარგად მოგექცევიან. მიწამდე ვერ მიგიყვანთ, რადგან შუქურიდან მძიმედ დაჭრილი უნდა წამოვიყვანოთ. არ გაბედოთ ტრინიდადისაკენ წასვლა – ათიდან ცხრა შესაძლებლობაა, რომ მინას წაანყდეთ და მაშინ...

Adios, buena suerte-ს შემდეგ (ნახვამდის, ხელი მოგიმართოს), კატერი ორ ლიტრ რძეს გვიტოვებს და მიდის. დილის ათ საათზე, რძისაგან აჭყრიალებული მუცლებითა და პირში გარჭობილი სიგარებით, ყოველგვარი სიფრთხილის გარეშე ქვიშიან ნაპირს ვადგებით, სადაც ორმოცდაათიოდე კაცი გაკვირვებული ელის, თუ ვინ მოცურდება ამ უცნაური ნავით, რომელსაც პერანგების, შარვლებისა და ჯვალოებისაგან შეკოწიწებული აფრა ალუმართავს.

მეცამეტე რვეული

ვენესუელა

ირაპას მეთევზეები

ჩემთვის სრულიად უცნობ ქვეყანაში, ხალხს და ცივილიზაციაში ვხვდები. ვენესუელის მიწაზე ფეხის დადგმის პირველი წუთები იმდენად ამაღელვებელი იყო, რომ მის გადმოსაცემად ნიჭი არ მეყოფა. მამაკაცებს უმეტესობას კანის თეთრი ფერი აქვს, თუმცა, ურევიან შავებიც და მზისაგან ჩამუქებულებიც. ყველას მუხლებამდე აწეული შარვალი აცვია.

– სააცოდავებო, რა მდგომარეობაში ხართ, – გვეუბნებიან ისინი.

მეთევზეების სოფელს, სადაც მიგვიყვანეს, ირაპა ჰქვია და სუკრეს ოლქს ეკუთვნის. მათი პატარა, მაგრამ მომხიბვლელი ქალიშვილები, ისევე, როგორც უფროსები, უმალ სანიტრებად, მოწყალების დებად და ძიძებად გადაიქცნენ.

ერთ-ერთი სახლის საჩრდილობელში ხუთ ჰამაკს ჭიმავენ და მაგიდებსა და სკამებს აწყობენ, მერე ყველა ნაკვთზე გვისვამენ კაკაოს კარაქს. ამ ხალხმა იცის, რომ შიმშილისაგან გამოფიტულები ვართ და საკვების უცებ მიღება არ შეიძლება. ჯერ უნდა დავიძინოთ. ძილის დროს ერთ-ერთი ჩვენი „სანიტართაგანისაგან" საჭმელს პატარა დოზებით ვიღებთ, როგორც ჩიტის ბარტყები.

ჩემმა ცარიელმა მუცელმა ჩვენებური ტაპოკას მაგვარი საკვების პირველი დოზები არ მიიღო. მარტო მე არა ვარ ასე, ყველამ რამდენჯერმე ამოვარწყიეთ ყველაფერი, რასაც ქალები პირში გვტენიდნენ.

ამ სოფლის ხალხი უკიდურესად ღარიბია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა, გამონაკლისის გარეშე, ჩვენს დახმარებას ცდილობს. სამი დღის შემდეგ, და ჩვენი ახალგაზრდა სხეულებისა და მათი დახმარების წყალობით, თითქმის ფეხზე ვართ. საათობით ვსხედვართ ქოქოსის ფოთლებით გადახურულ საჩრდილობელში, სიგრილეში და ვსაუბრობთ. საშუალება არა აქვთ, ყველა ერთბაშად შეგვმოსონ. პატარ-პატარა ჯგუფებად დაიყვნენ: ერთნი გიტუს უვლიან, სხვები – დეპლანკს და ასე შემდეგ მე დაახლოებით დუჟინი ქალი და კაცი მპატრონობს.

პირველ დღეებში გაცვეთილი, მაგრამ ძალიან სუფთა სამოსი მოგვცეს. ახლა, ეისაც როგორ შეუძლია, ისე იძენს – ვინ პერანგს, ვინ ქამარს და ვინ წყვილ ფეხსაცმელს. ჩემს მფარველ ქალებს შორის არის ორი ლამაზი ქალიშვილი, რომელთაც ინდიელების იერი კი აქვთ, მაგრამ აშკარად ეტყობათ ესპანური თუ პორტუგალიური სისხლი. ერთს ტიბისე ჰქვია, მეორეს – ნენიტა. მათ პერანგი, შარვალი და წყვილი ქოში, მათ ენაზე espargate მიყიდეს.

– არ გეკითხებით, საიდან მოდიხართ. სვირინგების მიხედვით, ყველაფერი ნათელია – კატორღიდან გამოქცეულები ხართ.

აი, რა არის ამაღელვებელი! როგორ! თურმე იციან, რომ მძიმე დანაშაულობებისათვის ვიყავით მსჯავრდებულები, წიგნებიდან და გაზეთებიდან იცნობენ იმ ციხის სიმკაცრეს, საიდანაც გამოვიქეცით და მაინც ბუნებრივად მიაჩნიათ, რომ უნდა დაგვეხმარონ. უფრო მეტიც – გვაცმევენ და გვაჭმევენ. როცა კაცს ოჯახში ყველაფერი აქვს და ცოლ-შვილი მაძღარი დაუდის, ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ

ვილაცას დაანახვოს, რა კეთილია; მაგრამ, როცა ოჯახს პირიდან უკანასკნელ ლუკმას აცლი, რათა უცხოს უწილადო, ამას მხოლოდ კეთილშობილების მწვერვალი შეიძლება ვუწოდოთ.

ამ დილით ხმას არავინ იღებს. დაბნეული და შეწუხებული სახეები აქვთ. რა ხდება? ტიბისე და ნენიტა წინ მიდგანან. კანი იმდენად მომირჩა, რომ გავბედე და გავიპარსე. ქალიშვილებს ჩემს გარეგნობაზე ბუნდოვანი აზრი ჰქონდათ და ახლა აღფრთოვანებული მეუბნებიან, რა ახალგაზრდა ყოფილხართო. და მაინც, ოცდათხუთმეტი წლის ვარ, თუმცა ოცდაათისად გამოვიყურები. ვგრძნობ, რომ ამ ხალხს რაღაც აწუხებს და მათი წუხილის საგანი ჩვენ ვართ.

– რაშია საქმე? თქვი, ტიბისე, რა ხდება?

– ჩვენი მეზობელი სოფლიდან, გუირიადან, ხელისუფლების წარმომადგენლები აპირებენ მოსვლას. ჩვენ აქ კომისარი არ გვყავს და არ ვიცით, პოლიციამ თქვენი აქ ყოფნა როგორ გაიგო. მალე აქ გაჩნდებიან.

ერთ მშვენიერი ზანგი ქალი წელზევით შიშველ, ათლეტური აღნაგობის ჭაბუკთან ერთად მიახლოვდება. La negrita (ფერადკანიანების ასე მოხსენიება ძალიან მიღებულია ვენესუელაში და მასში დამამცირებელი არაფერია) მეუბნება:

– Senor Enriquez (ბატონო ანრი), პოლიცია მალე აქ იქნება. არ ვიცი, რა განზრახვით მოდის. თუ გნებავთ, ჩემი ძმა მთებში, ერთ პატარა ქოხში დაგმალავთ, სადაც ვერავინ მოგაგნებთ. ტიბისე, ნენიტა და მე ყოველდღე საჭმელსა და ახალ ამბებს ამოგიტანთ.

უკიდურესად შეცბუნებული, ვაპირებ ამ კეთილშობილ ქალიშვილს ხელზე ვეამთხვიო, მაგრამ არ მანებებს და ლოყაზე მკოცნის.

სოფელში ცხენოსნები ჭენებით შემოდიან. თითოეულს მარცხენა გვერდზე შაქრის ლერწმის საჭრელი ხმალი – მაჩეტე ჰკიდია, მარჯვენაზე – დიდი რევოლვერი. ფართო ქამრებში ტყვიები აქვთ ჩაწიკწიკებული. ცხენებიდან ჩამოხდომის შემდეგ, ერთი ორმოცდაათიოდე წლის, მაღალი, გამხმარი კაცი, რომელსაც მონგოლოიდური ყვირიმალები, ინდიელის თვალები და სპილენძისფერი კანი აქვს, ჩვენკენ მოემართება. თავზე უზარმაზარი ჩალის ქუდი ადევს.

– გამარჯობა. მე პოლიციის პრეფექტი ვარ.

– გამარჯობა, მესიე.

– თქვენ, – მიმართავს სოფლელებს, – რატომ არავინ გააფრთხილეთ, რომ სოფელში ხუთი კაიენელი გამოქცეული შეიფარეთ? როგორც მითხრეს, უკვე რვა დღეა, რაც აქ გყოლიათ. მიპასუხეთ!

– იმიტომ, რომ ველოდებით, როდის შეძლებდნენ სიარულს. დამწვრები იყვნენ.

– მათ წასაყვანად ჩამოვედით. მოგვიანებით მანქანა მოვა და გუიირაში გავეგზავრებით.

– ყავა!

– ჰო, მადლობა.

ყველა ყავას სვამს. პოლიციელებსა და მათ შეფს ვაკვირდები. ბოროტი იერი არა აქვთ. მაგრძნობინებენ, რომ იძულებული ჰრიან, ბრძანებებს დაემორჩილონ.

– თქვენ დიაბლიდან გამოიქეცით?

– არა, ჯორჯთაუნიდან მოვდივართ – ინგლისური გვიანიდან.

– იქ რატომ არ დარჩით?

– თავის რჩენა გაგვიჭირდა.

– გეგონათ, აქ უფრო ადვილი იქნებოდა ცხოვრება, ვიდრე ინგლისელებთან? – მეკითხება ღიმილით.

– ჰო, რადგან ჩვენც თქვენსავით ლათინები ვართ.

ჩვენკენ შვიდი თუ რვაკაციანი ჯგუფი მოდის. მათ წინ ორმოცდაათიოდე წლის, გათეთრებული კაცი მოუძღვის. ნათელი შუბლი და შავი თვალები მის სიბრძნეზე მეტყველებს. ხელი ბარძაყებს შორის ჩამოკიდებული ხმლის ტარზე უდევს.

– პრეფექტო, ამ ხალხს რას უპირებთ?

– გუიირას ციხეში უნდა წავიყვანოთ.

– არა სჯობია, აქ დავტოვოთ, ჩვენს ოჯახებში?

– შეუძლებელია, გუბერნატორის ბრძანებას ვერ გადავუხვევ.

– მათ ხომ ვენესუელის მიწაზე არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ!

– ვაღიარებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ხალხი ძალიან საშიშია, რადგან საფრანგეთის კატორღაში მხოლოდ მძიმე დანაშაულობებისათვის ხვდებიან. ამას გარდა, პირადობის მოწმობებიც არა აქვთ და, საიდანაც გამოიქცნენ, იმ ქვეყნის პოლიციაც მოითხოვს მათ გადაცემას.

– გვინდა, ჩვენთან დარჩნენ.

– შეუძლებელია – გუბერნატორის ბრძანებაა.

– თუ მოვინდომებთ, ყველაფერი შეიძლება. რა იცის გუბერნატორმა ამ უბედური ხალხის შესახებ? კაცი არასოდეს დაკარგულად არ უნდა ჩათვალო. არა აქვს მნიშვნელობა, ოდესღაც, სადღაც, რა ჩაიდინეს – ყოველთვის უნდა მისცე შესაძლებლობა, თავი გამოისყიდოს და ახალ ადამიანად გადაიქცეს. ასე არ არის, ხალხო?

– ასეა, ასე, – ერთხმად პასუხობენ იქ დამსწრენი – დაგვიტოვეთ, დავეხმარებით, ახალი ცხოვრება დაიწყონ. რვა დღეში უკვე საკმარისად გავიცანით და ვაცხადებთ, რომ, ეჭვი არ არის, ყოჩაღი ბიჭები არიან.

– ჩვენზე უფრო ცივილიზებულმა ხალხმა ისინი დილეგებში ჩაყარა, რათა მეტი ბოროტება არ ჩაედინათ, – ამბობს კომისარი.

– რას უწოდებთ ცივილიზაციას, უფროსო? თქვენ გგონიათ, რომ რაკი ლიფტები, თვითმფრინავები და მიწისქვეშა მატარებლები გვაქვს, ფრანგები ამ ადამიანებზე ცივილიზირებულები არიან? მაშ იცოდეთ, რომ, ჩემი მოკრძალებული აზრით, ამ თემს, რომელიც უბრალოდ, ბუნებაში ცხოვრობს და მექანიკური პროგრესის სიკეთე აკლია, უფრო ამაღლებული სული და ქრისტიანული შემწყნარებლობის გრძნობა გააჩნია, ვიდრე იმ ერს, რომელიც ცივილიზაციაზე პრეტენზიას აცხადებს. ამ ტომის ერთი უნიგნური მირჩევნია სორბონის უნივერსიტეტის ყველა მეცნიერებათა დოქტორს, თუკი მას ერთ დღეს იმ გენერალური პროკურორის სული აღმოაჩნდება, რომელმაც ჩვენი თავი ასე მკაცრად დაასჯევინა. ერთნი ყოველთვის კაცურ კაცებად რჩებიან, სხვებს კი ეს ხანდახან ავიწყდებათ.

– თქვენი მესმის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მხოლოდ ინსტრუმენტი ვარ. აი, მანქანაც მოდის. გთხოვთ, სხვებს მაგალითი მისცეთ, რომ ამ ამბავმა უსიამოვნების გარეშე ჩაიაროს."

ქალები ჯგუფ-ჯგუფად მიდიან იმასთან, ვისაც უვლიდნენ: მე ტიბისე, ნენიტა და ნეგრიტა მეხვევიან და ცხარე ცრემლებით ტირიან. მამაკაცები სინანულით გვართმევენ ხელს, რაკი ხედავენ, რომ ციხეში გვისტუმრებენ.

– ნახვამდის ირაპელებო, კეთილშობილო და მამაცო ადამიანებო. თქვენ არ მოგერიდათ და საბრალო უცნობების დასაცავად საკუთარ ხელისუფლებას შეენინააღმდეგეთ. ლუკმა, რომელიც პირიდან გამოიღეთ, რათა ჩვენ დაგეპურებინეთ, ჩემთვის, ადამიანური ძმობის სიმბოლო და ციური მანანა იყო. „შენ აღარ მოკლავ – შენ მხოლოდ იმისთვის იცხოვრებ, რომ ხელი გაუმართო გაჭირვებულს. ერთ დღეს, როცა თავისუფალი ვიქნები, მოვიქცევი ისე, როგორც თქვენ მომექეციით ვენესუელის მიწაზე გაცნობილო პირველო ადამიანებო!

ამ ადამიანებზე და კიდევ სხვებზეც, მერე მოგიყვებით.

ელ დორადოს კატორღა

ორი საათის შემდეგ შევდივართ ერთ დიდ სოფელში – საზღვაო პორტ Guiria-ში. მას ქალაქად მოხსენიების პრეტენზია აქვს. სამოქალაქო შეფი (ჩვენებური პრეფექტის მაგვარი) პირადად გადასცემს ჩვენს თავს იმ მხარის კომენდანტს. კომისარიატში მეტ-ნაკლებად კარგად გვექცევიან, მაგრამ გაუთავებელ დაკითხვებს გვიწყობენ. გონებაჩლუნგ გამომძიებელს არ უნდა, დაიჯეროს, რომ ინგლისური გვიანიდან გამოვიქეციით. არც წამოსვლის მიზეზებისა სჯერა, ხოლო როცა ვუყვებით როგორი ქარიშხალი გამოვიარეთ, გვეუბნება, დამცინითო:

– ორ დიდ ბანანმზიდს კორპუსი დაუზიანდა, ერთი ბოქსიტებით დატვირთული გემი მთელი ეკიპაჟით ჩაიძირა და თქვენ ხუთმეტრიანი ნავით გადარჩით? ვის ატყუებთ? თვით ბაზრის მათხოვარიც კი არ დაგიჯერებთ. ცრუობთ, რაღაც არის საეჭვო თქვენს მონაყოლში.

– ჯორჯთაუნს შეეკითხეთ.

– სულაც არ მინდა, ინგლისელებმა გამასულელონ.

არ ვიცი ამ კრეტინმა, ჯიუტმა და პრეტენზიულმა გამომძიებელმა რა პატაკი გაგზავნა, მაგრამ ფაქტია, რომ ერთ დღეს, ხუთ საათზე, გვიძახებენ, ბორკილებს გვადებენ, საბარგო მანქანაში გვყრიან და სადღაც მიგვაქანებენ.

როგორც ვთქვი, გუირიას პორტი პარიას უბეშია, ტრინიდადის პირდაპირ. მას ისეთივე დიდი მდინარის შესართავით სარგებლობის უპირატესობა აქვს, როგორიც ამაზონაა – ორენოკოსი. საბარგოში, რომელშიც თხუთმეტნი ვართ ხუთი – ჩვენ და ათი – პოლიციელი – სიუდად-ბოლივარისაკენ მიემართება – ბოლივარის შტატის დედაქალაქისკენ. ხუთი დღის ოღრო-ჩოღრო გზაზე მგზავრობამ მიგვასავათა. ღამით საბარგოში ვიძინებდით და დილით ისევ გზას ვაგრძელებდით. ვერაფრით ვერ ეხვდებოდი, სად მივყავდით.

ჩვენი დამქანცველი მოგზაურობა ზღვიდან ათას კილომეტრზე, სიუდად-ბოლივარიდან ელ დორადომდე გაყვანილი მიწიანი გზის ბოლოში მთავრდება. იქ მისვლისას ყველა საეალალო მდგომარეობაში ვართ.

რა არის ელ დორადო? ის ჯერ ესპანელი კონკისტადორების იმედი იყო, რომლებმაც, რაკი იქიდან მომავალ ინდიელებს ოქრო დაუნახეს, ეგონათ, ოქროს მთები თუ არა, მიწის ნახევარი მაინც ასეთი იქნებოდა. მოკლედ, ეს არის სოფელი ხორცისმჭამელი თევზებით – პირანიებით სავსე მდინარის პირას. ეს თევზები რამდენიმე წუთში კაცისგან, ან ცხოველისაგან მხოლოდ ძვლებს ტოვებენ. ამას დაუმატეთ ელექტრონული თევზები, რომლებიც მანამდე ბრუნავენ მსხვერპლის გარშემო, სანამ არ გააბრუებენ და საბოლოოდ არ დანვავენ. მდინარის შუაგულში, პატარა კუნძულზე,

ნამდვილი საკონცენტრაციო ბანაკი მოუწყვიათ – ეს ვენესუელის კატორღაა.

ამ კატორღაზე მძიმე პირობები არსად შემხვედრია. პატიმრებისადმი ასეთი არაადამიანური მოპყრობა და ცემა წარმოუდგენელია. ხვეული მავთულით გარშემორტყმულ ას ორმოცდაათ კვადრატულ მეტრზე, ღია ცის ქვეშ, დაახლოებით ოთხასი კაცი იძინებს. ბანაკის ირგვლივ ცინკით გადახურული მხოლოდ რამდენიმე ნაგებობაა.

სიტყვის უთქმელად და ახსნა-განმარტებების მოუცემლად, სამ საათზე, დაღლილ-დაქანცულებს, მისვლისთანავე გვაგზავნიან ელ დორადოს კატორღაში სამუშაოდ. ოთხის ნახევარზე, სახელებსაც არ გვეკითხებიან, ისე გვაჩეჩებენ ორს – ნიჩაბს, სამს – წერაქვს და ხუთი თოფითა და ხარის ძარღვები, მათრახებით შეიარაღებული ჯარისკაცებისა და ერთი კაპრალის თანხლებით, ცემის შიშით გვაიძულებენ, წავყვეთ. მალე ვხვდებით, რომ, გამასწორებლის დაცვა ამგვარად გვიჩვენებს თავის ძალას. უგუნურობა იქნებოდა ამ წუთებში არ დავმორჩილებოდით. მერე ვნახავთ.

პატიმრების სამუშაო ადგილას მისვლისას, ჯუნგლებში გამავალი გზის პირას გვაყენებენ არხის გასათხრელად. ძალა აღმართს ხნავს და სხვა რა ჩარაა – თავაუწეველად ვმუშაობთ. ეს ხელს არ გვიშლის შევამჩნიოთ, თუ როგორ ველურად სცემენ და შეურაცხყოფენ პატიმრებს. ჩვენ არც ერთი ხარის ძარღვის დარტყმა არ მიგვიღია – იმიტომ გაგვიყვანეს, რომ ენახვებინათ, როგორ ექცეოდნენ კატორღელებს.

ეს შაბათს ხდება. სამუშაოს შემდეგ, ოფლითა და მტვრით მოსვრილებს, კვლავ ყოველგვარი ფორმალობის გარეშე ბანაკში გვათავსებენ.

• – ხუთი კაიენელი აქეთ! კაპრალების presso (უფროსი) გეძახით!

ეს მეტისი, ულვთო, უხეში კაცი, სიმაღლით მეტრი და ორმოცდაათი იქნება. ხელში ხარის ძარღვი უჭირავს. იგი შიდა დისციპლინაზე აგებს პასუხს. გვიჩვენებს ჩვენი ჰამაკების გასაჭიმ ადგილს, რომელიც ბანაკის შესასვლელის ახლოს მიგვიჩინა, მაგრამ აქ თუნუქის სახურავი მაინც არის და წვიმისა და მზისაგან ვიქნებით დაფარული.

პატიმრების დიდი უმრავლესობა კოლუმბიელია, დანარჩენები – ვენესუელელები. ასეთ მოპყრობას სახედარიც ვერ გაუძლებდა, მაგრამ ესენი ყველანი კარგ ჯანზე არიან, რადგან საჭმელი ბევრი და გემრიელი აქვთ.

მცირე თათბირს ვატარებთ და ვწყვეტთ, რომ, თუ რომელიმე ჩვენგანს ზედამხედველი დაარტყამს, ყველანი სამუშაოს მივატოვებთ, მიწაზე დავწვებით და როგორც უნდა გვირტყან, არ ავდგებით. ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად მოიყვანენ ვინმე უფროსს, რომელსაც შევეკითხებით, თუ რატომ და როგორ მოვხვდით, უდანაშაულო ადამიანები ამ კატორღაში. გიტუ და კორბიერი საფრანგეთისთვის გადაცემას მოითხოვენ, რადგანაც გათავისუფლებულნი არიან. ბოლოს ვაპირებთ კაპრალების presso მოვიყვანოთ. მე დაველაპარაკები. მას მეტსახელად Negro blanco-ს (თეთრ ზანგს) უწოდებენ. გიტუ მის დასაძახებლად მიდის. ეს ჯალათი თავისი ხარის მათრახით ხელში გვიახლოვდება. ხუთივე გარს ვეხვევით.

– რა გინდათ ჩემგან?

სიტყვას მე ვიღებ.

– გვინდა, ერთი რამ გითხრათ: ჩვენ განაწესს არ დავარღვევთ და მიზეზებს არ მოგცემთ, რომ რომელიმე ჩვენგანს დაარტყა. მაგრამ, შევამჩნიეთ, რომ შენ ყველას განურჩეველად სცემ, ყოველგვარი საბაბის გარეშე და იმიტომ დაგიძახეთ, რომ გაუწყოთ: იმ დღეს, როცა რომელიმე ჩვენგანს შეეხები, ლეში ხარ. კარგად გაიგე?

– ჰო, – ამბობს Negro blanco.

– კიდევ ერთი გაფრთხილება.

– რა? – კითხულობს ყრუ ხმით.

– რაც ახლა გითხარით, შეგიძლია, ყველა ოფიცერს გაუზიარო, მაგრამ არა რომელიმე ჯარისკაცს.

– გასაგებია, – და მიდის.

ეს არასამუშაო დღეს, კვირას ხდება. ერთი გალონებიანი მიახლოვდება:

– რა გქვია?

– პაპიონი.

– შენ ხარ კაიენელების უფროსი?

– ჩვენ ხუთნი ვართ და ყველა უფროსია.

– აბა, presso-ს შენ რატომ ელაპარაკე?

– იმიტომ, რომ მე უკეთესად მეხერხება ესპანური.

იგი ეროვნული გვარდიის კაპიტანი და, როგორც მიხსნის, დაცვის კომენდანტია. მას კიდევ ორი უფროსი ჰყავს, ისინი სამშაბათს ჩამოვლენ. ახლა მათ მოვალეობას ასრულებს.

– გავიგე, უფროს ზედამხედველს მოკელით დამუქრებიხარ, თუ ხელს გახლებდათ, – მართალია?

– დიახ, და ეს მუქარა ძალიან სერიოზულია. ისიც დავამატე, რომ ფიზიკურად დასჯის საბაბს არ მივცემდით. მოგახსენებთ, სენიორ კაპიტანო, რომ ვენესუელაში არავითარი დანაშაული არ ჩაგვიდენია და არც რომელიმე ტრიბუნალს გაეუსამართლებივართ.

– ვერაფერს გეტყვით, ბანაკში საბუთების გარეშე მოგიყვანეს. სოფლიდან ბანაკის უფროსის ბარათი გახლდათ, სადაც წერია: „ეს ხალხი ჩამოსვლისთანავე სამუშაოზე გაამწესეთ.

– ასე რომ, კაპიტანო, როგორც სამხედრო პირი, სამართლიანი იყავით და სანამ უფროსობა ჩამოვა, ხელქვეითებიც გააფრთხილეთ, აქაური პატიმრებისაგან განსხვავებულად მოგვექცნენ. კვლავ გიმეორებთ, რომ ჩვენ არა ვართ და არც შეიძლება, ტუსაღები ვიყოთ. ვენესუელაში არავითარი დანაშაული არ ჩაგვიდენია.

– კეთილი, შესაბამის განკარგულებას გავცემ. იმედი მაქვს, არ მატყუებთ.

ამ უქმე დღის ნაშუადღევის შემდეგ, საშუალება მაქვს, პატიმრებს დავაკვირდე. პირველი, რაც თვალში გეცემა, ის არის, რომ ფიზიკურად ყველა ჯანმრთელია. მეორე: ცემას ისე არიან მიჩვეული, რომ დღისითაც კი, მისი აცილება თავისუფლად რომ შეიძლებოდა, არ იშლიან და ცეცხლს ეთამაშებიან: ყომარბაზობენ, ტუალეტში მამათმავლობენ იპარავენ, უწმაწური სიტყვებით ხვდებიან სოფლიდან მოსულ ქალებს, რომლებსაც პატიმრებისთვის ტკბილეული და სიგარეტები მოაქვთ. საკუთარ ნახელავს – კალათს თუ ნაძერწს სიგარეტებზე ან რამდენიმე მონეტაზე ცვლიან. ზოგიერთი იმასაც კისრულობს, რომ ეკლიანი მავთულის მეორე მხრიდან, ქალს რაიმე გამოსტაცოს ხელიდან და გამოიქცეს. ამგვარად, ყოველ წუთს გვემაა და მთელ ბანაკში ტერორი მეფობს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ზურგები აჭრელებული აქვთ, ვერც ერთ ტუსაღს ვერ არჯულებს.

მაგრამ სენ-ჟოზეფის საპატიმრო, თავისი დუმილით, მაინც უფრო საშინელია, ვიდრე ეს ბანაკი. აქ შიში წუთიერია, საუბრის საშუალება მაინც გვაქვს. კარგი კეება სასჯელის ატანას გიადვილებს, რაც აქ ხუთ წელს არ აღემატება.

კვირა დღეს თამბაქოს მოწევას, ყავის სმასა და ლაყბობაში ვატარებთ. ერთი-ორი კოლუმბიელი მოახლოებას აპირებდა, მაგრამ ზრდილობიანად მოვიშორეთ – უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ სხვები ვართ.

მეორე დღეს, ორშაბათს, ექვს საათზე, გემრიელი საუზმის შემდეგ, სხვებთან ერთად მწკრივში ვდგები და სამუშაოდ მივდივარ. სამუშაო დღე ასე იწყება: ორმოცდაათი პატიმარი ორმოცდაათი ჯარისკაცის პირისპირ დგას – თითო ჯარისკაცი თითო პატიმარზე. შუაში ორმოცდაათი სამუშაო იარაღი აგდია: წერაქვები, ნიჩბები, ბარები. ეს ორი რიგი ერთმანეთს უყურებს – პატიმრები დანაღლიანებულნი, ჯარისკაცები – ნერვიულები და მოქუშული.

სერჟანტი ყვირის: „ესა და ეს, – წერაქვი!"

უბედური მის ასაღებად მირბის და იმ დროს, როცა წერაქვს მხარზე იდებს, მეორე ბრძანება ისმის: – Numero! – რაც ნიშნავს, რომ ერთ-ერთი ჯარისკაცი უნდა გაჰყვეს. პატიმარი სამუშაო ადგილისკენ გარბის და დასახელებული ჯარისკაცი უკან ხარის ძარღვის ცემით მისდევს. ეს საშინელი სცენა დღეში ორჯერ მეორდება – თითქოს მწყემსი სახედრების ჯოგს შოლტის ცემით მიერეკებაო. საკუთარ რიგს შიშისაგან გაქვავებული ველოდებით. საბედნიეროდ, ჩვენ სხვანაირად გვიძახებენ:

– ხუთი კაიენელი აქეთ! ახალგაზრდებმა წერაქვები აიღეთ, თქვენ, მოხუცებმა – ნიჩბები!

სირბილით არა, მაგრამ აჩქარებული ნაბიჯით საერთო ბილიკზე გავდივართ. უკან ხუთი ჯარისკაცი და ერთი კაპრალი მოგვყვება – ეს დღე პირველზე გრძელი და სასოწარმკვეთი აღმოჩნდა. ზოგიერთი თვალში ამოღებული პატიმარი მუხლებზე იჩოქებდა და ისე ეხვეწებოდა, აღარ ეცემათ. ნაშუადღევს ესენი აიძულეს, მრავალი ცუდად ჩამწვარი კოცონის ნარჩენები ერთად შეეგროვებინათ. დანარჩენები მათ უკან გვიდნენ. უნდა გენახათ მათი საცოდაობა, როცა ჯერ კიდევ მბოლავ მუგუზლებს, ჯარისკაცის შოლტის ქვეშ, განაკაფის შუაგულისაკენ მიარბეინებდნენ. დემონურ ძუნძულში ზოგიერთს სიგიჟის კრიზისი ეწყებოდა, სიჩქარეში ჯერ კიდევ მხრჩოლავ მუგუზალს ხელში იღებდა ან ფეხს აბიჯებდა. ეს ფანტასტიური სცენა სამ საათს გაგრძელდა. საბედნიეროდ, ჩვენ ამ დასუფთავებაში მონაწილეობა არ მიგვაღებინეს. თავჩაღუნული ვთხრიდით და მოკლე ფრაზების გაცვლით, გადაწყვეტილი გვქონდა, პირველივე დაძახებაზე დარაჯებს, კაპარალის ჩათვლით, ვცემოდით, განგვეიარაღებინა და ამ ველურების ხროვისთვის სროლა აგვეტეხა.

დღეს, სამშაბათს, სამუშაოდ არ გავყავართ. ერთ კაბინეტში გვიძახებენ, სადაც ეროვნული გვარდიის ორი კომენდანტი გვხვდება. ორივე განცვიფრებულია, რომ ელ დორადოში რომელიმე ტრიბუნალის განაჩენის გარეშე მოვხვდით. გვპირდებიან, ჩვენს შესახებ ზემოთ შეეკითხონ.

ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირვებია. ეს ორი კომენდანტი, შეიძლება, მეტისმეტად მკაცრად გვექცეოდა, მაგრამ, ამავე დროს, სამართლიანებიც აღმოჩნდნენ: კატეგორიულად მოითხოვენ კოლონიის უფროსი პირადად გვეახლოს და ახსნა-განმარტება მოგვცეს.

აი ისიც – თავის მოყვარესთან რუსინთან ერთად მოსულა. თან ეროვნული გვარდიის ორი ოფიცერი ახლავს.

– ფრანგებო, მე ელ დორადოს კოლონიის უფროსი ვარ. თქვენ ჩემთან ლაპარაკი

გდომებიათ. გისმენთ!

– ჯერ. ერთი, რომელმა ტრიბუნალმა მოგვისაჯა იძულებითი სამუშაოები ისე, რომ ჩვენ არ გაგვიგია? რა დანაშაულისათვის და რამდენი წელი? ჩვენ ირაპამდე ზღვით მოვედით, ვენესუელაში არავითარი კრიმინალი არ ჩაგვიდენია, მაშ, რატომ ვართ აქ? როგორ ხსნით იმ ფაქტს, რომ მუშაობას გვაძალებენ?

– ომია და უნდა გავარკვიოთ, ვინ ხართ.

– ძალიან კარგი, მაგრამ ამისთვის ჩვენს კატორღაში გამწესებას გამართლება არა აქვს.

– რაკი საფრანგეთის სამართალს გამოქცევიხართ, ჩვენ უნდა დავადგინოთ, ითხოვს, თუ არა ეს ქვეყანა თქვენს გადაცემას.

– ესეც დასაშვებად მიმაჩნია, მაგრამ, მაინც ვიმეორებ: ნუ გვექცევით ისე, თითქოს სასჯელი გვქონდეს მოსახდელი.

– კანონის მუხლის – „ბუნდოვანი და აბნეული მონაცემების შესახებ" – თანახმად, ახლა თქვენზე აუცილებელი დოკუმენტები გროვდება.

ეს კამათი დიდხანს გაგრძელდებოდა, ერთ-ერთ ოფიცერს კატეგორიულად რომ არ განეცხადებინა: „ბატონო უფროსო, უნამუსობა იქნება, ამ ხალხს ისევე მოვექცეთ, როგორც სხვებს. წინადადებას გაძლევთ, სანამ კარაკასი ამ კერძო შემთხვევას ნათელს მოჰფენდეს, ესენი სხვა რამეზე გამოვიყენოთ და არა გზის მშენებლობაზე.

– ეს ფრანგები უკიდურესად საშიში პიროვნებები არიან. როგორც მითხრეს, კაპრალ presso-ს მოკვლით დამუქრებიან. მართალია?

– მარტო მას კი არ დავემუქრეთ: ვინც ერთ-ერთ ჩვენგანზე ხელს აღმართავს, ვინც უნდა იყოს, ბატონო უფროსო, მოკვდება.

– ეს ჯარისკაცებსაც ეხება?

– არ აქვს მნიშვნელობა. ამგვარ რეჟიმში მოსახვედრი არაფერი ჩაგვიდენია. შეიძლება, საფრანგეთის კანონები და მისი გამასწორებელი სისტემა ბევრად მკაცრი და არაადამიანურიც იყოს, მაგრამ ცხოველივით ცემას ვერ ავიტანთ!

შეფი ოფიცრებისაკენ გამარჯვებულის იერით ტრიალდება და მიმართავს:

– ხომ გითხარით, საშიში ხალხია მეთქი!

დაცვის კომენდანტებიდან უფრო ასაკოვანი ცოტა ხანს ყოყმანობს და მერე ყველას გასაკვირად ასკვნის:

– ეს ფრანგი გამოქცეულები მართალნი არიან. ვენესუელის ვერც ერთი კანონი ვერ გვაიძულებს, ამ კოლონიის რეჟიმში ვამყოფოთ. ამიტომ, ბატონო უფროსო, ან ცალკე საქმე უნდა გამოვუძებნოთ, ან საერთოდ არ გავიყვანოთ სამუშაოდ, ვინაიდან, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ერთ დღეს რომელიმე ჯარისკაცმა ცემა დაუპიროს.

– მერე ვნახოთ. ჯერჯერობით ბანაკში დატოვეთ. ხვალისთვის მოვიფიქრებ, როგორ მოვიქცეთ.

ოფიცრებს მადლობას ვუხდი. ისინი სიგარეტებს გვირიგებენ და გვპირდებიან, რომ თათბირის დროს ჩვენ შესახებ სხვა ოფიცრებსაც გააფრთხილებენ.

აი უკვე რვა დღეა, აქ ვიმყოფებით. სამუშაოდ აღარ გვერეკებიან. გუშინ, კვირას, საშინელი რამ მოხდა: კოლუმბიელებს გაუთამაშებიათ ერთმანეთში, თუ ვინ მოკლავდა Negro blanco-ს. კენჭი ერთ ოცდაათიოდე წლის კაცს შეხვედრია. ნაგებული წინასწარ მომარაგებული ალესილი კოვზით პირობას პირნათლად ასრულებს:

Negro blanco-ს გულის არეში სამჯერ ურტყამს. კაპრალს სასწრაფოდ ჰოსპიტალში მიარბენინებენ, ხოლო მკვლელს ბანაკის შუაში, ბოძზე აბამენ. გაგიჟებული ჯარისკაცები ყველას და ყველაფერს ჩხრეკენ და სხვა იარაღებს ეძებენ. საშინელი ცემა-ტყეპაა. ამ ალიაქოთში, რაკი შარვალს სწრაფად არ ვიხდი, ერთ-ერთი მათგანი ხარის ძარღვს ბარძაყებზე მიტყლაშუნებს. ბარიერი სკამს იღებს და თავში ჩარტყმას უპირებს. მეორე ჯარისკაცი მკლავზე ხელკეტს სცემს და უტეხს. მუცელში წიხლს ვახლდი და ვაგორებ. დავარდნილი თოფი უკვე აღებული მაქვს, როცა მჭექარე ხმა ისმის: – შეჩერდით! ფრანგებს ხელი არ დააკაროთ! ფრანგო, დააგდე თოფი! – ეს კაპიტანი ფლორესია, ის, ვინც პირველ დღეს მიგვიღო.

მისმა ჩარევამ სულზე მოგვისწრო, რადგან უკვე სროლას ვაპირებდი. ის რომ არა, რამდენიმე კაცს მოვკლავდი და ხუთივენი უეჭველად აქ, ქვეყნიერების დასალიერში, ვენესუელის მივარდნილ ჯუნგლებში, სადაც არაფერი გვესაქმებოდა, სულელურად დავიხოცებოდით. კაპიტნის ენერგიული ჩარევის წყალობით, ჯარისკაცები გვშორდებიან. ამის შემდეგ ვესწრებით ყველაზე უთრო ბილწ რამეს, რისი წარმოდგენაც კი შეიძლება:

ბანაკის შუაგულში, ბოძზე მიბმულ მკვლელს ერთდროულად სამი კაცი ურტყამს, მათ შორის ერთი კაპრალი. ეს დღის ხუთი საათიდან მეორე დილის ექვს საათამდე გრძელდება. ცემით კაცი უცებ არ კვდება. მხოლოდ იმის დასაკითხად ჩერდებიან, თუ ვინ იყო მისი თანამონაწილე, ვინ მისცა და ვინ გალესა კოვზი. პირდებიან, თუ იტყვის, გაათავისუფლებენ, მაგრამის არავის აბეზღებს. რამდენჯერმე გრძნობას კარგავს და წყლით ასულიერებენ. კულმინაცია დილის ოთხ საათზე დგება: რაკი მისი სხეული დარტყმებზე აღარ რეაგირებს, ჯალათები ჩერდებიან.

– მოკვდა? – კითხულობს ერთი ოფიცერი.

– არ ვიცით.

– ახსენით და ოთხზე დააყენეთ.

ოთხი კაცი, ასე, თუ ისე აკავებს ამ პოზაში დამნაშავეს და ერთ-ერთი მათგანი ხარის ძარღვს ისე ურტყამს, რომ მისი წვერი საზარდულს წვდება. საბრალო ტკივილისაგან ყვირის.

– ცოცხალია, – ამბობს ოფიცერი, – განაგრძეთ!

გათენებამდე ურტყამენ. ასეთი გაჯოხვა შუა საუკუნეებშიც კი შეშურდებოდათ. ცხენიც ვერ გაუძლებდა, მაგრამ ეს კიდევ ცოცხალია. ერთი საათით ეშვებიან და მერე წყალს ასხამენ. რამდენიმე ჯარისკაცის დახმარებით ფეხზე დგება და თავს თვითონ იმაგრებს. ამ დროს ჭიქით ხელში სანიტარი უახლოვდება.

– დალიე ეს მიქსტურა, გამოგაკეთებს, – ეუბნება ერთი ოფიცერი.

მკვლელი ჯერ ყოყმანობს, მერე ჭიქას ერთი მოსმით ცლის. წუთიც არ გადის და მიწაზე ენარცხება, ამჯერად – სამუდამოდ. აგონიისას პირიდან მხოლოდ ერთი ფრაზა ამოსდის: „სულელო, მოგწამლეს.“

უსარგებლო იქნება, მოგახსენოთ, რომ არც ერთ პატიმარს, ჩვენი ჩათვლით, თითის განძრევის განზრახვაც არ გასჩენია, რადგან ყველა, გამონაკლისის გარეშე, ტერორიზირებული ვიყავით. ცხოვრებაში მეორედ ახლა გამიჩნდა თავის მოკვლის სურვილი. რამოდენიმე წუთის განმავლობაში ვიყავი თვალებით მიჯაჭვული ერთ თოფზე, რომელიც ჩემთან ახლოს, ერთ-ერთ ჯარისკაცს დაუდევრად ეჭირა. მხოლოდ იმან შემაკავა, რომ ვიფიქრე, სანამ რამეს მოვასწრებდი, გამაგორებდნენ.

ერთი თვის შემდეგ, უფრო მეტად გაბოროტებული Negro blanco ისევ ბანაკშია. ეტყობა, მისი ბედი მაინც ელ დორადოში ჩაძაღლება იყო: ერთ ღამეს, წინ მიმავალს, რომელიღაც ჯარისკაცი, თოფს უმიზნებს და უბრძანებს:

– დაიჩოქე!

Negro blanco ემორჩილება.

– ილოცე, უნდა მოგკლა!

ლოცვის დამთავრებას აცლის, მერე სამი ტყვიით სიცოცხლეს ასალმებს. პატიმრების განსჯით, ჯარისკაცმა ის მათი სიბრალულის გამო მოკლა. სხვები ამბობენ, რომ Negro blanco-მ ეს ჯარისკაცი ზემდგომებთან დააბეზღა – კარაკასიდან ვიცნობ, ადრე ქურდი იყოო. იგი შორს არ უნდა იყოს დასაფლავებული თავისი დამჭრელი კოლუმბიელისაგან, რომელიც, შეიძლება, ოდესღაც დამნაშავე იყო, მაგრამ იშვიათი ღირსებები გამოავლინა.

ამ მოვლენებმა დროებით ხელი შეუშალა. ჩვენ მიმართ რაიმე გადაწყვეტილების მიღებას პატიმრები თხუთმეტი დღის განმავლობაში სამუშაოდ არ გასულან. ბარიერის მოტეხილ ხელზე სოფლის ერთმა დასტაქარმა მშვენივრად უმკურნალა. ახლა ყველა კარგად გვეპყრობა. გუშინ შაპარი კოლონიის უფროსთან მზარეულად გადავიდა. გიტუ და ბარიერი გაათავისუფლეს, რადგანაც საფრანგეთიდან პასუხი მოვიდა, საიდანაც დადგინდა, რომ მათ თავისი სასჯელები მოხდილი აქვთ. მე იტალიური სახელი ჩავანერინე, მაგრამ ჩემი ნამდვილი სახელი, თითების ანაბეჭდებითა და სამუდამო სასჯელის ჩვენებით გამოგზავნეს. ეს ცნობები უფროსმა ამაყი გამომეტყველებით გაგვაცნო:

– მიუხედავად ამისა, რაკი ვენესუელაში არაფერი ჩაგიდენიათ, მხოლოდ მცირე ხნით დაგაკავებთ, რათა კარგად შეგისწავლოთ. გათავისუფლებამდე უნდა იმუშაოთ და წესიერად მოიქცეთ.

* * *

ჩემთან საუბრებში ოფიცრებმა რამდენჯერმე დაიჩივლეს, რომ სოფელში ახალი ბოსტნეულის შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო. კოლონიას სამეურნეო მინდორი კი აქვს, მაგრამ იქ მხოლოდ ბრინჯი, სიმინდი და შავ ლობიო მოჰყავთ. ვთავაზობ, თესლებს თუ მიშოვნიან, ბოსტანი გავუშენო. მპირდებიან.

ჩემთვის და დეპლანკისათვის ეს დიდი შეღვათია – ბანაკიდან გავალთ. ამას გარდა, სიუდად ბოლივარში დაკავებული წყვილი გადასახლებული ჩამოიყვანეს და ჩვენთან გაამწესეს. ერთი პარიზელია – ტოტო, მეორე – კორსიკელი. აგვიშენეს ხის, პალმის ფოთლებით გადახურული ორი ქოხი. ერთში მე და დეპლანკი ვცხოვრობთ, მეორეში – ჩვენი ორი ახალი ამხანაგი. მე და ტოტომ ხის მაღალი მაგიდები დავამზადეთ და ფეხები ნავთით საავე ყუთებში ჩავუდგით, რათა თესლი ჭიანჭველებმა არ შეჭამონ. მოკლე ხანში ბადრიჯნის, ნესვის, მწვანე ლობიოსა და პომიდორის ჩითილები გვაქვს. როცა ვხედავთ, რომ მოძლიერდნენ და მწერები ვეღარაფერს დააკლებენ, რიგებად ვრგავთ. მათგან დასაცავად და სინესტის შესანარჩუნებლად ჩითილების ირგვლივ, ორმოში, მუდმივად წყალი იდგება.

– ნახე, ეს რა არის?- მეკითხება ტოტო, – შეხედე, ეს კენჭი როგორ ბრწყინავს!

– გარეცხე.

რეცხავს და მიწვდის. ბაკლა ლობიოს ხელა იქნება. მაგარი შრით არის დაფარული და მხოლოდ გაბზარულ ადგილებში პრიალებს.

– ალმასი ხომ არ არის?

– მოკეტე, ტოტო, ნუ კაკანებ, არავინ გაიგოს. თუ ეს ალმასია, შეიძლება, საბადოსაც წავაწყდით! საღამომდე დამალე.

საღამოს ერთ კაპრალს (დღეს უკვე გენერალს) მათემათიკის გაკვეთილებს ვუტარებ. იგი საოფიცრო კონკურსისთვის ემზადება. ამ კეთილშობილ და სამართლიან კაცს (რაც ოცდახუთი წლის მეგობრობის განმავლობაში დაამტკიცა), პოლკოვნიკი ფრანცისკო ბოლანო უტრერა ჰქვია.

– ფრანცისკო, მითხარი, ეს რა არის? კლდის კრისტალია?

– არა, – მეუბნება გულმოდგინედ დათვალიერების შემდეგ, – ალმასია. კარგად დამალე, არავის აჩვენო. სად იპოვე?

– ჩემს პომიდვრებში.

– უცნაურია. მდინარის წყალს ხომ არ ამოაყოლე? ამოღების დროს ქვიშას ხომ არ ხაპავთ?

– ჰო, ხდება ხოლმე.

– მაშინ, იქიდან ყოფილა. ამის შემდეგ დააკვირდი, რადგან ძვირფასი ქვა მარტო არასოდეს არ გეხვდება – სადაც ერთია, იქ აუცილებლად სხვებიც იქნება.

ტოტოს არასდროს ამდენი არ უშრომია. იმ ზომამდე ირჯება, რომ ჩვენი ორი ამხანაგი, რომელთაც არაფერი ვუთხარით, ურჩევენ:

შეწყვიტე ვირივით მუშაობა, ტოტო; სული გაგიძვრება მდინარიდან ამდენი წყლის ზიდვით. თანაც ქვიშას აყოლებ!

– იმიტომ ვაყოლებ, რომ მინდა მიწა უფრო ფხვიერი გავხადო, ძმაკაც, ქვიშიანი მიწა წყალს უკეთესად ატარებს, – პასუხობს ტოტო.

დაცინვის მიუხედავად, ტოტო წყლის ზიდვას განაგრძობს. ერთ ნაშუადღევს, როცა ჩრდილში ვსხედვართ, ფეხი უცურდება და ჩვენს წინ იქცევა. ჭურჭლიდან გადმობნეულ ქვიშაში ტილისხელა ორი ალმასი ბრწყინავს. ქანი რომ არ შემოტეხოდა, ვერ შევამჩნევდით. ტოტო თავს ანგარიშს არ უნევს და სწრაფად იღებს.

– ჭუხედეთ, – ამბობს დეპლანკი, ნეტავ, ალმასები ხომ არ არის? ჯარისკაცებმა მითხრეს, რომ მდინარეში ალმასებისა და ოქროს პოვნა შეიძლებაო.

– სწორედ ამიტომ ვეზიდები ამდენ წყალს. ახლა ხომ ხედავთ, რომ გიჟი არ ვყოფილვარ! – პასუხობს ტოტო. იგი კმაყოფილია, რომ, ბოლოს და ბოლოს, ამდენ მუშაობას გამართლება მოუძებნა.

მოკლედ, ალმასების ეს ისტორია რომ დავამთავროთ, ექვს თვეში ტოტოს შვიდიდან რვა კარატამდე ალმასები დაუგროვდა; მე დუჟინზე მეტი და, აგრეთვე ოცდაათი მჯირე, როგორც მაძიებლები იტყვიან, „სამრეწველო ქვა." ერთ დღეს დაახლოებით ექვსკარატიან ალმასს ვპოულობ, რომელიც, მოგვიანებით კარაკასში დამუშავების შემდეგ, ოთხ კარატს იძლევა. მე ის დღესაც გამუდმებით თითზე მიკეთია. დეპლანკსა და ანტარტაგლიასაც ერგოთ თავიანთი წილი. ჩემი „ქისა" ისევ მაქვს და ყველაფერს შიგ ვინახავ. დანარჩენებმა ხარის რქის წვერებისაგან საკუთარი „სალაროები" გაიკეთეს.

არავინ არაფერი იცის მომავალი პოლკოვნიკის გარდა. ნარგავები გაიზარდა და ბოსტნეულს ოფიცრების სასადილოში ვყიდით. ყოველგვარი ზედამხედველის გარეშე ვმუშაობთ და ადგილზე ვიძინებთ. ხალხი პატივს გვცემს. ყოველთვის, როცა კი კოლონიის უფროსს ვხვდებით და ვეკითხებით, როდის მოვა ჩვენი გათავისუ-

ფლების ჟამი, გვპასუხობს – „მალე“ – მაგრამ მერვე თვე იწურება და ისევ აქ ვართ. უკვე გაქცევაზე ვიწყებ ლაპარაკს. ტოტოს არაფრის გაგონება არ უნდა. სხვებიც უარზე არიან. მდინარის უკეთესად შესასწავლად სათევზაო მოწყობილობები ვიშოვე. ახლა თევზსაც ვყიდი, განსაკუთრებით – ხორციჭამია პირანიებს, რომელთაც საშინელი კბილები ზვიგენებივით აქვთ განლაგებული.

დღეს დიდი ალიაქოთია: გასტონ დურანტონი, მეტსახელად „ტორდუ“ (tordue – დაგრეხილი) – გაიქცა და თან კოლონიის უფროსის სეიფიდან სამოცდაათი ათასი ბოლივარი გაიყოლა. ამ კატორღელს არაჩვეულებრივი ნარსული აქვს:

ბავშვობაში იგი კუნძულ ოლეს გამასწორებელ სახლში მოხვდა და ხარაზად მუშაობდა. ერთ დღეს, სამუშაო ხელსაწყოსთან დაუდევრად მოპყრობისას, ბარძაყის ძვალი ფოსოდან უვარდება. ცუდად უვლიან და ცუდად უხორცდება. აქედან დაწყებული დაგრეხილი დადის. კატორღაში ოცდახუთი წლისა ხედება, არაფერია გასაკვირი, რომ გამასწორებელ დაწესებულებაში თავისი ყოფნის სტაჟით, ქურდი გამოსულიყო.

ყველა „დაგრეხილს“ ეძახის, გასტონ დურანტონი რომ ჰქვია, თითქმის არავინ იცის. მიუხედავად იმისა, რომ ხეიბარია, საფრანგეთის კატორღიდან გარბის და ვენესუელამდე აღწევს. ეს დიქტატორ გომესის პერიოდია. მის რეპრესიებს ძალიან ცოტა კატორღელი გადაურჩა, მათ შორის – ექიმი ბუგრა, ისიც იმიტომ, რომ მარგალიტების მაძიებლებით დასახელებულ კუნძულ მარგარიტის მოსახლეობა, ყვითელი ციების ეპიდემიის დროს გადაარჩინა.

ტორდუ გომესის სპეციალურმა პოლიციამ – Sagrada-მ დააკავა და ვენესუელის გზების მშენებლობაზე გაგზავნა. იქ ფრანგ, თუ ვენესუელელ პატიმრებს ფეხებზე რკინის ბურთულები ებათ, რომლებზეც ტულონის შროშანები იყო ამოტვიფრული. როცა აპროტესტებდნენ, პასუხობდნენ: „ეს ბურთულები და ბორკილები თქვენმა ქვეყანამ გამოგვიგზავნა, ნახე, რა ახატია!“

მოკლედ, ტორდუ გარბის, მაგრამ რამდენიმე დღეში იჭერენ და უკან მოჰყავთ, ყველას თვალწინ მიწაზე აკრავენ და ხარის ძარღვის ას დარტყმას უსჯიან.

ოთხმოცზე მეტი დარტყმისათვის იშვიათად თუ გაუძლია ვინმეს. ბედად, გამხდარია და მიწაზე მწოლიარეს ღვიძლი არ უზიანდება. როგორც წესად აქვთ, გაროზგვის შემდეგ, დაკეპილ უკანალზე მარილს აყრიან და მზის გულზე ტოვებენ. ამასთან, თავზე ფოთოლს აფარებენ, რათა ცემისაგან მოკვდეს და არა მზის დარტყმისაგან.

ტორდუ უძლებს ამ შუასაუკუნეობრივ დასჯას და, როცა ფეხზე დგება – სასწაული – დაგრეხილი აღარ არის! ცემამ ბარძაყის ძვალი თავის ადგილას ჩააგდო! ამ ქვეყანაში ყველა მორწმუნეა და საოცრებას ღმერთს მიაწერენ, თან ფიქრობენ, რომ უფალმა გამძლეობისათვის დააჯილდოვა. ბორკილებსა და სიმძიმეებს ხსნიან და წყლის დამტარებლად ნიშნავენ. ბევრს ჭამს და მალე ათლეტურ აღნაგობას იღებს.

საფრანგეთი იგებს, რომ მისი მოქალაქეები ვენესუელის გზების მშენებლობაზე მუშაობენ. ახლანდელი მთავრობა ფიქრობს, რომ ეს ენერგია საფრანგეთის გვიანაშიც გამოდგება და თანამემამულეების დასაბრუნებლად მარშალ ფრანშე დ ესპერეის აგზავნის.

გომესი თანხმდება და პუერტო კაბელიოს ნავსადგურში გემი ჩამოდის. სწორედ აქ იმართება კომიკური სცენები, რადგან სხვა კოლონიებიდან მოჰყავთ და ტორდუს ისტორია მათ არ გაუგიათ.

– ეი, მარსელ, როგორა ხარ?

– რომელი ხარ?

– ტორდუ.

– დამცინი? ეუბნებიან, რადგანაც მათ წინ მშვენიერი ვაჟკაცი დგას და არა დაგრეხილი. ტორდუ ბუნებით ხუმარა იყო და მთელი გზა ასე აპამპულავებდა პატიმრებს. ეს ისტორია კატორღაში რომ დააბრუნეს, მაშინ მოვისმინე.

1943-ში ისევ გარბის და ელ დორადოში აღმოჩნდება. რაკი ვენესუელაში უკვე ნამყოფი იყო, მაშინვე მზარეულად გაამწესეს მებაღედ გადაყვანილი შაპარის ნაცვლად. ამგვარად, იგი მდინარის მეორე ნაპირას, სოფელში ხვდება.

ერთ დღეს კი დირექტორის კაბინეტში სეიფს ტეხავს და სამოცდაათი ათას ბოლივარს იტაცებს, რომელიც იმ დროს ოცი ათას დოლარს უდრის. ალიაქოთი ჩვენს ბოსტნამდეც აღწევს. დირექტორი, მისი მოყვარე და ორი უფროსი კომენდანტი მოდიან. დირექტორი გვაწვება, ოფიცრები გვიცავენ. ბოლოს და ბოლოს არწმუნებენ, რომ არაფერ შუაში არ ვართ – რომ გვცოდნოდა, თავადაც გავიქცეოდით. ვუმტკიცებთ, რომ ჩვენ ვენესუელაში გვინდა თავისუფლება და არა ინგლისურ გვიანაში – ესაა ერთადერთი მიმართულება, საითაც ის წავიდოდა. მალე მისი გვამი სვავებმა მიანიშნეს – ბანაკიდან სამოცდაათ კილომეტრში, ინგლისური გვიანის საზღვართან ღრღნიდნენ.

პირველი და უფრო მისაღები ვერსიით, იგი ინდიელების მსხვერპლი გახდა. მაგრამ, მოგვიანებით, სიუდად-ბოლივარში ერთ კაცს აკავებენ, რომელიც ხუთიათასბოლივარიან ბანკნოტებს ახურდავებდა. ბანკნოტები ახალი იყო და ეჭვი შეიტანეს. ბანკს კოლონიის უფროსზე გაცემული ფულის ნომრები ჰქონდა და ადვილად დადგინდა, რომ გატეხილი სეიფიდან იყო. იმ კაცმა ყველაფერი აღიარა და სხვა ორიც ჩაუშვა, რომლებიც ვერასოდეს ვეღარ დააკავეს. – აი, ასეთია ჩემი კარგი მეგობრის, გასტონ დურანტონის თავგადასავალი, რომელსაც მეტსახელად „დაგრეხილი" ერქვა.

ოფიცრები ზოგიერთ პატიმარს მალულად აძებნინებს ალმასებს. ბევრს ვერაფერს პოულობენ, მაგრამ თავის სარჩენად საკმარისია. ჩემი ბოსტანის დაბლა ორი კაცი გაუჩერებლად მუშაობს გადმობრუნებული ჩინური ქუდით. ამ ქუდში ჩაყრილი ქვიშა ირეცხება და, რაკი ალმასი უფრო მძიმეა, მის წვეროში რჩება. ერთი მოკლეს კიდეც – თავის „პატრონს" პარავდა. ამ სკანდალის გამო ეს საიდუმლო „მაღარო" იხურება. ბანაკში ერთი კაცია, რომელსაც ტორსი მთლად მოსვირინგებული აქვს, ხოლო კისერზე ანერია: „...პარიკმახერს." მარჯვენა ხელს ვერ ხმარობს და ენაგადმოგდებული პირიდანაც მუდმივად დორბლი სდის. არავინ იცის, საიდან მოვიდა, ან სად და როგორ დაემართა ეს უბედურება. ჩვენ რომ ჩამოვედით, უკვე აქ იყო. ერთადერთი, რაც ეჭვგარეშეა – ან კატორღელია, ან გადასახლებული. სვირინგები ამას ამტკიცებს. მას პიკოლინო ჰქვია. ყველა კარგად ექცევა, დღეში სამჯერ იკვებება და სიგარეტიც არ აკლია. ცოცხალი, ლურჯი თვალები აქვს და როცა ვინმეს, ვინც უყვარს, უყურებს, სიხარულით ევსება. ესმის, რასაც ეუბნები, მაგრამ ვერ გპასუხობს და ვერც წერს, რადგან მარჯვენა ხელი, როგორც ვთქვი, პარალიზებული აქვს, ხოლო მარცხენაზე – ცერი და ორი თითი აკლია. ეს უბედური ყოველ დილას მავთულებზე – მოწებებული მელოდება, როდის ჩავიღლი. იცის, რომ ოფიცრების სასადილოში ბოსტნეული უნდა წავიღო. ჩავლისას ყოველთვის ვჩერდები და ველაპარაკები. თავაზიან სიტყვებს ვეუბნები და მისი გაცოცხლებული ლურჯი თვალები მაგრძნობინებენ, რომ ჩემი ესმის. დღე არ გავა, რომ რაიმე სასუსნავი არ წამოვუღო: პომიდრის

სალათა, ძმარში მომზადებული სალათი ან ბადრიჯანი, პატარა ნესვი, ან ნაკეერჩხლებზე შემწვარი თევზი. არ შია, რადგან ვენესუელის კატორღაში კარგად ეიკვებებით, მაგრამ მისთვის ეს სხვა რამაა. რა თქმა უნდა, სიგარეტებსაც არ ვიეიწყებ. ჩვენი ურთიერთობა იმ ზომამდე მიდის, რომ მას უკვე პაპიონის შვილს ეძახიან.

თავისუფლება

უცნაური რამ მემართება: ამ ვენესუელელებმა მომაჯადოეს და გაქცევა აღარ მინდა. ბედს ვემორჩილები და იმედს ვიტოვებ, რომ ერთ დღეს ამ ხალხის ნანილი გავხდები. ვერ გაიგებ: იმის შემყურე, თუ როგორ ველურად ექცევიან პატიმრებს, თითქოს ხელნაკრავივით უნდა ვიყო, მაგრამ ორივე მხარე – პატიმარი და ჯალათი – ფიზიკურ დასჯას ბუნებრივად მიიჩნევს. თუ რომელიმე ჯარისკაცი შეცდომას დაუშვებს, არც მას ასცდება ხარის ძარღვის ერთი – ორი როზგი და რამოდენიმე დღის შემდეგ თავის დამსჯელს ისე ელაპარაკება, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

ეს ბარბაროსული სისტემა დიქტატორ გომესის მრავალწლიანმა მმართველობამ დატოვა და ის იმდენად ძლიერია, რომ თვით სამოქალაქო ხელისუფლებაც კი იყენებს მას თავისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი მოქალაქეების მიმართ.

* * *

რევოლუციის წყალობით, სადაცაა, გამათავისუფლებენ. სანახეროდ სამოქალაქო, სანახეროდ სამხედრო გადატრიალებამ რესპუბლიკის პრეზიდენტი, ერთერთი ყველაზე ლიბერალი მმართველი, როგორიც კი ვენესუელას უნახავს – გენერალი ანგარიტა მედინა – დაამხო. იმდენად დემოკრატი იყო, რომ ვერ შეძლო ან არ ისურვა, სახელმწიფო გადატრიალებას შეწინააღმდეგებოდა და კატეგორიულად უარი თქვა, პოსტის შესანარჩუნებლად ვენესუელელთა სისხლი დაეღვარა. ეჭვი არ მეპარება, რომ მან არ იცოდა, თუ რა ხდებოდა ელ დორადოში.

ასეა თუ ისე, რევოლუციიდან ერთი თვის შემდეგ, ყველა ოფიცერი შეიცვალა. იმ ბიჭის მოწამვლით მკვლელობაზე გამოძიება დაიწყო. კოლონიის უფროსი და მისი მოყვარე გაუჩინარდნენ. უფროსად ძველი დიპლომატ-ადეოკატი გამოგზავნეს.

– პაპიონ, მე თქვენ ხვალ გაგათავისუფლებთ, მაგრამ ვისურვებდი თან ეს უბედური პიკოლინო წაგეყვანათ, რომელიც ასე შეგჩვევიათ. პირადობის მონმობა არა აქვს, მაგრამ გავუკეთებ. რაც შეგეხებათ თქვენ, აი, cedula (პირადობის მოწმობა), თქვენი ნამდვილი სახელით. პირობები შემდეგია: სანამ დიდ ქალაქში საცხოვრებლად გადახვალთ, პატარა სოფელში უნდა გაჩერდეთ. იქ თავისუფალი იქნებით, არავინ გითვალთვალებთ. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ გაირკვეს, როგორ აპირებთ ცხოვრებას და თავის რჩენას. თუ, ნესისამებრ, ერთი წლის თავზე, იმ მხარის გამგებელი კარგი ქცევის საბუთს მოგცემთ, ამით თვითონვე შეწყვეტს თქვენს confinamiento-ს იძულებით ცხოვრება. მჯერა, კარაკასი თქვენთვის იდეალური ქალაქი იქნება. დღეიდან უფლება გაქვთ, ამ ქვეყანაში ლეგალურად იცხოვროთ. თქვენს წარსულს ჩვენთვის უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. თქვენზეა დამოკიდებული, დაამტკიცოთ, რომ პატივსაცემი კაცი ბრძანდებით. იმედი მაქვს, ხუთ წელზე ნაკლებში, ნატურალიზაციის წესით, ჩემი თანამემამულე გახდებით. ღმერთი გფარავდეთ! მადლობა, რომ საბრალო პიკოლინოს წაყვანაზე დამთანხმდით. ვერ გავათავისუფლებ, თუ ვინმემ არ აიღო მასზე მეურვეობა. იმედი ვიქონიოთ, რომ ჰოსპიტალში მის გამოჯანმრთელებას შეძლებენ.

ხვალ დილით, შვიდ საათზე, პიკოლინოს თანხლებით, აქედან უნდა გავიდე. გულში სითბო მიდგას. როგორც იქნა, სამუდამოდ დავამარცხე „ბიწიერების ბილიკი". ახლა 1944 წლის აგვისტოა. ცამეტი წელია, ამ დღეს ველოდები.

მეგობრებს ბოდიშს ვუხდი და ჩემს პატარა ქოხში შევდივარ. არ მინდა, ჩემი ემოციების მოწმენი გახდნენ. საბუთს ხელში ვატრიალებ: მარცხენა კუთხეში – ჩემი ფოტოსურათი, მაღლა – ნომერი 1728629, გაცემის თარიღი – 1944 წლის 3 ივლისი; შუაში ჩემი სახელი, დაბლა – გვარი; უკანა მხარეს – დაბადების თარიღი: 16 ნოემბერი, 1906 წელი. მდგომარეობა ვენესუელაში: „რეზიდენტი". მშვენიერია ეს სიტყვა – „რეზიდენტი"! ეს ნიშნავს, რომ ვენესუელაში თავშესაფარი მომეცა. გული აჩქარებით მიცემს. მინდა, დავიჩოქო და ღმერთს მადლობა შევწირო. „შენ მონათლული არ ხარ და არც ლოცვა იცი. არც ერთ რელიგიას არ ეკუთვნი და რომელ ღმერთს გინდა, მიმართო? კათოლიკების კეთილ ღმერთს? პროტესტანტებისას? ებრაელებისას: მუსლიმანებისას? რომელს ავირჩევ, რათა ჩემი ლოცვა ვუთხრა, რასაც ნაწილ-ნაწილ თუ გავიხსენებ ან გამოვიგონებ, რამეთუ მთლიანად არც ერთი ლოცვა არ ვიცი?! თუმცა, რატომ ვკითხულობ, რომელ ღმერთს უნდა მივმართო, განა ყოველთვის იესოს არ მივმართავდი ხოლმე და დამიწყეველია კიდეც?! ხომ არ შემომრჩა საყვედური ჩემს სულს კოლუმბიელი კეთილი დების მიმართ? რატომ არ უნდა ვიფიქრო კურასაოს ღვთისაგან კურთხეულ ეპისკოპოსზე, მონსენიორ ირენ დე ბრიუენზე და უფრო ადრე – კონსიერჟერიის კეთილ მღვდელზე?!"

მე ხვალ თავისუფალი ვიქნები, საბოლოოდ თავისუფალი! ხუთ წელიწადში ნატურალიზებული ვენესუელელი გავხდები, რადგან, დარწმუნებული ვარ, ამ მიწაზე არავითარ შეცდომას არ ჩავიდენ – მიწაზე, რომელიც მომენდო და თავშესაფარი მომცა.

მართალია, თავს დამნაშავედ არ ვცნობ მკვლელობისათვის, რის გამოც ვიღაც პროკურორმა, „ძაღლებმა" და თორმეტმა „ყველის მყრალმა ნაჭერმა" კატორღაში გამაგზავნეს, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ფათერაკების თავქარიანი მაძიებელი ვიყავი. ამიტომაც გამხვიეს ასე ადვილად თავის ბადეში. სხვის ჯიბეში ფათური არავის ეპატიება და საზოგადოებას უფლება აქვს და მოვალეცაა, თავი დაიცვას. სიდამპლის გზას იმიტომ გამიყენეს, რომ, ვაღიარებ, მე ამის მუდმივი კანდიდატი ვიყავი. როგორ და რა ფორმით უნდა დასაჯოს თავისი მოქალაქე ისეთმა ქვეყანამ, როგორიც საფრანგეთია – ეს უკვე სხვა თემაა. წარსულს ერთი მოსმით ვერ წაშლი: ჯერ საკუთარი თავის წინაშე უნდა ამაღლდე, მერე – სხვის თვალში. ასე რომ, გადაუხადე მადლობა კათოლიკების კეთილ ღმერთს, შეპირდი რაიმე ძალიან მნიშვნელოვანს:

„დიდებულო ღმერთო, მაპატიე, თუ ლოცვა არ ვიცი, მაგრამ ჩამხედე სულში და მიხვდები, რომ სიტყვები არ მყოფნის, მადლობა გიძღვნა, ეს დღე რომ გამითენე. იმ სატანჯველის მოსახდელად, რაშიც არაკაცებმა ჩამაგდეს, მძიმე ბრძოლა მომიწია და თუ ახლა ცოცხალი და ჯანმრთელი ვარ, შენი დამსახურებაა, ვის ხელსაც ყოველთვის ვგრძნობდი. არ ვიცი, როგორ დაგიმტკიცო, რომ გულწრფელად შენი მადლიერი ვარ!"

„უარი თქვი შურისძიებაზე!"

მომეჩვენა, თუ მართლა გავიგე ეს სიტყვები? – ვერ გეტყვით, მაგრამ ისე ალიყურივით გამეწნა, რომ თითქმის დარწმუნებული ვარ მის რეალობაში.

„ოჰ! არა! არა! ეს არ მთხოვო! ამ ხალხმა მეტისმეტად მტანჯა. როგორ გინდა, რომ იმ მოსყიდულ პოლიციელებსა და ყალბ მონმე პოლენს შეუნდო? უარი ეთქვა და იმ არამზადა პროკურორს ენა არ ამოვგლიჯო? შეუძლებელია! მეტისმეტს მთხოვ. არა, არა და არა! ვნუხვარ, რომ არ გემორჩილები, მაგრამ შურისძიებაზე უარს ვერაფერი მათქმევინებს!“

ქოხიდან გამოვდივარ. მეშინია, არ დამიყაბულოს. ბაღში შევდივარ. ტოტო ლობიოს სარებს ასწორებს. სამივე მიახლოვდება: პარიზის, ლაპის ქუჩის ჯურღმულებიდან ამოსული ტოტო, რომელიც მუდმივად იმედით არის აღსავსე; კორსიკელი ჯიბგირი ანტარტაგლია, ვინც იქ კი დაიბადა, მაგრამ მთელი ცხოვრება პარიზელების გაფცქვნაში გაატარა; დიჟონელი დეპლანკი, სუტენიორის მკელელი და თავადაც სუტენიორი – გახარებული არიან, რომ, ბოლოს და ბოლოს, გავთავისუფლდი. უეჭველია, მათი რიგიც მალე მოვა.

– სოფლიდან ბოთლი ღვინო ხომ არ ამოგვეტანა შენი წასვლის აღსანიშნავად?

– მაპატიეთ, ისე ვიყავი აღელვებული, რომ ამაზე არც კი მიფიქრია.

– არა, საპატიებელი არაფერი გაქვს. ახლავე გემრიელ ყავას მოვადუღებ.

– კმაყოფილი ხარ, პაპი? ჩვენც გვიხარია!

– იმედი მაქვს, თქვენი ჯერიც მალე დადგება.

– უეჭველად, – ამბობს ტოტო, – კაპიტანმა მითხრა, რომ ყოველ თხუთმეტ დღეში ერთ-ერთ ჩვენგანს გაუშვებენ. რის გაკეთებას აპირებ თავისუფლებაში?

ერთ-ორ წამს ვყოყმანობ და მერე გაბედულად, იმის შიშის გარეშე, რომ ამ გადასახლებულისა და ორი კატორღელის წინაშე, შეიძლება, სასაცილოდ გამოვჩნდე, ვპასუხობ:

– რას გავაკეთებ? რა ვიცი, რთული ამბავია. მუშაობას დავიწყებ და ყოველთვის პატიოსნად ვიცხოვრებ.. ამ ქვეყანაში, რომელიც მენდო, დანაშაულის ჩადენით თავს არ შევირცხვენ.

პირდაბჩენილი ვრჩები, რადგან ირონიული პასუხის ნაცვლად სამივე ერთხმად აღიარებს:

– მეც გადავწყვიტე, პატიოსნად ვიცხოვრო. მართალი ხარ, პაპიონ, ძნელი იქნება, მაგრამ ეს ვენესუელელები პატივისცემას იმსახურებენ.

ყურებს ვერ ვუჯერებ. ტოტოს, ბასტილიის უბნების მანანწალას – ასეთი აზრები?! ანტარტაგლია, რომელმაც მთელი ცხოვრება სხვათა ჯიბეების გადმოტრიალებაში გაატარა, ასე ფიქრობს?! – მშვენიერია! დეპლანკი? სისხლით სუტენიორი, არც კი ფიქრობს, რომ ვინმე ქალი იშოვოს და ამუშაოს! – ეს ხომ მთლად საოცარია!

აჰ! რაც ახლა ხდება, ოქროს ფასი აქვს. ხვალ მონმარტრზე რომ მოვხვდე და ბლანშის მოედანზე მოვყვე, რაც ახლა გვემართება – ვინ დამიჯერებს!

– ქურდული სამყარო გაგვიგებს. მხოლოდ „ვირთხები“ არ დაიჯერებენ. ფრანგების უმრავლესობა არ აღიარებს, რომ ჩვენნაირი წარსულის კაცი გარდაიქმნება და საშიში აღარ იქნება. ამაშია განსხვავება ჩვენსა და ვენესუელელებს შორის. ადრე მოგიყევით, როგორ უხსნიდა ერთი ღარიბი ირაპელი მეთევზე კომისარს, რომ კაცი არასოდეს არ უნდა ჩათვალო დაკარგულად, უნდა დაეხმარო და საშუალება მისცე, პატიოსან ადამიანად გადაიქცეს. სწორედ ამ უწიგნური, ქვეყნიერების დასალიერში, მდინარე ორენოკოს შესართავში მცხოვრები მეთევზეების ჰუმანური ფილოსოფია აკლიათ ჩვენს თანამემამულეებს. მეტისმეტი პროგრესი და მუდმივი ლტო-

ლვა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ, ახალ-ახალი გამოგონებებისაკენ, ადამიანში სულს, თანაგრძნობას, გამტანობასა და კეთილშობილებას კლავს. დრო არა გაქვს, სხვას მიხედო და ხელი გაუმართო. თვით ამ რასის ხელისუფალნიც კი, ვინც მოწოდებული არიან, საზოგადოებრივი სიმშვიდე უზრუნველყონ, განსხვავებულად იქცევიან – ადამიანის გადასარჩენად ყველაფერზე მიდიან, არაფერს უფრთხილდებიან, საკუთარ კეთილდღეობასაც კი. სწორედ ეს არის დასაფასებელი.

ჩემმა მოსწავლემ, ამჟამად პოლკოვნიკმა, მშვენიერი ლურჯი კოსტიუმი მაჩუქა. იგი ოფიცრების კონკურსისას პირველ სამეულში მოხვდა და ახლა წასულია. ბედნიერი ვარ, რომ მის წარმატებას ცოტა მეც შევუწყე ხელი. სანამ გაემგზავრებოდა, თითქმის ახალი სამოსი შემომთავაზა. ტანზე კარგად მომერგო და მისი წყალობით გარეთ ნორმალურად ჩაცმული გავალ.

ეს დიდებული ოფიცერი და ოჯახის მამა, დღეს ეროვნული გვარდიის პოლკოვნიკი, ოცდაექვსი წლის განმავლობაში პატივს მდებდა და თავის მეგობრად მთვლიდა. არასდროს, მიუხედავად სამხედრო იერარქიაში მისი მაღალი მდგომარეობისა, ჩემს მეგობრობაზე და ხელის გამართვაზე უარი არ უთქვამს. დიდი მადლიერი ვარ თქვენი, პოლკოვნიკო ფრანცისკო ბოლანო უტრერა!

ჰო, შეუძლებელს გავაკეთებ და პატიოსნად ვიცხოვრებ. ერთი რამ მაფიქრებს: არასდროს მიმუშავია და არაფერი ხელობა არ ვიცი. თავის სარჩენად ყოველგვარ სამუშაოზე უნდა დავთანხმდე. ადვილი არ იქნება, მაგრამ შევძლებ. ხვალ ისეთივე ადამიანი ვიქნები, როგორც სხვები. წააგე პროკურორო: ბინიერების ბილიკს საბოლოოდ დავუძვერი!

ჰამაკში ვწრიალებ. ჩემი ოდისეის ბოლო ღამეა. ვდგები და ჩემს ნაფერებ ბაღში გავდივარ. მთვარე ისე ანათებს, რომ შუადღე გეგონება. მდინარე უხმაუროდ მიგორავს შესართავისაკენ. სიჩუმეა. ფრინველებს სძინავთ, ცა ვარსკვლავებით არის მოჭედილი, მაგრამ, თუ მათი დანახვა გინდა, მთვარეს ზურგი უნდა შეაქციო. ჩემ წინ ტევრი მხოლოდ განაკაფებითა და სოფელ ელ დორადოთია „დახვრეტილი“. ბუნების ეს ღრმა დუმილი მესალბუნება და მამშვიდებს.

ვახერხებ, ნათლად წარმოვიდგინო, თუ სად ჩამოვალ ხვალ ნავიდან, რათა ფეხი სიმონ ბოლივარის მიწაზე დავდგა – კაცისა, რომელმაც ეს ქვეყანა ესპანური უღლისაგან გაათავისუფლა და თავის შვილებს, ჰუმანურობის გრძნობებთან ერთად, ურთიერთგატანის თვისებებიც დაუტოვა. სწორედ მისი წყალობით შემიძლია დღეს ახალი ცხოვრების დაწყება.

ამჟამად ოცდაჩვიდმეტი წლის ვარ და ჯერ კიდევ ახალგაზრდად ვგრძნობ თავს. ჯანმრთელობას არ ვუჩივი, სერიოზულად ავად არასდროს ვყოფილვარ და არც მორალური წონასწორობა დამიკარგავს. კატორღას ალბათ იმიტომ არ დაუტოვებია, ჩემზე კვალი რომ მას არასოდეს ვეკუთვნოდი.

თავისუფლების პირველ დღეებში, თავის რჩენის საშუალების გამოძებნის გარდა, საბრალო პიკოლინოსაც უნდა მივხედო. ჩემს თავზე დიდი პასუხისმგებლობა ავიღე: უფროსისადმი მიცემულ სიტყვას არ გავტეხ და ამ უბედურს მხოლოდ მაშინ დავტოვებ, როცა ჰოსპიტალში, კომპეტენტური ხალხის ხელში დავიგულებ.

მამა გავაფრთხილო, რომ თავისუფალი ვარ? მრავალი წელია, ჩემ შესახებ არაფერი გაუგია. ვინ იცის, სად არის? მხოლოდ ერთხელ შეიტყობდა ჩემს ამბავს, როცა ჟანდარმები ესტუმრებოდნენ. არა, არ უნდა ვიჩქარო. უფლება არ მაქვს,

წლებისაგან შეხორცებული ჭრილობები გავუცოცხლო. მაშინ მივწერ, როცა კარგად მოვეწყობი: „ჩემო მამიკო, შენი ბიჭუნა თავისუფალია და პატიოსნად ცხოვრობს. შეგიძლია, თავანებულმა იარო. იმიტომ გწერ, რომ მიყვარხარ და ყოველთვის გაღმერთებდი.“

ომია. ვინ იცის, შულცები ჩვენს პატარა სოფელშიც არიან მოკალათებული! არდეში არც თუ ისე მნიშვნელოვანი მხარეა და იქ ოკუპაცია სრული არ უნდა იყოს. წაბლის ხეების გარდა იქ რას იპოვიდნენ? ჰო, მაშინ მივწერ, როცა ამის ღირსი ვიქნები.

საით წავალ?! ოქროს საბადოებზე, სოფელ კალაოში გავჩერდები. იქ გავატარებ ერთ წელიწადს, რაკი რომელიმე თემში ცხოვრებაა აუცილებელი. რას გავაკეთებ?! მიდი და გაიგე! აბა, რა ვიცი, წინასწარ ნუ ვიმსჯელებთ. მიწა უნდა ვთხარო, რომ პური არსობისა მოვიპოვო. ჯერ თავისუფლებაში ცხოვრება უნდა ვისწავლო. ცამეტი წლის განმავლობაში, თუ ჯორჯთაუნს არ ჩავთვლით, თავის რჩენაზე არ მიფიქრია. ჯორჯთაუნში ცუდად არ გამომსვლია. ჩემი თავგადასავლები გრძელდება – რაღაცას მოვიფიქრებ, ვნახოთ. ამრიგად, ხვალ – კალაო.

დილის შვიდი საათი. ტროპიკების მშვენიერი მზე, ლურჯი, უღრუბლო ცა და ფრინველების სიცოცხლით სავსე ჟრიამული. ბაღის კართან მეგობრები და სუფთად ჩაცმულ-გაპარსული პიკოლინო მელოდებიან. ყველა – ბუნებაც, ცხოველებიცა და ადამიანებიც – ჩემს გათავისუფლებას ზეიმობენ. აქვე ერთი ლეიტენანტია, რომელიც სოფელ ელ დორადომდე გაგვაცილებს.

– მოვეხვიოთ ერთმანეთს და წადი, – მეუბნება ტოტო, – ყველასთვის ასე ჯობია.

– მშვიდობით, ძმებო, როცა კალაოზე გაივლით, აუცილებლად მნახეთ. თუ საკუთარი სახლი მელირსა – თქვენიც იქნება!

– მშვიდობით, პაპი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

სწრაფად ავდივართ ნავსაყუდლამდე და ნავში ვსხდებით. პიკოლინოს სიარული არ უჭირს, მხოლოდ წელს ზემოთ არის პარალიზებული. თხუთმეტ წუთში მდინარის მეორე ნაპირზე ვართ.

– მიდი, აი, პიკოლინოს საბუთები. ბედი შენკენ, ფრანგო. ამ წუთიდან თავისუფალები ხართ. მშვიდობით!

როგორი მოსასმენია კაცისათვის, ვინც ცამეტ წელწადს ჯაჭვებს დაათრევდა, ეს – „ამ წუთიდან თავისუფალი ხარ“? მეთვალყურეობას გიწყვეტენ, ზურგს გაქცევენ და – მორჩა!

რიყიან გზაზე სწრაფად ავდივართ. თან მხოლოდ პატარა ფუთა გვაქვს, რომელშიც სამი გამოსაცვლელი პერანგი და ერთი შარვალი გვიწყვია. მე ლურჯი კოსტიუმი მაცვია, თეთრი პერანგი და მასთან შეხამებული ჰალსტუხი მიკეთია.

ვიცი, ახალი ცხოვრების დაწყება ღილის შეკვრა არ არის. და თუ დღეს, ოცდახუთი წლის შემდეგ, კარაკასში ბედნიერად ვცხოვრობ, მყავს მეუღლე და ქალიშვილი, ვარ ვენესუელის მოქალაქე, არ მავიწყდება – ამ დღემდე მრავალი წარმატებისა თუ წარუმატებლობის შემდეგ მოვაღწიე, რაზეც, და კიდევ სხვა უბრალო ამბებზე, რომელთა შესახებ აქ მოყოლის საშუალება არ მქონდა, შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს კიდევ გიამბოთ.

გამომცემლები: ზაზა ონეზაშვილი
ზაზა ახობაძე
თარგმნეს: გესიკ მაღლაკელიძემ
თამაზ სიგოშვილმა
რედაქტორ-კორექტორი თამრიკო ზამთარაძე
ტექსტი ააწყო ნათია კუპრაშვილმა
დააკაბადონა გურამ ჩხაიძემ
დიზაინერი ზურა მიმინოშვილი

დაიბეჭდა გამომცემლობა
შ.პ.ს. „თბილისელებში“

© შ.პ.ს. „თბილისელები“
პირველი გამოცემა
2006 წელი

მცირე საბითუმო შეკვეთები: 92 38 33